

119

979



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების

4

1972

ენათობი

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემია

სოციალური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 48-ე

№ 4

აპრილი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

რევაზ ასავეი — ლექსები. თარგმნეს შ. ამისულაშვილმა, შორის ფოცხი- შვილმა და ბესიკ ხარაჩაულმა	3
ალექს ადამია — დიდი და პატარა მკაბერიძე. რომანი. გაგრძელება	7
ჯანო ჯანალიძე — ლექსები	49
აკაკი ხელოვანი — ლმობიანის დანი. მოთხრობა	52

ფაქტები, მოვლენები

მიხეილ ქვეციანი — ან. ბრგანის დღე. გაგრძელება	85
---	----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ავლინი ჯარაბაშვილი — კერძო-სოციალური პრობლემები სულხან-საბა ორბელი- ნის შემოქმედებაში	125
რევაზ ხაბრიაშვილი — „არსენა მარაბდილის“ კერძო-სოციალური ანალიზი	135
ჯორჯ ლორთქიფანიძე — გურამ დოჭანაშვილის მოთხრობები	140
დავით ჯანალიძე — შიკაქანი და ალმოსაგლეთი	151
რევაზ მიწველაძე — ბალახტიონ ტაბიკის კომედიები	159
ნათია ამირაჯიანი — ნიკოლოზ შენგელიას „ელინო“	168



წიგნების მიმოხილვა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალაქიაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. ბაშინაძე, მ. ლეონიძე, ზ. თინათინი, ა. სულაიაძე,
რი, ა. ქუთათელი, ე. ხიფინი, (პ/მგ. მღვიანი), ს. შანთაძე, დ. შანთაძე, ვ. წულუ-
კიძე, თ. ზვილავა, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ბაბუაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის ქარსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11.
პ/მგ. მღვიანის — 98-55-12, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 29/11-72 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 28/IV-72 წ., ასაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქალაქის ფორმატი 70 X 108 1/16.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბაში 12.

უე 01826 ტირაჟი 13.350. შეკვ. № 719
საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





საგჭოთა ოსეთი ოროცდაათი წლისა

რედაქცია

ჩემი გვარი და გვარგამი

ასა-ხეთაგის ჯიშმა, ჯილაგმა
 საშთამომავლოდ კიდევ ივარგა;
 ძველი ნართების ცეცხლის ნარჩენი
 ფრთაზე შემიგდო მისმა იღბალმა.
 ფრთაზე შემიგდო, შემდეგ ნელნელა
 ქართლის მიწაზე ამაბრიალა;
 ძმებო, საწუთრო არ გვიმგვლდებო,
 ივარგოს გვარმა ამაგიანმა!..
 ო, მარტო ჩემი გვარით კი არა,
 ქართლო, შენთან ვარ მთელი გვარტომით;
 ჩვენ უკვდავების სავესტია ფილას
 არ ვეწაფებით მარტოდ მარტონი.
 სკრა, სალბიერი და შუა ხევი
 სავესტია ჩემი კუთხის შვილებით;
 მტრის ურდოს თქვენებრ ჩვენც შუა
 ვხვედით,
 ხმას ვიმაღლებდით ხმალშიშველები.
 ემხსოვრება ბაზალეთის ტბას
 ჩემთა წინაპართ ცრემლის კურცხალიც;

ამას გვეტყოდა წინამურის მთაც,
 თუ წარსულის წიგნს გადავფურცლავდით...
 დუშეთში ერთი ყურლანი არი,
 ზედ ობელისკი მოსჩანს მაღალი;
 გრანიტს ამშვენებს ოსური გვარიც
 იმ გრანიტივით მტკიცე, მაგარი...
 მიიძე ყოფილა ყორღანის მიწა,
 მხრებს ველარ იწვეს არწივი მაღლა,
 მაგრამ მისი ხმა სამშობლოს ფიცად
 დაჰკვებებია ჰანისის ტალღას.
 დაჰკვებებია ცომაკის ლექსაც,
 მყინვარებზე რომ გააქვს თარეში, —
 და წმინდა ბეგრებს კვესივით კვესავს
 არაგვისა და თერგის მხარეშიც.
 ქედიდან ქედზე, ხევიდან ხევში
 ასე გადადის ფიცი მწედრისა,
 რომ სიმართლის და სინათლის ეშხით
 ფრთები შეისხას ჩვენმა მერმისმა...

ნათელი ყვავილი

აქ უმოწყალოდ იღვრებოდა ოფლი ხალხისა,
 აქ ძვკაცს დარდი ჩაჰქრობია მხოლოდ
 ხანდისხან.
 აქ უმოწყალოდ ინთხვოდა ძვკაცის სისხლიც,
 წითელ მორევში ტრიალებდა მახვილი მისი.
 აქ ეს ყვავილიც — უნაზესი, ტურფა,
 ყირმიზა,
 სწორედ ამ სისხლმა უფრო წითლად
 ააგიზგიზა.

ააგიზგიზა, აისივით წამოსულს მთიდან
 წინ ცისარტყელა დაჰხვედრია თალოვან
 ხიდად.
 და შემდეგ იგი, ვით დიადი სალაშქრო
 დროშა,
 იმ ხიდთან ერთათ იას და მიწის იმედად
 მოჩანს...

ს უ რ ა თ ი



ქარი ღრუბლებს ერეკება,
ვით ცხვრის ფარას მწყენსი,
მზე ზეცაზეც ვერ ეტევა,
მიწა მიქსოვს ფეხებით...

არყის ხეთა თეთრი ფრთები
კვლავ დიდ ხივრცეს ითხოვს,

ვოლგის პირზე გოგონები
ჭორაობენ თითქოს.

გაუშლია ტირიფს თმები,
აპყლია ფიქრებს,
დგას მუსხლამდე მდინარეში
და მწვანე რტოს გვიქნევს.

რ ა ზ მ ე

ყვავილი ჭკნება,
მე ვხვდავ, ჭკნება,
შენს ხელში ჭკნება
ყვავილი ახლა...
შენ ისევ მოსწყვეტ
ახალ ყვავილებს,
მოსწყვეტ, დააჭკნობ,
შენი გზით წახვალ.

წახვალ და აღარც
მოგაგონდება
მიხი ქვითინი,
მოთქმა, გოდება...

ყვავილს ის ტოტი
მოენატრება,
რომელზეც ერთ დროს

ჩიტვივით იჯდა,
იშლებოდა და
ხარობდა გულით,
შენ ის მოსწყვეტე,
არ გქონდა ნება, —
ყვავილი ჭკნება,
ყვავილი ჭკნება!

და ისმის, ისმის,
ქვითინი ისმის,
შტოებს ფოთლები
ცრემლებად წყდება, —
რატომ და რისთვის?
რატომ და რისთვის?
არ გქონდა ნება!
არ გქონდა ნება!

სიყვარული და ყვავილი

გუშინ ჯერ კიდევ
ზამთარი იყო
და შენს კულულებს
ეფინა ფიფქი, —

შენს წინ ფიფქივით
ვქრები თანდათან,
ვქრები, ვით ძველი
სიზმარი, ფიქრი...



სიცილის ცელით,
 სიმღერის ცრემლით,
 შენი სუნთქვით და
 შენი გიზგიზით,
 ფიფქივით ლღვება
 ოცნება ჩემი,
 ქაოსში ქრება
 იმედის გემი...

და მაინც მინდა
 ფიფქივით წმინდად
 შენს ხელში გავდნე
 ამაყად, მშვიდად.

გუშინ ჯერ კიდევ
 ავდარი იყო,
 ხნულში ჯერ კიდევ
 ზამთარი იდგა.

შენ ხარ მაისის
 ნაზი ასული,
 მზე შენს წინ დნება,
 როგორც მარილი, —
 შენ ყვავილი ხარ
 და შენს ცხელ ყლორტზე
 ობლად ვციმციმებ
 დილის ცვარივით.

ბ ღ ე ხ ი ღ ა ზ ღ ვ ა

ტალღას —
 ტალღაზე,
 ტალღას —
 ტალღაზე,
 აბლიდა ზღვა
 და არა ფიქრობდა,
 არც განცხრომაზე
 და არც დაღლაზე.
 თავის გულის დარღს
 ისე იქრობდა.
 მოხუცი გლეხი
 იდგა ნაპირთან
 და ზღვის ყურებით
 ფრიად გაკვირდა
 უყურებს ხარბად
 და გული სწყდებდა,
 ეს
 რამოდენა ადგილი ცდებდა.
 უყურა დიდხანს
 ზღვის უბეს საეცეს
 და მერე
 წყრომით
 მიმართა ასე:
 ო, ზღვაო,
 ზღვაო,
 შენ რომ იყო
 ყამირი მიწა,

არ გადროვებდით,
 გაგტეხავდით,
 მოგხნავდით იმ წამს!
 და
 იქნებოდა საოცრება
 მართლაც ნამდვილი,
 ახლა
 ტალღების
 ჯაფით რომ ხარ გადაბარდნილი,
 ილაღანებდი
 ჯეჯილები
 მწყანე მანდილით!
 თქვა მოხუცმა
 და
 შეტობა ზღვაში,
 ზღვამ კი იხუვლა, —
 გემულება სხვაში!
 მოხუცს ცელივით
 გამოჰკვრა ტალღა
 და დააგორა საწყალი
 დაღმა.
 მოხუცმა
 მლაშე
 თუმც ყლაპა წყალი,
 გაიგო სიბრძნე
 ახალთახალი!

და ზღუას მიმართა

გლეხმა ყვედრებით:

— ზღუაო,

სიდიდით ცას რომ ედრები,

დაწყველილია შენი სიდიდე,

ვერც დასთესე


და

ვერც მოიმეიდე!



რუსთაველი

მე არ ვამბობ, რომ ოსეთის რუსთავიდან ხარ,
რომ აქ იქცა პოეზიად შენი გულის თქმა,
რომ რუსთავიც შესცქეროდა ამ ულურჯეს ცას,
ვიდრე ოსეთს მოგიყვანდა წუთისოფლის გზა...
აღბათ შენმა მობრძანებამ ათქმევინა ხალხს:
— შეემატოს რუსთავიცო ჩვენს მთასა თუ ბარს!..
რუსთაველო, შენ მესხეთის რუსთავიდან ხარ,
მაგრამ ძალზე მშობლიურად გვესმის შენი ხმა!..



დიდი და პატარა კავშირები

თავი მეოთხე

ივლისის ერთ კვირა დილით, ლოგინიდან ფეთიანივით წამოიჭრა გულასპირი და მეუღლეს უსაყვედურა, — ჩამძინებია ეს ოხერი და რატომ არ გამაღვიძე, ხომ იცი, დღეს ქალაქში მივედივარო.

ათვანზე გავიდა და სვეტზე ჩამოკიდებული უნაგირი ჩამოხსნა. კესარიაც ადგა.

წუხელ არაფერი უთქვამს ქალაქში წასვლაზე, დღეს რა აღია წამოუფრინდაო, გაიფიქრა კესარიამ.

— რომ არაფერი გითქვამს! — საყვედურივით თქვა კესარიამ.

— არაფერი მითქვამს? დაგაფიწყდა? საულლედ ხმელი თელა შემიპირა ერთმა კაცმა-მეთქი! არ მითქვამს?

— თელა?

— ჰო, საულლე თელა. რატომ გიკვირს?

კესარიას არაფერიც არ გაკვირვებია, მაგრამ გულასპირმა იგრძნო, რაღაც იქედნურად გამოხედა მეუღლემ და შეუტია.

— არაფერია გასაკვირალი! ეგერ, წისქვილთან მიგდია თელის ნაპობი, ამოვიღლიავებ და ჩაურბენიებ... მუქთად ხომ არ დაიარჩენს!

კესარია სამზადში წავიდა.

გულასპირი ეზოში ჩაიჭრა, მესერზე მიბმული ცხენი ხელდახელ დააუნაგირა, მერე ხელპირი დაიბანა, დარაიას ახალი ხალათი და მუქმწვანე გალიფე შარვალი ჩაიცვა, ჩექმებიც საგულდაგულოდ გააპრიალა, ვერცხლის ქამარი შემოირტყა, წვერი კოხტად დაივარცხნა და სამზადში მოფუსფუსე კესარიას თავზე წაადგა.

ასე საზეიმოდ „აღკაზმული“ ბაზარში არასოდეს წასულა გულასპირი და კესარიამ შეიკვირვა.

— რავა ყველაფერი გიკვირს დღეს! — გაცეცხლდა გულასპირი.

ზეზეურად წაიხემსა, ჭიქა ღვინო და აყოლა და გამოწვდილი ხურჩინი ხელში შეატოვა კესარიას.

— შეიძლება ქალაქში არც შევიდე, ქალაქიდან კაი მოშორებით ცხოვრობს ჩემი მუშტარი, — ეშმაკური ღიმილით თქვა, ცხენზე შეჭდა და ეზოდან თონხარივით გავიდა.

სატველასკენ წავიდა. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ეზოს შორიდან მოუარა, არსად შემეფეთოს ალექსანდრე და ქალაქში რამე არ დამაბაროსო. როცა სატველაზე ჩავიდა, ცხენი ტყეში შეიყვანა, გარშემო ქურდულად მიმოიხედა და თავი სამშვიდობოზე რომ დაიგუ-

ლა, ცხენი შემოატრიალა, შეჭქუსლა და ითხვისისკენ მიმავალ ბილიჯზე ჩორთით წაიყვანა.

ჰო, ითხვისში მიდის გულასპირ ჩაფიჩაძე.

„ის საუღლე ხმელი თელა ეგერ, წისკვილთან გდია და მომავალ კვირამდე კიდევ უფრო გამოშრება, უფრო შემსუბუქდება და წაღებაც გამოადვილდება. ეგდოს ერთი კვირა იქ, მე შენ გეტყვი და ვინმე გამოივლის და წაიღებს!... ახლა მე ითხვისში მივდივარ, მეზობლებთან, სახლიაკებთან“.

ითხვისში წასვლის სურვილი კარგა ხანია აეკვიატა გულასპირს. რატომღაც არავის გაუმხილა, კესარიასაც არ გაუმხილა, შეიშინა, ვაი თუ არ მომიწონოს და დამიშალოსო. — ხოლო წუხელ ისე მოესურვილა ითხვისში წასვლა, გათენებამდე სული კბილით ეჭირა.

ჯერ ბილიჯ-ბილიჯ ატარა ცხენი გულასპირმა, ზემალაღს რომ ვასცდა, გული დაიარხეინა და თემშარაზე თამამად გავიდა.

„ჩავაიოთხავ მაგ რჯულძაღვებს! ღირს არიან-კი? ჰო, გვეითებით მე ზემალდიდან გაქეულებს, ხართ ღირსი მონახულებისა?“

ერთბაშად აიყარენით...

ათასი წელი გვიცხოვრია ერთად და ასე მალე წაიშალა მირონი?

ყველაფერი მორჩა და გათავდა?

ითხვისში დასახლდით და განიდიდენით?

ეგების სახურავი ჩამოერღვა გულასპირ ჩაფიჩაძეს სახლს და არ შეეშველეთ?

ეგების სამირკველი მოერყა და არ გაუმარჯეთ?

ეგების მიიცვალა გულასპირ ჩაფიჩაძე და არ დაიტრიალეთ?

განიდიდენით?

„რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიმადლოს თავი თვისი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, აღმადლდეს“...

არა, ღირსნი არა ხართ ნახვისა, მაგრამ გულასპირს მოსიყვარულე გული

აქვს, გულასპირი მოდის თქვენთან, /კარი გაუღეთ, შემოეგებენიდე! ქენუსელი მზე შემალდა, მაგრამ გულასპირს არ ცხელა, თოხარკით მიჰყავს ცხენი.

„კაი გზა კი ჰქონიათ ითხვისელებს“.

„ეკნებათ, აბა რა! კლდე აქ არ არის და მთა. დავაკებულა. ღვარი არ წარეცხავს. ერთხელ გაიყვან ასეთ ადგილზე გზას და იქნება ასე, ტახტრევეანივით“...

ამ ტახტრევეანივით გზაზე საბარგო მანქანამ ჩამოუჭროლა გულასპირს და მტვერი ნისლივით დააყენა. გულასპირმა ცხენი შეაყენა, ზედოზედ გადააფურთხა და გამომკემელი უღლეგრძელა საბარგო მანქანის მძღოლს.

„ვერ დამინახა ვითომ? რავე არ დამინახა! ჰოდა, რაკი დამინახე, შეეალო, ცოტა შეანელა სვლა. ადამიანი არა ხარ? მე შენ გეტყვი და რაკომის ბიუროზე მიგეჩქარება! ვილაყის კერძო ტვირთს მიაქროლებ ხერგას ბაზარში“.

მტვერი დაჭდა და გზა ისევ ტახტრევეანივით გამოჩნდა.

„მერე მარტო ითხვისელებმა გაიყვანეს ეს გზა?“

არა შეილოსა! გულასპირ ჩაფიჩაძემ ყველაფერი იცის. განა მარტო ითხვისელებმა გაიყვანეს ეს ტახტრევეანივით გზა? ჩემი მტერი არაა მეტი! მთელი რაიონი ამოუყენეს ითხვისელებს მხარში... ჰო, ამოუყენეს! მოაყარეს და მოაყარეს მანქანები — მიწისმთხრელები, საბარგოები, წყლისმწოველები, ქვებისმღრღნელები, მტკეპნელები... ახლა ითხვისელები ამაყად დადიან ამ გზაზე, სხვები რომ დადიან ამ გზაზე, იმასაც თვითონ იამაყებენ, აქაოდა ნახეთ, როგორი გზა გვაქვს ითხვისელებსო“.

გულასპირი არხეინად მიათოხარეკებს ცხენს, კარგა მანძილი გამოუღვია და სადაცა ითხვისიც გამოჩნდება.

ჰო, ერთს დახედავს. დახედავს. ნახვით-კი, არავის მოინახულებს. ღირსნი არ არიან და მიტომაც არ მოინახულებს. თვალს შეავლებს ეზოებსა და სახლებს, მორჩა და გათავდა! თვალს შეავლებს, დახედავს და უკანვე გამობ-

რუნდები. უკვე ჩანს, არა! ჰო, ამ ზეგანსაც ჩაითხარაკებს და ესეც თქვენი ითხევის...

ცივილი და ხმაური შემოესმა. ცხენი შეაყენა.

ბიჭები ნახირს მიერეკებოდნენ.

გულასპირმა ცხენი გზოდან გადაიყვანა და ხის ჩრდილში დაიჭვეითა.

...მარაქას სოლომონ ჭინორიძის ბიჭი სანდალა მიუძღვის. პატარა წყნელი უჭირავს სანდალას ხელში და თავის გუტას ეთამაშება. ჰო, ისე, სათამაშოდ თუ მოუქნევს წყნელს, სანდალა გონიერი ბიჭია და მეწველ ძროხას წყნელს არ დაჰკრავს, თანაც გუტა ამაყია ყოველთვის წინ მიუძღოდა ჭინორიძეთა ძროხებს ხემაღალში და შეხე, ითხვისშიაც ასეა...

„ის მეორე ბიჭი?“

ძალიანაც დააკვირდა გულასპირი, მაგრამ „ის მეორე ბიჭი“ ვერ იცნო. ყოჩაღი ბიჭი კი ჩანს. უფრო დიდი წყნელი უჭირავს ხელში, ვიდრე სანდალას. ჰაერში შეათამაშა წყნელი, ერთი შეუქახა და საქონელი გზოდან გადარეკა. კი, ერთი შექახილით გადარეკა საქონელი გზოდან, გზისპირა ფერდობზე გაშალა და საბალახოდ მიუშვა.

მერე პატარა მინდორზე შეგროვდნენ ბიჭები, ჰაერში ბურთი ააგდეს და ატყდა ერთი კისრისტეხა. ფარნა კიკნაველიძის ბიჭი ნუკრია იცნო გულასპირმა. დაბალ-დაბალი და ჩაფსკენილი ბიჭია ნუკრია. ეჯახებიან მობურთალი ბიჭები ნუკრიას, ნუკრია გაჯგიმული დგას, დამჯახებლები — კი მიწაზე ეშხლართებიან. ვერა, ითხვისელი ბიჭები ძვრასაც ვერ უზამენ ნუკრიას. მაგარი, ძალიან მაგარი ბიჭია. ჰოდა, რატომ? ხემაღალში გაიზარდა და იმიტომ! აბა, ერთი დაევიდონ! რიგისად წააქცევს ყველას. წყვილ-წყვილად, რომ დაეჭიდონ, მაინც წააქცევს. ხემაღლის ჯანი უდგას მუხლებში, მკლავებშიც ხემაღლის ღონე აქვს ნუკრიას...

საქონელი ფერდობს შეჰფენია და ბალახობს, მინდორზე ბიჭები ბურთაობენ და ხმაურობს პატარა მინდორი.

ჩრდილში ზის გულასპირი, სანდალასა და ნუკრიას უცქერის, ეს ურჩილა შეეცნო, თორემ აქა ბევრი უცხლურე და კიკნაველიძე ბურთაობს. ჰოო, ხემაღელი ბიჭები ბურთაობენ ითხვისის მინდორზე, ჭინორიძეთა ძროხები ბალახობენ ითხვისის დობერებზე, იქ, დაბლა, ახალი სახლებია და იმ ახალ სახლებში ხემაღელი ჭინორიძეები და კიკნაველიძეები ცხოვრობენ.

„არა, დახედვადაც არ ღირანო“, რატომღაც დაუძახა გულმა და გულასპირი ადგა, თემშარაზე გამოიყვანა ცხენი და ხემაღლისაკენ ქვეითად აუყვა გზას.

„არა, დახედვადაც არ ღირან“, თქვა გულასპირის გულმა და გულს დაუქერა გულასპირმა.

...ვითომ ხერგაში ვიყავი. არა, ხერგაში არ ვყოფილვარ, ჩემი მუშტარი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. ჩაეუტანე საუღლე თელა და ეზოში დავფუგდე. მორჩა და გათავდა. საყიდელი არაფერი მქონდა, ამიტომაც ქალაქში არ შევსულვარ და უკანვე გამოვბრუნდი... წისქვილთან რომ მივალ, იმ თელას ავიღებ და ტყეში შევაგდებ. ეგდოს ტყეში. მე შენ გეტყვი და ვინმე ნახავს და წაიღებს“...

ასიოდე ნაბიჯი გაიარა ქვეითად, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ ამხედრდა, შემოატრიალა ცხენი და ითხვისისაკენ წაათხარაკია.

კოოპერატივთან დაქვეითდა. იქვე ახლოს, წყაროსთან, ბოძზე აღვირიო მიაბა ცხენი.

კოოპერატივში არავინ იყო, ნოქარიც არ იყო. ზედიზედ ბოხად ჩაახველა გულასპირმა. უკანა კარი გაიღო და დაბალი, კროლათვალებიანი ქალიშვილი შემოვიდა.

ეს კროლათვალებიანი ქალიშვილი კოოპერატივის ყველა მუშტარს იცნობს, გულასპირი — კი ვერ იცნო, საგულდაგულოდაც დააკვირდა და მაინც ვერ იცნო.

გულასპირმა ჯერ ფართლელის დახლი შეათვალა, მერე მანეკენზე ჩა-

მოცმულ მამაკაცის კოსტუმს ახედ-და-ხედა, გარშემო შემოუარა, ხელითაც შეეხო, ვითომ ყიდვას აპირებდნო, ფასიც იკითხა.

— ფასი ზედვე აწერია, — ცივად თქვა ქროლათვალებიანი ქალიშვილმა.

— კარგად ვერა ვხედავ, შეილო, — მოუბოდიშა გულასპირმა.

— სიგარეტი გაქვთ? — სხვათაშორის იკითხა გულასპირმა და ირგვლივ მიმოიხედა.

— პრიმა.

— მეორე ფაბრიკისაა?

ქალიშვილი დახლში შევიდა.

— დიას.

— შემხვევით ოცდაათი. გულასპირმა ისევ მიმოიხედა.

— საქონელი გაქვთ, მუშტარი კი არ გყოლიათ.

— სადაური ბრძანდებით, ძიაკაცო?

— მეზობელი ვარ.

— მეზობელი?

— ჰო, მეზობელი.

ქროლათვალებიანი ქალიშვილი შეცბა.

— მაპატიეთ, ვერ გიცანით.

„ვერა, ვერ მიცნობ, შეილო, თუმცა ითხვისში ბევრჯერ ყოფილა გულასპირ ჩაფიჩაძე. ეგ ადრე იყო. შენ დაბადებულიც არ იქნებოდი მაშინ... ითხვისელ ბიჭებს მუდამ ხემალღელ ქალიშვილებზე ეჭირათ თვალი და ხემალღელი პატარძლის თავმაცარი გულასპირი იყო ყოველთვის. რაშევით ცხენი ჰყავდა გულასპირ ჩაფიჩაძეს და ხემალღიდან ითხვისში მომავალ მაყრიონს ამაყად მოუძღოდა წინ... ელეთმელეთი მოსდიოდათ ითხვისელ ქალიშვილებს გულასპირ ჩაფიჩაძის დანახვაზე... ჰო, ეგრე იყო, ნამდვილად ეგრე იყო. ახლა ბარე ოცდაათი წელიწადია, ითხვისში არ ყოფილა და ამ თვრამეტი-ოცი წლის ქალიშვილმა როგორ უნდა იცნოს გულასპირ ჩაფიჩაძე? ვერა, ვერ იცნობს“...

— ჰოო, მუშტარი არა გყოლიათ!

„მუშტარი არ გყოლიათო? მუშტარი იმდენი ჰყავს ითხვისის კოოპერატივს,

სამი გამყიდველიც ვერ აუღის. მე ვითომ მოანგარიშედ ვითვლებოდა ნოქრად მამუშაებენ. ეტყობა, ეს მეზობელი ძიაკაცი პირველადაა ჩვენს კოოპერატივში“.

— ჩვენი მუშტარი დღეს სტადიონზეა.

— სტადიონზე? — გაიკვირვა გულასპირმა.

— ფეხბურთია დღეს!

— ფეხბურთი?

— ითხვისის „ვაზი“ ხერგას „ულელტეხილს“ ეთამაშება საქართველოს თასზე.

„ითხვისის „ვაზი“ ერთი დამიხედეთ ითხვისის ვაზსა! ჯერ პირველი ნაყოფი არ დაუშწიფებია ითხვისის ვაზს და ფეხბურთის გუნდი მიუსახელებია! ბარაქალა ითხვისის ვაზო! ხერგას ეჭიბრები? ბარაქალა, გაეჭიბრე!“

— ოო, დიდი ამბავია მამ საქართველოს თასზე თამაშობენ? ნოქრები უთუოდ სტადიონზე ვაჭრობენ, ლიმონათს და სიგარეტს ყიდიან. — ვითომ მიაშიტად თქვა გულასპირმა და ქალიშვილს გაუღიმა.

„აუუ, რას ამბობს ეს ძიაკაცი? ნოქრებმა საქონელი წაიღეს სტადიონზეო. ლიმონათს და სიგარეტს ყიდიან სტადიონზე ნოქრებიო? ნუთუ ოთარ კაქუბერი არ გაუგონია? ოთარი ისეთი მეკარეა, ჰო, ოთარი ისეთი მეკარეა, მარღამიას აღარებენ! თბილისის „დინამომ“ მიიწვია ოთარ კაქუბერი, მაგრამ ოთარ კაქუბერმა იუარა, ითხვისელ ფეხბურთელებს ვერ ვულაატებ და ითხვისის კოოპერატივს ვერ მიკატოვებო... სიგარეტს და ლიმონათს ყიდიან ნოქრები სტადიონზეო? აუუ, ეგ რა თქვა, ძიაკაცმა“...

— თამაშობენ, ძიაკაცო, ფეხბურთის თამაშობენ.

— თამაშობენ? ყოჩაღ!

— მეკარე ოთარ კაქუბერი არ გავიგონიათ?

— კაქუბერი! ფეხბურთელი კაქუბერი? არა! კაქუბერი ექიმი გამიგონია, კაი ბეითალიაო, ამბობენ.

„მაშ ამიტომ არ არის კაცის ჭკანება? გზისპირა ეზოებში ქურდულად ვიხედებოდი და კაციშვილს ვერ მოგვარი თვალი. დიდი და პატარა სტადიონზე წაბრძანებულა. ხუმრობა საქმე როდია — ითხვისის „ვაზო“ ხერგას „ულელტეხილს“ ეჯიბრება საქართველოს თასზე! თამაშს თბილისელი მსაჯის სჯისო, მითხრა ჭროლათვალეზიანმა ქალიშვილმა და გაიამაყა, — ხერგადან რვაასამდე მაყურებელი ჩამოვიდაო... ბარაქალა ითხვისის ვაზო, ბარაქალა! ტახტრევეანივით გზა გამოუყვანე ითხვისელებს, ჭინორიძეები და კიკნაველიძეები ხემალიდან ითხვისში ჩამოსახლე, ღვინის ქარხანა ააგე ითხვისში, ახლა ფეხბურთის გუნდი? მერე-და ისეთა გუნდი, ხერგას „ულელტეხილს“ რომ ეჯიბრება საქართველოს თასზე... ბარაქალა ითხვისის ვაზო! ჭერ პირველი ნაყოფი არ დაგიმწიფებია და რამხელა საქმეები დაატრიალე, ჰა! ბარაქალა, ბარაქალა ითხვისის ვაზო! ხერგას გაეჯიბრე, გაეჯიბრე და აჯობე!“

— დრო რომ მქონდეს, მეც წავიდოდი სტადიონზე, — ვითომ მოუბოდიშა გულასპირმა ქალიშვილს, ითხვისელებს გამარჯვება უსურვა და კოოპერატივიდან გამოვიდა.

წყაროსთან, ძელსკამზე, ბერიკაცი იჯდა.

გულასპირმა ქურდულად გახედა, ნაცნობი არ იყოსო, ბერიკაცს ეძინა და გულასპირმა ნაბიჯი თამამად წასდგა.

წყაროს ღარს პეშვი შეუშვირა. ცივი, ძალიან ცივი იყო წყაროსწყალი. სველი ხელისგული სახეზე მოისვა და ეამა.

— ოო, კაი წყარო გქონიათ, ავაშენოსთ ღმერთმა.

ძელსკამზე მჯდარ ბერიკაცს ნაცნობი ხმა ჩაესმა, თვალი გაახილა და წამოდგა, ახლოს მივიდა გულასპირთან, ჭერ სახეში შეაკქერდა, მერე თავითფეხამდე ახედ-დახედა და გაუღმისავით.

— რაო, ბერიკაციო, შეილიშვილებმა სტადიონზე არ წაგიყვანეს? — ჩაუბოხა გულასპირმა და ბერიკაცს თვალი ჩაუყრა.

ბერიკაცი უფრო ახლოს მივიდა გულასპირთან. ისევე ახედ-დახედა მხრებზე მოუსვა ხელები, მერე მტკიცედ გაუყარა თვალი და მკერდზე მიეკრა.

— ბიჭო, გულო არა ხარ შენ? გულასპირი ხარ, ხომ? — თრთოლვით თქვა ბერიკაცმა.

გულასპირი შეცბა, თვითონ თუ მიცნო, რატომ მე ვერ ვიცანი ეს ბერიკაციო, მკერდიდან ნელა, სათუთად მოიშორა, სახეში ჩააშტერდა და გულასპირი შეხტასავით.

— როსტო ხარ შენ! ღმერთო-კი მომიკალი, რავე ვერ ვიცანი, ჰა, ღმერთო კომოკალი!

— ჰოო, როსტომი ვარ, ბიჭო! საიდან? როგორ?

ძელსკამზე დასხდნენ.

ძალიან დაბერებულია როსტომი კიკნაველიძე. დაპატარავებულია. მხრებში მოხრილა და მკერდი გაჰქრობია, ამდგარა და სადღაც გაპარულა როსტომ კიკნაველიძის მკერდი. მუხლები უცახცახებს, ხელები უცახცახებს როსტომ კიკნაველიძეს და გულასპირს შეებრაღა დაპატარავებული და ჩაჩაივებული ბერიკაცი.

...კაი ვაქვაცი იყო როსტომ კიკნაველიძე, თავმომწონე. ორმოცს მიწვენილი იყო და ცოლი არ ჰყავდა შერთული. ჩემი მოსაწონი ქალი ვერ შევიხვედრეო, ამბობდა, ერთხელ, რაღაც ჭირად, ქუთაისში ჩასულა, საყიდლებზე. კვირა დღე ყოფილა და ქუთაისის ბულვარში გაუვლია. ბულვარი ხალხით ყოფილა სავსე. უყიალია ბულვარში და ერთი ქალიშვილი მოსვლია თვალში. ის ქალიშვილი სკამზე მჯდარა. შეუმჩნევია, როსტომი შორიხლო რომ უვლიდა, თვითონაც ამდგარა და სეირნობა დაუწყია. მოახერხა და როსტომმა თვალი გაუსწორა იმ ქალიშვილს და ქალიშვილმაც გაუსწორა თვალი. როსტომმა გაუღმისა და ქალიშვილმაც გაუღმისა. ახლოს მივიდა როსტომი ქალიშვილთან, გამარჯობაო, უთხრა, კაი გაგიმარჯოსო, უპასუხა ქალიშვილმა, როგორღაც შენი სახე მეც

ნაურება, მე ხომ არ გეცნობებიო, ჰკითხა და როსტომს ზედიზედ გამოუწოდა ჩამოსართმევად. როსტომმა ხელი ჩამოართვა. საოცრად ეფაფუკა ქალიშვილის ხელი როსტომს და როსტომი გაიტრუნა. კარგა ხანს იყო გატრუნული. მერე ენა ამოიდგა როსტომმა, — არ მეცნობები, მაგრამ ძალიან კი მომწონხარ, როგორც-კი დაგინახე, მაშინვე მომეწონე და გული ამიჩქოლდაო. ქალიშვილმა გაუღიმა და პირდაპირ უთხრა, მეც მომწონხარ, როგორც-კი დაგინახე, მაშინვე მომეწონე, შენი სახელი მითხარიო. როსტომი მქვიაო, თქვა როსტომმა და ქალიშვილმა გაიღიმა, როსტომი? კარგი სახელია როსტომი, მე გრეტას მეძახიანო და მკლავი გაუყარა როსტომს. ასე მკლავგაყრილებმა კარგა ხანს ისეირნეს ქუთაისის ბულვარში; მერე გრეტამ თქვა, მშაო და ჯაჭვის ხილთან რომ რესტორანია, იქ შევიდნენ, ცალკე ოთახში დასხდნენ და კარგად მოილხინეს. როსტომმაც დალა და გრეტამაც. მერე როსტომი გათამამდა და აღუღუნდა: მე ძალიან მომწონხარ, შენ მეუბნები, რომ შენც მოგწონვარ, თუ მართალს ამბობ, ცოლად გამომყვეო. დიახაც გამოგყვები, პირველი ნახვით მომეწონე, ახლა კი უკვე შემეყვარდიო, თქვა გრეტამ და ის ხელები, როსტომს ძალიან რომ ეფაფუკა, კისერზე შემოაქრო და როსტომს ტუჩებში აკოცა. კარგა ხანს კოცნეს ერთმანეთი. მერე როსტომმა კატეგორიულად თქვა: მე დღესვე მივდივარ სოფელში და თუ ნამდვილად შეგიყვარდი, დღესვე უნდა გამომყვე ცოლადო.

დღესვე? ცოტა გამიძინდებდა, მაგრამ თუ აუცილებლად დღესვე მიდიხარ სოფელში, სხვა რა გზა მაქვს, გამოგყვებიო, თქვა გრეტამ და ისევ ტუჩებში აკოცა როსტომს. ექსტრა თანხმობამ ცოტა შეაფიქრინა როსტომ კიკნაველიძე; შენს მშობლებს არ გავაგებინო. ე.ო. ჰკითხა გრეტას. ჩემი მშობლები თბილისში ცხოვრობენო, — თქვა გრეტამ, — მე აქ მამიდასთან ვარ ჩამოსუ-

ლი, მამიდას ვეტყვი და ჩემს მშობლებს წერილს მისწერსო.

ჰოდა, ის იყო. ჩამოვიყვანე როსტომ კიკნაველიძემ გრეტა ხემაღალში. საღამოხანს ჩამოიყვანა. როსტომის დედამ ერთი კი შეიცხადა, მაგრამ რას იზამდა. როსტომმა კარის მეზობლები დაპატიჟა და იმ დამესვე ეახშამივით ქორწილი გადაიხადა.

ახტაჯანა ქალი გამოდგა გრეტა, ახალგაზრდა და ლამაზი კი იყო. ხანდახან მამაკაცივით იგინებოდა.

გათხოვებიდან მეექვსე თვეზე, ქალბატონმა გრეტამ, ბუთხუზა ბიჭი დაუბადა როსტომ კიკნაველიძეს. ეს რა ლეთის წყრომაა ჩემს თავზეო, თქვა როსტომმა და ცოლის მოკვლა დააპირა, მაგრამ მეზობლის ქალებმა დაუყვავეს, ექვსთვიანი კი არა, ხუთთვიანი და ოთხთვიანი ბავშვებიც დაბადებულანო. ვითომ დაარწმუნეს როსტომ კიკნაველიძე ქალებმა და ვითომ გული დაუშვიდეს. ნამდვილად კი გული გაუტყდა. ახლოს არ ეკარებოდა გრეტას, არც შეიღს მიაღერებია, მეზობლების დანახვისა რცხვენოდა და შინ ჩაიკეტა.

ერთი წელი გაატარა ქმარ-შვილთან გრეტამ და ერთი წლის ვილი ქმარს დაუტოვა (ქალბატონმა გრეტამ ვითომ ქალაქური სახელი დაარქვა შეიღს). თბილისში გაიპარა და თბილისიდან ბარათი გამოუგზავნა როსტომს, თუ თბილისში ვადმოხვალ საცხოვრებლად, დაგიბრუნდებიო, ოღონდ იცოდე, მე თბილისში არაფერი გამაჩნია, არც ღედ-მამა მყავს, არც ნათესავი სახელად გრეტა არ მქვია და გვარად სოლომონია არ ვარ. ამ ბარათსაც მოგონილი გვარით გწერ, მაგრამ თუ თბილისში ჩამოხვალ, ამ მისამართით მიპოვნო.

იმ ბარათმა ქუდიდან შეშალა როსტომი. ნადიროვით აბღავლდა, თავში იცემდა ხელებს: იმ დღეს ქუთაისში რა ხუშტურუკმა მომიარა, ხელდახელ რომ მეზღვნა და ჩამეკონა, რატომ ვერ მივხვდი რა სულიერიც იქნებოდაო. იქადა — თბილისში ჩავალ და მოე-

კლავო, მაგრამ ის ქადილი ქადილად დარჩა. ვიდრე ცოცხალი იყო, ბებია უვლიდა ვილის, მერე მეზობელი ქალები შეეშველნენ და წვალებით გაზარდა როსტომ კიკნაველიძემ ვაჟიშვილი. ეშმაკი, თავნება და ოხერი გამოდგა. დედის სისხლი უდულს ძარღვებში. ამტკიცებდა როსტომი. წიგნს და სწავლას სათაფრზე არ გაეკარა ვილი. თორმეტი წლისა თამბაქოს ეწყოდა და ღვინოს სვამდა. ვითომ შოფრობას სწავლობდა, არაფერი გამოუვიდა და თავი მიანება. საიდანღაც ფულს კი შოულობდა და პეწად იცვამდა. ვილის დედასაც უყვარდა ჩაცმა-დახურვა. როსტომ კიკნაველიძის მეზობლებს ხანდახან ქათმები დაეკარგებოდათ, ოჩაჩედან ყველი გაუქრებოდათ, უტყუარად იცოდნენ ვილის ხელობა იყო, მაგრამ იყრუებდნენ, ებრალებოდათ როსტომ კიკნაველიძე.

ჭინორიძეთა უბანში ერთი ობოლი გოგო იყო, მიმინო ერქვა. ცხვირი მართლაც მიმინოსავით კაუჭა ჰქონდა, მაგრამ კაუჭა ცხვირი ძალიან შვენიოდა მის ხორბლისფერ, მოკრძო სახეს. დედმამისაგან ღონიერი ოჯახი დარჩა მიმინოს, ლამაზი, თანაც შრომისმოყვარე იყო და ვილი შეუჩნდა, თუ ცოლად არ გამოიყვები, შენი სახლის სვეტზე ჩამოვიხრჩობ თავსო. თერამეტი წლისამ შეირთო ცოლი. მიმინოს ჩაესიდა. მამისეული სახლკარი მიაყიდა და როსტომიც თავისთან გადაიყვანა. ხასიათი გამოეცვალა ვილის. ოჯახს სიყვარულით მოეკიდა, ძველი ღობე აშალა და მთელი ეზო აკაციის მესრით შემომასრა, ეზოში უქმად დარჩენილი მიწა სავენახედ დაბარა, ვაშლის, მსხლის და ღვინის მობერებულები ხეები ამოძირკვა და ხეხილის ახალი ნერგები ჩაჰყარა, სახლის სახურავი შეაკეთა და ახალი ურემიც გააწყო. ცას წვდებოდა როსტომ კიკნაველიძის სიხარული.

ვილის და მიმინოს ქალიშვილი შეეძინათ. თინა დაარქვეს. ერთი წლისა რომ გახდა თინიკო, დიდი ნათლობა გადაიხადეს. ჭინორიძეთა მთელი უბა-

ნი მოიწვიეს, კიკნაველიძეები და ჩატიჩაძეებიც დაპატიყვეს და გუდუასებრ ჩაფიჩაძის თამადობით დღლაძდემოცხდნენ.

ნათლობის მესამე დღეს ვილი გათენებამდე ადგა. ურემზე ოცფუთიანი კასრი შეაგდო და მარანთან მოაგორა. ჭური მოხადა და კასრი თავანჯარა ღვინით გაავსო, ოციოდე დედალი კალათებში ჩააბუდა, ამდენივე სულგუნი ვაზისა და ღვინის ფოთლებში შეახვია და ხურჭინში ჩააწყო. ისაუხმა. ხარები შეება და მიმინო გამოალეოდა. ხერგაში მივდივარ, ღვინო და ყველი მიმაქვს გასაყიდად, ეგებ დღეს ვერ ამოვბრუნდე და შეშინდებიო.

და წავიდა ვილი. წავიდა და გაჰქრა. ერთი წელიწადი გავიდა, ორი, სამი! არ გამოჩნდა და არ გამოჩნდა. ამბობდნენ, ვითომ თბილისში არისო, ვითომ ოდესაში, ვითომ ტაშკენტში. ნამდვილი ვერაფერი გაიგეს. ვილაცამ უსახელო წერილი გამოუგზავნა მიმინოს. წერდა, ვილი დედამისთან ერთად ქურდობისათვის დაიჭირეს, შორეულ ჩრდილოეთში გაამგზავრესო და ნუ ელოდებიო.

...ჭინორიძეები ითხვისში რომ გადამოსახლდნენ, მიმინოც აიყარა. როსტომს ხემაღალში დარჩენა უნდოდა, მაგრამ მიმინო არ მოეშვა. მამასავით შეიყვარა როსტომი და მარტო როგორ დატოვებდა...

- ვილი არ გამოჩენილა?
- ეშმაკმა წილოს მისი თავი და ტანი, საღლაც იმალება. ნაღვლიანად თქვა როსტომმა.
- წერილიც არ მოუწერია?
- არაფერი მოიწერა. დედის სისხლმა დაუძახა და დედის კვალზე წავიდა ღვინისგარეგანი. მიმინო მებრალება. გათხოვდი-მეთქი, ვეჩიჩხებო, უარზეა. დამაფიცა, გათხოვებაზე სიტყვას ნუ ჩამომიგდებო და ვარ ასე. მისი ცოდვით ვიწვი...
- მიმინო რას აკეთებს?
- სოფლის საბჭოს მდივანია.
- შენი შვილიშვილი?

— თინიკო? დიღია. სოფლის სკოლა დაამთავრა. მერე რაღაც კურსებზე იყო ხერგაში, ა ამ კოოპერატივის მონაგარიშა.

— აქაურობას როგორ შეეწყვე, როსტომ?

— შევეწყვეო? ხუთი წელია, გულო, აქა ვცხოვრობ და მაინც ხემალის სიზმრები მესიზმრება. ხან სატეველაზე ვარ, ხან სასაფლაოზე, ხან წისქვილში. აქაური სიზმარი ერთხელაც არ დამსიზმრებია.

პაუზა.

— ჰო, იქაური სიზმრები მესიზმრება. — განმეორებით დასტურივით თქვა როსტომმა და ამოიხვნეშა. — რატომ შენსას არაფერს იტყვი? საიდან? როგორ?

— ალექსანდრეა ავად.

— ჩაფიჩაძე?

— ხემალაში ახლა ერთი ალექსანდრეა. — დამარცვლა გულასპირმა, — ალექსანდრე ჩაფიჩაძე.

— აკი რეზომ თბილისში წაიყვანაო?

— გამოექცა!

— ცოდოა, კაცო!

— შეილს არ ეცოდება და... წამალი მქონდა საყიდელი ალექსანდრესთვის, ვითომ ხერგაზე უფრო ითხვისი მეახლოვა და შევეციდი. თავისთავს უსაყვედურა გულასპირმა; ასანთს გაჰკრა, სიგარეტს მოუქიდა და ადგა.

როსტომიც ადგა. ბოშზე მინასკული ალვირი გახსნა და ცხენს შუბლზე მოუსვა ხელი.

— წავიდეთ! — თქვა როსტომმა და მერე ხმამალა დაიძახა თინიკო.

კოოპერატივიდან თინა გამოვიდა.

— დაკეტე ბაბული კოოპერატივი, სახლში წავიდეთ, სტუმარი გვეწვია.

— სტუმარი? — გაიოცა თინამ და გულასპირს გაუღიმა.

— ვერ წამოვალ, როსტომ, — გადაკრით თქვა გულასპირმა.

— ამას როგორ მაკადრებ გულასპირ? ფეხი შემოგიცდა ითხვისში და ჩემი სახლი არ უნდა ნახო? ამხელა გზა გამოგივლია, დაიღლებოდი! ამაღამ დაისვენებ

და ხვალ წახვალ, ღვთისწყალობით...

— ვერა, როსტომ, ალექსანდრეს წამალი ღღესვე უნდა ავუტანო.

— მარტო წვეს სახლში?

— მარტო. — იცრუა გულასპირმა.

— აკი რეზომ თბილისში წაიყვანაო? გამოექცა? ცოდოა, ეს ოხერი!

— შეილს არ ეცოდება და...

— რა ქნას კაცო, რეზომა, ჰა? ხემალაში დაჯდეს? თბილისში წაუყვანია, ეგ კიდე ამდგარა და გამოქცეულა... ჰოდა, რა ქნას რეზომა? ისე ცოდო კია, ეს ოხერი.

გულასპირი ჯორზე შეჯდა და როსტომი გატყდა.

— ჰო, თუ მაინცდამაინც გელოდებიან, შეშინდებიან ეს ოხერი და კეთილი. — სასადილოში მაინც წავიხებმსოდ, — ვედრებასავით თქვა როსტომმა.

— წამალს რომ მიმზადებდნენ აფთიაქში, მაშინ ვისაუზებე, — ისევ იცრუა გულასპირ ჩაფიჩაძემ და როსტომს ალვირი გამოართვა.

— ცოტაზე გამოგყვები.

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან როსტომი და გულასპირი. ათიოდე ნაბიჯს გადადგამს როსტომი და შედგება, ვითომ რაღაცას იხსენებს და ვერ გაუხსენებია.

— ეს ოხერი, რაღაც მინდოდა მეთქვა, — თქვა როსტომმა და თვალები მილულა.

გულასპირიც შედგა, თვალი გაუხსწორა როსტომს, მაგრამ როსტომ კიკნაველიძე იმ რაღაც სათქმელს ვერ იხსენებს.

— ახაეი, დამავიწყდა.

— ახლა დაგემშვიდობები მე.

— ცოტაზე კიდევ წამოვალ...

და მიდიან, ნელა, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან. ათიოდე ნაბიჯი გადადგეს და როსტომი ისევ შედგა.

— არ ივარგებს, ასე...

— სხვა დროს ჩამოვალ.

— არ ჩამოხვალ! სხვა დროს არ ჩა-

მოხვალ! ახლა ალექსანდრეს ავადმყოფობას ჩამოუყვანიხარ... ესოხერი, წამალი რომ არ გედოს ჯიბეში, არ გაგიშვებდი! ჰო, არ გაგიშვებდი!

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან და როსტომ კიკნაველიძეს მაინც დაუმძიმდა ნაბიჯი.

— ახლა დაგემშვიდობები მე, — თქვა გულასპირმა და როსტომს მხარზე დაადო ხელი.

— ჰო, წადი, — მორჩილად თქვა როსტომმა, — სიზმარივით კია, ესოხერი, ჰა! მაშ მიდიხარ, ხომ? წადი, ცოდოა, ესოხერი!

გულასპირი ცხენზე შეჯდა. შექქეს-ლა და ცხენი თოხარივით წავიდა.

როსტომმა გზიდან გადაინაცვლა. ბალახში ჯირკი ეგდო და იმ ჯირკზე დაჯდა. გზას გააყოლა თვალი. გულასპირი უკვე არ ჩანდა.

— ჰა, სიზმარივით იყო, ეს ოხერი! — თქვა როსტომმა და თვალეზი მილულა. ეგებ ისევ მომიბრუნდეს სიზმარიო.

ამ ტიალმა ცრემლმა ისევ გამოჟონა და გული ეკარგება გულასპირს, ძლივს-ლა უპირავს მათრახი ხელში და ითხვისელთა ეს ტახტრევანივით გზაც ბურუსივით ჩანს, მზე მიმალულა და გარშემო ღრუბელივით სქელი ნისლი ჩამოფენილა, სული ეხუთება გულასპირ ჩაფიჩაძეს, საყელო შეიხსნა და ნიავეა დაუქროლა. ავეანდებში ყვებები გაიმაგრა, მათრახი შემოარტყა ცხენს და აღმართზეც ჭენებით გაააქანა.

...კიშვარი პატარა ეკატერინემ და კოკიმ გაუღეს.

აივანზე ალექსანდრე ჩაფიჩაძე იჯდა და ყალიონს აბოლუბდა.

გულასპირმა აივანთან ჩერებით მიავდო ცხენი და დაქვეითდა.

აღვირი კოკიმ გამოართვა. გაოფლილი ცხენის ერთ ადგილზე გაჩერება რომ არ შეიძლება, ეს კარგად იცის კოკიმ და ცხენს ეზოში გაატარა-გამოატარებს.

— შესვი ყმაწვილო, მაგ ბიჭი ცხენ-

ზე, არ ხედავ რა თვალით გიყურებს? — აივანიდან გადმოსძახა ალექსანდრემ.

გულასპირმა კოკი ცხენზე შეანუქა და მათრახიც მისცა.

— მინდორზე გაიყვანე, ბაბულო, ცოტა სიარულ-სიარულში მოაბალახე.

გულასპირი აივანზე ავიდა და ალექსანდრეს სიგარეტის შეყვრა გაუწოდა.

— თუთუნი არ იყო ბაზარში? — წყენით თქვა ალექსანდრემ და სიგარეტის შეყვრა მაგიდაზე დადო.

— მოგართმევენ! — ხმას აუმაღლა გულასპირმა. —

— ვითომ ნამალევედ არ ყიდიან?

— ყიდიან და იყიდეთ! — უფრო აუწია ხმას გულასპირმა, — ჯიბეში ასანთი მოიძია და სიგარეტს მოუკიდა.

— ცუდი სიგარეტია თუ?

— მიჩვევაა. დალაქი გაწყვეტილა ქალაქში. — ვითომ ხუმრობით თქვა ალექსანდრემ და გულასპირის აბურძგენილ წვერ-ულვაშს საგულდაგულოდ ახედ-დახედა.

პატარა ეკატერინე აივანზე ამოვიდა.

— რომელი გზით იარეთ, ყმაწვილო, ეკა ხომ არ შემოგვხვდა? — თქვა ალექსანდრემ და პატარა ეკატერინე გვერდით მოისვა.

— ქალაქში იყო ეკა? — გაიკვირვა გულასპირმა და ეკას თვალი აარიდა.

— ერთი ფეხით ამოვასწრო.

— ჰოდა, თუ ამომასწრო, როგორ შევხვდებოდი? — დამშვიდდა გულასპირი, ეკას გაუღიმა და თავზე ხელი გადაუსვა.

— არც რეზო შეგხვედრია? ჩაპკითხა ალექსანდრემ.

— რომელი რეზო?

— რომელი და ჩემი რეზო!

— ხერგაშია, თუ? — გაიოცა გულასპირმა.

— ეკას შეხვედრია ბაზარში.

— რაო, სოფელში არ ამოვალო? — ცივად თქვა გულასპირმა, გულში კი ინანა, რაღა მაინცდამაინც დღეს ავიხირე ითხვისში წასვლაო.

— ამოვალო, უთქვამს. რაიკომში

ჰქონია რაღაც საქმე, ხვალ თუ არა, ზეგ ამოვა, რაღაცნაირი ნიშნისმოგებით თქვა ალექსანდრემ და წამოდგა — რაო, რაიკომში რა მინდაო?

— ეკას ჰკითხე.

— შენ ვერ მეტყვი? — ცოტა არ იყოს, ანთო გულასპირი, მერე ეკას მიუბრუნდა.

— რაო, რა საქმე მაქვსო რაიკომში?

— ისე თქვა, ხვალ რაიკომში მაქვს საქმე და ხვალ საღამოს თუ ვერ ამოვედი, ზეგ ამოვალო.

— ჰოდა, შენთვის თუ არაფერი უთქვამს და არაფერი დაუბარებია, ეს ვაჟ-ზატონი რას ეპოტინება, ჰა? — რიხით თქვა გულასპირმა და ჩაიღიმოდა. — როგორ ბრძანა? ხვალ საღამოს თუ არა, ზეგ ამოვალო? რატომაც არა! მანქანაში ჩაბრძანდება და ამოვა! ჰო, ნაშუადღევზე რომ წამოვიდეს, მაინც არ შემოაღამდება.

სიგარეტი მოქაჩა და ალექსანდრეს შეუტია.

— რაიკომში? რაიკომში მაქვს საქმეო უთქვამს რეზოს და შენ ფიქრს მოეკიდე? იფიქრე და ფიქრი-ფიქრით გზა გამოიყვანე ხემალაღში? მოგართმევენ! ჰო, ტახტრევანივით გზას გამოგიყვანს რაიკომი ხემალაღში. შენს კიშკარს მოადგება ის გზა. მერე შეილი, რძალი და შვილიშვილები მანქანით ამოიქროლებენ. რეზოს ხომ საკუთარი მანქანა აქვს, საქვს მიუჭდება და გამოქანდება, ოღონდ შიგ ეზოში რომ შემოიყვანოს მანქანა, ცოტა განიერი კიშკარი ჩამოჰკიდე... რაიკომი! ჰო, კონსტანტინე კაკუბერს ძილი გასტეხია, აქამდე გზა როგორ ვერ გავიყვანე ხემალაღშიო, ჰო, ასე იფიქრე, ხომ?

ალექსანდრეს არაფრად ექაშნოკა გულასპირის აღრენილი ჭაქანი და წასვლა დააპირა.

— არა კაკუბერის იმედი არ მაქვს მე! — გადაჭრით თქვა გულასპირმა, ჩამქრალი სიგარეტი ეზოში მოისროლა და გადააფურთხა.

პაუზა.

— სკოლა? იცი რატომ არ მოგვცეს

წიგნები? — ისევე აიღერდა გულასპირი, მაგრამ სკოლის ხსენებაზე ალექსანდრე აიფოფრა, პატარა ეკატერინე და თვალი ჩაუკრა.

— ეკა, — დაყვავებით უთხრა გულასპირმა, — სამზადში წადი და ჩემს კნეინას თხოვე, რამე წაგვახემსოს.

ეკა ადგა, ალექსანდრემ მკლავში წაავლო ხელი.

— მე მივდივარ, — ეგებ მართლა ჩამოვიდეს რეზო და შევეშხადები.

ეკა და ალექსანდრე ერთად გავიდნენ გულასპირ ჩაფიჩაძის კიშკრიდან. კოკიმი კარგა ხანს სიარულ-სიარულში აბალახა ცხენი, ბოლოს მაინც არ მოუთმინა გულმა და ეზოში ჰქნებოდა შემოაჯირითა.

გულასპირმა ცხენს უნაგირი მოხადა და აივანზე დააგდო, ცხენი საბალახოდ მიუშვა ეზოში და სამზადში შევიდა.

— დაიღლებოდი, — თქვა ეკსარიამ და გულასპირი ანთო.

— გამოწვლილე ახლა, — დავიღალე? არ დავიღალე? სად ვიყავი? ვინ ენახე? სასამართლოს მიწყობთ? „ქალაქში იყავი და ჩემი რეზო როგორ ვერ ნახეო“, — დიდი ამბავი! რევან ჩაფიჩაძე მეძებდა ბაზარში და ვერ მიპოვნა! დაბარებული ცყავდი თუ? გამინაწყენდა — „ქალაქში იყავი და როგორ ვერ ნახე ჩემი შვილიო“, — მე რა ვიცი, როდის მოესურვილება რევან ჩაფიჩაძეს ხერგაში ჩამობრძანება? „ეკამ საესე კალათი ამოათრია ქალაქიდან, გზაში რატომ ვერ შეხვდიო“, — ცოტაჯერ შევხვედრივარ? ცოტაჯერ შემისვამს ცხენზე თავის კალათიანად ეკა?

ეკსარია ვერაფერს მიუხვდა გულასპირს და გაოცებული შესცქეროდა

— ნუ მიშტერებ თვალებს! — უფრო აიფოფრა გულასპირი. — კიი შვილი რომ იყოს მაგისი რეზო, ასე ყურყურტი არ გამოუბრიცავდა თვალს! არხინად ცხოვრობს თავისთვის თბილისში... ეგ საცოდავი ხან შეიღს ელოდება, ხან რძალს და შვილიშვილებს... მერე როგორღაც დაცხრა გულასპირი.

სამფეხა სკამზე დაჯდა, ცეცხლზე მიფიცხებულ კეცს შეავლო თვალი და კესარიას შეემულარა.

— მაქამე რამე. თორემ ლოგინზე მივეგდები, დაღლილი ვარ.

ნაწილი მხატვარი

თავი პირველი

ერთი თვეა რაც ცალცალკე ვართ. შენ — სოფელში, ჩვენ — თბილისში. ბავშვებმა მოიწყინეს, განსაკუთრებით სანდრომ, არც ამხანაგებთან დადის სათამაშოდ, არც ეზოში ჩადის. სკოლიდან მობრუნებული შინ ფუსფუსებს. ფანჯარას მიუჭდება და ვითომ ხატავს, ვიცი, ქუჩაში იმზირება და შენ გელის.

თათიას დღეს ამხანაგმა გამოუარა და კინოში წაიყვანა. სანდროსაც შესთავაზეს კინოში წასვლა, მაგრამ სანდრო არ წაყვა.

ჩვენი ლეღვი მწიფს, მაგრამ არც დარეჯანი და არც ბავშვები ახლოსაც არ ეკარებიან.

უკვე ცხრა საათია. წვიმს და თათია ჯერ არ მოსულა.

შენ რომ გაემგზავრე, იმ ღამით ვერ დავიძინე. თათია და სანდრო ძილში შფოთავდნენ, დარეჯანიც ჭირვეულობდა. მეორე დღეს სამსახურში არ წავსულვარ. ბავშვები სკოლაში წავიდნენ, დარეჯანი ბაზარში, შინ მარტო დავრჩი და სულში შიში ჩამიტვრა, შევმინდი. ქუჩაში გამოვედი, მაგრამ ნაცნობი ვერაფერი ვნახე და სახლში მალე დავბრუნდი. შენი მაგიდის ყველა უჭრა გამოვალე, არ ვიცი რას ვეძებდი... არ მახსოვს დრომ როგორ გაიარა. ჯერ დარეჯანი მოვიდა ბაზრიდან, მერე თათია და სანდრო. ბავშვები უგუნებოდ არიან, უხალისოდ ისადილეს და თავიანთ ოთახში შეიყუყვენ. როდის — როდისღა დაღამდა. სიჩუმე. არაფერ ხმას არ იღებს. ვწვებით. სინათლე მინთია და

ამოქნილ ლობიოს, ცხელ ჭაღს და ჰყინტ ყველს მადიანად შეგქცა ნული ჩუმად იყო.

გულში ითხვისს და ითხვისის მომგონს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა.

ლოგინში ეწრიალებ. რატომღაც ბავშვების ნახვა მომინდა. ვდგები და ბავშვების ოთახში შევდივარ. აქაც სინათლე ანთია. თათიას ძინავს, სანდრო კი ფხიზლობს.

— რატომ არ გძინავს სანდრო? რამე ხომ არ გტკივა?

— არა.

— აბა რატომ არ იძინებ?

— ისე, არ მეძინება.

— სიცხე ხომ არ გაქვს? — შუბლზე ვადებ ხელისგულს, სიცხე არ აქვს სანდროს, მაგრამ არ ეძინება.

— დაიძინე სანდრო! ხომ ხედავ, თათიას ძინავს.

— დავიძინებ, — ჩურჩულით თქვა სანდრომ და კედლისკენ გადაბრუნდა.

სანდროს საბანი ამოვუქეცე, სინათლე ჩავაქრე და მცირე ხანს დავაყურადე.

...არ მახსოვს როდის დამეძინა. არ ვიცი სანდროს ეძინა თუ არა, დილით კი თათიას დაასწრო ადგომა.

თათია და სანდრო სკოლაში გავისტუმრე და მეც ტექნიკუმში წავედი.

აღრენილი ვარ, ეტყობა ამის მიზეზი ყველამ იცის, ყველანი მოკრძალებით მებყრობიან და მე ეს უფრო მამბრავს. ტექნიკუმიდან ადრე წამოვედი და ვიგრძენი, რომ სამსახურიდან ჩემი ადრე წამოსვლა ყველას გაუხარდა. წამოსვლისას დირექტორმა მითხრა — დაღლილობა გეტყობათ, კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღეს შინ დაისვენებთო. არ მესიამოვნა მისი ასეთი მზრუნველობა, ეგებ ფიქრობს — უმჯობესი

იქნება სამსახურს თავი გავანებო, შინ დაეჯდე, ოჯახს მივხედო და შვილებს მოვუარო. არა! მე ეს არ შემიძლია, სახლში ყოფნამ შეიძლება გამაგიფოს. მე მხატვარი ვარ, მიყვარს ახალგაზრდა მხატვრებთან მუშაობა, მე სამსახური მიყვარს და მე სამსახურში ვივლი.

თათია და სანდრო სახლში დამხვდნენ. დარეჯანმა სადილი გააწყო. ერთი ჭიქა ღვინო შეესვი. ნასადილევს მე დავწეპი და დავიძინე. არ ვიცი თათიამ და სანდრომ გაკვეთილები ისწავლეს თუ არა. უგუნებოდ გამომეღვიძა. საღამოხანი იყო. თათიას ამხანაგმა მოაკითხა და კინოში წასვლა შესთავაზა. ნება არ დავრთე. თათია თავის ოთახში შეიკეტა და ვიცი გულმოსულია ჩემზე. ქვეყანა არ დაიქცევა ამით. სანდრო ფანჯარასთან ზის, ფანჯრის თაროზე სახატავი გაუშლია და ვითომ ხატავს. ნამდვილად კი ჭეჩისკენ იტყირება და მამამისს ელის... მამამისი-კი ხემაღალშია და შეილის დარდი არა აქვს. ჰო, ასეა! შენ იტყვი — არაო, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა! რაც არ უნდა იუარო, ეს ასეა! ზე ამას ხილულად ვხედავ და გული მტკივა. შენც ხედავ ამას, მაგრამ შენ გული არ გტკივა — და განსხვავება დედასა და მამას შორის ეგაა! ნუ იცინი, მე ამას სერიოზულად ვამბობ და მე ეს მჭერა.

დარეჯანის საქციელი მაოცებს. ისე მედიდგულება და ისე მიბღვერს, თითქოს მე ვიყო მიზეზი შენი სოფელში წასვლისა. თუ არ მოსწონს ჩვენთან ყოფნა, ესეც წამობრძანდეს სოფელში. გაძღვებთ უმაგისოდ! თათია და სანდრო უკვე დიდები არიან და მე მოვუვლი. თათია და სანდრო თვითონ მოუვლიან თავიანთ თავს. დარეჯანს შეუძლია ჯანდაბაში წავიდეს. რომ იბღვირება, ნეტავი ვის უბღვერს? ოფოფებს აფრენს და დარეჯანის ოფოფების თავი არა მაქვს მე! წერილი მოსწერე და სოფელში დაიბარე.

მუნჯურად ვივანშმეთ. არავის არ ამოუღია ხმა. სანდრო ფანჯარასთან მიიჭრა. ცოტა ხანს ვაცალე, მერე სააბა-

ზანოში შევიყვანე, დავბანე და დავაწვინე. დამაღწყდა რომ ჩველამაგათია და სკოლაშია წასასვლელი მოსწევინს შემდეგ ცოტათი აცივდა. თუ სუსხიანი დილა იქნა, შინ დავტოვებ.

მშვიდად მეძინა. არავითარი სიზმარი. საერთოდ ბოლო დროს არაფერი არ მესიზმრება. დღეს სამსახურში ყველას მივასწარი, ყველას გადიმებული და მზიარული ვხვდებოდი. ვგრძნობდი, რომ უეკირდათ ჩემი ასეთი საქციელი. მეც ეს მიხდოდა და კმაყოფილი ვიყავი. ჩემს დირექტორს ვაგრძნობინე — მე სრულიადაც არა ვარ დაღლილი და ძველებურად შემიძლია მუშაობა, უფრო უკეთაი, ვიდრე — შარშანწინ და შარშან. არ ვიცი, მას უხარია ეს თუ წყინს? მე კი კმაყოფილი ვარ ჩემი საქციელით; მე გული მტკივა, მაგრამ ეს ჩემი საქმეა და ჩემს გულისტკივილთან არავის მიუწვდება ხელი. ჩემს გულისტკივილს მე თვითონ მოვუვლი, დავუყვავებ, ვუმკურნალებ და მოვარჩენ. მოვარჩენ და გავახალისებ. ყველამ თავის გულს მიხედოს და მოუაროს. ჩემს სახეს შესაბრალისად არ გამოვარჩენ, ჩემს ცრემლს ვერავინ დაინახავს. მე ვშრომობ და ხალისიანად ვარ. დღეს ფილარმონიის საზაფხულო სეზონის დახურვაა. მე და თათია წავალთ. სანდრო დარეჯანთან დარჩება. მე ქვეყანას ვერ გამოვწყდები იმისათვის, რომ ჩემი ქმარი ხემაღალში წავიდა სამუშაოდ. მე ახალგაზრდა ქალი ვარ, გართობა მინდა და მე და თათია დღეს კონცერტზე მივდივართ. პოლონური საესტრადო ორკესტრი ხურავს ფილარმონიის საზაფხულო სეზონს, — ჩემი ამხანაგები და მეგობრები იქ იქნებიან და მეც იქ უნდა ვიყო. სხვებივით მეც გავიციანებ და ტაშს დავუტყავ. შენ არ გჯერა, რომ მე და თათია დღეს კონცერტზე მივდივართ? ცდები. ნამდვილად შემეძლარი ხარ. თავს იტყუებ! აი სამსახურის დამთავრებას ჯერ ორი საათი უკლია. მე ვტოვებ სამსახურს და სახლში მივდივარ, სახლში კი არა, საპარიკმახეროში მივდივარ, მანიკურს

გავიკეთებ, თმას დაეიხვევ, სახლში ადრე მივალ და კონცერტზე წასვლის წინ ცოტას დავისვენებ. კი, ასე აჯობებს. აბა დალილი-დაქანცული ხომ არ წავალ კონცერტზე?“.

...რვეულის ჭაფურცელს დახედა. ერთი საათია მაგიდას უზის რუსუდანი, დლიურსა წერს და რვეულში სულ რამდენიმე სიტყვა ჩაუწერია: „ჩვენს ეზოში ლეღვი მწიფს, მაგრამ არც დარეჯანი და არც ბავშვები ახლოსაც არ ეკარებიან“... „არ ვიცი, სანდროს ეძინა თუ არა“... ერთი საათი კია წერს და რვეულში მეტი არაფერი წერია. ჰო, საუბრობდა დარეჯანი, რვეულს ებასებოდა, დაწერით არ დაუწერია, მაგრამ სათქმელი თქვა და უმთავრესი ეს არის. სათქმელი თქვა და გულზე მოეშვა; ჩუმად ესაუბრებოდა თავის გულს და რუსუდანის სიტყვა არავის გაუგონია. სიმართლე თქვა: დღეს ორი საათით ადრე წამოვიდა ტექნიკმიდან. სპარკმახეროში შეიარა, მანიკური გაიკეთა, თმა დაიხვია. ცოტა ეუბერხულა, მაგრამ მაინც ახალმოდურად დაიხვია თმა. შედეგებით კი არ შეუღებია. რუსუდანს ისედაც ლიწაბლისფერი თმა აქვს და შეღებვა არ სჭირდება, მეგობრებს კი ჰგონიათ, რუსუდანი თმას იღებავს, დაე, ეგონოთ! ცდებიან კი, ძალიან ცდებიან! რუსუდანს ჯერ თეთრი არ გარევიდა თმაში, — ჯიშია ასეთი. ჰო, რუსუდანის დედა, ქალბატონი თეკლე, მხოლოდ ორმოცდაათი წლისა გაშალარავდა... რუსუდანის ტოლები კი აგერ ათი წელიწადია უკვე თმას იღებავენ.

რვეული და ფანქარი მაგიდის უჯრაში ჩადო და უჯრა დაკეტა.

სარკეში ჩაიხედა. სარკიდან ახალგაზრდა რუსუდანი იმზირება, კოპჩიაობს და თავს იწონებს. დახვეული თმა ამალღებს და სახეს სხვანაირ იერს ჰყენს.

ხვალ ტექნიკუმის თანამშრომლები გაოცდებიან. გაოცდებიან და მოუწონებენ, უსაყვედურებენ — აქამდე ასე რატომ არ იხვევდი თმასო.

ოთახში თათია შემოვიდა, წასვლის დროა და რუსუდანიც მზად გახლავთ, დარეჯანს თადარიგი დაუბარა, ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში და დედა-შვილი სახლიდან გავიდა.

...დღეს გვიან დაბრუნდა ტექნიკუმიდან, უკვე შეღამებული იყო. ჰიშკრიდან დაინახა — ფანჯარასთან სანდრო ნაბულზე იდგა და ქუჩაში იმზირებოდა, დედას რომ მოჰკრა თვალი, მიიმალა.

კიბეზე სვენებ-სვენებით ამოვიდა, კარის ზღურბლს ძლივს გადმოაბიჯა, პორტფელი დარეჯანს მიაჩეჩა და სავარძელში ჩაჯდა.

— ბავშვები? — რატომღაც შემფოთებით ივითხა რუსუდანმა.

— ისადილეს. სანდრო თავის ოთახშია და გაცვეთილს სწავლობს, — მშვიდად თქვა დარეჯანმა.

— თათია?

— თათია? ჰო, თათია კინოში წაპყვა ამხანაგს.

— რატომ გაუშვი?

— თქვენ დართეთ ნება.

— მე? მე დართეთ ნება? — გაიოცა რუსუდანმა.

— წუხელ, ჩაიხე რომ ვისხედით.

— ჰოო, მე დავრთეთ ნება, — გაიხსენა რუსუდანმა, — მართალია, მე დავრთეთ ნება, მხოლოდ ექვსი საათის სენსზე.

— ექვსი საათისაზე წავიდნენ.

რუსუდანმა კედლის საათს ახედა. რვა სრულდებოდა.

— სადაცაა მოვა.

ოთახში სანდრო შემოვიდა. ხელში წიგნი ეკავა.

— ჩემთან მოდი, — დაყვავებით უთხრა რუსუდანმა.

სანდრო დედასთან მივიდა, დედამ აჩეჩილი ქოჩორი თითებით დაუვარცხნა, შუბლზე აკოცა, მხრებზე მოუთათუნა ხელები, თვალში ჩახედა და გაუღიმა.

— ფანჯარასთან რომ ტრიალებ, ვერ მომიწონებია! ფანჯრის თაროზე რატომ ხატავ? მაგიდა ხომ გაქვს? გეპატარავე-

ბა? აგერ მამაშენის მაგიდა თავისუფალია, დაჯექი და ხატე...

სანდრო გაიღურსა და არაფერი უბასუხა. რატომღაც შეებრაღა დედა და უფრო მიეკრა. რუსუდანი მიუხვდა, ხელები მაგრად შემოხვია მხრებზე, მერე ხელის თითები ქოჩორში შეუცურა, შუბლი შუბლზე მიადო და თვალეზში ჩახვდა. სანდროს თვალეზი დახუჭული ჰქონდა და რომ გავლო, აუცრემლდებოდა... ეს იგრძნო რუსუდანმა და თვითონაც გაიღურსა, გაიღურსა და გაქვავდა, გულში ძაფი ჩაუწყდა, შეუტოკდა გული და დაღლილობა უცებ გაჰქრა. ძალა მოიკრიბა რუსუდანმა, ჯერ მუხლებზე დაისვა სანდრო, მერე სავარძლიდან წამოიძარტა და ხელებში აიტატა — დაპატარავებულა თორმეტი წლის სანდრო და რუსუდანს ემსუბუქება პატარა სანდრო. ჰოო, სანდრიკელა პატარაა, მეძუძურია სანდრიკელა, დედას აუტატებია და მკერდში ჩაუკრავს. თუ ატირდება სანდრიკელა, დედა ძუძუს ჩაუდებს პირში, დედის ძუძუ ეამება სანდრიკელას, ტირილს მიატოვებს და გაყუჩდება, არა, სულ არ გაყუჩდება, ალუღლუღდება, სიხარულის გამო ალუღლუღდება და ძუძუს უფრო მიეძალება...

— ჰო, გეყოფა ახლა, — ვითომ საყვედურით თქვა რუსუდანმა და სანდრო სავარძელში ჩასვა.

— თვალეზში გატყობ, — ღიმილით ეუბნება რუსუდანი, — გაკვეთილი კიდევ დავრჩენია სასწავლო, შეხედე, — კედლის საათზე ანიშნა, — მეცხრე საათი დაწყებულია.

სანდრო მამის მაგიდასთან მივიდა. სინათლე აანთო და წიგნი გადაშალა.

რუსუდანი შეკრთა, საღდაც გულის სიღრმეში ეწყინა შვილის ასეთი სითამამე.

აკი ახლახან თითონ უთხრა — ფანჯრის თაროს მოეშვი, თუ შენი მაგიდა გეპატარავება, აგერაა მამაშენის მაგიდაო, ჰო, თვითონ დართო ნება და როცა სანდრომ სინათლე აანთო და მამისეულ სკამზე დაჯდა, რატომღაც ცუ-

დად ენიშნა, შეკრთა და გული ეტყენა.

... ღამის სამ საათზე გამოეღვიძა, ადგა და მეუღლის სამუშაო ოთახში შემოვიდა. ოთახში სინათლე ენთო. სანდროს წიგნი მამისეულ მაგიდაზე დარჩენოდა. წიგნი აიღო და ბავშვების ოთახში ფრთხილად შევიდა. თათიას და სანდროს შშვიდად ეძინათ.

ისევ მეუღლის სამუშაო ოთახში შემოვიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოაღო და რვეული ამოიღო.

სიჩუმე. თათიას და სანდროს ძინავთ. დარეჯანსაც ძინავს. ჯერ ოთხ საათიც არაა და ბავშვებს უნდა ეძინოთ. ღამის ოთხ საათზე რუსუდანსაც ყოველთვის ეძინა, მაგრამ გუშინ ადრე დაწვა რუსუდანი. ცხრა საათზე დაეძინა დაღლილ რუსუდანს, მოისვენა, გამოიძინა და ადგა. ჰო, ღამის სამ საათზე ადგა და რა მოხდა მერე? წინათ არ ამდგარა რუსუდანი ღამის სამ საათზე? გამოღვიძებით კი გამოღვიძებია, მაგრამ არასოდეს ამდგარა... გვერდით რევავი იწვა. რევავს ეძინა და გამოღვიძებული რუსუდანი გაღურსული იწვა ლოგინში, გვერდსაც არ შეიცვლიდა — რევავს ძილი არ გაუკრთოო. გაღურსული იწვა რუსუდანი, მერე ჩასთვლემდა და ჩაეძინებოდა.

„ჩვენი ლეღვი მწიფს, მაგრამ ბავშვები და დარეჯანიც ახლოსაც არ ეკარებინან“...

ღილით დარეჯანს დააკრეფიებს ლეღვს და მეზობლებს მოიკითხავს. შარშან თათიამ და სანდრომ დამწიფება არ აცალეს და თუ მოესურვებათ, თვითონვე შეუძლიათ დაკრიფონ.

...ღამის ოთხი საათია, მე შენს მაგიდას ეუზივარ და შენს საერთო რვეულში ჩემს დღიურსა ვწერ. მერწმუნე, ნამდვილად ღამის ოთხი საათია, არ გეგონოს შენზე ფიქრმა არ დამაძინა. არა! გუშინ ადრე დაეწექი, ამიტომაც ადრე გამოგღვიძა და ადექი, ეს საერთო რვეული ვიპოვნე და დღიურსა ვწერ. ეგებ ეს დღიური შენ ოდესმე წაიკითხო და ამ დღიურში შენთვის საგულისხმო რამ იპოვნო, ეგებ ტყუილ-

უბრალოდაც ვწერ... მაგრამ არა მგონია დღიურებს სხვების საკითხად წერდნენ.

...დღეს სანდრო პირველად მიუჯდა შენს საწერ მაგიდას. უნებართვოდ არ დამჯდარა, ნება მე დავრთე, მაგრამ როცა შენს სავარძელზე დაჯდა და წიგნი გადაშალა, რატომღაც გული მეტკინა... განა ისეთი რა ჩაიდინა სანდრომ? განა ჩვენი ნივთები ჩვენს შეილებს არ ეკუთვნიო? განა მე მწყინს, სანდოხან თათია ჩემს ქოლგას რომ გააპარებს? მაგრამ შენ რომ სახლში არა ხარ და სანდრო შენს მაგიდას ვითომ რომ დაეპატრონა, რატომღაც ცუდად მენიშნა და გული მეტკინა. მინდოდა გაეწყრომოდი, მაგრამ თავი შევიკავე, შემებრალა სანდრო. რაც შენ წადი, როგორც კი მარტო დაიგულეხს თავს, ფანჯარასთან მიიჭრება, ქუჩაში იზიარება და გელოდება. მე ეს თავიდანვე შევამჩნიე, მაგრამ არ დავუშალე... ზომ არ შეიძლება სანდრო სულ ფანჯარასთან იდგეს და მამამისს ელოდებოდეს? გუშინ გვიან დავბრუნდი ტექნიკუმიდან, თითქმის შეღამებული იყო, მაგრამ კონკრეტულად დაეინახე ფანჯარასთან მდგომი სანდრო. სახატავ რვეულს ფანჯრის თაროზე გაშლის, ვითომ რაღაცას ხატავს, ნამდვილად კი თვალი ქუჩისკენ აქვს მიცილებული, შენ გეღის... ჰოდა, გუშინ აფუქრძალე ფანჯარასთან ტრიალი — თუ შენი მაგიდა გეპატარაებდა სახატავად, აგერაა მამაშენის მაგიდა-მეთქი. და სანდრო შენს მაგიდას დაეპატრონა. ამხელა მაგიდასთან მდგომი სანდრო, ცოტა სასაცილო ჩანდა...

მერე მე დავწვიე და დავიძინე. არ ვიცი თათია როდის მოვიდა და ბევრები როდის დაწვეს. ის კი ვიცი, სანდრო მე რომ დაძინებულს დამიგულეხდა, მაგიდას მიატოვებდა, ფანჯარასთან დადგებოდა და დაგელოდებოდა...

...ნეტავ ამ ოთახში თამბაქოს სუნი იდგეს ახლა! მეგონებოდა, შენ სახლში ხარ და მალულად ეწევი სიგარეტს. ოთახში თამბაქოს სუნი არ დგას და მე ეს მაღონებს.

სადაცაა გათენდება, შენს საწერ მაგიდას ვუზივარ და დღიურებსა ვწერ. შენც გვიან დაამეძღვე ეს იჯექი ამ მაგიდასთან, ნათურას წიგნს ააფარებდი, სინათლე ოთახში რომ არ გაფენილიყო, ღია იყო ფანჯარა და ოთახში თამბაქოს კვამლი არ დგებოდა, მაინც დილით, შენს სამუშაო ოთახში შემოსულს თამბაქოს სუნი მეცემოდა... გულს მოვიყვანდი, გესაყვედურებოდი და გებუტებოდი. შენ არაფრად ავღებდი ჩემს საყვედურებს, ისევე ეწეოდი სიგარეტს... და ასე მეორედებოდა ყოველდღე.

ახლა შენს სამუშაო ოთახში თამბაქოს სუნი არ მეცემს და შენ შინ არ მეგულეხები... როდემდის გასტანს ასე და როდემდის შემიძლია ავიტანო ეს მე? შენ მეუბნები — დრო გვიჩვენებსო კეთილი და პატიოსანი — გვიჩვენოს დრომ! მე კი ვგრძნობ, დიდი ხნით აგრე ყოფნას ვერ შევძლებ. სიმართლეს გეუბნები რევაზ და დამიჯერე!

ბოლო დროს შენ მატყუებდი და მე ეს საოცრად მწყინდა. ინსტიტუტის ნაცვლად სამინისტროში დადიოდი და მე მიმალავდი. თათია, სანდრო და მე გავარაში ვაგვამგზავრე, მეც ჩამოვალე — დაგვიბრდი — და არ ჩამოხველე, აუცილებელი საქმე აღმოგჩნდა და ვერ ჩამოხველი... შენ წინასწარ იცოდი, რომ გავარაში ვერ ჩამოხვიდოდი, ჩვენ-კი მაინც შეგვიბრდი და ლოდონით გული გადაგველია... რატომ მომოქმედე ეგრე? განა მარტო ეს? ბევრი რამ ვაუგებარია ჩემთვის, ბევრი რამ ვერ ამისხნია და სული ამიწრიალდა, გული დამიძიმდა... ხვალინდელი დღე ემუქრება ჩემს ოჯახს და მე შეშინია ხვალინდელი დღისა, არ ვიცი ხვალ რა მოელის ჩემს შვილებს და მე...

ხედავ, თათიამ როგორ აიშვა თავი? ყოველდღე კინოში წასვლას ითხოვს, უარს ვუთხნები, მაგრამ იმდენს იწრიალებს, ისეთ რამეს მოიმოქმედებს, მაინც დამითანხმებს. ეჭვისს ნახევარზე დათქმულივით მოაკითხავს გარდაუხა-

ძის ქალიშვილი და ერთად მიდიან კინოში. ვინა მარტონი დადიან? დანამდვილებით ვიცი, არა! ფილარმონიაში რომ მყავდა თათია, შევნიშნე, ერთი ყმაწვილი არ აშორებდა თვალს. სამი რიგით წინ იჯდა ის ყმაწვილი, სცენისკენ ზურგშექცეული იჯდა და თათიას შესცივინებდა, — დარწმუნებული ვარ, იმ ყმაწვილთან ერთად დადის თათია კინოში და ღმერთმა იცის, ვინაა ის ყმაწვილი? შენ არ გაინტერესებს შენი თექვსმეტი წლის ქალიშვილი ვისთან დადის კინოში და ისიც ყოველდღე? და ღმერთმა იცის, კინოში დადიან? ეგებ ბნელ ქუჩებში, ან რომელიმე პარკის ჩაბნელებულ ხეივანებში ხეტიალობენ? შენ ეს არ გაღელვებს? თექვსმეტი წლის ქალიშვილის მამას ეს არ აღელვებს? არა, შენ აღელვება და აღშფოთება არ გეტყობა, მშვიდად, ერთობ მშვიდად ხარ! არხეინად გრძნობ თავს, მეურნეობის გაშენების გეგმას ჩაჰკირკიტებ, სხვადასხვა ჯიშის თუთის ნერგებს უკვეთავ სანერგეებს, შენი ქალიშვილი კი, ვიღაც შენთვის უცნობ ყმაწვილთან კინოსა და პარკში დაიარება და ეს არაფრად მიგაჩნია!

ფანქარი მაგიდაზე დადო, წელში გაიმართა და რვეულს რომ დახედა, გაოცდა — ერთი სიტყვაც არ ჩაუწერია რვეულში.

შუბლზე ხელისგული გადაისვა, ისევ ჩააცქერდა რვეულს და შეეშინდა.

გულში რაღაც ჰვალავით იგრძნო, თვალში ნაპერწყლები შემოესია, მკლავები მოუღუნდა. თავი რვეულზე დადო და ატირდა.

ოთახში სინათლე შემოიჭრა. თენდება. თათიას, სანდროს და დარეჯანს ძინავთ. დღეს კვირა დღეა და თათია და სანდრო ძილით გამოძლებიან, დარეჯანი კი ჩვეულებრივად ადრე აღგება და რუსუდანი და ბავშვები რომ არ გამოაღვიძოს, ჯერ ეზოს მიმოალაგებს — ქალაღდის ნახევებს და ღამით ჩამოცვენილ ფოთლებს მოაქუჩებს და ჭიშკართან ყავისფერი სანაგვე ყუთი რომ დგას, იმაში ჩატენის; მერე ჭიშკრიდან

გარაქამდე დაგებულ ასფალტს დაშვავს და პურზე წავა. ამ უბნში კარგად თონება. რაჰველები აცხობენ პურს ცხობს ხელით ზეღენ და რბილ და გემრიელ შოთებს აცხობენ, თონეს ბევრი მუშტარი ჰყავს, მეზობელ უბნებიდანაც აქ მოდიან, ამიტომაც დილაადრიან თუ არ იყიდით, მერე მოგვამა ქირი.

დარეჯანი დილის რვა საათისათვის თონეშია, მას იცნობენ რაჰველი პურისმცხობლები და ყოველთვის შონიანად დაბრაწულ შოთებს შეურჩევენ, დარეჯანი შოთებს ტილოს შემოახვევს და ისე ჩაალაგებს ხელჩანთაში, თურთმეტ საათზეც რომ ისაუზმონ, შოთები მაინც თბილია. სანდროს უყვარს თბილი პური. მაღიანად ილუქმება და დარეჯანს უხარია.

ადრეა. ჯერ დარეჯანიც არ ამდგარა, რუსუდანი კი რევაზის საწერ მაგიდასთან ზის, თავი მაგიდაზე დაუდვია და ჩასძინებია. პო, წერით დაიღალა რუსუდანი, ისე დაიღალა, რომ ადგომაც ვერ შეძლო, ამიტომაც თავი მაგიდაზე დაუდვია და ჩასძინებია... თანდათან ნათდება, სადაცაა მზე ამოვა, თავდაპირველად ფანჯარასთან აღმართულ ალვას შეეთამაშებიან მზის სხივები, მერე მზე ოდნავ მაღლა აიწევს, გარშემო მიმოიხედავს და გაოცდება. ვერაფერს გაიხსენებს, გაოცდება და შეეშინდება. უღონოდ წამოადგება სავარძლიდან, უხმაურო ნაბიჯებით შევა საძილე ოთახში და ლოგინში ჩაწევება. სიცივე აიტანს, საბანს მჭიდროდ შემოიხურავს, თვალებს დახუჭავს და დაიძინებს...

...ჭიშკრის ზარმა ნელა დარეჯა, მაგრამ რუსუდანმა მაინც გაიგონა ზარის ხმა და შეკრთა. რვეული და ფანქარი უჯრაში ჩაღო, ფანჯარა გამოაღო და ჭიშკარს გახედა.

ჭიშკართან რვეული იდგა.

ჯერ სიზმარი ეგონა რუსუდანს, მაგრამ ჭიშკრის ზარმა ხელახლა რომ დარეჯა, გამოერკვა, კიბე ჩაირბინა, ჭიშკართან მიიჭრა, მეუღლეს თვალებში ჩააცქერდა და გაუღიმა.

რუსუდანის ნამტირალევი თვალები უღმიან რევანს, რევანმა თავი დახარა, თვალი მოარიდა მეუღლის ნამტირალევი თვალებს, ხმას არ იღებს რევანში და რუსუდანიც დამუნჯებულა... მთელი დამე ეკამათებოდა და ტუქსავდა, დილაუთენია სასწაულივით გამოცხადა და ხმა ვერ ამოუღია.

რუსუდანმა ჩემოდანს წაატანა ხელი, რევანმა არ დაანება ვეებერთელა კალათა და ჩემოდანიც მსუბუქად აიტაცა და სამზარეთლოში შეიტანა.

სააბჯანოში ცივი წყლით დაიბანა ხელ-პირი, მერე უხმაუროდ შევიდა ბავშვების ოთახში. სანდრო კედლისკენა მიბრუნებული, თათია პირალმა წიგს, საბნიდან ხელები ამოუყვია და ისე ძინავს. ჰო, დღეს კვირა დღეა და სანდრო და თათია მაგრად გამოიძინებენ... ცერებზე შედგა, მძინარე თათიას და სან-

დროს გაუღიმა და კარი უხმაუროდ გამოიხურა.

რევანის სამუშაო ოთახში რუსუდანს ფანჯარა გაუღია და ფანჯრის თაროზე დაყრდნობილი ეზოში იმზირება. რევანმა მხრებზე მაგრად მოხვია ხელები და რუსუდანი შეერთა, უფროდაუფრო მიიზიდა რევანმა. მერე ხელები დაბლა ჩამოაცურა და წელზე შემოაჭდო, ბავშვივით აიტაცა ხელში, დაარწია, საძილე ოთახში შეიყვანა და ლოგინში ჩააწვინა.

რუსუდანმა საბანი თავზე წაიხურა და გაიღურსა.

„არა, ნამტირალევი თვალებს არ ვუჩვენებ“.

რევანში ლოგინში შეუწვა, კისრისკვეშ შეუტურა მარჯვენა ხელი და მკლავზე დაიწვინა, მარცხენა ხელით ძუძუსთავებს მოეაღურსა და ნამტირალევი თვალები დაუქოცნა.

თავი მორაი

სექტემბრის თბილი დღეა და ჩაფიჩაძეთა ოჯახი არაგვის ხეობაში გაისივრება.

სანდრო დილიდანვე გარაჟში ფუსფუსებს. მსუბუქად დამტვერილი მანქანა მშრალი ჩვრით საგულდაგულოდ გააპრილა, მამამისის სასროლი ბადე, მალაყელიანი რეზინის ჩექმები, თავისი საკეცი ანკესი და ბურთი მანქანის საბარგეში შეაწყო.

თათია, თავდაპირველად, მამასთან სიახლოვეს თავს არიდებდა, დარწმუნებული იყო, — დედამ გამამხილა და სადაცა მამა დამტუქსავსო, მაგრამ რევანში რომ გაეთამაშა და გაეღიმილა, თავისთავი გაჰკიცხა — ცილი რატომ დავწამე დედასო. მერე კი გათამამდა თათია, მეტისმეტადაც გათამამდა, დღესაც კინოში უნდოდა წასვლა და მამას ყურში უჩურჩულა:

— მამი, ჩემთან ამხანაგები მოვლენ, ისტორიაში ერთად ვმეცადინებოთ, შინ დავჩრები.

რევანმა გამოიმცდელად ჩახედა თვლებში.

— ნებართვა დედისაგან აიღე.

თათია შეერთა, ასეთ პასუხს არ მოელოდა მამისაგან და ცივად გაშორდა.

რუსუდანი სარკესთან იდგა და თმას ივარცხნიდა. არ ესიამოვნა თათიას შემოსვლა, ცივად შეხედა და ოდნავ ზურგიც შეაქცია.

— დედი, მე შინ დავჩრები, გაკვეთილები მაქვს სასწავლი...

რუსუდანმა იისფერი თავსაბურთი წაიკრა თავზე, შუბლზე ჩამოშლილი თმა თითებით თავსაბურთში შემალა, სარკესთან ახლოს მიიტანა სახე და შუბლი შეიკრა.

— გაკვეთილები გუშინ უნდა გესწავლა, — ცივად მიუგო თათიას და ისეთი თვალით შეხედა, აგრძნობინა, აქამდე არაფერი მითქვამს მამაშენისთვის, ახლა-კი მოვახსენებ შენი კაი ქალობის ამბავსო და კიბზე ჩქარი ნა-

ბიჭით დაეშვა, თათიაც დედას დაედევნა.

მანქანა ჭიშკართან იდგა. რევანში სანდრო და დარეჯანი უკვე მანქანაში ისხდნენ. სურსათის კალათა დარეჯანს მუხლებზე ედო.

— სანდრო მამამისთან დაჯდება, — თქვა რუსუდანმა, მანქანის კარი გამოაღო და სანდროს ანიშნა გადმოდიო.

„მამ მთელ გზაზე სიგარეტი ვერ მომიწევიაო...“ გაიფიქრა რევანში.

— სიგარეტი შეგიძლია მოწიო, თამბაქოს კვამლი არ მაწუხებს! — ვითომ ღიმილით, მაგრამ ნალღლიანად თქვა რუსუდანმა.

სანდროს გაჩაჩხული ფეხები ერთმანეთზე მიადებოდა და სურსათის კალათა მის ფეხებთან მოათავსეს.

რუსუდანის ფიქრი: „სიგარეტი შეგიძლია მოწიო, თამბაქოს კვამლი უკვე არ მაწუხებს! დაყვედრებით, გამომწვევად ვთქვი. არ უნდა მეთქვას ხომ გადაწვევით — ერთ საყვედურიან სიტყვასაც არ ვეტყვი-მეთქი? მე ხომ არ ვიცი რატომ ჩამოვიდა ასე ნაუცბათევად? არც ის ვიცი, რამდენ ხანს დარჩება... თვითონ არაფერი თქვა და ვიდრე თვითონ არ იტყვის, მე არაფერს ვკითხვ! მაგრამ ამ ჩემს უთქმელობას აინუნშიაც რომ არ აგდებს? არხეინად ზის მანქანის საქესთან, ხანდახან სანდროს გადახედავს და მსუბუქად მიაქროლებს მანქანას“.

ნატახტარს ვასცდნენ. ამ გზაზე ბევრჯერ გაუვლია ჩაფიჩაძეთა ოჯახს, მაგრამ რუსუდანი არასოდეს მოხიბლულა არაგვის შემოვარებით.

მოსაფლტებული გზა. ახლები. მეჩხერი ტყე. ხან მღვრიე და ხან დაწმენილი არაგვი.

რუსუდანი პალმებისა და ნაძვისხეების ტრფიალია. გაგრაც პალმებმა და ნაძვის ხეებმა შეაყვარა რუსუდანს. რუსუდანი სიამოვნებით მიატოვებდა თბილისის და გაგრაში დასახლებდებოდა. ზედ ზღვისპირად დაიდგამდა სახლს, ზღვასთან ისე ახლოს, ზღვის მსუბუქ ფრთონებასაც შემოედგოთა საძილე ოთახებში,

რუსუდანს ზღვის მსუბუქი ლეღვა/საოცრად ამშვიდებს.

გაგრაში პალმები ხომ ზღვისპირზეა ჩამწკრივებული და რუსუდანიც თავის ეზოში ზღვისპირად გაახარებს პალმებს. პალმა მცირე ჩრდილს გამოაფენს, ამიტომ საჩრდილობლად პალმებთან ნაძვებს დააწყვილებს და რევანის ხათრისათვის თუთის ხეებსაც გაახარებს, თუთის ხეებზე კი იზაბელას მიუშვებს და ჭიშკრიდან აივნამდე თალარს გამართავს... მზე აცხენებს, თალარში გრილა. ზის რევანში ჩრდილში, ოდნავადაც არ აწუხებს სიცხე, გაზეთებს ათვლიერებს და სიგარეტს ეწევა. იქვე, რევანთან ახლოს საქანელაში წევს რუსუდანი და ზღვაში მობანავე თათიას და სანდროს უთვალთვალებს. სანდრო და თათია მსუბუქად ცურავენ, გული შორს მიუწევთ, მაგრამ დედა ნებას არ აძლევს, ამიტომაც ცდილობენ დედის თვალს მოეფარონ, მაგრამ რუსუდანის თვალს ვერ დამალდებიან. საქანელადან ჩამოვა რუსუდანი, ნაპირთან დაუცახანებს თათიას და სანდროს, ნაპირზე გამოიხმობს და თალარში დაასვენებს...

რევან ჩაფიჩაძეს ერთი სახლი მოეწონა გაგრაში, ახალსა და ძველ გაგრას შუა, ზედ ზღვისპირას იდგა ეს სახლი — ჩვეულებრივი ქართული ოდა. ხეხილიანი პატარა ეზო, ჭა ცისფერი ოწინარით, ღობეც — ცისფერი მავთულის ბადე. ყველაფერზე უფრო აივანმა მოხიბლა რევან ჩაფიჩაძე. აივანი ირგვლივ ჭქონდა შემოვლებული ოდას, ხოლო ზღვისკენ მოქცეულ მხარეზე აივანი ისეთი განიერი იყო, შემოდგომის მზეც ოთახში ვერ ატანდა. იყიდებოდა რევან ჩაფიჩაძის მიერ მოწონებული კარმიდამო, მაგრამ რევან ჩაფიჩაძემ შორს დაიჭირა თავი.

— ბავშვები დაიზრდებიან, თათია გათხოვდება, სანდრო ცოლს შეირთავს, — მშვიდად მარცვლავდა რუსუდანი, — ჰო, ბავშვები დაიზრდებიან და ჩვენ მოვხუცდებით... ჰო, ყოველთვის ახალგაზრდები ხომ არ ვიქნებით? მოვხუც-

დებით და ქალაქის ხმაურიანი ცხოვრება აუტანელი გახდება ჩვენთვის... აქ — ზღვა, სიმშვიდე, სუფთა და ლბილი ჰაერი...

— ზღვა უსაქმურობის დედაა, — მოკლედ მოუჭრა რევანმა.

სიცრუეა, ნამდვილი სიცრუე! ზღვას არაფერი გაუზარმაცებია, უზღვაო ქალაქებშიც თავსაყარად არიან უსაქმურები, თბილისშიც ბევრი უსაქმური დაეხეტება. მიუხედავად რუსუდანი, სხვა მიზეზი აქვს რევანს ჩაფიჩაძეს გაგრძელება რომ არ სახლდება, ნამდვილადაც მიუხედავად, მაგრამ არაფერი თქვა და დღემდე ამჯობინა. მერე ინანებს რევანს ჩაფიჩაძე, მწარედ ინანებს, უარი თქვა და საქმე მორჩომილია, ბევრიც რომ უჩიჩინოს რუსუდანმა, არაფერი გამოვა, — ამიტომაც პირი გაიქვავა და არაფერს ამბობს.

რატომ მაინცდამაინც ახლა გაახსენდა ეს მივიწყებული ამბავი?

შეყვითლებულმა მეჩხერმა ტყემ, მობალახებულმა ახლებმა, მღვრიე არაგვმა გაახსენა გაგრის პალმები და ნაძვები, ლორთქო ბალახი, ცისფერი ზღვა, სიწითლეშეკიდებული პორიზონტი, მსუბუქად მღვლეარე ზღვა და ტალღები, რომ გველერსებთან და ნაპირზე არ გიშვებენ...

...ქინვალში შევიდნენ.

სანდრომ მორიდებით თქვა მწყურიაო და რევანს ჩაფიჩაძემ მანქანა გააჩერა. გზის მარჯვნივ, არაგვთან ცივი წყაროა, ეს რცის სანდრომ, ღოქს დაავლო ხელი და წყაროსკენ გაქანდა.

— საით მივდივართ? — ცივად ჰკითხა რუსუდანმა.

— ფასანაურში.

— შორსაა. ბავშვები დაიღლებიან...

ქინვალიდან ფასანაურამდე სულ ოცდაცამეტი კილომეტრია, გზა მოასფალტებულია, მანქანა მსუბუქად ივლის და ნახევარ საათში ჩააღწევს ფასანაურამდე, მაგრამ რუსუდანი დაღლილია... ჰო, თათია და სანდრო კი არა, რუსუდანია დაღლილი, ეს შეატყო რევანმა და ქინვალს ცოტათი რომ გას-

ცილდნენ, მთავარ გზას გადაუსვია, არაგვისპირას ჩაიყვანა მანქანა და წიფლების ჩრდილში დააყენა.

არაგვის ტოტზე პატარა წისქვილი დგას. წისქვილთან სამი ნაბდის გაშლა მინდორო. ღარში წყალია მიგდებული. ჩხრიალებს ღარში მიგდებული წყალი, ბრუნავს წისქვილი და წისქვილის ბუბუნი არაგვის შხუილში იკარგება.

რუსუდანი უხალისოდ გადმოვიდა მანქანიდან, მაგრამ არაგვისპირის სიგრილე და წისქვილის ბუბუნი ეამა, ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხები ფოსტლებში შეყო, მდინარეზე ჩაივინა, არაგვის ცივი წყალი სახეზე შეისხურა, ქვაზე თავსაბური დააფინა და დაჯდა.

დარეკანმა მოლზე ფარდაგი დააგო. თათიამ მანქანის საჯდომი მუთაქად მოირგო და მოლზე წამოწვა.

რევანმა და სანდრომ არაგვს მიაშურეს. რევანი იქვე, წისქვილთან ახლოს ისროდა ბადეს, სანდრომ კი ცოტა მოშორებით, მორევეში ჩაჰკიდა ანკესი.

რუსუდანის ფიჭვი „არც დარეკა, არც შემომითვალა და მოულოდნელად ჩამოვიდა. ჩამოვიდა და არაფერს ამბობს. რისთვის ჩამოვიდა? რამდენი ხნით? არც ჩემსას კითხულობს არაფერს, არც თავისას ამბობს. ვგრძნობ, სათქმელი აქვს და მიმაღავს. დრო მოვა და იტყვის... ერთხელაც არ წამოცდენია — შენი შშობლები როგორ არიანო, თითქოს არც კი არსებობდნენ ისინი, ან ეგებ არც კი აინტერესებს რევანს ჩაფიჩაძეს როგორ ცხოვრობენ ნიკო დიხსამიძის ოჯახში? ზვიადის ამბავიც რომ არ იკითხა?“

რევანმა ბარე ოცკერ ისროლა ბადე და ერთი ფიჩხულიც ვერ დაიჭირა, არც სანდროს ანკესს გაუღიმა ბედმა, მამა-შვილმა თევზაობას თავი მიანებეს და წისქვილისაკენ წამოვიდნენ. წისქვილის კარი ღია იყო, კარის ზღურბლზე ქალიშვილი იდგა და რევანს მოეჩვენა, უცნობი ქალიშვილი დამცინავად იღიმებოდა.

— უქმად ისროდით ბადეს, — თამამად თქვა ქალიშვილმა.

— თქვენ საიდან იცით? — გაიოცარე ვაზმა და ქალიშვილს თვალი გაუყარა.

— თევზი ხმაურს გაურბის, — დარწმუნებით თქვა ქალიშვილმა და წისქვილზე ანიშნა. მერე სანდროს გაუღიშა.

— ანკესი კი კარგი გქონია!

სანდრო დაკვირვებულ ანკესს ხელში ჯოხივით ათამაშებდა, უცნობმა ქალიშვილმა რომ შეუქო, სანდრომ თავი მოიწონა და ანკესი ავტომატივით გაიღო მხარზე.

ქალიშვილს მუჭოლებიანი შინდისფერი კაბა აცვია, სახეც შინდისფერი აქვს, ოღონდ ოდნავ უფრო მრუმე. თეთრი, ჩაკაწკაწებული კბილები, ისეთი თეთრი, რომ საუბრისას კბილებიდან ნათელი გამოკრთის. მთიელ ქალებს აქვთ ასეთი თეთრი კბილები, ამიტომაც მათი ჩვეულებრივი საუბარიც ღიმილიანი გვეჩვენება.

რევაზმა ბადე გასაშრობად მოლზე გააფინა და დარეჯანს ანიშნა სუფრა გააწყვეო.

თათია წამოხტა, რატომაც სანდროს ენა გამოუყო და რუსუდანთან გაიქცა. უცნობი ქალიშვილი წისქვილში შევიდა და კარი მიიხურა.

ღარში მიგდებული წყალი ჩხრიალებს, რეკს სარეკელა, ბუბუნებს წისქვილი და წისქვილის ბუბუნი არაგვის შხუილში იკარგება.

ჩაფიჩაქეთა ოჯახი მოლზე გაწყობილ სუფრას შემოუსხდა.

უცნობი ქალიშვილის მოსაწყვეად წისქვილში დარეჯანი შეაგზავნეს. ქალიშვილმა მოუბოდიშა და უარით გამოისტუმრა. სადაცაა საფქვავეი ჩამოთავლება და შინ უნდა წავიდეო. მაშინ რევაზი შევიდა წისქვილში, ქალიშვილმა ხათრი ვერ გაუტეხა და სანდროს ვვერდით დაჭდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გქვიათ? — სიჩუმის დასარღვევად ჰკითხა რუსუდანმა ქალიშვილს.

— ჯავარა.

— ჯავარა, წისქვილი თქვენია? — მიამიტად იკითხა სანდრომ.

ჯავარამ სანდროს გაუღიშა და მხარზე დაადო ხელი.

— წისქვილი არაგვისი...
— როგორ თუ არაგვისი? — რევაზი ჩაერთო საუბარში.

— ახლა არაგვისი, — დაბეჭითებით თქვა ჯავარამ.

— ადრე?

— ადრე ჩვენი იყო.

— ჩამოგართვეს?

— არა. მამა გარდაიცვალა, დედა დასნეულდა, მე ქალაქში წაველ სისწავლებლად, წისქვილი სოფელს გადავეცი.

— უსასყიდლოდ?

— არა. მინდს გვაძლევდა. თვეში სამ ფუთ ხორბალს.

— ახლა?

— აეი ვთქვი, ახლა წისქვილი არაგვისია. ახლა სოფელი არაა და წისქვილიც არაგვისია! — ცივად თქვა ჯავარამ.

— არაგვისი! არაგვისი... ჩურჩულით თქვა რევაზ ჩაფიჩაქემ და სახე გაუფითრდა, გულში ჰვალავით გაპკრა, გული ეტკინა და წამოდგა.

— მთელი სოფელი წავიდა?

— პატარა სოფელი იყო. ა ამ მთას ხომ ხედავთ? — ხელი გაიშვირა მთისკენ ჯავარამ, — პატარა მთაა, მთის მოთავებაზე ზეგანია, იმ ზეგანზე იყო ჩვენი სოფელი, ორმოცამდე კომლი სახლობდა. გიორგიწმინდა ერქვა. კარგი სოფელი იყო გიორგიწმინდა...

საფქვავეი ჩამოთავდა და სარეკელამ რეკვას უმატა. ჯავარა ღარისთავს მიეჭრა, წყალი გადააგდო, ბორბალმა ერთხანს კიდევ იტრიალა, მერე ხმა ჩაიწყვიტა.

წისქვილი დუმდა და არაგვისტოტის შხუილმა იმატა, პატარაა არაგვისტოტი, მაგრამ მთებიდან გამოყოლილი ძალა ერჩის და გავაკებულზეც ლალად მიედინება.

ჯავარა წისქვილიდან გამოვიდა, თეთრი ნაყრაულა მარჯვენა მკლავში ამოვლდიავებინა.

— მალე ჩრდილი დაადგება მდინარეს, — დარწმუნებით ეუბნება ჯავარა

რევან ჩაფიჩაძეს, — წისქვილის ქვე-
მოთ, სადაც არავის ღარიან წყალი ერ-
თვის, მეჩხერია და კალმახი იცის.

ნაკრალა მზარზე შეიგდო და აღ-
მართს შეუყვია. რევანმა თვალი გააყო-
ლა ჭავარას, ყოჩალი ნაბიჯებით აიარა
აღმართიან ბილიკზე ქალიშვილმა, მე-
რე ბილიკს გადაუხვია და ბუჩქნარში
მიიმალა.

...საიდანღაც ხემაღალის ბილიკები
გამოჩნდნენ და არაგვისპირის აღმართს
დაეკიდნენ. პატარა ეკატერინე ყოჩა-
ლი ნაბიჯებით მიიბიჯებს აღმართზე და
შინ მიიჩქარის... ხემაღალის წისქვილიც
გამოჩნდა, ღარიდან წყალი გადაუგდია
პატარა ეკატერინეს და წისქვილი და-
დუმებულა. ჩრდილი დადგომია წისქ-
ვილს და უსახურაევო წისქვილს ბელუ-
რები შესევია, შიგ კოდში ჩაფრენილან
ბელურები და იკენკებთან, საკენკს ვერ
პოულობენ და ქიკვივებენ.

* * *

თათია მამამ კინოში არ გაუშვა და
გულმოსული თათია მეზობლისას წა-
ვიდა.

რუსუდანმა დაღლა მოიმიზეხა და
უევანშოდ დაწვა.

დარეჯანმა ვახშამი გააწყო და რევა-
ზი, სანდრო და დარეჯანი ვახშამდ დას-
ხდნენ.

სანდრო მამის პირდაპირ დაჯდა.

— თათია? იკითხა რევანმა.

— თათია? თათია გარდაუხმადებთან
გადავიდა, — თქვა დარეჯანმა.

— ახლავე უხმე!

— ხვალინდელი გაკვეთილები? —
ისე, სხვათაშორის ჰკითხა რევანმა სან-
დროს.

— გუშინ ვისწავლე.

— რატომ არაფერს ჰკამ?

სანდრომ პურსა და ყველს წაატანა
ხელი. რევანმა კარაქწასმული პურის
ნაჭერი გაუწოდა, სანდროს მაინცდა-
მაინც არ უყვარს კარაქი, მაგრამ მამას
ხათრი ვერ გაუტეხა, ვითომ მაღიანად
ჩაკბიხა და ფინჯანიდან ჩაი მოსვა.

ოთახში თათია შემოვიდა.

— როგორ არიან გარდაუხმადებანი?

— გარდაუხმადებანი? — გაიკვირვა თა-
თიამ.

— ჰო, გარდაუხმადებანი.

— გარდაუხმადებანი... გარდაუხმადებანი
თბილისში არ არიან.

— აბა ვისთან იყავი? — რევანმა
ჭერ თათიას გაუყარა თვალი, მერე და-
რეჯანს.

თათია გაშრა. დარეჯანმა თავი ჩაღუ-
ნა, თათიამ დარეჯანს შეხებდა და მიხ-
ვდა. თათიამაც თავი ჩაღუნა და გაწით-
ლდა.

— აღარ იტყვი? — ხმას აუწია რე-
ვანმა.

თათიას უფრო გაუწითლდა ლოყე-
ბი და არაფერი თქვა.

— დაჭექი! — გულმოსულად თქვა
რევანმა.

თათია დაჯდა. დარეჯანმა ჩაი დაუსხა
თათიას და თათიამ დაუშაქრავი ჩაი
დალია.

რევანი კაბინეტში შევიდა, შუჭი
ჩართო და საწერ მაგიდას მიუჯდა.
მაგიდის შუა უჯრა ღია იყო და უჯ-
რაში ქალღმერთი შეხვეული ფული
იღო. „რევან ჩაფიჩაძის უკანასკნელი
ხელფასი — ინსტიტუტიდან გამოგზავ-
ნილი“. რევანმა რუსუდანის ხელი
იცნო. ქალღმერთზე პატარა წერილიც
იყო მიწერილი: „ბერგას რაიონი, სო-
ფელი ხემაღალი, რევან ჩაფიჩაძე. ეს
შენი უკანასკნელი ხელფასი გუშინ
მომიტანა თქვენი ინსტიტუტის მოლა-
რემ. უკლებლივ გიგზავნი. ჩვენ კარ-
გად ვართ. რუსუდანი“.

სიგარეტს მოუკიდა, ადგა და ფანჯა-
რა გამოაღო, ეზოს გახედა.

ლელვის ხეს ელექტრონის შუქი ანა-
თებს და ელექტრონის შუქზე მწიფე
ნაყოფი ბზინავს.

დარეჯანს უხმო.

— რატომ არ დაკრიფეთ ლელვი?

— სანდრომ თქვა, — მამა რომ ჩამო-
ვა მაშინ დავკრიფოთო, — ჩურჩულით
თქვა დარეჯანმა.

რევანის ფიქრი: „ლელვი ოდნავ შემ-
წიფდებოდა და თათია და სანდრო ლე-“

ღვის ძირში ტრიალებდნენ. დარეჯანი დარაჯობდა, რუსუდანი უკრძალავდა და აშინებდა — უმწიფარი ლეღვი მუცელს ავიშლითო, მაინც ახერხებდნენ ხეზე აპარვას და უმწიფარ ლეღვს ნამალევად ჰამდნენ. ახლა ლეღვი გადაშფიფებულია და დამსკდარი და ხელი არ უხლიათ... მამა როცა ჩამოვა, მაშინ დაეკრიფოთო, უთქვამს სანდროს. სანდროს უთქვამს და ყველას მხარი აუბია“...

და სანდრო შეებრალა რევანს. ღღეს სანდრო მთელი დღე მამის გვერდით ტრიალებდა. ჯერ გარაეში შეეშველა, მერე მანქანაში მამის გვერდით იჯდა, მამას მალიმალ ამოხედავდა და თავშეკავებულად ელიმილებოდა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ვინეალში რომ შევიდნენ, მაშინ თქვა მწყურიაო, რევანმა მანქანა გააჩერა, სანდრომ დოქს დაავლო ხელი და წყაროზე გაქანდა. აღმართიც ამოიბრინა და როცა მამის გვერდით დაჯდა, მამამ შვილის გულის ბაგა-ბუფი გაიგონა, აღმართი რატომ ამოიბრინეო, უსაყვედურა და სანდრომ დამნაშავესავით ამოხედა.

რევანში სასადილო ოთახში შევიდა. დარეჯანს სუფრა აულაგებია. ეტყობა დარეჯანიც დაიღალა და დაწოლილა. მაგიდასთან სანდრო იჯდა და წიგნს კითხულობდა. მამა შემოვიდა თუ არა, სანდრო ფეხზე წამოდგა.

— აკი გაკვეთილები ვიცო? — მოფერებით, თან ვითომ საყვედურივით თქვა რევანმა და წიგნს დახედა. ჰადრაკის ბიულეტენი იყო. ჰასტინგის ტურნირის ანგარიში. ნონა გაფრინდაშვილისა და პაულ კერესის პარტია. რევანს გაეღიმა. რევან ჩაფიჩაძე ჰადრაკის მოყვარულია და კარგად იცის, რაც ჰასტინგის ტურნირზე მოხდა: ორ ღღეს გრძელდებოდა გაფრინდაშვილ-კერესის პარტია და ყიმიით დამთავრდა. გაფრინდაშვილმა ყველა ინგლისელი ოსტატრ მამაკაცი დამარცხა. ჰო, ეს კარგად იცის რევანს ჩაფიჩაძემ, მაგრამ მან არ იცის, მისმა შვილმა სანდრო ჩაფიჩაძემ ჰასტინგის ტურნირს სურათი რომ მი-

უძღვნა. „მსოფლიოს დედოფალი სამარცხებს რაინდ მამაკაცებს“ ჰადრაკის დედოფალი ბედაურზე ჰასტინგის ხელში ყვავილების თაიგული უკავია, მარჯვენაში ხმალი, ხმლით მოცელილი ინგლისელი ოსტატები ნონა გაფრინდაშვილის ცხენის ფერხით მორიგისად წვანან...

სურათი „ლელოს“ რედაქციას გაუგზავნა სანდრომ. მხატვარი რედაქციაში დაიბარეს, სურათი მოიწონეს, მაგრამ ჯერჯერობით არ დაუბეჭდავთ, უთუოდ შესაფერის მომენტს ელოდებიან და სანდროც ელოდება, მეტი რა გზა აქვს.

...რევანმა მხაპი მიიღო და როცა კაბინეტში დაბრუნდა, სანდრო იქ დახვდა. ღია ფანჯარასთან იდგა და ეზოში იცქირებოდა.

„რალაც სათქმელი აქვს და მერიდებია“. ჰო, „მცირენი დუმან დიდთა წინაშე“, რატომღაც გაახსენდა სიმამრის შეგონება. ფრთხილი ნაბიჯებით მივიდა შვილთან და მხარზე მსუბუქად დაადო ხელი, სანდრო წიდაყვებით დაეყრდნო ფანჯრის თაროს და თავი ოღნავ დახარა. ბავშვს ბეჭისთაეები უთრთოდა. რევანმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი, სანდრო უფრო აცახცახდა და რევანში შეკრთა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

სანდრომ არაფერი თქვა და თავი უფრო დახარა.

— აღარ იტყვი, რა მოგივიდა? ხმას აუწია რევანმა.

ახლაც ხმა არ ამოიღო სანდრომ და ატირდასავით.

— დააშავე რამე?

სანდრომ თავი ასწია და წასვლა დააპირა, რევანმა მკლავში წააქვლო ხელი, სავარძელში ჩაჯდა და სანდრო პარტია ბავშვივით მუხლებზე დაისვა.

— ლეღვი რატომ არ დაგიკრეფია, პა? — ახლაც არაფერი თქვა სანდრომ, რევანმა თვალბეჭში ჩახედა შვილს და კითხვა უადგილო ეჩვენა... იღლიებში შეუყო ხელები, მუხლისთაეები შეთამაშა და სანდრო აქან-ჩამოაქანავა, სანდროს ესიაშოვნა, მაგრამ ეუხერხუ-

ლა, ჩამოვიდა და მამის გვერდით დადგა.

რევაზის ფიქრი: „რუსუდანი დაღლილია და ძინავს. დარეჯანიც დაღლილია და დარეჯანსაც ძინავს. თათია გულმოსულია, თავის ოთახშია შეკეტილი და უთუოდ იმასაც ძინავს. ახლა სანდროსაც უნდა ეძინოს, მაგრამ რატომღაც არ დაწვა და ჩაფიჩაქეთა სახლში მე და სანდრო ეფხიზლობთ. მამა სავარძელში ზის, მის გვერდით, მოწყენილი შვილი დგას, შვილს მამისათვის რაღაც სათქმელი აქვს და ვერ გაუბედავს. მე ვეკითხები, სანდრო მუნჯივითაა და არ მპასუხობს. ალბათ

ფიქრობს, მამა უთქმელადაც მიმიხედებო, მაგრამ მე ვერაფერს ვხედე... მე რომ ვერაფერი გავუთქვამ...

— მე შენთან მინდა, მამი! — გაუბედავად თქვა სანდრომ.

რევაზი შეერთა.

— ჩემთან არა ხარ?

— მე სოფელში მინდა შენთან... ისევ გაუბედავად თქვა სანდრომ, მამას მხარზე დაადო ხელი და თვალები აუცრემლდა.

...მეორე დღეს რევაზ ჩაფიჩაქე მანქანით გაემგზავრა ხერგაში და სანდროც თან წაიყვანა.

• ნაწილი მესამე

თავი პირველი

ხერგას რაიონის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში დიომიდე არჩევამეს გამორჩეული ადგილი უკავია, ამაში, უპირველეს ყოვლისა, ღრმად და რწმუნებული თვითონ დიომიდე არჩევამე, ასევე ფიქრობენ მისი მეგობრები და თანამშრომლები და ეს უტყუარი ფაქტია. ამიტომაც ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი დაწერილებით მოკუთხრო მკითხველს დიომიდე არჩევამის შემოქმედებაზე.

არჩევამის ბოლოდროინდელ შემოქმედებას, მისივე უსაყვარლესი თქმით, — „რომანის მომდევნო თავში გაცნობა მკითხველი“, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი, და ისიც უმნიშვნელო ეპიზოდია მისი ხანგრძლივი და უნაყოფიერესი შემოქმედებისა. სრული, მთლიანი პორტრეტის შესაქმნელად, მე რამდენადაც ხელი მიმიწვდებოდა, ანაანა შევისწავლე დიომიდე არჩევამის ადრინდელი მოღვაწეობაც და მას რომანში ერთი თავი დავუთმე.

დიომიდე არჩევამის პირად არჩევში დაცული მასალების გაცნობისას განსაკუთრებით გეცემათ თვალში შემოქ-

მედის დაუოკებელი სურვილი — ყოფილიყო მრავალმხრივი, ყოფილიყო ყველგან და თავისი დიდად დასაფასებელი წვლილი შეეტანა თითქმის ყველა თეატრალური კოლექტივის შემოქმედებაში;

მან, დიომიდე არჩევამე:

იმოღვაწევა თბილისის თითქმის ყველა თეატრში,

საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ თეატრში.

და ბოლოს, კეშმარიტად ვალმოხდილი და გამოცდილებით გამდიდრებული, ისევ დაუბრუნდა მშობლიურ ხერგას.

ახლახან გაზეთმა „ხერგას ხმამ“ გამოაქვეყნა დიომიდე არჩევამის „თეატრალური მოგონებანი“. მოგონებებს წამძღვარებული აქვს ანოტაცია, რომელიც გვაუწყებს, რომ დიომიდე არჩევამე სახელმწიფოეკილი თეატრალური მოღვაწეა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კინემატოგრაფიის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს საგუნდო საზოგადოების, ქართული მუსიკალური კომე-

დიის თეატრის შექმნა-დაარსებაში. თბილისის თითქმის ყველა თეატრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის ჩათვლით, აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ქიათურის, გორის და განსაკუთრებით ზესტაფონის თეატრების შემოქმედებით წარმატებებში.

მან, დიომიდე არჩვაძემ:

დიდად შეუწყო ხელი ქართული საბჭოთა ბალეტის და ქართული საბჭოთა დრამატურგიის შექმნას და განვითარებას.

ეს „თეატრალური მოგონებანი“, ჩემის ღრმა რწმენით, და პატივცემული დიომიდეც ამ აზრისა ვახლავთ, უნიკალურია და გაცილებით უფრო კოლორიტულად წარმოგვისახავს სახელმწიფოებრივი ხელოვანის პორტრეტს, ვიდრე ჩემი რომანის ის თავი, რომელიც დიომიდე არჩვაძის შემოქმედების გამოქვეყნებას მიეძღვნა. ამიტომაც უმტივიწველოდ წავშაღე რამდენიმე ფურცელი ჩემი რომანისა და მის ნაცვლად, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის თანხმობით, ძვირფას მკითხველს ვთავაზობ არჩვაძის საინტერესო მოგონებების რამდენიმე ფურცელს.

ფურცელი პირველი

დავბადებულვარ დაბა ხერგაში (მაშინ ხერგა დაბა ყოფილა, რაიონის ცენტრად და ქალაქად ხერგა ჩემი დაბადების შემდეგ გარდაიქმნა), ხატოვანად რომ ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს, ე. ი. 1900-1901 წლებში. ძველი წელთაღრიცხვით 1900 წლის 27 დეკემბერს, ხოლო ახალი წელთაღრიცხვით 1901 წლის 9-10 იანვარს.

მამაჩემი იონა ასკალონის ძე არჩვაძე, როგორც ამას ძვირფასი მკითხველი ცოტა ქვემოთ გაიგებს, დიაკვანი იყო და ძველ წელთაღრიცხვას ერწმუნებოდა.

ხერგა ერთერთი უძველესი დასახ-

ლებული პუნქტია საქართველოში მართალია, მას ძველი ისტორიკოსები, გეოგრაფები და მოგზაურები არ მოიხსენიებენ თავიანთ დღიურებსა და გამოკვლევებში, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით, დაბეჭივით შეიძლება ითქვას, ხერგა შორეულ წარსულში უკვე იყო დასახლებული პუნქტი, ცხადია, არა ისეთი მასშტაბისა, როგორც უფლისციხე, იყალთო, ვარძია, ან გელათი.

ხერგა და მისი შემოგარენი იმ დროსაც (იგულისხმება მეთერთმეტე და მეორმეტე საუკუნე) გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, მაგრამ მთავრებს და მებატონეებს ყველგან ტყისმცველები ჰყოლიათ დაყენებული და მაშინდელი ტყისმცველები ახლანდელ ტყისმცველებს (მე მხედველობაში მყავს ხერგას რაიონის ტყისმცველები) როდი ჰგვანდნენ, ფულს თუ მისცემთ, დანომრილ ხეებსაც რომ მოგაჭრევენებენ. იმდროინდელი ტყისმცველები მიუჯარებლნი ყოფილან, და ამიტომ ჭირდა საშენი, მასალისა, და შემის შოვნა...

ჩვენი დალოცვილი სატყველა კი ხერგას ხეობაში უხვად ეზიდებოდა შემას (შეშაზე და იმის თაობაზე, თუ რატომ დასახლებულა ხალხი ამჟამინდელ ხერგას მიდამოებში, დაწვრილებით ჩემი მოგონებების შემდეგ თავში მოვახსენებ ძვირფას მკითხველს).

ჩემი დაბადების წელს, სულგანათლებული ბებიაჩემის (დედის მზრით) ბია ქსენოფონტეს ასულ ბარდაველიძის უმკველი ვადმოცემით, უჩვეულოდ დიდთოვლიანი ზამთარი ყოფილა და გაზაფხულზე მდინარე სატყველა ძალზე აღიდებულა, კინალამ ვადმოსულა თავის ღრმა კალაპოტიდან და ხერგაც კინალამ წაუღეკია.

მამაჩემი იონა ასკალონის ძე არჩვაძე დიაკვანი იყო და იმ დროისათვის განათლებულ კაცად ითვლებოდა. ზოგიერთი ფსალმუნი სახარებისა ზეპირადაც კი სცოდნია, ხოლო ბაბუაჩემი ასკალონი მიწისმზომელი და მეწვრილ-

მანე ვაჭარი ყოფილა, მაგრამ ყოვლად პატიოსანი და ხეთისნიერი ხელმოკლე მეზობლებსა და ნაცნობებს საქონელს ხანდახან ნისიადაც კი აძლევდა თურმე.

ბაბუაჩემი (დედის მხრით) სერაპიონ ჯათუს ძე ბარდაველიძე ცნობილი მექოთნე ყოფილა, შრომისმოყვარე, პატიოსანი და განათლებული მოქალაქე, აგრეთვე მთელს სოფელში წისკვილის ქვების შეუცვლელი მკოდავი.

მამაჩემი იონა, როგორც ცხონებულმა დედაჩემმა გადმომცა, ზომიერად ლოთობდა, მაგრამ მღვდელი ნესტორ ბარდაველიძე (მართალია დედაჩემის მოგვარე იყო მამაო ნესტორი, მაგრამ ახლონათესავი არ ყოფილა, მრევლში კი ხმა იყო გავრცელებული — მამაო ნესტორმა დიაკვნად სისხლით ნათესავი დააყენაო) მკაცრი ხასიათისა ყოფილა და წარამარა უჯავრდებოდა და ემუქრებოდა საცოდავ მამაჩემს, — ლოთობას თუ არ მოიშლი, ეკლესიიდან გაგაგდებო. მამაჩემი კი არწმუნებდა თურმე — სმა რომ მივატოვო, ხმა გამოფუქდებაო, „ლასკალს“ ყველა ტენორი არყისტია და ხმას სწორედ არყით იყენებსო და იყო გაუთავებელი ჩხუბი მამაჩემ იონასა და მამაო ნესტორ ბარდაველიძეს შორის...

დედაჩემი აგრაფინა სერაპიონის ასული ბარდაველიძე, ძალზე სათნო, გულკეთილი და მაშინდელ კვალობაზე განათლებული მანდილოსანი ყოფილა. დედას ექვსი შვილი ჰყავდა, მე ნაბოლარა ვიყავი. დედას ჩემში თავიდანვე განსაკუთრებული ნიჭი აღმოუჩენია და ამიტომაც შვილებში გამორჩეულად ვყვარებივარ. ჩემს გამო ხშირად წაჩხუბებია მამაჩემს. წირვიდან მობრუნებული მამაჩემი, როგორც კი ჩემთან მოფუსფუსე დედაჩემს დაინახავდა, შეუბღვერდა თურმე — ეს ლაწირაკი ბატონკაცად გინდა გაზარდო, მაგრამ არაფერი გამოგივა, ესეც დანარჩენებივით მტრუკიანო, — არაფერიცო, მოხდენილად უპასუხებდა თურმე დედაჩემი — დანარჩენები შენ გგვანან,

ეს კი პირწავარდნილი დედამისიო და ნახავ, რა სასახელო კაციც დადგებაო...

საცოდავი დედაჩემი *მამის* ოცნება აღსრულდა, მაგრამ თვითონ შვილის ბედნიერებას ვერ შეესწრო...

დედაჩემის უმცროსი დაი, ქალბატონი ლოლია ბარდაველიძე, ხშირად იყო ჩვენსას და დედაჩემს საოჯახო საქმეებში შევლოდა. ქალბატონ ლოლია ბარდაველიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში და მინდა ჩემს მოგონებებში დიდის პატივისცემით და სიყვარულით მოვიხსენიო.

მართალია, მამაჩემი იონა არჩეაძე, ხელმოკლე კაცად ითვლებოდა, მაგრამ ქეიფებს მაინც ხშირად მართავდა. ერთხელ ხერგაში ჩვენი ერის სასიქადულო მგოსანი აკაკი (იგულისხმება წერეთელი) სტუმრად ყოფილა აბაშიძესთან. დედაჩემ აგრაფინას იმდენი უსაშველია, რომ მგოსანი ჩვენსას მოუწვევია ვახშმად. იყო დიდი ზეიმი და ლზინი, ცხადია, ყველა აკაკის შესციცინებდა. მე მაშინ სამი წლისა ვყოფილვარ და ვიდრე ვახშმად დასხდებოდნენ, დედაჩემს აკაკისთან მიუყვანივარ. მგოსანს თავისი უყვდავი და მადლიანი მარჯვენა ჩემს თავზე ალერსით დაუღვია, ჩემი ხუჭუქთმიანი თავი ოდნავ უკან გადაუწვია, თვალეებში ღიმილით ჩაუხედავს და გაოცებულა — ამას რას ვხედაო, წამოუძახია დიდებულ მგოსანს, — როგორი ნათელი შუბლი და მეტყველი თვალეები აქვს ამ ბავშვს, კარგად მიხედეთ, ეს ყმაწვილი საქართველოს უსათუოდ ასახელებსო. დედაჩემი ცას სწევია სიხარულით და აკაკისათვის ხელები დაუკოცნია... ასეთი წინასწარმეტყველი ყოფილა ჩვენი ერის სასიქადულო მგოსანი.

...ერთხელ, მაშინ ის-ის იყო ხუთი წლისა ვსრულდებოდი, დედაჩემს სოფელ ლეღვაში წაუყვანივარ. ლეღვაში დედაჩემის უმცროსი დაი ლოლია ბარდაველიძე იყო გათხოვილი კოკინია ამამუყელზე. კოკინია ამამუყელს მდიდარი ოჯახი ჰქონდა და პირველი

შვილის ნათლობაზე მთელი ნათესაობა და ნაცნობ-შენობი მიუწვევია. სოფელი ლეღვა ხერგას ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს თორმეტ კილომეტრზე პირდაპირი გზით, მაგრამ მაშინ ხერგადან სოფელ ლეღვამდე პირდაპირი გზით რომ წასულიყავით, საცალფეხო ბილიკით უნდა გველათ. ცხადია, ხუთი წლის ყმაწვილი ვერ შევძლებდი თორმეტი კილომეტრის ფეხით გავლას, ამიტომაც დედაჩემმა შორი გზით წასვლა არჩია და ჩვენი ურმით ბარე ოცდაათი-ოცდათორმეტი ნიკოლოზის ვერსი გაგვივლია. დანტერესებული მკითხველისათვის უთუოდ გაუგებარი დარჩება, მაშაჩემი რატომ არ გამოგვეყვა ასეთ შორ გზაზე. როგორც ძვირფასმა მკითხველმა უკვე იცის, მაშაჩემი დიაკვანი იყო, ჩვენ — კი ლეღვაში შაბათს წავედით, რადგანაც ლოლია ბარდაველიძის და კოკინია ამაშუკელის პირველი პირშოს — ზეინაბ ამაშუკელის ნათლობა დანიშნული იყო კვირას, დანამდვილებით შემოძლია ვთქვა, 29 აგვისტოს. ცხადია, მაშაჩემი შაბათს და კვირას ეკლესიას უწირვებოდ ვერ დატოვებდა, მითუმეტეს იმ დროის დიაკვნებს მოადგილეები არ ჰყავდათ... ხერგადან ალიონზე გამოსულებმა მხოლოდ ვახშმოზისას მივალწიეთ ლეღვას, ძალზე მოშივებულები ვიყავით და კარგადაც გვავახშმეს, ვახშამზე მე, ახლაც კარგად მახსოვს, შემწვარ წიწილს და ხაჭაპურს მივეძალე. როგორც მოგახსენეთ, აგვისტოს მიწურული იყო, ძალიან ცხელოდა და დედაჩემს და მე ლოგინი აივანზე გაგვიშალეს. საყვარელი დედაჩემი ძალზე დაღლილიყო მგზავრობით და როგორც კი დავწეკით, სასიამოვნო მსუბუქი ფშვინვა ამოუშვა. ჩვენი ლოგინის გვერდით ტახტი იდგა, იმ ტახტზე ოღნავ შემკვნიარი თეთრი ლეღვი ეწყო, უთუოდ დასაჩამიჩებლად. გადავუწვდინე ხელი და ოღნავ დაჩამიჩებული ლეღვი, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენე მკითხველს, ნავახშმევი გახლდით, ძალიან მეგემრიე-

ლა და სიამოვნებით გაიხელით. ეტყობა ვერ გამოვზომე, მოჭარბებული მკითხველი თუ ვიყავი ოღნავ დაჩამიჩებული თეთრი ლეღვი და ლეღვა მუცელი საოცრად გამიბერა და გამისისტიკინა. პატივცემულ მკითხველთან ბოდის მოვიხდი, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ფაქტის დამლვა საქმეს ვერ უშველის: რაღაც ვაიუშველებელი დამიტრიალდა და დამიტრიალდა შიგნულში და მუცელში სასტიკად გამხსნა. უთუოდ იგრძნო დედის მოსიყვარულე გულმა შვილის გასაჭირი და დედაჩემმა თრთოლვით ჩამჩურჩულა ყურში რა მოგივიდა დიომიდიკო და გასისტიკინებულ მუცელზე ალერსით გადამისვა ხელი... მერე დედაჩემი აგრაფინა თოფნაკრავივით წამოიჭრა ზეზე, კოკინია ამაშუკელის მთელი ჯალაბობა, მასპინძლები და სტუმრებიც, ფეხზე დააყენა, მერე კოკინია ამაშუკელის მეზობლებიც ააფორიაქეს, ბალახების ნაირნაირი ნაყენი მასვეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ფლარათის შემკავებელი არცერთი არ აღმოჩნდა. დილაადრიან დედაჩემმა ურემზე დამსვა და ვაი-ვი-შით წამოიყვანა ხერგაში... ასე ჩავემწარე დედაჩემს სოფელ ლეღვაში წასვლა. საბრალო დედაჩემმა სამოცდაორი-სამოცდაოთხი ვერსი გაიარა (ხერგადან სოფელ ლეღვაში და სოფელ ლეღვადან ხერგამდე) ჩოჩილა ურმით და დისწულის ნათლობას კი ვერ დაესწრო...

ფურცელი მეორე.

...ერთხელ, მაშინ უკვე ქიათურის თეატრში ვიყავი დამდგმელ რეჟისორად, საგასტროლოდ მოვიწვიე იმდროისათვის უკვე სახელგანთქმული კომიკოსი, ჩემთვის დაუვიწყარი და თეატრის ჯადოქარის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ალექსანდრე ყორჯოლიანი. ყორჯოლიანისათვის საგანგებოდ დავდგი ჩვენი დიდებული პროზაიკოსის და დრამატურგის შალვა დადიანის იმდრო-

სათვის უკვე ფრიად გახმაურებული კომედია „კაკალ გულში“.

ჩემმა საყვარელმა სანდრომ (შინაურობაში ასე ვეძახდი ალექსანდრე ქორჯოლიანს), რასაკვირველია, ჩინებულად ითამაშა, ჩემი რეჟისორული ნამუშევარი ფრიად მოიწონა მაყურებელმა და მე და სანდროს აღფრთოვანებული ოვაციები გაგვიმართეს.

ღიახ, იმ საღამოს ზეიმობდა კიათურის თეატრი და მისი ფარდა, ხატონად რომ ეთქვათ, უამრავჯერ აიხანდა. დანამდვილებით მახსოვს, ალექსანდრე ქორჯოლიანი შეიღვერ გამოიწვიეს სცენაზე, მე კი თერთმეტჯერ. აღფრთოვანებით გვიკრავდნენ ტაშს და ყვავილებსა და შოკოლადის კამფეტებს გვესროდნენ.

კიათურის თეატრის მთელმა ხელმძღვანელობამ და დასის კოლექტივმა განსაკუთრებული საყვარულით მომილოცა ასეთი დიდი წარმატება. მეზვეოდნენ და მკოცნიდნენ.

ეტყობა, სპექტაკლის უჩვეულო წარმატების ამბავი უსწრაფესად გავრცელდა მთელს საქართველოში, ამიტომაც პრემიერის დამესვე, მეორე დღეს და მომდევნო დღეებში ურიცხვი მოსალოცი დეპეშა და წერილი მივიღე, როგორც სახელგანთქმულ თეატრალურ მოღვაწეთაგან, ისე პირადი მეგობრებისა და ნათესავებისაგან. მოლოცვის წერილები და დეპეშები ჩემს პირად არქივში ინახება და ახლაც, მოცილობის ქამს, დიდი სიამოვნებით და გულისძგერით გადავიკითხავ ხოლმე.

იმ მრავალ მოსალოც წერილში, როგორც ასეთი დიდი შემოქმედებითი წარმატების გამო მივიღე, ერთი წერილი განსაკუთრებულია ჩემთვის და ის ცალკე მაქვს გადანახული. ყოველთვის, როცა ხელს შეეახებ და გადავიკითხავ იმ წერილს, თვალები ცრემლით ამევსება. ეს წერილი, ჩემმა თანააღმზრდელმა, ქალბატონმა ლოლია ბარდაველიძემ გამომიგზავნა. ცხადია, მისი მთელღე კოკინია ამაშუკელი

ცოცხალი რომ ყოფილიყო, სინაურულით მოაწერდა ამ წერილზე ხელს, მაგრამ ვაგლახ, იმდროისათვის ჩემი თანააღმზრდელის საყვარელი მეუღლე უკვე განსვენებული იყო.

„ჩემო სანუჯვარო და გულითგულამდის საყვარელო დიომიდე!“

გეხსოვება, მე და სულგანათლებულ ჩემს კოკინიას როგორ ჩავგამწარე ჩვენი პირველი შვილის ნათლობა (ჩემს ძვირფას მკითხველს შეფარვით უკვე მოვახსენე რა მარცხიე მომივიდა სოფელ ლეღვაში), სანაცვლოდ ახლა გამაბედნიერე და გამახარე შენი ჩაუქრობელი ნიჭის გამარჯვებით. მე თავიდანვე მწამდა შენი ნიჭიერება. შენ ბავშვობიდანვე სხვანაირი იყავი — რასაც დაიჩემებდი, ბევრიც რომ მეუარა, მაინც შენსას გაიტანდი. ყოველთვის გემრიელი საქმელი და კოხტად ჩაცმა გიყვარდა. ასეთი ხასიათი ბოლომდე გაგყვა და იმიტომაც იმარჯვებ ჩემო საყვარელო დიომიდე! იმოღვაწევე ასე სასახელოდ და აბედნიერე შენი ნიჭის ურიცხვი თაყვანისმცემელი, შენი დედულ-მამული, შენი ნათესავეები, მთელი საქართველო!

მე თუ მიკითხავ, ვარ ჭერჭერობით, ჩემს ყოფნას თუ ყოფნა ეთქმის ჩემი კოკინიას გარდაცვალების შემდეგ... ვიცი, შენ ვერ მოიცილი ლეღვაში ჩამოსასვლელად, მაგრამ ასე უღმერთოდ როგორ დაივიწყე შენი აღმზრდელი დეიდა? ერთი წერილი მაინც მოიწერე, ბიჭო!“

ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემი ძვირფასი მკითხველის თვალიც აცრემლდება ჩემი თანააღმზრდელის, ქალბატონ ლოლია ბარდაველიძის წერილის წაკითხვისას.

...პრემიერის შემდეგ, ცხადია, როგორც წესი, დიდი ნადიმი გაიმართა. მე და ალექსანდრე ქორჯოლიანი სუფრის თავში გვერდიგვერდ დავგვეს და ყველანი ჩვენ შემოგვეყურებდნენ.

სანდრო (ზემოთ უკვე მოვახსენე ძვირფას მკითხველს, რომ მე ასე ვეძახდი შინაურობაში ალექსანდრე ქორ-

ყოლიანს) ხმელხმელი კაცი იყო, მაგრამ ჭამა-სმის დიდი ტრფიალი, ოღონდ ცხარე, წიწაკიან-აჭიკიან კერძებს ერიდებოდა. ეს მე კარგად ვიცოდი, როგორც მისმა მეგობარმა, გადაწყვეტიტე სურპრიზი მომეშაადებია სანდროსთვის და კიდევაც შევასრულე: წინასწარ მოველაპარაკე მზარეულს და სანდროსთვის მისართმევი კერძები ზომაზე მეტად წიწაკიან-აჭიკიანი დავამზადებე.

დავიწყეთ ჭამა. სანდროს პირველივე ლუკმა ემწარა, ხველება აუტყდა და ბორჯომის წყალი მოიშველია. მწყრალად გამომხედა, მერე პიჯაკის შიდა ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, გახსნა და რაღაცნაირი ფხვნილი მოაყარა ხაშლამას, — გასანელებელი სუნელია და შენც ხომ არ გინდაო, მიტხრა, თვალი ჩამიკრა, ერთი თავისებურად ჩაიჭირქილა და ფხვნილმოყრილ ხაშლამას ვეფხვივით შეუტია. მერე მორთმეულ კერძებსაც ასევე ანელებდა თავისი ფხვნილით ჩემი საყვარელი სანდრო და იყო ერთი გაუთავებელი სიცილ-ხარხარი...

ფურცელი მესამე

...დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. მე მაშინ გორის თეატრში ვმოღვაწეობდი და ჩემის ინიციატივით გორის თეატრი საგასტროლოდ მიიწვიეს ზუგდიდის, გალის და ოჩამჩირეს რაიონებმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ჩემს ორივე დადგმას. ამ წარმატების შესახებ დაწერილებით მოუთხრობ ძვირფას მკითხველს ჩემი მოგონებების მომდევნო თავში, ამჟამად — კი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი მინდა გავისხეხო.

წარმოდგენების შემდეგ, როგორც

წესი, რაიონის ხელმძღვანელობა გვიმართავდა ზღაპრულ ვახშმებს: როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო და სმაქამასა და ლხინს განსაკუთრებული პეწი ჰქონდა. ზუგდიდში, პირველ ვახშმობისას, ყველა კერძი მომეტებულად ცხარე იყო, ხატოვნად რომ ვთქვათ, პირდაპირ პირს გეწვავდა. ენას გვითუთქავდა, და ცხადია, ამიტომაც მაღიანად ვერ შევექცეთო, ის კი არა, თითქმის მშვივრებიც დავრჩით. მთელი ღამე ფაქრში გავატარე და ღრმად დავრწმუნდი, რომ ზუგდიდელი მზარეულები კერძებში, — ლობიოთი და ფხალეულით დაწყებული, ნიგვზის ბაყით, საცივით და შემწვარი გოჭით დამთავრებული, — აჭიკას ზომაზე მეტად აზავებდნენ. ჩემი შენიშვნა ზუგდიდელმა, შემდეგ კი გალელმა და ოჩამჩირელმა მზარეულებმა სამართლიანად მიიჩნიეს, ამიტომაც მანამდე ზომაზე მეტად ცხარე კერძები, ზომიერად ცხარე კერძებად იქცნენ და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვნადიმობდით. ზუგდიდში, გალში და ოჩამჩირეში გასტროლებზე ყოფნისას თეატრის ყველა თანამშრომელმა დაახლოებით ექვს-ექვსი და შვიდ-შვიდი კილოგრამი მოიმატა წონაში...

შენიშვნა: საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის „თეატრალური მოგონებები“ მალე გამოვა ცალკე წიგნად და მკითხველს ბედნიერება ექნება თავიდან ბოლომდე ინტერესით წაიკითხოს. ჩვენ საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის „თეატრალური მოგონებებიდან“ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები ამოვწერეთ და თურათომ, დარწმუნებული ვართ, მკითხველი მიგვიხვდება.

თავი მორაი



ხერგას რაიონული საბჭოს აღმას-
კომმა თბილისში „ქართული ჩაის ზე-
იმი“ საგანგებოდ მიავლინა ხერგას
სახალხო თეატრის დირექტორი და მხა-
ტერული ხელმძღვანელი, საქართვე-
ლოს სსრ კულტურის დამსახურებუ-
ლი მუშაკი დიომიდე არჩვაძე. ეს ზე-
იმი თბილისში უკვე მესამედ ტარდე-
ბოდა, ხერგას რაიონის ხელმძღვანე-
ლობას კი როგორღაც გამორჩა ეს
ფრიად მნიშვნელოვანი საქმე. თავდა-
პირველად ფიქრობდნენ — თბილისის
გარდა „ქართული ჩაის ზეიმი“ მხო-
ლოდ მეჩაიეობის რაიონებში ჩატარდე-
ბოდა, მაგრამ სულ მალე ცნობილი გა-
ხდა, რომ კახეთის მევენახეობის რაი-
ონებშიც კი დიდის ამბით იზეიმეს
„ქართული ჩაის დღე“. ამიტომ ხერ-
გას რაიონის ხელმძღვანელობამ მტკი-
ცედ გადაწყვიტა მომავალ წელს ზონა-
ლური, მასშტაბით ედღესასწაულა „ქა-
რთული ჩაის დღე“ და ზეიმისათვის სა-
მზადისის სწორედ ერთი წლით ადრე
შეუდგა.

თბილისის „ჩაის სახლში“ გამარ-
თული „ქართული ჩაის ზეიმი“, რომე-
ლსაც საქართველოს სსრ კულტურის
დამსახურებული მუშაკი დიომიდე არ-
ჩვაძე დაესწრო, მართლაც დიდებულ
იყო.

ტელევიზიის ცნობილმა დიქტორმა
ქალმა ტელემავურებლებს სიხარულით
აუწყა „ქართული ჩაის ზეიმის“ დაწყება,
მერე ჩაის სახლის დირექტორი
მეისალმა ზეიმის მონაწილეებს და მო-
წვეულ სტუმრებს თეთრხალათიანმა
ქალიშვილებმა ფინჯანი ჩაი და ნამცხვა-
რი ჩამოურიგეს.

სტუმრებს და ტელემავურებლებს

ქართული ჩაის ღირსებებზე და საერ-
თოდ ჩაის მნიშვნელობაზე ადამიანის
ორგანიზმისათვის, ბარე ოციოდე წუ-
თი ესაუბრა საზოგადოება „ცოდნას“
ლექტორი. ტელესტუდიის დიქტორ-
მა დიდი მადლობა გადაუხადა პატივ-
ცემულ ლექტორს უაღრესად საინტე-
რესო საუბრისათვის, ჯანმრთელობა
და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვა-
წეობა უსურვა და ტანის მსუბუქი
რხევით ღიმილით მიუახლოვდა ერთ-
ერთ მაგიდას.

— პატივცემულო სტუმრებო და ტე-
ლემავურებლებო, აქ მოწვეულ სტუმ-
ართა შორის გახლავთ რესპუბლიკის
დამსახურებული აგრონომი, ჩაის საქ-
ვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი, პა-
ტივცემული გედეონ წივწივაძე (გედე-
ონმა ფინჯანი მაგიდაზე დადო, წამო-
დგა და დიქტორს გაუღიმა). თქვენ უს-
ათუოდ ბევრი რამ გაგიგონიათ პატივ-
ცემული გედეონის შესახებ. თქვენი
სახელით ძვირფასო ტელემავურებლე-
ბო და, აგრეთვე საქართველოს ტელე-
ვიზიის თანამშრომელთა სახელით,
მზურვალედ ვულოცავ პატივცემულ
გედეონ წივწივაძეს ქართული ჩაის
დღესასწაულს და მინდა ვთხოვო რამ-
დენიმე საინტერესო კითხვაზე მიპასუ-
ხოს.

გედეონ წივწივაძე: გმადლობთ.
დიდი სიამოვნებით.

ტელესტუდიის დიქტორი: პატივცე-
მულო გედეონ, ჩაის სპეციალისტები
თვლიან, რომ ყველაზე უფრო არომა-
ტული და თან სასარგებლოა „მაისის
ჩაი“. თქვენის აზრით ეს სწორია?

გედეონ წივწივაძე: რადგან ჩაის

სპეციალისტები ასე თვლიან, რასაკვირველია, სწორია.

ტელესტუდიის დიქტორი: პატივცემულო გედონ, რამდენი წელია აგრონომად მუშაობთ?

გედონ წივეწივაძე: სრული ორმოცი წელი.

ტელესტუდიის დიქტორი: პატივცემულო გედონ, ახლა რომ ახალგაზრდა იყავით და უმაღლეს სასწავლებელში შედიოდეთ, ისევ აგრონომიას აირჩევდით?

გედონ წივეწივაძე: რასაკვირველია!

ტელესტუდიის დიქტორი: კიდევ ერთი შეკითხვა, პატივცემულო გედონ: როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩაი დიდად სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის, მას სიამოვნებით სვამს მოზარდიც და მოხუციც, ამასთან ჩაის პლანტაცია უხვმოსავლიანია, დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს და კრლმეურნეობებს, საქართველოში — კი შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ჩაის კულტურის გასავითარებლად, როგორ ფიქრობთ თქვენ, პატივცემულო გედონ, მომავალში უნდა გავაშენოთ თუ არა ჩაის ახალი პლანტაციები?

გედონ წივეწივაძე: რასაკვირველია! უნდა გავაშენოთ ჩაის ახალი პლანტაციები.

ტელესტუდიის დიქტორი: დიდად გმადლობთ, პატივცემულო გედონ, მეტად საინტერესო და ამომწურავი პასუხებისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას.

ტელესტუდიის დიქტორი ტანის ისევ მსუბუქი რჩევით და დიმილით, მაინცდამაინც არც ისე ახალგაზრდა პოეტთან მივიდა, სტუმრების და ტელემაყურებელთა სახელით მიულოცა ქართული ჩაის დღესასწაული, უსურვა ჯანმრთელობა და ნაყოფიერი შემოქ-

მედებითი მოღვაწეობა ერის საკეთილდღეოდ.

ტელესტუდიის დიქტორი: ძვირფასო სტუმრებო და პატივცემულო ტელემაყურებლებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს საყვარელ ახალგაზრდა პოეტს ჩაის პლანტაციებზე და ქართველ მეჩაიეებზე ლექსების რამდენიმე ციკლი აქვს გამოქვეყნებული. თქვენი სახელით ვთხოვ წაგვიკითხოს ამ ციკლიდან მისთვის საყვარელი ლექსი.

პოეტმა, როგორც პატივცემულმა გედონ წივეწივაძემ, ფინჯანი მაგიდაზე დადო, დიქტორს გაუღიმა, მაგრამ ცოტა არ იყოს მწყრაღად გამოხედა და თან დაიმორცხვა — რა დროს ჩემი ახალგაზრდობაა, ბარე ოცდახუთი წელიწადია ლექსებს ვწერ და ვაქვეყნებო (ეს პოეტმა მიმიკით თქვა). — მერე პოეტი ადგა, პიჯაკის გულჯიბიდან გაკეცილი გაზეთი ამოიღო; გაშალა და თვალთან მიიტანა. ჩაისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში ერთადერთი ურიტმო ლექსი იყო და პოეტმა მაინცდამაინც ის ურიტმო ლექსი წაიკითხა. ვერ ვიტყვი, ტელემაყურებლებზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა, დარბაზში მსხდომნი — კი უკმაყოფილონი დარჩნენ. ლექსის ბოლო სტრიქონი „გაქვს შეწოვილი სურნელება ყოვლანოყიერ ქართული მიწის“, პოეტმა ისე წაიკითხა, რომ დარბაზში მსხდომთაგან ლექსის დამთავრება ვერავინ იგრძნო და ამიტომ ტაშმაც დაიგვიანა. პოეტმა დიქტორს მაინც გაუღიმა, თავიც კი დაუტრა მადლობის ნიშნად, მაგრამ უკმაყოფილება ვერ დამალა, სკამზე მოწყენით დაჯდა და ფინჯანიდან ჩაი ნაღვლიანად მოსვა. პოეტის მოწყენილობა თითქმის მთელ დარბაზს გადაედო, მაგრამ ეს მოწყენილობა წუთიერი იყო. მიკროფონი ხელთ იგდეს ფილარმონიის მსახიობებმა, მათი სკეტჩები და იუმორისტული ლექსები მისწრებასავეით იყო. ხარხარი. ტაში, შეძახილები. პოეტსაც წარუმატებლობით გამოწვეული სევ-

და მალე განუქარვდა და მთელს დარბაზში გამორჩეულად ისმოდა მისი ღონიერი სიცილი.

• • •

ჩაის ზეიმისათვის მზადებას ხერგაში თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა: რესტორან „უღელტეხილის“ ერთი დარბაზი საჩაიედ გადაკეთდა, ხოლო ბაზრის შესასვლელთან მდებარე უგამყიდველო მაღაზიის შენობა ორად გაჰყვეს და გაჩნდა ახალი აბრა.

საჩაიე „ჩანმრთელობა და სიხარული“.

„ჩანმრთელობა და სიხარულმა“ მთელს ქალაქში მალე გაითქვა სახელი. ამის მიზეზად ზოგნი საჩაიეს გამგის, ქალბატონ აგრაფინას ბეჭითობას და მოსაზრებულობას თვლიდნენ. ქალბატონი აგრაფინა ბარე ათი წელი ხერგას რკინიგზის სადგურის რესტორანში მუშაობდა და თავისი მუდმივი კლიენტები „ჩანმრთელობა და სიხარულში“ გადმოიბირა. ქალბატონმა აგრაფინამ თავისი პირადი მეგობარი და თანამებრძოლი, რკინიგზის სადგურის რესტორნის უფროსი მზარეულიც — საქვეყნოდ განთქმული „ხერგული ლეხელის“ შემქმნელი, საჩაიეში გადმოიყვანა. მაგრამ, საჩაიეს უჩვეულო წარმატების მიზეზით, როგორც ამას რესტორან „უღელტეხილის“ უფროსი მზარეული კაპიტონ კავილაძე ფიქრობს, ის განსაკუთრებით, რომ ქალბატონ აგრაფინას ბორჯომის ბოთლებში ქაქის არაყი უსხია, ხოლო ლიმონათის ბოთლებში კონიაკით. ამიტომაც არისო, ამტკიცებს კაპიტონ კავილაძე, „უღელტეხილის“ ყოფილი მუშტრები ასეთი მხიარული და ადრანებული გამოდიან საჩაიედანო.

ასეა თუ ისე, საჩაიე „ჩანმრთელობა და სიხარულში“ დილიდან საღამომდე თუხთუხებს სამოვარი. მხიარულ სიმღერებს უკრავს ელექტროფირფიტა და საჩაიეს ფუტკარივით ეხვევა მუშტარი. აპრილის თვეში ხერგას რაიადმასკო-

მმა საგანგებო სხდომასზე განიხილა „ქართული ჩაის ზეიმის“ ჩატარების გეგმა, რომელიც აღმასკომს დიომიდე არჩევამ წარუდგინა. როგორც მოსალოდნელი იყო, გეგმა ერთობ ვრცელი და მიმზიდველი აღმოჩნდა, აღმასკომმაც ერთხმად დაამტკიცა და გაიშალა პრაქტიკული მუშაობა: სადგურის მოედანზე და წერეთლის ქუჩაზე დარგეს მეზობელი რაიონიდან ჩამოტანილი ჩაის ბუჩქები, დასამზარ ადგილებზე და მაღაზიების ვიტრინებში გამოაფინეს სპეციალური პლაკატები და დიაგრამები, ფოტოსურათებით და ხერგას სახალხო თეატრის მხატვრის მიერ ზეიმისათვის სპეციალურად შექმნილი სურათებით შეამკეს საჩაიე „ჩანმრთელობა და სიხარული“ და რესტორანი „უღელტეხილი“, სოფელ ლეღვადან ხერგაში ჩამოიყვანეს სახალხო მოქმელი — კოკინია აბაშიძის ბიძაშვილი (დედის მხრით) კალისტრატე ტრაპაიძე, რომელიც აქამდე, როგორც ყოფილი პედაგოგი, უმეტესად სოფლის მასწავლებლებზე და მოწაფეებზე თხზავდა ლექსებს, მაგრამ ახლა, დიომიდე არჩევანის მოთხოვნით, ათიოდე ლექსი შეთხზა მეჩაიეებზე და ჩაის პლანტაციებზე, დაიწერა მისასალმებელი სიტყვა, რომელსაც ზეიმზე პენსიონერთა სახელით ზეპირად წარმოთქვამს ხერგას სახალხო თეატრის ყოფილი მსახიობი, პერსონალური პენსიონერი ასკალონ ლვალაძე, მომზადდა სკეტჩი, რომელსაც ხერგას პირველი საშუალო სკოლის მოწაფეები გაითამაშებენ და თითქმის დაზუსტდა ციფრობრივი მონაცემები რაივპრობის უფროსის სიტყვისათვის, მაგრამ საშველი არ დაადგა საზოგადოება „ცოდნას“ ლექტორთან, პატივცემულ სელვისტორ (იგივე სილიბისტრო) სირობილაძესთან მოლაპარაკების დამთავრებას. პატივცემული ლექტორის ყოველი ლექცია, როგორც წესი, ერთ აკადემიური საათზეა (ორმოცდახუთი წუთი) გაანგარიშებული, ზეიმის ჩამტარებელმა კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია საზეიმო სხდომასზე ორმოცდახუთწუთიანი ლექციის

მოსმენა, თავის მხრივ არც ლექტორმა დათმო, — ზეიმისათვის ლექციას ვერ გავალარბებო, — მერე რაიაღმასკომი იძულებული შეიქმნა საქმეში ოპერატიულად ჩარეულიყო და ბოლოსდაბოლოს შეთანხმებას მიიღწიეს — პატივცემულმა ლექტორმა ხუთმეტი წუთით შეკვეცა ლექცია.

და ხერვას სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივიც უკვე მზადაა ზეიმისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა დიომიდემ არჩეაძემ შექმნა ერთმოქმედებიანი პანტომიმა — ბალეტი „ქართული ჩაის ზეიმი“. ეს პანტომიმა — ბალეტი პატივცემულმა დიომიდემ ხუთი წლის წინათ დაწერა და მას ერქვა „ქართული ვაზის ზეიმი“. მისი დადგმა გათვალისწინებული იყო სოფელ ითხვისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კლუბში და მიძღვნილი იყო მეურნეობის პირველი რთველისადმი. სამწუხაროდ იმ წელს ვერც კლუბის მშენებლობა მოთავდა და პირველი მოსავალიც ისეთი უმნიშვნელო იყო, ზეიმად არ ღირდა. პოდა, პირველი რთველისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩაიფარცხა და მყოფრებულმაც ვერ იხილა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდემ არჩეაძის ერთმოქმედებიანი პანტომიმა-ბალეტი „ქართული ვაზის ზეიმი“. ახლა „ვაზის ზეიმი“, პატივცემულმა დიომიდემ, ცხადია, მისთვის ჩვეული ოსტატობით, გადააკეთა „ქართული ჩაის ზეიმად“. თუ „ვაზის ზეიმში“ მთავარი მოქმედი გმირები მამაკაცები იყვნენ, „ქართული ჩაის ზეიმში“ ისინი დედაკაცებმა შეცვალეს, შეიცვალა მხატვრული გაფორმებაც, — ვაზის ადგილი ჩაის პლანტაციამ დაიკავა, მუსიკა კი, ძირითად, ძველი დარჩა.

და პა, „ქართული ჩაის ზეიმის“ დღეც გათენდა.

ჩვეულებრივზე ადრე გაიღო საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარულის“ ჩაის-ფერად ახლად შეღებილი კარები. საჩაიეს მთელი პერსონალი ქალბატონ აგ-

რაფინას მეთაურობით თეთრ ხალათებშია, მაგილებს ყვავილეების თაიგულები ამკობს, ათუხუხუნდა სამოქალაქო ქართულ ელექტროფირფიტა და „ჯანმრთელობა და სიხარულის“ საზეიმოდ მორთული „მუღმივი კლიენტებიც“ ჩვეულებრივზე ადრე გამოცხადდნენ, მაგრამ მათ ქალბატონმა აგრაფინამ საჩაიეს კარები ცხვირწინ მიუხურა და მოუბოდიშა — თქვენთვის, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დღეს მხოლოდ ორ საათზე გაიღება საჩაიეო. რატომო? — უქმაყოფილოდ იხუტლეს კლიენტებმა. ჩემო ძვირფასებო, მამატიეთო, კვლავ მოუბოდიშა ქალბატონმა აგრაფინამ, ზეიმზე ჩამოსული სტუმრები საუზმეზე გყავს მოწვეულიო...

საბუთი მაგარი იყო, მაგრამ „მუღმივი კლიენტები“ მინც უქმაყოფილონი დარჩნენ.

„ჯანმრთელობა და სიხარულს“ არც რესტორანი „უღელტეხილი“ ჩამორჩა. სადარბაზოს თალი პლაკატმა დაამშვეინა: „სვით ქართული ჩაი, ჩაი მარგებელი სასმელია“. მართალია, რესტორან „უღელტეხილში“ სამოვარი არ აქვთ, სანაცლოდ ოციოდე ჩაიდან ააღუტლეს, ხოლო მთავარმა მზარეულმა კაპიტონ კავილაძემ თვითონვე შეამზადა მარის ჩაის ნაყენი, და „უღელტეხილის“ ჯაზ-ორკესტრი, რომელიც ჩვეულებრივად ვაზშობისას უკრავს, დღეს დილიდანვე გაიქაქა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ხარიტონ ხიდაშელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდემ არჩეაძემ, ზეიმის ჩამტარებელი კომისიის სხვა წევრებიც დილაადრიან გამოვიდნენ რკინიგზის სადგურზე მოწვეული სტუმრების შესახვედრად და თბილისიდან ჩამოსულმა მატარებელმა მათ საზეიმო განწყობილებას ცივი წყალი გადაასხა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქართველოს ჩაის“ ტრესტიდან ბარე ოცამდე სტუმარი იყო მოწვეული, ჩამოსვლით კი ერთადერთი კაცი ჩამოვიდა, ტრესტ „საქართველოს ჩაის“ რევიზორ-ბულა-

ლტერი პატივცემული ეპიფანე დოკვირი. დოკვირმა მოუბოდიშა პატივცემულ ხარიტონს — ხვალ სოფლის მეურნეობის სამინისტროში სპეციალური თათბირია დანიშნული ჩაის მრეწველობის განვითარების საკითხებზე და ამიტომაც ვერ ჩამოვიდნენ პასუხისმგებელი ამხანაგები ზეიმზეო.

— ეცნობებინათ და გადავდებდითო, — საყვედურით თქვა ხარიტონ ხიდაშელმა.

პატივცემულმა ეპიფანე დოკვირმა უხერხულობა იგრძნო, პირი მოკეშა და არაფერი უპასუხა.

თბილისში მიმავალი მატარებელიც ჩამოდგა, ხარიტონ ხიდაშელმა ვაგონების ფანჯრებშივე მოჰკრა ბევრ ნაცნობს თვალი და გახალისდა. ხერგას სადგური ჩამოსული სტუმრებით გაივსო, მათ შორის იყვნენ მეზობელი რაიონების რაიკომებისა და რაილმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სახელმწიფო მუშაკები და აგრონომები.

საუზმის შემდეგ, რომელიც საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარულში“ თორშეტ საათამდე გაგრძელდა, სტუმრები ხერგას სახალხო თეატრში მიიწვიეს.

„ცოდნის“ ლექტორმა, პატივცემულმა სელვისტორ სირბილაძემ, როგორც წესი, საუბარი ჩაის კულტურის ისტორიის მიმოხილვით დაიწყო. ჩაის კულტურაო, თქვა პატივცემულმა ლექტორმა, უტყუარი მატერიალური მონაცემებით არის დადგენილი, უხსოვარდროში ყოფილა გავრცელებულიო, პრიორიტეტი ეკუთვნით ინდოეთს და ჩინეთსო, უპირატესად კი მაიორკის კუნძულებსო. ჩაის წარმოშობაზე მსოფლიოს ხალხებში მრავალი თქმულება ლეგენდა არსებობს, ყოველი ლეგენდა თქმულება თავისებურია და საინტერესო, მაგრამ ისტორიკოსები ერთს ჰინდურ ლეგენდას ანიჭებენ უპირატესობასო. ...ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე ათასწლეულში, ინდოეთში, დაახლოებით ამჟამინდელი დელის მიდამო-

ებში, ცხოვრობდა ერთი წმინდანი — ჯავახ-მენონ-ჰუ. ამ წმინდანს ჯავახ-მენონ-ჰუს პირობა მიუტია მამაზეციეროსთვის — ჩემს სიცოცხლეში არ დავიძინებ, ფხიზლად ვიქნები და თვალს ერთხელაც არ მოვხუჭავ, რომ ბოროტება არ გავაჰუჯანო დედამიწაზეო. მამაზეციეროს მოსწონებია ჯავახ-მენონ-ჰუს ასეთი პირობა და თავის მხრივ წმინდანისათვის მარადიული სიცოცხლე უბოძებია. ცხოვრობდა ჯავახ-მენონ-ჰუ ამჟამინდელი დელის მიდამოებში და ყოველდღიურად მასთან მითავარია ხალხი მიდიოდა რჩევისათვის. იცხოვრა ასე ჯავახ-მენონ-ჰუმ ერთი, ორი, სამი ათასი წელიწადი. ხალხის ერთი მოდგმა წყდებოდა, ჩნდებოდა ახალი მოდგმა, წმინდანი კი ამჟამინდელი დელის მიდამოებში არხეინად იჯდა ჰილობზე, კურთხევით ისტუმრებდა იმჟვეყნად მიმავალთ, ღიმილით ეგებებოდა ახალ თაობებს და მამაზეციეროს სახელით უჰადაგებდა მათ ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას, მორჩილებას განგებისადმი. ხალხიცა და მამაზეციერიც კმაყოფილი იყვნენ წმინდანის მოღვაწეობით და აჰა-ვაი, ერთ მშვენიერ დღეს, დაბადებიდან სამიათას სამას სამოცდამეჩვიდმეტე წელს, როცა ამჟამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრებნი ეახლნენ წმინდანს დაბადების დღის მისალოცად, ჯავახ-მენონ-ჰუს არხეინად ეძინა ჰილობზე და თქვენი მოწონებული მაგარადაც ხერინავდა, ისე ხერინავდა, სტალიონის სიშორეზეც გაიგონებდით. გაევირდნენ ჰინდნი და ელდა ეცათ, ფარსაგი რადაცა მოსვლია ჯავახ-მენონ-ჰუს, თორემ როგორ დაიძინებდაო. და შეუხუხდნენ ჰინდნი, დასხდნენ ტირილად და მოთქმად. ჰინდთ ტირილი და მოთქმა ღრიალივით გამოუვიდათ და ჰინდთა ღრიალზე გააზმორა ჯავახ-მენონ-ჰუმ, მერე მიბლეტილი თვალები თანდათან გამოაბაჰუნა, იგრძნო თავისი უბედურება, ელდანაკრავივით წამოიჭრა ზეზე, ბელტებისოდენა ხელები თავში წაიშინა და იწყო გოდება. — როგორ მომივიდა ყოვლადმღიერო, პი-

რობა როგორ დაგირღვიე, ჩანს შენი მადლი განმერიდა, წმინდანობა დაჯარგე, სიკვდილი მომდგომია კარს, დადგა ჩემი აღსასრულის დღე და აჰა, ვაგდღივარ შენს წინაშე მუხლოდრეკილი და შენგან ველი სიკვდილს, მამაე უფალო! „ერთი ალილუია მეც შემშლიაო“ ჩემად უთქვამს მამაზეციერს, მაგრამ ბოძებული მარადიული სიცოცხლე მაინც წაურთმევია ჯავახ-მენონ-ჰუსათვის, ამას რომ ვაპატიო ერთი წაძინება, შესაძლოა სხვა წმინდანებიც ასე მოიქცნენ და მაშინ დედაშიწაზე ჩემი საქმე ცუდად წავაო. და მამაზეციერს დაუწყევლია ამქამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრები ჯავახ-მენონ-ჰუსათვის ღრიალით თავქვე დამხოზილა ჯავახ-მენონ-ჰუს, მისი ღრიალით შეწუხებულან ჰინდნი და ვაივიშით გასცლიან იქაურობას. მთელი ღამე უფიქრია მარტოდდარჩენილ წმინდანს და ძილრ თვალებისათვის დაუბრალებია, საკუთრივ მარჯვენა თვალისათვის, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლო ათასწლეულში ხანდახან ატკივდებოდა ხოლმე. განურისხდა მარჯვენა თვალს ჯავახ-მენონ-ჰუს, უმტკივნეულოდ ამოითხარა და მიწაში ჩამარხა. გასულა ხანი და იმ ადგილას, სადაც ამქამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრებმა წმინდანმა თავისი მოღალატე თვალი ჩამარხა ამოსულა ბალახი, ჩვეულებრივი ბალახი კი არა, ჩვეულებრივი ბალახისგან ძალზე განსხვავებული, დიდი და ხასხასად მწვანე. ძალიან მალე გაქუჩუჩებულა ის ბალახი, ისეთნაირად გაქუჩუჩებულა, რომ სწორედ ამქამინდელი ჩაის ბუჩქის ფორმა მიუღია. — ეს უძილობის წამალიაო, უთქვამს ჯავახ-მენონ-ჰუსს, მოუტრეფია ხასხასა ფოთლები, ჯიგრიანად გაურეცხია და მოუხარშავს, ის ნახარში ამქამინდელი მაისის ჩაის ნაყენივით მუქი გამოსულა, დაუღევია წმინდანს ის ნაყენი და იმის შემდეგ ჯავახ-მენონ-ჰუსს მარცხენა თვალს ძილი ახლოსაც ვერ გაჰკარებია. და თუ ლეგენდას ვერწმუნებით, ის ცალთვალა წმინდანი, ახლაც არხინად

ცხოვრობს ამქამინდელი დელის მიდამოებში.

საქართველო

ამ ლეგენდაში ერთი საზარმატო რაიო, — ხაზგასმით თქვა პატივეცემულმა სელესტორ სირბილაძემ, — როცა გვეყვინთება, კარგად დაყენებულ ჩაის თუ მივიერთმევთ, გამოვფხიზლდებით ხოლმეო.

ლეგენდის სიბრძნე მათეს პირდაპირ შეუტანია თავის საზარებაში: „უკეთეს თვალი შენი მარჯვენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარსწყდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გვაში შენი შთავარდეს გეენიასა“.

შემდეგ პატივეცემულმა ლექტორმა დაწვრილებით მოახსენა საზეიმო სხდომის მონაწილეებს თუ რამდენი ტონა ჩაი იკრიფება მსოფლიოში ყოველწლიურად, რა ხვედრითი წონა უკავია ქართული ჩაის მრეწველობას ჩაის მსოფლიო მრეწველობაში. როგორია მისი პერსპექტივები ახლო და შორეულ მომავალში.

ლექციისა და მისასალმებელი სიტყვებზე შემდეგ გათამაშებული სკეტჩი და ასკალონ ტრაპაიძის მიერ უშუალოდ წარმოთქმული ლექსები დიდად მოეწონათ ზეიმის მონაწილეებს, მაგრამ მთავარი სიხარული მათ წინ ედოთ.

გვარიანი შესვენების შემდეგ, სცენაზე, ფარდის წინ, დიომიდე არჩაძის მალალი და ჩასხმული ფიგურა აღიმართა და პროგრამის მიხედვით ტაშმა იქუხა. დიომიდე ხელების გაშლით მიესალმა ზეიმის მონაწილეებს, მერე მარცხენა ხელით შეთხლებული თმა შევიარცხნა და მისთვის ჩვეული, ოდნავ ყალბი მკერადი ხმით დაიწყო.

— პატივეცემულო მეგობრებო და ძვირფასო სტუმრებო! თენდება ჩვეულებრივი შრომითი დილა და კოლმეურნე ქალი ალათი სეფისკვერადე... უნდა მოგახსენოთ, რომ ალათი და ქიშვარდი სეფისკვერადეების ოჯახს, რომელიც ჩვენს მეზობელ რაიონში ცხოვრობს,

მე ახლოს ვიციან, ბევრჯერ ვყოფილ-
ვარ მათთან და ბევრჯერ დამილოცნია
მათი მრავალწევრიანი ოჯახი. სხვათა-
შორის, მათ ექვსი შვილი ჰყავთ, ერთი
ვაჟი და ხუთი გოგონა. იმასაც მოგახ-
სენებთ, რომ ექვსივენი ჩინებულად
სწავლობენ და კოლმეურნეობასაც ეხ-
მარებიან. დიახ, კოლმეურნე ქალი ალა-
თი სეფისკვერაძე უთენია დგება, ზე-
ზეურად წაიხემსებს, ცხადია, რაიმე
ნოყიერს და გემრიელს და კალათით
ხელში გულმხიარული, აჩქარებული და
მოხდენილი ნაბიჯით მიეშურება ჩაის
მარადმწვანე პლანტაციისკენ. მიუახ-
ლოვდება ჩაის მარადმწვანე პლან-
ტაციას ალათი სეფისკვერაძე, ღიმილით
გადახედავს ჩაის ბუჩქებს და თითქოს
ჩაის ხასხასა ბუჩქებს, არა, თითქოს კი
არა, ნამდვილად, ალათი სეფისკვერაძის
ცისკროვანი ღიმილი გადაეფინება. ასე
ბეჭითად და მხიარულად იწყებს შრო-
მას დილაადრიან ქეშმარიტი კოლმეურ-
ნე ქალი... რა ამხიარულებს ალათი სე-
ფისკვერაძის და მრავალ სხვა მისთანათა
შრომას? მხოლოდმხოლოდ უმაღლე-
სი შეგნება — მათი შრომისმოყვარე
ხელებით ასე გახარებული და მოკრე-
ფილი ჩაი შრომით ენერგიას უორკე-
ცებს ათასს და ასი ათასს მშრომელს.
თქვენ, პატივცემულო სტუმრებო და
ძვირფასო მეგობრებო, ჩემზე უკეთ
მოგეხსენებათ, როდენ ვსიამოვნებთ
ჩვენ, როცა მივირთმევთ კარგად დაყე-
ნებულ არომატულ ჩაის და, ჩემს უდ-
როოდ გარდაცვლილ მშობლებს გეფი-
ცებით, სრული ქეშმარიტებაა, კარგად
დაყენებული და არომატული ჩაი ახა-
ლი ხილვისათვის ადფრთოვანებს შე-
მოქმედ აღამიანებს. სრული პასუხისმ-
გებლობით შემიძლია განგიცხადოთ —
უბრწყინვალესი მიზანსცენები (დაბალი
ხმით, ვითომ სქოლიო ყოფილიყოს,
დიომიდე არჩვამე ძვირფას მეგობ-
რებს და პატივცემულ სტუმრებს წვრი-
ლად განუმარტა, თუ რა არის მიზანს-
ცენა) კონსტანტინე სტანისლავსკის, ნე-
მიროვიჩ-დანჩენკოს და ახალი ქართუ-
ლი თეატრისჯაღდღქარს, ჩვენს სასიქა-

დულო თანამემამულეს კოტე მარჯანი-
შვილს, სწორედ არომატულ ჩაის სკის
მომენტებში აქეთ შექმნილი ამის სუშუ-
ალო შემსწრე და თანამონაწილე გახლ-
დათ თქვენი მონამორჩილი... დიახ, ძვი-
რფასო მეგობრებო და პატივცემულო
სტუმრებო, მე ისევ ვუბრუნდები კოლ-
მეურნე ქალის ალათი სეფისკვერაძის
კეთილშობილურ და შთაგონებულ
შრომას: დღეს ჩვენ ვზეიმობთ, ისტო-
რიულ გამარჯვებას ზეიმობს ქართული
ჩაი, ადფრთოვანებულნი ვსხედვართ
ამ ჩინებულ დეკორაციულ შენობაში
და ვადიდებთ ქართული ჩაის ოსტა-
ტებს... ქეშმარიტად, როცა ვეწაფე-
ბით არომატულ სითხეს, საამოდ იე-
ლინთება ჩვენი სხეული, ტვინში სიბრ-
ძნე გვემატება, მუხლებსა და ხელებში
ძალა და ჩვენ აღვეგზნებთ დიდი შემო-
ქმედებითი შრომისა და ხილვისათვის,
და ყოველივე ამის ფუძეთაფუძე გახ-
ლავთ ბეჭითი კოლმეურნე ალათი სე-
ფისკვერაძე და მრავალშემრავალ მის-
თანათა კეთილშობილური შრომა... და
ჩვენმა თეატრმა, აქ შეკრებილთა საყ-
ვარელმა თეატრმა, ბევრი იღონისძია,
რომ მცირედად მაინც მოეხადა ვალი
სახელოვან ქართველ მეჩაიეთა წინაშე.
ახლავე, ჩემი სიტყვის შემდეგ, თქვენ
ნახავთ ჩვენი თეატრის ახალ დადგმას
— „ქართული ჩაის ზეიმი“.

პატივცემულო სტუმრებო და ძვირ-
ფასო მეგობრებო, ჩვენი თეატრის კო-
ლექტივის სახელით მსურვალედ მოგი-
ლოცავთ ქართული ჩაის ზეიმს, წარმა-
ტებებს ვისურვებთ შრომაში და ბედ-
ნიერებას პირად ცხოვრებაში. გმად-
ლობთ ყურადღებისათვის.

დაამთავრა თუ არა სიტყვა დიომიდე
არჩვამე, პროგრამის მიხედვით, ტაშ-
მა იქუხა, ხოლო სახალხო თეატრის
მსახიობებმა რაღაც შესძახეს, მერე სი-
ნათლე თანდათან, მხატვრულად ჩაპქ-
რა, ფარდაც თანდათან, ნელა აიკეცა
ჭერში და სცენის წინაპლანზე ამოიმა-
რთა ერთობ მსუქანი ასოებით დაწე-
რილი აფიშა.

„ქართული ჩაის ზეიმი“.

ერთმოქმედებიანი ბალეტი — პან-ტომიზა.

ლიბრეტოს ავტორი — დიომიდე არჩვაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

დადგმა — დიომიდე არჩვაძის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მუსიკალური გაფორმება — დიომიდე არჩვაძის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მონაწილეობს სახალხო თეატრის მთელი დასი.

თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი — დიომიდე არჩვაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

შუქით გაჩაჩხაბებული აფიშა ნელ-ნელა შემოტრიალდა, ისე შემოტრიალდა, რომ ყველას ადვილად წაეკითხა, მერე ასევე ნელნელა ჩაიკეცა და ჩაიჩუტა.

ტაში. შეძახილები. აქა-იქ თავშეკავებული სიცილი.

დილა. ღრუბლიანი, ძალიან ღრუბლიანი დილა. თენდება და ვერც თენდება. (მუსიკა — გათენების მუშუყებელი — მამლები აყივლდნენ, ძაღლებმაც წაიყეფეს).

სცენაზე თანდათან ისახება სოფლის სურათი.

წინაპლანზე პატარა მოლიანი ეზო, ოდა-სახლის რიკულებიანი, გადახურული აივანი, ახლოს — მოსაფალტებელი გზა, მოშორებით — ჩაის ბუჩქებით დაფარული ფერდობი. ასფალტი ისე ბზინავს, ეტყობა წუხელ მთელი ღამე უწვიმია, ხოლო ღრუბლები ისე დაბლაა ჩამოწოლილი, სადაცაა ისევე გაწვიმდება. ოდასახლის კარი პრიალით იდება და აივანზე გამოდის ოჯახის დედა — კოლმეურნე ქალი, შესაძლოა ეს იყოს ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი (მუსიკა — შრომის რიტმი). ქალს ხელში კალათი უკავია, იგი ნელი, მსუბუქი ნაბიჯებით ჩამოდის კიბის საფეხურებზე და ეზოში წაიცეკვებს, მერე

უცებ შედგება, ცას ახედავს, სანუ შეეკმუნხება და ცეკვა-ცეკვით შებრუნდება ოდაში. ახლა კალათთან ერთად ქოლგაც გამოაქვს, რიტმული ნაბიჯებით ჩამოირბენს კიბის საფეხურებს და ცეკვა-ცეკვით მოსაფალტებულ გზაზე გადის, ქოლგას და კალათას ასფალტებებს და დილის გამამხნეველ ვარჯიშს ასრულებს. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ცას ახედა, აიტაცა ქოლგა და კალათი და ქოლგიან-კალათიანი ხელები მალმალე დააქნია — ბეჭითი კოლმეურნე ქალი მეზობლებს უხმობს ჩაის საკრეფად წამოდითო. ახლა კი მაყურებელი რწუნდება, რომ ეს ბეჭითი კოლმეურნე ქალი ნამდვილად ალათი სეფისკვერამის განსახიერებაა. კარგა ხანს ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი მარტოა მოსაფალტებულ გზაზე (მუსიკა — ისევე შრომის რიტმი), იგი თანდათან ანერვიულდება, ქოლგიან-კალათიანი ხელებს უფრო სწრაფად იქნევს, ხანდახან კისერსაც ისე წაიგრძელებს, ეტყობა მეზობლებს უცაცხანებს — რა მოგივიდათ, გამოეტიეთო.

ცეკვა-ცეკვით, თანდათან და რიგრიგად მოსაფალტებულ გზაზე გამოდიან კოლმეურნე ქალები — ზოგი ერთობ ახალგაზრდაა, საშუალო სკოლის მოსწავლის ასაკისა, ზოგი ხანშიშესული, ორი კი შებერებული; ამ შებერებულ ქალებს ერთობ ენერგიული სახეები აქვთ, მათ უფრო დიდი კალათები და პრელი ქოლგები ხელში მსუბუქად უჭირავთ. ჩაის მკრეფავი ქალები ცეკვა-ცეკვით ავანსცენისკენ გამოგოგმანდებიან, ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი ოდნავ შემალდება და ამხანაგებს ხელებით ანიშნებს — შესაძლოა წვიმა წამოვიდეს, მაგრამ ჩვენ ჩაის კრეფის ღლეწანდელი გეგმა მაინც უნდა შევასრულოთო. თანხმობის ნიშნად კოლმეურნე ქალები ალათი სეფისკვერამის პროტოტიპს გაუღიმებენ (მუსიკა — შრომის ამალმებული რიტმი) და ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი ცეკვა-ცეკვით პირველი მიემართება ჩაის პლანტაციისაკენ. მას ფეხდაფეხ გაპ-

ყვებიან ქოლგიან-კალათიანი ქალები და პლანტაციასი გაიშლებიან, ქოლგებს მიწაზე დადებენ, მერე ჩაის ბუჩქებს ცეკვა-ცეკვით შემოუვლიან და იწყებენ ჩაის კრეფას (მუსიკა — ისევ შრომის რიტმი, ოღონდ წინანდელზე უფრო გაძლიერებული და ამბულლებული). იესება კალათები, ჯერ ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი გაიღიმებს და პირს ფართედ გააღებს, შემდეგ ყველა მკრეფავი გაიღიმებს და გააღებს პირს (მუსიკა — ჩაის მკრეფავის სიმღერა). ფოთლებით საცხე კალათები მკრეფავ ქალებს ცეკვა-ცეკვით გააქვთ ფარდის უკან და მალე ისევ ცეკვა-ცეკვით ბრუნდებიან პლანტაციასი. (რეჟისორის ჩანაფიქრი — იგულისხმება და მაყურებელიც ადვილად ხედება, რომ ფარდის უკან დგას საბარგო მანქანა და ის მანქანა ჩაის ფოთოლს ფაბრიკაში ეზიდება).

ქუხილი. კოლმეურნე ქალები შეკრებიან და ცას ნაღვლიანად ახედავენ.

ელვა. გაბმული ქუხილი. ქარის სისინი. (მუსიკა — განგაშის მაუწყებელი, თან გამამხნევებელი). წამოვა წვიმა. ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი მარცხენა ხელის ილიაში გაიჩრის ქოლგის ტარს, ქოლგას მარჯვედ მოირგებს და მარჯვენა ხელით გამალებით კრეფს ჩაის ფოთოლს, ყველა მკრეფავი მას ბაძავს, ფოთლით საცხე კალათები ისევ ცეკვა-ცეკვით გააქვთ ფარდის უკან და ისევ მალე და ცეკვა-ცეკვით ბრუნდებიან პლანტაციასი.

ისევ ელვა. ისევ გაბმული ქუხილი. ისევ ქარის სისინი. წვიმა.

ქოლგიან-კალათიანი ქალები უფრო ბეჯითად და ხალისიანად მუშაობენ.

ავტომანქანის მობტორის თახთახი მკრეფაეები ფარდის უკან გაიჭრებიან, მერე ცარიელი კალათებით ბრუნდებიან პლანტაციასი, ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი შემალდდება, თანამებრძოლებს ეღიმილება და გეგმის შესრულებას ულოცავს (მუსიკა — მელოდიური, თან საზეიმო), საერთო ალტაცება, მკრეფაეები ერთმანეთს ხელს ჩამოარ-

თმევენ და კალათებზე მსუბუქად და მოხერხებულად ჩამოჯდებიან.

წვიმა თანდათან წყდება, წუთით ცალი თვლით მზეც კი გამოიხედავს და ჩაის მკრეფავთა სახეებს შინდისფრად გაანათებს.

ჩაის მკრეფავნი იღიმებიან, კისერს ოდნავ წაიგრძელებენ და პირს ფართედ აღებენ (მუსიკა — ჩაის მკრეფავის სიმღერა). ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი პირველი წამოდგება კალათიდან, მერე ორი მოხუცი ქალი წამოდგება, მერე ყველანი წამოდგებიან და ფერდობიდან ცეკვა-ცეკვით ეშვებიან, ავანსცენაზე გამოსულნი (მუსიკა — ხალისიანი შრომის რიტმი) პლანტაციისკენ შებრუნდებიან და ჩაის ბუჩქებს ხელებს ისე უჭნევენ, თითქოს ცოცხალ არსებას ემშვიდობებიანო.

სცენის სიღრმე ჩაბნელდება.

ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი. მებობრებს ემშვიდობება და ეზოში შემოდის (მუსიკა — მელოდიური, თან საზეიმო). შედგება, ირგვლივ მიმოიხედავს და როცა კიბეზე ჩამომავალ ქიშვარდს და უმცროს ქალიშვილს დაინახავს, კალათს და ქოლგას ხელიდან გააგდებს და ცეკვა-ცეკვით კიბისკენ გაქანდება, ქალიშვილს ხელში აიტაცებს, ეალერსება, ჰკოცნის და ახტუნავებს. ქიშვარდი სიხარულს ვეღარ მალავს და იღიმება, მოლზე დაგდებულ კალათს და ქოლგას მოწიწებით აიღებს, ხელებს მაღლა შემართავს (მუსიკა — ცეკვა „ქართული“) ცეკვის რამდენიმე ილეთს მოხდენილად შეასრულებს და კალათი და ქოლგა ცეკვა-ცეკვით შეაქვს სახლში. ალათი სეფისკვერადის პროტოტიპი უმცროსი ქალიშვილით ხელში, ქიშვარდს გაჰყვება.

ღარბაზში სინათლე თანდათან ენთება (მუსიკა — საზეიმო, პათეტიკური).

ტაშის ქუხილი. შეძახილები. მაყურებელი მსახიობებს სცენაზე იწვევს. მსახიობები არ აყოვნებენ და მოღიშარი სახეებით ცეკვა-ცეკვით გამოდიან სცენაზე. მაყურებლებში გეგმიანად ჩამჯდარი თეატრის თანამშრომლები ხმა-

ღლა გაჰყვირიან — დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! მათ ძახილს მსახიობები აიტაცებენ, ძლიერდება ტაში. შთაბეჭდილება — მთელი დარბაზი სცენაზე იწვევს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს დიომიდე არჩვაძეს... ბოლოსდაბოლოს ფარდის უკან მიმალული დიომიდე კისერს წაიგრძელებს და ღიმილიან სახეს გამოაჩენს, უფროდაუფრო ძლიერდება ტაში, ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი ცეკვა-ცეკვით მიეჭრება დიომიდეს, მკლავში მაგრად წაავლებს ხელს და დიომიდე სცენაზე შემოჰყავს. ტაში კიდევ უფროდაუფრო ძლიერდება. უფროდაუფრო ხმამაღლა გაისმის — დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! დიომიდე უხერხულობას გრძნობს და მორცხვად იღიმება, აღტაცებულ მაყურებელს მდაბლად დაუკრა თავი, ხელები გაშალა, მერე თანდათან მოლუნა და მკერდზე მაგრად მიიკრა — თითქოს მთელ დარბაზს შემოაწვდინა თავისი გრძელი ხელები და საყვარელი მაყურებელი მკერდში ჩაიკრა. შემოაქვთ ყვავილების კოხტად შეკრული თაიგული და დიომიდეს ფერხთით დებენ. ახალი აღტაცება. ტაშის ქუხილი. შეძახილები. დიომიდე თაიგულის შემომტანს ხელზე ეამბორა. ისეთი ტაში, სადაცაა დარბაზის ჭერი ჩამოინგრევა. დიომიდე ალათი სეფისკვერამის პროტოტიპს ჰკოცნის, შთაბეჭდილება — სპექტაკლის ავტორ-რეჟისორი მადლობას უხდის თეატრის კოლექტივს ავტორ-რეჟისორის ჩანაფიქრის ოსტატურად შესრულებისათვის.

როდის-როდისღა ტაშის ქუხილში, ნელ-ნელა ეშვება ფარდა.

როცა „ქართული ჩაის ზეიმის“ ლიბრეტოს ვფურცლავდი, ბოლო ფურცელზე ასეთ ჩანაწერს წააწყდი:

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებელი სცენაზე გამოგიწვევს მადლობის გამოსახატავად (ეს უმკველად მოხდება), მცირე ხანს შეყოვნდება, მერე სცენის სიღრმეში მორიდებულად გამოჩნდება, გიხარია სპექტაკლის გა-

მარჯვება, ლელავ... ტაში გაძლიერდება და იმრავლებს შეძახილი (შეძახილი აუცილებლად საქიროა). თეატრის კონტროლიორს და ალათი სეფისკვერამის პროტოტიპის მეუღლეს ბოხი ხმები აქვთ, ისინი დარბაზში ერთმანეთისგან კარგა მოშორებით დასხდებიან და დაიძახებენ — დიომიდე! (სამჯერ) შთაბეჭდილება — თითქოს მთელი დარბაზი გეძახის და გიწვევს. შენ ჯერ კიდევ სცენის სიღრმეში მოკრძალებულად დგებარ, გერიდება სცენაზე გამოსვლა. შენკენ ცეკვა-ცეკვით წამოვა ალათი სეფისკვერამის პროტოტიპი, მკლავზე წაგავლებს ხელს და გეჰაჩება. ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით გაჰყვები ალათი სეფისკვერამის პროტოტიპს, აღტაცებულ მაყურებელს მდაბლად დაუკრავ თავს, ხელებს ჯერ გაშლი, მერე თანდათან მოლუნავ და მკერდზე მაგრად მიიდებ, შთაბეჭდილება — თითქოს მთელ დარბაზს შემოაწვდინე ხელები და საყვარელი მაყურებელი გულში ჩაიკარი. ტაში და შეძახილები უფრო ძლიერდება (ტაშს მაყურებელთან ერთად მსახიობებიც უკრავენ), სწორედ ამ დროს შემოიტანენ ყვავილების თაიგულს და შენს ფერხთით დადებენ. ახალი აღტაცება. ტაშის ქუხილი. შეძახილები. თაიგულის შემომტანს ხელზე ეამბორები. ტაში გაძლიერდება... მაშინ გადაჰკოცნი ალათი სეფისკვერამის პროტოტიპს, შთაბეჭდილება — სპექტაკლის ავტორ-რეჟისორი მადლიერია კოლექტივისა მისი რეჟისორული ნააზრების სრულყოფილად შესრულებისათვის.

ტაშის ქუხილში ნელნელა ეშვება ფარდა.

...ქართული ჩაის ზეიმმა თეატრიდან რესტორან „უღელტეხილში“ გადაინაცვლა. სამწუხაროდ ზეიმის ამ ნაწილში კონსტანტინე კაკუბერმა ვერ მიიღო მონაწილეობა. მან ჯერ კიდევ თეატრში, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდე არჩვაძე ამბობდა სიტყვას, თავი შეუძლოდ იგრძნო, ბოდი-

მით დაემშვიდობა სტუმრებს და შინ წავიდა.

რესტორან „ულელტეხილში“ თეთრი და წითელი იმერული ღვინით დილა-მდე სვეს ქართული ჩაის და ქართველ მეჩაიეთა სადღეგრძელოები.

„ხერგას ხმამ“ გაზეთის სპეციალური ნომერი მიუძღვნა ხერგაში გამართულ „ქართული ჩაის ზეიმს“. ყველაფერი დაწერილებით იყო მოთხრობილი და ამ საერთო-სახალხო ზეიმში დისონანსად ეღერდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის, ხერგას სახალხო თეატრის დირექტორის და მხატვრული ხელმძღვანელის დიომიდე არჩვაძის პანტომიმა — ბალეტისადმი მიძღვნილი სტრიქონები. გაზეთი თავდაპირვით და დიდი ტაქტით, ამასთან გაბედულად წერდა: „პანტომიმა-ბალეტი „ქართული ჩაის ზეიმი“ ჩვენი ნიჭიერი თეატრის სამწუხარო ჩავარდნაა. ჩვენს გულისტკივილს უფრო ამძიმებს ის, რომ ეს შემოქმედებითი მარცხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოუვიდა ქართული თეატრის ისეთ სახელმძღვანელო და დიდადდამსახურებულ მოღვაწეს, როგორც იყო და ამჟამადაც უდავოდ გახლავთ საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი პატივცემული დიომიდე არჩვაძე. ვისხედით მაყურებელთა დარბაზში, შევეყურებდით ჩვენი ნიჭიერი თეატრის ნიჭიერი მსახიობების თამაშს (თუ შეიძლება თამაში ვუწოდოთ სცენაზე დატრიალებულ ორომტრიალს) და საკუთარ თვალს არ ვუჭერებდით: ყალბი სიუჟეტი, უგემოვნოდ შერჩეული მუსიკა, არაპროფესიული ქორეოგრაფია, უფერული მხატვრობა (ვაგლახ, რომ ყოველივე ეს „ქართული ჩაის ზეიმში“ ერთ ხელოვანს ეკუთვნის), დიახ, ეს ნამდვილი მარცხია, დიდად დასანანი შემოქმედებითი მარცხი. განა შეიძლება ასეთი უდიდესი ნაწარმოები შევბედოთ სახელგანთქმულ ქართველ მეჩაიეებს? სამარცხვინოა, დიდად სამარცხვინო!“

„ჩვენი შეხედულების სისწორე ზეი-

მის მონაწილე ქართული ჩაის ოსტატებმა დაგვიდასტურეს. მწერა გაზეთში და იქვე იყო მოყვანილი მეჩაიეთა გამონათქვამები. ყველაზე მაგარი — კი ის გახლდათ, რომ თვით პატივცემულ ალათი სეფისკვერამეს სიტყვასიტყვით უბრძანებია: „ამ თამაშის მომწყობთ აუცილებლად თავსხმაში მივიწვევ ჩემს კოლმეურნობაში, შევიყვან პლანტაციაში, დავაკავებინებ ხელებში ქოლგებს და კალათებს და ვნახავ ჩაის სველ ფოთოლს ასეთი ზენტრუცხენტრუკით თუ მოკრეფენო“... წერილის ბოლოში შენიშვნა.

„ჩვენთვის ყოველად მოულოდნელი იყო ოვაციები, რაც პანტომიმა-ბალეტის დამდგმელს გაუმართეს. კულტურული მაყურებელი იოლად მიხვდა, ეს ოვაციები იყო თეატრალიზებული და არა ხალხისმიერი. უმჯობესი იქნებოდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს, პატივცემულ დიომიდე არჩვაძეს, თავისი შემოქმედებითი ენერჯია და დიდი ოსტატობა, რომელიც მან ოვაციების ორგანიზებას მოახმარა, სპექტაკლისათვის შეეწირა, ეგებ ოდნავ მაინც უკეთესი გამოსულიყო „ქართული ჩაის ზეიმი“...“

დიომიდე არჩვაძე კინალამ ლოგინად ჩავარდა. ცხელ გულზე გადაწყვიტა საპროტესტო წერილი გაეგზავნა რედაქციისათვის, ხოლო პარტიის რაიკომში საჩივარი შეეტანა, მერე იყოყმანა და თავი შეიკავა, რატომღაც იფიქრა, „ხერგას ხმაში“ დაბეჭდილი სტატია, ადვილი შესაძლებელია, კონსტანტინე კაჟუბერთანაც კი იყოს შეთანხმებულიო. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებდა, რომ კონსტანტინე კაჟუბერი სწორედ მაშინ წავიდა თეატრიდან, როცა პატივცემული დიომიდე არჩვაძე თავის მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა. ეს კარგად დაინახა დიომიდემ და ცუდად ენიშნა.

ის იყო და ის. გულიდან იოლად გადაიყარა წყენა პატივცემულმა დიომიდემ, ისევ თავადერილი დადიოდა ხერგას ქუჩებში და ნაცნობ-უცნობებს ქულის მოხდით ესალმებოდა.

ნაწილი მეზღვიე

თავი პირობები



ალექსანდრე ჩაფიჩაძემ რძლისა და შვილიშვილების დასახვედრად თადარიგი აღრევე დაიჭირა.

ეზოთი დაიწყო. პირველად ეზოს უკანა, თვალისგან მოფარებული ადგილი დაამასპასა, ფოთლები და ფიჩხები ეზოს ბოლოში გაიტანა და დაწვა. მერე ლეიბები, საბნები, ბალიშები და მუთაქები ვაამზეურა და ოდასახლის იატაკი საპნიანი წყლით მორეცხა.

რაც მთავარია, ოთახები გაანაწილა:

ზალა, როგორც ყოველთვის, სასტუმროდ. სადილიც ზალაში.

პირველი ნომერი ოთახი, — მისი ორი ფანჯარა წინა აივანზე გადის, — რუსუდანის და რევაზის გახლავთ. ბუხარი, თეთრი, კამარინი ბუხარი. კამარაში მამალი და ის მამალი ვითომ ყივის. კაკლისხის მრგვალი მაგიდა. დიდი სარკე. კაკლისხისავე ორი ტახტი. ფიცრები სოლომონ კიკნაველიძისგან იყიდა, მეწველი ძროხა მისცა ფიცრებში. სამი თვე თვითონვე იოსტატა, არ მოეწონა თავისი ნახელავი და მერე რაქველი ოსტატი მოიწვია. დიდი, ძალიან დიდი ხნისაა ეს ტახტები და ახლაც არ დაიწუნებია: ჩუქურთმიანი ფეხები, ჩუქურთმიანი საბალიშები — ირემი და შველი. ირმისჩუქურთმიანი ტახტი ალექსანდრესი გახლავთ შვლის ჩუქურთმიანი მელიკისა იყო. ამ საწოლზე პირველად მეუღლესთან ერთად დაწვა ალექსანდრე, რევაზიც ამ ტახტზე დაიბადა. მელიკის გარდაცვალების შემდეგ ამ საწოლებზე არ დაწოლილა. ლოგინი კი არ მოუშლია, ვითომ მელიკი ისევ ცოცხალია და მელიკი და ალექსანდრე ლამაზობით ვითომ ამ ტახტებზე წვანან. ზალაში ლამაზს რომ ანათებს ალექსანდრე, ამ ოთახშიაც ანათებს ლამაზს, დაწოლის წინ კი ლამაზის ჩასაქრობად ფეხაკრეფით შემოვა და ვიდრე ლამაზს ჩააქრობდეს, კედელზე დაკიდებულ სურათს შეხედავს, — იმ სურათიდან თე-

ორკაბიანი ქალიშვილი და იისფერჩოხიანი ვაჟკაცი გაუღიმებს. მელიკი და ალექსანდრე. ორმოცი წლის წინათ გადაიღეს ეს სურათი ხერგაში. და ეს სურათი უკანა ოთახში გაიტანა ალექსანდრემ — ხომ შეიძლება არ ესამოგნოს რუსუდანს — გამოიღვიძებს და თვალწინ დედამთილ-მამამთილის სურათი რომ წამოეჭიმება? ჰოდა, რუსუდანის დედამთილ-მამამთილის სურათი უკანა ოთახში გაიტანა ალექსანდრემ. ეს ოთახი ალექსანდრეს და სანდროს ეკუთვნით და სანდროს უყვარს ეს სურათი. პირველად რომ ნახა, იტირა, როგორი ლამაზი ბებია მყოლია და რატომ ვერ მოვესწარიო...

წელს სამაისოდ სამი დღით ამოიყვანა სანდრო მამამისმა. ისადილეს. რევაზი სატეველაზე წავიდა. ალექსანდრე ზალაში ტახტზე წამოწვა. სანდრო წინა ოთახში შევიდა. ბებიასეულ ტახტზე წამოწვა და თვალი მელიკისა და ალექსანდრეს სურათს გაუშტერა. დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო სანდრო გატრუნული. ალექსანდრეს შეებრაღა ბავშვი, კედლისკენ გადაბრუნდა და ვითომ ეზოში ეგულებოდა, ხმამალა დაიძახა — სანდრო, სანდრიკელო! და სანდრო უხმაუროდ ადგა ბებიასეულ ტახტიდან აივანზე გავიდა, აივნიდან ეზოში ჩახტა, მერე კიბეებზე ამოიბრინა და ტახტზე წამოწოლილ ალექსანდრეს თავზე წაადგა.

— წყალი დამალევიენე, ბაბულო, დიქი უკანა ოთახის ბუხარშია...

ახლა ეს სურათი სანდროს და ალექსანდრეს ოთახში ჰკიდია. სანდრო დილით რომ გამოიღვიძებს, ამ სურათს შეხედავს, არ ეწყინება და არც იტირებს, იცის, რომ ჯერ ბებია და ბაბუა უნდა მოკვდეს, დიახ, ასეა დადგენილი — ჯერ ბებია ან ბაბუა მოკვდება და ეს სავიშვიშო არაა, ყოველთვის ასე იყო, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნე-

ბა. ჰო, ჯერ აუცილებლად ბებია და ბაბუა უნდა მოკედეს, მერე... მერე? არა-ვინ! ბებიას და ბაბუას რომ მოჰკლავს სიკვდილი, მერე თავის ტყავში უნდა დაეტოს! დიხაჯ, ბებიას და ბაბუას რომ მოჰკლავს სიკვდილი, მერე არაფერი ესაქმება ამ ქვეყანაზე. დიხაჯ ასეა ეს....

თათია და დარეჯანი? ოთახი ნომერი სამი. ეს ოთახი რუსუდანის და რევაზის ოთახის გაგრძელებაა. ორი სკამი. ორი მაგიდა. ორი სარკე. ქალიშვილები წარამარა იცქირებიან სარკეში და აჰა, ცალ-ცალკე ექნებათ სარკეები, ხელს არ შეუშლიან ერთმანეთს.

ეზოც დანაწილა ალექსანდრემ.

ეზოს მარჯვენა ყურეში სამი გუნდის ხე დგას. ჭვის მრგვალი მაგიდა. მომრგვალებული ძელსკამი. გუნდის ხეების ტოტებში ჰამაკი. ამ ტოტებში მზე ვერ ატანს. ეს „რუსუდანის ტერიტორია“ ალექსანდრე ჩაფიქრებულ ფერო მყუდრო და ჩრდილიანი ადგილი რძალს მიაკეთენა. ჩრდილში მოსვენებას მოისურვებს რუსუდანი? ჰამაკში ჩაწევა. ჰამაკში მწოლიარე წიგნის კითხვით დაილღება? ხელს გადასწევს და წიგნს მაგიდაზე დადებს. ჩრდილი. სივრცე. კარგადაც გამოიძინებს და სუფთა ჰაერზე რადგანაც ეძინა, კარგ გუნებაზედაც გამოეღვიძება, მიმოიხედავს და სამზერი დაიწუნება? სამზრეთით — სატყველას ხეობა, თუ დააყურადებს, მდინარის შხუილსაც გაიგონებს და ყურს ესაიამოვნება მდინარის შხუილი. ჩრდილოეთით გაიხედავს და ჯინორიძეთა გაცოცხლებული უბანი — ახალი სახლები, ახალი ჰიშკრები ხეხილიანი ეზოები. აღმოსავლეთით — სანისლეს ქედი, ტყეები, ტყეები და ახოები. დასავლეთით — საქარისოს მინდორი, მოლი. მერე დობერებს აადევნებს მზერას — ეს ჩვენი მეურნეობაა, მავთულის ბადეებით შემოღობილი, ახლა რომ წვრილწვრილ ჯონებად ჩანან, ის თუთის ხის შარშან ჩაყრილი ნერგებია და გაისად ტანსაც აიყრიან და გაიფოთლებიან. გადახნულ-გადაბარული ადგილები? სავენახე გახ-

ლავთ. ჯინორიძეთა უბანთან იწყება სავენახე და შორს, მთისძირამდე გადაქიმული.

გუნდის ხეების ჩრდილში სახატავ დაზგასთან (იცის რომ მხატვრის სახატავ დაზგას მოლბერტი ჰქვია, მაგრამ ეს სიტყვა თავიდანვე არ მოეწონა ალექსანდრეს) დაუდგამდა ალექსანდრე რძალს, მაგრამ მისი რძალი ღია, საჩინო ადგილებზე ხატვას ვაუბრის. სხვა თვალი რომ შემოესწრება, მაშინათვე ანებებს ხატვას თავს.

...თბილისი. ზამთარი, ოდნავი სიბნელე. ბუხართან, მაღალზურგიან სავარძელში ზის ალექსანდრე. ბუხარში ცეცხლი დანაკვერჩხლებულია, ალექსანდრეს თვალი ნაკვერჩხლებისთვის მიუშტერებია და ცეცხლის შუქი წითლად ანათებს მის სახეს.

— შეგიძლიათ ცოტახანს ასე ჯდომა? — ჰკითხა რუსუდანმა.

— შემოძლია, — მძინარესავით თქვა ალექსანდრემ და სავარძლის საზურგეს მიესვენა.

როცა გამოეღვიძა, ბუხართან მართო იჯდა. კარგახანს იჯდა გაუნძრევლად. ეგონა, რძალი მოფარებულში ზის და მხატავსო. ჩაახველა. არავითარი ჩამიჩუმი. მერე თავი ნელნელა შეარბია და გარშემო მიმოიხედა. რუსუდანი არსად იყო. ალექსანდრე ადგა და სასადილო ოთახში შევიდა. სავარძელში გულმოსული რუსუდანი იჯდა.

— მაპატიე, — მოუბოდიშა რუსუდანმა, — დარეჯანი შემოვიდა... კარგად კი გამოძლიოდა.

ის სურათი დღემდე არ დაუმთავრებია ალექსანდრე ჩაფიქრის რძალს.

• • •

...„ხეალ ჩამოვლენ. ჰიშკართან ცოტა მონაგვიანებულია ეზო. — ფიჩხები და ფოთლები ჰყრია. ფუნაც“.

სამზადიდან თოხი და ცოცხი გამოიტანა.

მანქანის ხმაური შემოესმა. ჰიშკარს „ვილისი“ მოადგა.

„აქი ხვალ უნდა ჩამოსულიყვნენ?“
თოხი და ცოცხი სამზადის აივანზე
დააგდო და ჰიშკრისკენ გაემართა.

მანქანიდან მძლოლი ჩამოხტა. ალექ-
სანდრემ ვერ იცყო. რევანი შინ თუ
ბრძანდებო, ხმამაღლა ჰკითხა მძლო-
ლმა.

შეცბა. არაფერი უპასუხა.

კონსტანტინე კაკუბერი მანქანიდან
ჩამოვიდა, კუტკარი შეაღო და ალექსან-
დრეს შეეგება.

— რევან აღმაშენებელს სძინავს? —
ლიმილით ჰკითხა კონსტანტინემ და
ალექსანდრეს ხელი ჩამოართვა.

— ხერგაშია.

— ხერგაში? რატომ არ ვიცოდი? —
თავისთავს შეეკითხა კონსტანტინე კა-
კუბერი და სახეზე გაკვირვება გამოესა-
ხა.

— ხვალ ცოლშვილს ჩამოიყვანს, —
მობოდიშებით თქვა ალექსანდრემ და
სტუმარი შინ მიიწვია.

— ცოლშვილს ჩამოიყვანს? — რა-
ტომღაც კიდევ უფრო გაიოცა კონს-
ტანტინე კაკუბერმა.

— ჰო, ჩამოიყვანს, — დარწმუნებით
თქვა ალექსანდრემ, ჰიშკარი ბოლომდე
გააღო და მძლოლს ანიშნა, მანქანა ეზო-
შე შემოიყვანეო.

— მაშ, ხერგაშია? ცოლშვილს ჩამო-
იყვანს? ძალიან კარგი! კანტორაში წა-
ვალ, — თქვა კონსტანტინემ და ალექ-
სანდრეს ხელი ჩამოსართმევად გაუ-
წოდა.

— კანტორაში? კანტორაში ჯერ იდ-
რეა.

— რატომ? — მაჯის საათს დახედა
კონსტანტინემ, — ცხრა სრულდება.
კვირაობით ხომ მუშაობენ?

— აქ დავიბარებ, — თქვა ალექსან-
დრემ და მძლოლს ისევ ანიშნა მანქანა
ეზოში შემოიყვანეო.

— არა! თქვენი ამბავი ვიცი, შემო-
ყოლივთ! დრო თუ დამრჩა, გამოვიყ-

ლით. — თქვა კონსტანტინემ და მან-
ქანაში ჩაჯდა.

— აუცილებლად გულით!

„ადრინად წამოსულა ხერგადან. ცი-
სკარზე წამოსულა. რეზო რომ არ დახე-
და, იწყინა. ეტყობა საშური საქმე
აქვს“.

ალექსანდრემ ჰიშკარი მიხურა და
სამზადისკენ წავიდა. კუტკარი ჯახანით
გაიღო. მოიხედა. პატარა ეკატერინე და
აბესალომ კიკნაველიძის რძალი დუღუ-
ხანა ღიმილით მიესალმნენ ალექსანდ-
რეს. მანქანის ხმა რომ გაიგონეს, იფი-
ქრეს, რევანში ცოლშვილი ამოიყვანაო
და მოსახმარებლად მოვიდნენ.

— სულზე მომისწართ, — თქვა
ალექსანდრემ, — სტუმარი მოგვივიდა
და სულზე მომისწართ!

— მანქანა არ ამოსულა? რევანი არ
ამოსულა? ჰკითხა პატარა ეკატერინემ.

— კონსტანტინე კაკუბერი ჩამოვიდა.
კუტკარი ისევ ჯახანით გაიღო. ეზო-
ში კოკი შემოვიდა. შემოვიდა და დე-
დას რომ შეეფეთა, ჰიშკართანვე შედგა
და პატარა კალათა მიწაზე დადო.

— რაო კოკინია, დედას გამოეკიდე?
— გაეხუმრა ალექსანდრე და კოკი ხე-
ლის დაქნევით იხმო.

კოკიმ კალათა ჰიშკართან დატოვა.

— გულასპირთან გაქანდი, კოკინია,
უთხარი რაიკომის მდივანი კაკუბერი
ჩამოვიდათქო და ახლავე წავიდეს კან-
ტორაში.

კოკი შეეყოყმანდა. მერე შეხტა, კალა-
თა მოარბენინა და ალექსანდრეს გადას-
ცა. კალათის თავი ლედვის ფოთლებით
იყო დაფარული.

— მარწყვია. ამ დილით მოგკრიფე.
მეგონა სანდრო ჩამოვიდა. — თქვა და
გაიქცა.

პაუზა.

— აბა, სამზადში! — თქვა ალექსან-
დრემ, პატარა ეკატერინეს და დუღუ-
ხანას მკლავებში წაავლო ხელი და
სამზადში შეიყვანა.

ეს გაზაფხული არასდროს წავა

ეს გაზაფხული მოვიდა როდის,
ასე უჩუმრად და ასე წყნარად?
მოსჩანს სიმაღლე მშობლიურ ოდის,
ეს გაზაფხული არასდროს წავა.

მოსჩანს სიმაღლე მშობლიურ ოდის,
მზე ოქროს თმებით ჰკიდია წარათს,

შენ წელა დახვალ ყვავილთა შორის
და სიყვარულის დაეძებ წამალს.

ცას ეს დუმილი ვინ დაახურა,
გაოცებული ცას ჩუმად ვუმზერ
და მოთიბული ნედლი სამყურა
მწვანე სიზმრებად მაცურია გულზე.

• • •

ვიღაც მეძახის,
ვიღაც მეძახის
ხმით უცნაურით და იდუმალით,
ვიღაც მეძახის დაქანცულს,
დაღლილს,
კარზე მომდგარა უცხო სტუმარი,

იქნებ ვარსკვლავი მეძახის მაღლით,
გზის დასასრული იგრძნო გუმანით?..

ვიღაც მეძახის,
ვიღაც მეძახის
ხმით უცნაურით და იდუმალით.

ი ე ღ ი

თავდახრილსა და ფიქრებში წასულს,
გარდასულ დღეთა მწუხარ იერით,
რა დარდი აწევს
ნეტავი რა სურს,
რა სათქმელს მალავს ჩემი იელი?

მარად მდუმარე და სევდით სავსე,
შორეულ გზიდან ნეტავ ვის ელის?
აბა, ბუნება ვის წყალობს ისე,
ლამაზიც იყოს და ბედნიერიც?!



მთვარე ირწყვია წიფლის წვეროზე
და მე შევეყურებ მთვარეს ქვემოდან,
სად იყო მთვარე საქართველომდე,
სად წავა მთვარე საქართველოდან?

რა გზით იარა,
როგორ იარა,
სიშორემ ასე როგორ დაღალა?

რატომ გაუჩნდა მკერდზე იარა,
რატომ გაუჩნდა თმებში ჭალარა?

ვისთვის ენთო და ვისთვის ქრებოდა,
ვისთვის წუხდა და ვისთვის მღეროდა?
სად იყო მთვარე საქართველომდე,
სად წავა მთვარე საქართველოდან?

თ ე ა

ტბა ჩრდილებისა ირხევა წყნარად,
ტბაში ჩრდილები ჰკრთიან და ჰკრთიან,
ეს შემოდგომაც იქითკენ წავა,
სად ჩვენ მივდივართ ადრე თუ გვიან.

და განუწყვეტლივ შრიალებს ალვა,
ღვე სექტემბრის თვეა
და მესიზმრება კოშკები ჭარვის
და მთვარის ჩქერში მთვლემარე თვა.

გიორგის დანდი

მ ა მ ა ს

კვლავ ახშიანდა ჩემი სულის მთრთოლვარე ზარი
და შეღამების მწუსარ ფრთათა მესმის შრიალი
ეს ვინლა არი,
ეს ვინლა არი,
ჩემი დუმილის სიმაღლეს რომ მოჰყვება კრძალვით?

ეს ვინ ჩამოხსნა გარინდებას ცისფერი კარი,
ქართა ეფვანზე ვისი ცრემლის ეცემა ბწკალი?
ეს ვინლა არი,
ეს ვინლა არი,
ჩემი დუმილის სიმაღლეს რომ მოჰყვება კრძალვით?

იქნებ წინკარში შენი სულის მიმოადის ლანდი
მთვარის ნაბიჯით?

მკრთალ სარკმელთან შეჩერდა წამით,
ეს ვინლა არი,
ეს ვინლა არი,
ჩემი დუმილის სიმაღლეს რომ მოჰყვება კრძალვით?

გ ა ნ ბ ე ო რ ი ბ ა

ა. ფ ე ტ ს



ისე, ვით ნისლი, ედება ფრთხილად
სიზმარი ყრმობის დაღლილ წამწამებს
და ვით აპრილის მზიანი დილა,
ცხოვრებას ჩემსას ისე ამწვანებს.


და ვუბრუნდები ისევ იმ ასაკს,
ისევ იმ ბილიკს,
ისევ იმ მთვარეს,
ისევ იღვრება ავსილი თასი
და გვირგვინს ისევ ვარდებით რთავენ.

ტაბტი დიდების ისევ დაიდგა,
ისევ იწევენ ცისაკენ ფრთები
და მივიწყებულ ქვის საფლავიდან,
ვით სერაფიტა, მსუბუქად ვდგები.

• • •

ღამე მოვიდა თუ არ მოვიდა
ვერ ვიტყვი, ისე ბრწყინვალეებს მთვარით
და მე თვალნათლივ ვხედავ შორიდან,
თუ როგორ თვლემენ ათონის მთანი.

ცა როგორ იტევს ვარსკვლავებს ამდენს,
ვით დაიძინებს ამ ცის პატრონი,
შავი ზღვის ტალღა სასთუმლად მიდევს
და თავზე მადგას თეთრი ათონი.



აკაკი გელვაანი

ღმერთების დანი

მოთხრობა

1931 წლის იანვრის ერთი სუსხიანი დღეც მიიწურა. მაგრამ რა დაღევს ზღვას კოვზით, რა გაღევს სევანეთის ზამთარს დღეობით!

ხორციელი კვირის კვირასაღამოა. ლატალის მთავარ მოედანზე ყოველ წელს ამ დროს უხსოვარი წარსულიდან კოცონი იყო გაჩაღებული. მოვრალი, სახეგადაყდაებული კაცი და ქალი ხან ფერხულს უვლიდა, ხან ლოცულობდა, ხან ოხუნჯობით იქცევდა თავს.

დღეს ერთი პატარა ცეცხლია, სულ რამდენიმე ლამპარი მოუტანიათ და იმასაც მხოლოდ მკედელი მამურზა და დიასახლისი მართა დასცქერიან ნაღვლიანად. ისიც იმიტომ, რომ მამურზას ნაქშირი ესაჭიროება, მართას კიდეც დავალებული აქვს აუხსნას ყველას, რომ ლამპრობა დრომოკმული დღესასწაულია და მას ზურგი უნდა ვაქციოთ, მით უმეტეს რომ ქრისტიანულიც არ არისო, ეს თვითონ მართას არ სჯერა, მაგრამ დავალება დავალება.

— როგორ იქნება! — ცხარობს მამურზა. — უწინ ვინ გაბედავდა? ეს ხომ წინაპრების წმინდა სიტყვით ნაანდერძევაა. ასე ყოფილა დასაბამიდან, ასე ითხოვენ ხომა ღერთარ — დიდი ღმერთები.

— რომელ ღმერთებზე ლაპარაკობ, მამურზა?

— სულ ერთი არ არის?

— არა, არ არის სულერთი. თუ ქრისტიანი ხარ, ქრისტიანებს ერთი ღმერთი ჰყავთ, და თუ წარმართი — მაშინ პირველს რატომ იწერ?

— შენ რომელი ხარ? ქრისტიანი თუ წარმართი?

— მე... დამაცა, ბესარიონს ვკითხავ.

— ბესარიონს ვკითხავს! ჰაი, კაცებო, რა დრო დადგა! მურზაშერები ღმერთებს ამხობენ, მორწმუნეებს ბაპი გაუშვიათ, ეკლესია მიუტოვებიათ და კლუბში უსშენენ ურწმუნო ბესარიონს. ლამპრობა დღეს ორი ღერი ლამპარი ძლივს აგვინთია. სადღა არიან ხოჩა ფუთაშერები, ნუაშერები, ხაბჯიარი, თამარშერები... მუხის ქინედილებითა და მსუქანი საკლავებით რომ მოვიდოდნენ, კოცონს გააჩაღებდნენ და ალი ცას ასკდებოდა... ქალო, რისთვის გადაუღეპი სევანეთის ღმერთს?

— მე გადაუღეპი ღმერთს, რადგან დავრწმუნდი, რომ სევანეთს შეუძლია უღმერთოდ ცხოვრება, და შეუძლია უკეთესად, ვიდრე ყველა ღმერთების

შემწეობით ცხოვრობს, — გაიმეორა მართამ ბესარიონის სიტყვები.

— ღმერთო, გვიშველე! ასეთი რამეები ვინ გასწავლა?

— თუნდაც ესავმა.

— იმიტომაც დაეცა ფელენჯი.

— ფელენჯი კი არა, ხე დაეცა.

— ხე ახალი კლუბისთვის უნდოდა.

— მერე?

— მერე ღმერთები გადაიკიდა.

— იცი, ვინ დაავალა, მორგები მოზიდეო?

— ბესარიონმა.

— მერე, რატომ ესავს დაეცა მორი და არა ბესარიონს?

— ბესარიონსაც დაეცემა და ყველას, ვინც ღმერთებს გადაუდგება. ღმერთებს არ ეჩქარებათ...

— ჰე, ჩემო მამურზა, ღმერთების დრო წავიდა! — გაიცინა მართამ.

მართა უდიდესი ურწმუნო იყო მთელს სოფელში, მამურზა — უმტყიცესი მორწმუნე. მხოლოდ ამ ერთი რწმენის საქმეში ვერ ეწყობოდნენ ერთიმეორეს, თორემ სხვა მხრივ სრული თანხმობა სუფევდა მკედლის ოჯახში. ეს თანხმობა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ირღვეოდა. მერე მამურზამ თანდათან დათმო. ბოლოსდაბოლოს, ჭირსა და ლხინში მართა ედგა გვერდით და არა ღმერთი. მხრებს აიჩეჩავდა და ეტყოდა: „როგორც გერჩიოს, შენი ჭირი მე, მართა, მაგრამ დღესასწაულებზე მაინც იწამე ღმერთით“.

დიდმა ღმერთმა ინება და ამ სიბერეში მამურზას და მართას მეგვიდრე აჩუქა. ვაჟის შეძენა სვანეთში თავადაც ზეიმი და უშვილოდ შეჭადარავებულ ცოლქმარს შუბლი გაეხსნათ, მზე და მთვარე ამ ერთადერთ იმედზე ამოსდიოდათ. მამურზა ამ წყალობას დიდ ღმერთებს აწერდა, მართა — ექიმებს. მაგრამ ერთ რამეზე მაინც არ დავობდნენ. ვისაც არ უნდა ეჩუქებინა, შვილი უკვე ნაჩუქარი იყო.



სოფლის მოედანზე, კრეტონი გიზგიზებს, სოფლის კლუბში კი ნავთის ლამპები აუნთიათ. დუმილია, დაძაბული დუმილი. არა უსიცოცხლო და სამარისებური, არამედ ხალისიანი, ქარიშხლის მაუწყებელი. ნელა, მაგრამ დაჯინებით მოდის ახალი ცხოვრება. მოდის, მთაში და ბარად.

ტრიბუნაზეა ბესარიონ წერედიანი, ამაყი სვინჩილდის შვილიშვილი, მუშფაჟის მოწაფე, არდადეგებზე ჩამოსული შავთმიანი ჭაბუკი, სოფლის იმედი, და ხარბად ისმენენ მის ყოველ სიტყვას. სოფლის თვალში ის უკვე ნასწავლი კაცია, სიტყვას შეუბრუნებს მთავრობის კაცებს, მამაპაპურ ადათ-წესებს არავის მოაშლევინებს. მაშ რისთვის გასწიეს ამდენი ხარჯი? რისთვის შესწირა სოფელმა მის სახელზე დიდ ღმერთს ლესკარი და წლის მოზვერი? განცხადებას დაწერს, გზას უჩვენებს, უცხო კაცებს არ დააჩაგვრინებს თავისიანებს.

კაცებს კი არა, აგერ უკვდავ ღმერთებს უცხადებს ომს:

— ამხანაგებო! დღეს კრებაზე ღმერთების საკითხი დგას. უნდა გავრიცხოთ დიდი ღმერთი ლატალის საზოგადოებიდან.

დარბაზში სიცილი გაისმა.

— დროა შევიგნოთ, რომ ცხოვრება შეიცვალა. — განაგრძო ბესარიონმა. როცა სიცილი შეწყდა. — შეიცვალა არა ქალაქზე, არამედ სინამდვილეში — ქალაქად, სოფლად, მთაში და ბარში. ყოველ დროს თავისი წესები აქვს. იყო დრო, ბნელ გამოქვაბულებში და ტყეებში ცხოვრობდა ადამიანი, დღეს კი ნავთის ლამპასაც წუნობს და ელექტრონით ანათებს გაქათათებულ დარბაზებს. აბა რას გვემსახურებიან ბებერი ღმერთები? გზა არ გვკონდა — გაპყავთ, მარილი არ გვკონდა — მოგვიზიდეს. აღარ გვჭირდება დიდი ღმერთის ჯახმარება, მთავრობა გვეხმარება — საქმით და არა სახარების სიტ-

ყვებით. აბა დაუვიკრდით: ერთხელ მაინც გამოგვიგზავნა ღმერთმა ის, რაც თვითონ არ გაგვანია? ღმერთი რომ ჩვენსკენ იყოს, მარილს მაინც მოგვცემდა უსისხლოდ. ყველაფერი ჭაფით გვიშოვნია, ჩვენი ღმერთი — ჩვენი მარჯვენაა. ჩვენც ზურგი ვაქციოთ ბატყუარა ღმერთებს და ვუსმინოთ ახალი მთავრობის ხმას. ჩაქრეთ ის კოცონი, ღია ცის ქვეშ რომ დაგინთიათ თოვლში და ვერც ღმერთს ათბობს, ვერც კაცს, მხოლოდ საცოდავ არყებსა და მუხებს ანადგურებს...

კომკავშირელები ტაშის ქუხილით ხვდებიან, მოხუცებს წინ ყავარჩნები დაუბჯენიათ და ფიქრობენ.

კრება წყდება. შესვენებაა. ახალგაზრდები მოედანზე გადიან, ცეცხლის თაყვანისმცემლებს უხსნიან საქმის ვითარებას და არყევენ მათს რიგებს. ზოგი კრებაზე მოდის, ზოგი უკმაყოფილო ბუზღუნით ბრუნდება შინ. კოცონს საკვები აკლდება, თანდათან სუსტდება და აგერ ოდნავ-და ბუტყავს...

ასე ქრებიან უფლის ცეცხლები... ეს ამბავი ბარბალობას დაიწყო, ოთხ დეკემბერს. არა, ადრევე, მაგრამ ბესარიონმა ბარბალობა დღეს უფრო ბეჯითად შეუტია დიდ ღმერთებს.

ბარბალობა დღესასწაულების თავია, აქედან იწყება სხვა დღეობები. ასეა ლახამულიდან უშგულამდე. არც გეგი ჩამორჩა.

ბარბალობის ეკლესიაში წაიღეს „ნატუსუნი“ და ლემზირები, მოილოცეს ბარბალობა. დღე ხომ აქედან იწყებს მატებას და ამიტომ ამ დღესასწაულს მეტი ხალისით აღნიშნავენ.

— გვიშველე, კაცის მწყალობელო ღმერთო, ჯანი მოგვმადლე, კაცის და საქონლის სენი ზევით ქარს მიეცი, ქვევით წყალს...

იმ დღეს ჯიბრზე წარმოდგენა მოიგონეს, ხალხი იქ წახლავდა. ნაღვლიანად ჩატარდა ბარბალობა, მოხუც გეგის გული მოუკლეს.

არც კაიშობა ჩაატარებინეს თავის გემოზე, ზევეების მთავარანგელოზის დღე:

დეკემბრის მიწურული იყო და ახალგაზრდებმა თხილამურებზე დასწრობა მოაწყეს, თითქოს ნიშნის ქვეშდნენ კაიშა-თარგლეზერს: ჩვენ ზევე-მეწყერთა არ გვეშინია, თვითონ ვართ ზევეცა და მეწყერიცო. წამოვიდა ახალი სვანი ახალგაზრდობა, ეკლესიაც წალეკა და ძველი ადათ-წესებიც.

ასეა ყოველთვის:

დღესაც აგერ ლამპრობას შლიან.

ბესარიონი სიტყვას განაგრძობს.

ახლა დარბაზში ერთი ცარიელი სკამიც აღარ არის. დასაბამიდან მჭევრმეტყველების პატივისმცემელი სვანები ღიმილით უსმენენ ახალგაზრდა კაცს.

— ნეტავი შენს ბატონს! — ჩურჩულით თქვა მშვენიერმა მერიმ, გეგის ახლად ტანაყრილმა ასულმა, და თავის ნათქვამზე თვითონვე შეკრთა. ფრთხილად მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, არავის გაუგონიაო. გულზე მიიშვა, ნაწნავს დაუწყო წიწკნა.

დარბაზში მხოლოდ ერთმა შენიშნა მერის მღელვარება, მისი მიშტერებული მზერა: ეს იყო ბესარიონი. ორატორს არ გამოეპარება პირველი მსმენელი.

გეგიმ თითქოს შეატყო აღელვება აღნიშნულ ქალიშვილს და ბესარიონის დაჩოქება მოინდომა:

— ბესარიონ! სათქმელს ჯერ კბილებში დაცრა უნდა! თუ ღმერთი არ არის, ეკლესია არაფერია, მაშ რატომ ინახავთ ცხოველ ხატებს, ჯვრებს, სურათებს, ეკლესიებში რომ დაუცავთ თქვენს წინაპრებს? ბარემ გამოიტანეთ და ცეცხლი წაუკიდეთ! დაწვით მაცხვარიში, ჯგირაგ იენაში, თარგლეზერი...

— არა, გეგი ბატონო, ჩვენ არაფერს არ დაწვავთ. თუმცა ღმერთების სახელით ვეთდებოდა, ეს ყველაფერი ადამიანის ქულისა და ნიჭის ნაყოფია და პატივსაც ამიტომ ვცემთ. ასეთ ძვირფას რამეებს კიდევ შევქმნით, ოღონდ ადამიანების სახელით. ადამიანმა შექმნა ღმერთი და არა ღმერთმა ადამიანი.

— გოჯი, ერთი ხელი მიადევი შუბლზე ბესარიონს, სიცხე ხომ არა აქვს!

— გაისმა დარბაზში ვილაციის დამცინავი ხმა.

ყველამ მიიხედა.

ამაყად იჯდა აზნავი, ზხალგაზრდა უსაქმური, ბესარიონის ძველი მოქიშპე იმ დღიდან, რაც იმან სოფლის მოედანზე წააქცია და „თავი მოსჭრა სასიძო ბიჭს“. მას შემდეგ სულ კრიჭაში ედგა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გადაუხადა სამაგერო კაცს, რომელმაც სახელიც წაართვა და საცოლეც. არც ახლა გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა, რეპლიკა ესროლა ორატორს. ფეხი ფეხზე გადაედო და საკუთარი ხუმრობით კმაყოფილი ყველას გასაგონად იცინოდა.

— გავადებ კლუბიდან ამ უმეცარს! — შესძახა გოჭიმ.

— არა, გოჭი, — წყნარად უთხრა ბესარიონმა. — თუ უმეცარნი გავადდეთ, ჩვენ ვისთვისა ვყებდობთ? — შედეგ ისევ ხმამალა განაგრძო:

— მე შეიძლება სიცხე მაქვს, აზნავ, მაგრამ ჩვენზე დიდმა ადამიანებმა, რომელთაც სიცხე არ ჰქონდათ, მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ ღმერთი ადამიანმა გამოიგონა იმ მოვლენების ასახსნელად, რომელთაც თვითონ ვერ ხსნიდა. დღეს ადამიანი აღარაა უმწეო, ნათელი გონებით ხსნის დარსა და ავდარს, მეხსნა და მეწყერს, სენსა და სიკვდილ-სიცოცხლეს... ღმერთი თავისთავად კარგავს მნიშვნელობას და ჰაერში გამოკიდებული რჩება...

აზნავი გეგის მიუბრუნდა:

— მითხარი, მახვში გეგი, ჭგირაგს გაფიცებ, რას ელის კარგს ეს ხალხი კაცისაგან, რომელიც ღმერთებს ჰაერში ჰკიდებს?

— შენნაირ კაცებს კი დედამიწაზე აკრავს! — დასძინა მგზნებარე კომკავშირელმა, სიცოცხლით სავსე ბიძინამ, და ამით მიიშრო მსმენელთა უმრავლესობა.

მერის თვალი გაუბრწყინდა. ჯერ აზნავს ესროლა ავაზის შხერა, მერე კი ანგელოზივით გაუღიმა ბიძინას.

— ახლა ბარემ ესეც აგვიხსენი, — არ ცხრებოდა აზნავი: — თქვენს მუშ-

ფაკში ღმერთების გმობის გარდა არაფერს გასწავლიან?

— როგორ არა, აზნავი, ბევრი უნაქს, მაგრამ ჯერ ცრუ რწმენა განდევნეთო ადამიანთა თავებიდან და მერე ჭეშმარიტების რწმენა ჩაუნერგეთო, ვვეუბნებიან.

აზნავს თვალი ეჭირა მერიზე და მამამისის გულის მოგებას ცდილობდა. ის კი არ აგონდებოდა, რომ ჯერ ქალის გული უნდა მოეგო. ახლა ბიძინას სიტყვა ისე მოხვდა გულზე, რომ ბუღასავით ატრიალებდა თვალებს.

კლუბი ორად გაიყო.

უმრავლესობა ბესარიონს თანაუგრძობდა იმ უხილავი ძალის ზეგავლენით, რაც მუდამ პატივს სცემს ცოდნას, მაგრამ არც გეგი იყო მარტო.

ბესარიონი განაგრძობდა:

— ათ წელში მეტი გააკეთა ჩვენთვის მთავრობამ, ვიდრე ღმერთებმა და მათმა ამაღამ — ათას წელიწადს. ჯერ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ხვალ გვექნება ის, რაც დღეს არა გვაქვს. აბა როდემდე ვიყოთ ამ გაჭირვებაში? ხორბალი ნახევარჯერ არ გვეყოფნის. საპონს ჩვენი ხელით ვამზადებთ. ბაღოს ნახელოვი ზის სავარცხლებით გაღის მთელი სოფელი. ხალხს საცვლები არ გააჩნია. საღდაც ეცერში მოვაჭრე აჩის ნარმა ჩამოუტანიო, გაგიგიათ, სამი ადლისათვის ცხვარს იღებსო, და სამი საათის სავალზე მიემგზავრებით იმისათვის, რომ მამასისხლად იყიდოთ ბავშვის საპერანგე, ნაჭერი ხამი ქსოვილი... უწინ საქმე უარესად იყო. რატომ ერთხელ მაინც არ ჩააცვა ღმერთმა ერთ გაჭირებულს? და თუ ახალი ცხოვრება ღმერთზე მეტს ვეპირდება, რატომ არ უნდა გავყვეთ მას?

დარბაზი გამოცოცხლდა. რამდენიმე ხანს გაგრძელდა სჯა-ბაასი, დავა და ჩურჩული.

თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა.

— ადამიანია დედამიწის ბატონი-პატრონი და არ არის მისი ტოლი ძალა არც ცაში, არც მიწაზე, — ამბობდა ბესარიონი. — ღმერთი ადამიანს ასაჩუქრებს

მხოლოდ იმით, რასაც თვითონ ადამიანი შექმნის.

— ადამიანი უმწეო ჰიანტველაა, უღმერთოდ ორ დღეს არ გამოდგება, — მიახალა გეგიმ.

— მერე, ვინ აუშენა ღმერთებს ეკლესიები, ვინ შეამკო ხატ-ჯვრებით? ვინ აღმართა ეს კოშკები, ვინ მოიყვანა მოსავალი? ადამიანის გონებაში!

— ადამიანს გონება ღმერთმა მისცა, ბესარიონ. ღმერთები მფარველობენ და არიდებენ ყველა უბედურებას.

— სილატაქეს, ომსა და ჭირს რატომ არ მოაჩიდებენ?

— იმითომ, რომ უღმერთობას ქადავებთ და ცოდვებით ავსებთ ქვეყანას.

— მახვში გეგი, შენ კარგი ღვთისმეტყველივით ლაპარაკობენ. ჩვენ ძალას არავის ვატანთ, და ვისაც სიბნელეში დარჩენა სურს, დარჩეს, მაგრამ ვინც გამოგვეყვება, იმას სინათლისავე წავეყვანთ.

— წაიყვანთ და შიმშილით მოკლავთ, არა?

— რატომ შიმშილით? ადამიანს თავისი მარჯვენა აქმევს და არა ღმერთი. თუ მარჯვენა სულ ცაში კი არ ექნება აწვდილი, არამედ თოხს და სახნისს ჩაეჭიდება, მისი პატრონი მეტ მოსავალს არ მოიწევს?

— როცა მოკვდება, უკვდავი ღმერთის სავანეში ვინ მიიღებს?

— მკვდარს დედამიწა მიიღებს, მის ადგილზე კი სხვა მოვა. უკვდავია არა ღმერთი, არამედ ადამიანი...

ხალხი გაკვირვებულია.

ყოფილი ბაბიცი უსმენს და აღფრთოვებულია: დანიელი ხომ არ არის, ღმერთის სიკვდილს რომ წინასწარმეტყველებსო!

— ჩვენ დავამხოთ ღმერთს და მისი ტახტის ნანგრევებზე ავაშენებთ ახალ სამეფოს, — ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნად განაცხადა ბესარიონმა.

გეგიმ ვეღარ მოითმინა.

— ვინც უღმერთოს უსმენს, თვითონაც უღმერთოა! — მუგუზალივით ისროლა მოხუცმა, ზურგი აქცია ბესარი-

ონს და თავის ქალიშვილს მიმართა: — წამოდი, დინა! ძალიან მოგწონს ეს ღვთის გარეგანი? ვინც ღმერთს დავაყვებ, ის კაცსაც შეიძულებს, იცოდე. შენ კი, ბესარიონ, რაც ამ გრძელი ქადაგებით კუჭი გაიძლო, ის დაიტრიაბახე. მერი უსიტყვოდ მიპყვა.

წელს მამა უფრო კუჭტი გახდა.

გეგი გეგიანი კერპი მოხუცია, ჯიუტად აპრეხილი შავი უღვაშებიც კი მოწმობენ მის შეუდრეკელობას.

მოხუცები ღვთის რისხვას ელიან, მაგრამ ღმერთებს შუქი ჩაუქრათ, და სოფელში გზას ვერ იკვლევენ, რომ მოწმუნე და ურწმუნო გააჩინონ.

სოფელი ღვთის რისხვას გადაჩა.

ახალგაზრდები ისევ აბრაზებენ!

ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდა სიტყვა ბესარიონს, რომ სცენაზე ისარივით შემოიჭრა უზადო მომღერალი და მოცეკვავე მაჰარბე...

კრების დასასრულს, როგორც ყოველთვის, კონცერტი გაიმართა. რა კონცერტი? საკმარისია ითქვას, რომ მღეროდა და ცეკვავდა ახალგაზრდა მაჰარბე გურგვლიანი. სახელოვან სევან მომღერალთა პლეადა შეუმჩნეველად ენთებოდა და ქრებოდა. მაგრამ ვიდრე ციმციმებდა სიამოვნებას ანიჭებდა რიცხვმცირე მსმენელს.

ამ პლეადის ერთი ვარსკვლავი იყო მაჰარბე.

მისი სიმღერა ადამიანებს ღმერთებსაც ავიწყებსო, იტყოდნენ.

როცა ის მღეროდა, ყველა არსი ჩუმდებოდა. მისი ზარი ხომ მკვდარსაც ჩაესმისო სამარეში, ამბობდა ხალხი.

ბევრი მაჰარბე ყოფილა მასზე აღრე მისებრ ტკილხმოვანი და შუბლნათელი, ბევრიც გამოჩნდებოდა მომავალში, მაგრამ დღეს ყველა ამ ჰაბუქს უსმენდა. მართლაც, ალბათ ყველაზე კარგად დღეს მღეროდა, რადგან ეს არის შეირთო ის, ვინც უყვარდა.

ყველამ კლუბს მიაშურა.

მხოლოდ მართა და მამურზა რჩებიან კოცონთან. მართა — როგორც აგიტატორი, მამურზა — როგორც მკვდელი.

რომელსაც ნახშირი სჭირდება.

ხალხი სახლებში შეიშალა. ყინვამ დააჭირა. თოვლი ხმელ ჩალასავით იფშენებოდა ფეხქვეშ.

მიდიოდა გეგი და განაწყენებულ ღმერთებზე ფიქრობდა. მიჰყვებოდა მერი და ბესარიონზე ფიქრობდა. ახალგაზრდობა იფიწყებდა ცას და ბრუნდებოდა დედამიწაზე.

გეგის გზა სვინჩილდის კართან გადადიოდა. მოხუცმა ვერ მოითმინა და მეზობელს მიაძახა:

— სვინჩილდ, მაგრად დაკეტე ბოსლის კარი. მგელი რომ ქადაგებას დაიწყებს, ცხვარი ფარეხში უნდა შერეკო.

— რას ამბობ, გეგი, — გაისმა სვინჩილდის ომხიანი ხმა — მგელს მგლობა დაერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო, ისე ხომ არაა შენი საქმე?

მოხუცები მხოლოდ ხუმრობდნენ. ორი სამყაროს მიჯნაზე ხუმრობა ზოგჯერ მწარეა.

მოედანზე ცეცხლი ძლივსდა ბეუტავდა.

შემდეგ მკვდელმა ნახშირი მოხვეტა და წაიღო. დიდი ღმერთი და ჭვირაგი თოვლში ისხდნენ, ნაცარს შესცქეროდნენ და სიცივისაგან ძაგძაგებდნენ.

* * *

— რალა შენ ითავე, შვილო, ღმერთის ჩამოგდება, ლატალში სხვა არაეინ იყო? — საყვედურობდა შინ დაბრუნებულ ბესარიონს ბაბა სვინჩილდი.

— ვინმემ ხომ უნდა ითავოს, პაპაჩემო? თუ ყველამ უკან დაიწია, დიდი ღმერთი ვინ უნდა დაამხოს?

— აუცილებელია ღმერთის დამხობა?

— აუცილებელია, პაპა-ბატონო, ჩვენ ასლა დიდ გზაჯვარედინზე ვდგავართ.

— ჰკვიანი ხალხისაგან გამიგონია; გზაჯვარედინზე რომ მიხვალ, გზას ალაღბედზე ნუ დაადგები, გამვლელს დაუცადე და ჰკითხო.

— თუ გზა თვითონაც ვიცი? ჩვენ ისედაც დიდხანს ვიცადეთ, პაპაჩემო!

ო, რა დიდხანს ვიცადეთ! ათასი. ორი ათასი წელი. ყველაფერი კრისი ვხსნაც არ შეგვეძლო, ღმერთს მღვანელებს იყო ჩვენი მგებური. და იყო გარშემო წყვილიადი. ახლა ქვეყანა განათდა და მგებური რად გვინდა?

— მომისმინე, შვილო! თქვენ, ყმაწვილები, ცქაფნი ხართ. ღმერთს დიდება, თქვენ კი საკუთარ საქმეს მიხედეთ. შენ კარგად იცი, ჩვენი სოფლის განაპირას საცილო ყანაა. პაპის პაპამ ჩვენი დიდი ოჯახის გაყრის დროს ეს ყანა თურმე პაპის წილად დადო, მაგრამ ხარბმა ძმამ მიიტაცა, ხატისთვის მიცემული ფიცი გატეხა, მე დამიმტკიცაო, დაიჩემა. ყანა მიისაკუთრა, მაგრამ დედამბუღიანად ამოწყდა ტყუილი ფიცისათვის. ასრულდა გულთამხილავის სიტყვა: მიწა იმას დაუბრუნდება, ვისაც ეუფტენისო. გადავიტანოთ, შვილო, სახლი საცილო ყანაში! ისმინე უფლის ხმა.

— ამ ერთში უფალი მართალია, — გაიცინა ბესარიონმა. — ახალ სახლს ავაშენებთ — ნათელს, ორსართულიანს. ოღონდ აქვე, გზასთან, მეზობლების გვერდით. ის ყანა საცილო აღარაა, მალე კოლექტივი იქნება, სოფელი მიხედავს, და რისთვის უნდა გავიჭიროთ საქმე, როცა ჩვენი საგვარეულო ბუდე ასე ლამაზია?

მართლაც, ლამაზი და მკაცრი იყო ეს კარ-მიდამო. ქეთიკირის გაღავენით შემოზღუდული ძველებური ქვისავე სახლი, გაბზარული ზღუდე, კოშკი, საბძელი, წინაკარი და სხვა წვრილი ნაგებობანი ერთ ურღვევ ანსამბლად შეედუღებინა მშენებლის მტკიცე მარჯვენას და შიგ კერია დაედგა, სითბოს და სიცოცხლის სიმბოლოდ. ძველი სვანური საგვარეულო ბუდეები გვიზიდავენ და თან გვაშინებენ თავიანთი სიძველითა და კუმტი იერით.

ერთი ამნაირი საგვარეულო ბუდე იყო სვინჩილდის სახლიც. ოთხჯოთხი კოშკი ამაყად გადასცქეროდა კარ-მიდამოს, და შიგ შეხედვა თვითონ მზეს უჭირდა. გაღავენის კარი ურდულით

რეკტებოდა. დიდ, ნახევრად ბნელ დარბაზში მზე მხოლოდ ვიწრო სარკმლებიდან აღწევდა. შუაეცხლთან ორნამენტებით დამშვენებული საუფროსო სკამი იდგა და მის გარშემო ტრიალებდა ნთელი დიდი ოჯახი.

შუაეცხლი საამური ტრკიალით ფანტავდა სუსხსა და წყვიდადს. აი, ამ ცეცხლის ირგვლივ, შავად მოზიმიზიმე ქერის ქვეშ, ამ კვამლსა და ბურუსში დღლდა სიცოცხლე, როგორც ათასობით სხვა მსგავს სახლში, დღლდა ყოველ კუთხე-კუჩქულში. რაღა თქმა უნდა, რომ ღმერთები აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში.

ყოველ სახლს თავისი უფროსი ჰყავდა, მათი უფროსი მხოლოდ სოფლის ყრილობა იყო, მაგრამ დრო იცვალა და სოფელს ერთი ხელმძღვანელი გაუჩნდა. საბჭოს თავმჯდომარემ ერთი აზრი და მიმართულება მისცა დამოუკიდებელ ადამიანთა დიდ საკრებულოს და რაღაც მოუსვენარმა მისწრაფებამ მოიცილა მთელმარე მორწმუნეები. მიჯნაზე ღმერთი იდგა.

სოფელ ლატაშიც შეაღწია ახალი ცხოვრების სხივმა, ფერი იცვალა ყოველმა საგანმა. უფრო იშვიათად იღვბოდა ცკლესიის კარი და უფრო ხშირად — საბჭოს კარი.

ჰოდა, ამ წყნარ სენურ სოფელში ერთ მშვენიერ დღეს თავმჯდომარედ ღარიბი გოჭი აირჩიეს უღვაშებში ჩაიციხეს: რატომ ეს ნამოქამაგიარალი, ჩანომონძილი, უცხენო გოჭი უნდა გვაჯდესო თავზე და არა ამაცი, ბატონობას შეჩვეული კაცი, კვირადღეობით რომ ყარაბაღულ მერანს დააგვლევებს სეტის მოედანზე? დასტურ, ქვეყანა გადატრიალდა, მერანის ჰენება არავის უკვირს, თუ მხედარი საქვეყნო საქმეზე არ მიეჩქარება. გოჭი სიტყვაძენწი ცყო და მხოლოდ საქმე ახსოვდა, მაგრამ წერა-კითხვა ძლივს იცოდა და თავი არ ეღირსებოდა სოფლის მოთავედ. ნეტავი, მალე დამთავრებდესო სასწავლებელს ბესარიონი, ნატრობდა ყოველთვის,

როცა სიძნელეებს წააწყდებოდა მაგალითად, ღრეობას არავის უწონებდა მაგრამ ვერ ასაბუთებდა, რა ზიანი მოჰქონდა ამას. ღმერთებისა და ავსტრულების რწმენას კრძალავდა, მაგრამ სათანადო ცოდნა არ ჰქონდა, რომ თავის სიმართლეში გლუხობა დაერწმუნებინა, აგიტატორები კი, ათასში ერთხელ ჩამოივლიდნენ ხოლმე, თვითონვე მოიკოჭლებდნენ, წიგნებიდან დახეპირებულ სიტყვებს იმეორებდნენ და მხოლოდ აცინებდნენ მორწმუნეებს: „მართლა გონიერი ყოფილა ღმერთი, რომ თქვენი თავი გამოგვიგზავნაო“.

ასეთი იყო საქმის ვითარება და ამიტომ თავმჯდომარე კრებებს ატარებდა, ღმერთი — დღეობებს, ეს იყო ორმეფობის ხანა.

ღმერთის წყალობით, ეს უფლიშობაც კარზე მოდგა. სოფელი ლატალი ზემის მოლოდინშია. მოხუც სენიჩილდ წერედიანს ისეთი უსხი გაუსუტებია, მიწა უმძიმს. მზეზე რომ გამოვა, თეთრი საუფლო ხარის თოვლისფერი ბეწვი თვალს არ იკარებს, ისე ციმციმებს, კოხტად დავარტხნილ-დაბანილი. მეფურ თავზე წყვილი ოჭროსფერი რქა ადგას გვირგვინად და ზედ ანგელოზები უხის. ასეთი უსხი მხოლოდ ვახტანგ ფარჯიანს ჰყოლია, თამარის ჩამობრძანების წელს, როცა წარმართული სარწმუნოების ძალუმ ხეზე ქრისტიანობის ყლორტები დაამყნო მზედაუვალმა დედოფალმა.

მოხუცი სენიჩილდ წერედიანი საგანგებოდ ასუტებდა ამ ხარს, რომ თავისი გვარის სიამაყე შვილოშვილი არ შეერცხვინა. ბესარიონი ჯერ ისევ თბილისში სწავლობდა, უკვე ამთავრებდა მუშფაკს. დღე დღეზე ელოდა მოხუცების დაბრუნებას მამაპაპურ მახუბში. იმაზე კი არ უფიქრია, თუ რა აზრებს ჩამოიტანდა თბილისიდან მისი ბესარიონი. ნუთუ ისევ ისე ჯიუტია? ნუთუ არ განელებია სიყმაწვილის ცეცხლი, ღმერთის ტახტის დამზობას რომ აპირებდა?

არა, არ განელებია. ავერ, კლუბში ხალხი შეუყრია, გადარია ყველა,

უფლოშერების ჩაშლასაც კი აპირებს. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მას დანიშნავენო, ამბობენ. სოფელს დიდი იმედი აქვს ბესარიონის. გონიერი, ღონიერი, ნასწავლი კაცი გზას უჩვენებს გლეხკაცობას, ახალი ცხოვრების კანონ-წყესებს აუხსნის, მაგრამ რა ესაქმება ღმერთებთან? რას გვიშლის ღმერთი? თუ არ შეგვეწია, ზიანს მაინც არ გვაყენებს.

ჩვენ სიტყვა გაგვიგრძელდა. ახლა მთავარია ვისხვი, ხარი, რომელმაც ლატალის მფარველი ღმერთის ძალა უნდა გაზარდოს.

ისეთია, ბავშვებსაც კი უკვირთ:

— ბაბა სვინჩილდის ვისხვი გინახავს?

— მხოლოდ ლანგვილიდან შევიჭვრიტე. თეთრულდის მთასავით იდგა ბნელ ბოსელში.

— მე კი მზეში ვნახე, წყლის დასალევად რომ გაიყვანეს. ფეხქვეშ მიწა უტყდებოდა.

— ჰე, ბიჭო, რა იქნება, რომ დაკლავენ! მავის ბუშტს არაყის დავანებებ. დავასუფთავებ, დავათხლებ, გავბერავ, შენი თავის ოდენა გახდება!

— ჰო, თორემ შენი თავის ოდენა ახლაც იქნება.

— თუ დაკლეს...

— რას ამბობ, გუდული? ვისხვი დასაკლავია, აბა თივის საზიდავი კი არა.

— ამას შენ ვერ მასწავლი, ყანსავ, მაგრამ ბესარიონი წინააღმდეგია თურმე: დამზადებას უნდა ჩავაბაროთ.

ყანსავმა დაუსტინა.

— ნწ, ამას ბაბა სვინჩილდი არ იზამს, ღმერთმანი! — თქვა მერე თავის ქნევით.

* * *

დღეებმა სწრაფად ჩაიქროლეს.

ბესარიონი თბილისში ბრუნდება. ყველა მოდის გამოსამშვიდობებლად. შერიც მოვიდა.

ლატალელი მერი მისი მშვენების ამბავი დიდხანს ახსოვდა მის მშობელ კუთხეს. უთქმელი გოგოაო, ამბობდნენ, მაგრამ ცდებოდნენ. მისი სევდია-

ნი თვალეები და ლაქაქა ლაწვეები მეტს მეტყველებდნენ, ვიდრე ენადამბული კეკლუცები — მოქარგული უნდა...

დაქალბულა მერი, ლაპარაკს ერიდება. ერთად უთამაშნიათ, ერთად გაზრდილან, რად ეუცხოვება ახლა ბესარიონის სიახლოვე, მისი მზერა, მისი სიტყვა?

— ეს რა მოგიტანია, მერი? — შინაურულად მიმართა ქალიშვილს, რომელმაც საჩუქარი გაუწოდა. — ვანა ასე გიხარია ჩემი წასვლა?

— ეს წინდები ბაბუა სვინჩილდს მოეუქსოვე, ბესარიონ, შენი არ გეგონოს, — გაწითლდა მერი.

— ატლასის ახალუხი რომ შეგეკერა ჩემთვის, ასე ვერ მასიაშოვნებდი, მერი. მართლა კარგი გოგო ყოფილხარ.

— ჰი! ახლა გაიგე?

მართლა, რატომ ვერ ამჩნევს ამ ცქრილა ქალიშვილს, დილის შუქივით რომ იჭრება მის ცხოვრებაში და უჩვეულო სითბო შემოაქვს? რა კეთილი გული ჰქონია! როგორ უყურებდა კლუბში! რა ციური ცეცხლი ენთო თვლებში!

— ნახვამდის, მერი! — ეუბნება და სალტესავით უჭერს ჯანმავარ ხელს. — როცა სვანეთში დავბრუნდები, ღმერთს ტახტიდან ვადმოვადგებ და ზედ შენ დაგსვამ.

— ფრთხილად, ბესარიონ! — გაიკინა მერიმ და მიმოხედა. — მამაჩემს არ უყვარს ასეთი ხუმრობა.

მერი მაშინვე დაემშვიდობა და წავიდა. ბესარიონმა თვალი გააყოლა, შემდეგ ბაბუას მიუბრუნდა:

— აბა თქვენ იცით, მახვში სვინჩილდი ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ისე დავეწაფები ცოდნის წყაროს. როგორც არჩვი — მეავე წყალს.

სვინჩილდს ცრემლი მოერიია, გადაეხვია:

— თავს გაუფრთხილდი, შვილო, ცუდ ამხანაგებსა და ჯიბვირებს ერიდე. არ გაიციდე. ეს ჩვენი თეთრი ხარი ვისხვად ვუძღვენი ღმერთებს, შენს თავს შევავედრებ, შენს ჯანმრთე-

ლობას და მშვიდობით დაბრუნებას.

— ყველაფერს დაგიჭერებ, ბაბუა, მხოლოდ ვისხვი არ გინდა. დამიჭერე, ისედაც ყველაფერი კარგად იქნება. ხარი ხარად დარჩეს...

— შენს თვალებს ვფიცავ...

— ჰო, მახვში, ახლა ამისი დრო არაა. თავს გაუფრთხილდი და ღმერთები უჩვენოდაც იოლად გავლენ... ნახვამდის, მერი!

ცხენს მოახტა და გააქროლა.

მერი შინ მიბრუნდა. მოწყენილი მიჰყვებოდა ორლობეს.

— შენც გააცილე ის ღმერთო? — შეეგება კოშკის წინ აზნავი.

— უი, მაპატიე, აზნავ, შენთვის არ მიკითხავს! — დასცინა ქალიშვილმა.

— მე რას მკითხავდი, რა... კაცი ღმერთებს ამზობს და მე ვინა ვარ?

— ვისაც საქმე ეზარება, ის ღმერთებს ვევედრება, აზნავ. ვისაც მზრებზე თავი აბია, მას ღმერთი არ ესაქიროება.

— ანგელოზი ხომ ესაქიროება? — გესლიანად მიუგო, მიბრუნდა და ასეთი სიტყვა დაუთოვა: — იცოდე, მერი, შენს თავს არავის დაეუთობ, თუ გინდა ღმერთიც დაჯაბნოს და ეშმაკიც.

— მაგას ვერ ეღირსები, თუ გინდა ღმერთიც შენსკენ იყოს და ეშმაკიც! — ფიცხლავ მიახალა მერიმ და სახლს მიაშურა.

• • •

დიდმა ღმერთმა ინება, რომ ენგურის ღრმა ხეობა, ქვეყნიერებას მოწყვეტილი სვანეთი უგზო ყოფილიყო, ნარილზე და საშოვარზე წასული სვანები უფსკრულში გადაჩეხილიყვნენ და ციური მუღფისათვის მეტი მსხვერპლი შეეწირათ.

მაგრამ არ მოხდა ასე. გზა გაიყვანეს. სვანეთი ქვეყნიერებას დაუახლოვდა. რაც უცხო კუთხეებიდან ჩამოჰქონდათ, ის სოფელშივე გაჩნდა. მსხვერპლი შემცირდა.

დიდ ღმერთს ენება, რომ ეს მშობიარე ქალი ასე მომკვდარიყო თივა-

ში, ჩერებში, მომკვდარიყო განუკითხველად, რადგან არავინ იცოდა, ვინ იყო მისი ბავშვის მამა. მაგრამ მშველხიდან კაცი ჩამოვიდა, წყნარი, ჩუმი, მორიდებული სვანი, ექიმი მიიწვია, როცა ფერშალი ვერაფერს გახდა. ქალს მშობიარობის ტკივილები შეუმსუბუქა, ექიმმა იხსნა დედა და შვილი.

გაწყრა დიდი ღმერთი, დაჰკრა კვერთხი, გააშრო ღრუბლები და სვანეთში წვიმა არ მოვიდა. გაყვითლდა, დაიხრუკა შემოუსვლელი მოსავალი. წვიმას ითხოვდა მწყურვალე მიწა, ცეცხლს უგზავნიდა უწყალო ცა. დაიმშა ხალხი, გაწყდა იმედის ძაფი. ძლივს დალასლასებდა მოჭირნახულე სვანი გლეხი. დიდმა ღმერთმა ასე ინება.

ანაზღად მაცნე მოყარდა: „სოფლის კოოპერატივში პურის ფქვილი მოსულა! ვისაც რამდენი უნდა, იყიდოსო. იაფია და კარგია“.

მთაერობამ ასე ინება.

დიდი ღმერთი საგონებელში ჩავარდა.

შრიალეზდნენ წიგნები. მღეროდა რადიო. ქუხდა ლალუმი. მოდიოდა სამანქანო გზა. ასე უტევდა მთელს ფრონტზე ოქტომბრის რევოლუცია ყოველივე იმას, რასაც ბრძანებდნენ ხომაღერთარ — დიდი ღმერთები. უტევდა ყველგან, ყოველ ნაბიჯზე. მაჩუებებში წიგნებს ამრიალებდა, ხნულებში სახნისი გუთნით შეცვალა, მესისხლენი შეარიგა, მშობიარე ქალები „დედათა სახლებში“ მოათავსა, წორი და ნაჭვლაში გააუქმა... ყოველივე ეს შეიძლება კარგია ადამიანებისათვის, მაგრამ ღმერთებისათვის? თუ ადამიანს ყველაფერი აქვს, ლოცვა-ვედრებას შეწყვეტს, სანთელს აღარ აანთებს, მსხვერპლს აღარ შესწირავს, ღმერთები დაიმშვიდებიან. მხოლოდ უმეცარნი და უქონელნი აღაპყრობენ ცაში ხელებს, და თუ ყველა მცოდნე და შეძლებული გახდება, რას იტყვის ხომა ღმერთი? ჯერ იცდის, ით-

მენს, მაგრამ ღმერთების მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი!

აი, მოთმინების ფიალა აივსო.

დიდი ღმერთი გადაიხვეწა. საღდაც უფრო ბნელ მხარეში წავეიდა, სვანეთი მზეს დაუტოვა.

მზის შვილი მზეს დაუბრუნდა.

სოფელს კი... აბა რა მოუვიდოდა უღმერთო სოფელს?

გვალვიანი წელი იყო ღვთის რისხვის პირველი ნიშანი. მიწა მიძიმე ავადმყოფს დამსგავსებოდა, მაღალი სიციხე არ იკლებდა და არა ირუჯებოდა ლატალის მიწა.

მიძიმედ დააბიჯებს დამსკდარ მიწაზე მოხუცი სვინჩილდ წერედიანი, მიწისფერია მისი ჩოხაც, ხარის ტყავის ჩაფლარიც, და სახის კანიც კი, ხელებიც კი მიწასავით დასკდომია მიწასთან ბრძოლაში... მაგრამ მხნეობს მოხუცი, არც ღმერთს იფიწყებს და არც კაცს. ჭირშია — ტირის, ლხინშია — ლხინობს და ომაზიანი ხმით ამბობს სამადლობელს:

— მე რა? მე რა უნდა გითხრათ, შვილებო? ასი წლისა ვარ. ერთი ამდენიც წამიმატეთ და მეტი მე თქვენი არა მინდა რა: თვალი ჩემი მაქვს, კბილი და მუხლი, კაცსაც გავისტუმრებ და ღმერთსაცო.

მართლაც, ყველასთან პირნათლადაა.

მიწა მორწყა, მოსავალი მოიწია, ლხინსა და ჭირში სოფელს საკადრისად დახვდა, ვისხვი გაასუქა, თავისი რიგით და წესით ჩაატარა ყველა დღეობა: ადგომი, ბარბალობა, განცხდაბი, თანაფი, ლიჯერგი, ლიზორალი, ლიფანალი, უფლიში, შობა და ხარება...

წყალკურთხევიდან მოყოლებული მომდევნო ორშაბათამდე მიცვალეზულთა სულელებს არაფერი მოაკლო, უფლის ბოძებული თუ რამე გააჩნდა. პური და არაყი, ხორცი და თაფლი, იარაღი და სამკაულებიც კი სუფრაზე ჰქონდა დახვავებული... ასე დადგა „გრძელი დილა“ — სულთა გაცილების დღე, როცა შუალამიდან გათენებამდე სანთლები ციმციმებენ სავსე სუფრაზე და... ჩუ! დემილი არ დაარღვიოთ, ეს ჯადოსნუ-

რად წყნარი, საღეთო, საოცარი ღამეს!

შუალამისას გაშლილ სუფრას მუხლმოყრილი ჭალი მიუახლოვდა, მხნე როდ წაექცია მიცვალეზულებს არაყი და რძე, რაღაც ლოცვაა ბუტბუტებდა მოწიწებით. ასე დაუარა მთელს სუფრას, და ეს გაგრძელდა მთელი საათი. მერე ისევ მყუდროება ჩამოვარდა. ზოგი სანთელი ჩაიწვა, ახლებით შეცვალეს. ასე იფერფლებოდა იანვრის გრძელი ღამე და თვით სტუმარი თავს მართლა სულელებს შორის გრძნობდა.

ასე მოისტუმრა წარმართული ლიფანალი, და ყოველ დღეობაზეც აღმოსავლეთის ფანჯარასთან იდგა, სეფისკერეებით, ცვილით და ნაღვერდლით აღჭურვილი, გიმი გამჩენ ღმერთს ევედრებოდა, გვალვა გვაშორეო, ჭირი და მარცხი. გზაში დაგვიფარეო, ხიდი არ ჩავვიტეხო. ევედრებოდა ნახნავ-ნათესის დამცველ ღმერთს, კაიშა თარგლუზერს, ქალაქთა სალოცავებს, და ვის არ ევედრებოდა ოჯახის კეთილდღეობას! პატივებს ითხოვდა, სწორ გზაზე დაყენებას, კქუისა და გონების ბოძებას... საამისო საბაბიც ჰქონდა, ოღონდ ღმერთებსაც კი ვერ უმხელდა, ცუდი არ იყოსო: ღმერთი რომ არ სწამდა მის იმედს, მის ბესარიონს! აი, ეს იყო მოხუცის უმთავრესი სადარდელო.

იმ დღესაც ამ დარდმა მიიყვანა ეკლესიაში.

დილა იყო და დასვენებული მზის ცხრავე თვალი ლატალის მაცხოვრის ეკლესიას დასცქეროდა. აქ იყრიდნენ თავს სოფლის თავკაცები, როცა საერთო საქმე ჰქონდათ გადასაწყვეტი. თითქმის ყოველ სვანურ სოფელშია ეკლესია, ვითარცა ბურჯი ქრისტიანობისა, რომელსაც მეზობელი მაჰმადიანებისაგან მუდამ ელოდა გადარჯულების საფრთხე. როგორღა დარაჯობდნენ ქრისტიანულ ტაძრებს სვანები, თუ წარმართნი იყვნენ? მაგრამ ქვეყნიერებას მოწყვეტილი სვანი ღმერთთან უფრო ახლო იყო, ვიდრე ადამიანებთან, ამიტომ საკუთარი რწმენა შეიტანა ქრისტიანულ მოძღვრებაში. „შენ ხომ შენი

ღმერთი ადიდებ, ახლა ჩვენც გვინდა ვადიდოთ ჩვენი ღმერთებიო! — უთხრეს გაბრიელ ეპისკოპოსს სევანმა ბაპეებმა.

ლატალიის მაცხოვრის ეკლესიის შუა ბაზილიკა ნალის მოყვანილობის დახურული ღერეფნითაა გარემოცული. კედლები სანთლის ქვარტლს დაუფარავს. შეწირულ ნადირთა რქები ისე შეზრდილან ამ ქვარტლთან, თითქოს კედლის ნაწილი იყოს.

მცირე ბაზალიკის მსგავსი ეკლესია კლდის ბექობზეა აღმართული სოფლის განაპირას, საკმაოდ ფართო ეზოს შუაგულში უზარმაზარი ცაცხვის ხე დგას და თავის კალთას აფარებს არა მარტო მლოცველებს, არამედ სამლოცველსაც. ესაა წმინდა ხე, რომლის ქვეშაც ინთებოდა წმინდა ცეცხლი და ეწირებოდა ღმერთს წმინდა მსხვერპლი. გრანიტის ფილები ასრულებდნენ ტაბლის მაგიერობას.

აქ მოეყარა თავი სოფელს. აქ წყდებოდა სევანეთის ღმერთის ბედი.

სევანეთის ღმერთი ყველა ღმერთზე მაღლაა, როგორც სევანეთი ყველა ქვეყანაზე მაღლაა! ასე უთხრეს სევანებმა თვითონ გაბრიელ ეპისკოპოსს და ეკლესიაში არ შეუშვეს.

მრისხანეა ეს ღმერთი და სამართლიანი. თუ ვინმემ რამე დაუშავა, ნაადრევ თოვლს ან სეტყვას მოუვლენს ხალხს, მაშინ ბუკის ხმა შეძრავს სოფელს და ხალხი მკაცრად დასჯის ღვთის მგმობელს.

ამიტომ გაისმა მაცხოვრის ზარის ხმა ლატალიის სოფლებში. ხალხმა ეკლესიას მიაშურა.

წელს უფლიშერის საქმე ბეწვზე ეკიდა, ამან წამოიყვანა სვინჩილდიც ეკლესიაზე.

მოხუცებს თავი მოეყარათ, საგონებელში ჩავარდნილიყვნენ სოფლის ბურჯები:

— რა არის ეს ნაადრევი თოვლი? ეს გვალვიანი წლები, ეს სენი? ვინ ღუპავს სევანეთს? ვინ გვართმევს იმის უფლებას, რაც მამა-პაპას უკეთებია ღვთისა და ადამიანთა საამებლად?

ასეთი საკითხები იდგა აქ დღის წესრიგში.

აღმოჩნდა, რომ ერბილქალს/ჩრშაბათის ქმრის შარვალი დაუკერებია, ერთ მშობიარე ქალსაც ორმოცი დღით წოლის რეჟიმი ვერ დაუცავს, „გარეთ ყოფნის“ დღეები შინ გაუტარებია. პირველს ორი ცხვარი გამოართვეს, მეორეს ერთი აკმარეს... დაკლეს, დალოცეს, შეკამეს, დალიეს, დაიძინეს, და ისევ თოვდა... მეორე დღეს ისევ იყრებიან: ხარს ყიდულობენ, და ბუნება დაცხრა, ისმინა. ეს შემოდგომაზე. ახლა სხვა საზრუნავი გაჩნდა. ესავეს ფელენჯი დაეცა. ზამთარში ცამ იქუხა. ახალგაზრდები ვისხვების წინააღმდეგ გამოდიან.

დაუჭერებელ რამეებს ამბობენ სხვადასხვა თემებიდან ჩამოსული სტუმრები.

— ფხოტრერის წმინდა გიორგის ჭვარს ვფიცავ. — ირწმუნებოდა ნუა ეცურელი, — წინა კვირას მთვარე გველესაშმა გადაყალბა. ჩემი თვალით ვნახე, ბახის მთიდან რომ ამოჰყო თავი, მნათობი ხახაში გადაუშვა და სისხლისფერ თვალებს აბრიალებდა.

— მე კი ლაბსყალდის ოქროს ჭვარს გეფიცებით, ეშმაკი ვნახე, — ამბობდა ლაბსყალდელი ბადაი. — ნახშირივით შავი იყო, თხის რქები ჰქონდა და ვირის კული. ღმერთი გადაადგეთ და ახლა ჩემი დრო დადგაო, ასე თქვა.

— წვირმისა და სვიფის ხატებს ვიშოწმებ, ჩვენებიანთ აბილამ წყალკურთხევა დღეს სანთელი არ აანთო, მოვიდნენ სულელები, წაიყვანეს და კაცი ნიავსავით გაქრა. — განაცხადა მუწვრეში ბეერაზმა.

— თქვენებიანთ აბილა გუშინ ვნახე, წვირმისი მიდიოდა, ცოლოურთან ვიჯავით, ლაპილში, — თქვა მართამ, — სახლის აშენებაში ვეხმარებოდით.

— მამ დაბრუნებულა, — უკმაყოფილოდ მიუგო წვირმიელმა.

— საიდან, საიქიოდან? — გაიცინა მართამ. — განა საიქიო ლაპილშია?

— რისთვის კადრულობ, მართა, იმ უტვინო ჭეელების აყოლას? — შეელა-

პარაკა გეგი. — თუმცა ჭკვიანი ქალი ხარ, ღმერთების გმობა არ გეპატიება. ახლა უფლიშერების მოშლასაც აპირებ. ცუდს აკეთებ ამას, მართა! სოფელი მოღუშულია და მალე ხმასაც ამოიღებს. რას ერევი საუფლო საქმეში? რად შლი უფლიშობას? რად ქადაგებ, წერედინების უსხი ხორცის დამზადების კომისიას გადაეცითო? ვაგონილა? მე ჩემი შეთქვას, მალლა ღმერთს გადაიკიდებ, დაბლა კაცს.

— კაცის არ ვიცი, გეგი, და ღმერთი ისედაც გადაიკიდებულა...

— რატომ? ანგელოზივით ბიჭი გაჩუქა, შე ქალო!

— არ გცოდნია, გეგი, ის მამურზას ნაჩუქარია. ღმერთმა რა მომკა?

— მე დაბეჯითებით ვიცი, — მიუგო გეგიმ, — უღმერთო ბადილს რომ უთქვამს: „შალიანიმ რა დამაკლო, ბიჭუანთ ხატები რას დამაკლებენო!“ — და დაყრუვდა.

— ეს რა არის! — შესძახა ენაშელმა რატიმ, — აგერ, ხაბიჯარების კვეკემ კაიშას მთავარანგელოზს სანთელი ვერ დაუნთო და მეწყერმა წაუღეკა სახლ-კარი.

— ნუთუ მართლა? — ჰკითხა ეცერელმა.

— გეფიცები სვანეთის უძვირფასეს სალოცავს — ჩვენი მაცხვარიშის მოხატულ ვერცხლის ჭვარს, და იმ კვერთხის თავს, რომელიც ნიკორწმინდის ჭვარივით სკერიათ ხელში მთლად საქართველოს მეფეებს.

აბა ასეთ ფიცს ვინ არ დაიჭერებდა!

ეს თამარის დროის წმინდა ჭვარი მართლაც უმშვენიერესი ნახელავია მსოფლიო მნიშვნელობისა, უაღრესად ფაქიზი, ორსავე მხარეს მოჩუქურთმებული-მოხატული, ოქრონარევი, წვეტიან ბოლოებზე გვირგვინებით დამშვენებული. ვინც ასეთ ჭვარზე დაიფიცებს, მას თვითონ ურწმუნო თომამ უნდა დაუჭეროს. მართლაც სჯეროდათ დარბაისელთ და პირიც შეკრეს, უნდა დავიცვათ რწმენა, თორემ სვანეთი დაიღუპებაო.

— ზოგი იმასაც გვაბრალებს, ვერ ასრულებთო სწორად ქრისტიანულ წესებს და იმიტომ გიწყრებოდეთ ღმერთებს.

— ეს მართალია. — თქვა ერთმა გამოცდილმა და წიგნის მცოდნე კაცმა, ყოფილმა გიმნაზიელმა. — ამ მთებში ჩვენ დაეკარგეთ ჩვენი ღმერთი და ჩვენი მშობლიური ენაც კი. სვანურად აემეტყველდით და ერთიმეორეში ავურიეთ ქრისტიანული, წარმართული და მაჰმადიური სარწმუნოებანი, ვაიძულეთ ჩვენს ბაბებს შეასრულონ წესები ისე, როგორც გვესმის.

— მერე, ვკითხვით მცოდნეებს და ისე ვწირით, როგორც ღმერთი გვიბრძანებს, — ამოიღო ხმა სვინჩილდმა.

— როგორ ვწირით, მახეში სვინჩილდ! — ამოიოხრა გეგიმ. — აგერ ჩამოვა შენი ბესარიონი და ვისხვსაც აღარ დაგაკვლევინებს, წირვა კი არა!

სვინჩილდს თავადაც სწყინდა შეიღვივების განდგომილობა, მაგრამ სხვა რომ შეეხო აუგად მის ბესარიონს, ეს არ ესაიამოვნა, შუბლი შეიკრა.

— რას იზამ, ჩემო გეგი, ახალი დროება მოვიდა, მე და შენ არ გვეკითხებიან. ბესარიონი პარტიულია და ხომ იცი...

— ჰო, ვიცი, სვინჩილდ: ვიდრე ვართ, ღმერთს ვუწირით და მერე შეიღებმა ეკლესია თავზე დაგვაშობონ, ეშმაკებს უეჭიონ საქმეველი.

— ყველაფერი ღმერთების ნებაა, ჩემო გეგი, — თქვა სვინჩილდმა და წამოდგა, წავიდა, გაერიდა.

მოხუცებმა ბევრის მოქმელი გზერა გააყოლეს.

— არ არის შესაშური სვინჩილდის იღბალი, — თქვა ერთმა: — შინ თავისიანები გმობენ, გარეთ სოფელი. რა ქნას საბრალომ?

— ისა, რომ ნუ უგზავნის ფულს სოფლის ამრევს! — ნახა გეგიმ გამოსავალი.

— ჰე, გეგი, შენი ქირი მე, მუდამ ბნელში ვყოფილვართ და გინდა ასე დავრჩეთ მეორედ მოსვლამდე? ჩვენც

ხომ გვინდა ქომაგი და მტერმოყვარის პასუხის მიმგები?

— როგორც შეატყობთ, ჩემო ყანსავე, მაგრამ ჯერ მაგისი გაცემული პასუხი არა მსმენია და თუ უღმერთობის ქადაგება პასუხია, ამას რა სწავლა უნდა!

— ეჰ, გეგი, ყანსავემა მართალი თქვა. სვინჩილდმა რომ შვილიშვილს დახმარება არ გაუწიოს, ამით მხოლოდ სოფელი დასუსტდება, იმათ კი არაფერი დაასუსტებს. ოცი წელიც არ გასულა, რაც მოვიდნენ და ხედავ? ყველაფერი შეცვალეს. რაც ახალი იყო, ძველად აქციეს. მიწის გულში იხედებიან, მადნებს პოულობენ, კლდეს ანგრევენ. ერთი სიტყვით, ღმერთებზე ძლიერი არიან.

— ღმერთებზე ძლიერი კი არა, ღმერთებმა მისცეს ძალა, რადგანაც მეორედ მოსვლას აპირებენ.

— ეჰ, ჩემო გეგი, მეორედ მოსვლა უკვე იყო!

— სოფლის ბურჯებო! — დაიწყო თეთრჩოხიანმა და ტანახოვანმა მოხუცნი, რომელიც აქამდე დუმდა. — სადავოდ და საბაასოდ არ შეგვიყრია თავი მაცხვარიშთან. მეორედ და მესამედ მოსვლა ღმერთების ნებაა, ჩვენ კი მათ უნდა ვემსახუროთ. უჯრედს გადაუწყვეტია, რომ წელს ვისხვები აღარ დაიკლას, დამზადებას ჩაბარდესო. რამე უნდა ვიღონოთ. უფროსები ამას არ იტყობდნენ, ადგილობრივი ამრევების ჰკუთის საქმეა. რას იტყვით ამაზე?

— წავიდეთ და რაიკომის მდივანს ველაპარაკოთ, — თქვა გეგიმ.

— კარგი აზრია.

— სხვა საშველი არაა.

— ხელად, ხელვე წავიდეთ!

* * *

რაიკომის მდივანი ფეხზე წამოდგა, მოხუცებს ღიმილით შეეგება. ხელი ჩამოართვა, სავარძლეში დასვა, თვითონაც დაჯდა, მოიკითხა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

სვინჩილდ წერდიანმა ჩაახველა და დაიწყო:

— სათხოვარი გვაქვს, ისტუ მისიგ მი! ევას და აღამის ეამიდან ასე ყოფილა, სოფელს უფლიშობნა და ვისხვი უძღვნია დიდი ღმერთისთვის, ხევის მშვიდობა შეუვედრებია. წელს ჩემი ჯერი იყო და ისეთი ხარი გავასუქე, ავ თვალს არ დაენახებდა. ახლა თქვენს კაცებს გადაუწყვეტიათ, ხარი წავართვათ და ხორცის დამზადებას გადავცეთო. აბა ეს რა სამართალია? ჩვენი პატრონი შენ ხარ და ნუ გვიზამთ ისეთ საქმეს, რაც ღმერთსაც ეწყინება და კაცსაც.

მდივანი ჩაფიქრდა და წყნარად დაიწყო:

— ბაბა სვინჩილდ, ჰკვიანი და შეგნებული კაცი ხარ, ნუ გეწყინება: წართმევის ნებას არავის მივცემ, მაგრამ არც დაკვლის მომხრე ვარ. ვგონებ. დიდმა ღმერთმა საკმარისად მიიღო თქვენგან მსხვერპლი და სამაგიერო არაფერი მოუცია თქვენთვის, კაცნი კი სხვადასხვანაირნი არიან: ერთნი მხოლოდ საესე სუფრას უყურებენ და ძველ წესებს იცავენ, სხვები კი ოფლსა ღვრიან და წინ იხედებიან. მე მეორეთა მხარეზე ვარ.

სვინჩილდმა ამოიოხრა, მერე თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, ნაძალადევად გაიღიმა და თქვა:

— მე თუ მკითხავ, ლევან, თქვენ ღმერთს არ უნდა გამობდეთ, რადგან ღმერთი ძლიერთა მხარეზეა და მისი ნებით ხართ ასე ძლიერი.

— ჩვენ და თქვენ ერთი გზა გვაქვს.

— ჩვენ, მოხუცები, ბოლომდე იმ გზით მივალთ, რა გზითაც მამა-პაპას უვლია, და მერე თქვენ იცით, ჭეულემა! ასე არ არის, ლატალის ბურჯებო?

მოხუცმა მახვშიებმა ერთხმად დაუკრეს კვერი: „ამეი ლი, ამეი!“ — ასეა, ასეო!

სვინჩილდს ამ დასტურმა თითქოს მხნეობა შეჰმატა, მხრებში გასწორდა და მდივანს განაწყენებული დიპლომატის კილოთი უთხრა:

— მთავრობის კაცი ხარ, ლევან, ხალ-

ხის განაწყენებით სამსახურში წინ ვერ წახვალ.

— ბრძენო კაცო, ამას რად ამბობ! — მეგობრულად დაკრა მხარზე ხელი მდივანმა. — განა არა ჯობს ხალხი წაიდეს წინ, ვიდრე მე ერთი? ხალხი კი ისე ვერ წავა წინ, თუ ღმერთებზე და ღრეობაზე ხელი არ აიღო. აი, თქვენ დაკლავთ ვისხვს, შეიყრება დიდი და პატარა, გაიღუშება ხალხი, შექმამს მთელი წლის ჯაფით მონაგარს, მერე? დაერევიან ერთმანეთს ხანჯლებით, და ხარის სისხლს ადამიანის სისხლი მიემატება. ხომ მართალს ვამბობ, გიერგ?

— ეს მართალია, შალიანის მადლმა! — წამოიძახა ყურადღებით წახალისებულმა გიერგმა. — აი, ამ ორი წლის წინ უფლიშობაზე სოხარშერების გერგილდმა ხანჯლით ყური ჩამოათალა გეგანშერების გელას. მერე იმ გელამ გერგილდის ბიძას ტყვია ჰკრა, მარჯვენა გაუხმო და მოსისხლენი მთავრობამ ძლივს შეარიგა... მერე, რა მოხელეა გერგილდის ბიძა! ოქროს ხელები აქვს! იმის ნახელავ მაგიდაზე ხელმწიფე უყოყმანოდ ისაიღებს, გერგილდის გათლილ აკვანში კი უფლისწულს ისე ჩააწვენენ, არც ითაიღებენ.

სვინჩილდმა წყრომით გადახედა აბეზარ მთხრობელს და მდივანს მიუბრუნდა:

— წელს ნუ გამაწბილებთ, ლევან, ეს ერთი ხარი დამაკლევინეთ და მერე თქვენი ნებაა, მე იქნება შორსაც ვიყო მაშინ...

— ღმერთმა დაგიფაროთ! — გაიცინა მდივანმა და მაშინვე ისევ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — სამწუხაროდ, უფლიშობის დასტურს ვერ მოგცემთ. სხვა რაც გინდათ, მთხოვეთ. ამა რად გინდათ ამ გახურებულ მუშაობის დროს ქეიფი? განა მუშა კაცი ახლა დაქდება და კვირაობით სმასა და ღრეობას გადაჰყვება? მერე, ეს გრძელდება ოთხი კვირა, ხუთი კვირა... არა, არა, ლატალის ბურჯებო. ისა სჯობია, თქვენს ბესარიონს დაუჯეროთ, არ წააგებთ — ასეთია ჩემი რჩევა.

მიიმედ წამოდგნენ ლატალის უხუცესნი, დარბაისლურად დაემშვიდობნენ მდივანს და უსიტყვოდ წაიხტნენ, სუშედგო ელჩობით შეჭირვებულნი. კუმტალ მიჰყვებოდნენ გრძელ გზას და პირველად გრძობდნენ დიდი ღმერთის ტახტის რყევას.

არ გაუვიდათ მოციქულობა. იქნებ სვინჩილდის ბადიშმა ითავოს უფლის შერყეული ტახტის გამაგრება? მაგრამ არა! სოფელს დღესაც ახსოვს მისი სიტყვა, ლამპარობა ღამეს რომ თქვა.

მეორე დღეს ლატალში „სულ უფროსი“ ჩამოვიდა პირადად, სვინჩილდს ესტუმრა, ვისხვი შეაქო, ბავშვებს ტყბილულს მისცა, მიუაღურსა, არც ჰქია არაყზე უთქვამს უარი, მერე კი სვინჩილდის დარწმუნებას შეუდგა, რომ მისი შვილიშვილი და კომკავშირელები მართალნი არიან, მეზობლები კი ცდებიან.

მახვშიები მოწიწებით უსმენდნენ მდივანს და თავაზიანად დუმდნენ, რაც ნიშნავდა: სვანეთის უფროსი ხარ, გვჯერა შენი ძალა და სიბრძნე, მაგრამ ღმერთებმა შენს მოსვლამდე შებოქვს ჩვენი სული და შენი წასვლის შემდეგ გაწყდება ის ჯაჭვიო.

ლევანი მაინც ცდილობდა.

— ახლა შეიყრებით, საქმეზე ხელს აიღებთ, ხარს დაკლავთ. ზედ ყველანი თითო ცხვარს და ღორს დააკლავთ, იქეფებთ, ვიდრე ხორცი და არაყი შემოგელევათ, იქნება ღრეობა ერთი კვირა, ოთხი კვირა, და დაიშლებით... შენი სოფლისათვის შენსავით ვის შესტყვია გული! რას აძლევს ეს შენს სოფელს?

იქნებ რაიმეს გამხდარიყო კითილ მოხუცთან, მაგრამ სვინჩილდის მუღღლე აუღებელი კომკავით იდგა და „სულ უფროსის“ რკინის ჰურვებს კენჭებივით აგდებდა უკან.

— ჩემი ხელით გასუქებული ვისხვის დაკვლას არავის ვკითხავ, ბაქ ზოლალი! საქმე არა აქვს ამ კაცს? წაიდეს და თავის სახლს მიხედოს.

1 სიმართლე ვითბრა (იტყუილი ცუდია).

დღეს რაიკომის მდივნის ჯერი იყო. დამარცხდა. დაფიქრებული წავიდა, ცხენს მოახტა და მესტიის გზას გაუდგა. პირველად იგრძნო, რომ ღმერთის შერყეული ტახტი ჯერ კიდევ მაგრად იდგა ძველ მაჩვიბში.

ძველი და ახალი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმია ერთმანეთს, ძალადობა ცუდია, დარწმუნება არ გადის, მტერს არ სძინავს. ახლა სხვა დროა, ძალით ვეღარ გაიტან შენსას, ადამიანების სულს უნდა დავეუფლოთ, თორემ ყველაფერს დაკარგავ. სულში კი იოლად ვერ შეიჭრები, თუ იქ უკვე ზის ათასწლოვანი კერპი. რამდენი რამ უნდა გააკეთო, რომ მისი აფგილი დაიჭირო! ახლაც თვალწინ უდგას მოხუცებულ მინდორას დანაოჭებული სახე, დედაკაცების მთელი რაზმი რომ მიაყენა რაიკომის შენობას და ყურთასმენა წაიღო: „არ გვინდა კოლექტივი! ჩვენ თბილისში წაეღო და ვიჩივლებთო!“ ახსოვს მოხუც ჩოფეს სიტყვები: „ვინც ჩემი ყანის მიჯნაზე ჩამარხულ ქვას მოაძრობს, იმავე ხერელში ჩაეძვრებო“. ახსოვს ხმაურიანი კრება, სადაც ლარიბებს სასტიკად აღუდგნენ წინ შეძლებული გლეხები. სასოფლო საბჭოს დანგრევას და იმ ქვებისაგან ეკლესიის აგებასაც კი მოითხოვდნენ. ახსოვს იმავე კრებაზე ცხუმარელ ვასილ არღვლიანის გამოსვლა: „პატარა ბავშვებით ვიქცევით, ჩვენი სასარგებლო და საზიანო ვერ გაგვიჩვეია და ყველაფერს ახალს წინააღმდეგობას ვუწევთ. ასე ვიუცხოვეთ სოფლის კოოპერატივიც, მაგრამ ახლა საჩაძღოს დავდებ, რომ ვინც აქ ბევრს ყვირის, არ გვინდა, არ გვინდაო, იმას სამი წიგნაკი უდევს ჯიბეში, ერთის მაგიერ. იქნებ კოლექტივიც ასე გამოდგეს“.

კრება ორად გაიყო. მიჯნა გულელებზე გადის. აი, ეს ორი ძალა იბრძვის ორ სამყაროს ამ დიდ მიჯნაზე და გაიმარჯვებს ის, ვინც მეტს მისცემს ადამიანებს, ვისაც ნებისყოფა არ უღალატებს, ვინც მეტი იცის, და ბოლოს — ვინც მართალია. აქ საქმე მართო ღმერთს

როდი ეხება. ერთი საქმეა ღმერთების ტყვეობიდან ადამიანების გამოყვანა და მეორე — მათი ჩაყენება საზღვის სამსახურში...

ამ ფიქრებით ამოკლებდა გრძელ გზას რაიკომის მდივანი და ვერც კი შენიშნა, როგორ თანდათან გაუყინა ღმერთმა ფეხები.

მალა იხებდა. ცივი ფანტელები ეცემოდა ცხელ სახეზე. ესიაშოვნა.

— ღმერთო, გამათბე! — თქვა ხუმრობით. — მართალია, მტერი ვარ შენი, მაგრამ შენ ხომ დიდსულოვანი ხარ და საზღვარი არა აქვს შენს სიკეთეს, თუ კაცი ხელს გაანძრევს!

უფრო შესცივდა.

ლევანი გაბრაზდა, ცხენიდან გადმოვიდა, ფეხები დააბაკუნა, გათბა, გაიცინა, გაიფიქრა: „არასოდეს არც ერთი ადამიანი არ გაუთბია ღმერთს! თუ მართლა არის სადმე, ყრუა და მუნჯი. არც გვიცინავს, არც გვათბობს. გონება მომიცია და თვითონ მოუარეთ თავსო! ვანა დრო არ არის გამოვიყენოთ გონება? ყველამ და არა ერთეულმამ!“

შორს მესტიის დათოვლილი კოშკები გამოჩნდნენ.

• • •

დიდმა ღმერთმა იწება და მამურზას ვაიშვილი ავად გაუხდა. სიცხე თანგავდა ყმაწვილს. მართა ჭკუაზე არ იყო.

— ესეც შენი ქადაგების ნაყოფი! — გამოცრა მამურზამ. — დიდ ღმერთს შევძლენათ თეთრი ხარი და მაცხოვრის ეკლესიაზე დავკლათ, იქნებ დავაშოშმინოთ.

— არა, მამურზა.

— როგორ, არა? ხარი გენანება?

— გავუიღოთ თეთრი ხარი და ქალაქში წავიყვანოთ ბავშვი, — თქვა მართამ.

— ჯერ ღმერთს შევხევეწოთ.

— ჯერ ექიმს! ღმერთი დაიცდის ბარდნის.

უკანასკნელად იძალა თოვლმა.

მაჩვიბებში შემალულა სოფელი.

გვიანი ღამეა.

მახვშის სავარძელში ღრმად ჩამჯდა-
რა მოხუცი სვინჩილდ წერედინანი, თეთ-
რი წვერი მკერდზე სცემს თავდახრილს,
ბიბლოურ იერემიასავით. მოხრილი
მკლავის მოყვანილობის ჩანგს უკრავს
და ზედ ბეთქილის ლექსს დადილინებს.
სევდიანია ეს საგალობელი. გეგონე-
ბათ, ბერიკაცი თავის უკანასკნელ სიმ-
ღერას მღერის, დაასრულებს და ჩანგ-
საც დაამსხვრევს.

ჯალაბობა ვარს შემოსხდომია, რო-
გორც წერგი მუხას, და თითქოს ში-
შით ელის, როდის დაამსხვრევს მოხუ-
ცი ჩანგსო.

გარეთ ცხენმა დაიჭიხვინა. ძალღმა
დაიყუდა და მაშინვე გაჩუმდა, წყმუტუ-
ნი შორთო სიხარულის ნიშნად.

მოხუცმა სიმღერა შეწყვიტა.

მახვშში მხარბუქგანიერმა ვაკაკმა
შემოანათა ფართო შუბლი. ევროპული
კოსტუმი ეცვა, ერთი შეხედვით სვანს
ვერ ეტყოდით, მაგრამ მის შავგვრემან
სახესა და ღრმა, მეტყველ თვალეში
დაკვირვებული კაცი იოლად ამოიკით-
ხავდა შეუპოვარი სვანის თანდაყოლილ
ნებას, წინაპართაგან ნანდერძევეს, აგ-
რეთვე იმას, რაც წინაპართ არ უან-
დერძებიათ, მაგრამ ასევე მტკიცედ
გამჭდარა მის არსებაში.

ქუდი ხელში ეჭირა, გრუზა შავი თმის
კულულები შუბლზე და ყურებზე ეფი-
ნებოდა.

მოხუცს მაშინვე მოხდილი ქუდი
მოხვდა თვალში. რისთვის მოუხდია?
სვანმა ან ბატონს უნდა მოუხადოს ქუ-
დი შორჩილების ნიშნად, ან სიკვდილს
— უძლორების ნიშნად. ეს მახვშში შე-
ნიშნა. ბეგია კი რას შენიშნავდა, შეი-
ლიშვილის გარდა!

— ბიჭო, შენა ხარ? — სხვა ვერაფე-
რი მოახერხა მოხუცებულმა.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდო-
ბით დაბრუნდი, მაგრამ ქუდი რად მო-
გიხდია, პაპა გენაცვალოს? — უთხრა
მახვშში და პირველი გადაეხვია შეი-
ლიშვილს. — მადლობა დიდ ღმერთს,
ჭერ ყველანი მშვიდობით ვართ.

— ნუ გეშინია, პაპა, მე არც სიკვ-

დილს ვუხდი ქუდს, არც დიდ ღმერთს,
და არც ბატარა ღმერთებს! — დადგმ-
ქელიანებს. თქვენ გიხდით ქუდს! — ქა-
ლაქში ასეა: სახლში ქუდს იხდიან.

— ქალაქის წესები კარგია ქალაქში,
შვილო. აქ სვანეთია. იქ ხორცს გირ-
ვანქობით ყიდულობთ, აქ ავერ ვისხვი
მყავს გასუქებული, დავკლავ და მუქ-
თად გაჭმევთ, რამდენიც გინდათ.

— ვისხვი? — ბესარიონმა მოსასხა-
მი მოიხსნა, ბავშვებს გადასცა, მოხუცს
მიუჯდა და დინჯად განაგრძო: — პაპა-
ჩემო, ვისხვი მაინც გაასუქე? ხომ
გთხოვე, არ გინდა-მეთქი.

მოხუცმა შუბლი შეიკრა. ღრმა ნა-
ოქთა ჩრდილში მტრედი დაიმალებოდა.

— ჰე, ბესარიონ! — თქვა გაოცე-
ბით. — ვითომ რად არ უნდა გამესუქე-
ბინა? მკლე ვისხვი მივართვა სოფელს?

— მაგას არ ვამბობ. არც მკლე და
არც მსუქანი. საერთოდ, ვისხვი რა სა-
ჭიროა? ღმერთებს უყვართ მიღება, მაგ-
რამ არა მიცემა.

მოხუცი წერედინანი უკან გადაიხარა
და შეილიშვილს ისე შეხვდა, თითქოს
იმას იალბუზის ჩაძირვა ეთქვა:

— რაღაც არეულად ლაპარაკობ,
შვილო! ვიცი, ეს შენ დაარიგე აქაური
ამრევებიც!

— არ ვიცი, რომელ ამრევებზე მელა-
პარაკები.

— აი, უჯრდია თუ რაღაც ახალი ქა-
ჯობა. ვისხვის წართმევა შონდომეს,
დამზადებას მიეცეთო სამსხვერპლო ხა-
რი, — და მოხუცმა ამ სიტყვებს გმინვა
ამოაყოლა.

— მერე?

— რა, მერე? აი, ამ ჩემს გვამზე უნ-
და გაიაროს იმან, ვინც დიდი ღმერთე-
ბის სამსხვერპლო ხარს წაიყვანს, — და
წერედინამ ვისხვს გადახედა, აბა, თუ
თანამიგრძნობსო. ლეკუნდრის თავში
თეთრი ბუმბერაზი იდგა და ისე ვულ-
გრილად შესიქეროდა შუაეცხლთან
თავმოყრილ ადამიანებს თითქოს უნ-
დოდა ეთქვა: „ჩემთვის სულერთია,
ღმერთს შემწირავთ თუ სოფელს: ორი-
ვე შემთხვევაში ადამიანები შემჭამენო“.

— ჰო, ამ ჩემს გვამზე! — გაიშეორა ფიცხმა მოხუცმა.

ოჯახის დედა შეწუხდა:

— რა არის, ადამიანო, ბიჭი დასაკარგავიდან ჩამოვიდა, შენ კი მაშინვე აღმასივით ეცი! სული მაინც მოათქმევი-ნე. ასეა უფროსობა?

— არაფერია, დია, — გაიცინა ბესარიონმა. — ერთი ეს გვიანი თოვლი ჩამომაფერთხეთ და ცხენს მიხედოს ვინმემ. მე და ბაბუა ყოველთვის ასე ვლაობთ, მაგრამ მაინც ისე გვიყვარს ერთმანეთი, რომ ხათრით ხან მე ვხდები მორწმუნე და ხან ის ხდება ურწმუნო. დღეს კი ისეთ ზეავს გადავრჩი, რომ ამიერიდან მეც უნდა ვიწამო ღმერთი.

— მაგ დღეს მომასწრებს მამა ზეციერი! — გაიღიმა მოხუცმა.

— სხვა როგორა ხართ? ხომ მშვიდობაა?

— კი, შვილო, ყველა მშვიდობითაა ღვთის წყალობით. მხოლოდ მართას და მამურზას გაუხდათ ბიჭი ცუდად.

— მართას და მამურზას?

— ჰო, შვილო, უდნებათ ბავშვი. მაგრამ ღმერთია შემწე.

— რას ამბობ, დედა, ღმერთი შორსაა. ჩვენ უნდა შევეწიოთ, თუნდაც ზეალვე მომიხდეს თბილისში გაბრუნება.

— ზეალვე? თბილისში? განა ქართი ღმერთზე შორს არაა?

• • •

მაჩვიბში ანგელოზივით მშვენიერი მიკუტუნა მზეს ეთხოვებოდა. სარკმლიდან შემოჭრილ სხივს გაუღიმა, ფუნთუშა ხელი ასწია და დედას თითოთ ცა უჩვენა, თითქოს ეუბნებოდა: ჩემი ადგილი იქ არისო და რა გატირებსო?

მამურზა ლეკუნდრისთან დამჯდარიყო და ბავშვივით ზღუქუნებდა.

— ჰაი, თქვე გლახებო, რას ჩამოგიგდიათ თავები! — გაისმა ნახევრად მზნელში ბესარიონის ომახიანი ხმა. — ვაამზადეთ ჩვენი დემეტე, თბილისში უნდა წავიყვანო.

— თბილისში?

როგორც გაზაფხულის მზის შემოხედვა აღსავლის სარკმელში, ისე მოხვედა დედ-მამის გულს ეს სიტყვა.

— ახლა, ამ ზამთარში... ასე დაღლილმა, წუხელ ჩამოსულმა...

— იქნება გაზაფხულამდე...

— ტყუილი ლაპარაკი რა საქირა! გაზაფხული შორსაა. ბავშვი დაგისუსტებიათ... დღეს აღარ თოვს... ხაიშამდე ცხენით ჩავიყვანთ, იქით მანქანა იქნება... სულ ორი-სამი დღის საქმეა. სამაგიეროდ მოარჩენენ, პირობას გაძლევთ. თუ ცოტა ფულსაც მომაშველებთ, ხომ კარგი, თუ არა და...

— შენი ჰირი მე, ბესარიონ, ჩვენი ღმერთი შენ იქნები! ფული ათას მანეთამდე მაქვს. მეტიც იყო, მაგრამ ლიფანაღის დასასრულს, სულთა გაცილების ლამეს სანთელი ჩამწვარიყო და ფული დამეწვა...

— არ მეგონა, მამურზა, თუ სულელები ასე აფანებდნენ სტუმართმოყვარეობას. მთელი კვირა ემსახურო და ბოლოს ფული გაიტაცონ... მაგრამ არაფერია, ჩვენ. ეს ვერ შეგვაფერხებს. აბა, მართა, შენ იცი, ორი წყვილი წინდა, პალტო, ყაბალახი, ნაბადი და ხაქაპურები... არა, ნაბადი მე თვითონ მაქვს! მაშ ასე, მე საბჭოში მაქვს გადასარბენი, ერთ საათში აქ გავჩნდები... დემეტე, გენაცვალე, ხომ გინდა თბილისში წავიყვანო? ისეთ სახლებს გაჩვენებ, რომ მამაშენის მურყვამს ჯიბეში ჩაისვამენ.

დემეტეს თვალები გაუბრწყინდა

— ამ ბავშვს მარტო სიხარული მოგვირჩენს, მამურზა! — შესძახა მართამ და სიხარულით ქმარს გადაეხვია.

• • •

თანაფრც მოახლოვდა, დიდი აღდგომა. ეკლესიის ზარების გაბმული რეკვა მოავაგებს ხალხს, რომ დიდი ღმერთები თავიანთ საეანეში მოუხმობენ მორწმუნეებს. მაგრამ მოედანზე ახალგაზრდობას მიტინგი გაუმართავს, და ინტერნაციონალის ხმა ფარავს დაღლილი ზარების ზრიალს.

მოხუცებიც სხედან და უსმენენ. მათს ბრინჯაოს სახეებზე აღბეჭდილა ეჭვიც და განურჩევლობაც: მიჰყევით, გააკეთეთ, ენახოთ, რა გამოგვივათო.

— გამოუვიდათ და ეგაა, ჩემო გეგი! რაც დააპირეს, გააკეთეს კიდეც. ეს მთავრობა შორს წავა.

— ჩვენ კი კულში მივყევით.

— უშუალოდ ხომ დევებს ვეძახით, მაგრამ ყველაფერში გაგვისწრეს, ბატონიც ჩვენზე აღრე მოკლეს, არტელიც მოაწყვეს, კოპერატივიც, კრებებზეც მეტი ხალისით ესწრებიან. დევები ჩვენ გამოვდივართ.

— ჰოდა, თუ გვინდა ძველი დევობა უკან დაგვრჩეს, ბესარიონს ვაუყვით. ჭგირაგის მადლმა, ჩვენი ცუდი არ უნდა. ხომ ხედავთ, ვადაწყვა აგერ, მამურზას ბიჭს.

გეგი დუმდა. გუმანით ხედებოდა, რომ იყო რაღაც საერთო ბესარიონსა და მის მერის შორის. ამიტომ ბესარიონს არც ასხენებდა, მზად იყო ასულის ხელი დაეთქვა აზნაგისათვის, რომელიც მტლად ედებოდა. თვალეში შესცქეროდა სასიამოროს. იმასაც ხედავდა, რომ ბესარიონი თანდათან იქცეოდა სოფლის თვალად, ძალა და ავტორიტეტი მის მხარეზე იყო, მაგრამ მოხუცი კერპობდა, უღმერთო მეფეც არ მინდაო სიძედ.

თავაზიანად მიესალმა სვინიჩილის ბაღში მოხუცებს და რაღაც საქმეზე დაუწყო ლაპარაკი გოჯის.

ესაა დაბრუნდა ბესარიონი თბილისიდან, სადაც დემეტრე ინახულა. მამურზას ვაჟი ცნობილი ექიმების ზრუნვამ მოაბრუნა, კაცი ვეღარ იცნობს თურმე, ისე გაიზარდა, გამოკეთდა. ახლა სანატორიუმში გაგვზავნათ.

საზრუნავს საზრუნავი ემატებოდა, და ბესარიონი საკუთარი თავისთვის ვეღარ იცლიდა, მაგრამ მერისთვის კი შაინც მუდამ გამონახავდა დროს. ახლა მერი თავისი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად მიიჩნდა და მისკენ ისე მიუწევდა გული, როგორც მერცხალს — ბუღისაკენ. ეჭვი აღებული იყო, სოფელს

ასი თვალი აქვს, და შეხვედრა ქირდა, მაგრამ ბესარიონის გულსნაღვეს უკარგად ხედებოდა მისი მესხარდულმსართა, და ის იქცა ახლა სიყვარულის მოციქულად.

ეს ახელებდა აზნაგს, კრიჭაში ედგა იართას. და შემთხვევას არ უშვებდა, რომ ბესარიონი არ გაეცნწლა ენაშხანიანს.

ერთხელ საკლავი მიჰყავდა ეკლესიანზე. ბესარიონმა არ მოუწონა, ახალგაზრდა ხარ და ახალ თაობას ამოუდექი გვერდში, ზურგი აქციე ბებერ წარსულსო.

აზნაგს ეწყინა:

— რა თავი მოგაქვს, ბესარიონ! ჩვენს გვარშიც ვყოლია შენისთანა ვაჟაკები. ბიძაჩემი ოზბუგი მეფე ერეკლეს ჰგავდა.

— მართალია, თავისი ცხოვრება ერეკლესავით ბრძოლაში გაატარა, ოღონდ ლეკებთან კი არა: ისევ თავისიანებს დაერეოდა ხოლმე ხანჭლით. საღვთო არაყით გონდაკარგული... ჰო, ბევრი სისხლი დაუქცევია საეკლესიო დღესასწაულზე ბიძაშენს, მე არ მინდა ეს განმეორდეს.

იმ დღეს საღვთსასწაულო მზადებასთან დაკავშირებით ლევანმა ჩამოიარა. სოფლის აქტივისტები გზაშივე შეეგებნენ.

ვიდრე საქმეზე გადავიდოდა, დინჯმა და მხიარულმა მდივანმა ყველას ხელი ჩამოართვა და ბესარიონს მიუბრუნდა:

— როგორა ხართ, ბესარიონ?

— რა გვიჭირს, ამხანაგო ლევან! ღმერთი დაეამხეთ და ახლა ღმერთივით ვცხოვრობთ.

— მაშ ფრთხილად, თქვენც არ დაგამხონ.

ბესარიონს გაეცინა.

— ვეცდებით, ამხანაგო ლევან.

— ვისხვების საქმე როგორ არის? მოხუცი მახვშიები იმარჯვენენ თუ ახალგაზრდა უღმერთოები?

— ეს ღმერთებს უნდა ვკითხოთ, ამხანაგო ლევან.

— აკი დაეამხეთო?

— საგზალს ითხოვენ.

— ძღვეულ მტერს საგზალს არ აძლევენ. ზუმრობა გამწვებით, ბესარიონ, ყველა ღონისძიებით უნდა შევეცადოთ, რომ ხალხის ყურადღება გადავიტანოთ არა აღდგომაზე, არამედ საპირველმართო დღესასწაულზე. ეს სასწორიეითაა. საპირწონედ ცოდნა გამოიყენეთ. გადასწონის უფრო ფხიზელი და ძლიერი, თქვენ გყავთ კარგი აქტივი. გავაძლიეროთ მუშაობა, მოვიახლოვოთ ის დრო, როცა მამათა და შვილთა შორის უფსკრული აღარ იქნება.

აი, გააძლიერეს. პიონერებიც კი ჩააბეს საქმიან ორთაბრძოლაში.

პირისპირ იდგა ორი სამყაროს ორი დღესასწაული.

პირველი მაისი და აღდგომა ერთიმეორეს დაემთხვა

ორი თაობა ზეიმობდა, ორივე თავისებურად.

ღმერთებმა ვერ გაუძღეს წითელყელსახვევიანი ყმაწვილების სადღესასწაულო მსვლელობას და უკან დაიხიეს, თავი ბნელ მარნებასა და მაჩუბებს შეაფარეს.

მაგრამ მათი ერთგული მსახურნი იარაღს მაინც არ ყრიდნენ. არც მოხუცები, არც ახალგაზრდები.

აღდგომა დილა თენდებოდა. ათასწლოვანი ტრადიცია ჯიუტობდა.

ეკლესიის კარებთან ბაბი იდგა და გაბმული ხმით აბუღბუღებდა ათასჯერ გაგონილს: „ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთ, ვისაც გესმოდეთ, არა გესმოდეთ. პირსა და პირ მეტყველსა, კაცსა და პირუტყვისა, ტყესა და კლდესა: ქრისტე აღსდგა...“

— აღსდგა კი ნამდვილად? — ისმოდა ახალგაზრდების იქნეული კითხვა, და ირყეოდა რწმენა წმინდა ზღაპართა.

ღმერთების დამცველებად ბაბი მოიწვიეს შვედიდან. სუფრა უნდა ეყუროხებინა, მაგრამ მხოლოდ საკუთარ მუცელს აყუროხებდა.

ბაბი უცნაურად იყო ჩაცმული, უფრო მონადირეს ჰგავდა.

— რა თავისებური მოძღვრებაა? — უკვირდა ბესარიონს. — ქრისტეს სამლოცველოში წარმართული წესით წირავს.

სულ რამდენიმე მორწმუნე მოსულა. პირჯერის წერით ბუტბუტებენ გაურკვეველ სიტყვებს, რომელთაც პიონერების წკრიალა სიმღერა ფარავს.

შერი და ბესარიონი ახალი დროის მოციქულებივით დაჰქრიან. აზნავი შუბლს იკრავს.

ფერი გადასვლია ძველ სარწმუნოებას, როგორც ლატალის თიხის მიღზე აღბეჭდილ წარწერას: „ეჰა საშინელო დიდო და პატიოსანო მაცხოვარო ლატალისო, შემოგწირე და მოგართვი ესე მე ჩიქვანმა ბატონმა ქაიხოსრომ ჩემისა გასამარჯვებლად...“

ასე ძლიერი ყოფილა ოდესღაც ლატალის მაცხოვარი, დღეს კი მხოლოდ უტყვი ნიშანსვეტია, დიდი ისტორიის გზაზე აღმართული.

ამ წელს ქრისტეს უკირდა აღდგომა.

• • •

თანაფ-უფლიში სვანეთის უზენაესი საუფლო დღეობაა, ერთიანი და გაბმული. თანაფი — აღდგომა უკვე იზეიმეს, ახლა ზალხი უფლიშებისათვის ემზადებოდა.

დიდმა ღმერთმა სასწაულების მოხდენა ინება. ლაბსყალდში თურმე ცალთვალა ბავშვი გაჩნდა და დაბადებისთანავე დაიძახა: — „ნენცელ მაკუ!“ — საუზმე მინდაო! თავარაის ტყეებში მონადირეს რქოსანი ბებრუცანა გამოუცხადა, სამჭერ ძალივით შეჰყუფა და მერე სხაპასხუპით უთხრა: „ვინც უფლიშერზე ხელს აიღებს, იმის შვილს რქებზე ავაგებ, თუ შვილი ჰყავს, და თუ არა ჰყავს, თვითონ მას ავაგებო“. სვირშილდამის კლდეებთან დევმა თურმე ლოდები დაუშინა კრებაზე მიმავალ გლეხებს. ცხუმარში კი — ეს უკვე ნამდვილი ამბავია, — ფოსტის დამტარებელს შამილარი დახვედრია, ჭინკები, იმდენი

უჩიჩინებიათ, გზა-კვალი აუბნევიათ და სასოფლო საბჭოს ნაცვლად ეკლესიაში ამოუყოფინებიათ თავი.

როცა მართას ეს ზარდამცემი ახალი ამბები გადასცეს, ქალმა გაიცინა:

— ცუდად ჰქონია საქმე დიდ ღმერთს, თუ ხბოების, კუდიანების, ჰინკებისა და დევების სამსახური დასკირდა!

მართა ჩინებული აქტივისტი გამოდგა. ბესარიონის დახმარებამ და შვილის გადარჩენამ ხომ ფრთა შეასხა. მისი სახით თითქოს ახალი დრო ეხმარებოდა.

პატარა დემეტი მშობლიურ კერას დაუბრუნდა, ჯანსაღი, ჰკვიანი და მზიარული. სულ ნახატებიან წიგნს ფურცლავდა, ლექსებს სწავლობდა, სკოლაში შესვლაზე ოცნებობდა და ორ ნაბიჯზე არ შორდებოდა ბესარიონის ამხანაგს, თბილისიდან სტუმრად ჩამოსულ გურამ გორდელაძეს, რომელიც უფროსებსაც აოცებდა თავისი ნახატებით.

გურამს დიდი ხანია აინტერესებდა სვანეთის ეკლესიები, მეტადრე ფერგადასული ფრესკები, და ბესარიონს სთხოვა, მაცხვარიში დამათვალეიერებინეო.

— მაცხვარიში სკოლის შემნახავი თამლიანები არიან ძველთაგანვე. ყველას არ უღებენ კარებს, — მიუგო ბესარიონმა.

— გრაფის ქალს უვაროვას რად გაუღეს?

— გრაფის ქალს? არ ვიცი.

— მე კი ვიცი და ვგმობ კლიტის შემნახავთა თავაზიანობას. რისთვის უშვებდნენ უცხო პირებს სვანეთის სიძველეთა საცავებში? რატომ გაატანეს გრაფ ლევაშოვს ეახუნდერის ეკლესიის კარი, ძვირფასი თვლებით მოქედნილი ნიმუში მაღალი ხელოვნებისა? სად გაქრა ლაშთხერის ეკლესიის სახარება ხბოს ტყავზე დაწერილი და წარმტაცად შემკული? ან ნაკიფარის ეკლესიის კუთვნილი ხელნაწერი ბაგრატ კუროპალატის, დროისა, ვიღაც მღვდელმა რომ უფეშქაშა უვაროვას? ან თამარ მეფის

სარტყელს, თენგიზის დედამ რომ აჩუქა ეკატერინე დადიანს? ბრინჯაოს კანკელი, მეცხრე საუკუნის რკინის ნახელები, აგრეთვე უვაროვას წაღებული? რატომ არაა ეს სიწმინდეები სვანეთში?

— რა ვიცი, გურამ, ეს ამბები ჩემზე კარგად თვითონ იცი. მე მხოლოდ ღმერთებს ვებრძვი და ერთი რამ ვიცი: დიდხანს თვალის ჩინივით იცავდნენ სვანები საქართველოს განძეულს.

— განძის შენახვაც დამსახურებაა, — თქვა ფიქრის შემდეგ სტუმარმა. — მაგრამ ეს განძი მაინც გარედან შემოტანილია. რა შექმნეს საკუთრივ სვანებმა?

აქ კი ბესარიონიც გაცხარდა:

— რა შექმნეს? ცად აზიდული კომკები, მიწის გულში ჩადებული წყალსადენი მილები, ოქროს სადნობი მოწყობილობა, სიმღერები, რომელთაც ქვეყნიერების ყოველ კუთხეში მოისმენენ. ჩუქურთმები, რომლებიც ყოველ ოჯახში ამშვენებენ სკივრებს, კედლებს და განჯინებს... რომელი ერთი ჩამოვითვალო? ენა შემოინახეს, მოსევადების ხელოვნება სრულქმნეს, ზღაპრების საგანძური შექმნეს, ლეგენდები, ანდაზები...

— შენ მართალი ხარ, — თქვა გურამმა და ფიქრის შემდეგ დაუმატა: — სვანეთს არ ვიცნობთ არც უცხონი, არც თვითონ სვანები და არც ჩამოსულები... ესაა დაუწერელი ეტრატები, რომლის შევსებაც მემართიანეს დავიწყებია... მე მაინც მინდა ენახო მაცხვარიში.

და მათ ნახეს მაცხვარიში. არ ეხალისებოდა კლიტის შემნახავს ურწმუნოთა შეშვება წმინდა ტაძარში, მაგრამ უარის თქმაც ვერ აკადრა. ან რატომ არ უნდა შესულიყო ეკლესიაში ადამიანი მას შემდეგ, რაც იქიდან ღმერთი განდევნა? ახლა ეს იყო მუზეუმი, კაცის ნაჯაფი, მისი ნიჭისა და გულმოდგინების ძეგლი. გურამი ხარობდა, როგორც მხატვარი და როგორც ქართველი. რამდენი ასეთი მუზეუმი სვანეთში! ღმერთებს წილი არ უღვეთ მათ შექმნაში, ისე მიითვისეს, და დრო იყო ფარდა ახალათ მათი უსამართლობისათვის.

— მაგრამ აქ ერთი ამბავია, — თქვა გურამმა ფიქრის შემდეგ. — თქვენ ცრუმორწმუნეობას ებრძვით, ანუ ღმერთებს, როგორც შენ ამბობ. მაგრამ ეს განძი მორწმუნეებს შეუქმნიათ, დღესაც მორწმუნეები იცავენ ჭერჭერობით, და შეშინია, მათს გულში ღმერთის რწმენას რომ შეარყევთ. ეს განძიც ქარს არ გაჰყვას. საგანს თუ იღვას საგულდაგულოდ მხოლოდ ის დაიცავს, ვისაც სწამს.

— აუცილებელია ღმერთი სწამდეს? ამ კითხვამ გურამიც ჩააფიქრა.

— არ არის აუცილებელი. მაინც რა უნდა სწამდეს?

— ხალხი. ადამიანი. მისი ქმნილება და მონაბოვარი.

— ჰო... ეს სხვა საქმეა... მაგრამ ჭერჭერობით ამას შეიძლება უტოპია ეწოდოს. მანამდე კი...

დავა გრძელდებოდა.

სალამოს საუბრის საგანი ისევ ვისხვი გახდა. რაზედაც არ უნდა დამტრუიყო სიტყვა, ვისხვით და უფლიშერობით დამთავრდებოდა.

ბესარიონი და სვინჩილდი მტკიცედ იდგნენ. რამდენადაც ძლიერი იყო ნათესაური სიყვარული, იმდენადვე შეურბეველი იყო ორივე რწმენის საკითხში.

— დაგვიტომე ამ ერთ საქმეში, მახვიში სვინჩილდი, — ეუბნებოდა ბერიკაცს შვილიშვილი. — რა მოუცია, რას მოგვცემს ზეცის მეუღლე? დიღია და დიდებული ჩვენი ვისხვი, უხვად ჩქეფს მის ძარღვებში სისხლი, მაგრამ ყანებს ვერ მორწყავს. ბევრი ზორცი გამოვა, სოფელს ეყოფა, მაგრამ დიდ ღმერთს ვერ გააძღვებს, რადგან გაუმძღარია დიდი ღმერთი.

— ო, შვილო ჩემო!.. მაშ რა ვქნათ?

— მივეთვამ დამზადებას, ავიღოთ ფული, ვიყიდოთ ხორბალი, ვიშრომოთ ღრეობის მაგიერ; მოსავალი მოვა.

— მერე, შრომა გვეყოფა?

— მაშ ღრეობა გვეყოფა? და ბედზე წუწუნი ღრეობიდან ღრეობამდე?

ღარიბი გლეხობა ბესარიონს აბრუდვა გვერდში:

— მართლა, რა მოგვცემს ამ უფლებებში, სიღარიბის გარდა? საწყალმა ბიტომ ორივე ძროხა გაყიდა, რომ ვისხვი ეყიდა. ჩვენ გავძეხით და ბიტის კი შვილი შიმშილით დაუქლუქდა.

— მართალია, მართალი! დაანებე! სვინჩილდი, მიეცი ხარი დამზადებას! კონსტანტი შვილიშვილი გყავს და არ შეგშვენის, რომ უკან ეწეოდე. ცოდვამ ძველი დრო წავიდა. შენმა შვილიშვილმა მავალითი უნდა უჩვენოს სხვებს.

— რა მავალითი, უღმერთობის? — წამოიჭრა ბაშხილი, სვინჩილდის ცოლი. — ასეთი რამეები თქვენს შვილებს ასწავლეთ, მე კი გამეცალეთ, თორემ შალიანის ვტიცავ, ამ ნაჯახს დაგკრავთ თავში!

ნაჯახის ყველას ეშინია. მეზობლები ბუზღუნით წავიდნენ.

ვისხვმა ამაყად ასწია თავი და მხერა გააყოლა: ხომ ხედავთ, რა საიმედო დამცველები მყავსო!

* * *

უცნაური ამბავი მოხდა ლატალში: ვისხვი მოიპარეს! ზოგს ნემსის მოპარვაც უჭირს, და ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი თამამი, რომ წერედიანების საუფლო ხარი მოეპარა? ეს თვითონ ბაშხილმა არ იცოდა, სვინჩილდის ცოლმა, რომელსაც ეშმაკი ვერაფერს გამოაპარებდა, თუმცა წელთა სიმრავლეს მის ძარღვებში სისხლი სრულიად დაეშრო და დაეჭვნო ეს ერთ დროს სანუკვარი საპატარძლო.

ეს ამბავი მაშინვე მთელმა სოფელმა გაიგო.

საგონებელში იყო ჩავარდნილი თვითონ ბესარიონი. სვინჩილდს ხომ დანა პირს არ უხსნიდა.

— ეგ, შვილო, შენი უჯრედის გაკეთებულია, — ეუბნებოდა შვილიშვილს. — ახალისებდი იმ ლაწირაკებს, უწონებდი ყველაფერს და აგერ ნაყოფი ხელში გვიჭირავს... არა, მე ამ საქმეს გადავყვები და თქვენ რაც გენებოთ...

— ნუ წუხხარ, ბაბუა, ხარი ნემსი ხომ არ არის! — არწმუნებდა ბესარიონი. — უსათუოდ მოინახება. უჭრედის წევრები ამას არ იზამდნენ, ეს შემიძლია ფიციტ ვითხრა...

— უღმერთობების ფიცი! — გაიცინა სვინჩილდმა.

— ვისაც უღმერთოს ეძახით, ხშირად იმისი ფიცი უფრო საიხედოა, და ბევრ მორწმუნეს გაუყიდა თვითონ ეკლესია! დამიჯერე, უჭრედმა არაფერი იცის. ჩვენ ქურდობით არ ვაპირებთ ჩვენი აზრების გატანას.

— თქვენ იცით...

* * *

— ვისხვიც ხომ გადავმალე საიხედო აღვილას, მახვში გეგი! ახლა რას მიბრძანებ?

აზნავი ისე იღიმებოდა, თითქოს დიდი საგმირო საქმე მოხდინოს. დაკვირვებული კაცი მის თვალებში ამოიკითხავდა: „როდის მომცემ მერის?“

გეგი არ ჩქარობდა.

— რას აკეთებდი მთელი ღამე? — ჰკითხა სასიძოს.

— ვლოცულობდი, მახვში გეგი.

გეგიმ იცოდა: ატყუებდა აზნავი.

— ლოცვას ის ჯობდა, შენს მეტოქეს გასწორებოდი. ღმერთს არ უყვარს ცარიელი სიტყვები, მას სიმამაცე უნდა უჩვენო.

აზნავი რომ საქმაოდ გონიერი ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ სახიფათო რჩევას აძლევდნენ, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ამდენი მიხვედრილობა არ ჰქონდა, ამიტომ თავი ანახლად გმირად წარმოიდგინა და მერის სილამაზით შთაგონებულმა პირდაპირ კლუბს მიაშურა. მაგრამ კლუბამდე არ მისულა, რადგან მოაგონდა, რომ დღეს ბესარიონი კრებაზე არ ყოფილა. ხარს ეძებდა ენგურის ვადაღმა, ლაპილის მხარეს. ლაპილი შორს არ იყო. მაცხვარიში რომ ვინმეს გული მოუვიდეს, ენგურამდე ისე ირბენს, დამშვიდებას ვერ მოასწრებსო, იტყოდნენ ხუმრობით, მხოლოდ ენგური გააგრილებსო.

გაბრაზებული აზნავიც იმ გზას დააღდა, ოღონდ ენგურში გადავიდა და არ აპირებდა, სხვას უმზადდებოდა წესით ხვედრს. მიჰყვებოდა ბილიკს, რაც ტყე-ღრეში გადის, და ფიქრობდა: „ტყე-შია? მით უკეთესი!“ მართლაც, სულელი უნდა იყოს, რომ შუა სოფელში სისხლი დაღვაროს და თავი დაიღუპოს. სისხლის დაუღვრელად ჯობს. ტყის გზაზე ერთი ქარაფია, იქ გადავარდნილს ყოვანი თუ იპოვნის, თორემ სხვა სულიერი რას მიაგნებს. ხანჯალი მოისინჯა და იქით გაეშურა. უბრალო და გაბედული გეგმა ჰქონდა: ქარაფზე გადაეჩეხა ბესარიონი და მერე ხმა გაეფრცელებინა, ღმერთებმა დასაჯესო. ამ საქმეში მკითხავსაც მოიშველიებდნენ. მკითხავს, ღმერთების მაჰანკალს.

* * *

გეგის ვისხვი შავი იყო, მასავით ჯმუხი და ჯიუტი. საქონელი ხშირად ემსგავსება პატრონს.

— ეს რომ დაეკლათ, ცალი ხარი დაგვრჩება, — ეუბნებოდა მამას მერი.

— მოზვერი გყავს, წამოგვეზრდება.

— ეს როდის იქნება? რომ არ დაეკლათ, მამა, რა იქნება?

— ღმერთი იწყენს, შვილო. ღმერთს მსხვერპლი უყვარს.

— მამა, თუ ასე სჭირდება, რატომ ვერ ახერხებს თავისი ვისხვის დაცვას?

— ვინ, სვინჩილდი?

— არა, ღმერთი.

— ჰმ! შენც ვადაგიბირა, შვილო, ბესარიონმა?

ბესარიონის ხსენებაზე მერის დაწვები თურაშაულისფერი გაუხდა, თავი დახარა, გაირინდა.

— ჰა, რას გაჩუმდი, დინა? იქნება კომკავშირშიაც მიგიღეს?

— მე ვინ მიმიღებდა, მამა!

— რატომ? — ცალუხად გაიცინა გეგიმ, ულუაშები შეისწორა და ყალიონი გააბოლა. — ბევრი არაფერი უნდა ღმერთს დაგმობ, მამას გადაუდგები, კახას დაიმოკლებ, ენას დაიგრძელებ და მორჩა: უკვე კომკავშირელი ხარ!

— არაფერია, მამა! — გაიცინა მერომ: — ბაბაშერების პეგა კომკავშირელია, მაგრამ საკუთარი ფეხით წავიდა მესტიისში, ექიმო ჩამოუყვანა მამას და სიკვდილს გადაარჩინა. წამლის ფული რომ არ ჰქონდა, დედის ნახუქარი მძივები გაყიდა...

— ბევრს ნუ ატლიკინებ მაგ ენას, თორემ ჭვირაგის მადლმა, ყურებს აგაგლეჯ!

საქმეში დედა ჩაერია.

— ნუ შეიკალი ეს გოგო, ადამიანო! ნეტა, რას ემართლები? მტლად რომ გვედება, გავლა არ იცის და ჩაცმა, თუ რას? რალაც ცირკი რომ იყო, იქაც კი არ ვაუშვი...

— შენ ხომ ვაუშვი კლუბში, რომ ბესარიონისათვის მიუშტერებინა მაგ კატის თვალები? — გაცხარდა გეგი. — დამესიეთ ახლა კიდევ და რასაც მოიგებთ, იმას ნახავთ!

— შენს ხელში მოგებული არ წავაგოთ და მოგებას ვინ დაიქებს! — ამ სიტყვებზე ქალმა კარი გაიჭახუნა.

მერის საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. გეგიც დუმდა. მერე ჩიბუხი დაბერტყა, საკარცხულის სამკლავეზე დაატეხა და მუქარით თქვა:

— ბესარიონთან გავლილი არ დაგინახო, თორემ ლატალის მაცხოვარმა ამ ჩიბუხის ტარივით გამტეხოს წელში, თუ ჩემი ხელით არ გადაგაგდე მაცხვარიშის ქარაფზე!

შემდეგ წამოიჭრა, ნაჯახი აიღო და ტყეში წავიდა.

„ახლა სადამომდე არ დაბრუნდება, კრებაზე წასვლას მოვასწრებ“, — გაიფიქრა მერიმ და კაბა შეისწორა. მერე დაფიქრდა და საკუთარ გულს შეედავა: „მე ხომ ურიგოს არაფერს ვაკეთებ!“

• • •

ახლად შეფოთლილ მუხნარში კალმანივით მოქნილი ბიჭები ძლივს მიიკვლევენ გზას. ხბოებს ეძებდნენ და ამ გაუვალ ჰალეებში მოხვდნენ.

— აჰ, ხბო კი არა, კაცი დაიკარგება! — თქვა დემეტმა.

— მომყევი, ბიჭო, თბილისში არ დაიკარგე და აქ რა დაგკარგავს? —

— თბილისში უკაცობედ მივდივარ ნახავ, აქ კიდევ — კაცის ჰაჭანებას... შოდი, გუდული, ეკლესიაში შევიდეთ.

— უი, რა გინდა ეკლესიაში?

— ღმერთს შევეხვეწოთ, ხბო გვაოვინოს.

— მეტრ საქმე არა აქვს ღმერთს!

— დიდი ამბავი, თუ ერთხელ დაგვეხმარა! თუ მოინდომა, ერთ წამს გვაპოვინებს. ხბოს კი არა, ჯიხვს!

— გაგივდი? ბესარიონმა ხომ თქვა, ღმერთი არ არისო!

— ეს ცაში, თორემ ის კი არ უთქვამს, ეკლესიაში არ არისო. მამ ვისია ეკლესია?

დემეტმა თავისი გაიტანა.

ყმაწვილებმა იენაშის წმინდა გიორგის საყდრის კარი შეადგეს, ბნელ მღვიმეს ხელიხელჩაკიდებულებმა მიაშურეს, ფერგადასული ხატის წინ დაიჩოქეს და ხამაძლა შესთხოვეს:

— ჰე, ლატალის დიღო ღმერთო, ჭვირაგო და თარგლეზერო, თუ შეგიძლიათ, თქვენ დაგვეხმარეთ, რომ ვიპოვნოთ ჩვენი წითელი ხბო, დრუნჩხე რომ თეთრი ვარსკვლავი აქვს, სამაგიეროდ, როცა გავიზრდებით, ხარს დაგიკლავთ..

— ნუ ჰპირდები, ბიჭო!

— აბა ისე...

— სულელო! ხბოში ხარს აძლევ? ესე ღმერთი მოგებული დარჩება...

— ჩუ! გუდული! ღმერთმანი, ხარის ზმუილი მესმის.

— მეც მომესმა.

— საიდან უნდა იყოს?

— ეგერ, იმ ბნელ ხერელში... ზმუის.

ხარის ზმუილი ახლა გარკვევით მოისმა. ყმაწვილები შინის ხარამა აიტანა, მაგრამ ერთმანეთს ხელი ჩააგლეს და ანგარიშშიუცემლად წავიდნენ იქით, საიდანაც ხარის ხმა ისმოდა. საკურთხეველის იქით რალაც გვირაბს დაელო ხახა.

იენაშის ეკლესია დაკეტილი არაა, მაგრამ არცაა საჭირო, ისედაც ვერავინ ბედავს შესვლას. კედლებს ოქროს-

ფერი ახლაც გადაჰკრავს, სიღრმეში კი საიდუმლოებით მოცული ხერხელები და გვირაბებია. უინ შევა იქ? ეს ბავშვები ასე ვინ გაათამამა?

ეკლესიის გვირაბში საუკუნო ღუმელი სუფევდა. ყმაწვილებს ადრეც სმენოდათ ამ გვირაბის ამბავი, მაგრამ ერთხელაც არ ენახათ, რადგან ეკლესიაში შესვლასაც ერიდებოდა დიდი თუ პატარა. თითქოს იქ რაღაც ჭადო ყოფილიყო, და ბნელ მღვიმეში შეხედვას ვინღა გაბედავდა! ახლა ამ საშინელი გვირაბის წინ აღმოჩნდნენ და შიშით მუხლები ეკვეთებოდათ, მაგრამ მაინც წინ მიდიოდნენ, როგორც ელდანაკრავი თაგვი, რომელიც გაქცევის მაგიერ კატას უვარდება კლანჭებში.

გუდულის ასანთი და კვარი აღმოაჩნდა. გაჰკრა, გაანათა, და ერთბაშად სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ, სადაც მიწისქვეშ, მოუსავლეთში, სადაც არავინ იყო, არაფერი ისმოდა. გვირაბი ფართო იყო და მაღალი, ქვით ამოშენებული, ალაგ-ალაგ ჩამორღვეული. დემეტს თავზე წვეთი დაეცა და შიშით შეხტა: სადაც რომელიღაც პატარა ცხოველმა გადაირბინა და ბავშვებს მგელი ეგონათ. მართლა, ვინ იცის, რა არ ბუდობდა ამ გვირაბში, დღესაც რომ აძრწუნებს მნახველს!

— ასეთი გვირაბი ჩარკვიანების სახლიდან გადისო შორს, ღელეში, — გაიხსენა გუდულიმ. — ამ ხერხიდან გადიოდნენ თურმე, როცა ჩარკვიანებს დადეშქელიანები დაესხმოდნენ თავს და კოშკს შემოადგებოდნენ.

— ეკლესიას რად უნდოდა გვირაბი?

— ალბათ ღმერთების შემოსასვლელად.

ხარმა ისევ დაიხშილა. ყმაწვილები ერთმანეთს დაეჯახნენ.

— გაიხედე, გუდული, იმ ნიშში ხარი აბია! — შესძახა დემეტმა.

— ხარი? ხბო იქნება, ბიჭო.

— რა ხბო იქნება, თეთნულლისხელა!

გუდულის ლოდი უშლიდა. დაიკუნჯა.

უზარმაზარ ლოდსა და კედელს შორის დომბის ტოლა თეთრი ხარელები...

— ბიჭოს! ვიცნობ, ეკლესიის წინა-ღის ვისხვია! აკი დაიკარგა, მაგრამ აქ საიდან გაჩნდა? ვინ დააბა? აჰა, ვიცი! ეს გვეგის, აზნავის და მისი ამხანაგების ოინია! ამ ლოთებმა მოიპარეს ვისხვი, რომ მთავრობას გადაუმალონ და უფლიშერზე ჩუმად დაკლან!

— ეს საქმე ბესარიონს უნდა შეეატყობინოთ

— ბესარიონს? არა, ისევე ჩხუბს დაუწყებენ, ბიჭო!

— მამ რა ექნათ?

— იცი, რა მოვიფიქრე, დემეტ? ეს ვისხვი უნდა მოვიპაროთ.

— მოვიპაროთ?

— ჰო, რამ შეგაშინა? ქურდის ქურდი ცხონდებაო.

— რალა გაცხონებს, გუდული, დიდ ღმერთს რომ ხარს მოჰპარავ. ისიც მის საკუთარ ეკლესიაში?

— მაგ ერთი ცოდვა ჩემს კისერზე იყოს, დემეტ. ან რა იცი, ღმერთს ჰპარავ თუ ეშმაკს. მოდი, მომეხმარე. მე გამოვხსნი, შენ კი გამოიპირეკე. ჩქარა, არავინ მოგვისწროს!

დემეტმა ფეხი ძლივს აითრია.

ყმაწვილებმა ხარი კანკალით გამოხსნეს და უკვე გამობრუნდნენ, რომ კვარი ჩაიწვა, ჩაქრა. ბნელში ამოდენა ხარის გვერდით მომავალი ბავშვები რომ ეინმეს ენახა, იფიქრებდა, საიქიოდან ანგელოზებს ეშმაკის მრტაცებული სამსხვერპლო ხარი მოჰყავთო.

მართლაც, ასე იყო.

* * *

გალმასებული მოხუცი ნაჯახით ხელში მიეშურებოდა ტყეში. შორიდანვე დაინახა, როგორ მოერეკებოდა ორი ყმაწვილი დიდ თეთრ ხარს. გაჩერდა გეგი, შუბლი ხელით მოიჩრდილა. ეს ხომ სეინჩილდის ვისხვია! აკი აზნავმა გადამალა, რომ მხოლოდ უფლის დღეს გამოიყვანოს და მაშინვე დაიკლას!

— ვისია, გუდული, ეს ხარი?

— მურზაშერების, ბაბუა!

მერე, რა თქვენი საქმეა მურზაშერე-ბის ხარი?

— ხომ დაიკარგა! ჩვენ ვნახეთ... ეკლესიაში დაუბამთ ქურდებს.

— ეკლესიაში?

მოხუცი კედელთან იყო მიმწყვედული.

— ჰო... ჰმ! ეკლესიაში!.. იცი, გუდული, ეს ხარი ახლა მთელი სოფლისაა, საღვთო უისხვია. თქვენ რომ ბესარიონს მიჰგვაროთ, მთავრობა წაიყვანს... მოდიოთ, დავმალეთ, ვიდრე უფლიშერობა დაიწყება...

— რას ამბობ, ბაბუა გეგი! — გაიოცა გუდული. — სოფელი და მთავრობა რამ გაყო! ხარს პატრონს მივუყვანთ და მერე მისი საქმეა... ბიძინამ დაგვაწავლა...

„აი, როგორ ზრდინა!“ — თქვა გულში გეგიმ და თავის გამოსაყვანად ბავშვებს დაუყვავა:

— ჰე, აბა თქვენ იცით, ხელახლა არ დაკარგოთ, პირდაპირ სვინჩილდს მიჰგვარეთ და მე ვიცი თქვენი... საგანსოდ იმისთანა ციგებს დაგიტლით, რომ სულ სრიალ-სრიალით ჩაიქროლოთ ბეჩომდე.

— გმადლობთ, ბაბუა გეგი! ჩვენ უკვე დიდები ვართ, ციგები კი არა, თხილამურები გვინდა, რომ მალა ავიდეთ, უშმაზე, და იქ მოკალათებული ღმერთები გავადლოთ... ეკლესიაში უკვე ვიყავით, იქ ღმერთის ჭაჭანებაც არ არის: უშმაზე გაქცეულან!

— ჰე, დიდო ღმერთებო... — უნდოდა დაეწყევლა კადნიერი ყმაწვილები, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა: — თქვენ მიუტყვევთ ყველას, ვინც არ იცის, რას სჩადის!

არა, ახნაგს ბედი არ სწყალობს! ყოველ საქმეში მარცხი მოსდის, ყველგან ხელი მოეცარა. ჭერ იყო და ბესარიონმა წააქცია და დღესაც ამას უკიყინებს ყველა, ვისთანაც ლაპარაკი შეხედება. მერე მერიმ აითვალწუნა, ბესარიონი არჩია. ახლა ვისხვი გადამალა უფლის საამებლად და ისიც ლაწირაკმა ბავშვებმა წაჰგვარეს, მიწის გულში ჩაძ-

ვრებიან და იპოვიან ბესარიონის დაგეშილი ლეკვები!

ეს ნასამხრეებს მოხდა, როცა ახნაგმა უკვე წასული იყო ბესარიონთან ანგარიშის გასასწორებლად. მერე ნაჯახის ზმას მიჰყვა, ბესარიონი ეგონა და გეგის წაადგა თავს. გეგის უკვე შეხვედროდნენ ბიჭები და ხარის პოვნის ამბავიც ასე გაიგო. ამან უარესად გააცეცხლა ახნაგი და „როგორც პაემანზე ქალიშვილს, ისე ელოდა დაღამებას“.

ღამდებოდა.

მოსწყინდა ქართზე ჯდომა და ჩხირების თლა ცეცხლმოდებულ ახნაგს, გეგის მოციქულს.

საოცარი იყო, ღმერთები ახნაგს არ ეხმარებოდნენ. ბესარიონი აგვიანებდა. კიდევ დაღამდა. მეტოქე არ ჩანდა და არა. ახნაგმა მიატოვა ბეჭობი და ძუნძულით წამოვიდა, რადგან ღამით ტყეში მორწმუნესაც ეშინია და ურწმუნოსაც.

სოფლის გასადევართან მერის შეეფეთა. ხბოებს დაეძებდა. თვითონ კრებაზე იყო და ვერავის მოეჩუქა.

— რა ვინდა, მერი, ამ სიბნელეში? — ჰკითხა ჭიქურ.

— რა შენი საქმეა!

— არ არის, მაგრამ იქნება! ყველას ჯავრს შენზე ვიყრი, იცოდე!

— მანამდე პური არ გეჭამოს!

— იცი რა? ბესარიონს ჩამოსცილდი.

— როგორც მიბრძანებ.

— როგორც ვიბრძანებ! ბესარიონი ხატზეა გადაცემული.

— მერე, რა მოუვა?

— კარგი არაფერი.

— მაინც?

— ფელენჯი დაეცემა, მეხი მოხედება, ხანჯლის წერა გახდება...

— რამდენი მახე ჰქონია დაგებულო! ვინ უზამს ამას ყველაფერს?

— ღმერთები.

— შე საცოდავო, სახით ახალგაზრდა ხარ, აზრები კი დახვესებული გაქვს.

— მამაშენი დამპირდა შენს თავს.

— რას ამბობ? ხბო თუ გგონივართ ნენ და მამაჩემს?

— შენთვის აღიდებულ ენგურში შევალ, მშრალი გამოვალ.

— ჯობს კომკავშირში შეხვიდე, იქნება კაცი გამოხვიდე, — მიახალა მერიმ და წასვლა დააპირა.

აზნავი წინ გადაედგა.

— აზნავ! გზა მომეცი!

— მერი! იცოდ, ბესარიონის გულს მოგიტან საჩუქრად! — ამ სასტიკი სიტყვის დასტურად აზნავმა ქარქაშიდან ხანჯალი წამოსწია და ხმაურით უკანვე ჩაავი. მერის მოეჩვენა, რომ მშვირბა მგელმა კბილები გააკაწაწაწა.

— ყოჩაღ, აზნავ, საჩუქრად სხვის გულებს არიგებ, რადგან საკუთარი არ გაგაჩნია! — გაისმა ბნელში მესამე პირის ხმა.

— ბესარიონ! — წამოსცდა ელდაწარავ მერის და უკან მობრუნდა.

აზნავმა ხანჯალი იშვიშლა, რადგან ენაზე უკეთ მახვილი უჭრიდა. არაერთი კაცი ჰყავდა დაჭრილი, „ბანძლიანი კაცის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი თავხედს და ყველა ერიდებოდა.

ბესარიონს მხოლოდ ჯოხი ეჭირა, პაპისეული იფნის მუჯურო. განზე გადახტა, დარტყმა აიცილა. აზნავი არ იყო დახელოვნებული მოთარეკავე, მარტივად იქნედა ხანჯალს. ამან ბესარიონს საშუალება მისცა მარჯვედ აეკრა მუჯურო. რკინა რკინას მოხვდა, ხანჯალი ასკილის ბუჩქებში გადავარდა, იქიდან დაცურდა და სადღაც რიყის ქვებში გაისმა რკინის წყარუნი. ახლა ბესარიონს შეეძლო მუჯურო დაეკრა თავში მეტოქისათვის, მაგრამ ჯოხი მიწაზე დაასო, მივიდა, ორივე ხელით ჩაბღუჯა მხრებში მეტოქე და ღონე გაუსინჯა.

— ვიდრე მე ცაში ღმერთებს ვებრძვი, შენ დედამიწაზე ქალიშვილებს ეტმასნები, — უთხრა ცივად. — მაგრამ აქ შეგეშალა. მერი ჩემია. ახლა წადი, შენი ხანჯალი იპოვე და უფრო სასარგებლო რამისათვის გამოიყენე. ჩემი გული უკვე განუქებულა, შენსას უპოვნე სწორი. დაგეხმარები კიდევ.

აზნავი აყოვნებდა.

— საით წამესვლება, სირცხვილე-

ულს? — გამოცრა ბოლოს. — მაჯობ, ბესარიონ, თუ შეგჩნა... ბესარიონს შეეცოდა მტელში მთუბრუნდა:

— ნუ მიიტან გულთან, აზნავ. ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით და ერთად უნდა ვიყოთ. ბავშვი ნუ ხარ. „ჯობნა“ არაფერს ნიშნავს. ან ერთი აჯობებს ან მეორე. შემთხვევის საქმეა. მთავარია სულიერი ძალა და არა მკლავის ღონე. შეგეძლო შენ დაგესწრო და გეჯობნა. მერე რა?

— ეს ცარიელი სიტყვებია.

— სიტყვა, თუ გულწრფელადაა ნათქვამი, იგივე საქმეა. ადამიანი სიტყვითაა. აი, მითხარი, რას მიზამდი?

— მოგკლავდი! ახლაც მოგკლავ, რომ შემეძლოს.

— მერე, შენი ღმერთი რომ კრძალავს კაცის მოკვლას? „არა კაც ჰკლავ“, ასე ბრძანებს. მე კი არ მოგკლავ, თუმცა შემეძლია მოგკლა. ჩანს, ჩემი რწმენა ჯობია შენსას.

— შენ გწამს რამე?

— მე მწამს ის, რაც სწამდა ლენინს: ხალხი.

ამ დროს მთვარემ გამოანათა და ბესარიონმა შენიშნა უჩვეულო სხივი, აზნავის თვალთაგან რომ გამოკრთა.

— ლენინს? — თქვა ძლეული კაცის დაღლილი ხმით. — ბესარიონ! შენ გწამს ის, რაც ლენინს სწამდა? ეს არ ვიცოდი. ახლა მჭერა შენი და სადაც შეტყვი, იქ გამოგყვები.

აზნავმა შეისვენა, თავი დახარა, დაფიქრდა და განაგრძო:

— იმის ნიშნად, რომ სიმართლეს ვამბობ, გამოგიტყდები: ვისხვი ახლა შენს ბოსელში აბია.

— მართლა? საიდან იცი?

— ჰმ! საიდან! ბესარიონ, ვისხვი მე გადავმალე... მაპატიე... თუ შეგიძლია. ადამიანი ერთ წუთში გარდაქმნილიყო.

ბესარიონი მეტოქეს გადაეხვია.

თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო თავი გამარჯვებულად.

* * *

საუფლო ხარის პოვნას ბაბუა — ბადიში ერთნაირი სიხარულით შეხვდნენ. მაგრამ გულში სხვადასხვა განზრახვა ჰქონდათ. სვინჩილმა ეს ჩათვალა უფლის წყალობის ნიშნად და ხარიც საუფლოდ უნდოდა, ბესარიონმა კი ეს დამსახურება ყმაწვილებს მიაწერა და ნასუჭი ვისხვის ჩაბარებას აპირებდა ხორცის დამზადებისათვის, რომ ოჯახი შეემოსა და ხორბალი ეყიდა.

— ჩვენო ჰყვიანო მახვში, — ეუბნებოდა გაკერპებულ პაპას, — დღემდე ოჯახს კარგი კაპიტანივით მოუძლოდი, შენი აზრი მთელი სოფლისათვის სახელმძღვანელო იყო, და ახლა როგორ ვერ დაგიჭერებია, რომ დღეს სოფელი, ღმერთებს კი არა, მთავრობას უნდა შეუკავშირდეს? ძველი კავშირი დაირღვა, რადგან არაფერი მოგვცა იმან, ვისაც ეკლესიები ავუშენეთ. ახლა მივყვეთ იმას, ვინც თვითონ გვიშენებს სახლებს, გვიკეთებს გზას... ეს კავშირი ჩვენი კოშკის დუღაბზე მტკიცეა.

სვინჩილს თითქოს არც გაუგონია, მას შვილიშვილის დარდი ჰქონდა:

— დაუბრუნე ხარი სოფელს. შვილო. მიეცი ღმერთს ღმერთისა! ხევი არ გაპატიებს. ყოველ თანაფ-უფლოშს დაგწყევლიან, შვილო, თანაფ-უფლოშის წყევლა უსათუოდ გიწევს, არ გაგახარებს. მე გული მტკიცეა.

— სოფლის წყევლა ვერაფერს მავნებს, რადგან სოფლის სიკეთე მინდა.

— ჰე, კერპი იყავ და კერპად დარჩი! ასეთები ვიყავით. მამაშენიც ასეთი იყო. ამ სიკერპეს გადაჰყვა კიდევ. ნადირობა უყვარდა, კიშა თარგლეზერს კი სანთელს არ აუნთებდა. ერთხელ შუა მარტში სანადიროდ გაემზადა. დილით თოვა დაიწყო. დაეუშალე, მარტის თოვლი ღალატია, შვილო, ნუ წახვალ-მეთქი. არ დაიშალა. წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდა. იმდღეს ლატალში ზეავების ქუხილის გარდა არაფერი ისმოდა.

მოხუცმა თავი ჩაჰკიდა. სვინჩილდი

არ ტიროდა, მაგრამ ცრემლები თავისთავად მოჰყვებოდნენ სახის ნაოჭებს.

— მამაზე საყვარელი ბაბუა, შენი გაზრდილი ვარ, როგორ არ დაგიჭერებ, რომ ეს მარტო ჩემი საქმე იყოს. მაგრამ აქ საქვეყნო საქმეა. ჩვენ შევწუხდეთ, სხვამ გაიხაროს. ვისხვი ნუ გვინდა.

— ტყუილად წუხდებ, შვილო. ვისხვის დაკვლას არავინ მოიშლის. მე არ ვიქნები, მაგრამ ვისხვი იქნება რაც ათასი წელი კეთდება, ის ათ წელიწადში არ მოიშლება. მე ჩემი მითქვამს და ახლა შენ იცი.

* * *

უფლიშერის ღმერთებზე ადრე ლატალში ლევანმა ჩამოიარა. ბესარიონიც დაიბარა. შეაქო:

— ბავშვი გადავიჩინე, მადლობას გიციხადებ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ხალხისათვის... და საკუთრივ ჩვენთვისაც. — მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა ლევანმა. — გავიგე, რომ ლატალის თვალი მოგსვლია თვალში. თუ რამეში ჩემი ხელი დაგვირდეს...

— ჩემი პირადი საქმეებისათვის რატომ წუხდებით, ამხანაგო ლევან?

— პირადი საქმე რა გგონია, ბესარიონ? აი, მე მაგალითად პირადი კაცი ვარ, და სიამოვნებით მოვალ შენს ქორწილში.

— ჯერ ადრეა, ამხანაგო ლევან. ჯერ ზებერი ღმერთები უნდა გავდევნოთ ლატალიდან.

ლევანს გაეცინა:

— რას ნიშნავს, რომ ყმაწვილი ხარ! უკვდავ ღმერთებს შებმიხარ და გგონია, რომ გამარჯვებამდე არ დაბერდები!

— თუნდაც დაბერდე, სხვები შემცვლიან. ხალხი ხომ უკვდავია.

— ეს მართალია, მაგრამ მწიგნობარით რატომ ლაპარაკობ? ვიყოთ უბრალო, საქმიანი, ვერიდოთ მწიგნობრულ ენას... ზედმეტ გულმოდგინებასაც ერიდე. ძალად არ გინდა. არ გეწყინოს ბესარიონ, ასე იმიტომ გელაპარაკები,

რომ ბუნებით სწორედ ისეთი ხარ, როგორიც უნდა იყო... როგორაა სვინჩილდის ვისხვი?

— ისე, როგორც იყვნენ ვისხვები დასაბამიდან: ის სუქდება, ჩვენ ვხდებით.

— ჭიუტობენ მოხუცები?

— ჭიუტობენ. რა ვქნათ, ჩაეშალოთ უფლიშერები?

— უნდა ვცადოთ... ოღონდ უსისხლოდ.

• • •

უფლიშერობის კვირაძალზე ლატალში ვისხვების ბრძოლა გაიმართა. მთელი ლატალი შუაგულ მოედანზე იყო თავნოყრილი. დიდი, პატარა, ქალი და კაცი.

გვეი ზეიმობდა. ვისხვების ბრძოლა ბესარიონის დამარცხებად მიიჩნდა.

მართლაც, ცოტა სასაცილო კი იყო აღამიანთა ამდენი ბრძოლის შემდეგ ხარების ბრძოლა.

მაგრამ გაცლა უფრო სასაცილო იქნებოდა.

ბესარიონმა წასვლა გადაწყვიტა.

პაპას გაუხარდა, მხოლოდ უბრალო ჩაცმულობა დაუწუნა:

— ჩაიცვი თეთრები. დღეს ზეიმია. ჩვენს გვარში მხოლოდ თეთრებს იცვამენ, ჩვენს ღმერთებს სხვა ფერი სძულათ.

— მახვში სვინჩილდ, განა ჩვენს გვარს საკუთარი ღმერთები ჰყავს?

— ჩაიცვი თეთრები.

— ვიცვამ.

ზეიმობდნენ ლატალის მაცხოვარი, მთავარანგელოზი, იენაშის წმინდა გიორგი...

ლატალს აზანხარებდა საყვირი, რომელზედაც ლეჩხუმის ბატონ ქაიხოსრო ჩიქვანის წარწერაა: „ეჰა, საშინელო დიდო და პატიოსანო მაცხოვარო ლატალისაო, შემოგწირეთ და მოგართვით ეს ჩიქვანმა...“ იმ დროს უხმობდა, როცა ოსტატმა ლითონზე ასე გულმოდგინედ ამოკვეთა ეს სიტყვები, მაგრამ ლაღუმების გრიალი ფარავდა საყვირის

ხმას. ამ ხმას რაღაც მოუსვენრობა შექმნდა საუკუნო, ერთფეროვან იდეალში.

ბიზულირეთება

აი, სვიფიც.

სახელდახელოდ იმართება ცეკვათამაში. გოგო-ბიჭები თავს არ იზოგვენ.

მაჰარბეც მოსულა, ცეკვის ჯაღოსანი.

ახლაც ისე მოხდენილად დადის საბრძოლო მოედანზე, თითქოს ცეკვავსო.

მაგრამ ცეკვას რომ იწყებს, წამსვე იგრძნობთ, რომ ხელოვნების სამეფოში შეგიყვანათ.

მერე მაჰარბემ სიმღერა წამოიწყო.

ის უმღეროდა არა ღმერთებს, არამედ აღამიანებს — მამაც მონადირეებს, მტერთან შებმულ ლახამულელთა ლაშქარს, როსტომ ჭაბიგვს, თამარ დედოფალს... და ოცნებობდა „სადაცაა ვაჟი ნეყოლებს! უთუოდ ვაჟი! მასაც სიმღერას ვასწავლი. დე, იქუხოს სვანეთის მთებში მზის სიმღერამ! და ნუ გადამენდება მომღერალთა მოდგმა!“

ხალხი ზღვასავით ღელავს. მოთავეები დიდ ჯაფაში არიან.

აი, გამოიყვანეს ნუაშერების სამხუბის ვისხვი, უზარმაზარი შავი ხარი; აპისის მსგავსად თეთრი ნიში ჰქონდა დიდებულ შუბლზე, ნახევარ მთვარის მოყვანილობისა, და რკალეზად მოხრილი მაღალი რქები მართლაც ცვთაებრივი ხარის იერს აძლევდა ამ ნებიერ პირუტყვს. მიწას უმძიმდა მისი ტარება. გულგრილად, დინჯად და ამაყად მოაბიჯებდა ზღვა ხალხში ქუჩასავით გაჭრილ გზაზე, ვიდრე მოპირდაპირე მხარეს არ შენიშნა სისხლივით წითელი ჯმუხი ვისხვი, ბევრად უფრო ტანმორჩილი, მაგრამ უფრო ჭიუტი და ძარღვმაგარი. ბოროტ თვალებს აბრიალებდა, ბუღრაობდა, ღმუოდა და ჰაერს ჭადლის გამოშხატველი ხმებით აზანხარებდა. შავი ბუმბერაზი ერთბაშად შემსუბუქდა, შეხტა, შეინავარდა, თავი დადრიკა, ფეხით მიწა ამოთხარა, ზურგზე გადაიყარა და საბრძოლოდ მზად მყოფი დაიძრა დინჯად, იმედიანად, დარბაისლუ-

რად, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა.

წითური ვისხვი ჯიქურ წამოვიდა, როგორც პატარა მარტორქა, და უშიშრად დაეტაკა ნიშა ხარს, მაგრამ შეუვალ კედელს შეხვდა, ძვრაც ვერ უყო. მაშინ უკან წაიწია, გვირაბში გამოპრილი ხანძრის ბოლქვით წამოვიდა და ვიდრე შავი აპისი მობრუნებას მოასწრებდა, ბეკი შეუწვრიდა. შავმა ხარმა დაიგმინა და ვანზე გადახტა, წითურს პირდაპირ შეება და ხბოსავით გააქანა უკან; ასე ატარა, ვიდრე არ ჩააჩოქა უკანა ფეხებით. მაგრამ სისხლით შეიღება მისი გზა. ეს იყო წმინდა სისხლი.

— ბიზ! ბიზ! — შესძახეს მოხუცებმა: — კმარა, კმარაო!

ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებნულ ხარებს მივიარდა, მაგრამ დაზაგება ვერ მოახერხეს, ვიდრე დაპრილმა ხარმა ბასრი რქები არ ატაკა წითურს, მწვადივით არ ააგო ზედ და გვერდულად არ დააკრა მიწას. მაშინ კი დათმო ჯმუხმა ვისხვმა, ღმუილით გაექცა სირცხვილეული. შავი სამსხვერპლო ხარიც კოჭლობით დაედევნა, მაგრამ დასუსტდა, დაიღალა, შედგა, თავი ასწია და გამარჯვების ნიშნად შეჭმუტულა იმ ცას, სადაც დიდი აპისის სამარხია ხუთიათასწლოვანი... სტკიოდა, მაგრამ ზეიმობდა თავმოყვარე პირუტყვი.

ხარის ზეიმს მისი პირველი პატრონიც იზიარებდა — ლაბსყალდელი ბექსულთანი, რომელმაც ჯერ კიდევ მოზვერი მიჰყიდა ნუაშერებს.

— ფიცავ ლაბსყალდის მთავარანგელოზის ოქროს ხატს, ასეთი ხარი სენეთის მიწაზე მეორე არ დადის, — ამბობდა ბექსულთანი და ყორნისფერ ელვამებს იგრეხდა. — ამ ხატს ტყუილად არ დავიფიცავ: თქვენც იცით, კარგო ლატალელებო: რაც ის ჭვარიდან გამოუტაცებიათ ჩვენს წინაპრებს, მას შემდეგ ჭვარში ზამთარ-ზაფხულ ქარი ქრის.

— ცოტა ქარი ლაბსყალდშიაც გაპყოლია, ბექსულთან, შენი ჭირიმე. — მიუგო ბესარიონმა. — გამიგონია, რო-

გორ გაჯობეს ლაბსყალდელებმა ქერის ყანა, რომელიც ქარში ზღვსკავით ირხეოდა და გაქცევას ამირტანამ; თურმე.

— ეს ლაზღანდარების მოგონილია! — შუბლი შეიკრა ბექსულთანმა. — როგორც ყველა სოფელზე მალაა ლაბსყალდი, ისე ყველას აღმატებიან პკუთო ლაბსყალდელები, ყმაწვილოცაო!

კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ხარების ბრძოლა გრძელდებოდა.

მომდევნო წყვილის ბრძოლა უფრო მშვიდობიანი და ხანმოკლე იყო. ლეგა ვისხვს, რომელსაც დიდი თეთრი სარტყელი ამშვენებდა, უფრო ბულრაობა და ნავარდი აინტერესებდა, ვიდრე ბრძოლა. ექვსი თვე არ ენახა გაშლილი ასპარეზი და სიცოცხლეს ისე შეჭხაროდა, როგორც ექვსი დღის ხბო. მისი მოწინააღმდეგე, ერთი პირქუში და უფერული არსება, იოლად შეურიგდა დამარცხებას და ბალახის წიწვნა დაიწყო.

დაბოლოს, ასპარეზზე გამოიყვანეს მთავარი გამრები: სეინჩილდ წერედიანის თოვლივით თეთრი ვისხვი და ფუთაშერების რუხი გოლიათი, რომელსაც ვეფხისებური ზოლები დაჰყვებოდა ზემოდან ქვემოთ. დიდი ციოყვივით ამყად მოაბიჯებდა ეს ზოლებიანი ხარი, ბოროტი ჩასისხლიანებული თვლებით ჰამდა ადამიანებს, რომელთაც მზის ნათელი დააკლეს ღმერთებთან გასამგზავრებელ გოლიათს. თეთრი მეტოქის დანახვაზე ეს ავი თვალეები ნალვერდლებივით დააბრიალა, ერთი ისეთი შეჰკვივლა, კოშკებმა შექნეს ზანზარი, მერე თავი დახარა, ჩაიჩოქა, ძალუმი რქები ფხვიერ მიწაში მუჭუროსავით ჩაასო, ბელტი და მტვერი ბუბუნით ზურგზე გადაიყარა, ისევ ჩაიჩოქა, რადგან მეტად მოკლე კისერი ჰქონდა, ქვედა ყბა მიწას დააკრა, ეამა, ძალუმად გადაუსვა, გაირინდა; ერთხანს ყრულ ზმუოდა, მერე ცოფიანივით დაიკვილა, წამოიჭრა და პირდაპირ თეთრ ვისხვს მივიარდა. შუბლი შუბლზე მიატაკა, ძვრა ვერ უყო და არც თვითონ დაძრულა. ასე გაირინდა ორივე გოლიათი. მხოლოდ

ქმენა ისმოდა მათი და შესახტომად გამზადებული ვეფხევივით მოუსვენრად არხვედნენ კედებს. ეს იყო ძალების მოსინჯვა, რაც მშვიდობიანად დამთავრდა. ნელა ორივემ უკან-უკან დაიწია, ყოჩურად, და ისევ ეტაკნენ ერთიმეორეს ცივი ჭახანი გაისმა და იმავე წამს ზოლებიანმა ხარმა ჩაიჩოქა. მარცხმა კიდევ უფრო გააშმაგა, ისედაც შმაგი. წამოიჭრა, ავაზისებრ დატრიალდა, უკან წაიწია ისევ ყოჩივით და ისევ სცადა ბედი, მაგრამ მურზაშერების ძაღუში ვისხვი ისე იდგა, როგორც თეთრი სპილო, იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. ზოლებიანს იერიში აერიშზე მიჰქონდა, ლითონის ზრიალსა ჰგავდა ბრაზისა და სიმწარის ზმულილი, მკერდის სიღრმიდან რომ ამოდიოდა. ხალხი ბორგავდა, სეინჩილდ წერედიანი გარინდებული იდგა, ამაყად თავაწეული, და გრძობდა მოზიბლული ხალხის მზერას. შვილები დედებს ეკვროდნენ, მიწიდან კორიანტელი აღიოდა, ჰაერში ყრუ ბუბუნი და ქმენა ისმოდა მხოლოდ, და ისევ ისე იბრძოდნენ ვისხვები. ხარებად ქცეული რუხი და თეთრი ღმერთების ბრძოლას ჰგავდა მათი ჭიდილი.

— ზოჩა ფუთას დროიდან არ გაუზრდიათ წერედიანებს ასეთი ვისხვი! — თქვა გეგიმ.

— მურზაშერებმა კი გამოიყვანეს ასეთი ამ ოთხი წლის წინ, — მიუგო ერთმა.

— ხალხს რომ დაერია და გადათელა? ამ დროს თეთრმა ვისხვმა თავი გამეტებით აიჭნია და თხასავით გადაისროლა განზე ზოლებიანი მოპირდაპირე. გააფთრებულმა რუხმა ხარმა იუკადრისა მარცხი, ბზრიალასავით დატრიალდა, გაიქცა, მობრუნდა და ისარივით გაფრინდა თეთრი ხარისაკენ. სწორედ ამ დროს ხალხს გამოეყო რამდენიმე ჯოხიანი კაცი და ხარებს შორის ჩადგა, რომ ბრძოლა შეეწყვიტათ. მათ შორის იყო ტკილხმომოვანი მაპარბე. ზოლებიანი ხარი არც შეეყოყმანებულა, რა გააკრა ერთს, განზე ბატანივით გადაისროლა და ისევ თეთრ ხარს და-

ეტაკა. ერთმა თამამმა ვაეკაცმა გადასტომა ვერ მოასწრო და ხარმა ბურთივით შეისროლა მალა; მნიშვნელოვანი! ეს ხომ მაპარბეა! ნუთუ ესაა მისი უკანასკნელი ნახტომბრუნი? კადნიერი გამზავებელი ხარის გავაზე დაეცა და იირს ჩაცურდა. როცა ხალხი მიიჭრა, ფერდი ორივე ხელით ეჭირა.

ვისხვს მისთვის აღარ ეცალა.

უკანასკნელად დაიხია უკან ვეფხისებურმა ხარმა და წამოვიდა საბოლოო, საბედისწერო იერიშზე. ხალხი შექუჩდა. გაირინდა. ანაზდად ხარმა გეზი იცვალა და პირდაპირ ხალხის შუაგულში შეიჭრა. ვინც დროზე თავს ვერ უშველა, მოღზე კოტრიალი მოუხდა. ატყდა ყვირილი, გაისმა წივილ-კივილი. მოედანი სწრაფად დაცარიელდა. კენტად დარჩა მხოლოდ ერთი წითელთავსაფარიანი გოგონა. ზოლებიანი ვისხვი სწორედ ამ სისხლისფერმა თავსაფარმა გააშმაგა და ახლა კუდაპრეხილი, გაავებული სწორედ ამ გოგონაზე ლამობდა ჯაგრის ამოყრას. გოგონა მიწაზე მილურსმულს ჰგავდა, ფერი წაუვიდა, იდგა და კიოდა. რადგან სხვა ვერაფერი მოეხერხებინა. ვისხვი გოგონას საშინელი ნახტომით უახლოვდებოდა. ელდანაკრავი ხალხი უბედურების მოლოდინში გაქევდა.

მოხდა მოულოდნელი. ხალხს ბესარიონ წერედიანი გამოეყო და ნაჯახით ხელში გაეშურა ხარის შესახვედრად. ვიღრე გაოგნებული ხალხი გონს მოსვლას მოასწრებდა. ვაეკაცის მარჯვენით მოქნეულმა მძიმე ნაჯახმა სამსხვერპლო ხარს თავი გაუპო. „ხედავთ ამ უღმერთოს? ვისხვს თავი გაუჩხა!“ — წამოსცდა გეგის, მაგრამ არაეინ დაუპოწმა და განუშდა.

ვისხვი ოთხივე ფეხით მოიკეცა და დედამიწაზე გმინვით დაეშო. ჭრილობიდან სისხლმა ითქრიალა და პირდაპირ გადაესხა გოგონას, რომელიც ისევ ისე იდგა და ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა.

მაპარბე მაშინვე საეჭიმო პუნქტში წაიყვანეს. წითურმა ექთანმა, ამ პუნქ-

ტის ერთადერთმა მესვეურმა, თავი გადააქნია: აქ ქირურგია საჭიროო. მაგრამ რა საჭიროა ქირურგი სვანეთის მთებში, რომელთაც მთარველობენ დიდი ღმერთები?

ვისხვები შერიგდნენ, ზოგიერთები ერთიმეორეს ლოკავდნენ, ადამიანები კი შუბლშეკრული იცქირებოდნენ. დამარცხებულთა პატრონებს დანა პირს არ უხსნიდა. ათასწლოვანი წესის თანახმად მეორე დღეს ხარებს ნაკურთხ მარილს აჭმევდნენ და დაკლავდნენ. ასე სურთ დიდ ღმერთებს. მაგრამ რას ფიქრობენ ადამიანები? ახლა დაიწყება ღრეობა. მთელი თვე შეჩერდება ხენათესვა, ღობვა, შეშის მზადება. ასე იქნება ლატალში, ბეჩოში, ლახამულაში... კაცები და ქალები შეგზვდებიან ლენხერის ხეობაში. მიერეკებიან არყით და პურით დატვირთულ სახედრებს, მიჰყავთ დატვირთული ცხენები, მიჰყავთ ბავშვები... მთელი ლენხერი მიეშურება ლახამულაში, სადაც „ლუზრობს“ გამართავენ, თავთავიანთი „სკარის“ წვერებს შეუერთდებიან და მთელი ორი კვირა იქნება მხიარული მასლაათი, პურის ცხობა, ლესკარების ტარება წმინდა გიორგის ეკლესიაზე, საკლავების დაკლა, სმა და ძილი სახლებში, ნანგრევებში, სასიძინდეებში... შეწყდება ხენა, თესვა, მარგვლა, რგვა... მიწა მოიცდის. ეს არაფერია, სისხლი თუ არ დაიღვარა!

ამიტომ უტევდნენ უფლიშერებს.

თანდათან ძლიერდებოდა ახალი თაობის ბანაკი. უკვე ბესარიონის მარჯვენა ხელად იქცა თვით აზნაგი. ახლოს აღარ ეკარებოდა გეგის და მერის.

დიდი ღმერთი დამარცხდა. დამარცხდა ყველა ბასტიონზე, ყველა სიმაგრეში — ხარებას, აღდგომას, შობას, ლამპარობას, გიორგობას, სვიმნობას, ლია ცის ქვეშ და ბნელ მაჩვიბში..

მაგრამ ღმერთები რისი ღმერთები იქნებოდნენ, თუ თავიანთ ათასწლოვან ტახტს ასე იოლად დათმობდნენ!

წინ იყო უფლიში. განდევნილ მე-

ხთამტყორცნელებსაც შეეძლოთ შურისძიება.

მაისი იყო:

მთის ძირას ხალხი მოზღვავებულიყო.

წინ თეთრწვერა მოხუცები იდგნენ, ხელში პური და არაყი ეჭირათ, ხამამალა წარმოთქვამდნენ სიტყვას და ხამაკათა გუნდი ბანს აძლევდა: ეს ზევემეწყერთა ღმერთს ევედრებოდნენ, ზამთარში ზევეი და მეწყერი აგვარიდეთ. ამ დიდ წარმართულ ზეიმზე ვერ გაიგონებდით ქრისტეს სახელს, და ან საიდან? თქვენ ერთბაშად ამოჰყოფდით თავს ქრისტეს წინ მეთუ საუკუნეში.

მოხუცები ქუდებს მოიხდიან, სასოებით მიაპყრობენ მზერას აღმოსავლეთს და წარმართთა ქოროს მსგავსად ცას შეჰლაღადებენ: „დიდება შენდა ხოშა ღმერთო! დიდება თქვენ, ცისა და მიწის გამჩენ ღმერთებს! შეხედეთ, რა მსუქანი და ღონიერი ვისხვები მოვიყვანეთ თქვენს სამსხვერპლოზე! მოგვეცი თ შეძლება, რომ ყოველთვის ასეთი მსხვერპლი მოგართვათ და დაღბინებაში იყოს მთელი სოფელი!“

ღმერთო მაღალო! ლახამულის ჯგირაგო! ლატალის მაცხოვარო, უშგულის ღმერთებო! განა გონივრულია ეს? ღირს ამდენ მსხვერპლად ღმერთი, რომელმაც შექმნა ეს მოუწყობელი ქვეყანა და მერე ზურგი აქცია, არაფერს ეხმარება, არაფერში ერევა?

ანაზღად მოწმენდილ ცაზე მეხი ვარდბა: არა, ცაზე არა. სადღაც ხეობის სიღრმეში, საღ კლდეთა შორის. ქუხილმა შეძრა მთები, გამოძახილი სადღაც ენგურის ტალღებში ჩაიკარგა. ხალხი შეირბა.

რა უნდა იყოს?

ეს ლაღუშია. გზა გაჰყავთ. ახალი ცხოვრება უტევს ხოშა ღმერთებს. ღმერთები ჯიუტობენ.

აი უფლიშერებიც!

ხალხს უკვე თავი მოუყრია.

მურხაშერების საგვარეულო სახლში დავა დასასრულს უახლოვდება:

— პაპა-ბატონო, — ხმა უკანკალებს ბესარიონს. — პაპა-ბატონო, შენ ფას-

დაუდებელი ადამიანი ხარ. რა იქნებოდნენ ეს მთები უშენოდ! მაგრამ მოიხსენი სიძველის ტვირთი, მეტისმეტად ნიძიმეა ის შენი ნაჯაფი მხრებისათვის. შეიხსენი, გამოგვეყვი.

— ვერა, შეილო, მე ვერ გამოგვეყვებით. რაღა დროის ჩემი ხტუნვა!

ბერეკაცს ცალ ხელში თოჯი ეჭირა, მეორეში — ვალესილი დიდი სვანური დანა.

— გამოიყვანეთ ვისხვი. შებორკეთ!

— საქვეყნოდ მარცხენ? — აენტო ბესარიონი. — ბაღლი ვარ? მომეცი ეს დანა! — და რკინა გამოსტაცა...

ბერეკაცი წაბორძიკდა, შეშის ნაპობს წამოედო, თავის საუფროსო სავარძელს დაეჯახა, მერე ძირს დავარდა, ჭირკზე დაეცა. საფეთქელთან ქალარა წითლად შეეღება.

ბესარიონს ელდა ეცა. თითქოს მეხმა იტყა და სისხლი სდიოდა არა პაპას, არამედ მას, არა საფეთქლიდან, არამედ შიგ გულადან.

დანა ხელში დაუტურდა. ამ წუთებში შეუმჩნეველი არ დარჩენია გეგის ქალიშვილის ზარდამცემი მზერა. სიბრაღული, სინანული და აღშფოთება იყო შეზავებული ამ გამოხედვაში. ო, როგორ შევცდიო!

ასეთმა მზერამ ბესარიონის გულში მოგიზგიზე სახმილი უფრო გდაღვივა. წუთით შეშლილს დაემსგავსა.

გაისმა წივილ-კივილი. სულთმობრძავ მოხუცს პირველი ბესარიონი დააცხრა, მაგრამ მოაშორეს, მომაკვდავი ასწიეს, გაიყვანეს, ლოგინზე დაასვენეს.

— გვარში შურისმაძიებელი აღარავინაა! — შესძახა უნებურად ბესარიონმა. — ვინ აიღებს პაპის სისხლს?

— შენ! — გაისმა მდუმარე ხალხში გეგის ხმა.

— მე? თუ სწორად ვავიგე, თავი უნდა მოვიკლა?

— თვითონ ასე მოვიქცეოდი.

— თავის მოკვლა გაქცევაა, მე კი არ მიხდა გაქცევა, ბრძოლის ველიდან, რასაც ცხოვრება ჰქვია.

— და სადაც საკუთარ მამებს კლავთ.

— განა მე ეს მინდოდა? ჩემო სოფელო, მირჩიე რამე: აქვს ახლა ახრე ზემს სიკოცხლეს-ან სიკვდილს? სოფელი დუმდა.

— ლაჩარი! — თქვა მოხუცმა და ზურგი აქცია, გავიდა სახლიდან, სადაც პაპის მკვლელი იყო. ყველა მიჰყვა.

ბესარიონი მარტო დარჩა თავისი ხელით დაჭრილი მოხუცის პირისპირ ექთანის მოიყვანეს.

ექთანიც დუმდა.

ბესარიონს ათავებდა ეს დუმილი.

იღვა გარინდებული. წუთი წუთს მისდევდა. დროს სანთეგეშო არაფერი მოჰქონდა. „ყველაფერი ცარიელ სიტყვაა! — დუღუნებდა თავისთვის. — სიტყვები, მხოლოდ სიტყვები! საქმე ესაა: მე მოვკალი, მე გამიწყრა ყველა ღმერთი. არ დაუეჭვრე ლევანს, ზედმეტი გულმოდგინება გამოვიჩინე. რას ვეპოტინებოდი, რასაც ვერ შევწვდებოდი? არა, არა, არა!“

ეს იყო მოლოდინის მძიმე წუთები. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, მოხუცის მაჯა ფეთქავდა.

ამაოდ! მოხუცმა მხოლოდ ერთხელ მოიხედა და მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: „ამდენი სისხლი... დავიღალე... არ გინდათ ვისხვები... ბესარიონს დაუჭრეთ“.

მოხუცის საოცარმა გარდაქმნამ სიკვდილის წინ ბესარიონი ორმაგი მოწიწებით აავსო და დარდი გაუთავცა. თვალთ დაუბნელდა, გაბრუნდა. მოელვარე დანა ჯერ კიდევ ეგდო მახვშის საკარცულთან.

ანგარიშმიუცემლად მივიდა, დაიხარა, ბასრი დანა აიღო, ნელნელა აღმართა. ვილაცამ მკლავში ჩაავლო ხელი და შეაჩერა. მართა იყო.

— რას სჩადი, საწყალო? — ჰკითხა მკაცრად. — იქით გზა ჯერ არ გაუყვანიათ.

— გამიშვი, მართა, მე გზა ისედაც დავკარგე. გამიშვი!

— დადექი, ბესარიონ, გონს მოლი! შენ უნდა იცოცხო...

— პაპის მკვლეელი ვარ, საით მეცოცხლება?

— მკვლეელი უნებური და უცაბედი.

— ო, მართა! ღმერთს გაფიცებ...

— იმ ღმერთს, რომელიც შენ დაამხე? ზუ ბავშვობ, აგერ შენთან წერილი მაქვს.

გამოართვა. ნაჩქარევი ნაჯღაბნი იყო: „ბესარიონ! მე შენი ვარ. თუ ჩემი სიცოცხლე რამედ გიღირს, შენს თავს არაფერი ავნო, მარცხი მარცხია. შენ გოგონა გადაარჩინე. დემეტი მოარჩინე. წინ კიდევ დიდი ბრძოლა მოგველის ჩვენ, მე და შენ ერთად. მაპატიე... მოწერა ვარჩიე... შენი მერი“.

ეს იყო ძაბილი მზისკენ.

ერთი წამით ბესარიონმა გაიფიქრა, რომელიმე ღმერთი ხომ არ ცდილობსო ჩემი გულის მონადირებას, იმდენად საგრძნობი იყო მისთვის ნუგეში ახლა, როცა ქვეყანა დუმდა. ისიც მისგან, ვინც ქვეყანას ერჩია.

შორიახლო გაჩერებულიყო გურამ გორდელაძე, მესტიიდან ახლად დაბრუნებული მხატვარი. „შენ ზედმეტ გულმოდგინებას იჩენდი!“ — ასეთივე ხაყვედური ამოიკითხა მეგობრის შუბლზე.

კაეშნიანი ღუმელით თანაუგრძნობდა.

ბესარიონი გრძნობდა: მოიშხამა მისი სიცოცხლე.

იდგა და ტორტმანებდა სიკვდილს-სიცოცხლეს შორის. სიცოცხლე იმარჯვებდა. მოხუცის რწმენის დათმობა სიკვდილის წინ — ეს იყო თაობის მონაპოვარი.

* * *

ვერაფერს გახდა წითური ფერშალი. ვანთიადისას დაჭრილი მაპარბე ვარდაიცივალა. ღმერთები მსხვერპლს ითხოვდნენ. ახლად სცადეს ლატალში სიმღერის ხმა შეწყვეტილიყო. მაგრამ ასე არ მოხდა.

იმავე დილას ლატალში ბუთხუზა

ბიჭუნა დაიბადა. როცა სამწუხარო ამბავი მოიტანეს, განაწამებზე დედამ თვალი სარკმელს მიამტვრა და დიდხანს, დიდხანს შესცქეროდა ვარდისფერ აღმოსავლეთს.

— მაპარბე, შენს თავს ვფიცავ, შენს სახელს დავარქმევ:

ბავშვმა წამოიტირა.

ჯანსაღი, ღრმა და ხვეწროვანი ხმა პქონდა.

— სიმღერა გადარჩენილია! — თქვა კუთხეში ბერიკაცმა.

მისი ხმა არავეის გაუგონია, დედაბოძის გარდა.

სოფელი ჩააფიქრა ღმერთების მსხვერპლმა.

ხალხი დარდს არ ეჩაგვრინებდა.

ლატალის მაცხოვრის ეკლესიას მთის მრუშე ჩრდილი ეცემოდა. ჩამავალი მზის ოქროსფერ სხივთა სვეტი კლუბის თავზე აღმართულ წითელ ალამს ხედებოდა. ეკლესიის ზარის ყრუ გუგუნი მორწმუნეებს სალოცავად მოუხმობდა, მაჩვიბის წყვილიაღში ნელი მოთქმაც ისმოდა, მაგრამ ხალხი იქით იხედებოდა, საიდანაც პირველი ავტომანქანის გუგუნი მოისმოდა. ახალგაზრდების ჭგუფი უკვე გარბოდა მის შესახვედრად.

მანქანა ქარაფებს შორის ისე მოფრინავდა, როგორც მზის ფრინველი, რომელსაც დედამიწაზე შემოაღამდა და თავის სამეფოში გაბრუნება ეჩქარებოდა. ყველა გრძნობდა, რომ მას მოპქონდა რაღაც ახალი, ძლიერი, ნათელი და მნიშვნელოვანი.

პირველად აზნავი შეეგება. ჯერ ბესარიონის კეთილშობილურმა ღუმელმა და მერე მისმა მძიმე მარცხმა სრულიად დააიწყო ძველი ქიშპობა.

ღროთა ქიდილის ორივე მსხვერპლი ღუმდა.

მოხუცებიც ღუმდნენ.

მზე ჩადიოდა.

დაისი დაიწყო.

ეს იყო ღმერთების დაისი.

ას ერბანის დღე

სსსპ გერმანია...

ისედაც ვიცით, რომ გონიერმა და პატიოსანმა გერმანელებმა იმთავითვე ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს პიტლერელთა შეშოკტევას. ნაციონალისტების საბრძოლო ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად გაიშალა ანტიფაშისტური მოძრაობა. გონიერი გერმანელები მაშინაც შრუთითებდნენ იმ დიდ საფრთხეზე, რაც ემუქრებოდა მშვიდობას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს ამ ბრძოლის სიმამაცე და შეურიგებლობა. ევროპის ნების გერმანელებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ. მაშინაც კი, როცა 1933 წელს პიტლერი კანცლერი გახდა, იმის მიუხედავად, რომ ქუჩებში სავსე იყო შეიარაღებული ესეკლებითა და მოიერიშეებით, გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა მძლავრი საბრძოლველი დემონსტრაცია. მარტო დრეზდენში აშკარად დემონსტრაციებში 300 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ბერლინში სისხლისმღერი შეტაკებები მოხდა. ჩამოყალიბდა წინააღმდეგობისა და თვითდაცვის ორგანიზაციები. ბერლინში 200 ათას მშრომელზე მეტი ჩაება აშკარად ორგანიზაციაში. თებერვალში წინააღმდეგობის მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. გაიხსნა მოწოდებები ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის შესახებ. ნაციონალისტური რეჟიმის პირველ დღეებში ჯერ კიდევ გამოდიოდა ოპოზიციური გაზეთები. მერე ყველა მათგანი დაარბიეს და დახურეს. ტერორი გაძლიერდა. 3 მარტს ტელმანი დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ კი რაიხსტაგის არჩევნები ჩატარდა. შევახსენებთ, რომ ამ არჩევნებში კომუნისტებმა 4,85 მილიონი ხმა მიიღეს. ეს იყო წინააღმდეგობის ფრონტის მოწინავე რაზმი. ყველაზე მეტი ხმა მაშინ სოციალ-დემოკრატებს მიციეს: 18 მილიონი. ისინიც ოპოზიციაში ედგნენ პიტლერელებს, რომლებმაც 17,3 მილიონი ხმა მოაკრვეს. მათ წინააღმდეგ გამოვიდა სსსპ მუსათა პარტიებიც, რომელთაც მხარს უჭერდა 12 მილიონი ამომრჩეული. ასე რომ გერმანიის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ პიტლერელების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. მიუხედავად ამისა გაიმარჯვა ნაციტურმა პარტიამ.

რატომ? იმიტომ რომ ოპოზიციურ პარტიებში არ იყო ერთიანობა. გარდა ამისა პიტლერელები შეიარაღებული იყვნენ, ოპოზიციონერებს კი მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენები ჰქონდათ ხელთ. ეს გამოიყენა პინდენბურგის მიერ კანცლერად დანიშნულმა პიტლერმა და, როგორც იცით, სისხლიანი ვაჟბანალიც მაშინ დატრიალდა: დაუყოვნებლივ გამოიყენა ბრძანება „პრევენტიული პატიმრობის შესახებ“ მასობრივად დაიბეჭდა განკარგულებები: თქვენ დაპატიმრებული ხართ, უშიშროებისა და წესრიგის დაცვის მიზნით პრეზიდენტის 1933 წლის 28 თებერვლის დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად.

მიზეზი: იქვე სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებაში.

მეორე დოკუმენტში ნათქვამია: „ჩვენ უნდა უმოწყალოდ გავსწორებოდით სახელმწიფოს ამ მტრებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ მომენტში, როცა ხელთ ვიგდეთ ძალაუფლება, რაიხსტაგის არჩევნებზე ექცემა მილიონმა კაცმა ოფიციალურად მისცა ხმა კომუნისტს, ხოლო 8 მილიონმა — მარქსისტს.“

ამისთვის ჩვენ შეექმნით საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც პირველ რიგში გავგზავნეთ ათასობით კომუნისტი და სოციალ-დემოკრატები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრიკმა, რომელიც ნიურნბერგის საბრძოლველ სეამზე იქცა 1933 წლის 28 იანვარს გამოსცა ბრძანება: „ფიურერმა დააჯავა გესტაპოს გამოვლინობა და უნებულებით პარტიისა და ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს მტრები, ყველა ვინც ხმა წინააღმდეგ მუშაობს. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება წარმოადგენს პარტიის თავისუფალი და ეფემტური მოქმედების ერთ უმთავრეს წინააღმდეგობას. გესტაპოს, რომელიც ამ საგანგებოდ მნიშვნელოვან ამოცანას ასრულებს პარტიის მხრივ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოს...“

ასე რომ, საკონცენტრაციო ბანაკები მარტო გესტაპოს კი არა, მთელი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ იყო შექმნილი „ყოველგვარი დემოკრატიული ოპოზიციის ჩასახშობად“. ჯერ კიდევ ძალაუფლების ხელში ჩაგდებად რაიხსტაგის საგარეო საქმეების თავმჯდომარე ფრიკმა უთხრა სოციალ-დემოკრატ დეპუტატს გერმარტ სეგარს:

— ნუ ღელავთ, როცა ჩვენ მოვიპოვებთ ძალაუფლებას თქვენ სუყველას საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაგვრიოთ.

ამის თაობაზე ნიურნბერგის პროცესზე ჟურნალმა და გერინგს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ჟეკსონი: თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს მიზნად გქონდათ დასახული დაგეგმვით და მართლაც დაამხეთ ვაიმარის რესპუბლიკა? გერინგი: რაც შეეხება პირადლ მე, ეს ზემო მტკიცე გადაწყვეტილება იყო.

ჟეკსონი: აიღეთ თუ არა ძალაუფლება, თქვენ მაშინვე მოსპეთ გერმანიის პარლამენტარული მთავრობა?

გერინგი: ის ჩვენ უკვე აღარ გვეჩორდა. ჟეკსონი: ხელისუფლების აღების შემდეგ თქვენ დაუწყებდებოდა აგრძელებთ ოპოზიციური პარტიები?

გერინგი: ჩვენ აუცილებლად მიგვიჩნდა ამ დაგეგმვა ოპოზიციის არსებობა.

ჟეკსონი: თქვენ ქადაგებდით აგრეთვე თეორიას, რომ საჭირო იყო მოგვესმია ნაციონალური პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირები?.

გერინგი: რამდენადაც ოპოზიცია ასე თუ ისე სერიოზულად უშლიდა ხელს ჩვენს პარტიას, თავისთავად ცხადია, მათი წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა მოგვეთმინა.

ეს ჟეკსონი მათ თავიდანვე ქონდათ შედგენილი. გერ კიდევ 1929 წელს, იმავე ფრეიმა თქვა:

— ეს საბედისწერო ბრძოლა დაიწყება არჩევნებით, რაც განუსაზღვრელ დროში არ ვაგრძელებდა, რადგან ისტორია გვასწავლის რომ ბრძოლაში უნდა დაიღვაროს სისხლი, და გარტყდეს რკინა. არჩევნები იქნება ის საბედისწერო ბრძოლის დასაწყისი. ჩვენ მზად ვართ ძალით განვახორციელოთ ის, რასაც ვქადაგებთ. მუსოლინიმ მოსპო მარქსიზმი იტალიაში. ჩვენც უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს დიქტატურისა და ტერორის მეშვეობით...

საქმი კი მხოლოდ მარქსისტებს არ უხებოდა, არამედ ყველას ვინც დემოკრატიისა და შვიდობისათვის იბრძოდა. პიტლერელები ასევე ემუქრებოდნენ ჰაიდეკიტებსაც. რეპრესიები გაუგონარი უკანონობით ტარდებოდა. ჯერ სასამართლო მიუხედავად ციხეს. სასჯელის მოზღის შემდეგ კი მათ საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ...

...სხვა გერმანია“ („თუმცა რატომ სხვა? — გვეკითხება თომაზ მანი) შედარებული იყო ამგვარი ნაციონალური ტერორით. ვინც მოახერხა, ვაიქცა გერმანიიდან, ვინც ვერა დახოცეს ან პუკნეაღდის, დახუს, რასტენბერგის თუ სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს. რავენს-ბრუკში სპეციალური ბანაკი გახსნეს ქალები-სათვის. განდა ე. წ. „შინგანი ემგრაციი“.

ბევრმა აიღო ხელი საზოგადო მოღვაწეობაზე და ნეიტრალურ საქმეებს შეეფარა თავი. ყველგან მისი გამეფდა. ოპოზიციონერებმა კონცენტრაციის დიდმა ნაწილმა ხმა დაიწყეს: „მისი ამბობდნენ, რომ მთელი გერმანია „დღმშლის ქვეყნად“ იქცაო (Deutschland wird das Land des Schweigens geworden).

მიუხედავად სასტიკი ტერორისა, საპროტესტო ხმები მაინც გაისმოდა. უცხოეთშიც იცოდნენ თუ რა ხდებოდა მაშინ ნაციონალური გერმანიაში. მთელ მსოფლიოს მოედო გესტაპოს ჟურნალებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში წამებულ გერმანულ პატრიოტთა ამბავი. მართალია, გებელსი კი გააქვიროდა, ყველაფერი ეს უნარაღების მონაპორობა, მაგრამ ტერორი მაინც მძინვარებდა. ესეისებობა და გესტაპოებში პირველად ხელი სწორედ გერმანელებზე გაიწაფეს. ისტორიას ჟერ არ მოსწრებია წამების ისეთი მეთოდები, რასაც გესტაპოს ჟურნალებში მიმართავდნენ თანამემამულეთა წინააღმდეგ. მილორნე მერტმა გერმანელმა გამოსცა ეს ჟოჯოხობები. ნიურნბერგის პროცესზე იყო მათზე ლაპარაკი. როცა ბრალდების მხარე ამ წავსაქმებში გერინგის მონაწილეობის ფაქტს ადგენდა, მოწმედ გამოიძახეს გესტაპოს მაშინდელი უფროსი დილსი. იგი ისეთ საშინელ ამბებს მოჰყვა, რომ დარბაზში მსხდომთ თმა ყალყზე დაუდგათ.

— წამებულთა ყვირილს რეპროდუქტორები ნაციონალური სიმღერებით ასმობდნენ. შემდეგ საგანგებოდ მოწყობილი საწამებელი კამერები შექმნეს გაძლიერებული იზოლაციით, რომ ყვირილის ხმა ჭეჩამში არ გამოსულიყო.

დილსი ყვებოდა, თუ რა მეთოდებით აწამებდნენ ტუსალებს, ამის მოსმება მართლაც შეუძლებელი იყო. გერინგიც მოიღუწა და უფროსი მოიხსნა. იგი არ უარყოფდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკები მისი განკარგულებით გაიხსნა. არც იმას, ამ ბანაკებში რომ ტყვეებს „შეცარად ექციოდნენ“, მაგრამ მაინც „თავდაცვითი პატიმრობას“ (Schutzhaft) უწოდებდა გესტაპოს ჟურნალებში ადამიანების მხეცურ წამებას.

დილსი კი იდგა და ყვებოდა, როგორ აძებლებდნენ გერმანულ პატიმრებს გადაყვალათ მოკიდებული პაპიროსი, როგორ შანთავდნენ გახორბული რკინით და სხვ.

— წამებულთა ყვირილის ჩახშობა კი მოხერხდა, მაგრამ დამწვარი ხორცის სუნს ევრაფერი მოუხერხებოთ. — თქვა მან. მერე ამგვარ „გართობაზე“ გადავიდა: ეუპურტალის ბანაკში პატიმრებს პაპანაქება სიცხეში ძლიერ მარტივან თევზის ნახარშს ასმევდნენ, წყალს კი არ აძლევდნენ, პარს პლასტიკით აუკრავდნენ და თავზე ასხამდნენ. ვის როგორ მოეხსნათებოდა, ისე ერობოდა: ტუსაღს აძებლებდნენ ხის კენწრებზე ამჭრალიყო და საათობით „ქუ...

კუე“ ეძახა, თვითონ კი ფეხებგაბარჯული იდგნენ და იციონდნენ...

პაპენბურგის ბანაკში თურმე ტუსალები აჯანუნდნენ. დილსი შამინეუ ჰიტლერთან გაიქცა და ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

— რაბსევერს არტილერია მიუშვირეთ და შთელი ბანაკი მოსპეთ! — ბრძანა მან...

...გერმანელმა ანტიფაშისტურმა მწერლობამ კარგად ასახა ეს ამბავი. ახლა მეც რომ ავდგე და ისევე თავიდან დავიწყო მოყოლა, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ გერმანულ ტუსალებს, თვალწინ ისევე იმ საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი დავიხსენებო. ჰიტლერი, ამ შემთხვევაშიც, ზუსტად იცავდა თავის პრინციპებს: როცა საქმე მოითხოვს, მე მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან არ ვარჩევო...

არც არჩევდა. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობის ფრონტი ბრძოლა მინც არ შეწყვეტილა. მართალია, გერმანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გატყდა; ხელი აიღო ბრძოლაზე და „დიდი გამარჯვების“ წლებში შეედგა კიდევ იმ ექვემდებარე ურჩხულს, მაგრამ „სხვა გერმანია“ მინც განავრთობდა არაღუგაღურ მუშაობას. სამხედრო ქარხნებში მუშები საბოტაჟს მიმართავდნენ: ყუშმბარებს ისე აყუთებდნენ, რომ არ სკდებოდა, ეს კი იშვიათი შემთხვევა როდო იყო. რამდენჯერ გვინახავს ფრონტზე „იუნკერსები“ რომ ყუშმბარებს ყრიდნენ, მაგრამ ნახევარზე მეტი მიწაში იარაგებოდა. ეს გერმანელი მუშების საქმე იყო. ერთ-ერთი მათგანისაგან პირადად მე სიცოცხლით ვარ დავალებული: ჩემს გვერდით რომ უზარმაზარი ყუშმბარა დავარდა და არ გასკდა.

ინ იცის, რამდენის სიცოცხლე გადაარჩა ასე...

...სტალინგრადის ამბების შემდეგ ამ ანტიფაშისტური ფრონტი გაძლიერდა 1943 წლის ივნისის ემიგრაციაში ნაციონალური კომიტეტი „თავისუფალი გერმანია“ ჩამოყალიბდა. იმავე წლის სექტემბერში კი „გერმანულ ოფიცერთა კავშირი“. ნაციტურმა გერმანიამ ამას ტერორის გაძლიერებით უნახა. მარტო 1943 წელს მესამე იმპერიამი დასაბატარეს და დახოცეს ორმოც ათასამდე გერმანელი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ფანტიკოსი ნაციტები უფსკრულს, მით უფრო აძლიერებდნენ ტერორს. გამობოროტებულნი იყვნენ და იბიტომ. ნათქვამია, სჯობს არ გქონდეს ვიღარე დაკარგო. ჟერ ვოლგამდე მოვიდნენ, ახლა კი რაც ომამდე ჰქონდათ იმასაც ჰყარავდნენ და... შურს იძებდნენ, მაგრამ ანტიფაშისტებშიც არ დალატობდნენ თავიანთი ცხოვრების დევიზს: „არ შეიძლება მონად აქციო ის, ვისაც თავის განწირვა შეუძლია“. აი რას სწერდა მამას სი-

კედლით დასქის წინ ერთი ასეთი განწირულთაგანი:

— უკანასკნელი მიზანი, რაც ქვეყნს მოაქვს დღევსახე ეს არის — ღირსეულად სიღმრთელი მეველები ისეთი, როგორიც ვიყავი ცხოვრებაში: მებრძოლი ჩემი კლასისა. მამა! საყოღვეო, მაგრამ მინც ბედნიერი! შენ მსხვერპლად გაიღე ყველგვრ ძვირფასი რაც გვაჩანდა: შენი შეილი უკვე ცოცხალი აღარ არის...

გერმანელები დღესაც სათუთად ინახებენ იმთ ხსოვნას, ვინც ასე გამირულად დაიღუპა. ვინც ვადარჩა, მესამე იმპერიის დასასრულის დღიდანვე გამოვიდა მზის სინათლეზე და განაცხადეს თავიანთი შხად უოფნა შეძლებისამებრ შეეწყუთ ხელი ახალი გერმანიის აღორძინების საქმისათვის.

განა იმათზეც იოქმის, თქვენც შავი ხართ და ისინიცაო?! ან თუნდაც იმ ჟარისკაცებსა და ოფიცრებზე, რომელიც ჟერ კიდევ ომის დროს დაარწმუნდნენ თავიანთი შეცდომებისა და დანაშაულში. მართალია, მხოლოდ მას შემდეგ რაც ჟერ მოსკოვთან, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან იწუნეს სასტიკი დამარცხების სიმწარე, მაგრამ მინც. მანამ ცა ქუდდლ არ მიანდდათ და დედამიწა ქალამად. ვეროპის სახელმწიფოები სულ ორად მოითარქმეა, ჩვენს ტერიტორიაზეც ღრმად შემოიჭრნენ, იომეს, ილალონეს, მაგრამ... აი სტალინგრადი!.. თუ რა ვარდატეხა მოხდა აქ გერმანულ ჟარისკაცების შეგნებაში, შეიძლება თუნდაც ამ საკმაოდ ცნობილ ფაქტითაც ვაღმოგვეცო...

30 დარა მოქცევაზე...

აღუამემორტყმულ სტალინგრადიდან ერთ-ერთმა უკანასკნელმა საფოსტო თვითმფრინავმა წერია 8 ტომარა წერილებისა. გერმანელი ჟარისკაცები და ოფიცრები უცილობდნენ სიკვდილს წინ გამოაშშვიდობებულ წერილებს წერდენ თავიანთ ნათესაებს. ჰიტლერის განკარგულებით ეს ფოსტა დაკავეს და არმიის სპეციალურ სამსახურთა გადასცეს გასარჩევად და გამოსაცემად. „რაათა მთელ მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ თუ რა გამირულად ეწოდნენ სტალინგრადელი გრენადერები თავს სამშობლოსა და ფიურერისათვის“. წიფნი აიწყო კიდევ, მაგრამ მისი დაბეჭდვა ცენზურამ შეაჩერა, ვებულსმა კი მთელი ეს მასალა დააწვევინა. რატომ? იბიტომ რომ ეს გამოსამშვიდობებელი წერილები სრულიად იმ გამოსამშვიდობებელი გერმანელი ჟარისკაცების გამირულ განწყობილებას. პირიქით, იმ საშინელი ბრძოლებისა და აუცილებელი კატასტროფის წინ ისინი თითქმის გონს მოვიდნენ და...

... ა თუნდაც ერთი იმ წერილთაგანი, რაც ვანადგურებას ვადარჩა, ისიც არა ჟარისკაცისა, არამედ უოფილი მსახიობის, ხოლო შემდეგ ოფიცრის მიერ მიწერილი თავის მეუღლისადმი

— შენ მოწმე ხარ იმისა, რომ მე ყოველთვის ეწვედი წინააღმდეგობას, რადგან მეწინააღმდეგობას ვაღიარებდი და სერთოდ იმის, მე არასოდეს არ ვუთვლივარ ნაძვლილი ქარისაკენ — ისე, მხოლოდ მუნდირს ვატარებდი. მეგრე და რა ნივთი სამკვიფრო? ან იმათ რა მიიღეს ვინც არც წინააღმდეგობას სწევდა და არც ეწინააღმდეგებოდა, რა მივიღეთ ამის სამკვიფრო? ჩვენ ზომ ამ განსაზღვრებულ უაზრობის, სისულელის და სიბრძნის სტატისტიკები ვართ! მეგრედა რას გვაძლევს ეს გამორტული სიყვლილი? მე მრავალჯერ მოთამაშეა სიყვლილი სტენაზე, მაგრამ მაშინ მხოლოდ ვთამაშობდი; შენ კი ზავერდის კაბაში გამოწყობილი იყევი პარტერში და ფიქრობდი, რომ ჩემი თამაში — სწორედ ეს არის სიყვლილი. მე უნდა მოემყვდარიყავი შთავგონებულად, მგრძობიარედ, დარწმუნებული რომ ვკვდები დიდი საქმისათვის. აქ კი სინამდვილეში როგორია სიყვლილი? კვრესა და სულის დაფუძნის მიღისაგან. ჩვენ ვიხოცებით როგორც ბუბები და ეს არავის არ აწუხებს, არაფერ არავის არ მარხავს. უნდა განვამბობა, უხელონა, უფუხონი, თვალუბრაობრილი, მუცელკამოფატრულნი. უნდაფერი უნდა კინოფირზე ვადაილონ რომ ერთხელ და სამუდამოდ მოედოს ბოლო ზღაპარს „უვალაზე მშვენიერ სიყვდილის“ შესახებ. ეს ზომ ცხოველური სიყვდილია...

მე შენ ძალიან მიუყვარხარ, ვიცი, რომ შენც ვიყავარ და ამიტომაც უნდა იცოდეს სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ბრძოლა უვალაზე საშინელი და უიშვიადაა. უბედურება, სიშინელი სიყვე და... მაგრამ ამხე კმარა. მე არ ვუარეყოფ, რომ ყოველივე ამის პასუხისმგებლობის ნაწილი მეც მაქონია. ეს არის პასუხისმგებლობა ერთი ქარისკაცისა, სხვა, 17 მილიონს შორის... ედებ რა თავს სამხედროლოზე, მე ვიხიდი ჩემს ვალს. ავგუსტა, როცა შენ დავეტირებდა გამოიჩინო სიმტკიცე, თვითონაც იგრძობდა ამას. მე მხალა არა ვარ, მაგრამ ვწუხვარ, რომ არ მეძლევა უკეთესი საშუალება გამოვიჩინო სიმამაცე და არ მოვეცდე ამ ამო, რომ არა .ეუქვა, დანაშაულებრივი, საქმისათვის...

იქნებ ეს წერილი ვინმეს მხალა ქარისკაცის ისტერიად მოგჩვენოს, მაგრამ არა, ასე არ არის. სხვა წერილებიც ასეთივე განწყობილებიანა. აი თუნდაც ისევე „სტალინგრადული გრენადერის“ წერილი მაშისადმე... გენერლისადმი. იგი საუვედურობის მამას, რომ მან თავისი გააღუნა არ გამოიყენა და არ გამოიყენა ამ ყოვლბედიდან, რადგან ისევე ძველებურად იყო გაბრუნებული იოლი გამარჯვებით. შევიკი წერს მას:

— გამარჯვება უკვე აღარ არის, ბატონო გენერალი. არის მხოლოდ დროშები და ადამიანები, რომელნიც იღუბებიან. ბოლოს არც დროშები იქნება და არც ადამიანები. სტალინგრადი

სამხედრო აუცილებლობა კი არ არის, — ბოლიტიკური ანტიურაა. ამ ექსპერტმენტში კი თქვენი შეილი მონაწილეობას არ გამოეცხადებოდნო გენერალი! თქვენ მას ვადაულობთ ცხოვრების გზა, ის კი აირჩევს სხვა გზას, საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ისევე სიცოცხლისკენ მიდის, მაგრამ უკვე ფრონტის იქითა მხარეს...

ისევე იმ შაშვის არაკისა არ იყოს, ამ წერტილების დამწერნი და ათასობით თუ ასათასობით სხვა მათი მსგავსნიც ისევე შავნი არიან, როგორც სხვები, რომელნიც ბოლომდე დარჩნენ თავიანთი, მართალია, შავი საქმეების ერთგულნი? რა თქმა უნდა, არა.

მისამ ადამიანი...

ეს, როგორც მოგახსენეთ, ნათელი საკითხია უფრო ძნელი იმ „შხამიანი ნეკტარის“ კომიური ანალიზი, რამაც ერთი განწყობილების გერმანული ისე შეადგინა მეორესთან, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პირველ იმისტისისგან მივიღეთ მეოთხე, რომელიც სრულად ახალი ტიპის („უცხო რამ სახის“) არსებაა, რომელსაც ნიქვე „შეადამიანს“ უწოდებდა როზენბერგი — „ახალ ტიპს“, ხოლო მათი მიმდევრები „შესამე საეკლესიო ადამიანს“.

მოთვლილიყოფოს ნაიცისტი ე. როზენბერგი წერდა:

— ყოველ ახალ ეპოქას ისეთი ახალი ადამიანი ესაჭირობა, რომლის მსგავსი წინათ არ ყოფილა, რადგან ახალ რელიგიას უნდა ადამიანის ახალი სახე, რათა ახალი წესრიგი დამყარდეს მსოფლიოში...

გოტფრიდ ბენისათვის ეს „ახალი ინტროპოლოგიური ხარისხის მიღწევას“ ნიშნავდა. აქედანვე გამომდინარეობს ნეგატიური დამოკიდებულება გერმანიაში ესოდენ პოპულარული ცნებისადმი: „ბიურგერი“. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ რომანტიკურებთან შეიძინებოდა, ისინი ბიურგერებს „ცხოველთა ჯოჯს“ (Herdient) უწოდებდნენ. გერმანელი ნაიცისტების აზრითაც „ბიურგერი სრულად უცხოა გერმანული არისათვის“. ეს „ეიწრო, ჩლუნგი, ეგოისტური და რაციონალური ბიურგერი“ უნდა განდევნოს ახალი ტიპის ადამიანმა, რომლისთვისაც „მე“-ს შეეკლის „ჩვენ“. ასეთი ადამიანისათვის ცხოვრებაში მთავარია მოვალეობის შესრულება და სამსახური (Dienst). იგი მომზენია, უველადური იტანს და არც არავერი სურს, გარდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა. პანისოსტი უფრო პირდაპირია. მისი აზრით, „ახალი ინტროპოლოგიური ხასიათი“ უწინარეს ყოვლისა ვლინდება ქარისკაცში, რომელსაც „ისევე ეწვევა სამხედრო სამსახურს, როგორც მონა“.

ამგვარი „ხასიათი“ გამოიჩინებს ყოველგვარ პიროვნულ ინტერესებს.

— ჩვენ უკვე აღარ ვართ მამები, დები, ძმები

ან ნათესავები; ჩვენ ამხანაგები (Kameraden) ვართ, — ამბობს ოსტის ერთ-ერთი გმირი.

სხვები წერენ, რომ ახალი ტიპის „შესამე აღამიანი“ პირველი ომის დროს დაიბადა სანგრეზში. სწორედ ეს მეომარი, ჯარისკაცი, რაინდი, გმირი, ღირსებისა და მოვალეობისათვის თავდადებულად შებრძოლია ბიურგერის საწინააღმდეგო ტიპი. აღსანიშნავია, რომ ასეთი „ახალი აღამიანი“ უაღრესად რელიგიური უნდა ყოფილიყო. ამისათვის ნაცისტების ზოგიერთმა თეორეტიკოსმა „გერმანელებისა“ და „ქრისტიანობის“ იმგვარი სინთეზი მოითხოვა, რომლის შედეგი ე. წ. „შესამე საეკლესიო აღამიანი“ იქნებოდა. შესამე იმიტომ, რომ იმ ორიდან სრულიად ახალი ტიპის გერმანელი მიეღოთ, რომელიც ცნობდა საეკლესიო იერარქიას, დოგმებს და რიტუალს. იგი მიდრეკილი იქნებოდა მისტიკისადმი, წმინდანობისადმი, ცერემონიებსა და კურთხევისადმი. ამიტომ უწოდებდნენ მას „საეკლესიო აღამიანს“ (Kirchenmensch). ესადა ეს ეკლესიაც სრულიად ახალი ტიპის იქნებოდა და არა ძველებური; სახელდობრ: „გერმანელი ხალხისა და გერმანელი ერის სულიერი ორგანიზაცია“.

კრიკის აზრით, მთავარი აქაც ისაა, რომ „შესამე საეკლესიო აღამიანის“ მიმართება ღმერთისადმი კოლექტიურია და არა პერსონალური. ღმერთს შელადღებს და მარტობედა პილიგრიმი, არამედ გმირული ერი. ღმერთი ერის საქმეებს განსჯის და არა კერძო პირებისა. მის სამსჯავროს წინაშე ცალკეული აღამიანები კი არ წარსდგებიან, არამედ მთელი ერი, როგორც რასისა და სისხლის საბედისწერო ერთობა...

ხედავთ, რა ეშმაკურადაა ყველაფერი ეს მოფიქრებული: წმინდა გერმანელის ტიპი ჯარისკაცია, რომელიც პიტლერმა ჯერ სინდისის ქეჩინისაგან გაათავისუფლა, შემდეგ მსჯავრდებისაგან, ახალა კი ღმერთის წინაშე პირადი პასუხისმგებლობაც მოსხნა. ასეთ ახალ „ქერათიან ბეტისას“ შეუძლია რაც უნდა ის აკეთოს, ანგროსი დაწვას, დახოცოს... რადგან ისევე დოსტოევსკისა არ იყოს, ასეთ შემთხვევაში *Все позволено!*...

...ახალი ტიპის ძიება ამითაც არ დასრულებულია. უფრო რადიკალურად მოაზროვნე ნაცისტებმა არ მოიწონეს „გერმანელობის“ ქრისტიანობასთან დაკავშირება; ეს უფრო შუასაუკუნეებისა და რაფორმაციის სულსიკეთებელი განმომდინარეობსო. ულტრანაცისტების იდეალ კი ძველი ტევტონი გერმანელები იყვნენ, „ტყის აღამიანები“, რომელნიც ტაიტიუს ჰუაეს აღწერილი. აი, იმათი „ბიოლოგიური აღდგენა“ უნდოდთ თანამედროვე ევკენიკის მიღწევებით, პიმლერი ამისათვის სპეციალურ საეკლესიო ინსტიტუტებში ცდებდაც ახდენდა. რაგომ? რა უპირატესობა ჰქონდათ იმ ტევტონებს თუნდაც ამ

ახალი ტიპის „შესამე საეკლესიო აღამიანებთან“? თურმე ის, რომ „ისინი მათ მიერვე არჩეულ პეტროვს აღუედენენ ფიტსის პრალმენტის, არამედ აღამიანს. ამ „პეტროვლანს“ სტეფერერამდე ერთი ნაბიჯია. მიზანიც ვარკვეულადაა დასახული: ფიცით არა ღმერთის, არამედ პიტლერის წინაშე.

ჩვენ უკვე ვიცით თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვა ამას.

აი რატომ იყო მათი იდეალი პირველყოფილი ტყის კაცი...

Homo რა თქმა უნდა, მაგრამ sapiens-ის გარეშე.

ბარბაროსების ელიტა...

ამგვარი „ტყის კაცების“ დამორჩილება და საკუთარი ბარბაროსული მიზნებისათვის გამოყენება უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე „განათლებული ვიგინდარებისა“, რომელთაც სურდათ საკუთარი აზრი ჰქონოდათ ყველაფერზე. ამიტომაც არ ცნობდნენ პიტლერული ტევტონები ევროპის „დაჩაინაყებულ კულტურას“; არა მარტო სულიერი სფეროში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. ინგლისელი ტრეფორ-მუნელი წერს, რომ ისინი ცივილიზებულ ევროპაში ისე დადიოდნენ, როგორც ნივრის სუნით აყროლებული იმპერატორები რომის სასახლეებში.

გარდა ამისა, პიტლერელები „პრინციპულად“ არ ატარებდნენ ევროპულ ტანისამოსს, არ ცნობდნენ კულტურას, განათლებას, ამყობდნენ, ბარბაროსები ვართო და დასცილოდნენ სხვების „დახვეწილ მანერებს“. ის კი არა, დოქტორი ლეი რომ ეწევაში ჩავიდა ელჩთან მოსალაპარაკებლად, უცებ ერთა ლიგის სხდომაზეც მოინდომა შესვლა, როცა კარისკაცმა შეაჩერა და თავაზიანად მოახსენა, ამისთვის ერთა ლიგის თავმჯდომარის ნებართვა საჭიროა, ლეი ხელი ჰკრა მას და მიამხა:

— გადაეკით თქვენს თავმჯდომარეს, უკანალზე მაყოცოსო...

შეცუხებულნი კარისკაცო უყურებდა, როგორ შევარდა ის „სქელკისედა ველური“ დარბაზში და პირველ რაგში წამოსკუბდა ვილაის ადგილას.

სხდომა დამთავრდა და, გამოვიდა თუ არა, სხვის მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს უბრძანა „გაოტეო“. მძღოლმა უთხრა ეს ელჩის მანქანაო, რაზედაც ისეთი პასუხი მიიღო, რომ ამის განმეორება კი არა, გახსენებაც სიწილეს მოგვრის კაცს...

...ეს კი ასე იყო, მაგრამ პიტლერული სახელმწიფოს იერარქიულმა პრინციპმა მიინც მოითხოვა ახალი ელიტას შექმნა.

— ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი არისტოკრატია—უბნებოდა პიტლერი რაუშნინგს. შემდეგ

მან ეს ამოცანა კიდევ უფრო გააფართოვა და სთქვა:

— გერმანელმა ხალხმა მთელ მსოფლიოს უნდა მივსცეს ახალი არისტოკრატიული ელიტა. ბისმარკის დროს ეს დიდი პრობლემა არ იყო. მაშინ ბურჟუაზიულ — არისტოკრატიული ფენა ქმნიდა ამ „ელიტას“.

ერთ დროს პიტლერიც „გათამაშა“ გერმანელთა დიდგვაროვან არისტოკრატიას. ავსტრიულ შოკლებურებს, როგორც ჩანს, სიამოვნებდა კიდევ პრინციები და თავადები რომ ქედს იხრიდნენ მის წინაშე. იყო დრო, როცა მის ბაღში ტენისს ან ფეხბურთის თამაშობდნენ პრინცი ავსტრიელებმ პრესისისა, მისი შმა ოსკარი და სხვები. მათი შეგონებით ერთბელ თვითონაც დაესწრო ფეხბურთის თამაშს. ის მატჩი გერმანელებმა წააგეს. პიტლერი გაყოფდა, თერთმეტი გერმანელი როგორ არ უკვებს სხვა ეროვნების თერთმეტ წარმომადგენელსო და სულ აკრძალა ფეხბურთის თამაში გერმანიაში. მერე იმ პრინციებსაც დაერია და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა, სადაც მათ აიძულებდნენ საბჭოთა ეფურთხებიანთ ერთმანეთისათვის. პიპლერი იმითაც ამცირებდა არისტოკრატიას, რომ ერთ-ერთი პრინცი შოფრად ევდა იმ ქმანაზე. სხვებსაც აპყარეს ყოველგვარი ღირსება. ამაზე ერთბელ პიტლერს უსაყვედურეს „შინაური საუბრის“ დროს, მაგრამ იგი ისე აღულდა რომ სულ ცოფი ჰყარა:

— ყველაფერი მათი ბრალია. რამდენჯერ გავფრთხილე მე მომყევით — მეტყი. იმათ ეს არ მოსურვეს, რადგან შე განათლება და კარგი მანერები არა მაქვს, ისინი მაინც ვერ გადამთუევენ. ვერც მონარქიას აღადგენენ, როცა ის ბებური ჯენტლმენი (ქინდენბურგი) მოკვდება მე ვიცი რომ ხალხს არ სურს პოპენციონარების დაბრუნება. ადრე მარტო მე ეამიზებდი ამას, მაგრამ ახლა არ ვიხამ, და თქვენ ნახათ როგორ იცაქსახებენ ისინი ჩემს წინაშე: ეს მეორე რანგის კლურები, ესენი? შე ჩავშალე მათი გეგმები. ეგონათ შემეშინდებოდა და მახეში გამაბამდნენ. ამიტომაც დამციროდნენ ზურგს უკან, მაგრამ პიტლერდნენ. მე მათ ისეთი სილა გავაწიანი, რომ დიხანს ევამსოვრებოთ... აბა, ახლა მოდიტ ბატონო პაპენებო და ჰეგენბერგებო, მე მზადა ვარ მეორე რაუნდისათვის..

„შეორე რაუნდი კი არ შედგა“. ან რა საჭირო იყო, როცა პიტლერმა პირველშივე გატეხა მონარქისტები, განადგურა მათი მომხრეები და თვითონ შეუდგა საკუთარი „ნაციონალ — სოციალისტური ელიტას“ შექმნას. ფორმაც შეიცვალა და საჩქის წინ ტრიალით „კარგი მანერებიც“ შეითვისა. სხვებშიც მიბაძეს ფიურერის შავალიტის. თუ ძველად სოლომონ ისაკიჩივით გამდიდრებული ბურჟუები ცდილობდნენ როგორმე „ქნიაზების“ არისტოკრატიულ საზოგადოებაში შეეყოთ ცხვირი, ახლა გერმანელმა

ისაკიჩებმა თვითონ მოინდომეს „განიჩება“, თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო. „რევოლუციონარიზმის“ ასე უცებ ზრდა ვერ გამოიყვლიდნენ ეანს, თუმცა სხვა რა გზა ჰქონდათ. 1933 წლამდე პიტლერი და მისი თანამებრძოლები „ტალახიანი ჩექმების“ პოლიტიკას ქადაგებდნენ, მოიერიშებებს უავისფერი უნიფორმები ეცვათ, კაქარდიანი ქუდები ეხურათ და ლეისებურ უხეშობას თვლიდნენ „კარგ მანერად“; ახლა კი, როცა სახელმწიფოს სათავეში მოქცნენ და „მალა საზოგადოებაში“ გავიდნენ, „ტალახიანი ჩექმების“ რომანტიკის ნაცვლად, საჭირო გახდა: ფრაკი, ცილინდრი, თეთრი ხელთათმანები, „დახვეწილი“ მანერები, რევერანსები, ხელზე ამბოჩი და სხვ.

წარმოვიდგენიათ ეს რა იქნებოდა?! — უავისფერი მარტორქები ფრაკებში!..

..ხელისუფლების ჩაგდებისთანავე პიტლერმა პირველი დიდი დარბაზობა მოაწყო და მაგალითიც თვითონ მისცა თავის ამქსონებს. უზარმაზარ დარბაზში შეიკრიბნენ მსხვილი მრეწველები, ბანკირები, პრინციები, თავადები, ბარონები, უმაღლესი არისტოკრატიული „ელიტას“ ჩაბრლიანტებული მანდილოსნები, რამად დეკორირებული შლეიფებიანი კაბებით, ღორნეტებით..

მოვიდა პიტლერიც და, პოი საოცრებავი პირველად მის სიცოცხლეში: ფრაკი, ცილინდრი, თეთრი ხელთათმანები!..

უზარმაზარი ფრაკი რატომღაც ნათხოვარით ეცდა ტანზე, შარვალიც საჭიროზე გრძელი ეცდა... ერთი სიტყვით ნამდილი ჩარლი ჩაპლინი... თავს თვითონაც უხებრულად გრძნობდა საყელო და ყელსახვევი მოვლრიცა, თან მარჯვნივ და მარცხნივ რევერანსებს აკეთებდა, მანდილოსნებს ხელზე კოცნიდა...

ბარონები და ბარონებები ჩემად ხიბობებდნენ: რევერანსები და ხელზე კოცნა თურმე პირველი არ ყოფილა ამგვარ მეჯლისზე. ძველებურ უნიფორმაში გამოწყობილმა სქელ-კისერა რემმა და სხვებმაც გული მოიყვანეს, — რათ ჩვენი ძველი ფორმა უკვე შეუფერებელია? რამდენიმე მათგანმა დემონსტრატულად დატოვა დარბაზი...

ამის შემდეგ პიტლერმაც გადადგა „კომპრომისული ნაბიჯი“: მართალია, ფრაკი და ცილინდრი მოიშორა, მაგრამ ყელსახვევი მაინც დაიტოვა, თუმცა ძველებურად ისევე ჩექმებსა და კაქარდიან ქედს ატარებდა...

...ისე, კაცმა რომ თქვას, ასე უცებ „პოლიტიკური ელიტას“ შექმნა არც იყო ადვილი. ან შტრაიხერის, ლეის და რემისაგან რა ელიტა გამოვიდოდა. მართალია, შესაფერისი თეორიაც მაშინვე შექმნეს „ელიტა მდგომარეობა კი არ არის — ხელობააო“, მაგრამ ამ „ხელობასაც“

ხომ ათვისება უნდოდა იმახეს: ვინც გერმანულ რასას ყველაზე უფრო წმიდად ამსახიერებს, თავისი წესრიგიით და ნორმებით ელტიმდებოდა მალღებელი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მათი უმრავლესობა არც ბიოლოგიურად წარმოადგენდა არიელი რასის იდეალს. რემი ბულა ხარს ჰგავდა, გებელსი ვირთხას, ლეი სულ ვაურკვეველი ფორმისა იყო, თეთონ ჰიტლერიც ძალიან შორს იდგა ამგვარ იდეალისაგან...

იქნებ ამის გამო იყო, რომ კრიკა შეასწორა როზენბერგი და განაცხადა, „რასა პოლიტიკური ცნებაა და არა ბიოლოგიური“.

— ვიცით, რომ გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი ბიოლოგიურად არ ეკუთვნის ჩრდილოეთის რასას, — წერდა იგი — ჩვენითვის რასა არის ein Typus des Seins და ქვეყნისა...

აი, ისევ ეს „ახალი ტიპისი“ რომლის სპეციალური აღზრდა საჭირო ნაციონალური ელტის შესაქმნელად. ამისთვის უნდა შეიარჩეს ისეთი თვისებები, რაც ჩვენს პოლიტიკურ მიზნებისათვის იქნება მისაღებო, — აცხადებდნენ ისინი.

რას გელისხმობდნენ ამ „აღზრდაში“ არა კლასიკურს, რა თქმა უნდა, არც საუნდერსა-ტიტოა. ეს „გერმანელობის“ ლაღატიოა. განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რასაც ჩვეულებრივად გელისხმობდნენ „კულტურის“ ცნებაში, აქ არაფერი მოსატანია. მათი აზრით, ახალგაზრდობა გოეთეზე, კანტზე ან ჰეგელზე კი არ უნდა აღიზარდოს, არამედ ბინამარკის, შოლტესის, კლაუზევიცის, აგრეთვე ფობტის, შტაინის და არნდტის წიგნებზე. ასეთი თეზაუ შეიმუშავეს: სახაზო, რეალისტური და ისტორიულ-პოლიტიკური განათლება „გაეორტებული იდეალიზმისა და ჰუმანიზმის“ ნაცე-ლად.

კრიკი აცხადებს:

— ჩვენ ცივილიზაციის, კულტურისა და ჰუმანიზმის ეპოქაში კი არ ეცხოვრობთ, არამედ ბრძოლის, შკაყრი ატვილებლობის, სინამდვილის შემოქმედებითი გარდაქმნის, შეოშრული სულის, რასობრივი დისკლანინისა და ღირსების ეპოქაში. საქმე ხალხის მომავლის გამოკედ-ვას ეხება, რისთვისაც კლასიკური იდეალიზმის ტიპზე არ გამოდგებიან. საჭიროა გმირული სულის აღმინება. ვიშარს, ფრანკფურტის წმ. პავლეს ტაძარს, პოეტებსა თუ ფილოსოფოსებს კი არ შეუქმნიათ ახალი გერმანია, არამედ პრუსიელმა ჭარბიკაცულმა სულმა, მამაკაცურმა სულისკვეთებამ, სამხედრო დისცილინამ, მამ-ღვარობის ერთგულებამ, ღირსებამ და ამისთვის გაღებულმა მსხვერპლმა...

ეს არ შეუძლია სკოლას. ამისთვის საჭიროა სპეციალური კავშირები და ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა ესესი (SS), ესა (SA) და ა. შ.

აი, დგან ნიურნბერგის ტრიბუნაზე ბრალმდ-ბელი სმირნოვი და ყველა როგორ წერთნილ-

ნენ მათ სპეციალურ კურსებზე, სადაც ასეთ „საგნებს“ ასწავლდნენ: მასობრივი დაზერ-ტა, ჩამოხრჩობა, გვაშების დაწვა, ფიქრის განიავება, ძველმა ჩამარხვა და სხვ. მათ უნდა გავდნენ აზრს, რომ „ყოფნით თავის გამოტე-ნა“ სულაც არ არის საჭირო. ფიურერის ჭარბ-კაცები ცოდნას ბურგებში, საწვრთნელ კურ-სებსა და ამხანაგების წრეში უფრო შეიძენენ, ვიდრე სკოლებში, მასწავლებლებთან. ახლა სკოლა და უნივერსიტეტი კი არ არის მთავარი, არამედ საქმე, ქმნა, წვრთნა, კოლექტივი, კრე-ბები, მიტინგები, საკულტო დღესასწაულები...

ნაციონალ-სოციალისტური პარტია! ეს არის განათლება, პოლიტიკა, ისტორია, ეთიკა, ხელოვნება და ლიტერატურა, თვით რე-ლიგიაც კი...

ფრანგმა ბრალმდებელმა ფრანსუა დე მენ-ტონმა ნიურნბერგის პროცესზე განაცხადა:

— ნაციონალური აღზრდა იწყებდა ახალ თაობა-თა ჩამოყალიბებას, სადაც ტრადიციულ მორ-ალს ცვლიდა რასისა და ძალის კულტი. მითი რასის შესახებ იქცა ნამდვილ ნაციონალურ რე-ლიგიად... XX საუკუნის შუაწლებში გერმანია ქრისტიანობისა და ცივილიზაციის სფეროდან ნებაყოფლობით დაებრუნდა პირველყოფილ გერმანელების ბარბაროსობას...

ამას ძველი, წარმართული რწმენის აღდგენა მოჰყვა:

— ღმერთი, სული და ძალა ყოველთა, თვით აღმინაწი მოცემული. — წერს ფრესლერი, იგი არ გამოითხლება ცნებებში და არ გამოითქმის ლოგიკურად. ამგვარი რწმენა დგინდება ცხოვ-რების ფორმამ (Lebensgestaltung). მაგრამ განა ეს წარმართული რწმენა არ არის? — გეკუ-თხავენ ჩვენ — ამბობს აეტორი, და განავრძობს:

— წარმართულია? ან ჩვენ, წარმართები ვართ? დიხ, ახალი, ნეო-წარმართები! და განა ეს და-საძრახია? განა ჩვენი წინაპრების ფერფლი, რაც უნდნის სასლავეებში ან შავ ქვევრებში განის-ვენებს, წარმართები არ იყენენ? იოსებ ნახა-რეველიც წარმართი იყო (!) ჩვენ სრულიად ახალ რელიგიას კი არ ექმნით. არა. ფიურერი და მისი მოძრაობა იმ ძველ, წარმართულ რწმენაში იღებს სათავეს, აღადგენს ძველთა-ძველ გერმანულ რწმენას, ქრისტიანულ რელიგია დაქვია, დაბრუნდა. მოდის ახალი!...

ამას გერმანული ნაციზმის თეორეტიკოსები უწოდებენ „უზენაესი წესრიგის“, რაც ეყრდნო-ბა აეტორიტეტის პრინციპს, ანუ წარმოადგენს „უმალღეს ძალას და განაგებს სამყაროს, რო-გორც ბედისწერა“.

არც იმ „უზენაესი წესრიგის“ დახასიათება შეიძლება თურმე ცნებებით, რადგან იგი დაუ-საბუთებელია (unergündlich). მისი მხო-ლოდ, „გემანით წვდომა“ ზერხდება. აეტორი-ტეტი ამას გრძნობს თავის თავში. ამიტომ მხო-ლოდ ფიურერია ბედისწერის წინაშე პასუხის-

შეგებული. მასში სახიერდება უზენაესი წესრიგი და მისი გადაწყვეტილება უცილობელია.

ამაში უმაღლესი ძალაუფლების მატარებელია, რასაც ვიტყვი ბუნება „სამყაროს იმპერატიული სურათი“ (imperativen weltbild) უწოდა.

გარემონული მზა...

რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, იგი „ორგანულ-ბიოლოგიურ წინამძღვრებს“ ეყრდნობა, სადაც „განვითარების“ ცნებას ცვლის „წრებრივნი“. „წინსვლას“ — „მეტაქსია“. ეს კი ფიზიოლოგიური პროცესია და არა გონებრივი. „გონებრივი“ დემოკრატიულ ნიშნავს, „ორგანულში“ კი ხალხურობა იგულისხმება. „ხალხი“ „საზოგადოების“ ანტიუზაა (!) სოციოლოგია უარსაყოფია, მისიღებია „ხალხთმცოდნეობა“ (Volkskunde). ხალხი ისეა, როგორც

ყოველი ორგანიზმი. მას თავისი სისხლის მოქცევა აქვს. ამიტომ, თუ ორგანიზმზეა ლაპარაკი, სისხლის, როგორც ორგანიზმის მთლიანი ძალის, აღიარება საჭიროა. ფრ. იუნგერის აზრით „სისხლი უნდა ძალაუფლებამდე იქნეს მიყვანილი“, რითაც იგი დაუპირისპირდება სოციოლოგის „მექანიკურ გეგმას“. ამასვე ქადაგებს ცნობილი ნაცისტი პროზაიკოსი ერუენ კოლბენაიერი. მისი აზრით, ხალხი ერთიან სხეულია. იგი ამაში რასის ბიოლოგიურ არსს ხედავს, ერნსტ იუნგერი კი „სისხლის მთავოს“. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება ჩრება, თითქოს ხალხი ერთი ბიოლოგიური არსება იყოს, ერთი თავით (ფიგურა), რომლის ნება-სურვილზე მოქმედებს მთელი ორგანიზმი. ეს „ახალი ბიოლოგიური ტიპი“ პირველყოფილი ძალის მატარებელია. იგი ელემენტარულია თავისი „სულიერი აგებულებით“ და ძლიერია, როგორც გამოქვაბულებში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი (Urmensch). ასეთი ტიპი უპირისპირდება დემოკრატიის „სისხლისაგან დაცულ სულს“ და „უსისხლე გონებას“. მისი დამახასიათებელი ნიშანია, სიკვდილისა და წამებულობის (Märtyrium) მითოსი. იგი უარყოფს იმას, ვინც პირველად შედგინებდაც ფიქრობს და არა „პრობიკულ ექსტრავაგანტურობაზე“. ბენი შაუ საკმაოდ ირონიულად „ოცილიზაციის მოვარულთ“ და „დასავლეთის პროგრესის ტრეზადერებს“ უწოდებს; ფრ. იუნგერი კი „ამოწურულთა ღივას“ და უპირისპირებს იმას, ვისაც სწამს, რომ „გერმანული მზე ანათებს მთელ მსოფლიოს“:

— მზად რომ იყო ამ იდეისათვის თავი დასდო და მსხვერპლად შეწირა მთავლობას, — ნიშნავს მზადყოფნას იყო წამებული.

ერნსტ იუნგერი წერს:
— ვისაც არ განუცდია წამებულობის ექსტაზი, — გროშია მისი ფასი, თუნდაც ეს გულისხმობდეს მილიონთა მსხვერპლად გაღებას,

ქვეყნის მოღალატეთა სამწუხარო პედონაჟის აღმოსაფხვრელად...

ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ასეთი მზადყოფნა და თავდადება შექმნის „ახალ იმპერიას, რაც კაცობრიობის მთელ ისტორიას დარღვიდაც...

ცხადია, პიტლერსაც ამიტომ უყვარდა ხალხის წინაშე წამებულის პოზიში წარდგომა. ის კი არა, ახლაც არიან ისეთები, რომელთაც თავიანთი „წამებული ფიგურები“ ისევე წარმოუდგებათ სეასტიკაზე გაყრუვად, როგორც ქრისტე ჭაბრზე. მხოლოდ ის არის, რომ სეასტიკას აი ეს წარწერა აკლია:

I.N.R.I.

მარის ჩრდილი...

ასეთი იყო „შედისწერისა და განგებამ მითოსი“, რაც არსებობის გარდუვალ კანონად მიჩნეულთ პიტლერებს. მათი აზრით, ამგვარ ბედისწერას უზენაესი ძალეუ განგებენ ჩანაწლებულ კელისებიდან, რაც ძალდობას, იძულებას, წესრიგსა და მთლიანობას ეყრდნობა. მათ ახასიათებთ მტკიცე გადაწყვეტილება. ყოველგვარი მერყეობა და „ან... ან-ის“ ლოკია უცხოა მათთვის. აღარც ფსიქოლოგია არსებობს. მის ადგილს იჭერს აგორიტიკული აზროვნება და ურუვეი პოზიცია. იგი უარყოფს ყოველგვარ ინდივიდუალობას და ქმნის „სისხლის ერთიანობას“ თუ „შედისწერის კავშირს“, რომელიც მზადა ათასობით ან მილიონობით დაიდუმოს, ოღონდ შექმნას ის სანუგვარი „წმინდა რაიხი“, რომლისკენაც ისე მიიღობს გერმანული ხალხი, როგორც ბიბლიური მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გასული ებრაელები მიიღობდნენ აღმქმული ქვეყნისაკენ. მართლაც, მათი დიდი უმრავლესობა დაიღუბა უღაბროს და იმ „აღმქმულ ქვეყნამდე“ არ მოუღწევია, მაგრამ ეს არაფერია! ხალხის მსხვერპლად შეწირვა, მათი აზრით ხომ „უმაღლესი რაინდული აქტია“.

— ხალხის გმირული სიკვდილი პიროვნების სიკვდილზე უარესი როდია, — ამბობს მათი „ფილოსოფოსი მწერალი“ კოლბენაიერი. იგი საერთოდ არაფერად ავდებს პიროვნებას და წერს:

— პიროვნება არაფერია, ხალხი — ყველაფერი.

შერე ის „ყველაფერიც“ მსხვერპლად იწირება „მსოფლიო იმპერიისა“ და „აღმქმული ქვეყნის“ შიშს, რაც საბედისწერო უნდაის (Muss) სინამდვილედ ქვეყას გულისხმობს.

ფრ. იუნგერი ვერ კიდევ 1926 წელს გამოცემულ წიგნში მოუწოდებდა:

— დეამსხვრიით მომდუნებელი რომანტიკა და დემოკრატია! ევროპა ჩრდილია ქაჩისა. არავითარი ურთიერთგაგება და დამომბილება! მხო-

ლოდ ბრძოლა! მიემართოთ საქმეს და რეალიზაციის საოცარ მისტიკას აღმოვაჩინოთ მასში. არ გვინდა მოქანცული ევროპის აბსტრაქტულობა. ან სადღა ეს ევროპა?! გათიშულობა უველ-გან, რადგან ძლიერია არა ის, რაც აერთიანებს, არამედ რაც თიშავს. ჩვენ გვესმის სისხლის ნი-აღვრის შელოდა (ღმერთო, რას არ გაიგონებს კაცია) და ცხოვრების სისხლიან მხარზე ვღვებოთ. (auf das Blutzeit des Lebens).

პანს გრამიცი წერს „მილიონების მსხვერპლ-მეწირვის პლანეტარული მუსიკის“ შესახებ, ხოლო ერნსტ იენგერს აცხადებს:

— უოველ დროს თავისი ენა აქვს, და რა ექნათ, თუ ჩვენი ენა რომანტიკული არ არის იგი მყოფრია და მახვილი.

— რას იზამთ, დროა ასეთი — ევერს უკრავს მათ გერპარდ შემანი, — ასე რომ არ მოვეცეუ-ლიყავით, საით წავიყვანდნენ სულერი ატო-მის დაშლის ოსტატები — ბატონი ცვაიგები, ვერფელეები, რემარკები? ამ საშინლად წმიდათა წმიდა განსაწმენდელ საქმე ანალოზი კი არ არის, მთლიანობა...

სხვები ამტკიცებენ, რომ პოეზიას უნდა ჰქონდეს ბრძოლის ძალა (Kampfkraft) და ასეთ რამეს კადრულობენ:

— ქარისკაცები წინ ბიჯაყ ვერ გადადგად-ნენ ეკაბრის, გოეთესა და შილერის გარეშე. ჩვენ ვერ მივაღწევდით გამარჯვებას ლაბკო-ში, რომ არ გვეყოლოდნენ გოეთე, შილერი და რომანტიკოსები. შილერის „ვილჰელმ ტელს“ ისეთი ძალა აქვს, როგორც არმიის სამ კო-რპუსს...

...უოველივე ეს მოასწავებდა, „ახალი ეპოქის“ დასაწყისს, რასაც ვერ კიდევ 1933 წელს აუ-ახასითებდა გოტფრიდ ბენი:

— დაიწყო ახალი ისტორიული მოძრაობა. ტიპოლოგურად იგი არც კეთილია და არც ბოროტი. იგი მხოლოდ იწყებს ყოფნას... და ყოველი მხრიდან ისმის სისინი: ელტურა სა-ფრთხეშია! სიმართლე საფრთხეშია! იღვალის საფ-რთხეშია! აღამიანი საფრთხეშია! ამგვარი სისი-ნი მოისმის ლომარდიიდან, უნგრეთიდან, ვერ-სალიდან. როცა ვალენი, გუთები და საცილო-ტები მოდიოდნენ, მამინაც ასე იყო... და ყო-ველთვის ასეა, როცა ისტორიის მობრუნების ხანა დგება, როცა სინაის მთაზე დაფლადებს უკრავენ და მთა ბოლავს, როცა გზის მარგენ-ბელი ბოძები მიუთითებენ ბიზანტიისა და რო-მისაკენ... ახლაც იგივე მეორდება, რადგან მო-დის ტრატორი სახელმწიფო.

აქ ბენი მაგალითად იშველებს, ბიბლიე-რი მოსეს ლეგენდარულ თავგადასავალს, გე-თების ლაშქრობას რომზე და ნაციონალ-სო-ციალიზმის მოძალეებს ევროპაში...

...ამ ახალი რელიგიის ქვაკუთხედი რასიზ-მის დოქტრინაა. როზენბერგის აზრით, ამას

უგულვებელყოფა ბადებს თავისუფლების მო-თხოვნას ყველასათვის, რასაც ანარქიისკენ მიყვებათ. რასები თანაბარნი არ არიან, ამა-ტომ რასობრივი დომინანტი უფრომება ტანებზე და წარმოშობს ძლიერ პიროვნებას. ყველა ეპო-ქას ჰყავს თავისი დიდი პიროვნება, არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ფილოსოფიისა და მწერ-ლობაში. როზენბერგი ამტკიცებს, რომ ამ მხარე ნიქმედ გერმანიაში ქაოსი იყო გაიფუტული. ნიქმედ ქაოტურ ეპოქაში მოხვდა და შეინალა. ეს იყო ეპოქის განწირულების ძახილი, მაგრამ იმ შემთხვევაში საშუალოდ სამი შორსმხედველი პროფეტი შინც შექმნა: ნიქმე, ლაგარდი და ვანგერი. ახლა ეს ეპოქაც დამთავრდა; თანა-მედროვეობა ზომ პიროვნებებს არ მოუხმობს, არამედ ტიპს — ისეთ ვინმეს, ვინც პლასტიკურ ფორმას მისცემს ხალხის ოცნებას, მის მისწრა-ფებას და წაიყვანს საბრძოლველად. ამამა მთელი ჩვენი ისტორიის აზრი...

ქართობიანი ლმობიანი...

ამრიგად ნაციტური პროპაგანდის მთელი ჯოჯობითური მანქანა იქმნენ იქნა მიმართუ-ლი, რომ პირველი იპოსტილიდან შეექმნათ მე-ოთხე, ე. ი. გერმანული ბიურგული გარდაქმნათ ახალი ტიპის ნაციონალ-სოციალისტური „მესი-მე საეკლესიო აღამიანად“, დაევენებინათ მათ სათავეში ასევე ახალი პოლიტიკური ელტა და შეექმნათ ამქვეყნიური ცათა სასუფუველი ანუ მესამე რაიხი, როგორც მომავლის თთასწლოვანი მსოფლიო იმპერია.

საერთო დეკლანსისა და დებრესის ფონზე, განსაკუთრებით კი ვაიმარის რესპუბლიკის პე-რიოდში, ეს „აღმაფრთოვანებული მიხნეპო-ოპიუმით მოქმედებდა იმედგაცეხილ გერმა-ნელ ბიურგერებზე, რომელთაც პიტლერგლები დაეინებთ უნერგულენ მათი რასობრივი უპი-რატესობისა და მსოფლიოს წინაშე რადაც გან-საკუთრებული, ლეთებრივი მისიის რწმენას. ამისთვის მოუხმობდნენ ისინი შორეულ ისტო-რიულ ფაქტებს, დიდ მოღვაწეთა აზრებს, ყვე-ლაფერს, რაც კი მათი აზრით, იმ ახალი მესი-მე საეკლესიო აღამიანის სულიერ სუბსტანცი-ალ გამოდგებოდა. მართალია, უმთავრეს შემთხ-ვევაში ისინი სრულიად თეთნებურად იქე-ოდნენ, ცალკეულ ფაქტებს ეჭიდებოდნენ, მაგ-რამ ზოგჯერ ერთგვარ „ნუტრიმენტუმ სპირი-ტუს“-აც პოელობდნენ.

შეიძლებადა ამისთვის გვერდი აგველო, რომ ნიურნბერგის პროცესზედაც არ ყოფილიყო ამის თაობაზე ლაპარაკი. იმავე მენტონმა ვანა-ცხადა, ნაციონალ-სოციალიზმი თანამედროვე ეკოპოლიტის გონებრივი და მორალური კრი-ზისის მწვერვალიაო. მისი აზრით, ეს კრიზისი ყველაზე უფრო XIX საუკუნის გერმანიაში იგარძობოდა. იმისდა შესაბამისად, თუ როგორ

კინდებოდა სულიერი და მორალური ცხოვრება, სულ უფრო ძლიერდებოდა ტრავგიული ურწმუნობა. უკვე აღარ ვიცით რომელ ღვთაებას ვცეთ თავყანი — ამბობდნენ მაშინ. ამით გაზაანდელმა აგერმანელმა გონებამ შეუტია ჰუმანიზმს. იგი ჰუმანიზმში ავადმყოფობის მგტს არაფერს ხედავდა და ხელაღებით უარყოფდა როგორც იუდაიზმს, ისე ქრისტიანიზმს. ამგვარი სულიერი კრიზისის დროს გერმანიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ნიქშემ, რომელიც ზეადამიანში, სრულადიან არ გულისხმობდა არაადამიანს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სწორედ მან წარმოადგინა თანამედროვე ბარბაროსი, რომელიც სხეულებზე ძლიერი და თავისუფალი ყოველგვარ მორალურ პრინციპებსაცაგან.

მენტონმა ისიც აღნიშნა, რომ ნიქშეს ამგვარი მოძღვრება შეუთავსებელია ნაციონალ-სოციალიზმის, უბრალოდ პრაბიტივიზმთან. ნიურნბერგში იგი ამბობდა, რომ მორალური და სულიერი კრიზისით გამოფიტულ გერმანულ სულში დაბნელებული რასობრივი ერთიანობის მითი, შეირყის მანგერმანიზმის ძირითად პრინციპებში. ომის აპოლოგიასაც თავისი ისტორია აქვს. იგი მენტონის აზრით, ფიხტესა და ჰეგელთანაა დოკუმენტებული. სახელმწიფო ტოტალიტარიზმი და ინდივიდის სახელმწიფოს მიერ შთანთქმის მოძღვრებაც ჰეგელს უკავშირდება. ნიურნბერგის ტრიბუნალის დარბაზში წაიკითხეს მისი სატყუბი:

— ცალკეული პიროვნება ქრება მსოფლიო სუბსტანციაში (ხალხის სული ან სახელმწიფო) და ის სუბსტანცია თვითონ ქმნის ისეთ პიროვნებას, როგორსაც შიითბოვის მის მიერ დასახული მიზნები, თავის შხრივ ფიხტეს ხელს უწყობდა გერმანელების ეროვნული განმავითარებლობის რწმენას. იგი წერდა, რომ „გერმანელები ღვთის რჩეული ხალხია“ და იმწმებდა, თუ როგორ გაათავისუფლეს მათ ვეროპა ვერ „რომის იმპერიის უნივერსალური ბატონობისა და ერთფეროვნებისაგან“, შერე, ლუთერის სახით, „ტრანსული ქრისტიანული ცრურწმენისა და პაპების დესპოტიისაგან“. ახლა კი მოწოდებული არიან „ვეროპაც გაათავისუფლონ ნაციონალის უღლისაგან“.

შემდეგში ფიხტემ კიდევ უფრო განავითარა ეს აზრი:

— გერმანელები უძველესი და ერთადერთი თვითმყოფი ხალხია (Ursprüngliche Volk) რომელმაც შეინახა თავისი ძველთაძველი ენა (Ursprache) მაშინ როდესაც სხვა გერმანულმა ტომებმა, — ფრანკებმა, ლანგობარდებმა და სხვებმა, დაკარგეს პირველყოფილი ენა და სულიც. ამის გამო ფრანკები და იტალიელები ვერ შექმნიან საკუთარ ორიგინალურ ლიტერატურას. რატომო, რომ გვეიხთბათ იტყვოდ, იმიტომ რომ: „ფრანკები ჰეუმპოლე (leichtsinnig) ხარბი და თავჭირიანი (windbeutlich) ხალხია“. ანდა თავს ნებას მისცემდა ეხუმრა:

— ყველა ქვეყანის ყვეს თავისი შაიშენები, ვეროპას — ფრანკები. ეს ერთადე უფვედე; რაც შეეხება გერმანელებსც, ამქვეყნაყად აცხადებდა:

— მხოლოდ გერმანული ხალხია მარადისობაში ფესვგადგმული, მხოლოდ იგია ვეროპული ელტერის განახლების უშუალო წყარო...

ჰეგელსაც გერმანელები შიანდა „ერთადერთ ღირსეულ ხალხად ვეროპაში“. მის ნაწერებშიც ვხვდებით მსგელობას გერმანულთა „განსაკუთრებულობის მისის“ შესახებ. ამასვე ამტკიცებდნენ შლეგელი და ფერარისი. მათი აზრით, ლმერთა დააკისრა გერმანიას მისია — განეხორციელებინა ვეროპის ერთიანობა და მიეღო რომის იმპერიის მეშვეიღრებობა; რადგან თავის დროზე თურმე „გერმანულმა სისხლმა განახლა ვეროპა“. გერმანელები იყვნენო კათოლიკური ეკლესიის მეომარნი და შეაბყრნენი.

ამგვარი იდეების ქადაგებამ საბაბი მისცა ფრანკ ბრალმდებელს ნიურნბერგის პროცესის ტრიბუნლიდან განეცხადებინა:

— მამსადადე, თანამედროვე გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმი შემთხვევით მოვლენა არ არის, იგი არც 1918 წლის დამარცხების შედეგა და არც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მოსურვე ადამიანთა ჯგუფის ჰეველებრივი გამოწვევაა. ნაციონალ-სოციალიზმი ზანგარძობივ იდეური ევოლუციის დაგვირგვინებაა, გერმანული სულის ყველაზე ბნელი და ღრმა შხარების გამოყენება. მიტლერისა და მისი თანამებრძობლების დასაშაული ის არის, რომ სწორედ მათ გააღვიძეს და გამოაყენეს ფართული ბარბაროსული ძალები, რაც ნაციონალ-სოციალისტების გამოჩენამდე არსებობდა გერმანულ ხალხში... მათ უნდოდათ განმეტკიცებინათ აზრი, რომ სწორედ გერმანიაა დასავლეთისა და ჰმელთაშუა ზღვის ქვეყნების ელტერისა და ქრისტიანული რწმენის ცენტრი. შემდეგში ეს ტრადიცია რეფორმაციამ კი არ დაარღვია, არამედ რენესანსმა — ინდივიდის ამ გველფურმა აჯანყებამ (revolt) რისგანაც გამოშინდარგობს რაციონალისტური და ნატურალისტური სულისკვეთება; აგრეთვე განმანათლებლობის, ლბერალიზმისა და დემოკრატიის იდეა, რაც ვაგებულისა როგორც საფრანკეთის რევოლუციის „შეშობული დედა“. ცენტრის, ე. ი. გერმანიის გაბეღინერ იმპერიას აუშხედრდნენ საფრანკეთი, ინგლისი და იტალია. ამიტომ გერმანული ხალხის უზენაეს მოწოდებად კვლავ რჩება განახორციელოს გერმანიისა და ქრისტიანიზმის მსოფლიო ჰეგემონიის მისია...

...როზენბერგმა ქამანიდ უფრო შირის ისროლა და განაცხადა:

— მარტო ვეროპული ელტერია კი არ არის ჩრდილოეთის გერმანული რასის შექმნილი, არამედ ძველი ბაბილონის, ეგვიპტის და თვით შინეთისაც კი.

ყოველგვარ კულტურას, ყველგან და ყველ-
თვის თურმე მხოლოდ ქება და ცისფერბუნებუ-
ლა რასები ქმნიდნენ. როზენბერგის თეორიით,
„მითურ-ისტორიული“ ატლანტიდის დაღუპუ-
ლის შემდეგ მათი კულტურა გადარჩენილმა მე-
ზღვაურებმა და ქარისკაცებმა გაავრცელეს.
იხიან გადავიდნენ ჩრდილო-აფრიკაში და იქაც
დაამკვიდრეს ძველი ატლანტიდის კულტურა.
ატლანტიდის ნაჟეაღვეი ჩანს ეგვიპტეში, არი-
ულ-ინდურ რელიგიურ სისტემებში, ბრამინის
მოძღვრებაში, აქურამზხანსა და ანგრიმანის
(აპრიმანი) დაპირისპირებასა და ჩრდილოეთურ
ელინისში. ასეთივე ხასიათისაა საბერძნეთის
კლასიკური და რომანტიკული მოძღვრება, პე-
დასტურ-ჩრდილო-აზიურ-ბტონური რელიგიები,
რომლის შემდეგაც ჩნდება დონისეს კულტურა,
როგორც რასობრივი აღრევის ნიმუში (zeagnis)
და რომელი კულტურის დაკეპის მიზეზი...

როზენბერგმავე „აღმოაჩინა“, რომ პომერო-
სის პომეტიტიც არიან ჩრდილოეთური სახეები.
ასე მავალითად, ოდისეაში წერია „ზევისს ცი-
ფურთვალემა ქალიშვილი“. არიან ქერათხანი
გმორებელ, მოკავშირე თერსიტები ქერები,
მტრულად განწყობილი კი — შვე თმანება
და... (ო, ღმერთო!) თურმე წინარები თანა-
მედრადვე ბერძენული შაკიფისტებისა. შერე
მოდგა და თუ ვინმე „ქერა“ ან „ციხურთვა-
ლება“ ნახა მოხსენებელი, ყველა არიელად გა-
მოაცხადა, თვით ღმერთებიც კი. მისი აზრით,
ათინა-პალადა და აპოლონი ჩრდილოეთური
არიელი ღმერთები ყოფილან, რადგან შითებან
მხებდვით პირველს ცისფერი თვალად ჰქონდა,
ხოლო მეორეს — ოქროსფერი კულულები. სა-
მაგიეროდ ღმერთე, ჰერმესი, დიონისი — და-
ბალი რასის წარმომადგენლებია. ფილოსოფია-
ში პლატონი მაღალ რასას მიეკუთვნა, პითაგო-
რა და სოკრატე — დაბალს. შერე ბიბლიასაც
გადაწვდა და განაცხადა, ამარიტლები ქერათ-
მიანები და ომის მოყვარულნი არილები იყე-
ნენო თურმე მათ დაარსეს იერუსალიმი და გა-
ლილეი, საიდანაც ქრისტე წარმოიშვა. ჩრდი-
ლოეთური მიგრაციის შედეგად რომის იმპერია,
დაუპირისპირდა ებრუსიელ კულტურას და
ორივეც ერთად დაანგრიეს „სემიტური კართაგე-
ნი“. იგი ამტკიცებს, ე. ო. კი არ ამტკიცებს, არა-
შედ აცხადებს, რომ ბერძენლ და გერმანულ
ხელოვნებას ერთი რასობრივი საფუძველი აქვს.
ამას თურმე ადასტურებს პერიკლესა და ფრიდ-
რიხ დიხან თავის ქალის ანტროპოლოგიური
შედატბა (!)...

...ასე და ამგვარად, რაც მსოფლიოში ღირ-
სეული შეიქმნა კულტურის დარგში, ყველაფე-
რი გერმანელების საქმე ყოფილა. ყველა დიდი
აღმომადგენელი თურმე გერმანული წარმოშობის ან
ხასიათისაა. ამიტომ არც გაგივირდეთ თუ იმ-
გვარ აზრებასკ მოისმინო:

— ოსიანი გერმანული პოეზიის წარმომადგე-
ნელია...

— დიდრო ეკუთვნის ზეენს ოჯახს, რადგან
იგი უწინარეს ყოვლისა შემართებელი გერმანული
იყო...

ასევე რუსოც. შექსპირი კი თურმე „გერმან-
ული დრამატული გენისის განსახიერებაა“...

რატომ? იმიტომ, რომ ამის წიგნებში ასა-
ხეულია გერმანული ერთგულება და გერმანუ-
ლი პატივისცემა ქალის, როგორც მეტროპოლ ამ-
ხანავისადმი...

როზენბერგის ამგვარ მიგებებს არც იუნგი ჩა-
მორჩა. მისი აზრით, კაცობრიობა ერთობლივი
ცნება და არა ხალხთა ერთიანობა. ამ ერთობ-
ლიობაში გერმანულს განსაკუთრებული ადვი-
ლი უპირავს. იგია ღვთაებრივი სულის ინდივი-
დუალური გამოხატულება. სამი „ხავისი“ რო-
შელისა თანამართლებს ევროპული აზროვნება
ევილება, სამივე გერმანულია: რელიგიონია,
კლასიკური მუსიკა და იდეალისტური ფილოსო-
ფია. „დეკადანსი“ და „დაცემა“ დასავლური
ცნებაა, „ალორძინება“ კი გერმანული. ამიტომ
გერმანელებს უკისრებათ ევროპის ხელახალი
გაქრისტიანების მისია.

— არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ხალხი, —
წერს იგი — არ არის ნამდვილი აზრით ისე ევ-
როპული, როგორც გერმანია და გერმანელები...
იგი ევროპის ცენტრშია არა მარტო გეოგრაფი-
ულად, არამედ სულიერადაც.

აღამ მიუღერი უფრო პირდაპირია და უტი-
ფარი:

— ყველაფერი რაც კარგია, აღმალელებში,
მნიშვნელოვანი — გერმანულია. ევროპაში ყო-
ველგვარი სულიერი იმპული გერმანულიდან
წარმოიშობა. გერმანია მთელი დასავლეთის სამ-
ყაროს სულიერი გულისცემაა...

შერე იუნგმაც მოიქმნა, სხვამ არ გადაამპარ-
ბისო და ასეთი რამ იქადრა:

— გერმანელები არა მარტო ერთადერთი დი-
ადი სულის ხალხია, არამედ ერთადერთი ხალ-
ხი, რომელსაც საერთოდ გააჩნია სული.

თურმე ნუ იტყვიო, საუფრო მანძილზე
„ყველა ხალხს დაუშრა სულიერი წყარო, ვარ-
და გერმანელებისა“, ახლა კი მთელი დასავლე-
თის სამუაო მარტო ამ წყაროს ეწაფება, ვარ-
ესეში კი მხოლოდ უდაბნოა...

ეს ცნება არა მარტო კულტურის, არამედ სა-
ხემწიფოებრივი პოლიტიკის სფეროსაც. ნა-
ციხტი შწერალი მანს გრიმი აცხადებდა:

— ზეენ არ დაგვიწყებია ინგლისის უდიდესი
დედოფალი ვიქტორია წარმოშობით გერმანელი
რომ იყო და გერმანული ქმარი ჰყავდა. გერმან-
ელები იყვნენ ბალკანეთის ქვეყნების მეფეე-
ბი. ესპანეთი გერმანული თავადების მეთაურო-
ბით აყვავდა. რუსეთსაც გერმანული წარმომო-
ბის მეფეები მართავდნენ. ვანა იმით ისე უხშიბ-
დნენ, რომ არ ესმოდათ ამის სარგებლობა?
რაც მსოფლიოში ათეული წლების მანძილზე
კარგი გაყვდა, სულ გერმანელების საქმეა.
ჩრდილოეთის რასამ დაამყარა წესრიგი უკანას-

„წელი 70 წლის განმავლობაში და თუ მსოფლიო იმად იქცა, რაც არის, ესეც გერმანელების დამსახურებაა...“

Imperium sacri...

ამჟვარში შეზღუდვებებმა განამტკიცეს გერმანელთა ერაოვნული უპიკატესობის გრძნობა და ჩუნერგეს მათ რწმენა რომ კაცობრიობის ამოელი ძსტორიელი არსებობა (Werden) დამკატავეს აზრს, „თუ იგი არ მივა გერმანელი ხალხის ტრიუმფამდე“.

კაცმა რომ თქვას, რალაც ამის მსგავსს ჰეგელიც ამტკიცებდა. მისი აზრით, გერმანელ ხალხს ეკისრება ქრისტიანობის პრინციპებს სრულ განარჯვებამდე მიყვანა მთელ მსოფლიოში. გერმანელები მოწოდებული არიან ამ წმიდა მისისათვის, რადგან თვითონ უღარესაც რელიგიურად არიან განწყობილი, რაც აყლიათ რომანული რასის წარმომადგენლებს.

არ ვაიცი „ქრისტიანობის მთელ მსოფლიოში გამარჯვება“ როგორ ეგვებოდა ანტიქრისტიკიტლებრის მოძღვრებას, მაგრამ გერმანული ერის ეს „განსაკუთრებული მისია“ მიიწეოდა მოწინააღმდეგეობა. ისიც, ჰეგელი რომ ამტკიცებდა, ქრისტიანობის წმიდა და ჰუმანიტარი რეფორმა სწორედ გერმანიაში დაიწყო და ამით გვეპლინება იგი „მთელი მსოფლიოს სულიერი თავისუფლების მედრომედო“.

არც ეს „სულიერი თავისუფლება“ იყო მაინცდამაინც შესაფერისი ჰიტლერელ ბარბაროსებისათვის, მაგრამ „მედრომეო“ ხომ მაინც არის ნათქვამი და ისიც „მსოფლიო მასშტაბით“. ესეც საწმენა თუ არა! ან თუნდაც მტკიცება, რომ „გერმანელობისა და თანამედროვეობის სული ერთიდაიგივეა“, რის განსამეორებასაც პრუსიულობა წარმოადგენს?! იქნებ ამიტომ იყვნებდნენ ყოველგვარი „სულის“ მტერი ჰიტლერელები ჰეგელის „სულის ფენომელოგიის“ ავტორიტეტს, რაც იმსს ჰეგელს, ემშობა რომ ბიბლიას იმორწმუნება თავის აზრებს საბუთად...

მართალია, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ-პარტიკული ინტერესი აბზობს მეცნიერულს, მაგრამ ეს „პრინციპი“ ისეა ძვალ-რბილში გაჭედარი, რომ პროტესტანტ ფიხტეცა და ჰეგელის ნაზარევის აახლოვების კათოლიკე გოერცისა და შლეგელის თვალსაზრისითან შესახებ იმისა, რომ ღმერთის მიერ რჩეული, მართალია, რომის წმიდა იმპერიია, მაგრამ იმავე ღმერთმა იზრუნა, რათა იმპერიის ნგრევის პერიოდში შეექმნა ახალი ბარბაროსული ძალეობა, რომელთაც განახლებს იმპერია და ამის გამო რომის შამპა გერმანული სისხლის მეფე ავრობთა ქრისტიანობისა და ეკლესიის მცველად, რითაც გერმანიას დეკლარია იმპერიისა და ეკლესიის კავშირის აღდგენის მისია, რაც ევროპის მისტიკურ ერთიანობას ან ე. წ. „წმიდა რაიხის“ (Imperium sacri) ეიზონერულ ხილვას გულისხმობს. ნოვლისი წერს, ერთ ღმერთს ევროპა ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფო იყო.

— ისეც რელიგიის შეუძლია ევროპის ხალხთა გაერთიანება — „წინასწარმეტყველებდნენ“ მისი მიმდევრები და ამტკიცებდნენ, რომ „საუთ შემთხვევაში ეკლესია გამოვა ნამდვილი თავისუფლების დამცველად, რაც წმიდა იმპერიის ქრისტიანულ იდეალში ანუ „ცათა სასუფეველში“ (Himmelsreich) გამხორციელდება...“

ამ „წმიდა რაიხის“ შესაუფენებებიდან თანსდევდა რალაც საერალური ელერადობა. შემდეგში ის მეტაფიზიკურ ძალად იქცა. რაიხის გერმანელებს გაგებით არის ყაზარმის ყაიდის ევარაქიული წყობა, „ღიდი სიერცის პოლიტიკური წესრიგი“ (Grossraumordnung) ამამივეა მისი ისტორიული მისია, რამაც იდეური ნარკობის როლი ითამამა გერმანიამი. ფიქტი რაიხე, როგორც პოლიტიკური მითოსი, (Fatumordena), გრანდიოზული მომადლის რწმენა, — იტაცებდა „მეოცნებე გერმანელებს“.

ნაციტებმა შემდეგში უარუვეს რაიხის იდეის ქრისტიანული ასპექტო, მაგრამ არა მისი რელიგიური ხასიათის გამო. მართალია, იგი ჩამოყალიბდა, როგორც მითოსი, მაგრამ გერმანიის მომავლის რწმენა მათი რელიგიური აღსარებლად იქცა. მან ისტემმა წამოაყენა იდეა, რომ „ევრმანიას ახალი ღმერთი“ წმიდათა წმიდა რელიგიური იარალის ტარების უნარია“. მისი აზრით, შესამე იმპერია იქნება „ხეციური და მიწიერი რაიხის გაერთიანება“. იოსტაც ვერბოს „რაიხის“ ქრისტიანულ წარმომბას და „გერმანიკულ იმპერიას“ (Imperium germanicum) უწოდებს მას...

...მინდა აქაც ვისარგებლო შემთხვევით და ერთხელ კიდევ განვიცხადო, რომ ჰიტლერს ნაციონალ-სოციალიზმი უწინარეს ყოვლისა, რელიგიურ-ღმერთმანიად მიანდა. ეს უფრო რწმენის საყიბო იყო, ვიდრე პოლიტიკის. ნაციტი მწერალი რუდოლფ ბინდინგი წერდა, მსოფლიოს დღემდე არ შეუძლია გავგოს ნაციონალ-სოციალისტური რევილუციის რელიგიური ხასიათი.

მე მგონია, ეს ახლაც არ არის გაგებელი. ყოველ შემთხვევაში ამს ნაყლები უტრადლება ექცევა. ნამდვილად კი ახალი გერმანიის მოთქვებული იყო როგორც ცათა სასუფეველი ანუ ბიბლიური „აღთქმული ქვეყანა“. ნაციტური მწერლობა ადასტურებს ამ აზრს. პირველ რიგში კი მისი მთავარი ქურუმები, რომელნიც გერმანიას „ცათა სასუფეველის“ (Himmelsreich) ენებთი გამოხატავენ. 1943 წელს იოსტი წერდა, რომ თავდება ათასწლოვანი გოალება ეპების ქალაში და იწყება სასუფეველი ცათა, რაც გერმანული ხალხის სულიერი ერთიანობით წარმოიქმნება და წმიდა მისტიკურ სინამდვილედ იქცევა.

ველები აცხადებს. „რაიხის შინაგანი ბუნება თავისი საწყისით უკავშირდება ღმერთს, რაც

ხალხთა სულიერ ერთიანობას აწესრიგებდნენ" და "ამტიკიებს", რომ "არსად ეს იღვა ისე არ არის განხორციელებული, როგორც გერმანულ სულში".

ეს "მეტაფიზიკური იდეა" შემდეგში, შეძლებისამებრ ისევე კონკრეტულ ფორმას იღებს რესტავრაციისა და კონსერვატიზმის პერიოდში, როცა, ლაგარდის თქმით, ხდება "სახელმწიფოს გაღმერთება" (Staatsvergötterung).

ფაქტობრივად ედგარ იუნგის იმავე ამოცანებს სახავს თანამედროვეობის წინაშე. მისი წიგნი ეძღვნება "მეტირეფსიონანთა ბატონობის დამოღობასა და მოსპობას ახალი რაიხის მიერ", ამიტომ იყო, რომ იუნგის წიგნი კონსერვატიზმის ბოლოად იქცა. მან მთელი ეს ბუნდოვანი თეორიები ნაციონალისტური პოლიტიკის კონკრეტულ ამოცანებს დაეკავშირა, და, ფაქტობრივად პიტლერის "შესამე იმპერიის" იდეამდე მიიყვანა. იუნგი ამტიკიებს, რომ კაცობრიობა დგას ახალი სამყაროს კარიბჭესთან. იწყება პერიოდი, რომელიც, აღბათ, ახალ ათასწლეულს მოაკვებს დასაბამს. მისი აზრით, ამით გერმანული ხალხის წინაშე ისევე დგება საბედისწერო საკითხი: იქნება თუ არა იგი პირველი ნამდვილი დასავლური რაიხის შემოქმედი. მართალია იუნგი "პირველში" გულისხმობს იმ იმპერიას, რომლის შექმნას პიტლერი ცდილობდა, მაგრამ არ იფიქრებს წინა ორს, რასაც ძველი ბერძნებისა და ქრისტიანულ-კათოლიკური შესაუყურებების წმიდა რომელი იმპერიის "უღაგრესად ტრავირულ" ეპოქის უწოდებს. მისი აზრით, პირველის სათავეში იდგა პლატონი, ხოლო მეორისა — დანტე ალიგიერი, — წარსულის ორი უდიდესი აღმამიანი, რომელთაც შეძლეს მსოფლიოს გამაერთიანებელი მაკროკოსმული იდეების შექმნა. ეს ერთიანობა დაარდება პოპულარულ-ფენების ტრავირულად, ვაჰჰა ვიხელინური იმპერია, რომლის უკანასკნელი ვებობტე იყო დანტე. ტრავირული "მონარქია" ვამოშვიდობებია Imperium sacri-ისაგან, მისი დამოღობა და დიქციის სავალალო სურათი. ამის შემდეგ მოდის ისტორიული დამართი და ცალკეული პერიოდები წინააღმდეგობის: რეფორმაცია, კლასიკური მუსიკის ეპოქა და რომანტიზმი. იუნგის აზრით ამჟამ იყო და არის დამოკიდებული გერმანული კულტურის ბედი.

— საჭიროა ვაივით — წერს იგი, რომ აღამიანის სულიერ უცვლელი ნიშანია მეტაფიზიკური მიდრეკილება. ამშია აღამიანობის არსი. მასვე უყრდნობა ღრმა კუშმარობა, რომ აღამიანი ღვთაების სახისმიერია. მისწრაფება ზეგრძნობადისკენ მარადილია და საყოველთაო. როცა ეს მისწრაფება დარღვეულია და მიმართული ამქვეყნიურ მიდრეკილებებისა და არა ზეგრძნობიერის რელიგიისადმი, ქმნის სამიწულ უბედურებას (Unheil) არა მარტო პირველთა, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში...

აქვეა წყალგამყოფი: იუნგის ქადაგება სულიერ სფეროს ეხებოდა, პიტლერისა — ამქვეყნიურ მოქმედებას და სწორედ ამგვარ ფიქრ იწვია ის "სამიწილი უბედურებების" მოქმედება რობდა, რომ ეს იდეები უნდა განხორციელებულიყო სულიერ სამყაროში, ანტიეტური ფილოსოფიისა და შესაუყურებების ქრისტიანობის შერწყმით. იგი მისწრაფოდა სულიერ თავისუფლებისად, ამიტომაც იყო თავისუფლების სამყარო რელიგიის მიზანი, რაც იუნგის აზრით მთლიანად არასოდეს არ მიიღწევა, მიუხედავად, როცა მის ამქვეყნიურ განხორციელებას ცდილობენ.

— თანამედროვე ლიბერალიზმი, — წერს იგი — თავისუფლებას უკავშირებს პიროვნების ბუნებრივ მოთხოვნილებას, განურჩევლად მისი ზასიათისა და უნარისა. ეს არის თავისუფლება ზაიდნიო ყველაფერი რაც გინდა (alles zutun) თვით ბოროტებას კი. ამიტომ თავისუფლება ყველას სურვილი, ყინი ან ინსტიქტი კი არ უნდა იყოს, არამედ დიდი აღამიანური სულისა, იმათი, ვინც მოწოდებულია თავისუფლებისა და სიკეთისათვის და უნარიც აქვს ამისი...

იუნგის აზრით, ეს ეხება თანასწორობის იდეასაც, რაც აგრეთვე იწვია რელიგიურ-მეტაფიზიკური ხასიათისა. იგი წერს:

— ლმერთს არ დაუწყებია განსხვავება აღამიანთა შორის. იქ არ არიან მეფეები და მახოკრები. ეს შემდეგ დადგინდა პირადი მონაცემების მიხედვით. ამიტომ, თანასწორობის სასუფეველი (იუნგი აქვე ზმარობს ტერმინს "რასი") ანუ სასუფეველი ღვთისა არის მხოლოდ იდეალური მიზანი. სოციალურსა და პოლიტიკურ მეოცნებებს კი უნდათ ამის ამქვეყნიად დამყარება. ისინი თანასწორობასაც ინდივიდის ბუნებრივ მოთხოვნილებად აცხადებენ, მაშინ როდესაც თანასწორობისა და თავისუფლების იდეა სამიწი უტოპიაა, რასაც კატასტროფულ ნგრევამდე მიყვავებთ, თანამედროვე სული მოითხოვს ღვთაებრივ რაიხს (Gottesreich) ამქვეყნიად, სოციალურ სამოთხეს, როგორც კაცობრიობის განვითარების ან სოციალ-პოლიტიკური რევოლუციის შედეგს — ეს ორი სხვადასხვა სიბრტევა და მათი ერთმანეთში აღრევა ყოველთვის უამრავ სისხლად უღირს კაცობრიობას...

იუნგს აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ დასავლეთის განახლება და ღვთის სასუფეველის ანუ შესამე იმპერიის დაარსება არის მხოლოდ რელიგიურის სფერო...

— იუნგი დარწმუნებულია, რომ გერმანელები გამოიყენებენ იმ შესაძლებლობებს, რაც მოცემულია მათში და მათ გააჩვენო.

— ლმერთი ახლაც ისეთივეა — წერს იგი, — როგორც შესაუყურებებში, მაგრამ უბერკავს ახალი სიო, იფურჩქნება ახალი ყვაილები. ზნდება ახალი ფიქრი, აზროვნების ახალი ფორმა, იწყება იდეების ახლებური ძეგა. ზანს, სუ-

ლიერმა სეველარიზმმა და ინდივიდუალიზმმა ამოსწორა თავისი თავი...

იუნგის ფიქრობს, რომ ფიზიკურმა მატერიალიზმმა მოსძებნა თავისი სფერო. ეს არის მეცნიერება, ტექნიკა, ბუნებისმეტყველება. ამასთანავე იწყება სულიერი მეტაფიზიკის აღორძინება, რასაც, მისი აზრით, ანეთარებენ პარტიზანი, ჰუსერლი და ჰაიდეგგერი...

...იუნგის მეტაფიზიკურმა თეორიებმა სულსხვა მიმართულება მიიღო გერმანიაში. გაჩნდა ახალი თეზა: „სოციალური იგივე ღეთაებრივია“ (das Soziale ist das Heilige), აზრი, რომ ხალხი, ერო, პიროვნებათა ჯამი კი არ არის, არამედ ახალი ხარისხობრივი მოვლენა, რასაც თავისი საკუთარი კანონზომიერება გააჩნია, სრულიად განსხვავებული პიროვნების ფსიქოლოგიისაგან. ამტყობებ, რომ სულიერი რევოლუცია სოციოლოგიითა და ფილოსოფიით არ შემოიფარგლება. იგი თავს იჩენს არტიტექტურაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და ცდილობს ახალი სტილი შექმნას, მკავლითად, რიტყისთან, უფრო კი გერგესთან. ნამდვილი ლეთისმსახურება იტება „რელიგიურ უღაბნიში“. იწყება ბრძოლა ადამიანის ახლებური ინტეგრაციისათვის, ლტოლვა ახალი ტიპის ადამიანისადმი, რასაც ქადაგებდნენ როზენბერგი და სხვები, რომელნიც მოითხოვდნენ სოციალური ცხოვრების რელიგიაზე დაფუძნებას. რაციონალიზმსა და „გამოფიტულ ქრისტიანობა“ უპირისპირებდნენ ნეოწარმართობას, პანთეონიზმს, ბუნებისა და სისხლისადმი რწმენას.

რალაით გაღიზიანებულმა გერმანელმა პოეტმა რიუერტმა წამოიძახა:

— გააჰიერთ საქმე ამ თქვენი ჯვარტმის ნიშნითა და წამების კელტით! მე სიხარულის ადამიანი ვარ და, მამასადამე, წარმართი...

იუნგი კი იმედოვნებდა, რომ უკველივე ეს მოხდებოდა ქრისტიანობის ფარგლებში, რომ იგი ვათავიფიკაციად დაგეგმულს და შეიწყობდა ამ ახალ მაციოცხლებელ იდეებს. ამისთვის მოიგონა მან ე. წ. „გრძნობის ქრისტიანობა“ (geföhlschrientum). მისი აზრით, ამის მოწყობები კათოლიციზმმა შექმნა, როგორც კულტურის გამოთქმელმა (ausgesprochene) რელიგიამ, რაც ამქვეყნიურ ფორმას აძლევს ღეთაებრივის მეტაფიზიკურ იდეას. მგერამ იუნგის იმედები არ გაამართლეს ამათ, ვისაც ასე გულმოდგინედ უკათავდა გზას. მათ მიიღეს შინაწრათება ადამიანის ინტეგრაციისა — შეგნების, რწმენის რელიგიის და ფილოსოფიის ერთიანობისა, რაც ადამიანთა უკველდლო რწველუბრობობად უნდა ქვეუღოთ, მგერამ ვინაყბადეა, რომ ამისთვის კათოლიკური ეკლესია კი არ არის საჭირო, არამედ ძველი გერმანულ-წარმართული რელიგიის აღდგენა. ხელოვნება და ლიტერატურა მოწოდებულა შექმნას საამისო „გმირული განწყობილება“. უნდა მოხდეს ძალ-

თა ტრატლური მობილიზაცია. მასების წინაშე უნდა დაისახოს გიგანტური, მგერამ კონკრეტული ამოცანები, ახალი მითოსის მოუხმობს. წარსულის გმირებს, იგი ევრტრმამ ძველსაკუთის იდეალიზაციას, გმირული ამბების შესხენებას, საერო და საკულტო დღესასწაულებს.

ამ შხრივ იტალიურმა ფაშიზმმაც გამოიჩინა თავი. შეგებალათანების მარში რომისაყენ, მოფიტრებული იყო როგორც კეთისის მგერ რუბიკონის გადალახვა. მუსოლინის უკოვლი მოძრაობა და ტესტი აყვანილი იყო მითის მნიშვნელობამდე. იგი მოუხმობდა ძველ რომს ახალი ფაშისტური იტალიის შესაქმნელად.

სორელს მიაჩნდა, რომ იტალიური ფაშიზმი იყო არა მხოლოდ ეროვნული ფარგლების რევოლუცია, არამედ ევროპული მნიშვნელობის მოვლენა, როგორც 1789 წლის რევოლუცია იყო ნიშნში მთელი კონტინენტისა და მსოფლიოსთვის. იგი მოუხმობდა ირაციონალურ ძალებს, რელიგიურ რწმენას, რათა ადამიანები გამოეყვანა დუხტორ მდგომარეობიდან და ასევე ამ ბბალტურ აღოქმულ ქვეყნისაყენ წარემართა...

პრწმენო თომა...

ამ იდეის, ჯერ კიდევ ნაციისტების მგერ ძალაუფლებობს ხელში ჩაგდებადე, დაყენებით ქადაგება როზენბერგი თავის წიგნში „მეოცე საუკუნის მითი“. თვითონ როზენბერგი, მოგვხსენებათ, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის „ოფიციალურ ფილოსოფოსად“ ითვლებოდა. იგი ნიურნბერგის პროცესის საბბალდებო სჯამებადე ცდილობდა ამ „საბბატო ტიტულს“ შენარტუნებას. ამან ბბალდებისა და დაცივის მბართა შორის დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. როზენბერგის დამცველი დოქტორი თომას ცდილობდა ლაპარაკი სულ ფილოსოფიის სბრტყელე გადაეყვანა: ვითომ ფილოსოფოსის ასამართლებენ თავისი მსოფლმხედველობისთვის და არა სისხლის სამართლის დამნაშავესო. ამიტომაც აძლევდა ასეთ კითხვებს:

— თქვენს გამოსყლუბში ზშირად ზბარბოლი გამოთქმას — „იდეის საბე“ (gestalt der Idee). ამ შემთხვევაში გოეთეს ზომ არ მოუხდენა თქვენზე ზეგავლენა?

— ზემო ფილოსოფიური მსოფლმხედველობას ჩამოყალიბებაში, — უპასუხა მას როზენბერგმა, გაკლენა მოახდინა: გოეთემ, ჰერდერმა, ფიხტემ, დიკენსის სოციალურმა იდეებმა და ამერიკულმა ემპირიზმმა; შემდეგ კი — კანტმა და მებრეჰტერმა.

აი, როგორ უნდოდა თომას წარემართა თავისი დასაცავის დაკითხვა, მგერამ ტრიბუნალს ნაკლებად აინტერესებდა როზენბერგის ფილოსოფიური შეხედულებები. თომა კი დაყენებით ცდილობდა ამ საკითხებზე ელაპარაკა. თან როზენბერგის ცოდვებს წარმოშობათ ინგლისელ

ყოველგვარ კულტურას, ყველგან და ყველ-
თვის თურმე მხოლოდ ჭერა და ცისფერთალე-
ბა რასები ქმნიდნენ. როზენბერგის თეორიით,
„მთიანეთ-ისტორიული“ ატლანტიდის დაღმე-
ვის შემდეგ მათი კულტურა გადარჩენილია მე-
ზოლითურება და ჯარისკაცები ვაფრცხლავა.
იანი გადავიდნენ ჩრდილო-აფრიკაში და იქაც
დაამკვიდრეს ძველი ატლანტიდის კულტურა.
ატლანტიდების ნაეპლევი ჩანს ეგვიპტეში, არი-
ულ-ინდურ რელიგიურ სისტემებში, ბრამინის
მოძღვრებაში, აქურამზადსა და ანგრიმანის
(აპრიმანი) დაპირისპირებასა და ჩრდილოეთურ
ელინიზმში. ასეთივე ხასიათისათ საბერძნეთის
კლასიკური და რომანტიკული მოძღვრება, პე-
ლასგურ-ჩრდილო-აზიურ-მტონური რელიგიები,
რომლის შემდგეაც ჩნდება დიონისეს კულტი,
როგორც რასობრივი აღრევის ნიშნში (zeagnis)
და რომელი კულტურის დაეკემის მიზეზი...

როზენბერგმავე „აღმოაჩინა“, რომ პომერო-
სის პოემაშიც არიან ჩრდილოეთური სახეები.
ასე მაგალითად, ოდისეაში წერია „ზევისს ციპ-
ურთვალეა ქალიშვილიო“. არიან ჭერათმისი
გმირებიც, მოკავშირე თერსიტები ჭერებია,
მტრულად განწყობილი კი — შავ თმისები
და... (ო, ღმერთო!) თურმე წინაპრები თანა-
მედროვე ბერძნული პოეტიკებისა. მერე
მოგვა და თუ ვინმე „ქერა“ ან „ცისფერთა-
ლეა“ ნახა მოხსენებელი, ყველა არიელად გა-
მაყვება, თვით ღმერთებიც კი. მისი აზრით,
ათინა-ზალადა და აპოლონი ჩრდილოეთური
არიული ღმერთები ყოფილან, რადგან მითებან
მიხედვით პირველს ცისფერი თვალები ჰქონდა,
ზოლო მეორეს — ოქროსფერი კელულები. სა-
მაგიეროდ დემეტრე, პერმესი, დიონისო — და-
ბალი რასის წარმომადგენლებია. ფილოსოფია-
ში პლატონი მაღალ რასას მიაყვებდა, პითაგო-
რე და სოკრატე — დაბალს. მერე ბიბლიასაც
გადაწყდა და განაცხადა, ამართლებები ქერათ-
მისები და ომის მოყვარული არილები იყე-
ნენო თურმე მათ დაარსეს იერუსალიმი და გა-
ლილეი, საიდანაც ქრისტე წარმოიშვა. ჩრდი-
ლოეთური მიგრაციის შედეგად რომის იმპერია,
დაუპირისპირდა ეტრუსკულ კულტურას და
ორივემ ერთად დაანგრიეს „სემიტური კათაგე-
ნი“. იგი ამტკიცებს, ე. ი. არ ამტკიცებს, არა-
მედ აცხადებს, რომ ზერძნულ და გერმანულ
ხელისუფლების ერთი რასობრივი საფუძველი აქვს.
ამას თურმე ადასტურებს პერიკლესა და ფრიდ-
რიხ დიდის თავის ქალის ანტროპოლოგიური
შედარება (!)...

...ასე და ამგვარად, რაც მსოფლიოში ღირ-
სეული შეიქმნა კულტურის დარგში, ყველაფე-
რი გერმანელების საქმე ყოფილა. ყველა დიდო
აღმოჩენილ თურმე გერმანული წარმოშობის ან
ხასიათისაა. ამიტომ არც ვაგიკვირდეთ თუ იმ-
გვარ აზრებსაც მოისმენთ:

— ოსიანი გერმანული პოეზიის წარმომადგე-
ნელია...

— დიდრო გეტონის ჩვენს ოჯახს, რადგან
იგი უწინარეს ყოვლისა ჰემანტიკი გერმანელი
იყო...

ასევე რუსიც. შექსპირი კი თურმე „გერმა-
ნული დრამატული გენიის განსაზიერებაა“...

რატომ? იმიტომ, რომ „მის წიგნებში ამა-
ხელია გერმანული ერთგულება და გერმანუ-
ლი პატრიისცემა ქალის, როგორც მეზობელ ამ-
ხანავისადმი...“

როზენბერგის ამგვარ ძიებებს არც იუნგი ჩა-
მორჩა. მისი აზრით, კაცობრიობა ერთობლივი
ცნებაა და არა ხალხთა ერთიანობა. ამ ერთობ-
ლიობაში გერმანელს განსაკუთრებული ადვი-
ლი უქირავს. იგია ლეთაგრები სულის ინდივი-
დუალური გამოხატულება. სამი „ხავის“ რო-
შელსაც თანამედროვე ევროპული აზროვნება
ეკრძება, სამივე გერმანელია: რეფორმატორი,
კლასიკური მწერკე და იდეალისტური ფილოსო-
ფია. „დეკადანსი“ და „დაეკმა“ დასავლური
ცნებაა, „ალიორძინება“ კი გერმანული. ამიტომ
გერმანელებს ეუბნებათ ევროპის ხელახალი
გაჭირვითანების მისია.

— არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ხალხი, —
წერს იგი — არ არის ნამდვილი აზრით ისე ევ-
როპული, როგორც გერმანია და გერმანელები...
იგი ევროპის ცენტრშია არა მარტო გეოგრაფი-
ულად, არამედ სულიერადაც.
— ამაჲ მიუღერო უფრო პირდაპირია და უტე-
ფარი:

— ყველაფერი რაც კარგია, აღმოდებული,
მნიშვნელოვანი — გერმანულია. ევროპაში ყო-
ველგვარი სულიერი იმპულსი გერმანულიდან
წარმოიშობა. გერმანია მთელი დასავლეთის სამ-
ყაროს სულიერი გულისცემაა...

მერე იუნგაც მოიქნია, სხვაჲ არ ვაღმაჭარ-
ბოსო და ასეთი რამ იკადრა:

— გერმანელები არა მარტო ერთადერთი დი-
ადი სულის ხალხია, არამედ ერთადერთი ხალ-
ხი, რომელსაც საერთოდ გააჩნია სული.

თურმე ნუ იტყვიო, საუკუნეთა მანძილზე
„ყველა ხალხს დაუშრა სულიერი წყარო, გარ-
და გერმანელებისა“, ახლა კი მთელი დასავლე-
თის სამყარო მარტო ამ წყაროს ეწაფება, გარ-
შემო კი მხოლოდ უდაბნოა...

ეს ეხება არა მარტო კულტურის, არამედ სა-
ხელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროსაც. ნა-
ცისტი მწერალი ჰანს გრიმი აცხადებდა:

— ჩვენ არ დაგვიწყებია ინგლისის უდიდესი
დედოფალი ექტორია წარმოშობით გერმანელი
რომ იყო და გერმანელი ქმარი ჰყავდა. გერმა-
ნელები იყვნენ ბალკანეთის ქვეყნების მეფეე-
ბი. ესპანელი გერმანელი თავადების მეთაურო-
ბით ასეველა. რუსეთსაც გერმანული წარმოშო-
ბის მეფეები მართავდნენ. განა იმათ ისე უხმობ-
დნენ, რომ არ ესმოდათ ამის სარგებლობა?
რაც მსოფლიოში ათეული წლების მანძილზე
კარგი გაკეთდა, სულ გერმანელების საქმეა.
ჩრდილოეთის რასამ დაამყარა წესრიგი უყანას-

მსჯელობა. ეტყობა ამან ლოურენსიცი გამოიყვანა მოთმინებებიდან და, ეითომ შეცდომით თომაჲს „ლოქტორ როზენბერგო“ მიმართა. მართალია მან იქვე გაასწორა თავისი „შეცდომა“, მაგრამ დარბაზში მყოფნი შინაუც მიხედნენ ამ ირონიას.

* თომაჲს ამგვარად წაყრებუბა არჩია...

...შემდეგ, როგორც ჩანს, ბრალმდებლებმაც გადაწყვიტეს, თუ საქმე ფილოსოფიაზე მიდგა, იყოს ასეთ და როზენბერგთან ერთად საბრალდებო სკამზე, მისი წიგნი „XX საუკუნის მითი“ დასაყვეს“. კაცმა რომ თქვას, საბრალდებო აქტშიც განზღა პარაგრაფი „საერთო გვეგვის ანუ შექმთმულების „თეორიული“ დასაბუთების შესახებ“, სადაც ჩამოვლილებულია ნაციონლის ოთხი მთავარი ლოქტორია:

1. რომ ე. წ. „გერმანული სისხლის“ აღამიანები წარმოადგენენ „უმაღლეს რასას“ რის გამოც მოწოდებული არიან დაიმორჩილონ ჯამოსბონ სტვა „რასებში“ და ხალხებში.

2. რომ გერმანული ხალხის მართვის ფორმა უნდა იყოს „ფიურერობის“ პრინციპი. „ფიურერების“ ძალაუფლება განუსაზღვრელია და ვრცელდება საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა სფეროზე.

3. რომ იმი წარმოადგენს გერმანულთა ცხოვრების ეთილოგიკობი და აუცილებელ ფორმას.

4. რომ ნაციტური პარტიის ლიდერები, ერთადერთი გამტარებელნი და უფლებასმოსილნი არიან განსაზღვრონ გერმანული სახელმწიფოს სტრუქტურა, პოლიტიკა და პრაქტიკა, რათა მოსინდ უყველა მოწინააღმდეგე.

რაკი ამგვარი „თეორიული“ საკითხები ბრალდების ნაწილად იქცა, მეც მომიზნდა ნაციონლის ერთ-ერთი თეორეტიკოსის, როზენბერგის წიგნზე შეშაობა. ამიტომაც ვამბობ: როზენბერგის, როგორც აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების მინისტრის საქმინაზბა, მართლაც შემადრწუნებელია, მაგრამ ამაზე უარყოფა იმ აზრები, რასაც იგი ქადაგებს თავის წიგნში. ეს განაპირობებს ჩემს მოვალეობას „მთავარ სავხედრო დამნაშავეებზე“ რომ ამდენს ვლაპარაკობ, „მთავარ სუღიერ დამნაშავეებზედაც“ ეთქვა რამე, უწინარეს ყოვლისა კი როზენბერგის ანუ იგი საუკუნის მითზე“, მით უმეტეს, რომ ნიურნბერგის პროცესზე ამ წიგნსაც ისევე სდებდნენ ბრალს, როგორც მის ავტორს. ზოგი აპირებდა კიდევ და ამბობდა, „მითმა“ აქცია გერმანელები იმად, რასაც ახლა წარმოადგენენო. ამის საპასუხოდ ჩილბერტმა საინტერესო გამოკითხვა აწარმოა ნიურნბერგის ცოხეში. მან უყველა ბრალდებულს დასუსტა კითხვა, ჰქონდა თუ არა წაკითხული როზენბერგის „XX საუკუნის მითი“. გამოიჩყვა რომ ბოლომდე არავის წაუკითხავს ის. მხოლოდ რამდენიმემ თქვა გადაავთვალეიერ და ადგილები წავიკითხეთო. ჩილბერტს გავუკვირდა: როგორი ამ წიგნს ზომ „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბიბ-

ლიას“ უწოდებდითო. კი, მაგრამ განა უყველა ქრისტიანს აქვს ბიბლია წაკითხულიო. — უმაპასუხეს მას.

როგორც ჩანს, მათზე უფრო ზეინიო ქალებზეა ახდენდა გავლენას, ვიდრე წიგნები. სამკვიროდ „XX საუკუნის მითმა“, მართლაც, დიდი გავლენა მოახდინა ნაციტურ ფილოსოფიასა და მწერლობაზე. თეითონ როზენბერგი კი, როგორც წესს, 15 წლის ასაკიდან ჩემბერლენით იყო გატაცებული, მერც ვობინით და ლაგარდით. მისი ეს 700 გვერდობანი წიგნი ფართო, მაგრამ რამდენაღმე დილექტანტური განათლების შედეგია. მითი მას ესმის „როგორც არა მარათალი“, არამედ „უფრო მართალი, ვიდრე სარათალია“. მისი მიზანია კანტის ტრანსცენდენტალიზმის დაკვიშობება ინდურ ფილოსოფიასა და ეკპარტის მისტეკისთან, რასისა და ლირების კულტი. ტექტონური ეთიკა, სპარსული ზორასტრიზმისა და ჩრდილოეთური ქრისტიანობის ნაერთი. ეს არც არის საკვირველი. იყო დრო, როცა ნაციტები ნილბადენს თავიანთ სიძუელიეს ქრისტიანობისადმი. 1933 წელს პიტლურმაკი კი განაცხადა, „ჩვენი მორალის საფუძველი ქრისტიანობააო“ და ზელი მოაწერა კონკორდატს ვატკანთან. რამდენიმე თვის შემდეგ კი რაუშინიგს უთხრა:

დადგება დრო, როცა ნილბას ჩამოეხსნით და გამოეჩნდებით ის, რაც ვართო.

როზენბერგის „მითი“ ამ „ნილბის ჩამოხსნამდეა“ დაწერილი. ამიტომ პიტლურმა გააფრთხილა თავისი მიმდევრები, რომ ეს „ეკეზოჲ წიგნია და არა ოფიციალურიო“. ასეთად მას, ცხადია, მხოლოდ „ჩემი ბრძოლა“ მიიჩნდა. ეს იმის არნიშნავს, რომ იგი უფულვეუყოფდა ამ წიგნის ლირებულებას ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობისათვის. ის კი არა, 1936 წელს პირველი ნაციონალური პრემია მან სწორედ როზენბერგს უბოძა. იგი განსაკუთრებით აფასებდა ისტორიის როზენბერგისეულ რასობრივ ინტერპრეტაციას, ანტროპოლოგიური მონაცემებით მტკიცებას, რომ მხოლოდ ჩრდილოეთის რასაა ცივილიზაციის შემქმნელი. მართალია, მას მსჯელობას არიული რასის განვრცობის შესახებ ეგეობტემა, ინდოეთში, სპარსეთში, სამხრეთისა თუ რომში მეცნიერული საბუთიანოა აელდა, მაგრამ ამ ყურადღებას არავინ აქცევდა, ან ვის ჰქონდა უფლება რამე კრიტიკული შენიშვნა გაეკეთებინა მისთვის. ისე კი, თეითონაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, როცა სტუდიად დაუსაბუთებელ მსჯელობას აყვებოდა. ნიურნბერგის ცოხეში იგი ნანობას კიდევ, მინდოდა ჩემი წიგნი გადაემეშეშევიანა, მაგრამ ვერ მოვასწარიო. ამის გამოა რომ ბევრი მისი შეხედულება მართლაც ისეთ „მითად“ დარჩა, რასაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს...

...თავის წიგნში როზენბერგი ერთმანეთს უპი-

რისპირებს არიულ და ებრაულ მითოსს. იგი ამტკიცებს, რომ ეს დაპირისპირება უძველეს დროიდან მომდინარეობს.

— საბერძნეთს თავისა მითოსი ჰქონდა — მშვენიერი აპოლონის, ოლიმპის, ზეუსის — წერს როზენბერგი. მის პარალელურად ვითარდებოდა პარაზიტული საზოგადოება — ებრაელების მსოფლიო ბატონობის მითოსი. სამი ათასი წელი მოქმედებდა ეს საინფლი დამანგრეველი ძალა მსოფლიოში და განსახიერდა მეფესტოფელში, ზგრეთვე ებრაელ ბანკირებსა და საქმოსონებში, ერთა ლიგის დიპლომატიკაში. უკსადაც ჩრდილოეთური სულიერი ძალა ჩნდება, მისმოდ წამოდგება ამასფერი და სისხლს სწოვს მისი. ებრაული დემონი მხოლოდ დაავადებულ სულში ბედობს. ახლა ჩვენ ამ იური სრულიად განსხვავებულ ძალთა შორის ვდგევართ. ერთმანეთს უპირისპირდება გერმანული გენია და ებრაული დემონი... ფარისევლები და ებრაელები ის სულები არიან, რომელნიც მუდამ უარყოფენ (stets verneint). ისინი ჩამოხრჩობილი უნდა იქნენ, როგორც იუდეები. ებრაელებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით — როგორც ცხოველებზე, პარაზიტებზე. უნდა დავინახოთ, რომ ებრაელი, როგორც წუბრებლა ისე სწოვს სისხლს განსაღ სხეულს...

როზენბერგი იშველებს ერთ ღროს საქართველოს რაისკომისრად გამწესებულ არხო შიკედანციის წიგნს „სოციალური პარაზიტობა ხალხთა ცხოვრებაში“, რომელშიც თერძე „წმიდა მეციერული მეთოდებითა დამტყვევებულა“, რომ ებრაელები დამოუკიდებელი რასა კი არ არის, არამედ პარაზიტული, რომელიც მხოლოდ სხვის სხეულში ცხოვრობს. დამოუკიდებელი არსებობა მას არ შეუძლია, როგორც პარაზიტს. მან სხვისი სისხლი უნდა სწოვოს ან სიმყარაღევი ეძიოს საკეთარი არსებობა. ამიტომაც დიოდორენ მოსეს ებრაელები უდაბნოში, როცა ეგვიპტე დატოვეს...

მიუხედავად ყოველივე ამისა, როზენბერგს მაინც შეიძინა, რომ „მ პარაზიტებსაც“ აქვთ თავიანთი მითოსი. სასწაულიც ის არის, რომ დემონთა სწორედ ეს ხალხი არიან აღტქმულ ქვეყანაში წასაკვანად. მაგრამ რაკი ლმერობის სახეს აღამიანები ქმნიან ებრაელების „ღმერთიც“ მარადიული უარყოფის დემონისგანაა წარმოშობილი. ებრაული პარაზიტობაში როგორც შეკუმშული სიდიდე (Zusammengeballte grösse) ქმნის მისი იდეოლოგია და მისი მსოფლიო ბატონობის შესახებ. ებრაელების ამჯერაი დამანგრეველი ბუნება უცვლელი დარჩა იოსებ ეკვიტელადან მოყოლებული როტშელდამდე და რათენაემდე; ფილონიდან — დავითისა და სოლომონის გავლით — ჰაინემდე...

...ეს არა მარტო ანტისემიტობია, არამედ მასობრივი „მკვლელობის თეორია“, რაც, ასტო-

რის თქმით, ნამდვილ მკვლელობაზე უარესი. ამიტომ იყო, რომ როზენბერგის ისეთი სენტენციები, როგორიცაა: „ანტისემიტობაში გერმანიის რეკონსტრუქციის გამაერთიანებელმა სტრატორია“, ან „გერმანია ებრაელთა საკითხს გადაწყვეტილად მხოლოდ მაშინ ჩათვლის, როცა, არც ერთი მათგანი არ დარჩება მის სასიცოცხლო სიერეზე“ ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო აქტშიც კი მოხვდა.

ამავე ასპექტში მიმდინარეობდა დავა „ფოლოსოფოს“ როზენბერგსა და მის ფრად განსწავლულ დამკველ თომასთან, მაგრამ რა, როზენბერგმა ციხეში უარესი ანტისემიტური წიგნი დაწერა, ის „ურწმუნო თომას“ კი მაინც „პრინციპული პოზიციაზე“ დარჩა, მაშინაც კი, როცა მისი პატივები იმავე განკითხვითა განიკითხეს რამათაც იგი განკითხავდა მთელ იუდეველთა მოდგმას...

მარადიული მოგზაური...

არც მისი „მითი“ დარჩენილა მსჯავრდების ვარჯში, რის მიხეზსაც თვით წიგნის შინაარსის განხილვა დაგვანახებს.

როზენბერგი „მითის“ დასაწყისშივე წერს მზისა და სინათლის ემბლემის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, სამი ათასი წლის წინ გაჩნდა, თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ხოლო შემდეგ სახრთობლესებური ფორმით შეიცვალა და საბოლოოდ ქვარცმის ნიშნის გამოხატულება მიიღო, წარმართული მზე კი მაინც შერჩა მათ წმინდანებს შინაელის სახით, როგორც ლეთებრიობის ნიშანი (Heiligenstein). დარჩა აგრეთვე შუბი, რომლითაც მთელი ქრისტიანული პერიოდი ვანვლო გერმანელთა აშხედრებულმა ლმერთმა (reitende gott). გერმანელთა უმაღლესმა წარმატებულმა ლეთებმა, მარადიულმა მოგზაურმა, ოდინმა (ვოტანმა).

ეს ცალთვალა ოდინი ჩრდილოეთურ მითების მიხედვით ცისა და დედამიწის უზენაესი მზრძანებელია, ომის, უფრო კი გამარჯვების ღმერთი. იგი განსახიერებს სიბრძნეს, ცოდნას, პოეზიას. მან, როგორც მოვევა, იცის მისინობა, შელოცვა, რუნების საიდუმლოების ამოცნობა. ოდინს შეუძლია ყოველგვარი მსხვერპლის გაღება, უყოველგვარი ბოროტების ჩადენა, რომ საბოლოოდ მაინც სიკეთეს მიადწიოს და სინათლე აზეიოს ბნელებზე. მან ცალი თვალი შესწირა გოლიათ მიმირს, რათა სიბრძნის წყარო შეესვა. ასეთივე ტანყეთი იგემა მან „პოეზიის თაფლი“. ამიტომაცაა, რომ ოდინს მააწერენ რუნების გამოგონებას, ყოველგვარ მეციერიების წარმოშობასა და წინასწარმეტყველების უნარს, პოეზიის ჩასახვას, მსხვერპლშეწირვის შემოღებას, კანონების დადგენას, ტელიგორტი რწმენის შექმნას. იგი თავისი ფანჯარად ღლესაც უთვალთვლებს თერძე მთელ მსოფლიოს. მას ჰყავს რვაფეხიანი ცხენი სლავა...

ბნიათ, აქვს საოცარმოქმედი შუები ნეგნირი და სამკლავე დრაჟინირი...

ოდინი გერმანულ მეფეთა გვირგვინობის სა-
თავეა. ვადმოცემის მიხედვით მას ორი შველი
უვლდა ვარი და ფრეკი (იქნებ ამიტომაც ერქვა
პეტლანის მთავარ ბანაკს რასტენბერგში „შველის
ბუნავი“). თვითონ ვოტანიც მკვლევრ ნადირობ-
და და დაიღუპა. რავნაროვის ძველი გერმანუ-
ლი თქმულებების მიხედვით, ღმერთების დასას-
რული მამებისა და შვილების ბრძოლის შედე-
გი იყო: 3 წელიწადი განუწყვეტლო მძევანვა-
რებადა ზამთარი. მშე და მთავარ ვადაყლაშის
მკვლევმა. ვარსკვლავები ჩამოისაძიებდნენ, წყვილი-
აღმა შოიცივა ვეღლაფერი, მიწა იპროდა და ხე-
ებს ძირფენვიანად ვლექდა ქარიშხალი, მთები
სწვრთოდა, ნაბირებზე ვადმოსული ზღვა ფა-
რავდა ხმელეთს. ამის შემდეგ კვლავე მივაქვეუ-
ლი ლოკი ვანთავისუფლდა, ცეცხლი ამოაფრქ-
ვია და ვაქმნადა შურისსაძიებლად. მის შიერ
ღანთებული ცეცხლი ცას სწვდებდა, მერე ზეცის
კარები იხსნებდა და ძირს ჩამოდიან. ცეცხლის
ღმერთები. მათი საფერის ხმაზე იღვიძებენ ძვე-
ლი მიწიერი ღმერთებიც და იყრიბებთან საათო-
ბიროდ ვიგრიდის ველზე. აქეთვე მოეშურება
ცხენზე ამბედრებულ ვოტანიც. იგი შევბრძო-
ლება მკვლს, რომელიც ვადაყლაშის მას. ბრძო-
ლა ვრძელდება. მტრები ცეცხლს ვესრიან ღე-
დამიწის და წვაენ ვეღლაფერს. მერე ფერფლი-
და უფრო მშვენიერი ღეღამიწა იხადება, მცე-
ნარებიც აღმოცენდებიან თვისის ვარეშე, წარ-
მოიშობა ვანახლებული და ვახალგაზრდაეებუ-
ლი ღმერთების თაობა. რამდენიმე ხნის შემ-
დეგ ჩნდებიან აღამანებიც და ღვება საფოველ-
თაო მშვიდობის ტაში. უკვე ახალსა და უფრო
ძლიერ ღმერთს მიჰყავს თავისი ლეგიონები „აღ-
თქმული ქვეყნისაკენ“.

ეს არის მითი ძველი სამყაროს ცეცხლის
სტიქიაში დაღუბებისა და ახლის დაბადების შე-
სახებ. ასეთი იყო ტვეტონების წარმართული
რწმენა ვოტანის შესახებ, რომელსაც აღამა-
ნებსაც სწორადენენ მსხვერპლად.

შემდეგ ამ აღმავრობისაჲ პიტლერი მიეტმას-
ნა ორი სტიქიის — ცეცხლისა და ვინულის თე-
ორიით. მხატვრები მას ხატავდნენ მახვილით
ზელში, როგორც ვოტანს, რადგან ღელამიწის
ცეცხლში ვანახლების ამგვარი ლეგენა მან თე-
ვისი პოლიტიკის პრაქტიკულ ამოცანად დასაძა-
ვები არ არის, რომ სწორად ამიტომ ამხადებდა
იგი გერმანულ ხალხს მსხვერპლშესაფირად. მის
„საუეტოესო ნაწილს“ ვსესელებს ბურგებში და-
ქინებით შთაუწერავდნენ აზრს, რომ მათი უმი-
რკველესი ამოცანა სამსხვერპლად მზად ყოფ-
ნა. ამვე ამოცანას ასრულებდა „პიტლერილ“
ახალგაზრდობა და მრავალრიცხოვანი სამხედ-
რო თუ ვასამხედროებულ ორგანიზაციებმა.
თვითონ პიტლერიც სრულიად ვარკვევით ამ-
ბობდა:

— აღზრდის მთავარი მიზანია ახალგაზრდო-

ბის ფსიქოლოგიური წვრთნა მსხვერპლშესაფი-
რად...

და, აი, ამ წვრთნის მაგალითი — ლეიტენანტი
კრამერი მიმართავს კადეტთა სკოლის სულ რა-
ღაც 12-12 წლის მოწაფეებს:

— ბატონობ, თქვენ ყველაზე კარგი პიროვე-
თია ავირჩევიათ, რადგან ვათვალისწინებელი
კავით უმაღლესი მიზანი. ჩვენ ვასწავლით ამ
მიზნის შესრულებას. თქვენ აქ იმისთვის ხართ,
რომ ისწავლოთ, როგორ მოკვდეთ...

ვიშორებ, რომ გეგმავს ოჯახის ტრავი-
კული დასასრულიც ამ „უმაღლეს მიზანს“ ემ-
სახებრება. მათთვის პიტლერი იგივე იყო, რაც
წარმართული ვოტანი, სწეროდათ, რომ ის
ცალთვალა ღმერთი ღვემდე ცოცხლობს შუბო-
სან წმინდანებში: — ოსვალდში, ვიორგინში,
მარტინში და... პიტლერში(!).

...ხოლო ვიდრე ხალხი ცოცხლობს, მათი
ღმერთებიც უკვდავია“ — ადამტვრებს ამ
აზრს როზენბერგი:

— ისტორია არ არის არაფრისაგან რამის შე-
ქმნა, — წერს იგი — ისტორიას ვმირები, პოე-
ტები და ღმერთები ქმნიან. მათ შორის უმაღ-
ლესია ღმერთთა-ღმერთი ვოტანი — ნებისა და
სიბრძნის ვანსახიერება. იგი მოკვდა, მაგრამ
მისი სახე ღლესაც ისევე ცოცხალია, როგორც
ამ ხუთი ათასი წლის წინ, როცა იგი აერთიანებ-
და ღირსებას და ვმირობას, ქმნისა და სიძლე-
რას, ე. ი. ხელოვნებას, საბელშიფოს და ცეკვს
და ქეშვარტების მარადიულ ძიებას. იგი ღლე-
საც ღდის მთელ მსოფლიოში, რათა დაადგი-
ნოს ბედისწერისა და ხოფიერების არსი. ვოტა-
ნი ცალთვალს სწორავს მსხვერპლად, რათა
ეზიაროს სიბრძნეს. იგი, როგორც მარადიული
მოგზაური, ჩრდილოეთური მაძიებლური სე-
ლის სიმბოლოა და აერთიანებს მებრძოლსა და
ბრძენს...

ასეთივე სულისკვეთება ელინდება აღმოსავ-
ლეთ ვუთების უღელდაში, რაინდებში, შუა სა-
უღეუვების მსტიციოსებსა და უღიღესში მათ
შორის — ეკპარტში. ეს სული ცოცხლობს
პრუსიელებში, თომას კანტორისა და ვოთეში.
ამიტომ ჩრდილოეთის სავაჭრო ვპოსი, პრუსი-
ული მარში, ეკპარტის მოძღვრება, ბახის მუსი-
კა, ფაუსტის მონოლოგი და სხვა — ერთი და
იგივე სულის გამოვლინებაა, რაც ერთიანდება
ვოტანის სახეში. ვიდრე ეს ძალი ცოცხლობს
და ჩრდილოეთური სისხლი სწვეფს, წინაბრე-
ვის სული მსტიკურად ერთობს ახალს. თანა-
მედროვე მითოსი ისევე პეროიქულია, როგორც
ორი ათასი წლის წინ. ღმერთი, რომელსაც ჩვენ
თავიანს ვეკვთ, არ იქნებოდა, რომ არ იყოს
არაფერი სული და სისხლი...

— ჩვენ ვეჭვრია რომ ღმერთი ვანსახიერდა
გერმანულ სისხლში, — წერს როზენბერგი. მი-
სი ქადაგება თავდება „უზენაესი“ შეგონება-
თა და მოწოდებით:

— ახალი მითოსის ვანსახიერება, ეს არის

ჩვენი სულის მისტერია. ჩვენ შევემნით წყაროებს შუა საუკუნეების წმიდა მისტრიხების საფუძველზე.

ასეთი იყო მათი მაგიურ-კაბალისტური რწმუნა: წმიდა რიცხვი სამი, მესამე იმპერია და სამსახეობა.

ღვთაებრივი კაბალა...

მოხდა კი ისე, რომ, როზენბერგის აზრით, „გერმანელებს ძალით მოახვიეს“ ქრისტიანობა. გერმანიაშიც შემოიჭრა მოყვასის სიყვარულის იდეა და ჰუმანიზმი, რასაც მოჰყვა დამლისა და დაქვემდებარებასი. ღირსების დაცვის ნაკლებად განმტკიცდა მოყვასისადმი სიყვარულის ცრუ-თება. ღმერთის მომადიერობის შიშის შეცვალა ეკლესიურმა „საკრამენტებმა“, რაც მავთური მატერიალიზმის გამოხატულებაა. ამან გამოიწვია გერმანული თეოლოგიების დეფორმაცია და ზნეცუეულება გაუალებმა. როზენბერგის აზრით, იმავე „სიყვარულმა“ შეცვალა ღირსების სიმბოლოები და შოიგანა თანასწორობის იდეა, მაგრამ ყოველივე ეს იყო ფარისევლობა, რადგან ცხრა მილიონი ერეტიკოსის საცოცხლე შეიწირა სიყვარულისა და ჰუმანიზმის ამკვარ ქადაგებას.

ახე ძალადობით განმტკიცდა ქრისტიანიზმი და მისი უზენაესი პრინციპი: ერთი რწმენა, ერთი ენა, ერთი რიტუალი მსოფლიოს ყველა ხალხსათვის; თვით ზანგების, ჩინელებისა და ესკიმოსებისათვისაც კი.

როზენბერგი წერს:

— აგრე ორი ათასი წელია, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები წინააღმდეგობას უწევენ ქრისტიანიზმის უზურპაციას, რადგან ჩვეულის მოძღვრები სიყვარულს მხოლოდ მდაბითიდან მითითებენ, თვითონ კი ეს არ სტირდებათ. მათ უნდათ ბრწყინვალეობა, ძალაუფლება, ბატონობა ადამიანთა სულსა და სხეულზე, მზადყოფნა მსხვერპლის ვადებისა, რასაც ფარისევლურად Caritas-ის უწოდებდნენ.

ამიტომ, როზენბერგის აზრით, იეზუიტებში და პრესიულობა შეუთავსებელია. სხვები, მაგალითად, ბიშოპი და მისი ესეხელები მშვენიერად თავსებდნენ მათ. როზენბერგი კი მხოლოდ ძველ რაინდულ მითისა და მისტრეის აღიდგენდა, რადგან, მას რომ ქეითხოო, მისტრეა ღირსების ცნების უნატიფესი შინააზრსი. მის სათავეში იდგნენ გერმანული მისტრეოსები, რომელნიც ისწრაფოდნენ მატერიალური სამყაროსაგან გასათავისუფლებლად. როზენბერგი ფიქრობს: რაც უფრო მეტად აღწევს ამას ადამიანი, მით უფრო მდიდრდება სულიერად. მისტრეის ეს შინაგანი ნაპერწყალი პირველად ეკპარტმა აანთო. იგი ცნებაში არ აქცევს ამ შინაგან მისტრეურ ძალას, რათა შეერღუდეთ და უსასრულო

იყოს, როზენბერგი წერს, ახლა ჩვენ შევიკამოლი ეს ნაპერწყალი მოვიზიგე ცეცხლად ვაქციოთო. იგი იმდენად კანდიდრება, რომ ყოველივე ამას ღირსება და თავისუფლების იდეის გადაჭყაპება უწოდებს. თან ამას ამტკიცებს, რომ ღირსება და თავისუფლება გარეგნული თვისება კი არ არის, არამედ დროისა და სივრცის გარეშე მყოფი იდეა, რაც აგებს ციხე-სიმაგრეს, საიდანაც წარმოიქმნება გერმანული სულის ნამდვილი ნება და გონიერება! ეს გერმანული სული არც პროტესტანტიზმის საშინელ პერიოდში გამქალა. იგი ვერც ებრაულმა ბიბლიამ ჩაახშო, რადგან მის სადარაიოზე იდგა ეკპარტი, რომელიც ამბობდა: — ღმერთი არა მარტო იმენეტურია საქაროსთან, არამედ უღრის მას...

... იმევის საუკუნე გავიდა მის შემდეგ — წერს როზენბერგი, — რაც ჩრდილოეთური დასავლეთის ამ ქადაგმა გეაჩუქა ახალი რელიგია. მან დაგვამტკიცა ღვთაებრივის დოგმა ჩვენივე გულში და ჩვენივე ვააკცხლა სასუფეველი ცათა (Himmelsreich). ეკპარტმა ვააფართოვა გერმანულ წარმოდგენათა წრე, რაც განსაზიერდა ედის ოქმულეებში. აი ამას უნდა დაეუბრუნდეთ ჩვენ. გადატეკით გერმანული რელიგიის საუკუნეთა ნაცარტუბა რომელშიც ჩაიმარხა, ოდინი, აღმოვაჩინათ ძველი რწმენის ჩაქრობელი ნაღვერდალი და გეაჩალოთ ახალი ცეცხლი.

როზენბერგის აზრით, ოდინი ბონიფაციუსს კი არ მოუკლავს, მოკვდა თავისთავად, რითაც დადგა მითოსისა და ზუნების უღარდალი სიმბოლიკის დასასრულის ეამი, რაც „ღმერთების დასასრულის“ სახელითაა ცნობილი. ამის ნაკლებად, ევროპის საუბედურად, ღმერთის მომადიერისა და ეტრუსკულ-რომული პაპობის სახელით მოვიდა სირიელი იელოვა.

როზენბერგი ქადაგებს, რომ ღმერთი ოდინი მოკვდა, მაგრამ განგების ძალამ აღმოაჩინა გერმანელებში საკუთარი ძლიერი სულის მისტრეოსები, რომელთაც ღვთაებრივი ვაალბოლი შორეული ნისლოვანი წარსულიდან ჩვენს დროს დაუბრუნეს. სულის ამ გარდუგალი თვისებებს აღმოჩენა და გაცოცხლება იყო მხსნელი საქმე (Gat), რამაც, გერმანელები სრული განადგურებისაგან დაიფარა. გადაჩრა ჩრდილოეთური სულიც, რომლის ეზო ყოველთვის ძლიერი იყო დასავლეთის სამყაროში. სწორედ გერმანულ მისტრეოსთა შორის გამოჩნდა მკვდრეთით აღმდგარი (Wiedergeborene) ადამიანი, მაგრამ არა ე. წ. რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში, არა XIII-XIV საუკუნეებში, არამედ უფრო ადრე.

— ჩვენი მთავარი იდეა, თუ კრიტიკული ფილოსოფია მეტად ღრმაა — წერს როზენ-

ბერტი, მაგრამ რაც უფრო ღრმად იხილება კი, მით უფრო მაღლა ამოდის წყალი. ამიტომ ჩვენი მოწოდებაა, ჩავეშვათ გერმანელთა გულის უღრმეს სიღრმეში (in die tiefste Tiefe), რათა მზის სინათლეზე გამოვაინათ ძველი ფასეულობანი. სამი საუკუნის ბრძოლა გახდა საჭირო რათა ქრისტეს სახელს რამე მნიშვნელობა მიეღო ხმელთაშუა ზღვის ხალხებისათვის. სრული ათასი წელი მოუნდა ქრისტიანობის გავრცელებას მთელ ევროპაში. კონფუცი ისე მოკვდა, რომ სიცოცხლეში ძალიან ცოტამ მიიღო მისი მოძღვრება. იგი მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ განადიდეს, ხოლო პირველი ტაძარი ხუთი საუკუნის შემდეგ აუგეს. აშკარად კი ათას ხუთასზე მეტ ტაძარში შეღავადებენ მას, როგორც სრულყოფილ წმინდანს.

ოსტატ ეკპარტის საფლავზეც ექვსმა საუკუნემ გადაიარა, ვიდრე გერმანული სული შეიქნებოდა მას. ახლა კი დგება ამ უწმინდესი და უნეტარესი ოსტატის მოციქულობის გამო...

საკუთარი მშვენიერება...

რა მოეწონა ასე ძლიერ როზენბერგს ეკპარტი რომ მისი მოძღვრება ახალი, „ნაციონალ-სოციალისტური სამყაროს“ რელიგიად გამოაცხადა? მე გგონია იგი თვითონ ქმნის მითს ამ მისტიკოსის შესახებ და ცდილობს თავისებურად გადმოგვეცეს მისი მოძღვრება.

— უოველ არსებას აქვს აზრი, რაც მის მიზანს შეადგენს. სულსაც აქვს თავისი აზრი: მილაწიის სიწმინდეს საკუთარი თავისა და ღმერთის შეგნების (Gonbewusstsein) მიზრით. სული გაბნეულია სამყაროში, დროსა და საერცეში, მისი ზეგაღებულა მაშინა ურყევი, როცა ამ სულიერი ძალის შეკუმშვა (Zusammenballung) ხდება, ამის წინაპირობა კი მონღიერი ვარტ მოქმედი ძალაა და არა პირიქით. ეს შინაგანი სამყარო ნიშნავს ცათა საფუძვლის მოზიდვას თავისკენ (an sich zu reißen). ამას ქრისტეც მოითხოვდა სულით ძლიერ ადამიანებისაგან, რისთვისაც აუცილებელია სამყაროს როგორც წარმოდგენის გა-მოთიშვა ((die Ausschaltung), რათა უფრო ღრმად ჩაეწვდეთ ჩვენშივე მოცემულ მეტაფიზიკურ არსს. უწინარეს ყოვლისა კი საჭიროა სულის უოველგვარი დოგმატიკის, გელესისა და პაპობისაგან გათავისუფლება. ღმერთმა სულის თვითდადგინება (Selbstbestimmung) დააწესა. ამიტომ იგი მხოლოდ თავისუფალი ნების მიხედვით მოქმედებს. ღმერთი ადამიანს არადგურს არ აძალებს, რაც მას თვითონ არ უნდა.

ამით ეკპარტმა, როზენბერგის აზრით, ვაუტემა იძულების რელიგიური წარმოდგენები და გზა გაუხსნა სულიერ კეთილშობილებას. სულს

უნდა სწამდეს „საკუთარი მშვენიერება“, კის სასუფევლის შინაგანი დაუფლება, რაც უშაღლესი თავისუფლებით მიიღწევა და ღმერთს ადამიანთან აახლოვებს ან სულაც ადამიანად აქცევს მას.

ეკპარტი პირდაპირ სვამს კითხვას:

— რატომ იქცა ღმერთი ადამიანად? — და უპასუხებს: იმიტომ რომ ღმერთი თვით ადამიანის სულშია დაბადებული. ამის გამო ადამიანსაც მხოლოდ თავისთავიდან უნდა მილაწიოს ღმერთს, მის სასუფეველს, რაც არსებობდა უფრო ფართოთა ვიდრე სამყარო.

ეკპარტის შემდეგ ასეთი აზრები სხვებმაც გამოთქვეს:

... ღმერთი სამყაროა, ხოლო ღმერთი და მე ვართ შენ — სთქვა ერთმა.

... ვიდრე ვცოცხლობთ ღმერთი ჩვენშია, დაეთანხმა მას მეორე. დანარჩენებმაც ეს აზრი განავითარეს:

...ღმერთი იმაშია, რაც ჩვენ გვიყვარს.

... ღმერთი თუ ჩვენში არ არის, იგი არასოდეს არ არსებულა.

... შეგნება ღმერთისა არის ადამიანის თვით-შეგნება.

... როგორც ადამიანი ფიქრობს და აზროვნებს, ისეთია მისი ღმერთი.

... ყოველი კეთილი ადამიანი თანდათან იქცევა ღმერთად.

...იქვე ღმერთად ან იყო ადამიანი, — ებერთი და იგივეა.

პოლ ვალერიმაც ამიტომ განაცხადა:

— ადამიანი, რომელსაც ღმერთად ქცევა არ უცდია, უფრო ნაკლებია ვიდრე ადამიანი...

მისი აზრით, ეს გამომდინარეობს უწელი ჩვენთაგანის ბუნებრივი მიდრეკილებიდან იყოს უფრო გონიერი, უფრო ძლიერი და უფრო ბედნიერი, ვიდრე ჩვენზევე მე-ა.

როზენბერგი ამტკიცებს, რომ სწორედ ეს არის ეკპარტისა და საერთოდ გერმანული მისტიკის მთავარი თეზა, იგი პრინციპულად უპირისპირდება რომაულ ცრუმისტიკას, რაც ღმერთებსა და ადამიანებს განიხილავს, როგორც სრულიად განსხვავებულ არსებათ. მართლაც ეკპარტის მიხედვითაც ადამიანი მზადა თვითმსხვერპლსწერივისათვის (Hingabe), მაგრამ ეს „Hingabe“ იმავე დროს არის უშაღლესი თვითშეგნება. რაი ადამიანის სული უფრო ფართოა, ვიდრე სამყარო, იგი თავისუფალია ღმერთისაგან. ამით ეკპარტი მთლიანად ეთიშება ძველი აღქმისა და შემდეგი დროის მისტიკას. მას სულიერი სამყარო თვით ადამიანში გადააქვს, ხოლო სულის შესაძლებლობათა სამყაროელი სიფართოვის შეგნება ერთსა და იმავე დროს მისტიკური განცდაცაა და ფილოსოფიური შემეცნებაც.

ანუ დროის და სივრცის კაუზალური ერთიანობა.

როზენბერგი ამტკიცებს, რომ ეს ვერ ვაივო სქოლასტიკამ, მაგრამ მისი აზრით, ოთხი საუკუნის შემდეგ, გახსნა კანტმა, რომლის მიხედვითაც, ზეცა სუფთაა, უღრუბლო, სრული სივრცად. მას არ ეტება არც დრო, არც სივრცე არავითარ სხეულებრივს არა აქვს მასში ადგილი და არც გაიგება დროის თეალსაზრისით. მისი მოპარუნება ზღვება წარმოუდგენლად სწრაფად, თვით მისი სრბოლაც დროის ვარუშა, მაგრამ დროც ამ სრბოლისაგან იქმნება. ამასთანავე არაფერი ისე არ უშლის ზელს სულს, შეიცნოს თავისში ღმერთი, როგორც დრო და სივრცე, რის მიღწევაც მას შეუძლია მხოლოდ მათ ვარუშე ან მათ მიღმა, თუ თვალს სურს იხილოს ფერი, თვითონ უნდა იყოს ყოველგვარ ფერისაგან გამიშვებული (entisleibet). ასევე, თუ სულს სურს იხილოს ღმერთი, მას სხვა არაფერთან არ უნდა ჰქონდეს რაიმე საერთო. ეკპარტი წერს:

— არაფერს, რაც დროსა და სივრცეში არსებობს, საერთო არა აქვს ღმერთთან. სული მოღიანია და განუყოფელი. აქ დროსა და სივრცის მანძილი არ არსებობს. ღმერთმა რომ აღამიანი შექმნა, ეს ოდესღაც კი არ მოხდა, არამედ ახლა ზღვება, როცა მე ვარსებობ, ვმოქმედებ, ვლაპარაკობ. ამის გამო მარადიულობის თეალსაზრისით, დღე ვუშინდელი.

აქედან გამომდინარე, ეკპარტი უარყოფს საეკლესიო დოგმებს სიკვდილის შიშის შესახებ. მისი აზრით, სიკვდილი ჩადენილი ცოდვის გამო სასჯელი ან სანაზღაურო კი არ არის, არამედ სრულიად ზუნებრივი და საფუძველშივე უმნიშვნელი მოვლენა, რაც ჩვენს მარადისობაში იყო წინათ და იქნება ყოველთვის. ეკპარტი ამბობს:

— მე ვარ მიზეზი ჩემივე შეობის (Selbsteit), თანახმად ჩემივე მარადიული და დროული არსობისა. მხოლოდ ამისთვის ვარ მე დაბადებული. ჩემი მარადიული დაბადებიდან ვარ მე ჩემსადე მარადისობაში შესული და იქვე ვიჩნები მარადიულად. მხოლოდ ის კვდება და არაფერდება, რაც დროულ არსს შეადგენს, რადგან იგი გუთვნის დღევანდელ დღეს და გაქრება მასთან ერთად. ჩემს დაბადებაშივე იბადება ყველა საგანი, ასე რომ მე ვარ როგორც ჩემი თავის, ისევე ყველა საგნის მიზეზი. მე არამ არ ვაქჩენილიყავი, აღარც ღმერთი იქნებოდა.

როზენბერგი შენიშნავს, რომ არასოდეს და არსად, არც ინდოეთში, არ ყოფილა სულის ამგვარი „არისტოკრატიული თვითშეცნობა“ (Selbsteitnis). ეკპარტის ყოველი სიტყვა „სიღის გაწენაა რომის ეკლესიისათვის“.

ამიტომ მიიჩნდა როზენბერგს იგი „გერმანიის ქადაგად“ (Grädiger Deutschlands) ეკლესიაში სწორედ ამიტომ შესცა მისი სახელი ანათემას...

... ეკპარტი, როგორც „სულის არისტოკრატი“, — როზენბერგის აზრით, — გზას უკაფავს ყველა მიძიებულს. იგი სულს კი არ იმონებს, არამედ ეტებს მასში მთვლემარე მშვენიერებას, რითაც უარყოფს ღმერთის მომაგიერობას და აღამიანს საკუთარი ყოფნის ბატონ-პატრონად აცხადებს, რითაც ერთიანდება თავისთავთან, თავისუფლდება ყოველგვარი უცხო ზეგავლენისაგან, ყოველგვარი ცოდვისა და მოწინააღმდეგისაგან.

ამით როზენბერგს ეკპარტი კანტის წინამორბედად მიიჩნია და ამტკიცებს, რომ ყოველგვარ საგანს შესაძლებლად ხდის ნება, ხოლო ღმერთს არ ძალუძს მისი იძულება. ვისაც შეტი ნება აქვს, შეტი სიყვარული შეუძლია. ნების მოპარობა იწვევს გამარჯვების ღირსებას (die Ehre des Sieges). ამაში ზედაც იგი სულის ღვთაებრივობის (Gottheit der Seele) არიულ იდეას...

განილური მიჯანა...

მე გგონი როზენბერგი სრულიად გაუმართლებლად იმველიებს ჯერ ეკპარტის, ხოლო შემდეგ იაკობ ბომეს ატეოროტიტს. მსგავსება ამ შემთხვევაშიც გარუგნულია და მისი ხაზგასმა შეიძლება შეურაცხყოფელი იყოს. ამას კი არც ერთი იმსახურებს და არც მეორე. განსაკუთრებით იაკობ ბომე, რომელიც თაყვანისმცემულია შორის იყუნენ ისეთი დიდი ფილოსოფოსები, როგორიც არიან შელინგი, ჰერტლი, შოპენჰაუერი, ფოიერბახი, ნიუშე, საყურადღებოა, რომ ბომეს მარქსი „დიდ ფილოსოფოსად“ თვლიდა მის, ლენინს კი „ღრმა მოაზროვნედ“ მიიჩნდა.

— იაკობ ბომე მატერიალისტური თვისტია, — წერს ლენინი — იგი აღმერთებს არა მარტო სულს, არამედ მატერიასაც. მისი ღმერთი მატერიალურია. ამშია მისი მისტიციზმი...

შესაძლებელია, ტრანსცენდენტური იდეალიზმის ამგვარ „მატერიალურ მისტიციზმად“ მიყვანა იზიდავდა ჰიტლერლებს ეკპარტისა და ბომეს მოძღვრებაში. ყოველშემთხვევაში, ეს აზრი საქმაოდ ნათლადა განვითარებული გერმანულ ფილოსოფოსებისა და მწერლების ოხხულეებში...

მე უკვე გაიმბეთ ეკპარტის შესახებ, ახლა კი ბომე ვაიხსენო...

... ეს კაცი, მართლაც, სხვა ქვეყნიდან მოსულს ჰგავდა. იგი XVI საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა, მაშინ, როცა ლევენდა-

რული დოქტორი ფაუსტი დაუკავშირდა ეშმაკს. თანამედროვენი მას უსაქმურს, გაიძვერას, მოლაყებს, ერთკოოსს თუ შფოთის თავს უწოდებდნენ, იგი ლახლასით დადიოდა ქუჩებში: დახალი, მეკრანიაგრანდილი, მხრანა მობრილი, საოცრად დიდი თავით მაღალი დანაოჭებული შუბლით, ვრძელი და თხელი თმებით, ოდნავ ამოღინდლული უღვაშებით, მეჩხერი წვერით... მას შეუღებინეს გამზღარი სახე ჰქონდა, ავადმყოფურად ფერმკრთალი იყო, მაგრამ ისეთი მშაფრი შემოხედვა იცოდა, რომ გველსაც კი გააშეშებდა ადგილზე.

ხალხი ქვებს ესროდა მას, ფანჯრებს უმტერვდა, ქალაქიდან აძევებდა...

ბოძე ხელობით მეგღანე იყო. დღისით დახეულ ფეხსაცმელებს აყვრებდა, ღამით კი განმარტოვდებოდა, ცას და ვარსკვლავებს მისჩერებოდა და წერდა, თუშეა წერა-კითხვა კარგად არც იცოდა. მერე თანდათან გაიწაფა, მაგრამ სტილის აუცილებელ ნორმადე შაინც არასოდეს ამალდებულა. მიუხედავად ამისა, შაინც ახერხებდა უღრესად ღრმა და საინტერესო აზრები ქალაქზე გადაეტანა. იგი თავის ფილოსოფიას, ასტროლოგიას და თეოლოგიას, „მათ შორებულ დედასთან ერთად“ ადარებდა მშვენიერ ბაღში დარგულ ძვირფას ზეს. მიწა, რომელზედაც ეს ზე დგას განუწყვეტლივ აწვდის მას წვესს, რათაც ხე იღებს თავისი „ცხოვრების ხარისხს“. იგი იზრდება თავისივე თავში ამ წვენისაგან, დიდდება, ტოტებს შლის, ფართოვდება... ისევე, როგორც მიწა იღწვის როგორც გაზარდოს და აყვავდეს იგი, ასევე ზეც არ იშურებს ძალღონეს რათა კეთილი ნაყოფი მოუტანოს ადამიანებს...

განა მკრტხელობა არ არის, რომ ამ სიტყვების დამწერს პიტლურელები თავიანთ წინამორბედად თვლიდნენ?! ის კი არა, აქ თეოლოგიურიც არაფერია. ხის სიმბოლოც რელიგიის ვარგეა. იგი ბუნებაზე ზანგრძლივ დავარებებასა და თვითგანცდას უყარდობა. ამიტომ იყო, რომ ჰეველს ბოძე მიანდა „უკანასკნელ დიდ მოაზროვნედ, რომლისთვისაც აზროვნება და თეოლოგია ერთი და იგივეა“.

ბოძესაც ის კითხვა აწუხებდა, რაზედაც ადრეც მოგახსენეთ: რა იყო საწყისის დასაწყისში? თუ სიტყვა, ე. ი. ლმერთი, ის ლმერთი ეწინა შექმნა? ამ თავსამტრევე კითხვას, ჩემი აზრით, კითხვის ნიშანი არასოდეს მოშორდებდა. ბოძე კი ცდილობს თავისებური პასუხი გასცეს მას, იგი ასე მსჯელობს:

— დასაწყისთა დასაწყისში იყო არაფერი და ყველაფერი, როგორც ერთიანი ძალის პოტენცია, შოშიავალი სამყაროს მრავალფეროვანი ხარისხის იმპულსი, არაფრის გადასვლა რამეში. ეს არის სამყაროს შექმნის არსი, მაგრამ ის არაფერი რა არის? უხარისხო ერთობ-

ლიეობის გადასვლა მრავალ ხარისხიან სიმრავლეში...

სრული სიმატლვა, როცა ამბობენ, რომ ეს უკვე ნატურფილოსოფიაა და არა თეოლოგია, დიდი განზოგადოების უნარია, რითაც ბოძემ „უღიდვის წვლილი შეიტანა კაცობრიობის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში“.

თვითონ ბოძე წერს, რომ ღვთაება მას ნათელი თეფშის სახით გამოეცხადა. ამ სინაალემ გაასხივოსნა მისი გონება და იგი სწედა საგანთა არსს, იხილა მიზეზთ-მიზეზი ანუ საწყისთა საწყისი. ღვთაებამ თითქმის უყარნა მას დაეწერა წიგნი ამის შესახებ, და იმის მიუხედავად რომ წერა-კითხვა ცუდად იცოდა, შაინც სულ წერდა და წერდა.

მისი პირველი წიგნია „აერთობა“, რომელშიც ამტკიცებს, რომ სამყარო უნდა აღიწეროს არა ცნებებით, რაც შეუძლია ქრისტიანული დოგმატიკით, არამედ ქრისტიანული მითების საშუალებით. მას საკვიროდ მიაჩნია ამ შეუძლიალობის საღრეების გარღვევა და უშუალო აღქმა.

ბოძე უფრო ეზოტერული ქრისტიანისმის მქადაგებელი იყო. მაგრამ ვერ გავგო ღმერთი როგორღაა სრული სიყეთე თუ ქვეუნად ამდენ ბოროტებასა და ისეთ დასკვნამდე მიდის რამაც შემდეგ დისტოვესკის იგანე კარამაზოვის ათქმევინა:

— შე ღმერთს კი არა, მის მიერ შექმნილ ქვეყანას უარყუოფო...

ბოძე წმიდა სამებასაც თავისებურად განმარტვდა. მისი აზრით, შამა სუბსტანციაა, შეიღ—ნერგება, სული წმიდა—ცხოვრება და ცნობიერება. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოგმატიკას. ამიტომ უძახებდნენ მას ანტიქრისტიკს და დევნიდნენ. ბოძე კი შაინც თავისას ამტკიცებდა.

— წმიდა სამება საწყისია, რაც ქმნის ბუნებას. ღმერთი თვით ბუნებაშია. სამყაროს შექმნობა შეიძლება, მაგრამ არა რელიგიით ან მეცნიერებით, რაც მხოლოდ ვარგუნულს, მატერიალურს გამოხატავს და არა სულიერ საწყისებს.

ბოძე ღვთაებრივის ბუნებაში გახსნას ცდილობდა: თვითშთაგონებით: საყუთარ მეში ჩაღრმავებით, ბუნებაში ჩაწვდომით. ამიტომ უწოდებს მას „ულმერთი ნატურალისტი“. ყერ წედობა, ხილვა, ექსტაზი, მერე ყოველივე ამის რაციონალური დამუშავება. იგი გვარწმუნებდა, რომ თვითონ ჰქონდა ასეთი ხილვები, რაც სახეებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევდა. მას ეგონა, რომ ამგვარი ხილვებით განახორციელებდა ხალხის ოცნებას და აცხადებდა:

— ბუნება კი არ უნდა აიხსნას ღმერთით, არამედ ღმერთი — ბუნებით...

თხალნი სულიანი...

რელიგიათა ისტორიაში უძველესი დროიდანვე ორი გზა იყო გამოკვეთილი. ერთი რწმენის კონფესიური ჩარჩოებით შემოზღუდული გარეგნული მხარე, რაც ფართო მასკებისათვის იყო გამიზნული; მეორე — შინაგანა, ფარული, რისი წედობა, ხელდასხმა ანუ ინიციატივა, მხოლოდ რწმელთა საქმეს წარმოადგენდა იგი სულიერი თუ ინტელექტუალური განვითარების მაღალ დონეს, პიროვნებაში მთელმხარე ფენომენების გამოღვივებას, შექმნების საზღვრების გაფართოვებას და საერაღური სიბრძნის წედობას მოითხოვდა. ეს მოძღვრება ფაქტურად, ნეტარ ავეუსტინეს ცნობილ თეზას იმეორებს: „ქუშმარტობა ადამიანის შინაგან სამყაროშია“. პიტლერი თავის „სუფრულ საუბრებში“ ბზირად ახსენებს ნეტარ ავეუსტინეს: როზენბერგი კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიძღვრების ბურგეზშიც დიდი ადგილი ჭკობდა მას დამოძიბილი. საკურველია, რატომ? ნეტარი ავეუსტინეს, ეკპარტის თუ ბოშეს მოძღვრება სულიერ ფენომენთა განვითარების გზით ზეგარძნობადობის წედობას მოითხოვს; პიტლერელები კი კატეგორიულად უარყოფდნენ და ორგუნადენენ ყოველგვარ „სულიერ ფენომენებსა“ და ზეგარძნობადობის კატეგორიებს. ამიტომაც წერენ, პიტლერი ეზოტერული ქრისტიანიზმის პრინციპებს კი იყენებდა, მაგრამ არა თეოტი, არამედ შავი მავის გზით.

მართლაც, ეზოტერული საიდუმლოებანი ორთოდოქსულ რელიგიათა საფუძვლეს წარმოადგენდა, პიტლერი კი საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდა მათ წარმომადგენლებს. სხვაგვარად, რომ ეთქვას, ნაციონალ-სოციალისტური რწმენა ეზოტერული ქრისტიანიზმის „შემაძრწუნებლად სხვაა“, რაც შეეხება ეზოტერული ხილვისა და სულიერი მხედველობის მისტერიას, ესეც თეთრი ძაღვებითა მიბლანდული ნაციონალიზმის მართალია პიტლერის უმტკიცებდა მახლობლებს: ვხედავო, ვიხილევო, ვანგებამ შთამაგონაო და სხვა, მაგრამ ამ გარეგნული ნიშნების იქით არც ეს „შსგავსება“ მიდის. როზენბერგმა კი ისე „გადაუბრუნა სარჩული“ ეკპარტისა და ბოშეს მოძღვრებას, რომ მისი აზრით, ვითომ მეოცე საუკუნის ნაეკონალ-სოციალისტური მოთხისი შექმნა, თუმცა გადაძირით უნდა ითქვას, რომ ბოშესებური ეზოტერული ქრისტიანიზმი თავისი შინაარსით პრინციპულად უცხოა ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიისათვის. ქრისტიანიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი ისევე შეუთავსებელია ერთმანეთთან, როგორც ღმერთისა და სატანის ცნება. ეს აშკარაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პიტლერელებმა თავიანთი „ახალი

რწმენის“ სქემად, მის გარეგნულ ფორმად მიიღეს ეზოტერული ქრისტიანიზმი მიიღეს. ამტომაც ვერ მოიშორეს ქრისტიანულ, სიმბოლიკა, ვერც მისტიკურ მოძღვრებაზე აიღეს ხელი, მხოლოდ სიტყვის მისტერია საქმის მისტერიით შეცვალეს და ქვეყანა შეაწრაილეს თავიანთი ბარბაროსული საქმიანობით...

... ასევე უსაფუძვლოა როზენბერგის მსჯელობა გოეთეს შესახებ, რომელმაც თერმე „ბევრი რამ ისწავლა ეკპარტისა და ბოშეს საგან“ მკვალთად, მოძღვრება ორი სამყაროს შესახებ, რომელიც აკვანიით ირწევა და რიტმულად გადადის ერთიდან მეორეში, ეს ორი სამყარო ეკპარტისათვის იყო განმარტობა (Abschiedenheit) და საქმიანობა (Tätigkeit), ხოლო გოეთესთვის — აზრი (Sinn) და მოქმედება (Tat). როზენბერგი წერს, რომ ეკპარტის მსგავსად გოეთეც მოითხოვდა მათ რიტმულ ცვალებადობას. არა მოწვევას სამყაროდან და თვით ხილვას (Selbstschau), არამედ მოქმედებასაც. ადამიანის შეუძლია თავისი თავი (Seiner Selbst) მხოლოდ მოქმედებაში (Tätigkeit) დაინახოს და მოისმინოს* (erlauschen). საქმე აზრით უნდა ვითსინჯოს, ხოლო აზრი საქმით. ადამიანი საერთო თავს იძენდა იცნობს, რამდენადაც იცნობს სამყაროს, რადგან სამყარო მასშია, ხოლო თვითონ სამყაროშია. სულიერ ტკივილს გონება კი ვერ შევლის, არამედ ბეჯითი საქმიანობა. ფაუსტია ადამიანური მოქმედების უდიდესი ჰიმნი. მან ვაიარა მეცნიერების, კოდინის, ტანჯვის, სიყვარულის გზა და მხოლოდ საქმიანობაში ჰპოვა თავისუფლება. აქედან როზენბერგს გამოაქვს დასკვნა, რომ საქმის არისტოკრატიულობის მწვერვალია ხელოვნების ნაწარმოები. ქუშმარტი ხელოვნის შედეგი კი საქმეში ნდებდა. გოეთეც ასე ფიქრობდაო — წერს როზენბერგი. გოეთეს მიხედვით ჰერტით ვერადვებს შეიცნობ, ეს მხოლოდ მოქმედებით მიიღწევა. შესარულე შენი მოვალეობა და ვაივებ რა ყოფილა შენში. მოვალეობა კი ყოველდღიურობის მოთხოვნილებაა. ადამიანისთვის დიდი უბედურებაა, როცა ისეთი იღვა შეიპყრობს, რასაც საქმეში ვერ ანხორციელებს. ყოველგვარ მისწრაფებას თან უნდა ახლდეს თვითდასაქმება (Selbsttätigkeit) ფიქრისა და ხედვას, შრომა და მოქმედება უნდა მოჰყვეს. არ კმარა იცოდე, უნდა გამოიყენო; არ კმარა ვინდოდეს, უნდა გააკეთო, — ამბობდა გოეთე. ეს — როზენბერგის აზრით — ჩრდილოეთული ადამიანის სულისკვეთებაა. მას რომ აკითხოთ, გოეთეც ასე ფიქრობდა, რაც მას აძლევს „უფლებას“ თქვას, გზა გოეთედან პიტლერამდე — ეს ყველა ჩვენთაგანის გზააო...

ნათესაობის ოცნება...

აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთური აზრული რასის ერთი ძირითადი თვისებათაგანი, როზენბერგის აზრით, არის ოცნება; იდეალი, ერთსა და იმავე დროს იყოს შეოცნებებ და საქმიანიც. იგი წერს, რომ ერთხელაც იქნება და ხალხს თავის შეოცნებებებს ისევე აუგებს ეგლებს, როგორც საქმის დიდ აღამიანებს. ჩრდილოეთური სული ოდესღაც ოცნებობდა ხმელთაშუა ზღვასთან: მხესთან სიახლოვეზე და აღამიანის გაფრენაზე, რამაც შექმნა იკაროსის ღრამა. ვალკარიები მალღებობდნენ თავიანთ თავზე (Ober sich hinwegjagen), მაგრამ მათთვის ყოველთვის „ძლიერ ადრე იყო“...

საუქუნების შემდეგ ამგვარი ოცნება სინამდვილედ იქცეოდა. არიელი აღამიანები ოცნებობდნენ ყველაფრის ხედვასა და მოსმენაზე. ამან შექმნა მითი ზეფსზე და არგესზე. იყო ოცნება სამოთხეზე, მაგერა ძალაზე, ზღაპრულ ქალაქებზე, რაც ცეცხლში შთანთქმა, მაგრამ ნანგრევებიდან ოცნებამ კვლავ შექმნა ახალი გერმანული სამოთხე. ეს შეეძლო რასას, რომელსაც ძლიერი ოცნების უნარი შესწევდა. რასები, რომელნიც ოცნების გარეშე იყვნენ — გაქრნენ. ოცნებობდნენ ინდიელები, ელანები, გერმანელები. იყო ოცნება აღმობისის ღირსებასა და მოვალეობაზე. სინაის მთაზე კი ოცნებობდნენ ოქროზე, სიკრუეზე და სიძულვილზე. ამ ოცნებამ მოფანტა ებრაელები მთელ მსოფლიოში...

როზენბერგი აცხადებს:

— ახლა ჩვენ ვიწყებთ ოცნებას, უკეთ, ვანახლებთ ოცნებას. ეს ჩვენი უკვე ნაოცნებარი ოცნებაა, ძველი და ახალი ოცნება ოსტატ ეკპარტისა. ფრიდრიხისა და ლაგარდის. იგი დღესაც ისეთია, როგორც მაშინ იყო. ერო დროს ჩრდილოეთელი ვიკინგები დათარგმობდნენ მსოფლიოში. ისინი, როგორც სხვა მეომრები, უახლოვდნენ და ოცნებობდნენ ღირსებაზე, სიახლოვეზე, ბატონობასა და შექმნაზე. სადაც კი ისინი მივიდნენ, საფუძველი ჩაეყარა კულტურას: კიევში, პალერმოში, ბრეტანში, ინგლისში, ყველგან გაქრა უოცნებო სინამდვილე და შეიქმნა ოცნების სინამდვილე...

წმიდა რახზე ოცნებამ ააღებინა ზელში მახვილი კიხურებასა და რაინდებს. მათ შორეულ რომსა და აღმოსავლეთში წაიღეს თავიანთი ოცნება. სისხლი ნაღვრად მოედინებოდა რომის ნანგრევებზე... ეს ოცნება სიმამისა და დანაშაულის გზით (in Irrtum und Schuld) მიერეკებოდა ითას წლის წინ ტივტონელ რაინდებს მაღალ მიხნებისაკენ. შემდეგში ეს ოცნება ჩაქრა, ჩაიფრფლა, დაიწყებდას მივეცა მაგრამ ჩვენს შორის გაჩნდა შეოცნებ

და ნათელშიღლევი პაულ ლაგარდი, იგი იყო პირველი, ვინც ოსტატ ეკპარტის შემდეგ განახლა გერმანელთა მარნდული ოცნება, რაც იწყებდა წინსვლას, მაგრამ ამასთანავე სიმამისა და დანაშაულისა.

ახლა კი ეკპარტისა და ლაგარდის შემდეგ ისევე იწყება ოცნებისა და სინამდვილის შერწყმა. იკაროსი და ცეპელინი სხვადასხვაა, მაგრამ მათი იდეა, მისწრაფება — ერთი და იგივეა, რითაც საფუძველი ეყრება ჩვენი დროის მითოსს...

...როზენბერგი მარტო არ იყო. ფრანგი ეორე სორელიც იყვლევდა სკიათის „სოციალური მითოსი და მისი როლი ისტორიაში“. სორელი, როგორც ბერგსონის მოწაფე, იყენებდა თავის მასწავლებლის მოძღვრებას „აღამიანის თავისუფალი მოქმედების შესახებ“, რაც თურქ მამინაა შესაძლებელი, როცა ჩვევებში არ არის შეზღუდული და ავტომატურად კი არ უნახებებს გარეშეს, არამედ „ჩადის თავისივე თავში“ (in sich selbst hinabsteigen) და საკუთარი ფსიქიკური და მორალური ძალებიდან იწყებს მოქმედებას. ბერგსონის აზრით, თავისუფალი მოქმედება ყველაფრის თავისთავიდან მიღწევას ნიშნავს.

ბერგსონის ეს „მოქმედების ფილოსოფია“ სორელმა ისტორიას მიუყვანა:

— როცა მსახებს შეიპყრობს მოქმედების ვნება, — წერს იგი, — მაშინ ჩნდება სოციალური მითოსის საერთო სურათი. მითოსი ის ძალაა, რასაც მოქმედებისაკენ მივყვართ. იგია მსახების მამოძრავებელი რწმენა.

სორელის აზრით, მითოსი უძველესი პრიმიტიული აღამიანების აზროვნების ფორმა კი არ არის, არამედ ყოველგვარი სოციალური მოძრაობის თანამგზავრი, გუნვის მიმცემი და ამით ისტორიის შემოქმედი. ქრისტიანობამაც იტოლა ამგვარი ამოკალისური და სოციალური ხილვები (vision). პროტესტანტები რეფორმაციის პერიოდში ბიბლური თქმულებებით იარაღდებოდნენ და აღთქმული ქვეყნისკენ მოუწოდებდნენ მსახებს, რათა ამქვეყნადვე დემეტიფიკებინათ ცათა სასუფეველი.

სორელის აზრით, ამგვარი მითოსი ამოძრავებს ყოველგვარ რევოლუციას, რასაც იგი „რევოლუციური მითოსი“ უწოდებს. ასე იყო, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. ეს მითოსი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ყოველივე ის, რაც მოხდა, მხოლოდ სასაკლავო იქნებოდა.

— მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე მოქმედებდა თავისუფლებისა და თანასწორობის მითოსი, რაც მასებში რელიგიის სიმალემდე იყო აუყვანილი.

სორელი წერს აგრეთვე „მსოფლიო რევოლუციის მითოსი“ შესახებ, რამაც მოძრაობაში უნდა მოთყვანოს ყველა ქვეყნის ხალხი.

„მსოფლიო რევოლუციის მიზნის“ არ ეგუება სტრუქტურის მრწამსს, ამიტომ „გერმანიის მისია მსოფლიოს წინაშე“, ეს არის ამ მიზნის მამოძრავებელი ძალა. ამასვე დაუქვემდებარდა ინტერგულერი დოქტრინა: ყველაფერი ემორჩილება ერის ინტერესებს. ეს იდეა შეიჭრა ყველა ფენაში. ნაციონალიზმმა მოიკცა რელიგიაც და გერმანული ერის მისია იქცა მისტიკურ-მიოთერ სინამდვილედ, რა „რაიხის“ (Reich) ცნებაში განსახიერდა. იგი პირველად მოეღერა ვან დენ ბრუნმა იხმარა პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე კი „რაიხი“ ბიბლიაშიც გვხვდება და ხალხის ზემოქმედებებშიც. მაგრამ მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო მან საკრალურ-რელიგიური ელერადობა და მავიური ძალა, რაც გამოჰქადაგდა ოცნებაში ანუ მიზნისში მესამე იმპერიის შესახებ...

სანი ისარი:

ვიღრე უოველოვე ეს მითების, სულობისა და ოცნების სფეროს მიეუთვნებოდა, იურადიული თვალსაზრისით არც ჰქონდა დანაშაულებრივი ფორმა მიღებული. მაგრამ სიტყვას რომ საქმე მოჰყვა და პიტლერელები იმ „ნაოცნებარი ოცნების“ პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ, მსოფლიოს თითქოს სუნთქვა შეეკრა. ყველამ დაინახა, რომ მიოთერი ბურჟუაზიად სრულიად რეალურად ისახებოდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. ამას არც პიტლერი მალავდა. ჟერ კიდევ 1934 წელს ეუბნებოდა იგი რაუნინგს:

— გერმანიას სჭირდება ფართო სივრცეები! ჩვენ უნდა ვიქცეთ კოლონიურ სახელმწიფოდ. ვასაყებია თუ არა თქვენთვის, რომ მე ამის გამო არ ვაღვენ გარკვეულ საზღვრებს, არც დასაუღეთით და არც აღმოსაუღეთით...

ან „მსოფლიო იმპერიას“ საზღვრები რად უნდოდეს ამას ზომ „ხალხთა ინტეგრაციის“ შენიღბული თეზა ცვლიდა, ხოლო პიტლერის საზღვრების შემოფარგვლაზე უფრო რუქებზე ისრების ზახვა და თავისი დივიზიებისათვის შორეული გეზის მიცემა უყვარდა. ამგვამდ გამომყვეყნებოდა რუქა, რომელზედაც ერთი აგვეგარა ხაზი ნოეორბოსისკვანდ ვამოდის, შავი ზღვის სანაპიროს მოყვება, საქართველოს გადაკვეთს და ბაქოდან წამოსულ მეორე ხაზს უახლოვდება. მეგრე კი ორივე ირანის ტერიტორიას გადასერავს, ინდოეთის დედაქალაქ დელოში ერთიანდება და უფრო დიდ ისარს ქმნის. მეორე ისარიც ასევე ორხაზოვანია: ერთი რუმინეთის ტერიტორიიდან მოდის, მეორე ბულგარეთიდან, ორივე გადაკვეთს თურქეთს, სირიას და ერაყში ერთიანდება, ბაღდადათან. მესამე ისარს ერთი ხაზი ელ-ალაჰინში, იწყება, მეორე ეგვიპტეში და ისიც ბაღდადასაკენ მიემართება. უოველოვე ეს უკვე როზენბერგი-

სეული „მითი“ ან „ოცნება“ კი არა, პიტლერის საზღვრო პოლიტიკა და გერმანიის გენერალური შტაბის ოპერატიული გეგმა იყო. ისიც დამახასიათებელია, რომ კოლონისქელად მას „როზენბერგის გეგმა“ ეწოდა...

... ამრიგად, როზენბერგი ჟერ მითს თხზავდა არიული რასის მეოცნებობის შესახებ, ხოლო შემდეგ ამ მითის სინამდვილეში განხორციელებას მოითხოვდა. ასე რომ, „XX საუკუნის მიოთი“ ნაოცნებარი, გერმანული არმიის გენერალური შტაბის უფროსის პალდერის დღიურებში უკვე ასე გამოიუყრებოდა:

— არის პიტლერის დირექტივა, რათა შედგეს მთელ დედამიწაზე საზღვრო ოპერაციების გეგმა. სასწრაფოდ მომზადდეს აზიაში საომარი მოქმედების დოკუმენტები, მომავალი პრაქტიკისათვის ავღანისტანში, ირანში, ერაყში, სირიაში, ინდოეთში, ბირმაში, ტიბეტში, ნეპალში, ცეილონში, სამხრეთ ჩინეთში...

და ვინ იცის კიდევ საითყენ არ იქანებოდა „მეოცნებე“ პიტლერი!

გენერალური შტაბში შედგა კიდევ ეს დოკუმენტები და დაიწყო მათი განხორციელება: ელ-ალაჰინიდან და ეგვიპტიდან ფელდმარშალ ერეინ რომელის ცნობილი საექსპედიციო კორპუსი მიიწვედა მდინარე განგის ნაპირებისაკენ, ხოლო როსტოვიდან კავკასიისაკენ რამდენიმე არმია უნდა გაქრილიყო. ერთ-ერთი მათგანი, სახელდობრ მე-17 არმია, როზენბერგით „შეურბოდა“ გენერალ-პოლკოვნიკ ბრუოვის მეთაურობით იბრძოდა კიდევ ნოეორბოსისკის მიდამოებში, რათა შავი ზღვის სანაპიროების გავლით შემოსულიყო საქართველოში, ხოლო აქედან „კავკასიის დამპყრობ“ სხვა არმიებთან ერთად დადგომოდა „გზასა ინდოეთისასა“...

„ფილოსოფოსმა“ როზენბერგმა ამ გზას ჟერ კიდევ 30-იანი წლებს დასაწივნი მიაპყრო თვალა. მან „დააღვინა“ რომ უძველეს დროში ინდოეთს მართავდნენ ჩრდილოეთის რასის ქერათმიანი არიელები. ინდოეთი, მისი აზრით, მაშინ იყო დავით სახელმწიფო, შემდეგ კი დაყინდა და ამგვამდ დაბლა რასის წარმომადგენლები, „გადაგვარებულ დევნერატებთან“ დასახლებული, ამიტომაც შექმნა გერმანელების მიერ ინდოეთის „ხელახალი არიული აღორძინების“ მიოთი...

... როგორც ამბობენ, ყოველგვარ მითს რამე რეალური საფუძველი აქვს. ეს არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული. ამ მხრივ პიტლერსაც ჰყავს თავისი პროტოტიპები. ისტორიას ახსოვს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ეგვიპტიდან ინდოეთისაკენ. შემდეგ, ნაპოლონ ბონაპარტმაკ სცადა ეს. ჩვენს დროში პიტლერი აგრძელებდა იმავე ზახს, როზენბერგიც ამის მიხედვით ქმნიდა თავის მითს, რაც პიტლერ-

რის ბრძანებით იოდღმა ოპერატიულ გეგმად აქცია და ტერორულა ლეგიონები დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ, რათა სინამდვილედ ეციოთ ალექსანდრე მავკლონელის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ოცნება. მათი აზრით, ნაპოლეონისა და ჰიტლერის მისია ერთნაირად იყო ბედისწერის მიერ განსაზღვრული.

ერთ ასეთ ეპიზოდსაც ყვებიან: როსტოვის დონზე გადებულ უზარმაზარ ფოლადისთალოვან ხიდის ნანგრევთან, 1942 წლის 24 ივლისს, შეჩერდა ავტომანქანა, რომელშიც ორი გენერალი იჯდა მე-17 არმიის, ჩვენს მიერ ზემოხსენებული სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი რუფი და იპონიის ელჩი ბერლინში გენერალი ოშიმა. ისინი გადმოვიდნენ მანქანიდან, აძვრნენ აფეთქებული ხიდის მალად თაღზე და მჭერა სამხრეთის ვრცელ ტერიტორიას მიაპყრეს. როსტოვის აღებთ აღტაცებულმა რუფიმა ხელი წინ გაიშვირა და ამაყად თქვა:

— კავკასიის ქარები გახსნილია. ახლოვდება საათი, როცა გერმანული ქარები და თქვენი იმპერატორის ლეგიონები ერთმანეთს შეხვდებიან ინდოეთში...

...ქარვად მოგვხსენებთ, რომ ყოველივე ეს ისევე იმ „ნაოცნებარ ოცნებად“ დარჩათ გერმანულ ნაიცისტებს. ამა, რა იქნებოდა! ზღვა ბაღით ვის დაუპირია! ვერც ჰიტლერი შესძლებდა ამას და იმანც თავისი ღმერთის ვოტანის ბედი გაიზიარა, იმ განსხვავებით, რომ სპევდლიის შემდეგ მას ეაალოლი აუგეს კი არა, საფლავიც არავინ გაუჭრა სადმე...

ყოველივე ეს იმ „სულეტი სუბტანციის“ შედეგი იყო, რამაც ტივნი ვადაუბრუნა გერმანელ ხალხს და მისი უმრავლესობა საფლავამდე აღფრთოვანებული ყვირით მიჰყვა თავის ავანტიურისტ ფიურერს.

ცხვი სიტოზ...

ამგვარ „სუბტანციის“ არა მარტო ფილოსოფია ქმნიდა, არამედ ნაიცისტური ლიტერატურა და ხელოვნებაც. თუმცა ეს „ორი იპოსტასიც“ ისევე შეუთავსებელია ერთმანეთთან, როგორც ცეცხლი და წყალი. ისედაც მიკვირდა რას უნდა ნიშნავდეს: „ნაიცისტური ლიტერატურა“, „ნაიცისტური ხელოვნება“, „ნაიცისტური კულტურა“ ან „ნაიცისტური ესთეტიკა“? არის ორი ისეთი ცნება, რომელთა შეერთება მკრეხელობაა. ეს ისეა როგორც „ზის რკინა“, „ცივი სიტოზ“, „ყეთილი ბორბტება“ ან სხვა რამ ასეთი. ვანა შეიძლება ითქვას „ნაიცისტური ესთეტიკა“? ან ვავნერის მიერ ნასროლი ფრაზა — „ბორბტების ესთეტიკა“ გამოდგება ამის დასტურად? არა მგონი მე კი

არა. თვით ნაიცისმის ხელმძღვანელსაც ეხამუშებოდით ეთქვათ „ნაიცონალ-სოციალისტური ესთეტიკა“ და... სერთოდ... ვერც კვლავი „ესთეტიკის“ წინააღმდეგერი იყვნენ. ამბობდნენ კიდეც. ორი სიტყვის, „ნაიცონალ-სოციალისმისა“ და „ესთეტიკის“ შეერთება უხრბულობას იწვევსო. რატომო, რომ გეკთხათ, არც ამის განმარტებაზე იტყოდნენ უარს.

— ზვენი აზრით, — წერდა ერთი მათგანი, — „ესთეტიკური“ რალიც დაშასუსტებულა. აე-აღმყოფურს ნიშნავს, რაც მკაცრად უპირისპირდება „მებრძოლურს“, „მამაკაცურს“. „მტიკის“ „ესთეტიკური“ ამავე დროს განშაირალბელია და არ შეიძლება ზვენი მიზანი იყოს, მიზანი ზვენთვის გარკვეულია. იგი ესთეტიკური წარმოდგენა ან ფილოსოფიური თეზა კი არ არის, არამედ ლეგეონების გასვლა საბრძოლველად, მალა აწვეული თავებითა და სიმღერებით... ეს არის თურმე უმაღლესი მიზანი, ესთეტიკა კი „კულტურის დასწეულუბა“ (Kulturkrankheit), არც ესთეტიკური აღზრდა ყოფილა საკვირო იმისათვის, რომ „მთელი თაბა იქნეს მომზადებული მსხვერპლშეაწირად“.

ამიტომაც ებრძოდნენ ან უაბულვებუყოფდნენ ისინი ყოველგვარ ესთეტიკურს, როგორც „მათოლოგიურ მოვლენას“. არც ესთეტიკის საკითხების კვლევისათვის იწუხებდნენ თავს. ჰიტლერის, როზენბერგის, გუნდთერის და დარეს გამონათქვამები „სრულთადად საკმარისად“ იყო მიჩნეული. ძლიერი, მშვენიერი, ყანსალი სხუელის კულტი — აი მთელი ესთეტიკა და კიდეც. ჰეროიკული საქმიანობა, ფოლადის მუზარადის რომანტიკა, ჯარისკაცული შემართება, სისხლისა და მიწის კულტი. კი მაგრამ, ლენინისა და ვინდლუნბანის, ჰეგელისა და კანტის ესთეტიკა? ან თუნდაც გოეთესი და შილერისა? ეს თურმე არაფერი! „ამის შესახებ არსებობს ოფიციალური ვერსიაო“ — ამბობდნენ ისინი. ვარდა ამისა თურმე პიილერსა და ჰაიდრახს საკუთარი შეხედულება ჰქონდათ გოეთეზე!

„საკლავი“ გოეთე! აკი როზენბერგიც არ წყალობდა მას. მისი აზრით გოეთე“ ყოველთვის არ არის საკვირო“, იგი ვერ მოახდენს ახალ მოძრაობაზე გაღვენას, რადგან „სხუელს ძალილობა“, რითაც იქმნება „ახალი ადამიანების ტიპი“. გოეთე არც პოეზიაში და არც ცხოვრებაში არ ცნობდა ერთი აზრის დოქტატურას, ურომლისოდაც მასა ვერასოდეს ვერ იქცევა ზოხზად და ვერც ნამდვილ სახელმწიფოს შექმნის. ამიტომ, — წერს როზენბერგი, — უახლეს ათეულ წლებში გოეთე შორს იქნება ზვენგან: შერე კი როცა ბრძოლება დაშთავრდება, იგი შეიძლება ისევე დაგვიბრუნდესო. მაგრამ ეს არ მომხდარა. ან როგორ შეიძლებაოდა მომხდარიყო, როცა პატონმა ჰიტლერმა ბრძანა, მე არ მიყვარს გოეთეო...

საბოლოოდ არც შილერის ერთი მათი „წყალობა“. ჯერ იყო და ქვეყანა გადააყრევს შილერი ზვენი სულიერი წინაპარი: ვინმე პანს ფაბრიკატსმა წიგნიც გამოსცა „ვილერი, როგორც პიტლერის მებრძოლი ამხანაგი (Kampfgenosse). დიდი ხმაურით დადგეს მისი „დონ-კარლოსი“, მაგრამ... სცენიდან რომ გაოსმა:

— მოგვეციო აზრის თავისუფლებას..

— ტიტიანების ძალაუფლებასაც აქვს საზღვარი..

დარბაზში ტაშისცემა ატყდა...

რამდენიმე დღის შემდეგ სპექტაკლი მოხსნეს და საერთოდ აყრდალეს შილერის ნაწარმოებების დადგმა...

... ასეთ ვითარებაში შეიძლება მართლაც უხერხული იყოს ნაციონალური ესთეტიკაზე ან ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ლაპარაკი? ითქვა კლდეც, იქნებ ისა სჯობდეს, ყოველივე ამას ხაზი გადაუსვათ და დაიწყებდეს მიუკეთო.

არა მგონია! რაკი ამბობენ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების სარკეაო. უნდა, ზვენი ჩავიხედოთ იმ სარკეში, რომ უფრო ნათლად დაინახოთ ნაციონალ-სოციალიზმის მახინჯი სახე...

პირველი ტალღა...

ეს სამხინჯე ჯერ კიდევ პიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებადვე გამოჩნდა. მას ისეთივე 24 წლის ისტორია აქვს, როგორც ნაციონალური პარტიას და... ეშმაკთან ხელშეკრულებას, იმ დროიდანვე დაარსდა „გერმანული კულტურისათვის მებრძოლთა კავშირი“ აღფრედ როზენბერგის მეთაურობით (Kampfbund für deutsche Kultur) „ნაციონალ-სოციალიზტიკი“ ოფიციალურად არ წერდნენ მაშინ, რომ კულტურის მოღვაწეთა უფრო ფართო წრე ჩაებათ თავიანთ ორგანიზაციაში. ამ „კავშირის“ ფილალები მთელ გერმანიას მოედო. შეიქმნა ე. წ. „საოლქო (gau) ორგანიზაციები“, რომელთაც „გამოჩენილი“ პიტლერელები ხელმძღვანელობდნენ: როზენბერგი, მიმლერი, ვრეგორ შტრაასერი, დიტრიხი, ფრიკი, ლოზე, პირლი, რუსტი და სხვები. ორგანიზაციაში იღებდნენ კულტურის სფეროში ასე თუ ისე სახელმძღვანელო პირებს, ადგენდნენ მათ შესახებ სპეციალურ ბარათებს, რა-

საც სიდიდულად ინახავდნენ, რათა ერთზე აღრე არ გაეშლავნებინათ იმათი ვინაობა, ვასაც ეს, ჯერ კიდევ, საოთხობოდ შიკანდი. საშვიერთოდ იყვნენ ამ ორგანიზაციის აქტიური პროპაგანდისტები და ფუნქციონერები. მათი წრიდან, ნაციონალური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, დაინიშნენ კავშირის „გაუფრედრები“. ისინი აქვეყნებდნენ მანიფესტებს, მოწოდებებს; ბეჭდებდნენ ე. წ. „მფრინავ ფურცლებს“, მოითხოვდნენ კულტურის მოღვაწეთა ერთიანობას, „ჰაერისა და სივრცის“ (Luft und Raum) მოსაპოვებლად...

ასე შედგა კულტურის დარგის მოღვაწეებისა და უნივერსიტეტების პროფესორების საკმაოდ დიდი სია. სწავლულები აქვეყნებდნენ ბროშურებს, სადაც უაღრესად მუქ ფერებში ხატავდნენ „გერმანული კულტურის დაცემის“ სურათებს და ეძებდნენ „აღორძინების გზებს“. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა როზენბერგის სტატია: „კულტურის დაცემა და სულიერი აღორძინება“.

გარდა ბეჭდვითი სიტყვისა დიდი ადგილი ეთმობოდა ზეპირ პროპაგანდას. გამოდიოდნენ „ყავისფერი ორატორები“ და მუშტის ქნევით მოითხოვდნენ „რასობრივად წმიდა სტილს“. ებრძოდნენ „ებრაულ შხამს“ ლიტერატურისა და ხელოვნებაში, „უცხოურ ზეგავლენას“, ლიბერალებს, ე. წ. „სიახლის მამიებლებს“, მოდერნიზმებს და, რა თქმა უნდა, „ბოლშევიკურ იდეოლოგიას“.

კატეგორიულად უარსკვეს:

1. რომანები ნეგატიური, ავადმყოფური, სუსტი ხასიათის გმირებით.
2. პოეზია, როგორც ენობრივი ხელოვნება და ფორმის ექსპერიმენტული ძიება.
3. ფსიქოლოგიური ანალიზი; საზოგადოებისა და გმირების ირონიულ-კრიტიკული დახასიათება.
4. პოლიტიკური სატირა.
5. ისტორიული წინამძღვრების თვითნებური გავება.
6. პრობლემის გადაწყვეტის თავისუფალი არჩევანი.
7. ომის საწინააღმდეგო განწყობილების ჩანერგვა.
8. ქრისტიანობის ზეგავლენა.

მერე არქიტექტურასაც გადაწვდნენ. შეუტრეს დესავერისა და კორბუზიეს სტილს, ვითომ „ბოლშევიკური“ო. ისე კი, კაცობილი ვერ გაიგებდა რატომ უნდა ყოფილიყო კორბუზიეს არქიტექტურა „ბოლშევიკური“? ან

თუნდაც ვინმე რიტორიკის ატონალური მუსიკა, რომელსაც თავის კონცერტში ვიოლინოსა და ჩელოსათვის გამოუყენებია საეკლესიო მორტივები «Messa bravis», «Kirie eleison» და «Agnus Dei» თუმცა, ეს რა ვასაყვირობა, თუ პიტლერმა თქვა წმიდა პავლე ბოლშევიკი იყო, რატომ სხვებს არ შეეძლოთ იგივე ეთქვათ კობრუხისა და რიტორიკის შესახებ. ამავე «ლოგაიით» პიტლერელმა «კულტურტრეგერებმა» მოდერნიზმი «ბოლშევიზმის საშიშ ინფექციად გამოაცხადეს, ხოლო რილკე, პოფმანსტალი, ლიბერმანი და სხვები «ინტერნაციონალისტებად». მერე ექსპრესიონიზმსაც შეუთიეს. ტერმინოლოგია აქაც «მაგარი» ჰქონდათ: იმავე კობრუხის ისინი უწოდებდნენ «არქიტექტურის ლენინს», «მოსკოვის აგენტს». მერე ყველამ ერთ ხმაზე დაიწყო გაცოფებული პროპაგანდა კულტურის დარღვი-
 «მსოფლიო ბოლშევიკური საფრთხის» წინააღმდეგ. მათ «მოდერნებში» თანდათან მოიკიდა ფეხი რასიზმმა, ანტისემიტობამ, წერდნენ რაღაც «კულტურისმერიკალიზმისა» და «პანსლავისტური კულტურის» შესახებ. განსაყუთრებით აქტიურობდნენ პაულ დე ლეგარდი, სტიუარტ ჩემპერლენი, ლუდვიგ ვოლტმანი, ოთმარ შმანი და სხვები. რაც დრო გადიოდა, ბრძოლა უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. მათი ლოზუნგებიც ჭარბსაკუთრად კატეგორიული ტონისა იყო:

— ცეცხლი ფუტურისტებს, კუბისტებს, ახალ მუსიკას!..

— ცეცხლი თეატრების მიერ მოდერნიზმულ სექტაკლებს!..

— ძირს ვერმანული კულტურის მტრები: თომას შანი, ერიხ კესტნერი, კერტ ტუხოლსკი, ბერტოლდ ბრეხტი, იაკობ ვასერმანი, ლიონ ფოიხტვანგერი, არნოლდ ცვაიგი, ერნსტ ტოლერი, ლეონარდ ფრანკი!..

— განვლევნათ მხატვრობიდან კუნე, კანდინსკი, ვროსი!..

— ცეცხლში შევკაროთ კოკოშკას, კოლტვიცის შავალის ნათხაპნები!

ნაცისტები თავიანთი ტალახიანი ჩექმებით შეიპრნენ ლიტერატურისა და ხელოვნების წმიდა ტაძრებში, დაარბიეს მუზეუმები და სამხატვრო გალერეები. ეს იყო ბარბაროსობის პირველი ტალღა კულტურის სფეროში. ხელი-სუფლება ვერ უშვალდებოდა მათ შემოტევას, ისევე როგორც ვაიმარის რესპუბლიკა ვერ უძლებდა ნაცისტების მოძალეს...

...1930 წელს პირველი ნაცისტი მინისტრი ფრიკის კურთხევით ვოფთესა და შილერის წიმი-
 და ქალაქში—ვაიმარში, ვაიმართა მათი კავშირის

დამფუძნებელი კონფერენცია. კულტურის დარ-
 ვის მოიერიშეთა ამ კავშირში უკვე ურას ვთხისამ-
 დე წერი იყო. განა ყველა «მოდერნიზმი» უკონდა
 პროფესიული ურთიერთობა კულტურისათვის,
 მაგრამ ამას ყურადღებას არაყენ აქცევდა. ის-
 ინი გაატყებულნი იყვნენ თავიანთი მოძრა-
 ობის გრანდიოზულობით და სხვა რამ არც
 აინტერესებდათ.

ვაიმარის კონფერენცია წარმომადგენლო-
 ბით იყო. აირჩიეს დედაგატები ოლქებიდან.
 კონფერენციის გახსნას დაესწრნენ გერმანი-
 გებლსი, შირახი, დარე, ზაუცილი. თავმჯდო-
 მარობდა მანს ციკლური. იგი მიესალმა «სა-
 პათიო სტუმრებს». ვაიმარ დაფდებების ხმა.
 კულტურის ეს «პატივცემული» მოღვაწენი
 ისევე ღრიალებდნენ «ზოგ პაილა» და «პაი-
 ლიტლერს», როგორც რემის მოიერიშების
 ლუდხანებში. ორატორები ფიზიკური მოსპო-
 ბით ემუქრებოდნენ თავიანთ «მტრებს». რი-
 მელთა სის ზემოაღნიშნულ «არადაამიანებს»
 გარდა დაუბატეს: ერეინ პისკატორი, მაქს
 რაინჰარტი, ერიხ შირა რემარკი, შონბერგი,
 ვეზერ და სხვები.

შინაგან საქმეთა ნაცისტმა მინისტრმა ამ
 ბრძოლაში საიდუმლო პოლიცია ჩააბა. ხე-
 ლოვნების მუშეთა ვინაობასაც პოლიციის მო-
 ხელნი ამოწმებდნენ. მთავარი იყო რასობრი-
 ვი სიწმინდის დადგენა. არაარჩილებს ბოიკოს
 უწყებდნენ და აუტანელ მდგომარეობას უქმნი-
 დნენ. სამაგიეროდ დიდი ავტორიტეტით სარ-
 გებლობდა ლიტერატურის ისტორიკოსი
 ადოლფ ბარტელსი, რომელმაც «მეცნიერულად
 დაასაბუთა» რომ გერმანული ხალხის «ყოველ-
 გვარი უბედურების მიზეზია ებრაელობა». მიუ-
 ნა კულტურა მან, უწინაურს ყველისა, ორ
 ჭვეფელ გასყო: ებრაული და არაებრაული. ამ
 «დაშახტურებისათვის» ბარტელსმა თვით ფი-
 რების მადლობა დაიმსახურა. 1925 წელს მას
 სტუმრად ეწვია პიტლერი, ხოლო ჩემპერლენ-
 მა თავისი წიგნი უძღვნა გულისამაყუნებელი
 წარჩერაობ.

ნაცისტურ წრეებში დიდი მოწონება ხვდა
 წილად გიუნთერის წიგნს «რასა და სტილი».
 ნაცისტი «მეცნიერები» ისე გათამაშდნენ, რომ
 ერთ-ერთ უნივერსიტეტში «სოციალური ან-
 ტროპოლოგიის» კათედრა დაარსეს რასობრი-
 ვი იდეების საქადაგებლად. კულტურის ნამდ-
 ვილ მოღვაწეთა კატეგორიული პროტესტის შე-
 დგად ეს კათედრა დახურეს 1930 წელს. სამა-
 გიეროდ ნაცისტმა «კულტურტრეგერებმა»
 მტოყველ მოიყიდეს ფეხი ტიურნინგაში, სადაც
 შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად
 სწორედ ის ნაცისტი ფრიკი (ერთ-ერთი მთავ-
 რი სამხედრო დამნაშავე ნაურნბერგის პროცეს-
 ზე) მუშაობდა. აქ ისინი სრულიად თავისუფლად
 დათარგმობდნენ: მათთვის მიუღებელ ფრეს-
 კებს კირთი თხზნიდნენ, გამოგონებდნენ

ყრიდენ დიქსის, კანდინსკის, მარკის, კოკოშკის, კლევსა და სხვათა სურათებს. ფრიცის ბრძანებით „გაქმინდეს“ ვაიმარის პიბლთათეკები და მუზეუმები. პროტესტი აქაც ბევრმა განაცხადა, მაგრამ უშედეგოდ. შერისხული მხატვრები იხვეწებოდნენ, სურათებს ნუ ანადგურებთ. თუ თქვენ არ ვინღათ—დავებრუნეთო, მაგრამ ვინ უსმენდა.

მაშინ რა იცოდნენ, რომ ფრიცის ტიურინგის ამბები მხოლოდ ბავუერი თამაში იყო იმასთან შედარებით, რასაც პიტლერელები ძალუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აპირებდნენ...

წიგნი და მახვილი...

გოეთეს უთქვამს, რევოლუციამდე უშედეგო მისწრაფება, შემდეგ კი მოთხოვნა. 1933 წელს, როცა ეს საბედისწერო დღე დადგა და ე.წ. „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია“ მოხდა, კულტურის დარგის მოღვაწე ნაციისტები მაშინვე კატეგორიულ მოთხოვნებზე გადავიდნენ. მათი შეგონებით ხელისუფლებამ იმავე წელს გამოსცა კანონი „გერმანული სისხლისა და ღირსების შესახებ“. სადმე კულტურის მოღვაწეთა უპირველეს ამოცანად რასობრივი სიწმინდის დაცვა და ე.წ. „სისხლის მანიფესტაცია“ გამოცხადდა.

— მთავარი ის კი არ არის ვინმე კარგი ხელოვანია თუ ცუდი, არამედ გერმანული ხელოვანია თუ არა, — აცხადებდნენ ისინი. ვაინა უცნაური კომპოზიტი **Blutsram** (სისხლის რომანი). მწერლებს უნდა შეექმნათ სისხლის სიწმინდის კულტი, ედიდებინათ მეომრის სახე, ფიურერის ღმერთთაყობა, მოეცათ პოლიტიკური და სამხედრო გმირების სახეები. მათი მოქმედების დევიზი იყო „წიგნი და მახვილი“. ეს დევიზი მუსოლინის არსენალიდანაა ნასესხები. როცა მან ძალუფლება ჩაიგდო და პალატი ვენეციის აივნებიდან სიტყვით მიმართა მიტინგს, ერთ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში — თითი.

გერმანულ „სისხლის მანიფესტაციას“ გატარებული იყო აზრი, რომ წიგნი იარაღია, რომელიც მებრძოლს უჭირავს ხელში; ნამდვილი მებრძოლი კი ნაციონალ-სოციალისტური სტრისკეეებით უნდა იყოს გამსჭვალული. ამიტომ წიგნებიც მათთან ერთად ჯარისკაცებივით უნდა მიდიოდნენ ფრონტებზე. ასე განჩნდა „ლიტერატურული ჯარისკაცების“ ცნება. ჯარისკაცებს კი, რა თქმა უნდა, მხედარმთავრებიც ჰყავდნენ. მათ „ფიურერის მედაფდაფეებსა და ჰეროიდებს“ უწოდებდნენ, ხოლო რაგითებს — რაინდებსა და ახეროსნებს. ყველას ერთად კი — გერმანიის სულიერ არისტოკრატიას, რომელიც გერმანელებს „ფიურერის“ ხალხისა და სამშობლოსათვის წმინდა სიკვდილისათვის უნდა მოემზადებინა (zum heiligen Steig. „მნათობი“, № 4.

rben für Führer, Volk und Vaterland).

ადრე თორმე ასე იყო: ერთ მხარეს იდგნენ პოლიტიკოსები და ჯარისკაცები, მეორეში — პოეტები და მოაზროვნენი, უკლებლად წყვენიერები ცნებები ვაგრობდნენ „იდეალური გერმანელის“ სახეში. ე.წ. „ამაჟი შუბლი ფოლადის მუზარადის ქვეშ, მაღალი მეგრდი ჯაშაშაი და თუ ომი დაიწყო გერმანული სულის რკინით შეჯავშნა“.

კარს მწერლები იოსტი, დეინგერი, ჰაუსტი, შაფერი, ზანდერი და სხვები მაშინვე აყენენ ამ ხმაურს, „ჩვენი ლექსების კრებულები გაგრძელებაა ჩვენივე ჯარისკაცული მოწოდებისა“, — აცხადებდნენ ისინი. ჩვენ გვინდა სიზმარი, ჩვენ ვინცა თრობა, თავდავიწყება, ჩვენ ვუბნობთ დიონისოს და ითაკას — წერდა ნაცისტი პოეტი რონე, რომელმაც ისე წაბილწა პარნასი რომ თვით ბავუთა მსიური ელექტის „პოეტური“ გამართლება სცადა:

— ბავუების ზოცვა და ყოველგვარი სიკვდი (Verrecken) ისევე ეკუთვნის ჩვენს არსებობას, როგორც ზამთარი წელიწადის ოთხ დროს...

ლიტერატურათმცოდნენი აქებდნენ და აღიებდნენ ამგვარ ჯარისკაცულ პოეტებს“ ძველებიდან — აიხენდორფს, უფრო გვიანდლებიდან — ლილიენტრომს, თანამედროვეებიდან კი — მანს იოსტსა და ნაცისტური პოეტების მთელ პლეადას.

— თუ გერმანელი ხარ და გერმანულ ენაზე წერ, უნდა გერმანულად იაზროვნო, — ნათქვამია მათ მანიფესტში. აზროვნება იგივე პოლიტიკაა. ჩვენ პოეტებისა და მოაზროვნეების ქვეყანა ვართ. ამიტომ პოეზია და აზროვნება „ტოტალური პოლიტიკის“ ნაწილი უნდა იქცეს. ამაში პოეტის „ფუნაქტიური მისია“ მან უნდა აღფლოს ვერმანელი ხალხის მარადისობა, ათასწლოვანი იმპერია, ტრაგიკულ-ჰეროიული თანამედროვეობა და სიმბოლურ-ზედროული სინამდვილე ...

პიტლერი ამტკიცება:

— ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია იმითაა დღადი, რომ ვერმანელი ხალხი დაუბრუნა თავის პირველ საფუძველს და თანამედროვეობაში გააცოცხლა ყველა მისი აღჩინდელი მიღწევა...

მისი სულიერი ჰეროიდებიც აცხადებდნენ, რომ ლიტერატურამ პატივი უნდა სცეს ტრადიციის: ვიეტნებრეს, პოცდამს, ვაიმარს, ლანგემარს, ლუთერიანულ მითოსს, პრუსიულ მოტივებს, რომანტიკას, „გერმანულ ირაკონალიზმს“, „მოუსვენარ ფაუსტურ ტიპს“. ამისათვის საჭიროა „ბიოლოგიურად აუცილებელი ოპტიმიზმი“, საღვთისმშობელი განწყობილება; ცხოვრების პეროიული აღქმა, „მარადიული იმპერია“ წარმოდგენა, „გმირული სიკვდილისა“, და „თავაწირვის“ გრძობა,



ქარისკაცების, მუხღელაურებისა და ქვერცემის ბელ-იბლბლი, მთავარზე უმთავრესი კი ისევე ის „ფურერების მითოსი“ (Führermythos)...

ასეთი „კონტროლის“ შედეგი შენეული/ტი-რორი იყო.

დარბაზული პარანსი...

ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დამყარებისთანავე დაიწყო მწერლობის დარბაზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ბრუნო ანიკი, კარლ ოსტეკი, ვილი ბრედელი და ლუი ფიურერნბერგი მაშინვე დაპატიმრეს. ერის მიუხედავად და ფრანც ბრუნე გესტაპოში მოკლეს. ოსტეკი ისე მიახივედილეს ციხეში, რომ ჭკარა გარდაიკვალა. მიუხედავად საკონცენტრაციო ბანაკში ამოხადეს სულ.

ბევრი მწერალი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. ბერლინსა და პრაღაში ისინი ერთხანს კიდევ ატარებდნენ ვახუთისა და წიგნების გამოცემას, მაგრამ შემდეგ მათ კვლასაც შეაჩვენეს და დააპატიმრეს.

სხვების მიმართ „უფრო თავშეკეცებულ“ ზომები იქნება მიღებული.

პრუსიის აკადემიის პოეზიის სექციიდან („გერმანული პარანსიდან“) „გააძევეს“; ჰენრიხ მანი, კეთილკოლონი, ალფრედ დობლინი, ლეონარდ ფრანკო, ლუდვიგ ფულდა, გეორგ კაიზერი, ბერნარდ კელერმანი, თომას მანი, ალფრედ მომბერტი, რენე შიკელე. ფრანც ფონ უნრუ, იაკობ ვასერმანი, ფრანც ვერფელი და სხვ. რამდენიმე ხნის შემდეგ თითქმის ყველა მათგანი ემიგრაციაში წავიდა. ასევე მოქცეულა სახელგანთქმული მეცნიერები: ანშტაინი, ფრანკლინ, ბერტი, და სხვ. როგორც ამბობენ, სულ ათასზე მეტმა გამოჩენილმა პრაუსიორმა დატოვა გერმანია. მათ მიუყვანს: რეისორები, მუსიკოსები, მხატვრები, დიპლომატები, ალბერტ ვასერმანი, ელისაბედ ბერგერი, ბერტოლდ ბრეტერი, ოსკარ კოკოშკა, ერნსტ ბუმი, ჰანს აისლერი ჰინდემიტი. მაქს რაინჰარტი, ერვინი პისკატორი და სხვ. ნაჟის ანტიფაშისტური მწერლებისა (ბეხერი, ბრედელი, კურელი, შარბერი, ვაინერტი, ვოლფი და სხვ.) მოსკოვში ჩამოვიდნენ. სხვებმა ვერ პარანსა და პრაღას მიაშურეს. ბერე აშერკას (ბრეტერი, მებერი მანები, ფოიხტვანგერი, ფრანკი, ვრაფი, მარხვიცი, ვაისკოფი); ზოგმა შექსკაში ამოკოთ თავი (აბუში, რენი, ზეგერსი, უზე და სხვ.).

გებელსი შემოთავაზებული იყო, რომ გერმანია დაცალა მხატვრული ინტელიგენციიდან. მისი შეგონებით „ხელშეკით“ მოღვაწეი წერილებს წერდნენ „გაქცეულთ“, დარბინდილო. მაგრამ ერთი-ორი რენეგატის გარდა, უკან არავის მოუხუდავს. პირადად გებელსი დავინებით თხოვდა შტ. გეორგეს დარბინებულყო გერმანიაში, სადაც მას აქებდნენ და აღივლებდნენ, როგორც „უყოველ საუკუნის პოლტერ-ლინს“ და „მესამე იმპერიის პროფეტს“, რომ

... ნაციონტების მოთხოვნით მწერლებსაც ყავისფერი უნიფორმა უნდა ჩაეკეთა და საბრძოლო კოლონებში ჩამდგარიყვნენ. ამგვარი გაერთიანების ორგანიზაციული ფორმა იყო „იმპერიის მწერალთა პალატა“ (Reichsschriftstellerkammer) რომელიც ვერ სამ ათას წევრს აერთიანებდა, შემდეგ, 1936 წელს — 11 ათასს, 1941 წელს კი — 35 ათასს. მათ შორის ხუთი ათასი (!) მწერალი იყო, ხუთი ათასი გამოცემლობის მუშაკი, შვიდი ათასი წიგნის გამომცემელი და სხვა და სხვა. ეს ორგანიზაცია (RSK) შედიოდა იმპერიის კულტურის პალატაში (Reichskulturkammer) რომლის პრეზიდენტად დაინიშნა გებელსი, ვიცეპრეზიდენტად ვალტერ ფუნკი. პარტიულ კონტროლს კულტურის დარბაზში აწარმოებდნენ ალფრედ რიხენბერგი, რომელსაც გაუთავებელი დავა ჰქონდა გებელსთან.

პალატის წევრებს აიძულებდნენ ხელი მოეწერათ პიტლერისადმი ერთგულების დეკლარაციაზე. მათი ნაწარმოებები მკაცრ ცენზურას გადიოდა. იმათი ნაწარმოები კი, ვინც ამ პალატის წევრი არ იყო, პოლიციას უნდა გაეცინია. ოდესღაც არაპოლიციის ამბობდა, პოლიცია არაფერია თუ არა დიპლომატია ქონებში. ცრუნაპოლიციისმა პიტლერმა პოლიციის დიპლომატიის გარდა ხელისუფლებისა და ლიტერატურის „ქონებები“ ნაიკვა. საერთოდ პოლიციის დიდი უფლებები ჰქონდა ამ დარბაზში მინიჭებული. ასეთი საოცარი ცნებაც განდა „ლიტერატურული პოლიციელები“ (Literaturpolizisten) ლიტერატურის რასობრივ-იდეოლოგიურ წმენდის დროსაც მნიშვნელოვანი როლი პოლიციას ეკისრებოდა. საქმეში ზოგჯერ პიტლერიც ერეოდა. ეს კი, მოგვხსენებთ, რასაც ნიშნავდა.

ყველა მწერალს უნდა გაეკეთა „რასობრივი შემოწმება“, დაედგინათ, ხომ არ იყო მათ ახლათ თუ შორეულ წინაპრებში ვინმე ებრაელი. ამისთვის უზუსტესი ნუსხა ჰქონდათ შედგენილი: ებრაელი, ნახევრად ებრაელი, მეთოხედად ებრაელი, მერვედად ებრაელი და ასე შემდეგ. მერე რასობრივი შემოწმება დიდი ხნით ადრე გარდაცვლილ მწერლებსაც შეეხო. დევნიდნენ არა მარტო „წარმოშობით ებრაელებს“. არამედ სულიერად გაბრალბულუბსაც“ (Verjudete), რომელსაც პიტლერმა სპეციალური კომისიაც კი შექმნა რახსმინისტრ ბუელეს თავმჯდომარეობით. ბრძანებაში ეწერა:

— ნაციონალ-სოციალისტური პარტია ზრუნავს იდეურ სიწმინდებზე, ამიტომ ვინმეა შემოწმებულ კომისიას (Prüfungskommission), რომელიც კონტროლს გაუწევს ყველაფერს.

არაფერი გამოვიდა, ემიგრაციაში წასულ მწერლებს ლანძღვა-გინება დაუწყეს. თომას მანზე თუ წერდნენ „გერმანული მწერალია“, ამ სიტყვებს ბრჭყალებში სვამდნენ. ამტკიცებდნენ, რომ იგი „ემოციონალიზმის რომანტიკა“. მართალია თვითონ ებრაელი არ არის, მაგრამ მისი შეილება ნახევრად ებრაელებიაო. მანმა გერმანული ენაც არ იცის კარგად. რომელიღაც დაქირავებულმა რეცენზენტმა მის ერთ-ერთ რომანში 51 გრამატიკული შეცდომა „აღმოაჩინა“ და განაცხადა, კარგია, რომ აქაურობას მოშორდაო.

ასეთივე ბედი ეწია თომას მანის ძმის ჰენრიმაც. იგი პრუსიის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი იყო. ნაციონალური ტერორის დაწყებისთანავე მან კეტე კოლტეიტან ერთად ხელი მოაწერა საპროტესტო წერილს. ამის გამო განთავსების მინისტრი რუსტი დაემუქრა, სულ დაეხურათ თქვენს აკადემიასო. აკადემია, ცხადია, არ დაუხურათ, მაგრამ ჰენრიმ მანს წინადადება მისცეს გადამდგარიყო; თუმცა ამ წინადადებას რა აზრი ჰქონდა, როცა ჰენრიმ მანი თვითონაც მოითხოვდა გადადგომას. ასეთ შემთხვევაში, მიღებულ ფორმალურ დისკუსიას, აკადემიის საერთო კრება მოიწვიეს. აღფრედ დობლინმა პროტესტი განაცხადა: თვითონ ბატონი მანი გამოვიდეს სხდომაზეო...

საქმე იმით დამთავრდა, რომ მანმა დასტოვა აკადემიაც და გერმანია. აღფრედ დობლინიც მის კვალს მოჰყვა...

...დიდი მოქალაქეობრივი სიმტკიცე გამოიჩინა 70 წლის მოხუცმა მწერალმა ჯალმა რიკარდო ხუმა, რომელიც ერთ დროს წერდა, „სიცოცხლე ზანმოყლე სიზმარიო.“ იმ კომარტულ წლებში იგი დარწმუნდა, რომ სიცოცხლე ზანმოყლე სიზმარი კი არა, ზანგრძობივი სინამდვილეა და რამდენიმე წერილი მიწერა აკადემიის პრეზიდენტს, სადაც პროტესტს გამოსთქვამდა მთავრობის „ბრუტალური პოლიტიკის“ წინააღმდეგ. ერთ-ერთ წერილში იგი აცხადებდა:

— ამ მთავრობას არაფერი სცხია გერმანულობა: ებრაელების დევნაც უცხოა ჩემთვის. თქვენ მპირდებით, აზრის გამოთქმის თავისუფლება გექნებათო. ტყუილია, არ მექნება! არც ერთი გახეთი არ დაბეჭდეს ჩემს ოპოზიციურ გამოცხადებას. ამიტომ ვერ დარჩები აკადემიის წევრად, რადგან ეს მოითხოვს ჩემგან ლოიალურ დამოკიდებულებას მთავრობისთან...

ბერი ეხვეწნენ, ნუ გახვალთ აკადემიიდანო, მაგრამ ხუმა მანც თავისი შეასრულა.

ყოველივე ამას ტერორის გაძლიერება მოჰყვა ემიგრაციაში წასულ მწერლებს მოსალაბრებებს უწოდებდნენ. განსაკუთრებით ის აკადემიის

ოფებდათ, რომ ემიგრანტებმა თან „წილის“ ნამდვილი გერმანული კულტურა და უცხოეთში განავრცობდნენ ნაყოფიერ, მოდერნიზაციას. ამან ადოლფ ბარტელსი განარისხა. მან წერილით მიმართა ემიგრანტ მწერლებს, ვინც გერმანია დატოვა, უფლებს არა აქვს გერმანულად ლაპარაკობდეს და წერდესო. ამას კი ბატონ ბარტელსს უკვე არაფერი ეკითხებოდა „გაქცეულუბა“ მისი ნებართვის გარეშე და ასრეს „ემიგრანტი გერმანული მწერლები და დაცვის საზოგადოება“. ისინი აწურობდნენ ანტიდემოკრატიული კონგრესებს, სტუმრდნენ ტერორისტებს, ბეჭდებდნენ წიგნებს. ყველა ქვეყანაში საომაროებით გაულო მათ ყარი.

თომას მანი რომ ამერიკაში ჩავიდა, პრესაში განაცხადეს: „ამ დიდ პატივს ჩვენ ბატონ ბარტელსს უნდა ვუმადლოდეთო.“

უხუცესი ბრძოლა...

ნაციონტებმა სკადეს გერმანული კულტურის გამარტახებელი ფრონტის „წესრიგში მოყვანა“ აკადემიიდან გარიცხული მწერლების ნაცვლად აირჩიეს ახალი წევრები. ეს სამარცხეინო პატივი წილად ხვდათ ჰანს იოსტს, ჰანს კაროსას, ჰანს გრიმს, ვერნერ ბოიშელბერგს, ფრიდრიხ ბლუნს, ემილ შტაუსს და სხვებს. კაროსამ იმდენი მოქალაქეობრივი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ უარი თქვა ამ „პატივზე“. მოულოდნელი იყო ერნსტ იუნგერის გადაწყვეტილება, მან ჯერ კიდევ 1926 წელს მიართვა პიტლერს თავისი წიგნი „ეცხლი და სისხლი“ წარწერით: „ეროვნულ ფიურერს“. შემდეგშიც ბერი რამ გააკეთა ნაციონალ-სოციალისტური იდეების საპროპაგანდოდ, მაგრამ ახლა მანც განზე ვიდგომა არჩია. შეიარაღებამა და აულტურტას შორის კავშირი არ მესმისო, დადი მადლობელი ვარო, მაგრამ... ერთი სიტყვით, არ მინდაო.

მერე ქავკასიაში გაზავდნენების გამოყენება რომ გაიკო, აღშფოთდა, რაც ადრე მიტაცებდა, ახლა მეზიზღებდაო და...

შედგა ის იყო, რომ გველსმა საერთოდ აკრძალა მისი სახელის ხსენება პრესაში...

... გერმანული ანდაზაა, ბრმა ღორმა რყო იპოვაო. ახლადგამომცხვარმა აკადემიკოსებმა მოიარეს ნაციონტური აკადემიის ყუარფერი მოსახლად. მართალია, ზოგიერთი თავს უხერხულად გრძობდა, მაგრამ რიკარდო ხუმის, ერნსტ იუნგერისა და ჰანს კაროსას გამბედაობა არ გამოაჩინდა. ასეთი იყო, უწინარეს უოელინა, გოტფრიდ ბენი, რომელსაც ორპროვანს და ორპოფული პოზიციო ეკირა. იმ შმიშე დღეებში იგი, ნებსით თუ უნებლიედ, მანც ნათეს ასხამდა ციცილებზე: თუ პიტლერი ამ

ბობდა, „შემთხვევითი არ არის, რომ პირველი“
კულტურა იქ ჩაისახა, სადაც არიყლებმა დაიპ-
ყრეს და დაამოწნეს დაბალი რსაებშიო; ბუნა
ზანს აძლედა მას:

— დემოკრატის კი არ შეეჭმინა დიდი ხე-
ლოვნება, არამედ მონობას, ამის მავალითია
ქველი ეგვიპტე, ანტიკური სამყარო, რომი,
პირამიდები, კოლონები, ტრაგედები...

თუშუა, ამას რომ კითხულობ, ვერც გაიგებ
რისი თქმა უნდა ავტორს; რასაც წერს, თუ
გერმინაში ახლაც მონობის ხანა იწყებო —
გულისხმობს.

ასევე შეიძლება ითქვას ბენის იბრაიონა-
ლიზმის შესახებ, რაც ადვილად შეეგუა ნაცის-
ტურ იდეოლოგიას. ამან გამოიწვია კლავს მა-
ნის აღმფლეთებული წერილობითი ბენისადმი, არც
ბენი დარჩა მას ვალში და მკეახე პასუხი გას-
ცა „უცხოეთში ვაბიზნულ თანამემამულეს.“
მითხდავად ამისა, ომის შემდეგ მან მაინც
ალიარა, კლავს მანი ჩემზე შორსმკვრეტელი
აღმოჩნდაო.

შამინ კი, როცა ავადმიაში არჩევენბის შე-
სახებ უამბებს, ჩვეულებრივი ორკოლობით წა-
მოიძახა:

— ო, ეს არჩევენბი, ო, ეს აღამიანები!..

— ეშმაკის ბორბალი კი ისეც ტრიალებდა,
ავადმიების შემდეგ ხელოვნების ყველა და-
წესებულებას დერივენგნ და დახსნეს მათი
ხელმძღვანელები. „შინაურ მტრებს ჩვენ
ქელებს დაუემტრეეთო“ — იმექრებოდა ეილი
ვესებარი.

იმით კი დაუმტრეოეს ძვლები, მაგრამ ახლის
შექმნა გაუჭირდათ. რაც არ უნდა ექოთ და
ვლიდებიანთ უნიკო, მაგრამ ბრთგული მწერ-
ლები, მხატვრები, კომპოზიტორები თუ ხე-
ლოვნების სხვა დარგების მოღვაწენი, ამით
ნაციონალ-სოციალისტური ხელოვნებისა და
ლიტერატურის „გრანდიოზული აღორძინების“
შთაბეჭდილებას მაინც ვერ შექმნიდნენ. ამას
სხვა კი არა, მკონი, გერინგიცი მიხვდა. მართა-
ლია, სამსახურებრივად მას უკლტურის საქმეები
არ ეხებოდა, მაგრამ თავი ხელოვნების დიდ
მცოდნედ მოაქონდა და ზოგჯერ მეცენატის
როლსაც კისრულობდა. როცა გერინგმა და-
ინახა თუ როგორ გაიხანგდა გერმანული
კულტურა, თქვა:

— უფრო ადვილია დიდი ხელოვანისაგან
თანდათან ნაციონალ-სოციალისტის მიღება,
ვიდრე რიგით ნაციონალ-სოციალისტისაგან
დიდი ხელოვანისა...

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ ესმოდა გე-
ბელს, რომელსაც პიტლერმა სპეციალური
ბრძანებით „მასების სულიერი აღზრდის“
ხელმძღვანელობა დააკისრა, რითაც ხელოვნე-
ბისა და ლიტერატურის ყველა დარგმა გებელ-
სის უწყებამში მოიყარა თავი. თითქოს მოსა-

ლოდნელი იყო, რომ გებელსი ოდნავ მაინც
შეანელებდა საშინელ რეპრესიებს კულტურის
ფრონტზე, მაგრამ მოხდა პირიქით: „შავი სი-
ვების“ შედგენა ისეც გაგრძელდა. არცაუდნენ
ვინ მტრია და ვინ მოვეყარე,“ ან ვის წინააღ-
მდეგ „გახსნან ცეცხლი“ ეს ეხებოდა რი-
გორც მწერლებს, ისე მათ წიგნებს. გებელსის
უწყებამი ასაკრძალავი ავტორებისა და მო-
სასპობი წიგნების უზარმაზარი სია შედგა: მი-
თითება ასეთი იყო:

— უნდა ამოიძირკვოს: 1. პაციფისტური
სულსკვეთება (რემარკი, რენი, ა. ცვაიგი და
სხვ.), 2. სოციალური კრიტიციზმი (პ. მანი,
ტოლერი, ჯეკ ლონდონი და სხვ.), 3. სოცი-
ალურ-რევოლუციური მიმართულება (ბრეს-
ტი, ტუზოლსკი და სხვ.), 4. „ეზრაული შხაში“
და 5. „ბოლშევიკური იდეოლოგია“.

ამას ემატებოდა ე. წ. „არაგერმანელი გან-
წყობილების“ ლიტერატურა, რაც მწერლობის
ფართო ფენას მოიცავდა.

ზოგჯერ ამგვარი „შავი სიები“ პრესაშიც
ქვეყნდებოდა...

პალეარჩის ღამე...

სიტყვას აქაც საქმე მოუყვა. დაიწყო იმპე-
რის წიგნთსაცავებისა და კერძო ბიბლიოთეკე-
ბის „გრანდიოზული წმენდა“, რის შედეგადაც
იყო სამარცხენიო ავტოდაფე, ბერლინის ოპე-
რის მოგადნე 1933 წლის 10 მაისს.

თახი დღე ეზიდებოდნენ საბარკო მანქანები
„ნაციონალ-სოციალისტის“ სულსკვეთებისათ-
ვის შეუფერებელ“ წიგნებს და მოგდნის შუა-
გულში ყრიდნენ. საქმეში ჩაბმული იყენენ
მოიერიშენი და პოლიციელები. შეშინებული
მოქალაქეები ფანჯრებიდან ისროდნენ აკრძა-
ლულ წიგნებს, რასაც პოლიციელები აგრო-
ვებდნენ ქუჩებში და სატვირთო მანქანებით
მიქონდათ ოპერის მოგდანზე. ასე მოვარო-
და ათი ათასი ცენტერი (!) ლიტერატურა,
გარდა ამისა ვესტაპოელები კუთხე-კუთხე
დაეძებდნენ გადამალულ წიგნებს. გაჩხრაცეს
ბინები, სარდაფები, მანსარდები...

მერე ის იყო, რომ „შავსიები“ წიგნების
„ცეცხლში შთანთქმის“ საფულტო-რელიგიური
რიტუალი მოეწყო. ოპერაციას „თვითონ გე-
ბელსი“ ხელმძღვანელობდა. ჟერ შეშა მოზი-
დეს და მოგდანზე დააწყვეს. გარშემო, სხლის
სახებრებზე უზარმაზარი პრეპერატორები და
ხმის გამამოღებელი რემბოლუტორები
დადგეს. ესესელებმა, მოიერიშებმა და სტე-
დენტებმა მოგდნის გარშემო წრე შეკრეს.
ომის იმით კი ზღვა ხალხი იდგა. დაუდაფების
გამაყრებელი ზრიალის შემდეგ მოგდანზე
გამოჩნდა ყავისფერხალათიან სწავლულთა
პირველი კოლონა ანთებული ჩირაღდნებით.
კოლონას წინ მოუძღვოდა „პოლიტიკური პედა-



გოგისა“ პროფესორი აღტრედ ბოიშტერი. ბერენშტრასედან პროექტორები ანათებდნენ მოედანს და აი, ბოიშტერი ჩირალდანით ანათებს ცეცხლს. აღი და კვალი ზეცის სწვდება. კოცონი თანდათან ძლიერდება. იწყება „გერმანული სულის“ ცეცხლში გაწმენდის წარმართული რიტუალი. ქუჩიდან მოედნის ცენტრისაკენ წიგნები ხელიდან ხელში გადადის. 11 საათსა და 20 წუთზე პირველი „ერეტიკული“ წიგნი აღწევს კოცონმდე. ესეისა და მოიერიშეთა გაერთიანებული ორკესტრი უკრავს რალაჟ ჰიმნს. მას უერთდება კაპელა. იწყება ხორალი და სრულდება „სიმბოლური აქტი“: მაღალ კვარცხლბეკზე დანანს „ფრიალ განსწავლული ქადაგი — ქურუმები“, რომლებიც იძახიან:

ჩვენი საყვარელი ფიგურისათვის! თავისუფლებისათვის! სამშენაოსა და პურისათვის! გაიღვიძე გერმანიაჲ, გაიღვიძე!..

მერე წინ ერთ-ერთი ქადაგი ქურუმთაგანი წამოიწევს და ღაღადებს:

პირველი ქადაგი: კლასთა ბრძოლისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ერთიანობისა და ცხოვრების იდეალისტური გაგების საღიღებლად, მე ცეცხლს ვაძლევ კარლ მარქსის წიგნებს...

ბრბო ღრიალებს, ორკესტრი უკრავს, წიგნებს ცეცხლში ისვრიან...

— მეორე ქადაგი: დეკადანსისა და ზნეობრივი დაცემის წინააღმდეგ, ოქახისა და სახელმწიფოს, გვირისა და წესრიგის დასაცავად, მე ცეცხლს ვაძლევ ჰაინრიხ შპისს, ერნსტ გელზერის და ერბ კესტნერის წიგნებს...

ისევ ბრბოს ღრიალი, ისევ ორკესტრი და ისევ წიგნების ანათება ცეცხლში.

რიტალი გრძელდება.

— მესამე ქადაგი: მსოფლმშედეკობრივი მიწაწმენდისა და პოლიტიკური ღაღატისათვის, ხალხისა და სახელმწიფოსთვის თავდადების საღიღებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ვილჰელმ ფორსტერის წიგნებს...

კოცონი კიდევ უფრო ჩაღდება... წიგნებს ნოქაქს მოვიზივთ ცეცხლის ალი...

— მეოთხე ქადაგი: ზორციელი მიდრეკილებისა და სულის დამთურგველი გადაჭარბების წინააღმდეგ, ადამიანური კეთილშობილების საღიღებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ზიგმუნდ ფროიდის წიგნებს...

— მეხუთე ქადაგი: მსოფლიო ომის გარისკავების ლიტერატურული ღაღატისათვის, ხალხის კეშმარტების პრინციპებზე აღზრდის საღიღებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ერბ მარია რუმარტის წიგნებს.

ქადაგ-ქურუმთა ქორი ღაღადებს:

— შთანთქმე, ცეცხლო, წიგნები ტუხოლსკისა და ოსეციისა...

... ნაშთლაქვეს თავისი უზარმაზარ მერსედესისი მობრძანდა თვით გენერლს და მანქანადანვე მიმართა ხალხს:

— ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გერმანული ქალებო და კაცებო! დამთავრდა ებრაული ინტელექტუალიზმის ეპოქა. ნაციონალ-სოციალისტურმა გენიამ გზა გაუხსნა გერმანულ სულისკვეთებას. რა დიდებულია, რომ ამ ისტორიულ ღამეს, ცეცხლს აძლევთ არაგერმანულ სულს, ეს ისეთი ძლიერი, დიდი და სიმბოლური აქტია, რომ მთელ მსოფლიოს უჩვენებს, როგორ იმარბება ნოემბრის რესპუბლიკის განწყობილება. მომავალში ამ ფერფლიდან ფენიქსიეთი აღდგება გერმანელობის განწმენდილი სული...

მეღი ცეცხლშია გახვეული, ახალი იბადება ჩვენივე გულში დანთებული ცეცხლის ალიდან და ამ დიდი კოცონით განათებულებმა ფიცი უნდა დაეფიცი და შეეძახოთ:

— ჩვეს ფიერერს, ადოლფ ჰიტლერს, ჰერლ... ჰაილ!.. ჰაილ!..

ორკესტრმა დასცხო მარში: „ხალხო ხელი მოჰკიდე თოფს!“ მას აჟყვა ოთხი კაცი-საგან შემდგარი ქორო, მოედანი კი ერთხმად გუგუნებდა:

— ჰაილ!.. ჰაილ!.. ჰაილ!..

ცეცხლის თაყვანისცემელთა რიტუალმა ელენინაციურ წერტილს მიადწია. სიამოვნებისაგან ატაცებული გებელსი ქადაგით წამოგდა მანქანაში, ხელი წინ გაიშვირა და დამიხა:

— ო, საუფენე! ო, მშვენიერებაჲ, რა სიხარულია სიცოცხლეს!..

... ასეთი აუტოდადე მოეწყო გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში. ზოგან ინიციატივა „ულტრებმა“ აიღეს და ცეცხლს მისცეს ლეინგის, გოეთეს, შილერისა და გერმანული ლიტერატურის სხვა კლასიკოსების თხზულებები. შემდეგ სტუდენტები შეუდგნენ თავიანთი ბიბლიოთეკების წმენდას. უველა უმაღლესი სასწავლებლის ეზოში ავიზგიზდა კოცონი. იყო ჩირაღდნებით სვლა და ოსანას ძახილი: მიუნჰენში, დრეზდენში, ფრანკფურტში... ყველგან!..

ამგვარმა რიტუალმა ზოგან მოლიანად რელიგიურ-წარმართული ხასიათი მიიღო. ფრანკფურტში წიგნების კოცონთან ორი წითელი ხარი მიიყვანეს და მსხვერპლად შეწირეს გერმანულთა ღმერთს ოდინს...

ხალხი ზავითი..

მთელი მსოფლიო შეაძრწუნა მაშინ ამ ბარბაროსულმა აქტმა. ვახსენეს, რომ სულ პირ-

ველად უძველეს / ჩინეთში მოეწყო წიგნების ამგვარი ავტო-დაფე. შემდეგ ინკუიზაციამ - ისახელა თავი "ერეტული ლიტერატურის" დაწვით. არც ვატიკანი დარჩენილა განზე. იქ, აგრძალებულ წიგნების ინდექსში ექვს ათასზე მეტ ავტორი იყო მოხსენებული მათ შორის: ღანდელი, ბალზაი, ბერგსონი, ბრუნო კრთჩე, დეფო, ერასმ როტერდამელი, დიდი-მა-მა და შვილი, დარვინი, დეკარტი, ფრანსი, გალილეი, ეილი, ჰანე, ჰობსი, იუმი, პიუგო, პრუდონი, კანტი, ლენაუ, ლესინგი, მარასა, რენანი, რუსო, სარტრი, სავონაროლა, სპინოზა, ზოლა. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაც-მა! ნაციონტებმა კი იფიქრებდაც გადააჭარბეს, ვატიკანსაც და ცეცხლს მისცეს / დიდი ჰუმანიტატი მწერლების ნაწარმოებები. ამის საპასუხოდ ლონდონში შეიქმნა „დამწვარი წიგნების დაცვის კომიტეტი“ ჰერბერტ უელსის მეთაურობით. პარიზში დაარსდა „თავისუფლების ბიბლიოთეკა.“ რომენ როლანმა საქვეყნო პროტესტი განაცხადა. მსოფლიო პრესა აივსო ანეგდოტებითა და კარკატურებით. „მეგრამ რა... ცერკვი კვდელს! გერმანიაში ისევ არბევდნენ თავისუფალ აზრს. ანადგურებდნენ ზელოვნების ძეგლებს, აპარტობებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ ლიტერატურისა და ზელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. ზელოვნებულმა მხატვარმა — ეფრეიტორმა შერისიძიების კვრთხი აღმართა. ისტორიის დასაცნად, მლიქვნელებმა იგი „გერმანიის პირველ ზელოვნე“ გამოაცხადეს. ზელოვნებისა და ლიტერატურის წამდელი წარმომადგენლები კი ისევ ემიგრაციაში გარბოდნენ. უნივერსიტეტებში დაიკვალა პროფესორებისაგან. ვისაც სად შეეძლო იქ შეფთავა თავი: პრალაში, ვენაში, ციურხში, პარიზში, ლონდონში, სტოკჰოლმში, მსკოეში, პალესტინაში...

გერმანიაში კი ისევ გაუთავებელი „წმენდა“ მიმდინარეობდა. აღდგენდნენ ახალ-ახალ „შვე სიებს“. აგრძალებულ წიგნებზე მეთვალყურეობა ისევ პოლიციას დევალა. „მოსაზრების ენთუზიაზმი“ ისე გაუფართოვდა, რომ აღარ „შერისხელ“ გერმანელ მწერლებს სხვა ქვეყნების კლასიკოსებიც მიაყოლეს: ბოკაჩო, ბალზაი, პიუგო, ზოლა, შოუ და სხვები. 1935 წელს გამოქვეყნებულ „შვე სიაში“ უკვე 13 ათასი სახელწოდების წიგნი იყო შესანიღო...

ნეტავ რას მოელოდნენ სამავიგროსი მართალია, იმდეს გამოთქვამდნენ, ჩვენი ბობოქარი ცხოვრება ისევე გამოისვრის გენიოსებს, როგორც ზღვის ტალღები მარგალიტებსო, მეგრამ ამგვარი „მარგალიტები“ არსად ზანდა, ისე კი დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს. ლიტერატურისა და ზელოვნების სფეროში ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის განსამტკიცებლად. 1933 წლის ნოემბერს

დიდი ზეიმით გაიხსნა „ელტურის საიმპერო პალატა“ (Reichskulturkammer) კულტურის სხდომას პიტლერის დავისწორებისთვის წარმოთქვა გებელსმა. მან ჯერ „როაქციონერებს“ შეუტია. მერე მოდერნისტთა „არაფრის პეესიები“ (Nichtsmacher) გაკიცხა და ყველაფერს გარდაეშინითო განაცხადა... შემდეგ უამრავი ასოციაციები თუ კავშირები შეიქმნა. „შრომის ფრონტის“ ზელმძღვანელმა დოქტორმა ლიმაკ მოინდომა თავის სისტემაში „გამართობ ზელოვნება“ დიდი რაოდენობა უცოლდა. ამან გამოიწვია მისი კონფლიქტი გებელსთან. არც „პარტიული ზედამხედველი“ როზენბერგი იყო კმაყოფილი. იგი ასმენდა გებელს პიტლერთან, მტკიცე პოლიტიკას არ იცავსო. მაგრამ იმ „მოკი-მუესს“ მაინც ვერ შოგრა. ამის პასუხად „ელტურის საიმპერო პალატის“ პრეზიდენტობა თვითონ გებელსმა იკისრა და ამით უფრო გაიზარა პოპულარობა. პალატის ზელმძღვანელ პოსტებზე მან პარტიული მოხელეების ნაცვლად „საქმის მცოდნე“ სპეციალისტები დანიშნა: რიხარდ შტრაუსი, ოტო ლუბინგერი, ჰანს გრიმი და სხვ. მისი პრინციპი იყო: „ზელოვნებას ზელოვნების მცოდნენი უნდა ზელმძღვანელობდნენო“...

...საერთოდ გებელსი უფრო ძველ ტრადიციებს ემხრობოდა. ამბობდა: გერმანელი ხალხი და გერმანული მუსიკა ისე უნდა დაეკავშიროთ ერთმანეთს, როგორც ეს XVI სუექუნში იყო. მან სახელი ზელოვნებაშიც „ძველი სტილის“ აღდგენა მოინდომა, ევგენინის საბერძნეთისა და რომის ზელოვნება საინფორმაციო გამოაცხადა. ეს არ მოეწონა „პარტიულ ზედამხედველ“ როზენბერგს. კონფლიქტი გამწვავდა. პიტლერმა როზენბერგს დაუქირა მზარი და გებელს ზელოვნების უწყებოა ზელმძღვანელებად ისევ პარტიული მოხელეები დანიშნინა. ამით ზელოვნების უ.წ. „თვითმმართველობის“ პერიოდი დასრულდა. ზელოვნება და ლიტერატურა, საბოლოოდ ჩაერთო ნაციონალ-სოციალისტური აპარატის საერთო სისტემაში. საჭაროდაც გამოაცხადეს, რომ ეს იყო აქტიურ „ელტურპოლიტიკაზე“ გადასვლა. გამომცემლობებში, თეატრებსა და კინოებში სასტიკი ცენზურა დაწყდა. „საქვემო ზელმწერებს“ პოლიციის განკარგულებაში გზავნიდნენ. ტერორი გაძლიერდა. „სხვაგვარად მოაზროვნენი სრულიად გამოითქვს შემოქმედებითი ცხოვრებიდან. ზელისუფლება მხოლოდ იმათ უჭერდა მხარს, ვინც მის მოჯამაგირედ ღებობდა.

ყოველივე ამას ისინი „ნაციონალური ცხოვრების ინტეგრაცია“ უწოდებდნენ, სინამდვილეში კი ზელოვნება და ლიტერატურა ტოტალური სახელმწიფოს ერთ-ერთ სფეროდ იქცა. ეს „როზენბერგის ზაზის“ გამარჯვება

იყო. მისი მითითებით შეწყდა ყოველგვარი დისკუსია, „გაქვამდა“ ლიტერატურული კრიტიკა, როგორც ეანჩო. პიტლერმა აკრძალა ხელაწილებისა და ლიტერატურის ამ ნაწარმოებების კრიტიკა, რაც ნაციონალ-სოციალისტური თეორიისთვის სასარგებლოდ მიიჩნეოდა. ვინც ამგვარ ნაწარმოებებს აკრიტიკებდა „ებრაული სულისკვეთების“ გამოშვებულად იქნებოდა. ასე განდა უცნაური გამოთქმა: „ებრაული კრიტიკა“. ამტკიცებდნენ: თვითონ ებრაელებს შემოქმედებითი სული არა აქვთ და სხვის ნაწარმოებებს აკრიტიკებენ.

— ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ კრიტიკა არ არის საპატიო მოვალეობა, — განაცხადა პიტლერმა. „იგი უნდა შევიკლოს შემოქმედებამ და ნების ერთმანამა...“

შერე სხვებმაც განავითარეს ეს აზრი და დაასკვნეს:

— ნაციონალურ-სოციალისტური სახელმწიფო კრიტიკას ვერ მოითმენს. იგი ენებს ჩვენს კულტურას. ვინც სხვის ნაწარმოებს აკრიტიკებს — უმოპოვებს უნდა შექმნას, თორემ ისე ვერ იქნება „უეუთესი მცოდნე“ (Besser-wisser). ისეთი კრიტიკოსი კი ვის რად უნდა, ვინც თვითონ არაფერს ქმნის გაკრძალა იმისა, რომ სხვებს აკრიტიკებს და, საერთოდ: თუ ნაწარმოები ნაციონალ-სოციალისტურია, რაღა ვისაკრიტიკებო, არა და, არც უნდა დაიბეჭდოს, — აცხადებდნენ ისინი. იმათთვის კი, ვინც, მათი აზრით, ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგი იყო საკონცენტრაციო ბანაკები ჰქონდათ გამართული.

ყოველგვრ ამს შედეგი ის იყო, რომ გუბელსმა სპეციალური ბრძანებით სრულიად აკრძალა კრიტიკა და ამის ნაცვლად ე.წ. „სარეკლამო ცნობარები“ შემოიღო.

ამის შემდეგ ჰანს იოსტმა საჩარხადც განაცხადა:

— მე ვეწიბ ლიტერატურული კრიტიკის მხოლოდ ერთ სახეს:

— ხელები ზევით, თორემ გესერის..

...ბევრი ისედაც ხელბაწეული დადიოდა. სხვები ერთხანს ცდილობდნენ ოპოზიციას მოეხდინათ, მაგრამ მათ წინააღმდეგ „ლიტერატურული პოლიციელები“ ამოქმედდნენ. აქაოდა ექსპრესიონისტულ ხელოვნებას იცავენო, სასტიკად ჩაახშვეს სტუდენტთა წრეში ჩასახლება „ოპოზიციის“. ბერლინის უნივერსიტეტში საერთო კრებაც მოაწვიეს „ხელოვნების რეგლამენტაციის“ საკითხებზე. სადაც „სტუდენტთა ოპოზიციური მოძრაობა“ ოტო შტრაასერის „ოპორტუნისტს“ დაუკავშირეს. მიზეზი დაედა იმისა, რომდენიმე სტუდენტი მიინც გამოედიდა და გაილაშქრა „სელექციონის დროის ავადმეცხმის“ აღორძინების წინააღმდეგ. ისინი უარყოფდნენ დოგმატიზმსა და ნატურალიზმს,

იცავენენ ე. წ. „თანამედროვე ხელოვნება“ და მოითხოვდნენ აზრის თავისუფლებას.

ამ კრებას სხვა უნივერსიტეტებშიც დამსახტრო აკადემიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ ხელოვნების საქმეებში მოაფრთხელებისა და პოლიციის ჩარევით. ვიღაცამ დაიძახა კიდევ დაიბანინა:

— მოორიშების საქმე ქუჩია და არა ხელოვნების ტაძრები..

— გაუმარჯოს ნამდვილ ნაციონალ-სოციალისტურ რევოლუციას! — გამოეხმაურნენ მას იარუსებზე.

ეს უცე ოტო შტრაასერის კი არა, რემის „მეორე რევოლუციის“ ჰგავდა. ამან როზენბერგი გააცოფა. იგი დარწმუნებული იყო, რომ გუბელი მხარს უჭერდა ოპოზიციონერებს. მის ბინაში ბარლახის და ნოლდეს სურათები ჰქედიოთ — თქვა მან.

შესაძლებელია, რომ ეს სიმართლესთან ახლოს იყო. გუბელსი არ ეთანხმებოდა „როზენბერგის ხაზს“. მისი ნებაყოფილ ჰანს ვაიდმანი და სხვები „თანამედროვე ხელოვნების“ გამოყენას ამზადებდნენ, მაგრამ ამასობაში „რემის პეტრი“ ჩააქრეს და პიტლერმა გამოაცხადა „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია დამთავრდა“. ამით, „ოპოზიციის“ წინააღმდეგ გამოცალა. ვახსიკრდა როზენბერგის გამოსვლები „ფოლიოშერ ბეობახტერში“. სტატიაში „რევოლუცია სახეით ხელოვნებაში“, მან აშკარად უეკინა „ოპოზიციონერებს“ ოტო შტრაასერის მიმდევრები ხართო. ამის შემდეგ მისმა მომხრეებმაც აუწიეს ხმა: პიტლერს და როზენბერგს ებრძვიანო, პარტიის პოლიტიკას არ სცნობენო და სხვ.

„ოპოზიციის“ შედრცა, მაგრამ „ახალი ხელოვნების“ კიდევ ერთი გამოყენა მოეწყო. „30 გერმანელი მხატვარი“, ასე ეწოლებოდა ამ გამოყენას, რომელშიც ექსპრესიონისტები იცნებდნენ მონაწილეობას. სამი დღის შემდეგ შეიკრდა საქმეთა მინისტრის ფრანკის ბრძანებით გამოყენა დაიხტრა. სამხატვრო გალერეის შესასაყულთან პოლიციელები დადგნენ. გამოყენის ინიციატორები პიპლერი და შრაიბერი გარიცხეს სტუდენტთა ნაციონალ-სოციალისტურ ორგანიზაციიდან.

შერე პროფ. შმადტმაც მოაწყო შოდერინისტული გამოყენა. მაგრამ იმან სულ გესტაპოში ამოჰყო თავი. საქმე ისე გამოყავდა, რომ საჭირო გახდა პიტლერის ჩარევა. მან შექმნა „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის იდეური წერაზის საშახტრო“, რომლის სათავეში როზენბერგი დაეყენა. ამით გუბელის ოპოზიციის შესუსტდა. შერე ისევე ლემ წამოჰყო თავი და გუბელის დახმარებით „შრააზის ფრონტთან“ მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია „ძალა ჩხარულში“ (Kraft im Freude) ჩამოაყალიბა.

ისევე გაიხსნა ექსპრესიონისტების თითო-ორთა „ოპოზიციური გამოფენა“ — ნოდდის ბარახის, ფაინინგერის... ამ საქმეს მხარი დაუჭირა გოტფრიდ ზენმა, აქაიქ დისკუსიებიც გაიმართა. შერე ეშმაკერ ხერხსაც მიმართეს...

აერო მხატვრობა...

1934 წლის ზაფხულს იტალიელი ფერებისტები მოიწვიეს გერმანიაში და მათი გამოფენაც მოაწყვეს. გამოფენას ჩამოყვანა როჯერი ვაზარი და ე. წ. „აერო მხატვრობის“ (Aero pittura) წევრი: პრამპოლინი, ფილია, ოროანი, ამბროზი, ჩიტო და სხვები. დიდი არაფერი, მაგრამ ეს მაინც „მეგობრული იტალიის“ მხატვრობა იყო და შეურაცხყოფას ვერ მოაყენებდნენ. არც გერინგი და გებელი შეხვედრიან მტრულად ამ გამოფენას, როგუნებრე კი ისევე „თავის ხაზს“ იცავდა. მან „ფოლკიშერ ბეობახტერნი“ მოთავსა სტატია ამ გამოფენის შესახებ და განაცხადა:

— ექსპოზიციის ზეგავლენა შემოიჭრა ჩვენში. მათ უნდათ იტვირთონ ქვეშ დააყენონ ჩვენი ხელოვნება. ფერებისტები იტალიაშიც სუსტი მოქალაქეა. უკვე დიდი ხანია, რაც მთავრობა აღარ ეჭრის მის ხეობას...

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ როგუნებრეცა ამგვარ მხატვრობას „კულტურული ბოლშევიზმი“ (kulturbolschewismus) უწოდა.

დიდი ხმაური ატყდა მაშინ ამის გარშემო. ვაზარიმ როგუნებრეცის საწინააღმდეგოდ გამოაქვეყნა ერთეული სტატია: „აერომხატვრობა, თანამედროვე ხელოვნება და რეალობა“. უწინარეს ყოვლისა, მან უარყო, რომ ფერებისტები „ბოლშევიკური ხელოვნებაა“. შერე გოგენის სიტყვებიც დაიმოწმა: „ხელოვნებაში ან რევოლუციონერები არიან, ან პლაგიატები“, ბოლოს კი მუსოლინის ციტატირ დააჯახა: „ახალი სახელმწიფო, ახალი ხალხი, ახალ რევოლუციურ ხელოვნებას მოითხოვს“.

კამათში იტალიელი ფერებისტების მეთაური მარინეტე ჩაება და განაცხადა, „ეს ხელოვნება ერთნულ-გმირული სულისკეთებობაა და რასის უმაღლესი გამოხატულებაა“. „მფრინავი ძალა“, „ეპოქის რიტმი“, „ვეომეტრიული ფორმები“... — გამოსოდა პრესაში.

ამის შემდეგ გერმანელმა ექსპრესიონისტებმაც აღიშალეს ხმა. დადაისტებიც მათ მიემხრნენ. „აბსტრაქტული ხელოვნება ეპოქის მაქსიმუმის გამოხატულებაა“, — განაცხადა ჰაბიტერის ვახტანგი რედოლფ ბლომერმა. შერე სხევამაც დაწერეს: „ექსპრესიონიზმი ჩვენთვის ისეთვე გერმანულ-ჩრდილოეთური ხელოვნებაა, როგორც იტალიისათვის ფერებისტები — რომანული“.

ყოველზე ამით „როგუნებრეცის დოგმატიზმი“ შეურაცხყოფილი დარჩა. იგი ამჯერად ელარ იცავდა თავის პოზიციას, რადგან ამტკიცებდნენ მუსოლინიმ ფერებისტები „სახელმწიფო ხელოვნებად“ გამოცხადდა. იმანაც ამბობდნენ, „მუსოლინი პოლიტიკურად ფერებისტთა, ამიტომ ეწინააღმდეგება მხატვრობის“ დღევანდელ ფორმას. ეს ამბოხი იყო, რადგან პიტლერი არცთუ ისე მაღალი აზრისა იყო იტალიის თანამედროვე ხელოვნებაზე. ერთხელ თქვა კიდევ, ფრანგული მხატვრობა არ მომწონს, ევროპარზე რა არის იქ კარგი და რა უღი. იტალიური „ვარგისია, მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნის, მეცხრამეტეში ძველი მხატვრობა დაეცა, ახლანდელი კი რაც არის, სულ დეგენერატიულია.“

ეს მაშინ არ იცოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ, ვით მხანში ვერ მოეხვედრათ. ამიტომ იყო, როგუნებრეცაც უკვე პრესაში კი არა, საკუთარ დღიურში ჩაწერა:

— სრული დახვეწილობა, არავითარი ვარკვეული ხაზი, გებელსმა სულ არაა ყველფერი...
— მას როგუნებრეც-გებელსის მიმოწერა მოკვდა. როგუნებრეცს უფრო აგრესიული ტონი ჰქონდა, გებელი კი გვერდს უხვევდა მის შემოტევს. მტრებს უნდათ ერთმანეთს წაგვედონ, მე კი ამის არც ღრმ მაქვს და არც სურვილი. — მისწერა მან როგუნებრეცს.

— გებელი საყაროდა იცავდა თავის პოზიციას: „ხელოვნება დამოკიდებულია უნარზე (Kunst kommt von Können), ამბობდა იგი, მაგრამ იმაც რამე უნარი ჰქონდა საზღვარგარეთ გაიქცა. ამიტომაც უნდადა ემიგრაციაში წასულ გამოჩენილ მწერლებში, მხატვრებისა და კომპოზიტორების დაბრუნება, თქმია, აქაც „პარტიული ზედამხედველის“ კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყდა. ბოლოს მათ დაეაში თვით „იშპერის პირველი ხელოვანი“ პიტლერი ჩაერია, მან 1933 წლის ბოლოს წარმოთქვა „საპროგრაზო-დირექტიველი“ სიტყვა, რამაც ერთბაშად მოუღო ბოლო ამ დავას...

სოფლის ბრალი...

პიტლერის სიტყვის თემა იყო: „გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანული ხალხის ინტერესების ყველაზე ამაყი (stolzeste) დამკვეთი“.

— ყველა ხალხს ჩამოყალიბებული აქვს თავისი რასობრივი მსოფლმხედველობა, რაც განსაზღვრულია ბიოლოგიურად, — ქადაგებდა იგი. შერე გამოაცხადა, რომ ხელოვნებაში არის „გაბაწენისა და გადაგვარების“ ტენდენციები, ლიბერალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სენი. რაც თერმე „ასუსტებს ხალხის ბიოლოგიურ სუბსტანციას“.

პიტლერმა გამოაქვდა სურვილი, რომ გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანული ხალხის ინტერესების ყველაზე ამაყი (stolzeste) დამკვეთი...

— ყველა ხალხს ჩამოყალიბებული აქვს თავისი რასობრივი მსოფლმხედველობა, რაც განსაზღვრულია ბიოლოგიურად, — ქადაგებდა იგი. შერე გამოაცხადა, რომ ხელოვნებაში არის „გაბაწენისა და გადაგვარების“ ტენდენციები, ლიბერალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სენი. რაც თერმე „ასუსტებს ხალხის ბიოლოგიურ სუბსტანციას“.

პიტლერმა გამოაქვდა სურვილი, რომ გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანული ხალხის ინტერესების ყველაზე ამაყი (stolzeste) დამკვეთი...

— ყველა ხალხს ჩამოყალიბებული აქვს თავისი რასობრივი მსოფლმხედველობა, რაც განსაზღვრულია ბიოლოგიურად, — ქადაგებდა იგი. შერე გამოაცხადა, რომ ხელოვნებაში არის „გაბაწენისა და გადაგვარების“ ტენდენციები, ლიბერალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სენი. რაც თერმე „ასუსტებს ხალხის ბიოლოგიურ სუბსტანციას“.

პიტლერმა გამოაქვდა სურვილი, რომ გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანული ხალხის ინტერესების ყველაზე ამაყი (stolzeste) დამკვეთი...

ნული ხელოვნება დაუბრუნდეს თვითმყოფო-
ბის ადრინდელ ეტასს, დიკეას სისხლისა და
რასის თვისება, იბრძოლოს პაციფიზმის წინა-
აღმდეგ, ხელი შეუწყოს არიელი ადამიანის
ახალ რწვენასს.

— ხელოვნებას აკისრია აღმალბებული და
ფანატრზამდე მისული შოველეობის გრძობის
გამოსახვის მისია — განაცხადა მან, — ვისაც
ნიჭი ღვთისაგან აქვს მომადლებული. ბგერებსა
და ქვეშეში უნდა ამატყველოს ზვენი დრო.
იგი ამას ვაკეთებს კოდე, თუნდაც თინამედ-
როვეობამ უაროს იგი ან არ ვაუგოს მას.
კეშმარტი ხელოვანი ის არის, ვინც ხალხის
სულს ვაუხსნის თინამედროვეობას, ვინც ამის-
თვისაა მოწოდებული. ერის შემოქმედებით
ძალის უმაღლესი გამოხატულებაა.

ამისდა მიხედვით ჩამოაყალიბა მან თავისი
„უარესად ავტორიტეტული“ პრინციპები:

— ხელოვნების დარგებს შორის მთავარზე
უმათარესი არქიტექტურააო. პოლიტიკას რომ
არ ვაუგოლოდი ყველაზე დიდი არქიტექტორი
ვიქნებოდიო. მერე როგორღაც ეს ორი ცნება
„პოლიტიკა“ და „არქიტექტურა“ ვაერთიანა
და თავი „პოლიტიკური არქიტექტურის“ უდი-
დეს ქურუმად გამოაცხადა. მიზნად კი გერმა-
ნელთა ათასწლოვანი იმპერიის, როგორც ერთი
მთლიანი არქიტექტურული ნაგებობის შექმნა
დაიხატა. ეს უნდა ყოფილიყო ტოტალური წეს-
რიგის ნიმუში. ახალი ნაციონალ-სოციალისტურ-
ი რელიგიის ტაძარი ანუ „ქვედაქუელი არწმე-
ნის განსახიერება (Steingewordene Verk-
rperung des glaubens) ყველაფრის ერთში
(aller in einem) მისტიკურად აღმალბუ-
ლი ვაერთიანება“. ამას უცნაური გამოთქმე-
ბაც მოყვა: „შენებლობის ნება“ (Bauwille).
„პოლიტიკურ-საკრალური შენობები“, „არწმე-
ნის ნაგებობანი“ და სხვ. მისი იდეალი
იყო: ბერძნულ-რომაული სტილი პართე-
ნონი, ვერსალი, ბელვედური პრინც ეგვი-
ნის სასახლე, როგორც ძალაუფლებისა და
მარადიულობის სიმბოლოები. ვითიკა არ მოს-
წონდა. ბაროკოს არ უარუოდდა, მაგრამ არც
სინიფიშოდ თვლიდა. უყვარდა მონუმენტური
შენობები უზარმაზარი კოლონებით, მძიმე
ფრონტონები და პილასტრები, სიდიადისა
და ფერადოვნების ზეიმი. სინიფიშოდ მან
რაიხსკანცელარის შენობა მოაჩნდა, უფრო
კი მისი ზედამხედველობით აგებული „პარტი-
ული ყრილობების“ ადგილი — ნიურნბერგის
გრანდიოზული სტადიონი, 30 კვადრატული კი-
ლომეტრი მოედანი, 100 მეტრის სიგანათე გზა,
80 მეტრის სიგანეზე ფრთავაშლილი არწუ-
ვი, გრძელი ისარი, რომელიც იმ საყარძელზე
მოეთითებდა, სადაც ქდებოდა პიტლური. უკან
ვაშლილი უღრანი ტყე, „გერმანული მუხები“
და გოლგოთის მავგარი სამსხვერპლო ფერდო-
ბი. აქ იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაუ-

ლები, ტანკებისა და თვითმფრინავების მონა-
წილეობით... იყო ერთი ზეიმი და ლაღადისი
ფიურერისადმი... ზეცაში ატვორტნილი პრო-
ექტორის ერთ უზარმაზარ სინათლის ვუმ-
ბათს ქმნიდა, რაც ვითომ ნათელღვით იდგა თა-
ეზე ხალხსა და მის ფიურერს.

ასევე სახვით ხელოვნებაში: პეროიკული
ბუნება, ძლიერი სხეული, მეტრძობი რაინდუ-
ლი პორტრეტები, შრომის პროცესების ასახვა
და სხვ.

პიტლური ვერ იტანდა მოდერნიზმს. ამბობდ-
ნენ, ის რითაც გატაცებული იყო მეოცე საუ-
კუნის ევროპა, უცხო დარჩა მისთვისო. ამიტომ
იყო, რომ თავის „საპროგრამო“ სიტყვაში უწი-
ნარეს ყოვლისა, ე. წ. „სიახლის მაძიებელთ“
შეუტბა:

— ჭერ არნახული არ ნიშნავს კარგს, პირი-
ქით, მისი უფასურობის ნიშანია, — ამტიკებ-
და იგი — ვინც ამ ზვით წავა, ვაუგებბარი დარ-
ჩება ხალხსათვის და კისერს მოიტებს, რადგან
ეს შარლატანობაა მხატვრობაში, მოქანდაკე-
ბაში, მუსიკაში. იგი ერის სულერი დეკადან-
სის ნიშანია...

პიტლერმა განაცხადა:

— თუ სხვადასხვაგვარი მიმართულება იქნა
ხელოვნებაში და მათ შორის დისკუსია ვაიშა-
ლა, ეს ავადმოუფერ დეკადანსს წააქეზებს და
გვაიძულებს დავადგინოთ, თუ რა საფუძვლებს
ეყრდნობა იგი, ვინაიდან გერმანელობა ბუნე-
ბრივად სიჯანსაღეს ნიშნავს და ამგვარი ავადმ-
უოფობა უცხოა მისთვის...

მერე შექარაზე გადავიდა და იყვირა:

— ნაციონალ-სოციალიზმი იბრუნებს იმაზე,
რომ ასეთი ელემენტები გაქრნენ, ამისათვის
ჭერ დიანოზი უნდა დაისვას: ვინც ახალს
ქებებს სიახლისათვის — გვიცა. უწინ ასეთებს
საიყვეთში გზავნიდნენ. არც ნაციონალ-სოცია-
ლიზმი მოითმენს ელტურის ფრონტზე ამგვარ
ჯამბაზობასა და უქნარობას.

ბოლოს განაჩინეუ გამოიტანა: ისინი თავიან-
თი სტილის გარდაქმნას ვეღარ შესძლებენ, ვერ
იქცევიან მომავლის ხელოვნების მედროშეებად
და ამიტომ უნდა განდევნილ იქნეს ხელოვნე-
ბის სფეროდანო...

...ნავაზი რომ დაიყუფებს, ფინები წაქეწავს
შორთავენო — პიტლერმა რომ ასეთი კურსი
აიღო მის მიერ „ხელდასმულეზბაე“ იგივე
„ახალი“ განავითარეს:

თუ ვინდათ, მიაღეთ ეს პარობები, არადა
წათრბეთ აქედანი — ასეთი იყო მათი პოლი-
ტიკა.

იმ დღიდან დაიწყო ნამდვილი ცოდვის ტრი-
ალი, ვაუგონარი თარეში ხელოვნების სფერო-
ში. საქმეში ისევ ფრეიკი და მისი პოლიცია,
ჩაერია. იგი უკვე ასრულიად გერმანიის იმპე-
რიის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და უფ-

რო უღლებამოსილიც. მისი განკარგულებით სამინისტროებში, თეატრებში, მუზეუმებსა და კინოსტუდიებში დაინიშნენ ე. წ. „ხელოვნების კომისიები“ (Kunstkommissaren). ისეც ის ციკლები, პინელი და სხვები, ხელმძღვანელ თანამდებობებზეც „ნამდვილი ნაყისტები“ დაინიშნეს, რომელთაც ხელოვნებისა და ლიტერატურის არაფერი გაეგებოდათ. ბევრი ბუნებურად თანამდებობა კი არ ამშვენებს ადამიანს, არამედ ადამიანი თანამდებობასო, მაგრამ ამას ვინ უყურებდა. მთავარი ცოდნა კი არა, ბოროლი იყო. გვეგონებოდა მტრის ლაშქრის წინააღმდეგ სამკერძო-სასაციოცხლო ომისათვის ემზადებინარო. „ღმერთების სასაცილოდ“, ბიბლიური ლოზუნგიც ვადმოსიროვს:

— თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ... „ხელოვნების მოყვარებებმა“ მთავრობას მიმართეს წერილით გამოყვარათ მუზეუმებიდან არასასურველი ნაწარმოებები, ვეწმინდათ ხელოვნების დაწესებულებანი „არადადამიანებისაგან“. საქმეც ისე წარმოადგინეს, თითქოს ეს ხალხის მოთხოვნა იყო. ხალხს კი ნაკლებ აინტერესებდა ყოველივე ეს, მაგრამ ასეთი ზნაური რომ ატყდა, ყველამ ყური ეკვიტა, ეს რა ზღაბო. ხელისუფლების განკარგულებით ჯერ კარლსრუეში, ნიურნბერგში, დრეზდენსა და ჰემნიციში, ხოლო შემდეგ სხვა ქალაქებშიც გაიხსნა „საშიინებლბათა ვალდრიები“ (Schreckenskammer), სადაც „არა გერმანული სული“ თხუნიების“ ნაწარმოებები გამოჟინეს, ვითომ შოლით, ნახეთ, ეს რა საზოზრობათაო. პრესაში ამ გამოფენებს უწოდებდნენ: „ხელოვნების კონტრარეოლუციას“. „მტერ-მოყვარის გათიშვას“ (Freund-Feind-Scheidung), „ნაგავსა და ტალას“ (Schmutz und Schmutd).

ამას პირდაპირი ტერორი და რბევა მოჰყვა. იმ საშინელი ამბების მოწმე როზე ვილანდი ყვებოდა:

— მოიერიშეები დანებით იყვნენ შეიარაღებულნი. ისინი ჭრიდნენ, ზედნენ და წვადნენ სურათებს, მუზეუმების ეზოებში დათოებული კოცონის კვამლის სვეტებიც ცას წაღებოდა: იწვოდა მასონის, მიროს, პიკაბის, ვილანდონის, კლევს, ერნსტის, ლეფეს, პიკასოს, კირლინიგისა და სხვათა სურათები. ვინც შეშლო თავს უშველა, ვინც არა, საკონცერტაციო ბანაკში მოხვდა და ცნობილი მხატვრის კეტე კოლვიცის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. იყვნენ ისეთები, რომელნიც გერმანიაში დარჩნენ და ნეიტრალური პოზიცია დაიკირეს. ისინი ხიფათს ვრიდებოდნენ, არავის არაფერშია არ ეწინააღმდეგებოდნენ, იყვნენ თავისთვის და ითმუნდნენ ყველაფერს. ომის შემდეგ მათ ესეც „გმირობად“ ჩაეთვალათ და „შინაგანი ემიგრანტების“ სამართი ტიტულიც მიიღეს.

იმ მძიმე დღეებში ტუმპოლსკი წერდა არნოლდ ცვაიგს:

— ჭეუყანა მარტო ის კი არ ამოიკრასდა, ყვეთებს, არამედ რასაც იტანს და ითმუნს...

„შინაგანი ემიგრანტებიც“ იტანდნენ და ითმუნდნენ. მათ პირველ დღეებში ჯერ კიდევ ჰქონდათ პირიქების თავისუფლების ილუზია, ხოლო როცა ყველაფერი გამოიშვლა და ამკარა გახდა, თავიანთის თხზავდნენ რაღაცეებს, რაც ხელნაწერის სახით გადადიოდა ხელდან ხელში. ზოგიერთი მათგანი მსხვერპლადაც შეეწირა ამ გაბედულებას (ვერნერ ბერგენგერტერი, რაინოლდ შნაიდერი, ალბრეხტ ჰელსპოფერი) სხვებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც „არასასურველი“, „არასაიმედო“, მაგრამ ითმუნდნენ და იტანდნენ...

„აბორიგენი მწერლები“ ამას სულიერ წინააღმდეგობას (geistige Widerstand) უწოდებდნენ, თუმცა არავის წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ. ვარეგნულად ისინი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი პიტლერულ რეჟიმისადმი, საკუროების შემთხვევაში ტამსაც უკრავდნენ საქართო ადგილებში, მაგრამ შინ, ოჯახში, თავისთვის, საყუთარი „შეს“ წინაშე, თითქოს წინააღმდეგნი იყვნენ იმისი, რაც ნაციონტურ გერმანიაში ზღბოდა. მართალია, ეს ჩვენებრი „ამირან გულში მღეროდასო“ ჰგავს, მაგრამ ისიც უხადია, რომ მათი წიგნები არ იყო ნაციონალ-სოციალისტური სულისკვეთებით გაუღენითილი. ზოგიერთ მათგანში კი შედარებით, ვითომ შორეული წარსულის ამბების მოყოლი, ნაციონტური რეჟიმის საწინააღმდეგო აზრებიც იყო გატარებული. ასე მაგალითად, რაინოლდ შნაიდერის რომანში „კონკვიტადორები“ დომინიკანელი პასტორი ეუზენება კაიზერს:

— ცული საშუალებებით კარგს ვერ მივაღწევთ, თქვენი უდიდებულესობაგ. ჩვენი საშუალებანი კი ცუდაა, მე რომ შემეძლოს სემაროლის საყე მივიტანოთ თვალებთან, იგი წინ დაგაყენებდათ ათასჯერ უფრო საშინელ სურათის და ყველა სირცხელით დაიწვევოდა, ვინც ამ სარკეში ჩახედავდა...

ვალტერ მოლო და ფრანკ თისი ამიტომაც წერდნენ თ. მანს, გერმანიაშიც იყვნენ ღირსეული მწერლები. თის ველისხმობდნენ ისინი ამ „ღირსეულებში“? შეიძლება ჰაუპტმანს, კელერმანს, ფალადას, ბენს, ხუმს, მოლოს, იუნგერს, კაროსას ან ბერგენგერტენს, ბრატინგს, ვიპერტს, ედმილს, ლემანს, პეტეოლდსა და „დახვეწილი ბუნდოვანობის“ თუ „ესთეტიკური ესეკიზიზმის“ სხვა წარმომადგენლებს, რომელნიც ავითონ ქმნიდნენ თავიანთ „ხელოვნურ არკადიას“, ვარბოდნენ წარსულში, იდილიურ ფანტასტიკაში, სილამაზის მარადიულობაში და პასტორალურ სანტიმენტალიზმში. ისე, კაცმა რომ თქვას, არავინ არაად არ გაქცეულა. ისინი შეეგუენ იმ „ორნაირ ცხოვრებას“ და სა-

ტანის სამოთხეშიც არც ისე ცუდად ვრძობდნენ თავს. იყენებენ, რა თქმა უნდა, ბორპეტრის მსგავსი გამოყვანილები, რომლებმაც ტრავიკულად განიცადეს და აღიქვეს ის საშინელი ამბები. ის კი არა, 24 წლის ნიჟერმა შერალმა ეფუენ ვოტლიბ ვინკლერმა ველარ აიტანა ნაციონის მოქალაქე და 1936 წელს თავი მოიკლ. ეს უკვე არა „ესთეტიკური“, არამედ ნამდვილი „ესკეპიზმი“ იყო. ასევე მოიკლა იოზან კლუბერი. მან იმდენი დევნა განიცადა გერმანიაში, რომ ვერ გაუძლო, ჯერ „გაიღწა“, ნაციონტების მოსაწონი რომანი „მაშაც“ დაწერა, მაგრამ ველს შაინც ვერ მოერია, და... 1942 წელს ცოლთან ერთად მოიკლა თავი. ზოლო ვინც არ „გაიღწა“ და არ „გაეტყდა“, მათი ნაწარმოებები დაწვეს, სურათები კი მუხუდებშიდან გამოყარეს და გაანადგურეს. თანამედროვე მხატვრობის ყველა გამოყენა დაიხურა. დაიწყო მუხუდებში და სახატვრო ვალერებიების ტოტალური წმენდა, რასაც „გამწმენდ ომს“ (Säuberungskrieg) უწოდებდნენ. მერე ისეო „შემპარწუნებელი“ გამოყენა“ (Schäuderstellung) მოაწყვეს. კანდისკის, დიქსის, კლევს, კოლტვიცის, ნოლდესა და სხვათა სურათებს საჯარო „ლიწი“ მოუწყვეს. თასზე მეტი „შემპარწუნებელი“ სურათი მიიტანეს მიუნხენის არქეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში და დერეფნის შავად შეღებილ კედლებზე მიაქედეს ან მიჰყარეს ექსპოზიციის ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე. მხატვრების სახელები კი შვე ბოძზე გააქრეს.

— ამ სურათების ავტორები თვითონაც უნდა გაქრან ამ ბოძებზე, რომ ყოველ გერმანელს მიეცეს საშუალება სახეში შეაფურთხოოს მათ. — გაქვიროდა მიკროფონში მხატვართა პალატის პრეზიდენტი ციკლერი.

მერე თვით პიტლერმაც იწება გამოსვლა. მან მოუწოდა ხალხს მოდიოთ და ნახეთ, ეს რა შემპარწუნებელი რამეაო.

გამოყენას მართლაც უამრავი ხალხი მიაწყდა. დღეში 20 ათასი კაცი მოდიოდა ამ სურათების სანახავად. კვირას 36 ათასი მყურებელი იყო. ზოგი აღშფოთებულს გამოთქვამდა, სხვებე საყვარელ მხატვართა ნაწარმოებებს ემშვიდობებოდნენ.

შემდეგ პიტლერმა ბრძანა, მიუჩიოდან ეს საშინელება არაფერ არ უნდა ნახოსო და პოლიციელებიც მანინე დადტრიალდნენ. იმავე დღეს 5 ათასი სურათი და 12 ათასი გრაფიკული ნაწარმოები ნახადგურის საწყობებში ჩაყარეს. მერე ის საწყობები ხორპლის შესანახად რომ დასკირდათ, მათი მოსპობა გადაწყვიტეს. დოქტორმა პოფმანმა განაცხადა: ეს სურათები დაეწეათ და პანაშვიდზე სულის მოსახსენებელ სიტყვას (Leichenrede) მე წარმოვთქვაო.

გებელსი ჯერ შეუყოყმანდა, გერინგმა რამდენიმე სურათი შინ წაიღო, ზოგი რამ უკონკრეტო ბმაც იყიდეს, დანარჩენი კი დაწვეს...

...ამის შემდეგ გამოყენების ორგანიზაციის თვით პიტლერი ჩაუდგა სათავეში. მისი მთავარი კონსულტანტი ამ საქმეში ფოტოგრაფი პოლმანი იყო, ჯერ იგი ვაცხრიალავდა ექსპოზიციას თავისი გემოვნების მიხედვით, შემდეგ პიტლერი ამალასთან ერთად ჩამოუთოხარებდა გამოყენას, თან მათრახით ანიშნებდა სურათებზე და იძახდა:

- ეს კარგია!..
- ეს დატოვეთ!..
- ეს ჩამოხსენით!..
- ეს დაწვიეთ!..

ზოგჯერ ისე ვახელდებოდა, თვითონ მივარდებოდა სურათს, ძირს დაანარცხებდა, ზედ ფეხებით შედგებოდა და ყვიროდა:

- ამის დამხატვავი საფეფეთში ვაგზავნეთ!..
- ამის, საკონცენტრაციო ბანაკში!..

ეს განკარგულებები მაშინვე სრულდებოდა.

ჩამოხსენი ღირებობები...

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანული მუსიკა. ამბობენ, ხელოვნების არც ერთ დარგში არ გამოუჩენიათ ნაციონტებს ისეთი ვულგოდინება, როგორც მუსიკაში. „ტოტალური პოლიტიზაცია“ მუსიკასაც შეეხო. აქ მათ გარკვეული პოლიტიკა (Mugikpolitik) ჰქონდათ: თავიანთ მიზანდასახულებასათვის დაემორჩილებინათ ის 80 ათასი პროფესიონალი მუსიკოსი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდნენ. მართალია დიდი ნაწილი გამოჩენილი ებრაელი მუსიკოსებისა საზღვარგარეთ გაიქცა, დანარჩენი კი საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს, მაგრამ „წმინდა სისხლის არიელი“ კომპოზიტორების, ღირებობებისა და შემსრულებლების მიწე საქმოს რაოდენობა დარჩა გერმანიაში. ამათგან შეადგინეს გაუგონარი სახელწოდების მუსიკალური კოლექტივები. შავალითად, დააარსეს „ნაციონალ-სოციალისტური სიმფონიური ორკესტრი“. იმართებოდა გერმანიის მუსიკა „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სახალხო კონცერტები“ და სხე. ორკესტრის წევრებს ნაციონტური უნიფორმა ეცვათ და ნაციონტურ ემბლემებს ატარებდნენ, ღირებობები კი ჯექმებით, მუნღირით და სვასტიკაში სამკლავებში დგებოდნენ პულტთან...

ისევე როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგებში, პიტლერებებს აქაც ჰყვედათ თავიანთი სალოკავი ხატები: ეგნერი, ჰეიენერი, ბრუენერი, რიხარდ შტრაუსი. უწინარეს ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, ეგნერი რომენბერგი წერდა: ბაირეთი არიული მისტიკის სრულყოფილი. ან სხვაგვარად: — დასავლეთის მთელი სულიერი პოტენცია

ვაგნერში გამოიხატაო. ამიტომაც „ნეიტრალური პირებიც“ რომ ამბობდნენ:

— როცა ფილოსოფოსები შილერს პირველ ნაციონალ-სოციალისტად თვლიან, ეს სასაცილოა, მაგრამ როცა ამასვე ამბობენ ვაგნერზე, ამას ნამდვილად აქვს საფუძველი...

ვინ იცის, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ისეთი დიდი კომპოზიტორის, როგორც ვაგნერი, ასე ხელაღებით შევეყნა „ნაციონალ-სოციალისტურ პანთეონში“, იქნებ უხერხულიც იყოს. ვაგნერი ცნობილია თავისი ანტისემიტური განწყობილებებით. 1950 წელს მან გამოაქვეყნა სტატია „ეზრაელობა მუსიკაში“. სადაც იცხადებდა:— ებრაელი მუსიკა ჩვენთვის ისე ძვურს, თითქოს გოეთეს ლექსს ვინმე ებრაელი აქცენტით კითხულობდესო...

ვაგნერი თავის სხვა სტატიებშიც გამოთქვამდა ანტისემიტურ აზრებს. იგი თავს დაესხა მენდელსონს და სხვა „აპასფერულ კომპოზიტორებს“. ეს დაუფასეს მას პიტლერელებმა. მენდელსონის ძეგლი დაანგრეს და რაც შეეძლოთ შეიტმასნენ ვაგნერის დიდ ავტორიტეტს. პიტლერმა რამდენჯერმე ინახულა ვაგნერის საფლავი. მას აღდგენ კომპოზიტორის ოჯახის წევრები. შემდეგ პიტლერი ამ ოჯახის ზვირი სტუმარი იყო და, ხომ გახსოვთ, ბოლოს ჩაახიძებაც რომ მოუნდომა.

უიფრიდ ვაგნერმა ჯერ კიდევ 1923 წელს განაცხადა:

— მოელმა ბეირეიშმა იცის, რომ ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს კულტურულ-პიტლერთან. ეს კაცი უდიდეს შემქმნელებს აღდგენს...

როცა პიტლერი ციხეში იქდა, უიფრიდის უგზავნიდა მის საწერ-კალამს, მელანს, ჯალალდს. შემდეგ იგი ამუშობდა კიდევ, რომ პიტლერის „ჩემი ბრძოლა“ მის მიერ გამოგზავნილ ჯალალდებზე იყო დაწერილი.

იმევე პერიოდში ვაგნერის წარგში შევიდა პიუსტონ ჩემბერლენიც, რომელმაც ვაგნერი შეირთო ცოლად. თვითონ პიტლერი კი, როგორც მოგვხსენებთ, ომამდე ვაგნერის არც ერთ ფესტივალს არ აცდენდა. იგი ხშირად ისმენდა ვაგნერის ოპერებს და თავის ალტაეებს გამოთქვამდა.

მე ამაზე საუბარიც „საპოთიოო საქმედ“ გერვენება და ისევ თვით გერმანელების ავტორიტეტულ მსჯელობას ვეფარები:

თომას მანი კატეგორიულად წერს:

— გერმანელები უნდა არჩევანის წინაშე დააყენონ: გოეთე ან ვაგნერი. ორივე ერთად შეუძლებელია. მაგრამ მე მეშინია, რომ ისინი ვაგნერს ირჩევენ...

პირადად მე თავს ვარიღებ ამ საკითხზე მსჯელობას. რაც არ უნდა იყოს, ვაგნერი მაინც ვაგნერია!..

□ ბაზრძელობა იმდობა □

პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

მეცნიერი, ლინგვისტი, ლექსიკოლოგი, ფილოლოგი, მორალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და უებრო პატრიოტი, დიდი ადამიანი, მოქალაქე, ბრძენი მოაზროვნე, აი ვინ არის სულხან-საბა. ასეთი იყო, არის და ასეთად დარჩება იგი ქართულ ეროვნული კულტურის ისტორიაში.

სულხან-საბა მოღვაწეობდა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა იმ პერიოდში, რომლის შესახებაც დეით გურამიშვილი გვაუწყებს, „ქართლის ჭირსა ვინ მოსთელისო.“

ერისთავის ყოფილი მტერი მძიმე ასატანი და საშიშია, მაგრამ როდესაც თავისი სისხლი და ხორცი, თავისი შუბლი და გული, საკუთარი აზრი და გრძნობა, საკუთარი მკლავი და მარჯვენა გაჯოჯობდება; ეს უველა დასეტყვავებულია, ყველა ჭირ-ვარამზე უმძიმესია, ეს არის, პირველ რიგში, სულის მწგრველი მარცხის ძეგლი... როდესაც ადამიანი კარგავს ყველაფერს ადამიანურს და გადაიქცევა მხეცზე უარეს, საშინელ სატანად.

ამ პერიოდში, სპარსულ-ყიზილბაშური ცხოვრების შედეგად, ხალხში მოიხსოვრობენული ტრადიციები, ადამიანი მორალურად დაბრმავდა, განადგურდა და ხორციელ სურვილთა სრული მონა გახდა.

პარცეისა და მონობის ობიექტურ სიტუაციაში აღვივალდ მოიკიდა ფეხი „დღევანდლობის“ ფსიქოლოგიამ, მომავალზე ფიქრი და ზრუნვა მთლიანად მოიხსოვრა და ადამიანი ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელ ნეტარებაზე, ვერ გრძნობდა მწარე ლუქმას და მოცული იყო მიხევიის სტრეიდებით... რის სამშობლო, რა სამშობლო, რა სამშობლო... რის ქვეყანა, რა ქვეყანა... იმდროინდელმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა ვითარებამ შექმნა,

კამლეთის სიტუაცია რომ ვიხმაროთ, „დროის მორალური ამოვარდნილობა“ დგება დრო, როდესაც, ვაჟას თქმით, სულს ეკიდება ობი, ხოლო სინდისი ეანგდება.

თუ რა მორალურ კატასტროფამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, საქმარისია გავიხსენოთ მეჩვიდმეტე საუკუნის ვარშოვება, როდესაც უხამსმა, გამაჰმადიანებულმა ერეკლე პირველმა (ნაზარალიხანად წოდებულმა) ირანის ყარებთ დაიკავა ქართლის ტახტი. ხოლო 1723 წელს ქართლის მეფემ, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ ლეკების დახმარებით აიღო და გადაწვა თბილისი.

ასეთ სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციაში სულხან-საბა ეწვივნება ერს, როგორც მოღვაწე-პატრიოტი, ერის ვარშის მოჭირახტულ... იგი, პირველ რიგში, ცდილობს ხალხს გაუღვივოს მაღალი წარმოდგენები მოვალეობაზე, ნდობაზე, სიყვარულზე, სიმართლეზე. იგი ცდილობს ხალხს გაუღვივოს პატრიოტული გრძნობები, რათა მთელი თავისი ძალითა და ღონით ებრძოდეს უგვიანობას, უხამსობას და არაკაცობას. იგი მთლიანად ემსახურება დემოკრატიის პრობლემებს და ოცნებობს გამაყვარების ქართული კაცის პიროვნებას, ათამაღლოს იგი და გახადოს ზნესრული. სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში მთავარი ყურადღება ეთმობა დემოკრატიული ფსიქოლოგიის პრობლემებს. მისი შემოქმედება განსაკუთრებულად საინტერესოა თანამედროვე პერსონოლოგიური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიისათვის.

დიდად მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები სულხან-საბას ფსიქოლოგიური შეხედულებების შესახებ ეკუთვნის ჩვენს გამოჩე-

ნილ ფსიქოლოგს ალექსანდრე ფრანგიშვილს ხოლო შალვა ნუცუბიძე წერს: „ს. ს. ორბელიანმა შეადგინა არა ფილოსოფიური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ფილოსოფიური ცნებანი ჩართულია საერთო ლექსიკონში, რომელიც ცოდვის ენციკლოპედიის მაგვარია.“

საბას ლექსიკონში ისეთი დარგის ცნებათა მასალის შესწავლის ნიადაგზე, როგორცაა ფსიქოლოგია, გამოთქმულია მეცნიერებაში აზრი, რომ მიუხედავად ფსიქოლოგიურ ცნებათა საერთო ლექსიკონში ჩართვისა, ფსიქოლოგიური შეხედულებანი ს. ორბელიანისა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფსიქოლოგიური სწავლის ერთგვარი სისტემა¹.

როგორც ცნობილია, ორბელიანის „ქადაგებანი“ არ წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს. ვიწრო ვაგებით, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ისეთი დონის, სიმადლის, სიღრმის, მკვერთტყველებისა და მიზანდასახულობის „რატორიკა“, რომ მისი მიმართვა საზოგადოებისადმი უმკველად ახალი სიტყვა იქნებოდა. სიტყვა ანგარიშგასაწევი, შესასმენი, უყოყმანოდ მისაბამი და ზნეობრივად ძვირფასია. ამვე დროს, აღნიშნულ ნაწარმოებში არის ის, თუ რა აწუხებს ავტორს, რით ცხოვრობს და რას ემსახურება იგი. აქაა მისი სულის თქმა, სინდისის ხმა, გულისხმადების გადამლა და წმინდა მოწოდება, რათა ხალხმა იცნოს თავისი თავი. შეიგნოს და იწამოს საშობლოსათვის თავდადებას აუცილებლობა. „პოპილისტიკა“ ანუ „ქადაგებანი“ იმ დროისათვის წარმოადგენდა ინფორმაციის ერთ-ერთ აქტიურ გზასა და საშუალებას. ორბელიანი მოუწოდებდა ხალხსერს საშობლოს ჭირი შეუშუბუქონ და ეროვნული იარა მოუშუშონ.

ქადაგებათა სემანტიკური სექტორი ვაშლილია ენციკლოპედიზმის პრინციპზე: აქ წარმოდგენილია მეცნიერება (ლინგვისტიკა, მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორი.) რიტორიკა (თეორია და პრაქტიკა), თეოლოგია, ფსიქოლოგია, მორალისტიკა და დეონტოლოგია. შალვა ნუცუბიძის აზრით, „ს. ს. ორბელიანი მრავალმხრივი მწერალი და მოაზროვნე იყო. როგორც ასეთი, იგი თვალსაჩინოა მორალური ფილოსოფიის სფეროში, სადაც მას ცხოვრების საკითხები აქვს საზოგადოებრივ საზრისით განხილული. აქ მიეყუთუნება მისი არაკების მორალური ვაგება-ინტერპრეტაცია.“ და იქვე—„რა თქმა უნდა, ავტორის გონებრივი ვითარებისათვის მნიშვნელოვანია მორალური ფილოსოფიის მოტივები და მიზანდასახულობა და პედაგოგიური შეხედულებანი. ისინი არა მარტო არკვევენ ს. ს. ორბელიანის

გონებრივი მუშაობის არეს, არამედ თანამედროვე ვითარების ანარეკლს, იდეოლოგიურ ასახვას წარმოადგენენ. ავტორი, ღრმად შორალურ ფილოსოფიასაც არ უწყურბრდამ განწყენებულად და აქ იმდენად მზილებს მიზნები არ ბქონდა მხედველობაში, რამდენად თანამედროვეებზე ისეთი ზეგავლენა, რაც, საბოლოო ანგარიშში, იმავე აღმზრდულობით მიზნებს ისახავდა.“¹

სულხან-საბას ვაგებით ბუნებაში არსებობს კეთილი მიზნობრიობა და კეთილი წონასწორობა. არაი „მოთელი და კაქლის ზე“ ილუსტრაციას იმისა, რომ ყოველ სავანს თავისი ადგილი აქვს, თორემ კაქალი რომ ყოფილიყო ნესვის სიმძიმისა და მოცულობისა, იგი ადამიანს ნათს გაუქულებდა. ავტორი მიკვიითობს შევიცნოთ ბუნება და, პირველ რიგში, ჩვენი თავი, რათა საყუთო მოქმედება ყოველთვის გააზრებულ-მოფიქრებული იყოს.

ორბელიანს უნდოდა ეთქვა: „მე ზღაპარს გუბუნები და სიბრძნეს კი ვამცნობ“, ხოლო ჩემი „სიცრუე ნამუსიანია“, ამბობდა დიდი ილია.

სულხან-საბას შემოქმედებაში სიცრუე მხოლოდ ქარგაა, დედააზრი კი ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური, მორალისტიკურ-ფსიქოლოგიური და დეონტოლოგიურ-ფსიქოლოგიური ძარღვის მქონეა.

ორბელიანს კარგად ესმის, რომ „ქუზიანს საფლავი ვასწორებს“ ამიტომ იგი ისწრაფვის და ილწვის ახალგაზრდობის მორალური სიფაქიზისათვის.

„სიბრძნე-სიცრუისა“, თავისი სათურით, კონსტრუქციითა და შინაარსით, უაღრესად სინტეტისა პერსონოლოგიური ფსიქოლოგისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სულხან-საბას შემოქმედებითი გენია წარმოდგენილია მეტად მარტივი, ნათელი, თვალსაჩინო და ცოცხალი მავალითებით, რომლებიც ანდა-ზატური ძალით აიძულებს მსმენელთ ჩაფიქრდნენ. მოიკრიფონ ყურადღება და გამოიტანონ სათანადო დასკვნა. მავალითებში მოკემული სწავლება და, საერთოდ, განზოგადებული ფორმულები, თავისუფალია მშრალი, მოსაბეზრებელი მეტროპობისაგან და წარმოადგენს გამართლებულ, ყველაზე ევრისტიული ზეგავლენის გზას. არაკების სახით გადმოცემული სიბრძნე უფრო ადვილად ზედება გულს. აქ ავტორის მიზან-სწრაფვას ემატება ძალა და ზეგავლენის შესაძლებლობა. აღნიშნული ფორმით მოწოდებულ მორალისტიკურ და დეონტოლოგიურ დებულებებს უფრო ქმედითი ფსიქოპრაფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

¹ შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი, მეორე, თბილისი, 1958 წ.; გვ. 237.

ს. ორბელიანის უსაზღვრო შემოქმედებით ძალა შევეთრად ჩანს როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმ ნაწარმოებებში. ამ მხრივ საყურადღებოა ალექსანდრე ბარამიძის აზრი, ის წერს: „სულხან-საბა ორბელიანი როდია ქი-ლილა და დამანას მხოლოდ გამლექსავი. იგი ნამდვილი შემოქმედი ავტორია (ან თანავტორი) ამ ჩინებული წიგნის ქართული რედაქცი-ისა, ქილილა და დამანას დამუშავების პროცესში ნათლად გამოშვლანდა სულხან-საბა ორბელიანის იშვიათი დაბელოვნება ლექსო-წყობაში. მისი ფართო პოეტური ერუდიცია, დახვეწილი გემოვნება, უხადო შემოქმედებითი ნიჭი და ბოლოს, მისი ასაყისათვის უწყე-ულო შგზნებარება და ტემპერამენტა“¹.

სულხან-საბა შემოქმედების ფსიქოლოგიის ეტაპო წარმომადგენელია იგი გვაფრთხილებს, რომ ხმაურით, ხამაღალი უფეთთა თუ ყო-ვილით სოფლად არაფერი გაკეთდება, აუცი-ლებლად საჭიროა ინიციატივა და მოფიტრ-ბული ქმედობა, ჩვენი ერწმუნდებით, რომ ცნე-ბას „ანაკლუხოს“² მოსდევს იმედგაცრეუება, ბოლმა და დეპრესია; ამიტომ ტირილი და ცრემლით მოთქმა უნდა შეიცვალოს შრომით, გარჯით.

ორბელიანი სვამს საკითხს: „რომელსა კაც-სა ნასდებია საკმელი უხელოდ, რომელსა შე-პმოსისა საშროლი გავრჯელად“³. ავტორი გვაფრთხილებს, რომ უმოქმედობა ოქროს ქვად იქცევა, ხოლო ავად ქონება არქონებაზე უა-რესიანა.

ორნახევარი საუკუნის წინათ ორბელიანის შემოქმედებითმა ინტუიციამ წამოაყენა დებუ-ლება, რომელიც მხოლოდ ჩვენი დროისათვის, იქნა ექსპერიმენტული შეცნეირების მიერ და-დასტურებულ-ალიარბულია. მხედველობაში მაქვს თუხისი, რომ შრომა არა მარტო სულიერ-ი საღწეის, არამედ ნიუთიერი დოვლათის საწინდარია.

ორბელიანი სრულიად ვასაგებად წერს: „მუ-შაენი, მომთმინენი სიყბეთა და სიცივეთანი, ვითარ ოფლითა დენითა განაჩარბებენ და გან-დენითა უმაშენოთა ჰაერთა და მანეთა სნე-ულუბათა, და იშვიათ არიან მუშაენი შრომისა მომთმინენი სნეულ, არამედ, რომელნი უღებ-და მჟამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მყერნალთა და მკენესელ და

შევაღალე და ვერცა მოითწუნენ სნეულუბა-თა მათთა“⁴.

დოსტოევსკიზე ბერად დამტყუანდეს⁵ მტრე სულხან-საბამ მოგვეწოდა ტრამპული⁶ მისაზა-მაკისა და საამაყის ბილწიერების შესახებ. როგორც ვიცით, დოსტოევსკიმ მხოლოდ გა-სული საუკუნის ოთხმოციან წლებში, პეტეი-ნის საზეიმო დღეებთან დაეკავშირებოთ, საყა-რად წამოაყენა დებულება: «Трудись proudly человек».

მორალურად ამოვარდნილი პიროვნების ვა-საგებად სულხან-საბა შესძახის: „მოი სიმდაბ-ლეო კეთილო და მრავალვასო და არა აღვი-ლად სავაჭრებლო“.

ჰოი, სიმდაბლეო პატიოსანო, რომელი არა არს სასიყვლელო...

ჰოი, სიმდაბლეო უპოვარო, რომელი არა იპოვების“⁷.

აღნიშნული მოწოდებანი ანტიპოდიან შერისა და მოხვეჭისა, ხოლო სიმდაბლე უნდა იყოს პიროვნული თვისებებით ნაყარნახევი. მოვეს-მინოთ ავტორს:

„ჰოი, დიდი და საკვირველი სიმდაბლე, პა-ტიოსანი და საქებელი, სიმდაბლე მწელად მო-სავაჭრებელი და ადვილად საპოვნელი“⁸. და იქვე „სიმდაბლე არს სიმდიდრისაგან სიმჭირ-სა ნდობა, რომელ არს სიმალისაგან დაბლა ზამოხვლა, და არა უდიდესისა და უდიდესისა წაილი. სიმდაბლე არს ამპარტავენებისა მოყ-ვეთა აღუზავებლობა“⁹. ხოლო ამპარტავენება არის მეტად უარყოფითი და საზიანო თვისე-ბა, რომელიც ადამიანს ამდაბლებს მორალუ-რად და მის არსებობას აზრსა და დანიშნულე-ბას უვარჯავს.

სულხან-საბა წერს: „ამპარტავენება ესე არს თვისის ნაქმარის მიწონებელი და უმსგავსო დიდების მოყვარე, გულმაღალი და სწაელის მოთაილე“¹⁰. და იქვე: „ამპარტავენება არს საზოგადო ყოველთა კაცთათვის, რამეთუ მდი-დართა შორისცა იქმნებოან ამპარტავენნი და ვახსათაგანიცა, ანუ უბრთათაგანცა და უანონონი, უღირსთა სიმალისა მდომელინი“¹¹.

ავტორი ამასთანავე გვაფრთხილებს, რომ კეთილი საქმე და კეთილი მოქმედება ყველა-ფერია, ხოლო ზეაობა არაფერია: „ნუ, საყა-რელლო, ზეაობა მოცესა მოგობდეს, მიირ-ბინე საფლავად და მოიხედენ ზეაობა და მდაბალთანი, მეფეთა და გლახკეთანი, აზნაურ-თა და მონათანი, შშენიერთა და უშვერთანი“.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი I „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ. 27.

² „ანაკლუხოს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშ-ნავს უყირილს, მოთქმით ტირილს, ცრემლით ჩვილს.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963 წ., გვ. 50.

² სულხან-საბა, ტომი III, გვ. 53

³ იქვე, გვ. 54

⁴ ს. ს. ორბელიანი, ტომი 4, 1965 წ. გვ. 56.

⁵ იქვე, გვ. 56.

მწყაზართა და გონათაი, და მაშინ განქარდეს ზეთობა შენი¹...

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მაღალი, პატრიოსანი და კეთილი განცდა, ეს არის სიყვარულის ემოცია, რომელიც ადამიანს ამშვენებს, აქეთილშობილებს და ქმნის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთ მზრუნველობის სიტუაციას. სულხან-საბა მიგვიითხებს: „მოი, დიდ არს სიყვარული და ყოველისა საინთებისა უადრესი და ყოველთა მაღლით უდიდებულესი და უბოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატრიოსნებათა უწარჩინებელა“² უფრო მეტიც, სიყვარული თერმე უოფილა ეტყუარო ფსიქოპროფილაქტიკური საშუალება, სულხან-საბა გვაფრთხილებს — სიყვარულის ვარეშე დაძაბუნდებით: „ყოველს კაცს სიყვარულს უნდა აჩვენებდეს, თვარა, რა გავამტარედ და ევლარ შეიძლო დაძაბუნდები“³.

პატივი და სიყვარულის გრძნობა, პირველ რიგში, უნდა გამოიჩინოთ მასწავლებელთა და მშობელთა მიმართ, ხოლო ყოველ ღირსეულ გამზარდელს შეუძლია უფხრას თავის მოწვევას: „მე ჩემი ცოდნა, თუ რამ ვიცოდი, შენ ვასწავლე და მე ჩემთვის აღარა შევიჩანებ რა. აქ არ ვიცი, ხელთა გვეყვარ და ბევრს ავსაყ მიხამ“⁴ სიყვე შევირდის მხრივ ყველაზე საჩრახბა.

სულხან-საბას ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ მშობელთა გრძნობები შეიღისადმი პირობადებული სოციოლოგიურად და ბიოლოგიურად. პირიქით, უფრო პრობლემურია შებრუნებული ექპტორი — შეიღთა დამოკიდებულება დედ-მამასთან. ამ მხრივ ს. ს. ორბელიანი განსაკუთრებულ სიმტკიცეს იჩენს და ცდილობს შეიღთა მორალური მოდესი ამაღლოს. იგი შეიღისაგან მოითხოვს თავგანწირვას, რაც სიმბოლურად, სპირიტუებისას, სამშობლოსათვის თავდადებებს უდრის.

აღნიშნული ურთულესი პრობლემის ზუსტ გადაწყვეტას ხედავთ შემდეგ ლაკონურ ფორმაში: „შეიღმან ეგრე მოახსენა: თუცა შენ ვერგება, ჩემი თავი შენისა კირისამც ნაცულად იყოს, ამა, დამკალ, მამა შეიღსა შობს და შეიღი მამას ევლარა“.

სიყვარულისა და მამაშვილობის პრობლემის შემდგომ, ორბელიანი ეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურად დიდად მნიშვნელოვან საკითხს ამხანაგობის მიზნისა და აღნიშნულების შესახებ, აღვილი წარმოსადგენია, ადამიანთა შორის სიყვარულის გრძნობა ზადებს და აღვივებს ამხანაგობას, ხოლო უკანასკნელი სიყ-

ვარულის ზოგადი პრინციპის ვარეშე ფუჭი და უსაგნოა. ამრიგად, სიყვარული და ამხანაგობა ერთი მთლიანი პერსონალიზმურ⁵ კატეგორიაა.

ყოველგვარი ვახვიადების ვარეშე შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბას განმარტება ამხანაგობის ცნებისა არა მარტო აგებულია მაღალ სოციოლოგიურ, მორალურ-დემონტოლოგიურ და ზოგად ფსიქოლოგიურ პრინციპებზე, არამედ თავისი ფორმით წარმოსადგენს წარმტაც სიმფონიას, სადაც შობისმის ადამიანის დამამშვიდებელი და ამამაღლებელი ჰანგები.

მოვესმინოთ ავტორს: „თუმცა მფრინველს ეგოდენი გონი აქვს, წინასწარ გამოიკითხავს საქმესა, შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი, რად იქმ უგენისა, რად არ დაიდუმებ ცუდის საუბრისაგან ენასა.“

კარგი ამხანაგი აღტილად არ იშოვების, იფად ვერაგინ იყიდის, გზახედ ცუდად არ იშოვების.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდა მაღალია, სიმამრე დაურღვევია.

ამხანაგი ღზინი ფრიადია, სიხარულთა გამამაღრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის სამიფდონეა, უცნოს თანა გამოსაჩენია და მეცხერსა თანა მსოსამსხურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ყარათათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემამცემელია.

ამხანაგი კირში მომხმარია, სწულელაში მკურნალია, სიკედელში თავის წამებელია.

ამხანაგის უკეთესისა შენ რას იშოვნი. რად გქულან, რად ეშუღელი, რად ეყამათები. მე მრავალი კარგი კაცი მიჩანავს, მამაშვილობასა და მშობას გამყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქმპარო არა არის რა⁶.

ქვემარტი ამხანაგობა გელისხმობს გულწრფელობას გრძნობის აუცილებლობას; მისი ანტიპოდი არის ფლიდობა.

ადამიანის პიროვნებისათვის, როგორც იერარქიულად ყველაზე მაღალი აპარტისათვის, სპეციფიკურად დამახასიათებელია ინტეგრაციის, მთლიანობის პრინციპი. ს. ორბელიანის მიხედვით, მსგავსი მთლიანობა და ფსიქოლონამიკური ურთიერთსმენა აუცილებლად სავალდებულოა საზოგადოებისათვის.

არაკში „ოთხი ყრუ“ ავტორი მხატვრულად, ამავე დროს დიდი დამაყრებლობით ავგოწერს ვითარებას, რომ საქირთა ურთიერთშემენა, ურთიერთთაგება, დღევანდელი ენით

¹ ს. ს. ორბელიანი, ტომი III, გვ. 223.

² ს. ორბელიანი, ტომი III, 1963 წ. გვ. 92.

³ ს. ს. ორბელიანი, ტომი I, 1969, წ. გვ. 123.

⁴ იქვე, გვ. 135.

⁵ იქვე, გვ. 89.

⁶ ს. ს. ორბელიანი, ტომი I, გვ. 123.

რომ ითქვას, საჭიროა მორალურად ფაქიზი კომუნიკაციები. ხოლო დიდად კატასტროფული ვითარება, როდესაც „დიდნი და პატარანი, უველანი, უველანი დავყრუებულყარო“ (ტომი I, გვ. 28), თორემ რატომ არ გვესმის ურთიერთ ძახილი (მაღალი თუ დაბალი ხმით) და რატომ ხმას არ ვიღებთ, რამ დავგაუმუნჯაო.

სულხან-საბა აღნიშნავს, რომ კაცი თავის მოქმედებაში უნდა იჩინდეს სრდარბაისლეს, სიღიწესს, საჭიროა ყოველი საქციელის გააზრება და აწონ-დაწონა, ხოლო ემოციური სინქარე და დაუფიქრებლობა მარად საზიანოა, ამის მაგალითია ბაასი ობოლ ბავშვსა და დედას შორის: „ყო ერთი ობოლი მარტიელი, რა მოიზარდა, დედას ჰკითხა:

— დედა, ყოველს კაცს მამა ყვის, მე რად არა მყავს?

დედამ, უთხრა:

— შეილო, შენცა გყვანდა, მაგრამ წყალმან დაარბო.

შეილომ უთხრა:

— მას წყალზე ხიდი არ იდეა, მას ზედ გასულიყო.

დედამ უთხრა:

— იდეა, მაგრამ შორს იყო.

შეილომ უთხრა:

— ასრე შორს იყო, რომ აქამდის ველო ვერ მოუღოდა.

დედას გაეცინა და ეგრე უთხრა:

— თუ მაგდენი გაესიჭა, არც კი დაიბრბოდა.“¹

როგორც ვიცი, ქართული ერის დიდების პერიოდში რუსთაველის მიერ პიროვნების მაღალ დონეზე გამოქმედილია ცრემლის ანუ ტირილის პრობლემა. პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ტირილი გარკვეულ სიტუაციაში გვეხატება. როგორც შეტევითი ფაქტორი რეაქციის სიმბოლო; ზოგჯერ წარმოდგენილია, როგორც თანაგრძნობის ურყევი ნიშანი; ზოგჯერ ცრემლი სიმბოლური შეედრება დასახული მიზნის გამარჯვებისათვის. ამრიგად, ტირილი რთული პროცესია, რომელიც ადამიანის პიროვნების დონეზე დებულობს სულ სხვადასხვა მიზნობრივ შინაარსს.

ქართული ერის ურვისა და ვარაშის პერიოდში სულხან-საბას მიერ ხელახლად ისმება რთული პრობლემა ცრემლისა და ტირილის შესახებ. ხსენებული პრობლემა ს. ორბელიანის მიერ, აგრეთვე, განიხილება პიროვნების მაღალ რეგისტრზე, მაგრამ აქ ტირილს ეძლევა უფრო კმედიითი სახე და იგი განიხილება ანტიპოდურ რეაქციასთან დაპირისპირებით.

თანამედ დღევანდელი პერსონოლოგიური წარმოდგენებისა, ყოველი პიროვნული კატეგორია გვევლინება ანტიგონისტურ შეჯახება-

თა ჭიდილში, რის შედეგადაც ძლიერდება და ღრმავდება მოვლენათა არსის წყდრმა. შეუზნებლად მიმდინარე ორი ანტიგონისტური მოვლენა არამარტო ამდიდრებს ზეგნს წარმოდგენებს გარკვეულ ასპექტში, არამედ ამ გზით მოვლენის ვალებს გარემოზე უფრო კმედიითი და შედეგაინია.

ჩვენი დროის ცნობილი ფსიქოლოგი ზაგმუნდ ფროიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანი სიტყვისათვის ძნელად მისაწყდომი არსებაა და მას სჭირდება ჯობიო.

ფროიდი არ არის მართალი, ჯობისა და შიშის გზა ეს ცხოველის სპეციფიკაა და არა ადამიანისა. ასეთი მიმართებით ადამიანი არ სწორდება, არამედ უფრო მრუდდება, მორალურად შიშვლდება და ცხოველის დონეს უახლოვდება. მაგრამ ფროიდი მართალია, რომ იატონი სიტყვა, მით უმეტეს რთულ სოციალურ ვითარებაში, ადამიანისათვის ძნელად შესასმენია.

ადამიანის სულიერი ცხოვრების დიდ მკოდნესა და მესაიდუმლეს, ს. ორბელიანს კარგად აქვს გათავისუფლებული სიტყვის ძალა და ამიტომ იგი ცდილობს ტირილ-სიცილისა თუ სიცილ-ტირილის საშუალებით მოახდინოს ადამიანის პიროვნებაზე გავლენა, დაანახოს მის მისთვის შეუმჩნეველი და გააცონოს მისთვის გაუგონარი. მოვესმინათ ავტორს:

„ორნი კაცი იყვნენ ქალაქსა ერსთა. ერთი წამდაუწყუმ სულ ტირადა და ერთი სრულობით იციწოდა, რომე მოწყენილს ვერაინ ნახავდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: აზუ და კარგზე, საციწელზე და სატირელზე სულ რატომ სტიროიო.

მან ვარე თქვა: რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველი კაცი ამ საწყუთროს საქმეს შერებია, საუკუნო სასყელი დაუეწყებიათ, და მით ეტრი, ყოველი ჯოჯოხეთს იშენებენო.

ვარე მას მოციწარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაციწენბო.

მან ესრე თქვა: ეს სოფელი მოკლეა, ყოველი კაცი აეს შერებია, კარგს არ იქმოდნენ. ყოველ კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც, მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელია.

მის მსვავსად, შენთვის ვურჩე, ვიწუზე, ვინაღლე, გასწყაეღ, ჩემი ვერა მოგასმინე რა ახლა მეც სიცილს ძალი მივეც.“¹

მე მსმენია — დებულება ზნეობრივი მოსაზრებით სწორია, მხოლოდ საქმიანი მოსაზრებით არაა სწორიო. ყოველად დაუშვებელია ასეთი გათიშვა. შეუძლებელია არსებობდეს რა-

¹ ს. ს. ორბელიანი, ტომი I, გვ. 81.

¹ ს. ს. ორბელიანი, ტომი I, გვ. 136.

იმე დადებითი საქმიანობა ზნეობრიობის გარეშე; ხოლო უკველი სიკეთე უნდა თავდებოდეს მადლობის გრძნობით.

ავტორი წერს:

„ერთი გლახაჲ კაცი მივიდოდა გზასა. ნახს ორი გველი — ერთი შავი და ერთი წითელი, იბრძვის და შავი ერეოდა.

და თქვა მან კაცჲან: ამ წითელს ევირევა მოხმარება და მოვეხმარებო.

მივიდა შავს გველს ჯობი დაჰყრა და მოკლა.

მოვიდა წითელი გველი, თავი აღვიღებდა დაჰყრა და კალთას კბილით მოვიდა და გაზოდა. გაჰყვა ეს კაცი. ერთის კლდის ქვაბში მიიყვანა. ეგზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმდენი, და გამდიდრდა კაცი იგი!.

სწორედ ორბელიანის არაგვე იტყოდა ვეჲა: გველჲაჲ კი სიკეთე დაინახა და შეიგნო და შენ, ადამიანო, რატომ დაჰყარვე სინდის-ნამუსო.

სულხან-საბა ეხება სინანულისა და საყვედურის კატეგორიებს, რომლებიც აგრეთვე, პერსონოლოგიური ძიების საგანს წარმოადგენს.

ავტორი ჩერდება მარგებელ სინანულზე, როდესაც პიროვნების დონეზე ხდება მოკლენათა ანალიზი, რასაც მოსდევს აფექტური განტეირთვა და მდგომარეობის გამოსწორება:

— „სინანული ეს არს მარგებელი: რაჲმს ცოდვილი ადრე მოეგოს თავსა თვისსა და გონებათა თვისთა განიხილავდეს და შესტარიბდეს“.¹

მეგრამ პერსონოლოგიაში არის ცნობილი, აგრეთვე, ზიანის მომტანი ანუ ურგებელი სინანული, რასაც მოსდევს პესივიზმი, იმედგაყრუება, სასოწარკვეთილება, შეუქცევადი ბოღმა, ღრმა დებრესია და, შესაძლოა, თვითმკვლელობაც.

სულხან-საბა, როგორც მოქმედების ფსიქოლოგის წარმომადგენელი, საყვედურს განიხილავს, როგორც მეტად დაუმეგბელ და უარყოფით ფსიქოლოგიურ მოკლენას. მისი გაგებით, „სამაღლო საქმე მალეთა სქობს“ და დაუმეგბელია ეთარება, როდესაც „კაცი მან შენზე სამსახური ქმნას, იყვებდეს და ზეაობდეს“ (ტომი 1, გვ. 53). თუ სიკეთე გაკეთდა, კარგია, მეგრამ თუ ადამიანი საყვედურით დაეახრეთ, სქობდა კარგი საქმე არ გაკეთებულყო. მოქმედება და ზრუნვა, ეს არის ადამიანის ძირითადი ამოცანა, მწოდება და დანიშნულება, ამიტომ ყველას თავისი საფიქრბელი, სადარდო ანუ სანაღვლო უნდა ჰქონდეს. „უნაღვლო და უზრუნველი კაცი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანასასაო“ (ტომი, 1, გვ. 35). ირყევია, რომ ვერავითარი ქეიფი და გან-

სქობა ადამიანს ვერ აკმაყოფილებს და ნაღველს ვერ ხსნის. ადამიანი დაზღვეულია შრომისათვის, ზრუნვისათვის, კეთილ საქმიანათვის და არა სიამოვნებისათვის, შეღწევისათვის ცხოვრებისათვის. თურმე, სამოთხის სიტუაციაჲ ვერ უსმობს ადამიანს ნაღველს.

მოვესმინით ავტორს:

„მივიდა წალკოტსა ერთსა, დილა მშვენიერსა მრავალი კარგი ინახებოდა, ზღუდე თეთრის მარმარილოსი ედგა. შევიდა, ნახა კორღი ზურმუხტისა მსგავსი, ზედან ყვავილინი სურნელნი. ბუღბულთა ყეფა, იადონთა სტვენა. შაშვთა მღერა, მერცხალთა ჰიკვიკი. ყურთა-უამესი არ ისმოდა, რა, არცა თვალითაგან სახილველი ინახებოდა, შუა თალარო შემკობილი იდგა. წყალნი და წყარონი ამონი დიოდეს. ათი კაცნი სხდეს, ზოგნი ჰაბუქნი, ზოგნი მსკოვანნი. წინა ტაბლა შემკობილი, დიდად იხარებდენ. ყვავილთა ფშვანი, ხილთა ფხვრანი, ფრინველთა ხმანი, ღვინოთა ხმანი შეიწყობოდეს, მათში შეჭირვებისა ნიშანი არა იპოვებოდა.

რა მივიდა მეფე, მოგებუნეს, დასვეს. სამი დღე ესეთი ღზინი აჩვენეს, უკეთესი არ ეგებოდა.

უთხრა მათ მეფემან: უნაღვლოთა კაცთა ეეტებდი და ამა თქვენ გოვეო.

მათ შიახსენეს: ჩვენ უნაღვლონი არა ვართ, ყოველთა მწუხარეთა უსაწყლესი ვიპოვნე-ვართო“.¹

ქედონიზმის ანუ სიამოვნების პრობლემასთან ახლო დგას ადამიანის მიზიდულებათა ანუ ვნებათა ეინის საკითხები, და, პირველ რიგში, სიმთვარლე (ლოთობა).

სულხან-საბა ეხება ხსენებულ პრობლემას და მისი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებანი არასდროს არ დაჰყარავენ აქტუალობას და მარად საინტერესო იქნებიან მედიცინისა და ფსიქონევროლოგიისათვის.

ს. ორბელიანის აზრით, სიმთვარლე შეიძლება იყოს ღვინოთა (ლოთობა) და უღვინოდ. უქანასწელი ფორმა გულისწმობს მიზიდულებათა და ინსტიტუტურ მოთხოვნილებათა აღქმასწილობას.

მისი შეხედულებით, პირველ შემთხვევაში საქმე გაქვს ფიზიკურ მოწამულასთან. ხოლო მეორე შემთხვევაში — ფსიქოლოგიურ მოწამულასთან. უღვინო მოწამულისას პიროვნება ეშვება დაბალ საფეხურზე, საველდებულო პერსონოლოგიური კატეგორიები იორგუნება და ადამიანი ხდება დაბალი სურვილები, თავდადებურად ვნებათა და ბოროტი განზრახვების მსხვერპლი, რასაც ჩვეულებრივად მოსდევს სოციალურად სამიში მოქმედებანი (შესაძლოა კრიზისალიც).

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტომი 1, გვ. 114.

² ს.-ს. ორბელიანი, ტომი III, გვ. 85.

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტომი 1, გვ. 35.

ორბელიანი წერს:

„მორვალ იყო ჰეროდე არა ერთითა სიმორვალთა. არცა მარტსთოდა ღვინითა, არა მედ ღვინითა სთროდა და უღვინოთაცა მორვალ იყო, რამეთუ ხუთნი არიან მორვალობანი: ერთი ღვინის მიერ და ოთხნი უღვინოდ. ხოლო მას ხუთთავე სიმორვალთა სთროდა:

— მორვალ იყო ღვინითა და შებრუველ...

— მორვალ იყო სიძვისა გულისთქმითა, ვინითგან ენება ძმისცილისა შერთვა.

— მორვალ იყო ამპარტავენებითა.

— მორვალ იყო ნდომითა, ვინათგან უნდოდა ცოლათა დიდი, და რაცა საქმე უნდეს კაცსა კეთილი ვინა ბოროტი წუხილი არადა იცადებს გულისხმისყოფად, არამედ უფრორე დაათრობს ღვინისა უმეტეს.

— მორვალ იყო გულისწყრომითა.

— არა ძმად, არა არს შემორვალთა სტუმართა და მოყვასთა მოყვარობა, არამედ ფრიადი სიძულელი, ვინათგან:

შეიყვან სახლთა შენთა კაცსა ბრძენსა და კეთილად მხედველსა, პატოსნად ვონიერსა და ტბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა, არა ზომიერ ასმევ და არცა საწყურვალთა ასმევ, რათამცა კეთილი იყოს, არამედ გარდამეტებით ასმევ და გარდამეტებით ასმევ და გარდარევით აქმევ და ასხამ ღვინისა, ვითარცა ყვიპართა ყვიპართა შინა. მოიღებს სიბრძნე ღმრთისაგან შინიკებელი, და აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი. არა არა ესმის აღერის სხვათა და თვით უბნობს, ვითარცა ხელი, ოდეს აღივსის, იწყის ჭლოყინად და აღმოთხვეად, ვითარცა თხიერმან პირგანახნილმან“¹.

სულხან-საბა ხამამლიე გვაფრთხილებს ვებრძოლოთ როგორც ღვინით, ისე უღვინოლოთობას: „ყო საყვარელნი, ისმინეთ მოციქულისა და ნუ დათრევით ღვინითა და ნუცალა დათრევა უღვინოდ, რამეთუ უღვინოდ სიმორვალე უქიარეს არს ღვინითა სიმორვალესა. ღვინისა სიმორვალე იქმნენის უქეს ეამ ოდენ, ხოლო ბოროტ ტრფიალეობისა სიმორვალე—მარადის დღედამე: ღვინისა და სიმორვალე შიორე ეამს მიღებს ცნობასა ხოლო ბოროტ გულისთქმითა სიმორვალე სრულობით განაცოფებს კაცთა; ღვინისა სიმორვალე რამელსამე ეამსა ამპარტავნ ჰყოფს კაცსა; რომელსამე ეამსა დაამდაბლებს, ხოლო ამპარტავნებისა სიმორვალე სიმალისაგან ქვე ჩამოაგდებს, ვითარცა ზეცის მიერ ეშმაკთა: ღვინისა სიმორვალისა ნდობა მრავალგზის აღმატების და მრავალგზის მოაქლდების, ხოლო თავისა ნდობის სიმორვალისა მიდევნება არცა წუთსა ერთსა მოაქლდების, არამედ შობს ცოდვასა ღვინისა სიმორვალისა მრისხანება ადრე

მომშვიდნების, ხოლო რისხვისა სიმორვალე იქმს კაცისა კლესა, ანუ ბრძოლასა ანუ გინებასა“².

გრძელდება

სულხან-საბას კარგად ესმის [გრძელდება] დადებითი მავალითების ილუსტრაციით ვერ ხერხდება დაიცემულ-დამიღობ-დანარეული მორალური მოდუსის გამოსწორება-აღდგენა, ამიტომ იგი საზოგადოებას იშვიათი სიღრმითა და სიზუსტით უხატავს უგვანო პირთა სულთა სამართოს.

დადებითისა და უარყოფითის, ღირსეულისა და უღირსის, კარგისა და ავის, ბოროტებისა და სიკეთის, მაღლისა და დაბალის, სიტყბოსი და სიმწარის ურთიერთდაპირისპირება უფრო ქმედითი ვხაა სულხან-საბას წმინდა მიზნების მისაღწევად. ს. ორბელიანი ეხება ანგარებას, არაყაობას, მოხვეჭას, შიშს, სიმზღაღეს, მრუშობას, სიძუნწეს, სულმდაბლობას, სულმოკლეობას, მედიდურობას, ვაუტანლობას, ევრაგობას, ლალატს და უგვანობის სხვა მრავალ სახეს:

დღემდე მსოფლიო მწერლობაში უგვანობის ფსიქოლოგიის (ПСИХОЛОГИЯ ПОШЛОСТИ) ცოდნის მხრივ დისტოვესკის ბადალი არა ყავს. ჩემი ღრმა რწმენით, ყოველდღიური გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უგვანობის ფსიქოლოგიურ პრობლემათა დაზუსტებაში სულხან-საბა არამეტო, დისტოვესკის უთანაბროდგება, არამედ მაღლა დგას.

იგაიის „მეფე და ვაზირის“ თანახმად, ბოროტ საქმეს უსათუოდ ბოროტება მოსდევს ეკლის მთესველს—ეკლიანი „მადლობა“, ხოლო ცილისწამება და დასმენა ქვეყანას ბუგავს. „ყოველი კაცი ხარბია“ (ტომი 1, გვ. 91). მაგრამ ყოველი კაცისათვის ურყევია პრინციპი: „თავიანთ ნაქმარი მათვე გადახდა“.

დისტოვესკივე ზეგარად ადრე ს. ორბელიანი ამტკიცებს, რომ დებულება „ვეელაფერი დართულა“ («ВСЕ ПОЗВОЛЕНО») ადამიანისათვის კატასტროფულია.

როდესაც ადამიანი სიციხვილს კარგავს, იგი გველზე უარსია: „უბრალოსას, თუ გველი ცდილობს, არა აწყინოს რა, შენ ხომ ადამის ტომი ხარ. ჩვენ შენთან შეყოფება არა გვიცხ რა, და ნურც ეგრე გვსლით გვხამავ, თვარა უბრალოს ღმერთი არ მოიძულეს და არც შენის გულისას უხამს“³.

ამასთან, ყველაზე საზარელია ფარისევლრის ლოცვა: „აკო ვინმე იყო ყოველისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი, რო ბოროტისაგან მოიკალის, დაიწყოს ლოცვა და ტირილი“⁴. მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მო-

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტომი III, გვ. 198.

² ს.-ს. ორბელიანი, ტ. 1, გვ. 127.

³ იქვე გვ. 19.

წანიებას სჭირდება საქმე ისე, როგორც არასდროს.

ორბელის გვიჩვენებს, რომ ფარისევლობისა და ფელიდობის ფსიქოლოგიაში მთავარია გულწრფელობისა და სინდისის შინაგანი ხმის უქონლობა. ამ მხრივ საყურადღებოა „ორი მოლა“ ამბავი. როგორც ვიცით, ორი სპეციალისტი ანუ ორი თანადარვის მუშაი, არც ისე იშვიათად, მოსისხლე მტრები არიან; მაგრამ ამ იგავში ნახევენია საქციელი მოლასა, რომელიც თავის მტერს დაეხმარა. მოლა მტერი ორმოში სიკვდილს გადაარჩინა და შექმნა სიტუაცია იმ მიზნით, რომ მოეცილებინა გარყვნილებსა და ცოლის დაღატის ლაქა. იგი ეუბნება თავის მტერს:

„შენც იცი, როგორი მტერი ვარ შენი, მაგრამ ეს ამისათვის გუყავ, შეც ავის მქნელი არ ვეგონო ვისმე, რომე ჩემს სახის მსგავსება გაქვს, მისთვის მოგარჩინე, შენც მოლა ხარ და შეცაო“¹.

აღვილი გასაგებია, რომ მოლა მოქმედებს არა მალაღი პიროვნული კატეგორიების კარნახით (შოკალიობა, სიყვით, დიდსულოვნება), არამედ ფარისევლური მოსაზრებით, ვინმემ რამე ცუდი არ იფიქროსო. უნდა ითქვას, რომ ხსენებული იგავის სენტენცია თუმცა ფარისევლურია, მაინც იგი ვარკვეულად სასარგებლო იქნებოდა აებედობის დროს, როდესაც სულხან-საბა ცხოვრობდა და მოლაეუობდა.

სულხან-საბას ე. წ. დამდაბლებას შემთხვევები მიანიჩა საზოგადოების მორალის დასეტყვის შედეგად, როდესაც უგვანო პიროვნება ფიქრობს მხოლოდ სხვის ჩივარასა და ქალწულთა გაბრწყინებაზე.

„დამდაბლება არს სიმაღლისაგან ჩამოსვლა კვალად დამდაბლებად ითქმის გული მალად დამდაბლოს, კვალად დამდაბლებად ითქმის დაივაროს ვინმე, გინა ქალწული გაბრწყინას“².

დამდაბლებასთან ორგანული კავშირი აქვს მლიქვნელობას, რომლის შესახებაც ავტორი ზუსტ და ნატივ ანალიზს იძლევა.

„მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, — სიცხე დასწავს და თუმცა შორს წაეა, ყინვა დაჰზარავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალთ ბრძინასაგან უბრძმესი იყოს.

მეორე: აგრევე ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუეოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უღიდესი ქე-

ნდეს, რაც ყურიდან შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს.

მეოთხე: რომელიც არ ვარკვევს, გავრჩილი არა თქვას და რომელიც ვარკვი და სჭეკობასა-ფერი იყოს, იგი გამოილოს და თქვას.

მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სმასლა ორივე სდიოდეს“³. და შემდეგ ავტორი იქვე განაგრძობს:

„მეფეთა თანა მყოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეთ: პირველად: რომელიც კაცი უუვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა, სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები.

მეორედ: ვისიც სიტყვა იაშუბა, შენც უჭოთვარა თუ უძაგო, არ ეძაგება და შენ გასცრუდები;

მესამედ: ამას სედლობდე რომელიც მისი გულითადა, იგი გაიერთო, თვარა დღე დაგომოკლდება“⁴.

აღვილი დასაჩერებელია, უგვანო უგვანოს ეძებს, ხოლო ეშმაკი მხედავს ეშმაკს, მათ რიგებს ავსებენ გაიძევრა და მსუნავი აღამაინები, რომელიც ხშირად სამოსს იცვლიან და მლოცველ პილიგრიმად გვევლინებიან. ამით მათი ბუნება არ იცვლება; გვესლიანობა არ ისპობა.

იგავში „მოძღვარი მელა“ წარმოდგენილია ამორალობის მეორე დიდი პრობლემა: მხედველობაში მათეს ვითარება, როდესაც მოძღვარი სტებს სამწყსოს წვერთა მიერ განდობილ აღსარებას.

როგორც ჩანს, ფილიდ აღსარება და მისი გამოყენება მატერიალური კეთილდღეობისათვის სულხანს ძლიერ აწუხებდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ რთულ სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაში აღსარებას გამოიყენებდნენ მოხვეჭის მიზნით.

ავტორი აქვე დასკვნის, რომ საბოლოო შედეგი კატასტროფულია იმევე მოძღვრისათვის; ფორმულა ერთია: აესა და ბოროტს მიეძღვნება შესაფერისი.

მიუხედავად ამორალობის სიმძიმისა, იგავში იგრძნობა დადებითი მომენტიც. უღრისი მოძღვარი მაინც იგრძნობს თავის უგვანობას, ბორბტებას, სიბილწეს, ავბორცობას, გაბრწყინლებას და სიკვდილის წინ მოასწრებს თქმას: „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარსივე დაემართება.“ (ტომი 1. გვ. 27).

აღამაინთა შორის პირად ურთიერთობათა განხილვისას ფსიქოპათოლოგიაში ცენტრალური ყურადღება ეთმობა დავის და, საერთოდ, მოდავეობის პრობლემას. ორბელისანის თანახმად, მოდავეობაში მნიშვნელობა აქვს გარემო სიტუაციას, მაგრამ წამყვანი როლი უნდა დაეთმოს თვითონ პიროვნების ინდივიდუალურ განწყობას, მის მიერ ძალთა მოყრების შესა-

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტ. I, გვ. 25.

² იქვე გვ. 20.

³ ს.-ს. ორბელიანი, ტ. I, გვ. 20.

⁴ ს.-ს. ორბელიანი, ტ. IV, გვ. 59.

ლებლობას და ასეთი გზით ვითარების ობიექტურ შეფასებას. უძველესად სწორია დებულება—შენ თავი დაანებე და სხვა აღარ შეგეძებება. ორნი ამხანაგნი ნადირობდნენ. ზევო იყო და ზევს ვაღმა-ვაშობმა რომანებდნენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა... ქვეშ ზაიდეა. მეორე ამხანაგმან უყვილა: გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძისო.

მან დაუბაბა: დათვი არ მიშვებს, თვარა მე წელანვე ვაუშვებდიო.

—იმიხი არ იყოს, შენ არავის ეშვები და არ აწყნარებ, თვარა შენი საუბარი არცა ვის იამება და არცა ვის ეხალისება*.¹

არაკეთრი საქციელი უზნირესად დაკავშირებულია ფიზიკური ყოფიერების მრავალ საკითხთან, და უპირველესად, მოხვევისა და ანგარების სურვილებთან. სხენებული გარემოება მაღალ მეცნიერულ დონეზე განიხილება ორბელიანის შემოქმედებაში. მისი განმარტებით, ანგარი უსამართლოდ შემკრებელი ესე არს უსამართლოდ შემკრებელი და მოხვეველი. ანგარი და უძღები არს მოხვეველი და უსამართლოს ამღებელი და მკამელი გლახაკა*.²

მოხვევა და დავრდომლობა პიროვნული კეთების შედეგია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვითარება, როდესაც სიმდიდრე იწვევს დავრდომლობას და ადამიანის დავლახავებას «დავრდომილი, რომელი სიმდიდრისაგან დაცემულ იყოს და დავლახებულ იყოს».³

მოხვევის გრძობა უსახელოდ და შეუჩერებელია, ამიტომ მას განვიხილავ, როგორც «მოხვევის ამოკს». მსგავსი პირი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი აზრით. სხვა მხრივ იგი აბსოლუტურად ბრმაა. ამიტომ სრულიად ვასაგებია ქურდი მკერავის ლოკვა. მოუხსნიით ატორის: აერთი მკერავი იყო დოა ქურდი. რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპანის. დამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ზე ამოსლოდა და ყოველი ნაპარავი ნაქური ზედ ეკიდა რტოთა. რა ვადღეძა, შეშინდა. შეიღს უთხრა: როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარეა, ზე მომავონო.

ერთმან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაქრევენა. რა პარეა დაიწყო შეიღმან ზე მოავონა. ეწყინა მკერავლასა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე უთხრა: ამისთანა ნაქსოვი როდის ეკიდა მას ზეზედანო*.⁴

ქურდი მკერავი მოცულია, ერთი ფქირია; იგი მისტკური შიშისაგან დაზღვეულია. ამავე დროს იგავთა შინაარსი გვარწმუნებს, რომ ანგარების ლეკვა მწარეა, ხოლო მოხვევა წარ-

მავალია, ჭრება უცვალოდ და შესაძლოა მისგან აღარა დარჩეს რა. აეტორი წერს:

«იყო დიდვაჭარი ერთი. რომელი ქმერთსა არა ეხეიდა. ვასცა ყოველი თვისი მონაგები და პური იყიდა; მომავალსა წელსა უკეთუ დამკორდეს, ერთსა სამ-ოთხად ვაგყვილიო.

მომავალსა წელსა უმრავლესი მოვიდა. კვალად. იყიდა იაფად, გონებდა, სხვას წელს ვაგყვილი უკეთესად. ყოველთა წელთა უმრავლესი და უმრავლესი მოვიდა. და დაუღმა ყოველი პური, მისი და განქარადა ყოველი მონაგები მისი. აღარა დარჩა რა».¹

სულხან-საბას შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვას, მას საზოგადოებრივ მნიშვნელობას, და მორალურ ხედვრით წონას. იგი დიდებულად აეთაბებს უძველეს ფილოსოფიურ ფორმულას, რომ სიტყვის შინაარსი (სემანტიკა) ანტაგონისტური ბუნებისაა. სიტყვა შეიძლება იყოს ყველაზე უტკბილესი ან უმწარესი კატეგორია. ორბელიანი წერს: «ესეთი სიტყვის სიტყვობა ჰქონდა, მხეტთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცეცხლებრ დაღანობდის და მჭირნიველთა კაცებრ აუბნებდის».²

კვთეს აფორიზმზე «სიტყვა უფრო სწრაფად დასჭრის, ვიდრე განკურნავსო», ბევრად ადრე კარგად ესმოდა სულხან-საბას სიტყვის, როგორც ფსიქოთერაპიული, ისე ფსიქოტრაპიული მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მისი გაგებით, ავი სიტყვა და ავკაცობის პრობლემა ერთ მთლიან კატეგორიის წარმოადგენს.

ენით დაყოფა მეტად მძიმეა, ხოლო ენით მიყენებული ტრამვა ხშირად ფიზიკურ ტრამაზე უფრო ძნელი ასატანი; ამიტომ მეტყველების ღერძს უნდა შეადგენდეს სინდისი, ნდობა და მოვალეობის გრძობა. კარგად უნდა გვახსტვდეს დათვის მიერ თქმული სიტყვები: «შენის ცულით დაყოდილი თავი გამიშთელდა და შენის ცოლის ენით დაყოდილი გული არაო».

ჩვენ უკვე შევჩერდით საკითხზე, თუ რა უფრო ქმედითი და ძლიერია — სიტყვა თუ ჭოხი. როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი დროის ცნობილი ფსიქოლოგი ზოგუნდ ფროიდი უფრო ჭოხის ძალისაკენ იხრება.

ფროიდზე ბევრად ადრე სულხან-საბა მიუთითებდა: «ვირემდის შენთვისაც შინდის ჭოხს არ მოსჭრან, შენს მანკიერს ენას ვერავინ დაადუმებს».³

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ცნებას ჭოხის ძალა-მნიშვნელობის შესახებ სჭირდება მტკიცე კორექცია. ჭოხი, შეშინება და დაშინება მოქმედებს მხოლოდ მდამბალ პირებზე, კა-

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტომი, 1, გვ. 24.

² ს.-ს. ორბელიანი, ტ. IV, გვ. 59.

³ იქვე, გვ. 166.

⁴ ს.-ს. ორბელიანი, ტ. I, გვ. 24.

¹ იქვე, გვ. 14.

² იქვე, გვ. 132.

³ იქვე, გვ. 32.

ცუნებზე) არაკაცებზე, ხოლო იმ, სადაც წარმოდგენილია პიროვნების სპეციფიკა და შიდალი პიროვნული კატეგორიები, ყოველ სრულიად უმოქმედოა.

საინტერესოა, აგრეთვე, ორბელიანის პოზიცია ერთ მიყენებულ კრიტიკის შეზღუდვებისა, აღდგენადობისა ანუ რევერზიბილიზის შესახებ.

ერთ წყლულის მოშუშების თაობაზე სულხან-საბა გვაცნობს: „უღლეოდ ერთ მკვდარი ენამე არ აღადგინოს და აღარც ერთ წყლულს ეღიანოს“¹.

ებტორი უკვე აღადგინა, რომ მორალური ტრავმა მძიმე მოსაშუშებელია, მაგრამ აქვე საჭიროა გავიხსენოთ პიროვნების დონის ყოველმხრივ უნარი. თუ ერთ მიყენებულ კრიტიკა ვადამუშავებდა პიროვნების დონის ბრძენობა, არაა გამორიცხული, მორალური კრიტიკის შეზღუდვა... დიხ, არაიშვიათად უნაწიბურო ფსიქოლოგიური შეზღუდვა.

საკმაოდ ფართოა პიროვნული სპექტრის შესაძლებლობა, მაგრამ ორბელიანი გვაფრთხილებს, ნუ ვიყენებთ გულუბრყვილოდ რბილი უღრესთა მიმართ, ეინაიდან ისინი მეტად საშიში არიან თავიანთი ვერაგობით, ციხეებთან და დაუნდობლობით. „შუშმენებელს უსუსურად ნუ ვიყენებთ.“²

უგვანობა დიდად საშიში მოგვლენაა, რომელიც საჭიროებს მტკიცე შერყენებას, რათა იგი დაძლიერდეს იქნას... უგვანობის და უხამსობის მიმართ, მორალურ ძალებთან ერთად, საჭიროა ფიზიკური ზეგავლენა.

სულხან-საბა, როგორც პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის პრობლემათა უდიდესი მკვლევარი, საზოგადოებრივი მორალის შექმნა, ამომწურავად იძლევა კაცურ და არაკაცურ, აღამიანურ და არააღამიანურ ქცევათა ანალიზს.

იგი გვაწვდის დებულებას: „ძველთაგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნიაო და მის მაგიერ ავი მიუვიო“³.

ხსენებული ფორმულა არანაირად არ შეიძლება

ბა მივიღოთ, როგორც ავტორის ღრმა პესიმიზმი და ხელაქნეული გულუბრყვილობა: „...“

აღნიშნული დებულება პარკელის (Hakim) ტელისტომის უგვანობის ვითარების სურათს.

ორბელიანის აზრით, მტრის დასამარცხებლად საჭიროა მისი ცოდნა.

სულხან-საბა პირიქით მოგვიწოდებს, ვიფიქროთ მომავალზე და არ დავაბრუნოთ აღამიანისადმი ნდობა და პატივი. იგი მიგვიითობს: „კარგისათვის კარგი არაყის უქმნია, ნუ ამბობ“⁴. აქვე გვაფრთხილებს და გვიჩვენებს: „მაგრამ კაცისა დიდი სიკეთე იგია, რომე სიკეთე არ იმასთვროს და სიკეთით დაფაროს“⁵.

წარმოდგენილ ფორმულებს აქვს არა მარტო ზოგადი დეონტოლოგიურ-მორალისტური, არამედ განსაკუთრებულად დიდი ფსიქოპროფილაქტიკური აზრი და მნიშვნელობა.

უკვე აღადგინა შესაძლო და მოსახერხებელია ავი დავიფიქროთ. დავიხსოვოთ მხოლოდ კარგი და აეს მიუზღოთ სიკეთე. მაგრამ ხსენებული დებულების განხორციელება შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ პერსონოლოგიურ დონეზე პიროვნების ძალთა მობილიზაციის გზით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველ მოქმედებაში უკვე არსებული ცოდნა და ავტორის შეხედულებანი ურთიერთს ერწყმის და უაღრესად ამალი ორიგინალური კრედი. ხოლო ფსიქოლოგიურ დებულებათა ორიგინალობის განხილვისას, საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული, აგრეთვე, დროისა და ადგილის ფაქტორები. სულხან-საბას დეონტოლოგიურ-ფსიქოლოგიური მრწამსის მნიშვნელობა ძლიერდება და მრავლდება დროის ფაქტორთა ვითარებით, უგვანობა ყოველი დროისა და სიტუაციისათვის შესაძლო მუქუქია, რომელიც გადაუდებებლად უნდა ამოიწვას და დაიშანთოს.

სულხან-საბა დეონტოლოგიურ-პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის, ესე იგი მოქმედების ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი შემოქმედება უკვე აღადგინა აქტუალურია, ეიდრე არსებობს აღამიანი თავისი კაცური და არაკაცური თვისებებით.

¹ ს.-ს. ორბელიანი, ტომი I, გვ. 32.

² იქვე, გვ. 93.

³ იქვე, გვ. 113.

⁴ იქვე, გვ. 115.

⁵ იქვე, გვ. 72.

„არსენა მარაბდელის“ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ანალიზი

აღამიანთა სულში ღრმად წედომის უნარს მიხედვით წავახიშვილისათვის არსებითია და ნიშანდობლივი. მისი გმირების უმრავლესობა მეტწილად ფსიქოლოგიური ასპექტითაა წარმოსახული. ვფიქრობთ, მწერლის მიერ გამოყენებულ მრავალ ხერხს შორის პერსონაჟთა ხასიათის გახსნისას და გამოკვეთისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ ანალიზს უჭირავს.

მკვეთრად და ნათლად წარმოგვიდგება მიხედვით წავახიშვილის პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, იქნება ეს რომანებში თუ ნოველებში. შთამბეჭდავი და გამოკვეთილია როგორც არქანას („არსენა მარაბდელი“), მარკოს („აყაფოს ხიზნები“), ქეთო ახატელის („ქალის ტვირთი“) ფსიქოლოგიური პორტრეტები, ასევე მკვეთრად არიან გამოქვეყნებული ჩანჩუკა („ჩანჩუკა“), აბდულაზი („მართალი აბდულაზი“), ბაჩილა („ობა ვანანეი“), გიორგი ჩხიბაძე („ჩილილო“), სოფიო („ემშაქის ქვა“), პავლე („ტყის კაი“) და მრავალი სხვა.

მიხედვით წავახიშვილს თანაბარი სიძლიერით შეეძლო გამოეხატა როგორც მთავარი მოქმედი პირის, ასევე მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტი. მაგრამ ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოხატვა უმშაბრითი მხატვრისათვის არასოდეს არ უოფიოა თვითმიზანი, არამედ ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა როგორც პერსონაჟთა ხასიათის გახსნისად, ისე ნაწარმოების სიუჟეტური ქარგის გასაშლელად. ამდენად მისი წავახიშვილის ნაწარმოებებში ფსიქოლოგიურ ანალიზს მეტივე კომპოზიციური ფუნქცია ეკისრება.

ფსიქოლოგიურ ანალიზს პერსონაჟთა ხასიათის გახსნისა და გამოკვეთისათვის უპირველესი ადგილი უჭირავს „არსენა მარაბდელ-

ში“. არსებითად ამ რომანში გამოვლინდა მწერლის მხატვრული ოსტატობის ძირითადი თავისებურებანი და თამამად შეიძლება იგი მიხედვით წავახიშვილის შემოქმედების კრიტიკულად მივიჩნიოთ.

მიხედვით წავახიშვილის პერსონაჟები ფსიქოლოგიურ სიტუაციებში თავიანთ შინაგან სამყაროს, როგორც წესი, გარეგნულად ავლენენ...

აი, ერთი დამახასიათებელი მომენტი:
ზაალ ბარათაშვილის მრავალრიცხოვანი სტუმრების ფალაგანმა გიორგი კუპატელმა მასპინძლის რამდენიმე ფალაგანი წააქცია და ახლა ჩერი არსენაზე მიდგა, მან უნდა იხსნას სირცხვილისაგან ზაალი. სიტუაცია დამაბუღლა. გიორგი კუპატელი ვანთქმული მოქიდავდა და ამასთან გულბორბოტი. იგი წაქცევას ადვილად ვერ იჩენებს და ამის გამო არსენა მასთან შეხვედრას თავს არიდებს.

„... თუ ის იმერელი (კუპატელი, რ. ჩ.) წააქცევ, რაც ვინდა მთხოვე, — პპირდება ზაალი. — მართლა, ბატონო? — და პირგამუქებულმა არსენამ დავითსაც გადახედა. — ზაალის სიტყვა ბეჭედიო. — დაბეჭდა ზაალმა.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი. — დაუდასტურა შეილამე.

— მაშ კარგი, — ჩაიღიმა არსენამ და გაბრწყინებული თვალები ზაალის ბოხოს ვადაველო და კარვისაყენ გაიხედა. გაიხედა და მოლიმარე ენეინების უკან ერთ წვეილ თვალს წააწყდა — დიდროს, ღილასივით მუქსა და ეჭმისის ტბასავით მობიზინეს“ (ზაზი ყველგან ჩვენია, რ. ჩ.).

ეს სურათი დიდი ფსიქოლოგიური ტევადობისაა. აქ ინსცენა აშბავი, რაზედაც არსენას პირადი ბედნიერება დაფუძნებული და რასაც ასე მალულად, შეპარვით ესწრაფვის. ზაალ

ბარათშვილის კარის ყმას არ შეეძლო ხმაში-
 ლა გაცეხადებინა გულის ზვამიად, არც ის
 შეეძლო, დიდი ბატონისთვის კარის მოახლის
 ხელი ეთხოვა. იყოღა, მრისხანე ბატონი ცალ
 ყურშიც არ შეუშვებდა ყმის მოკრძალებულ
 თხოვნას და ამ საგანზე ფიქრსაც კი აღურბა-
 ლავდა. ამ მტანჯველ ფიქრს მოთმინებით ატა-
 რებდა არსენა ოქელაშვილი და ახლა, როდეს-
 საც დიდმა ბატონმა ნებისმიერი სურვილის აღ-
 სრულება აღუთქვა, არსენასაც სახე გაუშუქდა
 და იმის ვასაგებად, მართლა პირდებოდა ბატო-
 ნი თუ არა, დაეთოსაც გადახედა. ზაალის
 დაპირება ბედნიერების პირველი ნახევარი
 იყო, მეორე ნახევრის მოპოვებისათვის კი მას
 უნდა ეზრუნა. მისთვის მთავარი იყო ზაალის
 დაპირება. ეს დაპირებაც იმდენად მიუწყლო-
 მლად ეჩვენება მას, დაეჭვებით ეკითხება:
 „მართლა, ბატონო?“ და როცა თავისი სიტყვა
 კვლავ დაუდასტურა ზაალმა, არსენამ კმაყო-
 ფილების ნიშნად სიამოვნებით ჩაიღიშა და
 გაბრწყინებულ იქნა თვალები — იქითკენ
 მიმართა, სადაც ერთი წყვილი თვალი ეგულე-
 ბოდა — „დიდრონი, ლილასავით შუქი და კუ-
 მისის ტბასავით მოზიზინე“.

სიხარულისაგან განცდილი მღელვარება არ-
 სენამ თვალებით გამოამჟღავნა. იმდენად
 მძაფრი, იმდენად დიდი იყო ეს განცდა, რომ
 მის იდუმალ ზრახვას დავითიც მიუხვდა, მან
 „არსენას თვალებს თავის თვალები გააყოლა
 და მარინე დაინახა“. ამ დეტალით, რომელიც
 დავითის თვალებითაა დანახული, გახსნილია
 ის ფსიქოლოგიური სიტუაცია, რაზედაც ზემოთ
 გვეხედა საუბარი.

კიდევ ერთი ეპიზოდი, სადაც ფსიქოლოგიე-
 რი სიმძაფრე არსენას თვალებითაა გამოხატული.
 მაიორს ქვემო ქართლის დროშა არ ეგაშნი-
 ყა და მისი ჩამოსხნა ბრძანა. ცხადია, ბრძანე-
 ბის შესრულება არავის სურდა, მაგრამ წინა-
 აღმდეგობას გაწვევაც ველარაიენს გაბედა. ამ
 დროშას თავისი ისტორია ჰქონდა, იგი მრავალ
 ბრძოლაში უტარებიათ და ახლაც სათუთად
 უვლიდნენ ამ ძვირფას რელიკვიას. რუსის
 ოფიცერმა კი მისი ზეღოფთა სცადა. სიტუა-
 ცია აღიმამა. მთელი ეს ფსიქოლოგიური სცე-
 ნა შეერალმა დიდი ოსტატობით დახატა:

— ფორზე ავი სიჩუმე ჩამოწვა. არავინ არ
 დაიძრა. ზოგი გაფითრდა და ზოგიც იმ ალაში-
 ვით გაფითლდა.

მაიორმა ცხენი დასძრა და დროშას ხელი
 მიატანა. ცალთვალა ლევისაგარმა დროშა უკან
 გადასწია, მეორე ხელი კი ბასილას ცხენს ჩას-
 ქიდა აღვირში და ბატონებს გადაჰხედა. მედ-
 როშეს კორძიანი ხელი და ქადარით მოსილი
 უღვაშები ოდნავ უთრთოდა. გრივოდ ორ-
 ბეღიანს ზაფრანას ფერით ედო დავით
 ბარათშვილს თავი ჩაექინდრა. მარშა-
 ლი ალექსანდრე გაშეშებულ იდგა. ოდნავ
 კნინები განახულა იყნდა, დროშის მო-

ლარეს ზაალს კი პირი დაელოდა ხმა
 დაეკარგა“.

ამ ფონზე მონუმენტრალ ნივთებზე არსენას
 ფსიქოლოგიური პორტრეტი. მისი ამაყ-სულს
 აღარ შეეძლო თავადების დაძაბუნებულ
 სულისთვის ექცირა, მორჩილებით მოეპოიანა
 რუსი ოფიცრის მიერ ერთგული დროშის დამ-
 ცირება და „უცებ დევი ჰკრა ლურჯას, დრო-
 შაზე მიავლო, თავის მამას ალამი ასტაცა და
 ბასილას თვალი თვაღში გაუყარა“. მერმე
 ძუძუმტეს დავით ბარათშვილს მიუბ-
 რუნდა.

— ბატონო, — ჰკითხა, — გამაგებინე, ამ
 კაცს რა უნდა?

— ეგ დროშა უნდა, — დარცხენით მიუგ-
 დო დავითმა.

— მამ წაიღოს. — დაბალი ხმით ჩიხრიალა
 არსენამ და არღოვს ალამისკენ აქუნია თავი:
 მობრძანდი და წაიღეო“.

წარმოსახულ მძაფრ ფსიქოლოგიურ სი-
 ტუაციაში არსენამ თავისი სულიერი სამყარო
 არა მარტო თვალნათლად გამოჰქუფვლებით ვახ-
 სნა, რაც ასე მრავალმხრივი და ნიშანდობლი-
 ვია მისთვის, არამედ იმ დეკადენტობით წარმო-
 თქმულ სიტყვაშიც („მამ წაიღოს“), რაც პირუ-
 ქე აზრს ატარებს.

ამ ფსიქოლოგიურმა სიტუაციამ ერთხელ
 კიდევ გამოავლინა არსენას შინაგანი სამყარო
 და არა მარტო გამოავლინა, გახსნა კიდევ.
 მისი ამაყი, დაუდგრომელი სული არავითარ
 უხეშ ძალს არ ემორჩილება და ყოველ წუთს
 მზადდა უსამართლობას მთელი ძალით აღუდ-
 გესწინ.

არსენა თვალებით არა მარტო მღელვარებას
 ან ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გადმოსცემს,
 არამედ ნებისყოფის დიდ სიმტკიცესაც ამჟღავ-
 ნებს. ასეთია მისი შეჭახების სცენა დავით
 ბარათშვილთან:

„დავითმა ცხენი არსენაზე მიავლო და —
 — არსენ, გზა მომეცი! — უბრძანა.

ოქელაშვილმა აპხედა და ბოღმით ჰკითხა:
 — რა გინდათ ჩვენგან, პატარა ბატონო?

— შენც იცი, რაც გვინდა. გზა მეოქი! —
 და მთარახი აღმართა.

არსენამ თვალი თვაღში გაუყარა
 და გააფრთხილა:

— დავით, თავი დამანებე, თორემ დედაჩე-
 მის ძუძუ გიწოვია და...

— შენი დედაც და იმისი ძუძუც!
 და მთარახი ბეჭებზე გადაუქირა.

მარაბღელი ოდნავ შეიჩხა, მაგრამ არც და-
 იძრა, არც ხმა დასძრა და არც თვალი
 მოაშორა ძუძუმტეს, რომელმაც დედის რძე
 შეუბღღწა.

არსენას პირველად დაჰკრეს და შშობლის
 სახელიც პირველად შეუფინეს. მთარახის ნა-
 რავი მწევე იყო, მაგრამ სხვა რაღაც ათერ

უფრო ემყვება, და ამ რაღაცამ, უძალი ბოლ-
მამ, მის „თვალბშიც გამოიჩინა“.

დავითმა ერთხელ კიდევ აღმართა მათრახი,
ერთხელ კიდევ გაღმთავლო „შენი“, მაგრამ
ოქლაშვილის თვალებს თუ სხვა რაღაცა
ვეღარ გაუძლო, მკლავი დაუნებულვით და-
უშვა და ყარბაღული ცხენი, რომელიც დღეს
არსენამ მოაგებინა, შაირისკენ გააბრუნა“.

აქ მთელი ფსიქოლოგიური სიმამყრე პერ-
სონაჟის თვალბშია წარმოსახული. შრომის-
მოყვარე, გულმართალ და უდანიშაული მარაბ-
ღელთა მოულოდნელი მომწყველა ხიშტების
რეალში ბუნებრივად იწვევს უღრვეი არსენას
უდიდეს სიჭულვილს არა მარტო სალდათე-
ბისა და შაირის მიმართ, არამედ ქართველი
ფეოდალის ზაალ ბარათაშვილის მიმართაც,
რომლის არსებობისა და სიძლიერის საფუძ-
ველს იგივე გლეხები წარმოადგენენ. მაგრამ
ახლა ზაალ ბარათაშვილს სინდისზე ხელი აუღია
და ქართველი კაცის ადამიანური ღირსება, რო-
მელსაც ასე თავგამოდებით იცავს ყოველი
გლეხი, რუსი სალდათისთვის მიუგვლია. ამ უკ-
ნასკენელს კი მისი სულიერი სილატაკე და გო-
ნებაშეზღუდულობა სხვა არაფერს უკარბა-
ხებს, თუ არა ეროვნული სულის დამბუნებას,
ეროვნული თავმოყვარეობის შელახვას, ყოვე-
ლივე ქართულის დამციკებასა და ხელუფას.
ამის შეგრძნება და იმის ვაზრება რომ იგი
უძლიერა ერთი ხელის დაკვირით ჩაახშოს
თავსმოხვეული ძალადობა, არსენას ბოლმით
ღრჩობს. სწორედ ამ დროს, როდესაც ყველა
ეს ფიქრი და აზრი თავში უტრიალებს არსე-
ნას და გული ბოლმით ავსებია, სალდათებს
მიტმანნილი დავით ბარათაშვილი არსენაზე
მოაგვებს ცენს და გზის დამობას უბრძა-
ნებს. ოქლაშვილმა უსიტყვოდ აჩხვდა და
ამ ახეღვით სცადა პატარა ბატონი მისსავე
საქციელში ჩაეხდევინებინა. მაგრამ არსენას
სულიერ დედილს არად დაგვიტყვს თავნება
ბატონიშვილი. მისთვის გლეხის არსე-
ბა და მისი სულიერი სამყარო არა-
არაობასთან, უფრო სწორად, პირუტყვთანაა
გაიგვებული და ამდენად მისთვის მიუწვდო-
მელია გლეხის არსებში წარმოშობილ გრანო-
ბათა ჰიდილი. ამიტომ, რომ არსენას უსიტყ-
ვო შეხედვას და ბოლმით აღსაქვე კითხვას —
თუ რა უნდა ბატონს გლეხებისაგან — უწყები
პასუხით და მათრახის აღმართვით გამოემარ-
ტება. პატარა ბატონის ამ კანდიერებად კიდევ
უფრო ვააცხარა არსენა, უფრო მეტად დაძა-
ბა მისი არსება. ყოველივე ეს ისევე თვალბში
გამოიხატა: „არსენამ თვალი თვალში
გაუფარა...“ მაგრამ არსენას ეს ფსიქო-
ლოგიური დედილი ისევე მიუწვდომელია დავი-
თისათვის და ურჩ გლეხს მათრახი გადაუტარა,
ესეც არ აქმარა და — დედის რძე შეუგინა.
ეს კი მეტისმეტი იყო. დამაბელობა კელმი-

ნაკიერ წერტილს უახლოვდება. „მარაბღელი
ოღნავ შეირბა, მაგრამ არც ფიქრად არც სხვა
დაძირა და არც თვალი მოულოდნელად (და-
ვითს, რ. ნ.)...“ მაგრამ ამ უდიდესმა სიმყვავებ
მხოლოდ „მის თვალბში გამო-
ყოინა“.

სახის პლასტიკური ხატვა მ. ქავახიშვილის
მხატვრული სტილის ის ერთ-ერთი აუცილე-
ბელი თავისებურებაა, რითაც გამოვლენილია
პერსონაჟის სულიერი სამყაროს ნიშან-თვი-
სებები, ფსიქოლოგიური ძვრები. იგი (პლასტი-
კური ხატვა) არამოდეს არაა თვითმზნერი,
ამბის ორგანულ ნაწილში ხელოვნურად ჩარ-
თული, არამედ პირდაპირი და უშუალო გამო-
ხატულებაა პერსონაჟის სულში მომხდარი
ძვრებისა.

ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევდა მ. ქავა-
ხიშვილი პერსონაჟის სახის პლასტიკურ ხატ-
ვას. ამ თუ იმ მოვლენისადმი დამოკიდებუ-
ლება, პირველ რიგში, სახეზე შეგმჩნევა ადამი-
ანის. მწერლის მახვილ თვალს შესანიშნავად
აქვს დაჭერილი ეს ნიუანსი და ფართოდ იყ-
ნებს თავის შემოქმედებაში.

პლასტიკური ხატვა უდიდესი ძალითაა ვა-
მოვლენებული, როდესაც არსენა და მისი ამ-
ხანაგები ზაალის თვალბში არიან დამწყვედ-
ულნი.

„პატიმრები თავჩაქინდრული ისხდნენ,
არსენა კი ამოტყეული იდგა, ორივე ცერა
თითი სარტყელში ჰქონდა ჩარ-
ტობილი, ნათალი თავი საფლის-
კენ მიეგრიხნა, შუბლზე ნაოქები
მოეგროვებინა, ერთი წარბი მო-
ზიდული შეილდივით აეგრიხნა,
თხელ ნესტოებს თავის ღერქას-
ეთ აცახცახებდა და სოფლის გმინვას
იყო უგებდა ყურს, თითქოს ის ვებად და ვა-
ლად მარტო იმის ოჯახიდან მოვლენილყო.
მის პირსახეზე ჭრაქის შუქი თრთოდა და მარაბ-
დელის შინაგან თრთოლვას ამჟღავნებდა“.

მწერალი შეგნებულად მოერიდა სიტყვიერად
გადმოცეა პერსონაჟის სულიერი სიმამილი,
რადგან ამისათვის რამოდენიმე გვერდს იქნებო-
და საჭირო. პორტრეტით კი მწერალმა შექ-
ლო ლაონუნრად ვაღმოცეა პერსონაჟის ყვე-
ლა ის სულიერი განცდა, რამაც შუბლზე
ნაოქები მოაგროვებინა, ერთი
წარბი მოზიდული შეილდივით
აეგრიხნა და თხელი ნესტოებს
თავის ღერქასათვთ ააცახცახე-
ბინა. თავჩაქინდრული პატიმრები უხმოდ,
ჩუმად ფიქრობდნენ დღევანდელ მარცხე-
საშინელ სანახაობაზე — ადამიანის მიერ ადამი-
ანის როზვით ცემაზე, რაც ასე უჩვეულო
და უცხო იყო მათთვის, ამ საშინელ სასჯელზე
— ადამიანის დამამკირებელ ფაქტზე ფიქრობ-
ამოტილი არსენაც. იგი იმდენად გაოგნებუ-

ლია ნანახით და განცდილით, რომ დაჯდომაც ვერ მოუტერხებია. აი, ამიტომ აშოტიღა იგი ამასთან ხვალ თვითონ არსენასაც უპირებენ საჯაროდ გაროზებას. ეს კი მისთვის ცოცხლად სიკვდილს ნიშნავს. ამეი ვაჟაკისათვის წარმოუდგენელია როზგი, ეს ხომ, უკიდურეს შემთხვევაში, პირუტყვისათვისაა მოგონილი. კარგი პატრონი კი პირუტყვისაც არ შემოჰკრავს და ახლა ადამიანს უნდა შემოჰკრან? ჩანს, ადამიანს ადამიანად აღარ ცნობენ და პირუტყვთან გაერთობილი იგი, მერე და ამის მოთმენა შეუძლია ისეთ ვაჟაკს, როგორც არსენა? არ შეუძლია, არაფრით არ შეუძლია უმალ სიკვდილს შეეგებება ქედმოვლრეკვალად, ვიდრე საჯაროდ გაროზებას, როგორ იფიქრეს, როგორ გაიყვანს გულში ამის შესრულებანი აი, რამ მოგაგონებინა შებღუნაოკებში, რამ ააგრებინა შეილდივით მოზიდიული ერთი წარბი, რამ ააცახცახებინა თხელი ნესტოები...

გარდა ამისა, დღეს ზაალმა ფიცი გასტეხა — არსენას არ აუტრულა მიცემული სიტყვა, კიდაობის წინ რომ შეპირდა. არსენა კი ზაალის სიტყვაზე ამყარებდა მომავლის იმედებს — ბატონს მოახლე ვაგვან მარინეს ხელს სთხოვდა და ბოლოს და ბოლოს ეღიარებოდა იმ სანატრელ ბედნიერებას, რომელსაც ასე ფარულად ესწრაფებოდა დიდი ხნის მანძილზე. ახლა კი იმედი გაუცრუვდა და მომავალი გაურკვეველ ბერძნში გაეხვია.

აი კიდევ რამ ააფორიაქა არსენა, რამ აედუღა სული, რამ მოაგროვენიდა შებღუნაოკებში, რამ ააგრებინა შეილდივით მოზიდიული ერთი წარბი, რამ ააცახცახებინა თხელი ნესტოები...

„არსენა მარაბდელში“ უამრავი შავალითი მითიპოვება იმის სააღუსტრაციოდ, თუ როგორ აღებუძვლება პერსონაჟს სახეზე სულში მომხდარი ძვრები. ეს ხან მტკი ფერებიითა გადმოიკრებოდა, განსაკუთრებული აქცენტითა გამახვილებული სახის პლასტიკური ხატებით, ხან კი ერთი შტრიხის საშუალებითაა მიღწეული მძაფრა სულიერი დღეილის გადმოკემა.

ხშირად პერსონაჟის შინაგანი მღელვარებზე, სიხარული, განცდა გადმოიკვებოდა დიმილით. მას მწერალი მეტ-ნაკლებად მიმართავს ამა თუ იმ პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვისას. მაგრამ არსენას მხატვრული სახის გამოძერწვისას იმდენად ხშირად და ისე მეყვრიად იყენებს, რომ იგი ნიშანდობლივი ხდება.

მრავლისმეტყველია არსენას დიმილი სიხარულის განცდისას: ზაალის ცრუ დანაპირებით ვულგარული არსენა სოფლის ეკლესიის სამარტელის ზარს მთელი ძალით აეღარუნებს.

აქ შეიერიბა მთელი სოფელი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. ისინი გუმანით მიხედნენ, რომ წარუდგინებოდა უხმობდა მათ და უმალ გამოემშრინნენ. სოფლის ამ მხარდაჭერამ არსენას მრისხანება დაუტოვო. იმ ორომტრიალში მან „მარინეს ოდნავ გაჰკრა თვალის დევალში და უღვაშებში ჩაილიშა“.

არსენას ეს მალეღი დიმილი, რომელიც მარინეს ხილვამ მოჰკვარა, ბევრისმოქმედილია არსენას ასე აშკარა ამბობდა ბატონისა და რუსი საღაფთობის წინააღმდეგ სწორედ მარინეს სახელს უკავშირებდა. წლების მანძილზე სოციალურ ჩავერას ახლა ადამიანური თავმოყვარეობის შეღახვაც დაერთო — არსენას უფრო უტხტეს მარინეს მითხვებებზე. ახლა, როდესაც უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრულე არსენას მთელი სოფელი ამოუდგა მხარში და მათ შორის მარინესაც მოჰკრა თვალი, სხარულმა თავი ვერ დამალა და დიმილში გამოჰკარაყვდა.

ან კიდევ:

ღამით, ტყეში გასვლის წინ, არსენა შმობლებს გამოთხოვა და ბინიდან ჩუმად გამოვიდა. გამოხვლისას სულხანი გამოჰყვა. იგი კუჭატენის მილიციელთა რაზმში მსახურობდა და ახლა ბუნებრივად არსენას მტერი უნდა გამხდარიყო. მას ხელში დამბანა ეჭირა. არსენამ მისი მოსპობა განიზრახა. მაგრამ ვიდრე რაზეც მოიბოქმედა, სულხანმა ჩუმად დაიწყო:

— „მშო არსენ, ვეტყობა გამოპარულხარ და გაქცევას აპირებ...“

— მერე, შენ რა? — მკვებელ მიახალა ოქელაშვილმა.

— ის, რომ... მშვიდობით იარე და აი ესეც წაიღე... გამოგადგება. — და დამბანა გაუწოდა. არსენა გაიბადრა.

დიდი ფსიქოლოგიური ტვეადობისაა ეს ერთი, ზუსტად მიგნებული ნიუანსით გამოხატული სიტუაცია. არსენას ბუნებრივად უნდა ეფიქრა, რომ მოწინააღმდეგეთა რიგებში მღგობი სულხანი აღრიხდელ დუსტობას (მეგობრობას) დაიფიქვებდა და მტრად გეუბლებოდა, რამდენი იყო იმის მაგალითი, რომ მომამე მომამეს არ ინდობდა. საკუთარი მდგომარეობის შენარტუნებისათვის ყველას სწირავდა, სხვის უბედურებაზე საუეთარ ბედნიერებას აგებდა. ვანა ვიკოლი: თანასოფლელები დაღობით არ იყო ცნობილი? ან თუნდაც ექუატნელი! იგი ხომ სოციალურად გლხობა ფენას ეყუთენოდა. ერთი სიტყვით, არსენას საკმაო საფუძველი ჰქონდა, ეჭვის თვლით შეეხებდა სულხანისათვის, რომელსაც ხელში დამბანა ეჭირა. მაგრამ რამოდენა იყო სიხარული, როდესაც სულხანმა იმედინი სიტყვა გაატანა და ის დამბანა მშობის ნიშნად უსახსოვრა. აი რატომ ვამბადრა არსენა —

არც თუ ისე ცუდად ყოფილა საქმე. ადამიანებში კიდევ შემორჩენილა ადამიანური გრძობები.

ესაა მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური ნიშანი — მოკლე, სხარტად, მაგრამ ცხადად გამოთქვა დიდი მნიშვნელობისა და ტრეპადობის აზრი, ამასთან მხატვრულად, სახეებით. ეს უკონდა მხედველობაში რუსული კრიტიკის მამამთავარს ბესარიონ ბელინსკის, როდესაც წერდა: „ხელოვნება არის ჰერმეტიკების უშუალო შეგრძნება, ანუ აზროვნება სახეებში“¹. სწორედ ამის გამო და ამითაა საინტერესო მიხეილ ჯავახიშვილი. მას მუდამ ზომიერი მხატვრული შეგრძნებით შეეძლო სინამდვილის ასახვა და ხელოვნების ამ უპირველეს დანიშნულებას დიდი ოსტატობით ავლენდა.

პერსონაჟის სულში ფსიქოლოგიური წვდომის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება მისივე (პერსონაჟის) აზრის ფიქრში ვაცხადება. ფიქრი — ეს თავისთავთან უსიტყვო საუბარია და, ცხადია, ყველაზე უფრო გულწრფელი კაცო თავისთავთან არის. ფიქრის საშუალებით ძინწად, მაგრამ სრულადაა გადმოცემული პერსონაჟის სულიერი მღელვარება, შინაგანი საშყარო, ფსიქოლოგიური სიტუაცია. ამის შესანიშნავი ნიმუშია არსენას მწარე ფიქრები აღსასრულის წინ. დედ-მამისა და ახლობლების გადასახლებით დანაღვლიანებული არსენა თვალს გადააელეხს მის მიერ ბრძოლითა და ტანჯვით განვლილ გზას, გული ბოლომთ აეცხება, რომ მისი კეთილი განზრახვა — შეება მიეცა გლეხისათვის—თვით გლეხებმა ვერ გაიგეს და უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებულ არსენას არ გაეგნენ. მას გული გაუტყდა ყველაფერზე, ყოველგვარი რწმენა დაკარგა და

სასოწარკვეთილებამდე მისულს მწარე აღმოხდება „მე ან ნაადრევად დავაბეზებულა“, ან ძალიან დამიგვიანა“.

ეს ლოგიკური ამოძახილი არსენას მხატვრული პიროვნებისა, რადგან მის მიერ გადადგმული ნაბიჯი იმხანად სხვა დასასრულს ვერ პოუბედა. მისი დაღებვა ისტორიულად კანონზომიერი იყო, მაგრამ იგივე ნაბიჯი საზოგადოების ისტორიის განვითარებისათვის აუცილებლობით იყო ნაყარნახევი. რომ არსენები და მისი მძაუნაფიცები არა, არც რევოლუცია მოხდებოდა, რადგან რევოლუციის მიმოძრავებელ ძალას სწორედ გლეხთა ფენა წარმოადგენდა მუშათა კლასთან ერთად ამ უკანასკნელის ჰეგემონობით.

მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს, არა მარტო პერსონაჟის სულში ფსიქოლოგიური წვდომა და მისი ინდივიდუალიზება ემარჯება, არამედ ასევე შესანიშნავად ძალღმს სიტუაციების ფსიქოლოგიური სიმძაფრით ვაღმოცემა. ამასთან სიტუაციების ფსიქოლოგიური სიმძაფრე მიღწეულია ჰერმეტიკად მხატვრული ოსტატობით — ლაკონიზმით. მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „გაშლილი, სავსე, ფერადოვანი სიტყვა“ უყვარს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთ მის ნაწარმოებში ფსიქოლოგიური სცენები სიტყვაშარალობით არაა წარმოსახული. „გაშლილი, სავსე, ფერადოვანი სიტყვა“ ყველგან უდიდესი ზომიერებითა და გემოვნებით არის გამოყენებული.

ამასთან „არსენა მარაბდელი“ უამრავი ფსიქოლოგიური სცენებით, ნიუანსებით, დეტალებით არის დატვირთული და ყოველივე მათგანი ისე ორგანულად, ლოგიკურად ერწყმის მხატვრულ ქსოვილს, რომ ნაწარმოებს, მხატვრულ ჟღერადობასთან ერთად, დიდ შემეცნებით მნიშვნელობასაც ანიჭებს. ესაა სწორედ ამ ნაწარმოების ღირსება.

1. ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, I, 1952 წ. გვ. 434.

ზარამ ლომთქიფანიძე

ზურაბ ლომთქიფანიძის მოთხრობები

როცა გურამ ლომთქიფანიძის რამდენიმე მოთხრობა გადავიკითხე, მის უტყუარ მხატვრულ თვალთან ერთად მისმა გულის ზმურმა გამიტაცა. ადამიანური სიყვარული — ჰუმანიზმი უოველ მის სტრიქონს ლეიტმოტივად გასდევს. უოველი დროიჯ ნაშღილი მწერლის ძირითადი ამოცანა სწორედ ეს გახლდათ, და, აღბათ, ისე არასდროს, როგორც დღესაც საქირო — შევახსენოთ ადამის მოდემას: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!“ დიახ, დღეს, როდესაც ჩვენს გადაღმა დედამიწის უოველ მილიმეტრზე დაძაბულობისა და ავკაცობის ნაღეჭების ასეთი სიჭარბეა. ხომ არ გვეჩვენება ჩვენ, დღევანდლებს ეს დაძაბულობა, ავკაცობა, ვაუტანლობა უჩვეულოდ, ისევე, როგორც ბუნების სტიქიური ზოღუნები შეგვაკრთობენ ხოღმე, მაგრამ ბუნების სინოპტიკოსები განგვიმარტავენ — მსგავსი სიღხეები თუ სიცივე ამა და ამ წელსაც უოფილო.

ძველი, ატივისტური გაღმონამოების ლიკვიღირება არც თუ ისე აღვილი ხღება დრო — ეამის მცირე მონაკვეთში. ჩვენი ჰვეუანა თავგაშოღებოთ იზრძვის შექმნას ფიზიკურად და სუღიერად ჰარმონიული ადამიანი. ამ შექმნაში, ამ გარდაქმნაში, ამ ფსიქოლოგიურ ახალ გარდასახეაში ატიმურ ენერგიაზე მეტად მღღავრობს მწერლის სიტყვა.

ამ უახლოეს წღებში უცხოური ლიტერატურის გავღენა ჰარბობდა განსაკუთრებით ახალგაზრღობაში, რაც მათ მოთხრობებსა თუ ლექსებს ზღირად სიყალბის დაღს ასეაღდა; საბედნიეროდ, თანდათან კღებუღობს უცხოური ლიტერატურის მანერუღობის ექსპორტირებაეს სრუღებით არ გამორიღებაეს ჩვენი ჰღანე-

ტის ლიტერატურულ ატიოსფეროში ტრიაღს, ჰირიქით — ჩვენ მხოლოდ მანერულ ლიტერატურას ვღუღისხმობღით.

დღევანდელი მწერლის ლექსი თუ მოთხრობა, ჰირველ რიგში, ჩვენი მრაველსაუღუნოვანი, ერთენული ლიტერატურის რელიეფზე უნღა იღანდებოღეს.

ჩვენ გურამ ლომთქიფანიძის იმ მოთხრობებზე შევჩერღებით, რომღებიც ახალგაზრდა მწერლის თვითმუღობღობის საიმეღო გამღღღენეაღ მიღვიანღა. ამ განზრახვით ვანვიხიღოთ მოთხრობა „ნაბიქი“.

გოგია კიზირია გაღღაღარბებუღი სენტიმენტაღობით განიღღის თეატრალურ სანახაობას — სბექტაღლის ყურებისას ტრავიკულ სიტუაციებს ნაიმღვი ცრემღებით უმასჰინღღღება. კეთიღი ბიქია გოგია, თავისი უშუღლო რეღღღექსების შენიღბვა არ შეუღღია და ზოგჯერ „სახოთირო“ მღღგომარეობაში აღმონღღება ხოღმე.

ერთხელ, ბავშუღობისას, შინ მარტოდ დარჩენიღი გოგია რადიოღან ისმენს: „ჰაიაი-ი, მღზრანბატონის ყმობიითა-ა ჴქვიღი ვერ დაღღვი გოღრითა-ა“, თეღწინ წარმოუღღება წელგატეხიღი ადამიანი. მერე კიღვე სბეა, ტაღღ-ტაღღღად ამაღალ სიმღგრას მოისმენს; აღღღღებულ გოგიას ვითომ კაღ ჴელში კაღათი უქირავს, შეორეთი კი ზღვა ხაღსს „რაღაც საჩუქარს ურიღებს“, „ყვავიღები იყო ეს თუ კარაღითა-კი, რაღაც ამღღავარა, ჴესტაღ არ იყოღა“...

ღღღის აეღღმყოფობისას გოგია ბაზარში დაღღის: ჰირველ ხანღებში რასაც დაუფასებენ, შეუვაქრბღღად ყაბუღღება, შემღღე კი ვიღაც ქაღს აეღღენება და ამ გამოღღიღი დღასაღღიღის კვღობაზე სასყიღღებსაც იღენს და ჴუღღ-

საც ზოგავს. ეს ბაზრობის სცენა ის მხატვრულ დეტალია, რითაც გამოუცდელი ყმაწვილი სიმშობლიოდ გზა-კვადს მიიკვლევს ცხოვრების მკაცრ ლაბირინთებში.

მოთხრობაში ორ ადგილს ვხვდებით, რომელიც, ჩემი აზრით, ოდნე მინც გვაიძულებს გოგია კიზირიას სათნობებით საესე სულთერ სამყაროსთან:

პირველი — შწერალი გვიხატავს საავადმყოფოში გოგიას ირველიე თითო-ოროლა მოცინიზმო, გულგაბუნძილ. არასასიამოვნო ახალგაზრდას; გოგია იქ ჩაფრენილ ანგელოზივით ჩანს. საჭირო იყო კი აუცილებლად ეს კონტრასტი?

და მეორე — გოგია კინო-ეკრანის წინ. ეკრანზე მიქვლანჯელოს ცხოვრება და შემოქმედება ისახება. თუმცა შწერლის მიერ კარგი კოდნითა და გემოვნებით არის მოთხრობილი მოქანდაკის ცხოვრების ყოველი წერილმანიც კი, და, ბუნებრივია, ყოველივე ეს ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს გოგიაზე, მაინც, ამ შემთხვევაში ეს ადგილი მხატვრული ნაწარმოების ქსოვილზე მიყვებულეგიათაა. ჰემინსტუეის უთქვამს: „რაც იცი, იმას თუ გამოტოვებ, სულერთია, ეს გამოტოვებული მაინც იგრძნობ შენს ნაწარმოებში, ხოლო, როცა ისეთ რამეს გამოტოვებს შწერალი, რაც მან არ იცის, ეს სიბერეზე მედამ ჩანს ხოლმე“.

უდარეტიარო როდე ეტყვიით იმ ორი რუსი ქალის ცხოვრების შესახებ, რომელიც აქ არის მოთხრობილი. ეს ამბავი გოგიას სულის ამონაზარდია, თუმცა გოგიას მოთხრობის ფინალამდე ეჭვი ეპარება ამ ამბის არსებობაში: უმდიდრესი დები თურმე იტალიაში ევრობობდნენ, პირველი მსოფლიო ომის დროს მის დაბრუნება გადაუწყვეტიათ, გზად, იმ არეულობაში, თითო პურში თითო მარგალიტს აძლევდნენ, საქართელოში გენშეიკების დროს მოსულან, სარდაფში დაბინავებულან, ენები სციოდნათ, მოწაფეები აუფანათ. სარდაფში ვერთხა ჰყოლიათ შეჩვეული და მოწაფის შშობლის რჩევით დარიშხანი უქმევიან ვერთხისათვის. შუალამისას ვერთხა ცუდად გამზიდარა: „ააცოცდა თურმე ერთ ქალს მუხლებზე, დაუჭენია თათები, ძლივს აუწყვია თავი და უყურებს, უყურებს თვალეში... ეს ქალები ერთდროულად წამომდგარან, არაფერის შნო და მარიფათი არ ჰქონიათ მანამდე, მაგრამ იმ დღეს გადაუღვიათ თავი“.

უმწეო არსება გადაურჩენათ.

საავადმყოფოდან გამოსული გოგია გრძნობს, რომ „ვიდაცას უყვარს“. სწორედ საავადმყოფოში, გულის წასელისას, გარდაშავალ შუალედში, „თვალი მოჰკრა ვილაციის შიშველ, გამხლად სხეული, რომელიც... უყვარდათ ვის, როდის, როგორ, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი ის იყო, რომ უყვარდათ. ეისი იყო

ეს სხეული, თავისი, სხვისი, ვერ ვაპრბა, მხოლოდ ის იყო მთავარი, რომ სიყვარულს ვაპრბო... რომ მართლ უყვარდათ...“

და გოგია ცდლობს, რომ იმ-სამყაროს პატარა. პაწაწინა წვეთი ყველას თვალეში ამოიკითხოს, საავადმყოფოდან გამოწერილი, ოთახში წრილებს, ფიქრობს, მეგრე კი, ეკრანზე მიქვლანჯელოს ნამუშევრებს რომ ნახავს. შინ მობრუნებულ, სინელში მდგარი, დროებით აღზევდება და ხტადლ წარმოადგენს უზარმაზარ ვერთხას, ოღონდ მომკედავს კი არა — ხედავს მის მოწითალო თვალეებს, გლუვ, ლამაზა, საზარელ ბეწვს, გველის წიწილასავით კელს, ციე გაუინულ ცებიარს, და მაინც: შიშით ავისილა, მუშხად შეკრული თითები წველებით გაშალა და იმ საზარელ სხეულს დინჯად. აუჩქარებლად ვალავს; მამინვე ყველაფერი გაქრა, გოგია გრძნობდა მხოლოდ საკუთარ ხელს, ხედავდა სინელეში გაფარჩხულ თითებს — ეს იყო ხუთი აცხცახებული თითი და გონიერი ხელი, საკუთარი მოძრაობაში დარწმუნებული და მაინც აცხცახებული და გონიერი, აცხცახებული, როგორც უქანასწერი სტრამიონთ აფეთქებული, გაბრწყინებული ლექი“.

გოგია კიზირიას ორეულივითაა ვახტანგი (მოთხრობა „შენი მწეანე და“). აუზის შუა ლოდზე ჩამოჭდარი მწეანედ შეღებილი ქალის ქანდაკება, რომელიც მრავალქერ გაიქვლებს მოთხრობაში, მარადისობის მშენიერებდალ ვლინდება.

მოთხრობის მთავარი ვერთხა ვახტანგი თბილისის მკეიდრი სტუდენტია და მისი სახლის ფანჯრიდან დანახული მარად ჩაფიქრებული მწეანე ქალის შეუცნობელ სამყაროთი ავსილი, ცხოვრების აღმართ-დადმართებზე ყერ კიდეე გაურკვეველ სიზმარივით დაეხტება. შემდეგ თანდათან ათენდება ცხოვრების გზაზე, სიცხადღეს აწყდება.

ჩვეულებრივ სუფრაზე მოხვედრილი ვახტანგი სხვებთან ერთად შექცევა ქართულ პურმარილს; როდესაც თამადა ერთ იქ არმყოფ პირს საოცარი მწუნხარებით ადღეგრძელებს, გაკვირვებული ვახტანგი მოყრძილებულად გამოიძიებს:

— ბოდში, ძია შიტოს შმა რითი ვარდაიკვალა?

— არა, რას ამბობ, რა ვარდაიკვლის იმას, მოხსნეს...

უდავოდ ცხოვრებისეული, ღრმა დეტალია, თანამდებობიდან მოხსნასა თუ განთავისუფლებას რატომღაც სიყვდილივით განიცდიან.

ასეთივე მეტყველ დეტალად მიმჩნია ესეც: ვახტანგი ამხანავთან მიდის, ბნელ ქუჩაში ვილაც უცნობს წაყურება, გულში ერთმანეთის შიში უძვეთ. ბოლოს ვაირკვევა, რომ „ტომობინი“ უწყინარი მუსიკოსი ყოფილა და ილიიაში ვიოლონჩელი ჰქონდა ვაირილი. შეფარ-

ვით, მაგრამ ბუნებრივად, სტრიქონებს შორის რეკავს საუბედროდ უნდობლობის სევდა.

ვახტანგი „მრგვალ ბაღში“ მერხზე ჩამოყდებდა, საიდნაჲ ჭურის მოსახვევი მოიანს. იქიდან გამოსულ გამწულეთა სხედასხევაგვარ სახეებს ათვალერებეს.

მოსახვევიდან ისევ ჩამოდიოდა ხალხი; ზოგი ხელგობიანი, ზოგი აჩაქულ-დაჩაქული, ზოგნი — სიღარბისლითა თუ სიღამახით აღსილნი, და ყოველივე ეს ამაფორიაქებლად მოქმედებდა მეოცნებე ვახტანგზე.

„ნეტავ სად მიდიოდა ის ხალხი, ნეტავ, ერთმანეთის რა იყვნენ, ან რამ შეყარა ყველა ერთად?“ — პირველყოფილი ადამიანითი უყვირს ამდენი ხალხი თუ ამდენი სხედასხევაგვარად დაფიქრებულბა.

მოთბობაში ისევ გაიღვლებს აუზის შუალოდზე ჩამოყდარი ქალი, რომელსაც სამითითი მოუშარყვებია და მღვრიე წყალში იცქირება, მუდამ რაღაცას ეძებს, რაღაცაზე ფიქრობს. „ათი წლისა რომ იყო, საჩიოთ მზის სხივს იჭერდა და იმ ქალს ანათებდა თვალბუში. სხივი ცელსობდა ქალის სახესა და გულე მხრებზე, დამსობარ საღებავს აჩენდა, პატარა მყერდზე ელამუნებოდა, სამითითში სხლტებოდა, თავაწყვეტილი ეთამაშებოდა მთელ მის მწვანე სხეულს. მაგრამ ქალს თავისი საიდუმლო ჰქონდა და დაფიქრებული დასცქეროდა წყალს“.

დრო გადის, ვახტანგი წამოიზრდება, ახლა უკვე მერე მოყრადღებით შესცქერის მწვანე ქალს, რომელსაც ყველასაგან მიეიწყებულს, დროთა დინება ვერარას აკლებს:

„ჩვეული სიღარბისლით გადიოდა დრო, ერთმანეთს დინვად მიჰყუებოდა ოთხი გოლიათი... მძიმე ნაბიჯით გადადიოდნენ ისინი მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, სიცივე ამყვრივებდა მის სხეულს, სიცივე დადნობით ემუქრებოდა, მკვდარი ფითლები შემამფოთებელი შავათითით დაფარფატებდნენ მის ირგვლივ და შხაჟუნა წვიმა როყავდა მის სხეულზე. ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი, ამ ოთხი გოლიათის დინვ სედას მიდლობილი. ჯერჯერობით მერც ერთმა ვერ დაამარცხა ეს პატარა ქალი, მთებს ეფარებოდა დაღლილი მზე, მძიმე წვეთები იმსხვრეოდნენ ქალის მხრებზე და მის ფერხითი, გუბეში ცვიოდნენ, თოვლიც დნებოდა. ერთმანეთს აძევებდნენ გოლიათები, ერთ წრედ შეკრულნი, ზურგზე გრძობდნენ ერთმანეთის ცივ და ცხელ სუნთქვას. მათ დინვ ჭიდილში გადიოდა დრო. ქალს კი საღებავი გაუხუნდა მხოლოდ, ისევ მშვიდად იქა და ქავზე.“

ერთი, ერთადერთი საიდუმლო იცოდა იმ ქალმა, მაგრამ ძლიერი და დიდმნიშვნელოვანი საიდუმლო. წყალსა და თევზებს არ დასტრიალებდა მისი მხერა, ზაფხულობით, როცა აუზი მშრალი იყო, ისევ ისე იცქირებოდა — რაღაც დიდი საიდუმლო იცოდა ამ ქალმა...“

აქ ყოველგვარი ახსნა-განმარტება უბეწობა იქნებოდა — ბუნებაში ზოგჯერ იხატება სტრიათი, რომელიც მხოლოდ იდუქლებს ენათგანცალკო.

ამ მოთბობაში საფერფლე — ნივარა ცოცხალ პერსონაჟითი შემოიჭრება ზოლზე. ვახტანგი ზოგჯერ უფრზე მიიღებს ნივარას და თავისი ასაკისდაძინებდით სხედასხევა თევგადასავალს ისმენს, ზღვისათან დაჯეშირებულს, აი, ერთი მათგანიც: ზღვის გასაძარცვავად დაძრუოდა გემი. გემის პატრონები კმაყოფილებით პარავენ ზღვას მარგალიტს, ზღვა ჯერ თითქოს მშვიდია, მაგრამ აწეალი ორთქლდებობა და, ყველასათვის შეუმჩნეველად, ღრუბლებად იქცეოდა ცისკენ აწვდილი ზღვის უჩინარი ზღუბი“. ზღვა ჩემად ბუტბუტებს, მაგრამ ვართუელი ხალხი ველარ გრძნობს ვერაფერს, და მხოლოდ მაშინ გამოერკვევიან, როცა „და უცბე განათდა... ყველაფერი განათდა — შემიხებულა ადამიანების მორცეცილი სახეები, დაჭიმული აფრა, კასრები და ზარბაზნებიც განათდა და ისიც დაინახეს ადამიანებმა, როგორ ჩაესო ზღვაში დაეყანილი ელევა და სამაგიეროდ, როგორ აიზიდა უშველებელი ტალღა და ადამიანები აყვირდნენ... მაგრამ მათი ხმა არ ისმოდა, რადგან ყველაზე მეტად გაყვიროდა ზღვა. ტალღამ ჩაბლუჯა გემი, მოიქნია და დიდ კლდეს შეანარცხა, მარგალიტები მიმოიფანტა და ზღვის ფსკერზე, სადაც არასოდეს არ ღელავს, საოცრად ლამაზად, მარგალიტებით წვიმდა. ზემოთ კი ზღვა ისევ მფითთავდა და ტალღები ერთმანეთს სტყორჩინდნენ გემის ნაფოტებს. შურისძიების სიმღერას გაჰყვიროდა ზღვა, მერე ცოტათი დაწყნარდა, მაინც ბორკავდა; მერე, როგორც იქნა, საბოლოოდ დაშვრავდა და ნაპირზე ზიზლით გაღმოაფურთხა მარგალიტის მამიებელთა გაბერილი სხეულები...“

ყველაფერი გარყვევითაა ნათქვამი.

ამ მოთბობაში ვახტანგისა და მისი უფროსი მეგობრის ლევანის მივლენებით გამგზავრების ამბავი სოფლად ორგანულად ვერ ერწყმის ძირითად ნათქვამს.

ერთი ისევ შეთვლავაშა მეგობრე გამოანდება, ისევ ხალხის ზღვა, ისევ ვახტანგის ფიქრი: ხალხს გასცქერის და თავისთავად მოსული სტრეილი ააფორიაქებს — „ძალიან მოუნდა რაღაც კარგი და სასარგებლო გაეყეთებინა ამ უცნობი, ჭრელი ხალხისათვის, სადაღ რამ მიდიოდა“.

მოთბობის ბოლოში კი ისევ ის მწვანე ქალია: „მისი მუქი სილუეტო ზამთრის ბნელ, ცივ გრძელ ღამეში... მისი ნაცნობი, იდუმალი სილუეტო...“

თოვლი დნებოდა მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, ლოყებზე, ნიკაპზე, პატარა მყერდზე წვეთები სდიოდა — დნებოდა თოვლი...

დიდი დამკნარი, ყვითელი ფოთლები ცვი-
ვოდა ირგვლივ, მიწაზე ცვივოდა დამკნარი
ფოთლები, გუთთავებულად ცვივოდა და თითქოს
ნელა სკილადებოდა მიწას და ზევით მიცურავ-
და მარადმწვანე ქალაქი...“

მრისხანე ანხოტელების ბატონს გზად სამი
წლის ბავშვი გადაედგა (მოთხრობა „ანხოტე-
ლების ბატონი“), შიოლა ღუღუშაურმა თავში
წამოართყა და გზა განაგრძო. ბაღლაბა უკან-
იდან ქვა ესროლა. გაოცებულმა შიოლამ ხელი
ნელა შეშართა, უცებ ბაღლის მამა — იაგორა
გამოჩნდა:

— ამას ხელი არ ახლო, მე მიყვარ რაც გინდა!

— ეთომ რომ ვახლო, რას მიზამ?

დაჩოქილმა იაგორამ მიწაზე ხელისგული და-
აბჯინა და უთხრა:

— დედამიწის მადლმა, თუ შეგარჩინო...
ასე იწეება ღუღუშაურების ტრადედია.

ვიღაც უცნობი, ხალხის სახელით, უქნარა,
ტანასყმელნამოძენილი, ქალებთან შორებით
მოლაბუცე, ერთთავად წყაროსთან წამოწო-
ლილ მთრეხელს შიოლა ღუღუშაურის მოკვლას
ავალებს. დახირბული ფულის ეშხით მთრეხე-
ლი ცხენზე ჯდება, მშვალს გადაიკიდებს მხა-
რზე და შიოლასკენ მიდის. ის კი, შეილებთან
ერთად, მოსახვევში ხვდება და ყველაფერა
იღის — პროგორც ყველგან, ანხოტელებშიც
აღმოჩნდა შიოლატე“. გაოცებულ, შეშინე-
ბულ მთრეხელს ჩამოჭრეთიებას უბრძანებენ,
მთრეხელი შორილად ასრულებს შიოლას ბრძა-
ნებას. და შეილდის მიწაზე დაგდებას რომ მო-
სიხოვენ, ნელა წაიღებს შეილდისკენ ხელს.
„აჰ, ყველაფერი დაკარგული იყო, თუმცა... თუ
მეც...“

ვიც იცის, საიდან მოვიდნენ ეს საოცრად
ძლიერი, ღამაზად შერეული სიტყვები. გაოცნე-
ბული, სიტყვებისაყოლილი მთრეხელი ნელა
მარცვლავდა გონებაში:

ცხენი მთხოვე და დაგიათე, შეილდს რაღად
მართმეუ რქისასა.
მშვილდი არ დამეოთიება, ადგოლს ვარ
ნაბირისასა,
გადმოვოლებ და გულსა კურაჲ, ბატონსა
ანხოტისასა,
აქამდე სკამე ანხოტი, ახლა შე გავკმეუ ქვიშას.

და ამ ლექსმა ბაპაშისის — სულტრას მოვლე-
მარე სისხლი გააღვიძა მთრეხელში. ახლა ის
სისხლი დამორიალებდა მთელ სხეულში და
საცა კი გაფითრებულ შიშს წააწყდებოდა,
წითლად ღებავდა. „დედას ვიტირებ“, — გაი-
ფიქრა და მკვრად დაეყრდნო მიწას, ნახტომის-
თვის მოემხადა. მშვილდი უკვე ხელში ეჭირა:
გამრახდა შიოლა, აშკარად აგვიანებდა იარაღის
მიწაზე დაგდებას მორჩეული.

— დაავდე-მტრტი, შე ძალიშვილი!

და, ყველასათვის მოულოდნელად, საოცრად
ღამაზი კამარა შეერა მთრეხელმა. უკრ ორიოდ
ნახივი გაიბრინა, ისარიც გადმოწოლა. გამოსხმა
და შიოლასკენ ისე გაფრინდა, როგორც სპაშინ-
სი სულტრა. საშინელი სისწრაფით უახლოვდე-
ბოდა ანხოტის ბატონს, შემკრთალმა შიოლამ
ვერადფერი მოასწრო, მხოლოდ იმ მეორე ხმამ,
სხაპასტუპით რომ ელაპარაკებოდა რაღაც ამდა-
გვარი ჩაძახა ყურში: „ხო გუღუშაურდი, სო
გუღუშაურდი, რატომ არ დამიყვრე, ეხლა რა
ლაა. შენ შენთვის და მე ჩემთვის...“ იმ დინჯმა
ხმამ კი ვერადფრის თქმაველარ მოასწრო — ზედ
შეკრდზე მიაფრინდა მთრეხელი და შიგ გულში
აძვრა ისარი შიოლას...“

მთრეხელის მიერ ნათქვამი შესანიშნავი ხალ-
ხური ლექსი (შიოლაგ, ღუღუშაურთ, სკამს!
ზიხარ ერსითვისასა...) საფუძვლად დაედო ამ
მოთხრობას, (გაეჩხვინათ ტიცანის ლექსიც),
ოღონდ ავტორი ამ ლექსის ნაწევრებს მთრეხელს
პირველ პირში ათქმევინებს.

გურამ დობინაშვილს ეს მოთხრობა ძლიერი
ძაბებით, კომპოზიციის მკაცრი გრძობით შეეს-
რულება; იღვრება სისხლი როგორც შიოლა
ღუღუშაურის. ისე მთრეხელის; შრომისმოყვარე,
პატოსანი გულხეაკის — იაგორას თავზე
ჩამოწოლილი მოსალოდნელი უბედურება მოუ-
ლოდნელად ქრება.

სისხლის დაღერა დიდ ფსიქოლოგიურ დატ-
ვირთვის საჭიროებს. აი, როგორ მოგვიტობობს
ფინალურ ეპიზოდს ლეო ქიაჩელი „გვადი ბი-
ვაში“: გვადიმ გახედა. შორს რძისფერ სიერ-
ცეში გამწყრივებული ზეთი ჩხირი გამოჩნდა.
მეტნაკლები სიგრძისა, ერთი მეორეს მოსდევდა
უფროს-უმცროსის კვალმბაზე. გვადიმ ამოი-
ცნო თიხის შეილები — ბარდუნია, ღუტუნია,
კატუნია, ექუტუნია და ქირაშია. უცებ დეულდა,
შეკრდის სიღრმიდან გმინვა აღმოხდა, ყამა მა-
წაზე დანარცხა, სისხლიანი ხელები ზურგს-
უკან მოავლო, მარიაშს შევედრა:

— აჰა, ქირაში! ეს არ იქნება! ვაიჭეცი ახლა-
ვე! შეხედი, დააყენე! უკან ქარგავლი წაასხი
ყველანი! უთხარი, ბაბაის კაცი არ მოუვალს-
თქო!... სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნ-
დება-თქო... როგორ მოგივიდა, რომ გამოეშვი!
მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მა-
რიაში =

მკვლელობის ამგვარად გადმოცემამ სულსა
და სხეულის აბურძგვანა იცის.

აქ კი, ანხოტელების ბატონში“, ორივე
მკვლელობა შიოლას სამი შეილის თვალწინ
ხდება, რომლებიც შეჩვეულნი არიან ამგვარ
აშბებს; იქნებ ამიტომ, ავტორი ორივეს სი-
ვდილს აუღელვებლად, ერთგვარი მხატვრული
პირობითობით აღწერს: „ისევე ეჯავფურებოდნენ
შვილები, მერე ყველაზე გონიერმა მამამ თქვა,
„ვაცალოთ... სიყვდილი ვაცალოთ...“ და ღარი-
ქილი შეაქვრდნენ მამას. იმან კი დამბლადა-

კემული მარცხენა ხელი მარჯვენათი მოჭებია, ფოთურით იპოჯა და მაგრად მოუჭირა თითები. ტყვილი ვერ იგრძნო — გულადმა იწეა და კედელია, მარჯვენა ხელს კი ისე მაგრად უჭერდა მარცხენას, თითქოს მარცხელს ჩაფრენოდა ველში. მოაზრო, მოგვდა შორხეული, ახლა იაგორანდა დარჩა მოსაკლავი, ვის გაერს ჩაიტანდა მიწაში შიოლა ლუღუშაური — ცოტათი მალა აუყუა მარცხენა ხელს და ისევ მაგრად, მაგრად შემოაჭრო თითები, ისიც მოგვდა, ისიც მოაზრო და... საბოლოოდ დამშვიდდა აჩხოტის ბატონი.

ოთახში გამომწვევდელ მთრახველს კი ასე ჰკლავდა: „მთრახვი რომ შემოვიხმა, უფრო მოყურებდი მთრახველს. ექვით მაშინტერდა საკომერსო და დამინებელი ისარი რომ დაინახა. გვერდზე გახტა. ხის ბოძში ჩაერტო ათთოღლებული ისარი, შიშით შეაკეცრდა ბრაზისაგან აცახცახებულ იარაღს და უეცრად კეფაზე დაუტრიალდა მხარა იგრძნო. საკომერისაკენ შეტრიალდა და ახალი ისარი დაინახა, აღესილა წვერი შივ თვალებში ჩიოტად მისჩერებოდა მთრახველს. რა უნდა ექნა, მშვილდი ჰევენისას დაქარაჯა, უძღურებისაგან გამწარებულმა და გონებადამინდულმა, ხელით დაიწყო ისრების ტყორცნა საკომერისაკენ.

— ეიშე, მთრახველო, ლამაზო ბიჭო, — გაკიოლა ციკო.

— ოო, შიოლა, შე ებედურო, — მკილბს იბაკუნებდნენ მკერდზე ლუღუშაურები.

მეცელში ეძგერა ისარი მთრახველს, ორივე ხელით დაეჭიდა, მაინც ვერ გამოიღო. ვადარია, რალაღზე ხომ უნდა ეყარა ჯაბი. გამწარებულმა თავისი არაფრისმქენის ისრები სათითაოდ გადატეხა და ნამტერა ეგბო იატაკზე დაინარტოდა.

ბარძაქში ტყვილი იგრძნო, მერე მხარშიაც ეძგერა ტყვილი, ჩაიიოჭა, შუბლი დაარტყა შიწის. მოიკუნტა, მუხლებზე შემოიხვია ხელები; ახალ-ახალ, სხვადასხვანაირ, უმწარეს ტყვილებს გრძნობდა, ყველაზე ცუდი წვიმა აწვიმდა ზურგზე მთრახველს — მაინც არ ვაშალა ტანა, მოიბუჯა, დამრგვალდა, მთლად ზურგდაისრული, უზარმაზარი ზღარბივით მოკუნტულიყო შიწის იატაკზე.

ყველასათვის ბევრის მოქმელი და აღგოროული „გამავლელი პაიკი“. მეტისმეტად მოყრძალებულ ალექსის, ცოლ-შვილის მოსიყვარულესა და ოჯახის კაცს, გატაცებით უყვარს პადრაკის თამაში. მაგრამ ჰადრაკის ანაბანაც არ იცის. ასობით ნათამაშე პარტიში მოწინააღმდეგის უყურადღებობით მიადწია ერთხელ „პატს“ და ისე გაეზარდა, რომ მეზობლებში ვადამწყვიტეს ყოველთვის მოგებინებინათ მისთვის. ალექსიმ კი, ირწმუნა რა თავისი უპირატესობა, ძირ-ფესვიანად გარდაიქმნა — წყნარა, მორიდებული კაცი იყო და მედიდური, ყოყლოჩინა გახდა, უშნოდ ვამაზარტავნდა, იაფფა-

სიანი „პრომის“ ნაცვლად „ეზბეგის“ მოწვევა დაიწყო, სმაც დაიწყო ვაგბატონმა.

აღბრ თუ ცოლის მონა-მარჩილენ მწერა-მწლა ზედაც არ უყურებებს: **ბიზნესი**

— ალექსი! — ეძახის ცოლი.

ალექსი კი არც პასუხობს, მეზობლებს კი ეუბნებდა: იყვირებს, იყვირებს და დაიდლება. ასე ბრყყვდება საწყალი კაცი...

როგორც ეთქვიო, ეს მოთხრობა ბევრის მოქმელია იგავურია.

კოტე მასწავლებელს სწავლების უცნაური მეთოდიცა გამოუყენებია. (მოთხრობა „კოტე მასწავლებელი“) სინამდვილეში თურმე მეორე თანრიგისანი ტანმოვარჯიშე ყოფილა, მაგრამ მოსწავლეებთან, განსაკუთრებით პირველკლასელებთან, „სახბუთოთა კავშირის ნუმერ პირველ სპორტსმენად“ ცხადდება. კეთილი ტუვილის მოყვარული, ფიზკულტურის მასწავლებელი კოტე ბაეშეებს მართლა აინტერესებდა და აუყარებდა ვეჯაცურ-ჩაინდულ საქმეს. მოსწავლეები სკოლას ამთავრებენ, მიდიან, მათ ნაცვლად კი სხვა თათბა მიდიან და კოტე მასწავლებელი გამდღმებით ჰყვება, პარდაპირი და ირიბი დარტყმების წყალობით როგორ გახდა ჩემპიონი კრივში, როგორ ვადაარჩინეს თითქმის წაგებულ ფეხბურთის მატჩი მან და ეინზე ვასომ, როგორ გამოიღოდა სანჯვენებელი ვარჯიშით ტანვარჯიშში იმ დარბახში, სადაც პირველ რიგში სულ გენერლები ისხდნენ, ცნობილ მცხეთელ „დამრტყმელთან“ ჩხუბში როგორ გაუტყდა ფიზკულტურის მინისტრის მიერ ნაჩუქარი საათი და ასე. ბოლოს კი, კოტე მასწავლებელი, განსაკუთრებულ ავადყოფობით სავადმყოფოს საწოლზე მოქაჭული, თავის მოწაფეს ზედება და თავიდან თითქოს ისევ ის ძველი კოტე მასწავლებელია, რომელსაც თავისი ტყვილებსა სკერა — ნამოწფთარს ეცითხება: „ამ მუღაეის შემხედვარე, განა ეინზე იფიქრებს, წარსულში ცნობილი სპორტსმენი რომ ვეყავი?“ მაგრამ მოთხრობის დასასრულში კოტე მასწავლებელს უცნაური ბუვი აწუხებს: — იცი რა, გოგო, ხანდახან რომ ეტყვირდები, ძალიან შორს მივდივარ ხოლმე. აი, ეთქვათ, წარმოედგინოთ, რომ მართლა პირველი სპორტსმენი ვეყავი — პირველი ფეხბურთელი, პირველი მოკრივე, მოფარკივე და ასე... მაგრამ იცი რა, გოგო, ხანდახან რომ ეტყვირდები, აი... აი, ეთქვათ, მართლა ვეყავი, არა? ეს თავისთავად კი ძალიან კარგია, მაგრამ ახლა მე შენ გეყიოხები, გოგო, მერე რა? ეთქვათ, ვეყავი, არა, მერე რა? ა, გოგო?... — და ძალიან ჩემად დაყოლა. — მე მაინც მგონია, რომ მთავარი მაინც სხვა იყო, სულ სხვა რალაცა იყო მთავარი“.

სწორად და „მთავარს“ გურამ დონანაშვილის სხვა მოთხრობას პერსონაჟი ვაფლებით მეტს ფიქრობს. მოთხრობა „იგი სიყვარულსათვის იყო გაჩენილი ანუ და გრიშა და მთავა-

რამ, თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებად მიმაჩნია.

მთავარი გმირი — გრიგოლ კვერციანი ამჟამად ავტორის მიერ დაბრუნებული გოგია კიბორჩხის ბავშვური, მაგრამ კეთილშობილური აზროვნების დადასტურებულ ვაგრაჟებს წარმოადგენს. პიანინოების ამწეობი გრიგოლ უცნაური განწყობილებებითა და მოქმედებით დღევანდელი პიანინოების უიშვიათეს პრობლემად გვევლინება. მისი მთავარი პრობლემაა: „უნდა ეცადო, რომ შენი წყალობით ნაცნობები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან“. საზოგადოება მან სამ კატეგორიად დაავიყო: ცუდი, კარგი და ცუდი-კარგი. ამ მესამე — „ცუდი-კარგი“ საზოგადოების უმარტესობა მიუყვება. როგორც „ცუდი-კარგი“ ცუდი მოცილობს, ამისათვისა გადაგებული, უნდა, რომ გაორებულ ადამიანებს სულის უარყოფითი ნაწილი ჩამოეკეთოს.

ზღუდისპირეთში დასასვენებლად ჩასული გრიგოლ თანამოსახლებებთან ყოველთვის ვაკცხარებით ამტკიცებს ადამიანის გადასარჩენის მტკივნეულ და უმწიფეს პრობლემის აუცილებლობას. გრიგოლ ხშირად გაიძახის იტალიურ სიტყვებს: „იო მოლო და კახა“, რაც თურმე ნიშნავს — მე მივდივარ სახლში. ეს სიტყვების მარტორღენ აკვირება როდია, ეს სიტყვები ამ მოთხრობის მარტივი, მაგრამ მაინც სიუჟეტური კვანძის წინასწარ გამოჩარხული, გულდასაწყვეტი, სევდიანი გასაღებია. მეგობრებთან და ახლადგამოცხადებულ მცირე ინციდენტის შემდეგ გრიგოლ ტოვებს ზღვისპირეთის სიტყვებით: „ახლა მე შერთა იო მოლო და კახა“, და თბილისში მოემგზავრება. უესტალონთან თუ შორაპანთან ახლადგამოვლილებული გრიგოლ ყველა კიდევ ბურანში მყოფი გააანალიზებს განვლილ პერიოდს და გულში ასკვნის: „თუთონ უნდა იყო კარგი ხმამაღალ-კარგი — არ ვარჯა. ჩემ-კარ-კარგი“ კი მართლაც კარგიაო.

მოთხრობის ყოველი სტრიქონი ადამიანური სიყვარულით არის დაბაძული. აქ ვერ შეხედებით მკვდარ, ან მომავლად სტრიქონს. საილუსტრაციოდ მოვიყვანო ორ დეტალს: გრიგოლს მრავალფეროვან პრობლემებში, როგორცაა „პირდაპირობის გრძობა“, „ზომიერების გრძობა“, და მრავალი სხვა, ფულსაც, ანუ როგორც გრიგოლ ეძახის, „თანხასაც“ უყვია საპატიო კეთილშობილი ადგილი.

გრიგოლ, კაცობრივ დისშვილს სანახავად ასული, ასეთ სურათს წააწყდა: ქუჩა მოთამაშე ბავშვებით ავსებულია, დიდი ქვივლ-ხივილია, ამ დროს ვიღაც სქელა კაცმა ახლადშემოსული სახამთროთი ჩამოიარა — ისე უკავა სახამთრო, როგორც „ბირთვის მკვრელებს უკავიათ თავიანთი ინსტრუმენტო“ ბავშვებმა თამაში შესწყვიტეს და იმ ამჟამად ჩაიღო კაცს, ხელთ მოხატრებულ სახამთროს რომ ეპირა, თვალს გააყოღეს. მაშინ ინატრა გრიგოლს ფული: „ბჭქსით ჩავგრი-10. „მნაობი“, № 4.

ლდებოდი თბილისში, დაეჭირებულნი საბარგო მანქანას, ვიყიდი უმარჯ სახამთროს ჩამოყრტანდი კაცობრივ, მძღოლის დახმარებით, გადმოვალავებდი, გორად დაეწყობდი, მერე ერთ ცალს დაეწვდებოდი ორივე ხელით და დაეძახებდი: ეპე, შენ, პატარა გოგო, წითელკობლებანი კახა რომ ვაცვია, ეს შენია, დაეჭირე... და სახამთროს დაღმართთან ქუჩაზე ფრთხილად დაეგორებდი. მერე მეორეს მოვიმარჯვებდი და ისევე გაეძახებდი: ეპე, შენ, თავხატორა ბიჭო, ეს შენია, დაეჭირე... და დაეგორებდი. და სულ ასე, სანამ ყველა ბავშვს არ ჩამოეჭირებდი, მერე კი ჩემს მკვიდარ დისშვილებსაც მივუტანდი...

მერე კი შეღჭირებულნი დასძენს: „შპრამ ესეცაა, ამდენი თანხა ქუჩაში არ ყრია და არც არავინ ვაჭუქებს, ხოლო თუ ვაჭყვეული დროის მანძილზე დაეგორებ, შეიძლება გადაიფიქრო აღნიშნული ხილის ყიდვა, რადგან თანხის დაგროვებისას ადამიანი იცვლება“. და საბოლოოდ დასკვნის: „ნურცერთი ნუ ვიყიდიო, ძმაო, სახამთროს, სანამ კარგად არ შეშოვა“.

გრიგოლ ზღვის პირას ბნელში განაპირებულ ქალს უმტკიცებს, თუ რა არის ადამიანისათვის ადამიანი: „არის ერთი გამოთქმა, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია, მაგრამ მე, ამ შემთხვევაში შენი ახლობელი, სულ სხვა თვალსაზრისისა ვარ. და თუ გინდა, რომ ავიხსნა, აბა, თვალში დახეკე და ნებისყოფიანად დაითვალე“.

- და უცებ მყოცებ, არა?
- არა.
- აბა?!
- თუ ვაინტერესებს, დათვალე, თუ არა და...“

ქალს თანხმდება, თვალდახეკული, თვალს იწყებს. თვალის გახელისას გაოგნდება — შორიახლოს არავინ არ ჩანს. შემკრთალი, გრიგოლს ეძახის, სიბნელეში, მარტოღმარტოს, შევშინდება, გრიგოლს ეძახის, ვარბის, ეძახის, ეძახის და სიბნელეში რალაცას თუ ელაცას ეჯახება. შეპკვილებს, სახეზე აფარებენ ხელებს, ის ელაცა კი ბტყვის: „ეს მე ვარ, მე!“

გახარებული ქალი ჩაეკრობა, გრიგოლ კი უხსნის: „აი, სწორედ ესაა ადამიანისათვის ადამიანი, — უთხრა გრიგოლს და თავზე გადაუსვა ხელი, — შენ მარტო იყავი, სუსტი და უმწიფე, შენ მარტო იყავ — ამ წყვარამსა და უკუნეთში, შენს წინ კი უზარმაზარი, გამუქებული ზღვა ავად შრიალებდა, პატარავ, და შეგვიჩინა. შენთვის ხომ დამე იყო, ხომ დამე იყო ამ ორიოდ წუთის უკან, ახლა კი, ჩემთან რომ ხარ,

ჩახტებულ და დაქვრებულ, ახლა ხომ დღეა, პატარავ, ხომ დღეა?

— დღეა, გრიშა, დღეა, — ტიროდა ქალი.

— ადამიანი ადამიანისათვის — დღეა, — თქვა გრიშამ.

„გეოგრაფიისა და უცხო ქვეყნების მოყვარული ზურა თავის ბავშვურ ფანტაზიას ხან ცაში მონანავ ქორის ფრთებზე ფენს და ხანაც — გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ფურცლებზე (მოთხრობა „მთის ვადაღმა“).

„ბიჭის მზერა ქორს მისდევდა და ცაზე იხატებოდა უხარმხარაი ქალაქები. მზეზე ელავდა დიდი, დათოვლილი მთები და ზღვებში აისბერგები ტიტტივებდნენ. ფრთების მოქნივის დროს ისმოდა ჩანჩქერების ხმაური და ტბა ლაბლაპებდა“.

სწორედ ეს ქორი დათოვა სახლის ავინიდან ზურას მამამ. დაჭრილი ქორი რის ვაი-ვაგლახით მოარჩინა ზურამ, ისევ აფრინდა ქორი, ისევ დათოვა მამამ, ქორის განმეორებით ჩამოგდებამ ზურას ცრემლი და დიდი გულისტკივილი გამოიწვია. ქორის ფრთები თითქოს მისი ბავშვური ოცნებებისათვის ერთადერთი საშუალება იყო — გადაეხედა მთის ვადაღმა.

„უცებ შეჩერდა, გაოცებით შეხედა ბუნჭებს, სადაც ჩავარდა ქორი და გაახსენდა, რომ სროლის ხმაც გაიგონა.“

აივანზე თოფიანი კაპიტო იდგა.

— შენ ესროლე? — ხმადაბლა ჰკითხა ბიჭმა.

— ხო.

— რატომ?

კაპიტომ საჭიროდ არ სცნო პასუხის ვაყენება.

— რატომ მოკალი — დაიყვირა ბიჭმა.

— გაგივდი, ბიჭო?

ზურა უახლოვდებოდა აივანზე მდგარ მამას; თავი მალა ჰქონდა აწეული.

ცაზე არაფერი ჩანდა.

— ჭეკები რომ არ მოეტყა, არა? — დაუყვირა ზურამ.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — შეერთა კაპიტო.

ზურამ ქვას დაავლო ხელი და გაიქცა. ხელი მოიქნია, მაგრამ ინდურმა გვერდზე გახტომა მოასწრო. ბიჭი შემოტრიალდა და მამას შეეჩეხა.

კაპიტოს ბრახით ანთებოდა სახე. ხელი მოუქნია და გააჩტა.

გომერში თივაზე მიკვებულ ბიჭს დედის კალთაში თავი ჩადო და ტიროდა. დედა ეფერებოდა და ბიჭს გაახსენდა ღრუბელი. მერე გაახსენდა ქორი.

— დედა, შენი კირიმე, დედა, რატომ მოკლა?

— დაწყენარდი, შეილო.

— დედა, რატომ ესროლა, რატომ მოკლა?

— კარგი, შეილო. ნუ ტირი, ვაჭკეცი არ ხარ?

ბიჭმა ცრემლები მოიწმინდა.

— რატომ მოკლა, დედა?

— დაწყენარდი, შეილო. იქნებ არც მოუყვალეს.

— იქნებ გადარჩეს, არა? იქნებ გადარჩეს, დედა, ერთხელ ხომ გადარჩა?

— კი, შეილო, გადარჩება, აბა რას იზამს.

ბიჭმა გომურის კარი გააღო.

მთა იყო ძალიან შორს და ძლივს არჩევდა ბუნჭებს, სადაც ქორი დაეარდა. ზურამ თვლები დახუჭა და მაშინვე დაინახა ქორი; იგი ეკლიან ბუნქთან ეგდო, ნაღვლიანად იყურებოდა სადაც და თითქოს არც ამჩნევდა სისხლს, მოტეხილი ფრთიდან რომ წვეთავდა. მერე ქორმა ჭრილობას დახედა და ფრთა შეარჩია.

ასე ლამაზად დაეტოვა მწერალმა ზურას გეოგრაფიულ ოცნებათა გაგრძელების შესაძლებლობა.

„ვარლამი იდგა და თოხზე მყერდით დარდნილილ კაცს აღტაცებით შესცქეროდა, ის კი გეოგრაფიული შექუტრებად ქმას“ („შენ ძმა ხარ ღემი“) არ ვიცი, რა საფუძველზე დაყრდნობით დამამთარა მწერალმა ეს მოთხრობა ამგვარი სიტყვებით. იქნებ იმიტომ, რომ ვარლამი მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენელია, ფილიპე კი მიწის მუშა. ან, შეიძლება იმიტომ, რომ ვარლამი გადაადილი და ნერვიულია, ხოლო ფილიპე მშვიდად და მორჩილად გამოიყურება?!

„ხო, სწორედ ეს მშვიდი და მორჩილი გამომეტყველების კაცი იღვიძება გარბიერაზე, ხალისით იზანდა პირს, საუკუნოდან გამოქპონა ბარი, თოხი და დიდხანს უღესავდა პირს, მერე იარღებს მხარზე გაიდებდა, საუზნეს ილიაში ამოირიდა და მიდიოდა ეენახში ან ყანაში. გზაში შემხვედრ თანასოფლელებს დინჯად ესალმებოდა, ეენახში შედიოდა და საუზმეს ჩრდილში ხეზე ჩამოიკიდებდა, თოხს მყერდზე მიიყუდებდა ხოლმე, აცაპიწყებდა სახელოებს და მშვიდად ათვალერებდა ცას, უყურებდა უწყინარ ან საადლო ღრუბლებს, მერე თოხს მოიმარჯვებდა და აუჩქარებლად იწყებდა მუშაობას. თოხი მორჩილად და დინჯად აფხვიერებდა ბელტებს, საარველა ბალახი კენებოდა და ნეშომალად იქცეოდა. ხანდახან როცა თოხას მკვეთრი ფხაჭუნი ისმოდა, ფილიპე უკმაყოფილოდ დასცქეროდა მიწაში ჩაფლულ მორჩილ ქვას, იხრებოდა და თითებო ებლაუჭებოდა, მერე მძლავრად მოიქნედა და ქვა ყრუ ხმაურით ეცემოდა ეენახის განაპირას. თოხი ისევ აფხვიერებდა მიწას, დრო გადიოდა, მზე შემოქვდებოდა მთაზე, ცუარი შრებოდა, შრებოდა ნესტით ვაჭუნთილი ბელტებიც და მოთოხნილი მიწის სუნს ღრმად ისუნთქავდა ფილიპე. და ასე შემდეგ, აი ის გადამეტყვე-

ლი დეტალზედა, რომელიც მკითხველს უთუ-
ოდ მოაწყენს.

ხელმძღვანელმა მალაქაძემ დღეს ვარლამის სიტყვა, როცა აიწინა ძალიან ნაცნობ მიღამოებს ათვალერებს: „პო, ეს არის, პო, ეს ის სოფელია, სადაც დავიბადე“. ბოლოს და ბოლოს მან საშუალო განათლება ზომ შშობილურ სოფელში მიიღო, და თუნდაც იგი წლის ჩამოუსტელილ ყოფილიყოს, ასეთი განსაკუთრებული მართლმადიდებელი ვადასახავი ზღვარია არ აღემატებოდა თავის მეცნიერულ პიროვნებასა და სოფელს შორის.

მოთხრობაში „უსიტყვო სიმღერა“ უკანონო და უზღვრო სენათი განუმეორებელი სიღამაზით წარმოუდგათ სენათში ჩასულ ახალგაზრდებს, რომლებსაც დათვებზე მონადირე ბაგაულს ხედავთ. ბიჭები ერთის შეხედვით ენაწყლიანად აქებენ უშვას, ენგურს, კოშკებს, ამ მიღამოების თვალშეუდგამ ძლიერებას, ბაგაულს კი, ვინც მეტი იცის, ვისაც გაცილებით მეტი განუცდიდა, ლამარაკი არ ეხერხება და გული სწყდება: „მე რომ ლამაზად ლამარაკი ვიყოფდი, რამდენი რამის თქმა მინდა“, — ფიქრობს ბაგაული.

ასე ფიქრობს, მაგრამ, ცდება. ბაგაული ისე მოქმედებს ამ პირველყოფილ სიღამაზეში, ისე დამირება, ისეთ გამომეტყველებას ღებულობს, რომ იგი თავიდაც უღამაზენი სიტყვა, ანუ როგორც ავტორი ამბობს, „უსიტყვო სიმღერაა“. ეტყობა, დიდი სიღამაზის აღქმა ერთის მხრივ ანაზნაან, ხოლო მეორის მხრივ ბაგაულისთან უანაზნო გენიოსთა საქმე ყოფილა და არა მათ შორის მოქცეულთა.

ფილოლოგი მამია (მოთხრობა „ხელოვნების კაცი“), რომელიც კინობითი ფორმების მფარმოებელი სუფიქსების ზოგადი თავისებურებაზე მუშაობს, აგრეთვე გატაცებით ეწევა უნივერსიტეტის სტენაზე მოყვარული კონფერანსის ვაჟი თუ ისე ვიღ სექსეს, ზოგჯერ სექტრშიც მონაწილეობს და თავი ხელოვნების კაცად წარმოუდგენია. ხელოვნება უყვას, მაგრამ ხელოვნების წინაშე ყოველგვარი კინობითობა, დაყენება აზრს კარგავს და, ერთ საღამოს, როცა გამარჯვებული სტენისმოგვაბუ შინ მშვენიერ გუნება-განწყობაზე ბრუნდება, კედლიდან სერვანტესი შემოხედავს: გუნება-წყამხლარი მამია წეება და საბანს თავზე წაიფარება. დიდ ხელოვანს ეწალება.

მაგრამ სიზმარში დამალვას ვერ ახერხებს. სერვანტესმა ზომ სამართლიანობისა და რაინდობის ბრწყინვალე იმპერატორად მახვილგონიერი იდაღარ დონ კიხობი მოგვივლინა. სწორედ იგი უსიზმრა მამიას, ხმალმეშართული რაინდი მისკენ ხმალმეშართული მოქპრის. შემინებული მამია მიწაზე წეება და მიძიმე დარტყმას ასე უცდის, მაგრამ არა, — მახვილგონიერი

რაინდი ვერც შეამჩნევს მამიას და ისე ჩაქურ-
ლებს — იმას თავისი საქმე აქვს.

ასე სცილდება უსუსტესი და უმადურესი
არსებები ერთმანეთს.

ასე სცილდება ერთმანეთს ნამდვილი და ყალ-
ბი ხელოვნება.

მამიას ენათესავება მიხეილი (მოთხრობა „მი-
ხეილი და ალექსანდრე“), რომელ მიხეილი ვა-
ცილებით უფრო მასშტაბური და გამოუსწორებ-
ელი მეოცნებეა. ისიც ხელოვნების ზეარა-
კია, მიხეილი დირიჟორია, მეთვთაობისხოვან
ორკესტრის ხელმძღვანელობს. ეს მოზრდილი
მოთხრობა თითქმის მთლიანად მიხეილის მო-
ნოლოგებზეა აგებული. მიხეილი თავის სიზარ-
მაცეს კი აღიარებს, მაგრამ ამასთანავე ნიჭიერე-
ბასაც იჩივებს. არაა პრაქტიკული კაცი და
დროს ოცნებაში ატარებს: „მე რომ დიდი მა-
ესტრო ვიყო, სიკვდილის შემდეგ არ დავიკარ-
გებოდი — რომელიმე ქუჩას ჩემს სახელს და-
აქმევენდნენ, უფრო სწორად — გვარს. რა უნდა
იყოს ამაზე კარგი, ეთვება, ბიჭი ეუბნება გო-
ვას: „ხელო სად შეეცდეთ?“ „სადაც ვინდა“.
„მეესტრო სანაძის ქუჩის კუთხეში მოდი, მ
საათზე, კარგი?“ „ღიახ,“ უპასუხებს მორიდ-
ებული გოგონა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი,
მა?“

მიხეილის ვერაი როსინია, დიდი მეესტრო.—
სიზმარაკით ენობილი, გენიალური კომპოზი-
ტორი. მიხეილმა მშვენიერად იცის, როგორი
უხადრეკი ორკესტრიც აპარია და ამ გულდასა-
წყვეტ ფაქტს ოცნებებში ინაზღაურებს. ერთ-
ხელ კი, გამორჩეულ სტუდენტისაგან გულ-
დაწყვეტილი, რომელმაც მას „ხელმოცართულა“
უწიროდ, გამოსავალს მაინც იპოვნის: როსინია
„ქუჩის კაცის“ უფრტიურის ფირფიტას
შეღამით, სიბნელეში რადიოლაზე ღვება,
ფრას იცემა, და ნანატრ ორკესტრს ასე და-
ჩივრობს: „ჩემს წინ, სიბნელეში იყო მშვენი-
ერი და ნანატრ ორკესტრი, თვალები მაინც
დახტული მქონდა და ისე გამოძრავებულ ხე-
ლებს. ყველა ინსტრუმენტი ისე შემოჩილ-
ხლდა, როგორც მე ვინდოდა, ყოველივე ჩემს
განკარგულებაში იყო — ემოციური ეოლი-
ნოები, ნაღვლიანი ჩელოები, მშრალი და უდრ-
რდელი კლარნეტები, რომანტული პობოი,
ზედაპირული, პეროვანი ფლეიტა, მისისანე
საყვირები და ტრომბონები, ჩემი და მორიდ-
ებული ვალტრინები, ეშმაკური ტემბრის ფა-
გოტები, მტარგინაივი რალები და თეფშები,
მეოცნებე არტები, დინჯი და დარბაისელი კონ-
ტრაბასები, იღუმალი ინგლისური საყვირი...
მე ზუსტად და მკაფიოდ ვდირიჟორობდი, რო-
გორც ეს გამოჩენილ მეესტროებს შეჰყვრიათ,
ჩემი ოთახი საესე იყო საოცნებო ხმებით. და
აღბათ ჩემს მეზობლებსაც ძილში ჩაესმათ ეს
უცნაური, საუცხოო ჰანგები. ეს ტრიუმფს
ჰგავდა, კონსტანტინე, — მე ვდირიჟორობდი

და ჩემს ოთახში გაისმოდა დიდი როსინის უღარდელი, ღვთაებრივი სუნთქვა.

— კი მაგრამ მუსიკა რომ დამთავრდა, ალბათ ძალიან დავწყება გული, — უთხრა კონსტანტინემ.

— რატომ, ჩემო?

— ტაში რომ არაინ დაეკრა.

შესტრომ გაკვირვებით შეავლო თვალი და გაკვირვებით ჩაილაპარაკა:

— განა ჩვენ მხოლოდ ტაშისთვის ვიწვიოთ, კონსტანტინე?”

ასე მთავრდება მოთხრობა, მიხეილმა მშვენიერად იცის, რომ „მხოლოდ ტაშისათვის“ მოღვაწეობა ამოვება და შეიძლება ამიტომ, ოცნებას არჩევს.

მიხეილის ოცნებები არ არის რეალურ მონაცემებზე დამყარებული; მის ოცნებებს ტოლა პრაქტიკულად რომ შეეფარდოს, მაშინ, საუბედუროდ, ცხოვრებაში უმადლესი რანგის ვალბ მოღვაწეს მივალბდით.

მართალია, მიხეილის მსგავსად გვრამ დონანაშვილის ზოგიერთი გმირი კეთილშობილური ოცნებების ცხრალატულში ჩავეტრისა პგავს, მაგრამ ჩვენ გვერბა, რომ ისინი დღეს თუ ხვალ უსათუოდ გამოამტერებენ კარებს და ცხოვრების ქუჩაზე რაინდულ ვეღს დაამჩნევენ.

სანდრო გეოგრაფიული ექსპედიციის წევრია („ათასი წერილმანი“) ექსპედიცია იმერეთის რომელიღაც რაიონში მოემგზავრება. გამგზავრებამდე და მგზავრობისას სანდროს მართალია ათასნაირი, მომამბეზრებელი წერილმანის ვადალახვა უხდება (მატყუარა ბუღალტერი და მწე, ხარბი ტოპოგრაფი, ძირბავარდნილი ჩექმა და წვიმა, თოვლ-ჭყაბი, უმიზნოდ მოკისვისე ექსპედიციის წევრი ქალები და მათთან გაარშიყეებული ვიღაც მთვრალი კაცი, მტარბეღლის ვასწრება, მძლოდ ვანთასა და მქუქანიკოს მიხავის ჩხუბი, უძილო ღამე, ლოყის დაწვა და მრავალი სხვა).

მოთხრობაში ერთი სიტუეციაც არ არის აღწერილი, რისთვის მიემგზავრება ექსპედიცია. მოთხრობა მთავრდება ექსპედიციის დაწყებამდე. მთავრდება მტრად ორიგინალურად, მოულოდნელად.

ვადალდილი და ვანრისხებელი სანდრო ვადალდილი და ვანრისხებულ კაცს ვადალდილია. მისი სახის დანახვისას ხედება, რომ ყოველნაირ წერილმანზე მალა უნდა დადგეს, ვაეღიშება. მერტიმილი ვულწრფელ ხარხარში ვადადის და კარვა ხნის შემდეგ იმ მოღრუბლულ ცნობასაც აიყოლიებს სიცილში:

„ხალბი ისეე გაკვირვებით შესტყეროდა მათ, სანდრომ კი, როცა სიცილში ის ვატანჯლო კაციც აიყოლია, უცებ ხალხისაკენ გაიშვირა თითი და უფრო მომეტებულად ახარხარდა. ფარდულს შეეფარებულბმა იეკადრისეს მისი

საკციელი და პირი იბრუნეს — ზოგე საღვერისაკენ იხედებოდა, ამიშინებულ ორბიტულვალსა და ვახითულ ბორბლებს, მიჩერდნენ, სხვებმა კი ნისლით დაფარული, გაუჩინარებული მთებისაკენ იქციეს პირი, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ველარაფრის ხედავდნენ — იმათ შეურაცხყოფად ეღვრებოდნათ ყურებში სანდროს ახირებული სიცილი და მხოლოდ იმას ცდილობდნენ, როგორმე ამაყად და ღირსეულად მდგარიყენენ; მხოლოდ ერთადერთი ბეგში, დიდი ჩინითი ხელში, ინტერესით მიჩერებოდა მათ; შან ჯერ არ იყოლა, რისთვის იყო საჭირო ეს უგუნური სიამაყე და პირდაღებული ათვლიერება იმ თავსხმამი ახარხარებულ ყმაწვილსა და შეუახნის კაცს, რომელიც იმ ყმაწვილს მოხაბლული შესტყეროდა და, რალაცა მამხედარი, უღაჯოდ იღიმებოდა“.

როგორც ვთქვით, მხოლოდ მგზავრობის პროცესია აღწერილი მოთხრობაში, მაგრამ სანდროსი უკვე გვერბა — ექსპედიცია ვალმობილი დაბრუნდება.

იშვიათობაა ნაწარმოებში ყოველი სიტუეციაის მყარ ადგილზე იყდეს, ეს მოთხრობა ამ მხრივაც სამავალითაა.

რაც შეეხება „მთვარიან ღამეს“, რომელიც ფიროსმანზეა და სადაც ზოგიერთი დეტალი ფერწერული ისტატობითაა შესრულებული, ნაწარმოები მთლიანობაში მაინც ფრავმენტულობის შთამბეჭდილებას სტოვებს. სტოვებს ისეე შთამბეჭდილებასაც, თითქოს მოთხრობის „მასალა“ მოერია ავტორს და არა პირიქით.

ენის საკითხი დღევანდელი მწერლობის მტკიცეული პრობლემაა, საკამათო და საჯანგაშოცენა საჯაჯეთო მეტყველებას მიუხალოდა; ალბათ ამან ვანახაბობა ფერნალ „ციხის“ კარგ წაბოწყება ამ საკითხზე. ბევრი საყურადღებო ახრი გამოითქვა შეეჩრდეთ რევაზ ჟაფარბის ინტერვიუზე: „ბბა, გაიხსენეთ ვალაქტონ ტაბიძის „ნიკორწმინდა“. ამ ლექსს რომ ვითხელობთ, თქვენ, მკითხველი, უშუალოდ ეზიარებთ ნაწარმოებში ვანახულებულ „ღვთაებრივ საყისს“, თქვენი ვალს, როგორც კამერტონი, პოეტის ველს ეხმარება და ვანწმინდილი და ამაღლებული მასთან ერთად მარადისობის უსასრულობაში მიისწრაფვის. რით და როგორ ხდება ეს? ნუთუ იმათ, რომ ვალაქტიონი კარგი მოქართულია? ეს ხომ თავისთავად ეხაბია, ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო. მაგრამ ლექსის აღქმის დროს თქვენ ხომ არცერთი სიტუეცია არ შეგიმჩნევათ, თქვენ ისე გატაცებული და აღტაცებული იყავით, არც კი ვაფიქრიათ, თუ ეს ჟაღოსნური სიმფონია სიტუეციაში, სტრაქონებში, ენობრივ ქსოვილში იყო გამოხატული. დიდა, ქეშმარიტი პოეტის სიტუეცია თქვენამდე, მკითხველამდე, მოიტანა ამაღლებული მხატვრული სახე, უხენავის პო-

ეტერი ფიქრი, მთის ბროლივით გამკვირვალე სეველა და თეთონ კი „გაქრა“, მიიშალა, არც კი დაგნახავთ. აბა, ერთ სიტყვას მაინც ვმეტყობარა, თავი წამოყეო, კაპწიანობა დაწერო: „შე- მომხედეთ, რა ბიჭი ვარო!“ — უნდა შევრთებოდით, გულზე ხინჯად მოგადებოდით ეს სიტყვა და იქნებ მთელი ესთეტიკური სიაშოვნება გაქარწყლებულიყო.

ენის ასეთ სიმაღლეზე ასვლამდე მწერალს მრავალ იერარქიულ საუბურზე ასეა სჭირდება. მაგრამ ენის ასეთ ქსოვილამდე მიღწევა სათბურებში გამოყვანილი სიტყვებით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ დედამიწიდან ამოზრდილი სიტყვიერებით. ენა — სიტყვა თეთოთული პიროვნების გარეგნული და შინაგანი სამყაროს კონსტრუქციული ხატი, იგი თითის ქსოვილთა ანაბეჭდივით განუმეორებელია რომელიმე ნიშნით მაინც. ენამ — სიტყვამ მძაფრ განცდათა შეტაკებისას გაჩენილ კრილობებიდან ჩემად დაყვირება იცის, მწერალმა ის სიტყვა უნდა გაიგონოს.

გურამ დონანაშვილის ენა ტემპერამენტანია. მაღალფარდოვნების ჩრდილი იშვიათად შეიშინება.

გურამ დონანაშვილის დღემდე დაწერილ მოთხრობათა ერთგვარ ოსტატურ სრულყოფას წარმოადგენს „მზარელი ბორცვი“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, ყველგან მოარული, უჩინარი „სიმართლე“, მზარდობდა „კეშმარტებისაგან“ სპარსეთში ვაგზავნილი. იგი ყველგანა და ყოველგან ხედავს, გამოაქვს ღირსეული მსჯავრი ყველას შიშარო. „სიმართლე“ — ნივად აღეგნებულ, იალქნად ხომალდს მიყვება, უსმენს მთელს ისპაანში სიმდიდრით განიჭმულ ამაყ ბენ იქნალს: „სიმართლე რომ ითქვას, ხომალდზე არ ცხებლა“, ასე ამბობს ეს პირფერი. აქ მწერალმა ადამიანებისათვის მკვეთრად დამახასიათებელ დეტალზე გაგვიშავილა უფრადლება: ზღვა თუმცა მშვიდია, მაგრამ სადღაც გულის ქვანქელში მიმალული დაღუბების შინის გამო გზავრება იძულებულნი არიან დასცილდნენ თავიანთ თავს და უფრო გულახდილები გახდნენ.

სატახტო ქალაქი, ისპაანი გმირთავგმირს, არებ ხანს ხედებოდა — გვაუწყებს ამ ნაწარმოების მთავარი, უჩინარი გმირი — სიმართლე. ვინ იყო არებ ხანი? არამზადა, რომელიმე მლიქვნელრი ლაპარაკი დიდებულად შეითვისა, გულუბრყვილო კაცად მოჩვენების ძნელ საქმესაც ზედმიწევნით ფლობდა, გამყვინვარებულ ეიფიკისაც ხშირად თამაშობდა სხვების დასაწინებლად, კაცის მოუკლავს, პანღურიც მოხვედრია... აი ამ კაცმა ახალგაზრდა შაის კარზე მაცდურობის ბაღე დახლართა, ზეიმზე რუსტამ ბეგი დაითანხმა, შაისსაგან თავი დაეხსნათ. და როცა რუსტამ ბეგმა შაისის მოსაკლავად ალაპლაკებულნი ხმალი შეშარათა, არებ ხანმა უღალატა თავ-

ნამზრახველს, „სიმართლე“ განაგრძობს თიკრახას: „მარცხენა ხელი მაგაში სტაცე, მარჯვენათი კი უღლი ჩაეცი შენი წერილ, გრეულე და- ნა და სამკერ დატურიალ. თან წალზე შემოხვიე ხელი, ფეხის წვერებზე შედექი და, თავადეარდნილს, თვალში ჩახედე. მსხვერპლი სუსტი გაკვირვებით ამოგვეტროდა და სანამ განცვიფრებასა და აღშფოთებას გამოხატავდა, სული დალია. რისხვისაგან გაფითრებულმა შაისმა შემოგხედა, გიყურა, გიყურა, შენ კი მიამიშა, ერთგული გამომეტყველება დაიბრუნე და, სისხლში ამოთხვრილი ტანსაცმლითა და ხელუბით, უწყინარა მღვებავით იდექი შეცბუნებულნი დარბაზის წინაშე“.

არებ ხანმა, რა თქმა უნდა, შაისის განუზომელი სიყვარული დაიმსახურა.

ეფრაცელი სიმდიდრის პატრონის სიდ ბენ იქნალს ცოლი — სორეია თეთრხელება მეტურესთან ლაღატობს. ამ ამბავს მზარეული უმხელს: „მთავარი მზარეული ერთხანს ირგვლივ აცეცებდა თვალებს, მერე კი, შორიხალის ვერაინს, რომ ვერ შენიშნა, ერთხელ კიდევ თავიანთ სცა ბენ იქნალს და ის საზარელი დამავი დაბალის ხმით მოახსენა.

— ენა, სორეიამ? — წამოჭრა გაფითრებულნი ბენ იქნალი.

- დიახ.
- ნამდვილად იყო?
- ღიბ, — შეწყბდა მზარეული.
- შენი თვალთ დაინახე?
- ჩემი თვალთ.
- სუყუელაფერი?
- სულ ყველაფერი.
- მერე, ვერ აჩვენე!
- ხმალი არ შექონდა, — ხელემი გამალა მზარეულმა და შეფიქრანებული დაეკითხა: — ირივე უნდა ამჩვენება?

ბენ იქნალს უნდა, რომ როგორმე არ დაეყრდნოს ეს ამბავი და მზარეულს ბარე ოთხჯერ გზავნის ამ ამბის „ქარვად გასაგებად“, და ბოლოს მზარეული იძულებულია უთხრას, რომ „იუფული ყოფილა“. ასე, რომ ვერ იქნალი არ იცვრებს იმას, რისი დაყვრებაც არ უნდა, მკორედ შეეკვებული, სორეიას მხოლოდ ერთხელ თითქოსდა ზემოობით უჩქმეტს მკლავზე, ხოლო ეს ამბავი რამ არ გაერეულდეს, მეტურესა და თვით მამეზარა მზარეულს ისპაანის მთავარ მოედანზე თავებს დაყვრვინებენ, როგორც შაისის მოღალატეებს.

პირფერი ბენ იქნალის ფლიდობა და ვერაგობა ყველგან და ყველაფერში დამაყვრებლად ცხადდება. სხვაგვარ რამეს არც შეიძლება არ მოეფრადეთ ამგვარად ნაჭედ არსებისაგან. იგი გაბედულად დაეკრავს თავის დროინდელ გაბატონებულ ატმოსფეროში. უძლური სიმართლე (ნივად გამოცხადებულნი) ამათ შესცქერის თავ-

ამეგებულთა თარეშს. ისანი სიამოვნებით სპობენ ყოველივე კეთილშობილებას.

მოთხრობაში სიმართლე ნიავის სახით არის შეტამორფიზირებული, მაგრამ მას ჰყავს თავისი რეალური პროტოტიპიც — მამულ აალი, რომელიც ამჟვევანაზე თავაწეული დადის, ყველას აკვირდებდა, ყველასაგან განსხვავდება და შეუდრეკელია. ამიტომაც სჯიან მამულ აალის სიმართლე ვერ შეეღის თავის ორეულს, ის ამ შემთხვევაში უძღური და უხილავია.

როდესაც დასისხლანებული სიმართლე თავის მბრძანებელ „ჭეშმარიტებას“ სთხოვს მამულ აალის მკვლელობაში მონაწილეთა დასჯას, „ჭეშმარიტება“ ამ წინადადებას შორს დაიჭერს. „ჭეშმარიტებამ“ იცის თვით ცხოვრების ზედაპირზე ამოტევაგებულებიც არ არიან ბედნიერნი. ვფიქრობ „ჭეშმარიტება“ ამ შემთხვევაში ზედმეტ თავშეკაეებას თუ პასიურობას ეი არ იჩენს... „ჭეშმარიტებისათვის ეს წუთიერა

აღზევებაა მხოლოდ, მას სწამს მისი გამარჯვებისა...

სიმართლე კვლავ ქვეუნად დადის, ვერსკვლავებს შესცქერის და უკვირს, მიწიდან ასეთ ერთნაირ ციავს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორიცაა მვეტლე, ქალწული, ღრიანკალი...

ამ მოთხრობას ყველა დროში და ყველა ქვეყანაში უფლება აქვს იარსებოს, რადგან სიმართლე და, მითუმეტეს, ჭეშმარიტება, ჯერ კიდევ მიუღწეველ პრობლემად რჩება ზოგიერთ ქვეყანაში.

მაშ, ასე, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობება მკითხველებს კარგ გუნებას გვიქმნის. იგი პროფესიით არქეოლოგია და მას უკეთ მოეხსენება. დედამიწის სიღრმეებში ჩახედვა უფრო ძნელია თუ — ადამიანის სულის სიღრმეებში. ისლა დაგვრჩენია, კეთილი მგზავრობა ეუსტერეთ ქართული მწერლობის დიდ გზებზე.



ერეკლე და ავღოსავლეთი

(ერეკლელი წყაროების მიხედვით)

რუსეთ-ერეკლის ოფიციალური წრეების ყუ-
რადღების ვაცხოველება საქართველოსადმი
XVIII ს. ბოლო მეხუთედში ნიშნავდა იმ დიდი
პრესტიჟის აღიარებას, რომელიც ერეკლე მე-
ორემ მაშინდელი აღმოსავლეთის ასპარეზზე
შოიპოვა. ერეკლე მეორემ სახელი გაითქვა
ჯერ კიდევ ნადირ-შაჰის ინდოეთის ლაშქრო-
ბაში მონაწილეობით, შემდეგ კი უფრო გან-
მტკიცდა მისი პრესტიჟი. ერეკლე მეორის
პრესტიჟმა აღმოსავლეთში მოიხილა რუსეთის
„კონდიტები“ ანუ საიდუმლო მხვერავები.
XVIII ს. 50-იანი წლების დამდეგიდან ერეკლე
მეორე სასტიკად ამარცხებს ყარაბაღისა და
ჯანყის ხანებს, ამავე დროს იგი იწყებს წარმა-
ტებით ბრძოლებს ირანის ტახტის ავღანი პრე-
ტენდენტის აზატ-ხანის წინააღმდეგ.

რუსი კონდიტები 1751 წ. თებერვალს
იტყობინებოდა: „ერეკლე-ხანს (sic) შაჰრო-
შარხამ (ნადირ-შაჰის შვილიშვილი, რომელიც
ხეარახანის მხარის ცენტრ შემოთში გაბატონდა
და სრულიად ირანის შესაქედ გახდომას ეპი-
რებოდა დ. ქ.) გაუგზავნა ოცდაათი ათასი მანე-
თი, ოქროს მოსართავეებით დარაბტული და ოქ-
როშივე ჩამქდარი არგამაყს რაში. იმ შაჰმა (sic)
ერეკლეს ბრძანებაც ააბა — მთელს ირანზე
სერასტრობა შენათვის მომიცია, ხოლო შაჰმა-
შენი თეიმურაზი საბახტიარად დამომტკიცე-
ბიათ (საბახტიარი—სპარს. „სამეზ-ვითარი“ ანუ
„სრულფლავიანი ხელმწიფე“, ბროსეს გან-
მარტებით — „გენერალისიმუსი“). ერეკლეს
წინააღმდეგ ნაომარაჰ პენა-ხანმა იარაღი და-
ყარა და მისი ყმობა იყისრა. თაერისზ ბინადა-
დებულმა ავღანეთის ხანმა (ირანის ტახტის
პრეტენდენტი აზატ, დ. ქ.) თაერისზის მხარეს
ოთხასი ათასი მანეთი შეაწერა, როგორც კა

ამ თანხას მოიხელთებს, იგი დაღესტანს გაქ-
ცევას აპირებს. ეს რომ შეიტყო, ერეკლემ
ყველგან გუშაგები ჩააყენა და ავღანი-ხანის
შეპყრობის თადარიგა უჭრუნველყო. მანვე
შამახის გუბერნიაში (sic) და ბაქოსაყენ ხალ-
ხი დაგზავნა ქართველ მეომართათვის სურსათ-
სანოვავის დასამზადებლად, ბაქოშივე იგი ეპი-
რება იმ ოთხასი ათასი მანეთის ამოღებას, რო-
მელიც საქართველოს ხანინამ აზერბაიჯანელ-
თა მიზეზით დაქარგა. ეს ფული უნდა მოხ-
მარდეს სალაშქროდ გასულ ერეკლეს ჯარს.
ამაჟამად ირანში ერეკლეს დიდი ძალაუფლება
აქვს. როგორც ამბობენ, მას ოსმალეთის ხვან-
თქარმა წიგნი მოსწერა-ბარაქალა შესს ეაქა-
ცობას, რომ ასე უველი უჭირსფლავს შთე-
ნილ ირანს, თუ ზემმა ქვეშევერდომებმა, მანდ
რომ ჩამოვლენ, სპარსელებს რამე დღეშაგონ
მომწერე და, მე ვიციოდე — სამაგალითო სას-
ჯელს მოეუველენ ყველა წრეგადასულ-
სი“¹.

ერეკლე მეორის მოღვაწეობის ამ მომენტს
უნდა შეეხებოდეს ინგლისელი პანეის ცნობა:
„...სცენაზე გამოჩნდა ქართველი პრინცი ერეკ-
ლე, რომელსაც ბედის ვარსკვლავი ყველა მე-
ტოქის დაძლევაჲ მხარდებდა. ეს პრინცი ქრისტი-
ანია და ამიტომ, ზვენი ფიქრით, ირანის ტახტ-
ზე დამკვიდრება გაუჭირდება. ადელიო წარ-
მოსადგენი როდია, რომ იმ ტახტზე ქრისტი-
ანი ერეკლეს ასეღას ოსმალეთის მმართველებ-
მა გულზედღაყრფელი უყურონ. ამდენ ხანს
ოსმალები კმაყოფილებით ადვენებდნენ თვალს,
თუ როგორ ასუსტებდა და აძაბუნებდა ნა-

¹ Архив внешней политики России (АВПР) ფონდი „რუსეთის ურთიერთობა სპარსეთთან“, 1751, დავთ. № 6, ფ. 21.

დირ-შაი თავისი პოლიტიკით მათ საუკუნობ-
რივ მტერს — ირანს. ამ ქვეყნის აშნაირად
დაქვეყნა ომითაც კი ვერ შესძლებდა ვერც-
ერთი გარეშე მტროქვე. თუმცა ხმალა არ არის
ქვეშარტი იარაღი მესიის ნაშდვილი რაუ-
ლის გასაერცლებლად, მაგრამ იგი არც ცოტას
ნიშნავს, რადგანაც ერეკლეს ხალხი მამაცია და
რუსეთის დახმარებით ამ შეფეს შეუძლია თა-
ვისი დიადი ვანზაზა უფრო აფილად ისარ-
ლოს, ვიდრე ეს მსოფლიოს ენევენება¹.

ზემოთმოტანილ ცნობებში ერეკლე წარ-
მოდგენილია სრულიად ირანის მესაქეობისათ-
ვის მებრძოლ სარდალად და პოლიტიკოსად. ასე-
თი გახვიადებული შეფასება ერეკლესი დამაბა-
საიებელი იყო XVIII ს. ევროპული სამეც-
ნიერო და მხატვრული ლიტერატურისათვის.
ამჟვე დროს, უნდა ითქვას, რომ ამ გახვიადე-
ბას გარკვეული საფუძველი შეგოვებოდა
ერეკლეს უბადლო შემართებლობაში. ამ
ფაქტში, რომ მაშინდელ კავკასიურ და სპარ-
სულ სამყაროს უცხოეთის სარდალი არც ჰყო-
ლია. ამჟვე უნდა შევნიშნოთ: საინტერესოა,
დადასტურებენ თუ არა აღმოსავლური წყა-
რები ზემოთმოტანილ რუსულ საარქივო
ცნობას შარკო-პირხას მიერ ერეკლე მეორის
ირანის სერასკირად, ხოლო თეიმურაზ მეო-
რის — ირანის „სახატაჩად“ გამოცხადების
შესახებ. კიდევაც რომ ვერ მოხერხდეს რუ-
სული ცნობის ასეთი დადასტურება, იგი არ
შეიძლება ზღადავით იქნას უჩაყფილი. ჩა-
უვყვირდეთ პანეის გადმოცემას, რომელიც რუ-
სული ცნობის არაპირდაპირ დამაბასტყებულ
საბუთად უნდა ჩაითვალოს. პანეა სპარსეთში
იყო 1743-1746 წლებში, როგორც ინგლისის
საგანგებო წარმომადგენელი, ის კარგად იც-
ნობდა სპარსეთის შინაპოლიტიკურ ვითარე-
ბას. მისი წიგნი კი ლონდონში გამოვიდა 1753
წელს. რასაც პანეაი წერს ერეკლეს შნიშენე-
ლობაზე სპარსეთში, არ შეიძლებაოდა უმუთ-
ლოდ მისი დავიერებების საგანი ყოფილიყო
როცა ის სპარსეთის მიწაწაღზე იმყოფებოდა.
ჩანს ინგლისში დაბრუნებიდან რამდენიმე
წლის შემდეგ მიუღია ცნობა ერეკლეს უზენა-
ესობის შესახებ სპარსეთის ამბებში. გამოსარ-
კვევია, საიდან მიიღო მან ეს ცნობა. ყოველ
შეშთხვევაში, რუსი კონფიდენტების ინფორ-
მაცია გამოირკებულად უნდა ჩაითვალოს. რჩე-
ბა სხვა ვარაუდი: რუს კონფიდენტთა ზელში
არსებული ინფორმაციის მსგავსი პარალელუ-
რი მასალები ხომ ევროპელთა მზვერავებთან
ენებოდათ და სწორედ მათგან შეეძლო მთელი
ეს მასალები ინგლისში დაბრუნებულ პანეას. აქ
მოითებებელი გარემოება და ზეენს მიერ მოტა-
ნილ რუსულ ვერსიაში დაუძლი ცნობის კონ-
კრეტული ხასიათი, გვაძიძლებს, ნდობით მო-

ვეყუროთ რუსი კონფიდენტისა და ინგლისელა
პანეის ერთმანეთის შეშავსებულ და გამამაგ-
რებელ საინფორმაციო მასალებს.

ახლა იხილება კითხვა: რა უნობების სახას-
ლელები უნდა ჰქონოდათ ზელში ირანში
მყოფ ინგლისელ საიდუმლო აგენტებს, რა
ცნობები უნდა გამხდარიყო პანეას მტკიცეზო-
თა საფუძველი? ცნობილია, რომ საქართვე-
ლომ XVIII ს. შეშახანის ძნელბეღობაში
ჩერქეზები მოიშველია ამ საბრძოლო თან-
შევობრობას გაუძლიერებია დამაბეღობა რუ-
სეთ-ოსმალეთისა და ოსმალეთ-საქართველოს
ურთიერთობაში. სათანადო საბუთად მიგვეჩინა
რუსეთის კონსულის 1755 წ. 18 სექტემბრის
სიმბტომატური მოხსენება: „ლიდი ხანი არ
არის, რაც აქ (რეშტი — გილანის მთავარი ქა-
ლაქი, დ. ქ.) ხმა გაეარდა — საქართველოში
რუსეთის ოციათასი შეომარი შევიდაო. ბეგრს
ეს უდავოდ შიანინა, და დასკენიან, რომ რუ-
სეთმა განიზრახა — კასპიის სანაპიროს სპარ-
სული ქალაქები და პროვინციები ზელახლა და-
იპუროს, ხოლო ახლა საქართველოში გარი წი-
ნასწარი თადაბრისათვის შეიყვანა, რათა შეშ-
დგ ოსმალეთმა კასპიისპირეთის დაპყრობის
საქმეში ზელი ვერ შეუშალოს. ზოგიერთი აქა-
ური მოქალაქე წელს მოელის რუსთა ქარე-
ბის სპარსეთში შემოსელს. სხვანი ამ ამბავს
მომავალი გაზაფხულისათვის ვარაუდობენ. ყვე-
ლა სპარსი, განსაკუთრებით, სოფლის ხალ-
ხი მოუთმენლად მოელის რუსეთის მზედრო-
ბას — გადასახდებისაგან ევებ სული იმან
მოგვათქმევიინოსო“¹.

ეჭვი არ არის, რომ ვიღანსა და რეშტი
გავრცელებული საგანგებო ხმების შესახებ
ინგლისელი აგენტებიც სწერდნენ თავის მოთ-
რობას და საერთოდ თავისიანებს. მსგავსი ინ-
ფორმაცია უნდა გამხდარიყო პანეას ზემოთმო-
ტანილი ცნობის წყარო.

ახლა საინტერესოა პანეას მონათხრობთან
სხვა ევროპული ცნობის შეპარისპირება, მაგა-
ლითად, პეისონელი წერს: „ოსმალეები ერეკლეს
ფარ-ხლის საომარ ლაღაღას მით უფრო შეშ-
ფოთებით უცქერდობდნენ, რომ ისინი ექვიანობ-
დნენ ქვაროსანთა ფართულ შეთანხმებას მოსკო-
ვლებთან, რომლებმაც შეთვალურად ქარე-
ბა გაზავენს ასტრახანის მხარეზე. ოსმალეთის
შეშფოთება შემდეგი ფაქტითაც მტკიც-
დება: მე სმირანში ვიპოვებოდი, რო-
ცა კიორ-ამბეტ-ფაშამ, ამასწინანდელმა დიდ-
მა ეზირმა, იქ გამოიარა, თავის ფა-
შალიც ათანასეც მიმავალმა. დავეწვარი სუე-
ბარს, საიდანაც გამოიარა, რომ, როგორც ეს
დიფაკი იყო დარწმუნებული, რუსეთის სტამ-
ბოლული რეზიდენტი ნეპლიუევი, რომლის
სიყვილის ცნობა გავრცელდა, ნაშდვილად

¹ Hanway. An historical account of the
British trade...t. II, 1753.

¹ АБИП. Фонды „რუსეთის ურთიერთობა სპა-
რსეთთან“, 1755წ., დავთ. №2, ფ. 115-116.

როდი გარდაცვილა, არამედ შემთხვევითი ამოღესიური დარტყმა და დაკრძალვა მზაკერულ ეშმაკობას წარმოადგენდა. ეშმაკობა მოიგონეს იმ მიზნით, რომ ხელი შეწყობოდა სტამბოლიდან მის გაქცევას. რეზიდენტს ოსმალების სატახტოდან ფარულად წასვლა უკარანხა იმის შიშმა, რომ პორტასთან პეტრებურგის სამეფო კარის განხეთქილება გამოიწვევდა მის დამწყვეტეას შვიდგომურთან ციხეში, როგორც ეს სტამბოლში წესად იყო მიღებული. ფაშის ეს აზრი, განაგრძობს პეისონელს, ცხადად მოწმობდა, რომ ან ოსმალებს ეშინოდა, სპარსეთის არტულობა მოსკოვლებს არ გამოეყენებიათ ამ სამეფოში რაიმე პოლიტიკური წამოწყებისათვის, ანდა თითონ ზეანთქარი ლამობდა ეს არტულობა ანალოგიური მიზნით მოეხმარა. მთელ ქვეყნიერებას მართლაც სჯეროდა, რომ რაც ეს ფაშა სმირანად წაეიდა, მის დანიშნულებას შეადგენდა ხანღურებზე სერასკირად წასვლა; იგი ხომ ოდესღაც სერასკირის თანამდებობას ასრულებდა¹.

ეჭვი არ არის, რომ მანვასია და პეისონელის ცნობები, რომლებიც ერთმანეთს ადასტურებენ და ავსებენ, ერთსა და იმავე ისტორიულ მომენტს შეეხებიან—ესა XVIII ს. 40-50-იანი წწ, მიჯნა, მხოლოდ მანვად ემყარება გილანში არსებული ინგლისური აგენტურის მოხსენებებს, პეისონელი კი—პირად დაკვირვებებს ოსმალების პოლიტიკაზე.

მანვასია და პეისონელის ცნობებს ოსმალების საპასუხო-ანტირუსული ზომების შესახებ და იმავე აუტორთა რწმუნება—ოსმალები ვერ მოითმენდა ირანის ტახტზე რომელიმე პარარუსული კანდიდატურის (თუნდაც ეს ერეკლე მეორე ყოფილიყო) გაყვანას, კარგად ადასტურებს რუსული სააქტიუო წყაროები. მაგ, ერთ-ერთ მათგანში წერია, რომ, როგორც ქართული ვაჭრების დაზვერვა მოწმობდა, ოსმალების ზეანთქარს XVIII ს. 50-იანი წლების I ნახევარში სპარსეთში შესაძლებელი შექრის თადარიგი ჰქონდა. უნდა შევნიშნოთ რომ, როგორც 1750 წ. ერთ-ერთ რუსულ წყაროშია ნათქვამი, ზეანთქარმა შემეხიის, ბაქოსა და ყუბის ხანებს საბუქრად გაუგზავნა ასი მანეთი, ორ-ორი თოფი და ე. წ. კავატიკები. ცოტა მოვიანებით დაწერილ რუსულ ცნობაში ნათქვამია, რომ შემეხიის ხანს პაჭოჩელებს სტამბოლიდან საბუქრად გაუგზავნეს საბუქარი და საიდაკი² რუსულ კანდიდატურებს ირანის ტახტზე ოსმალებმა დაუპირისპირა

სეფედილი-ნორჩი შამ-პუსეინი და მოკავშირედ აზატ-ხანი ივულა. ამ საკითხს ქვეყნეშოთ-გან-ვიხილავთ, ახლა კი დაუბრუნდებით ქართულ შეფუბებს.

ირანის ტახტის პეტრედენტ-მეშეთელ შამ-როზ-მირზას განზრახვა—ერეკლე მეორე თავისი სახელმწიფოს სერასკირად, ხოლო მამამისი საზახტარად გამოეცხადებინა, ერთობ საინტერესო რამ იყო, მაგრამ მისი შესრულება ირანის შინაპოლიტიკური მოვლენების მსვლელობაზე იყო დამოკიდებული და ამ მხრივ შამროზს შემდეგში, როგორც ცნობილია, ბედმა არ გამოეხატა. სრულად ირანის საეჭოს სხვები დაეუფლნენ, იგი კი—ვერა, და ეს, როგორც ზემოთმოტანილი მასალებიც ცხადყოფს, ერეკლე მეორესათვის არასასურველი და არახელსაყრელი შემოტრიალება იქნებოდა.

დღესდღეობით ცნობილ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი სპარსეთის სერასკირად ერეკლეს, ხოლო საზახტარად თეიმურაზ მეორის ვახლომის პერსპექტივების შესახებ. ამიტომ ზემოთმოტანილი წყაროები—რუსი კონფიდენტის 1751 წ. 5 თებერვლის მოხსენება და ინგლისელი მანვასია გადმოცემა, ქართული მასალები კარგ შეესებად უნდა ჩიათვალოს. საწმუხნაბოდ, რადენადაც ეციტთ, არც ერთი და არც მეორე დღემდე მსჯელობის საგნად არ გამხდარა.

ქართული წყაროებით ცნობილია, რომ, როცა ირანის ერთერთი პროვინციული მმართველი მამამად-ხანი 1749 წელს ერევანს მიადგა, ქართულმა მეფებმა იგი დაამარცხეს და ერევნის სახანოს, როგორც ვასალს ზარკი შეაწყრეს, ამის შემდეგ ერეკლეს ჯარი გავშურა განჯისაკენ, რომელსაც ე. წ. ქვეანშირთა თურქული ტომის ბელადი ფანა-ხანი დამუქტებოდა. ქართველთა ჯარის მიახლოებაზე ფანა ხანი განჯას გამოორდა, ხოლო განჯა საქართველოს ვასალურ სამფლობელოდ გამოცხადდა. ნახჭევანში სთხოვა ქართველთა მეფეებს შეეღა, და ამას მოჰყვა ქართლის გაგლეზის ფარვარტერში ნახჭევნის სახანოს მოქცევა. მალე ფანა-ხანმა მშვიდობის პირობა დაარღვია და ხელახლა შემოეწყო განჯას თავისი ჯარით. 1750 წ. თებერვალ-აპრილში ერეკლემ და თეიმურაზმა ხელახლა დაამარცხეს იგი და, ამროგად, ხელთ იგდეს ქართველობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში³.

ქართველების წარმატებებმა ჰარ-ბელაქნის უბატონო თემები შეაშფოთა. ქართველთა გაძლიერებაში ისინი საფრთხეს ხედადნენ და მართლაც ასე იყო. ქარულებმა გადამთიელი თანა-

¹ Ch. C. de Peyssonnel. Essai sur les troubles de la Georgie et de la Perse... 125-126.

² ABIP. იქვე ანაწ. 77/1, 1755. დავთ. № 2, ფურც. 43-44.

³ ABIP. იქვე, 1750. დავთ. № 5, ფ. 20.

⁴ იქვე, საიდაკი—კაპარკი, საისრე, თეთმსროლელი ისარიც.

1 ო. ბერხელიძე, მეფობა ირაკლი მეორისა (საქ. ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. 1913, გვ. 251; პ. ორბელიანი, აშაფენი ქართლისანი („საქ. ცხ.“, დას. გამ; გვ. 164); ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ—საქ. ურთ. ისტორიისათვის, თბ., 1968, გვ. 30-31.

მოსაქმეები მოიხმეს და ლეკთა დიდი ჯარი 1750 წელს საქართველოზე გამოემართა. მისი ერთი რაზმი კახეთს დაესხა თავს, მთავარი ძალები კი ყაზახს შეესივნენ. ერეკლე კახეთზე წამოსული მტერი მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგლო, შემდეგ ქართლს მიეშველა. ქართველები აედევნენ ნადავლით დატვირთულ ლეკთა მთავარ ძალას და მტერს ალაზან-იორის შესართავთან შეებნენ. ლეკები დამარცხდნენ. ნადავლ-ნალაფევის გარდა, მათ დიდძალი დაქრილ-დახოცილები, თუ ტყვეები და ათასობით ცხენები დასტოვეს და გაიქცნენ. მალე შეეფეხმა იბრაჰიმის სხდომა მოიწვიეს, სადაც „უბატონო თემების“ დაპყრობა დაასვენეს. შაჰიშარვანის ხანი აფი-ჩალაბი სავალმწიფოდ ქართველებს შეგობობდა, მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა საქართველო, მით უფრო ვეარგებოდა ხანს მოსვენება. ჭარ-ბელაქნისა და კავკასიელის დაპყრობით ქართველები შაქს უშუალოდ უმეზობლდებოდნენ. ამიტომ აფი-ჩალაბი გადამწყვეტი ომისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა, ქართველებმა შეუტყვეს და შეზღუნენ, მაგრამ დამარცხება იწყინეს!

ლეკებთან შეკავშირებულმა შაჰი-შარვანის მკერობელმა აფი-ჩალაბმა ქართველებს სძლია 1751 წ. 11 თებერვალს, როცა უკვე ერეკლესა და თეიმურაზს მიღებული ჰქონდათ ირანის ტახტის პრეტენდენტ შაჰ-როზ მიჩრას ზემოხსენებული წინადადებანი სერასკირობისა და საბაბ-ტიარობის შესახებ, რაც იმას მოასწავებდა, რომ ლეკთა საკითხი რაოდენ აღმოჩნდა და მის გადასაჭრელად არც ერეკლეს შეეძლო ირანის სერასკირად გახდომავზე ეფიქრა, და ვერც მამამისი მიიღებდა საბაბტიარის წოდებას თუ, რასაკვირველია, შაჰროზ მიჩრა ირანში დიდ ძალას არ მოიყრებდა და ქართველ მეფეებს არ მიეშველებოდა.

დიდ ინტერესს იწვევს ევროპული მასალები ირანის ტახტის ერთ-ერთ პრეტენდენტ ახატ-ხანთან ერეკლეს ბრძოლების შესახებ. ეს ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. აღნიშნულ მასალებს ჩვენ განვიხილავთ ქართულ წყაროებთან პარალელურად და შევიკითხებრებით.

ოლივიეს ცნობით, ახატ-ხანი ქაბულის გარეუბანში დაიბადა და ტომით წმინდა ავღანი იყო. იგი ნადირ-შაჰის სამსახურში შევიდა თანამემამულეთა იმ ქართით, რომელიც ავღანმა ხალხმა მისცა ნადირ-შაჰს, როცა ეს უკანასკნელი ინდოეთიდან ბრუნდებოდა (1739 წ.). შაჰინ ახატ-ხანი ახალგაზრდა და უბრალო მხედარი იყო. მალე დაწინაურდა—ჩააყენეს ერევანში, და ნადირის სიკვდილის მომენტში (1747 წ. მაისი) იქ ათასეულს სარდლობდა. საერთოდ, მშვიდობიანობის დროს ეს კარგი ოფიცერი სხვის ხელქვე-

თად ყოფნას შეჩვეული იყო. მაგრამ მღიერი სულით, ფიცხი ხასიათით და ცუდადლი წარმოსახვის უნარით დაქილდობული ახატ-ხანი დედხანს ვერ დარჩებოდა მშვიდი მათურებელი იმ მღელვარე ამბებისა, რომლებიც ასე სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, აულაგავი სურვილებით შეპყრობილი, უშიშარი, საფრთხესთან გაშინაურებული, ახატ-ხანი, როგორც კი შეამბოხე ქართველთა სათავეში აღმოჩნდა, იწყებს ტახტისათვის ბრძოლას და სწრაფად და დაჭერებული ნაბიჯებით ღიადემისაკენ მიეჭანება!

„ახატ-ხანი, წერს სხვა ავტორი, ნადირ-შაჰის სამსახურში შევიდა, როცა ეს შირქანბელი ინდოეთის დაშქრობიდან ბრუნდებოდა. თაყდაპირველად ქარის მცირე შენაერთი ჩააბარეს, მაგრამ მალე მის ერთგულთაში დაიქვედნენ და ის ქარი ორად გაუფუხვს: ერთი ნაწილი თურქესტანის, ხოლო მეორე — იმერეთის (სი) საზღვრებზე ჩააყენეს. ამ გვეფთხან იყო ახატ-ხანი, როცა მას მოუსწრო 1747 წ. ამბებმა. ნადირ-შაჰის მკვლელობამ ყველა პატივმოყვარე ადამიანს აღუძრა სურვილი უმეფობის ეთარებით ესარგებლა. შაჰინ დრო იხელთა ადილ-შაჰმა და ხან-მოკლე შირქანბლობა იგემა. ერთხანს ახატ-ხანიც სხვებივით ჩემად იყო, მაგრამ, როგორც კი იბრაჰიმ-მირზამ აყანუების ნალარა ააბაურა, ავღანმა ავანტურისტმა მას სამსახური შესთავაზა და მთელი რაზმით მიეცელა. მაგრამ იბრაჰიმ-მირზამ იგი ცუდად მიიღო, ახატ-ხანმაჟ პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ახალი ბატონი მიატოვა და ისმანთან ახლო მდებარე ქალაქებში—ყაზვინი და სულტანიე დაიკავა“¹

ავღანთა ათიათასიანი კორპუსი, როგორც ოლივიესთან არის ნათქვამი, ნადირ-შაჰის დაღუპვის წინ, სომხეთის საზღვრებზე იყო დაევენებული, რათა ოსმალების პოლიტიკისათვის თელურები ეღვევნებინა. იგი აყანა ადილ-შაჰმა, მაგრამ როდესაც უკანასკნელს მძა ტახტის წასართმევად აღმხედრდა, ავღანთა ხსენებულმა კორპუსმაჟ ადილი მიატოვა და ახალი პრეტენდენტის (იბრაჰიმ-მირზა) ბაიარებს შეეფარა თავი. იბრაჰიმ-მირზამ ავღანთა კორპუსს სათანადო „გამაგრი ორ მისცა და ეს კორპუსი ახლა ამირ-ასლან-ხანს (ახერბაიჯანის ერთ-ერთი უძლიერესი გამგებელი) მიემხრო. როცა ახალი ბატონი მოჰკლეს, ავღანთა კორპუსი ურმიისაკენ გაემართა, დაიკავა ურმიის ციხე, რამდენიმე სოფელი და მთელს იქიურ ქვეყანას მთელს ზარად მოეკლინა. აქ ისინი დაიჭირავა მეფე თეიმურაზმა, მაგრამ დიდხანს არც მას შერჩნენ. ძარცვა-გლეჯის

¹ G. Olivier. Voyage dans l'Empire Ottoman., t. VI, P. 1807, გვ. 17-20.

² Ch. Picaut. Histoire des revolutions de la Perse, t. II, P. 1810, 335-337.

სიყვარულით იყო, თუ სპარსეთის დაპყრობის სურველით, ავღანებმა მიატოვეს თეიმურაზ II დროშები და თავი იხიეს.

სწორედ ქართველთა მეფისადმი ავღანთა ამ მიზნობრივი საქციელის პერიოდს შეეხება ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი რუსული ცნობა თავიანთი ავღანთა კორპუსის თარეშისა და დაღესტნისკენ იმავე კორპუსის გაზარის პერსპექტივების შესახებ (პეტერბურგის კონფიდენცის 1751 წ. 5 თებერვლის მოხსენებამ) ამ რუსულ ცნობას შემდეგნაირად აგრძელებენ ქართული წყაროები: ეს ახატ-ხანი ავღანელთა და უზბეკთა ჯარით დაეფელა თავიანთს და ერევანზე აღიძრა. ახატ-ხანის სარდალმა ერევანს ალყა მოხსნა და უყუიქცა, ერევლეს ჯარმა ბანაკი დასცა ყირბულახთან (ერევლიდან 12 ვერსზე). ახატ-ხანიც მისკენ გაეშურა დიდი მხედრობით (18-40 ათასი მეომარი). მეფის დიდებულებს შტრის დიდი სიჭარბისა შემინებიათ და ერევლესათვის ბრძოლის გამართვა დაუშლიათ. ერევლეს უპასუხნია: „იციოდეთ, მე ახატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გაიქცეთ, ხელ გზანზედ მოგვეწყვიან და უნაშუსოდ სიყვდილის ნაშუსიანად სიყვდილი სჯობს“¹. როცა შტრის არშია ერევლეს გარშემო რკალს ავიწროებდა, მეფემ ჯარს უბრძანა ჩამოქვეითება. შტრის მიახლოვებისთანავე ქართველმა ჯარმა ტყვია სეტყვასავით დაუშინა, შემდეგ ხელახლა ტაყვებს ზურგზე მოიანთნენ ერევლეს მეომრები და შტრის უმოწყალოდ კაფეს. გამარჯვება ქართლ-კახეთის მხარეს დარჩა, ერევლეს ნადავლი შეიქნა 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემითა და დროშა მრავალი და ორი ათას ზუთასი კარავი. ეს სახელოვანი ბრძოლა 1751 წ. ივლისში გაიმართა. ახატ-ხანი გაიქცა. გამარჯვებულ ერევლეს „დაუდგეს ახატ-ხანის კარავი, დაბრძანდა მეფე ერევლეს მას შინა“. ამიერკავკასიის ხანები პატარა კახს გამარჯვებას ულოცავენდნენ. ნიკ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ყოზილბაშუმს ქართველთა დამარცხებამში ეკვი არ შესდიოდათ, და ახატ-ხანი ერევლეს მეფისაგან შორსილების მოციქულსაჲ კი ელოდა. მაგრამ ერევლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა: მისი პირადი მოძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერად და ზერხიანად დაეტყვა ყოზილბაშუმთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთი დავკრით მოშალა. შტერი სულერად გატყდა და მალე გაიქცა კიდევაც ქართველებმა ოცდაათი კილომეტრის

მანძილზე კეაღდაკელ სდიეს მას, პაჟეს და ატყვევეს იგი. ახატ-ხანმა ძლიერს უშველა თავს. არაქსს გაიდა და აზერბაიჯანს შეეჭრა. ერევლეს მეფემ ერევან-ნახჭევნის საქმეში შოაწერსიზა და თბილისს დაბრუნდა“².

ამავე ბრძოლას ავღიწერს შარლ კლოდ დე პეისონელი (1727-1790 წ.) და ქართული წყაროების ვერსიას ზოგიერთ სიანტერესო შტრიბს უმატებს. „1751 წ. დამდეგს თეიმურაზმა და ერევლემ გაილაშქრეს ავღანებზე, რომელეც მათ კვერთხის მორჩილებიდან გაქცეოდნენ. ქართველ პრინცთ უნდოდათ ავღანებზე ბატონობის უღელი ხელახლა დაედგათ. ერევლეს და თეიმურაზს სომეხთა ჯარებიც შეუერთდნენ. ამ მებრძოლებს ტანისამოსებზე ჯერები ეხატათ, დროშებზედაც ქრისტიანობის ეს ემბლემა კიაფობდა. ბრძოლა მოხდა ქ. ოღუზთან. დამარცხდნენ ავღანები და მათი უმეტესობა ქართველებმა ხმლით აკუწეს. ერევლემ ამ შემთხვევაში გამოიჩინა ისეთი გმირობა, რომელიც ეკადრება ანტიკური ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო პეროიკულს“. ავღანთა რომელიდაც ბელადს, პეისონელის სიტყვით, დაუტრამბებია — ცოცხლად თუ მკვლად ერევლეს ხელში ჩამედგები ვარო. ერთ ქართველს, რომელიც შტრის სარდლის სამსახურში ყოფილა, მიუტოვებია მისი ბანაკი, გადასულა ერევლეს მხარეზე და მისთვის ავღანი ბელადის დატრამბებია მოუხსენებია. როგორც კი ომი დაწყებულა, ის ავღანი წყობილებიდან გამოსულა და ხმამაღლა ერევლეს ორთამბრძოლაში გაუწყვეთა-სად ხარ, პრინციო ერევლე, შენი ჯაერი შჭირსო. — ერევლე აქ გახლათ და გავეცნობათ, დასტყვილა ქართველთა მეფემ და შტრისაყენ ტიპი გაბედულად გააქროლა. ავღანთა ბელადს მთელი სიჭარბით რამი ერევლეს მიუდგია, რათა ქართველი გმირი შემლახვრით გაეპო. მეფე თვალის დახამაშებამში ჩამოქვეითებულა, შტრის დაბრწყმა მოხერხებულად აუცდენია, მისთვის დამბანის ტყვია ზომავალივით დაუვრია და ცხენიდან უსულოდ ჩამოვდგია. ადვილი წარმოადგენია — დასტენს ფრანგი ავტორი — ის შთაბეჭდილება, რომელიც ქართველ-სომეხ მეომრებზე მოახდინა მათი უზენაესი სარდლის საქციელმა. „ბევრი მავალით ვიცი თიხისა, თუ ამასთან მცირედად მიმსგავსებულ ფაქტებსაჲ კი როგორ სწრაფად გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი და იგი გამარჯვებით დაუვიკრევიენია“³.

ერთი გვერდის შემდეგ პეისონელი განაგრძობს: „ავღანები რომ გაიქცია, ერევლემ თავიანთამდე წაიწია და მისი ბატონ-პატრონი

¹ ოლივი, დასახ. წიგნი გვ. 17-20.
² ABHP. დასახ. ფონდი, 1751, Op. 77/I, d. № 6, პ. 21.
³ ვ. მაჭარაძე, დასახ. პუბლიკაცია, შეს. სტატია, გვ. 31-32; პ. ორბელიანი, აშხაუი ქართლისანი, გვ. 187.

¹ ნიკ. ბერძენიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 202.
² შ. პეისონელი, დასახ. თხზ. გვ. 124-125.

გახდა. ამასაც არ დასჯერდა: დიდრა ლეკები-
სა და განჯა-ურმიის ხანების წინააღმდეგ, რომ-
ლებმაც აელანებს დახმარება და მფარველობა
ამოუტრინეს. მან მათზე სრული გამაჩრვება მო-
იპოვა და გამოაცხადა, რომ იგი მოქმედებდა,
როგორც დეკლეთშირბი, ანუ იმპერია-
სთან შეკავშირებული («Dewlet Sheriki ou asso-
cié à l'Empire»). ამტკიცებდნენ, რომ მან ეს
წოდება მიიღო იმ ხელშეკრულებით, რომელიც
შაჰ-როშან დასდო სამეფოს გაყოფის თაობა-
ზე, მაგრამ — დასძენს პეისონელი, — მე ვერ
გაგებდავ, ვამტკიცო ამ ფაქტის უქველობა.¹

პეისონელის ეს საინტერესო ცნობა, ჩვენი
აზრით, კავშირში უნდა იყოს იმ რუსულ
წყუარისთან (1751 წ. 5 თებ. მოხსენება), სა-
დაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გადმოცემულია
ირანის ტახტის პრეტენდენტ შაჰ-როშანის მხრი-
დან ერეკლესათვის ძვირფასი არმალანების გა-
შოგზავნის ფაქტი და ირანის სერასკირის წო-
დების შემოთავაზება, აგრეთვე, ოსმალეთის
ხენთქრის დანტერესება ქართლ-კახეთის სა-
მეფოსთან ლოიალური ურთიერთობის შენარ-
ჩუნდით. როგორც ჩანს, ირანის ტახტის სხვა
პრეტენდენტების წინააღმდეგ ბრძოლაში შაჰ-
როშან უცდია ერეკლეს დახმარებით ესარ-
გებლა.

მალე ერეკლემ თავი იხი დაქარგა. 1751
წელსავე აელანებს ლეიბე შეუერთდნენ და
იერიში მიიტანეს ერეკლეზე. უკანსკელს, თუ
ერეკლესებთან ერთე ოლიეის, ხელი აღებინეს
ერეკლესზე და, ამავე ოლიეის სიტყვით, აზ-
ატხანი მთელი აზერბაიჯანის ბატონ-პატრონი
გახდა. ახლა იგი დაინებით ცდილობდა თავი-
სი ტომის ყველა მემომარი გარს შემოეკრიბა,
რამაც მისი არმიის ოცივე სულ მალე ხელა-
ლა ოლიათას კავშირე გაზარდა. 2 1751 წლის
ბოლოს აზატ-ხანმა და ერეკლემ საზავო ტრაქ-
ტატი შეკრეს. ბრძოლით დაღლილმა აელანმა,
წერს ე. ოლიეი, არაქსზე საზღვარი დააწესა
და ორივე მხარემ ვალდებულება იყისრა, არ
გადასულიყო ამ ზღვდეზე. ხსენებულმა ტრაქ-
ტატმა, ოლიეის სიტყვით, ურმიის, თავი-
ზის, არდაბილის და აზერბაიჯანის კონტროლი
აზატხანს გადასცა. მან, როგორც პეისონელი
აღნიშნავდა, აქელსიცი აიღო და ძალმომრე-
ობა ერეკლემდე განავრცო. ერეკლე იძულე-
ბული იყო ამ გამაგებელი ნაღვრისათვის
დაეთმო. ქართველებმა თბილისისაკენ დაიხიეს,
რათა გაეწვიათ რეკრუტები და წარსულ ომე-
რაციებში განცდილი ზარალის ზღვევა ეცა-
დათ.²

აზატ-ხანმა, როგორც პეისონელი სხვა ალ-
გოლას წერს, ურმიის ციხე აიღო, რათა ყო-
ველი შემოხვევისათვის თავისუფლად და უშე-
შარი უკანდასახევი გზა ჰქონლა. თავიზის
სრული ბატონ-პატრონი იგი 1752 წ. იანვარში
გახდა. ირმუნებოდნენ, რომ მან მიიღო აზ-
ერბაიჯანის მეფის ტიტული — მსგავსად აზი-
რასლან ხანისა, რომელიც იმავე ტიტულს მას-
ზე წინ ატარებდა, ტირანიამ აელანები თავიზი-
შიაც აუტანლები გახადა. მათმა ახალმა ნაბი-
ჯებმა მეზობელი მფლობელები შეადრწუნა.
ყარაბაღის, განჯის და შემახიის ხანებმა თე-
იმურაზ მეორესთან ლიგა შეკრეს. თავიზის
მოსახლეობამ, რომელსაც მეტად აღარ შეეძ-
ლო მოეთმინა აელანთა საშინელი გამოძალ-
ველობანი, თეიმურაზს ვაუგზავნა ოცი პრიმა-
ტისაგან შედგენილი დეუტატია, რათა დაშა-
რებმა მეზობელი მფლობელები შეადრწუნა.
ლიგის მიზანი იყო მონაწილე-
თა თავმოყრა თავიზში, აელანების სრული
მოსპობა, შემდეგ ირანის სატახტოზე წასვლა
და არჩევა კეშმირიტი სეფევიდი შაჰისა. ლი-
გის წევრებმა სცენაზე გამოიყენეს ახალი
პრინცი, რომელიც რუსებმა ქარაველითა გან-
კარგულბაში გადასცეს. მისი სახელი არ ეო-
კა, არც მისი ჩამომავლობა ჩემთვის საკმაოდ
ნათელია, შენიშნავს ფრანგი ავტორი. თავი-
ზის პაემანზე ლიგის წევრებს უნდა ვანებო-
ლათ, როგორც ამ ახალი პრინცის, ისე უკვე
გვირგვინდადგმული შაჰ-ისმაილის უფლებებზეც
და, თუ კენწისყრა ვერაღერს ვადაწყვეტდა,
მაშინ ძალს უნდა გადაეკრა, თუ ორიდან
რომელს ემეფა. არავითარი ანგარიში არ გაე-
წეოდა შაჰ-როშანს — მის სიბრძნევე (მტრებმა
დასთხარეს თვალები) საშუალებას უსპობდა
ქვეყანას სათავეში მოქცეოდა. ვინ უნდა
იფილისმებოდეს პეისონელთან დასახლებულ
შაჰარს პრინცი? აქ ჩვენ ერთი საინტერესო აღ-
ტერნატივის წინაშე ვდგავართ. განვიხილოთ
ეს ალტერნატივა.

ერეკლესათვის რუსთა მიერ გადაცემული
ახალი „სეფევიდი პრინცის“ პრობლემას იქნებ
უკავშირდება ჰუსეინ-პათემისა და თომა ბარა-
თაშვილის საკმაოდ იდუმალთანი მოცული მცე-
ლინება! ასტრბაღ-მომხდარანში, ცნობილია,
რომ 1741 წელს რუსეთში დარჩა ნადირ-შა-
ჰის საელნოს მთავარი მრჩეველი ჰუსეინ-პა-
თეში და რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილი
გამოსთქვა. 1750 წელს, როცა ირანში სიწ-
ყნარის ნატამალიც არ იყო, ამ ჰუსეინ-პათე-
მა მოულოდნელად განიზრახა სამშობლო გი-
ლანში დაბრუნება, საამისოდ თბილისზე გამა-
ვალი ტრასა ამოიჩინა და მეგზურად ინება
რუსეთის სამსახურში მყოფი „პორუჩიკი“ თო-

¹ შ. პეისონელი დასახ. თხზ. გვ. 127.

² ოლიეი, დასახ. წიგნი. გვ. 17-20.

³ იქვე. გვ. 36-37.

⁴ პეისონელი, დასახ. თხზ., გვ. 128—133.

¹ დ. ჯანელიძე, თომა ბარათაშვილი ირან-
ში (კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის სა-
კითხები“. თბილისი. 1966. გვ. 323-326.)

მა ბარათაშვილი, რომელსაც 1748 წლიდან ცოლად ჰყავდა ნადირ-შაჰის ძაღლი ყოფილი — აფშარ იბრაჰიმ-მირზას ნაცოლვეი — თეიმურაზ მეორის ცოლის და შარინე ბეგანის ასული, ცნობილია ისიც, რომ ჰუსეინ-პათეში (რომელიც რუსეთის სამეფო კარისათვის მირთმეულ ვრცელ სათხოვარში იმდეს გამოსთქვამდა — თუ თეიმურაზი დამახმარს თავის ქართულ და სპარს მეომრებს, ჩემს სამშობლო გილანს დაიბრუნებო), და თომა ბარათაშვილი 1752 წელს სპარსეთში ჩაიღწნენ. თომა ბარათაშვილი პეტერბურგის კამარლიამ შაჰინ შენიღღული მწვერავ-ავგენის ფუნქციებიც დააქისრა, საგანგებოდ შეგზავნა ჩრდილო სპარსეთის მმართველ მუჰამედ ქასენ-ხანის ბანაკში და დღემწიშველოვანი ფირმანები მოატაცებინა. იბაღება კითხვა, ხომ არ იყო ჰუსეინ-პათეშის სათხოვარი რუსეთის მმართველი კამარლიის ჩაგონებით დაწერილი და მას რაიმე კავშირი ხომ არ აქვს ზემოხსენებული ლივის გენერალთან, თუ აქსიომად ჩავთვლით, რომ თეიმურაზ მეორე ამ ლივის ერთ-ერთი მოთავარი ორგანიზატორია, როგორც პეისონელის თხზულებიდან ჩანს, და ლივის მხზნები თეიმურაზის პირად განზრახვის სახეებით ემთხვევა როგორც იგივე ფრანგი ავტორი მოწმობს? შესაძლებელია, ირანის ტახტის ახალ პრეტენდენტში პეისონელი ამ ჰუსეინ-პათეშს გულისხმობდეს. სამწუხაროდ, საამისო პირდაპირი მამტიციებელი საბუთი ახლა ჩვენ ხელთ არ გვაქვს. ამავე დროს უფრო შესაძლებელია, ამ პრეტენდენტში პეისონელი სხვა პიროვნებას, სპარს უფლისწულს შირზა ელიპარდს გულისხმობდეს. ეს ელიპარდი, როგორც რუსეთის სტამბოლელი რეზიდენტის ობრეზოვისადმი გაგზავნილ 1760 წ. 17 ივლისის საყანცლარით ციფულაშა ნათქვამი, ერეკლესთან იმყოფებოდა და სპარსეთის რომელიღაც შაჰის შვილი იყო, ბოლოს საქართველოდან ოსმალეთში წასულა და სპარსეთის ხანებს წამოუყენებიათ, როგორც კანდიდატურა ოსმალეთის დახმარებით — სპარსეთის ტახტის დასაყავებლად¹. ეს ელიპარდი ხომ არ უნდა იგულისხმობოდას ერთ რუსულ ცნობაში, სადაც ნათქვამია, რომ 1750 წლიდან საქართველოში იყო შამ-თამაზის ვაჟიშვილი 2. მაგრამ ეს უნდა იყოს ელიპარდის ძმა შამ-უსეინი, რომელიც ოსმალეთს ემხრობოდა.

გერჯერობით, ჩვენ არ ძალგვიძს ვადავტოთ ალტერნატივა და ზუსტად ვუჩვენოთ, თუ ზემოხსენებული სამი წარჩინებულიდან რომელი

იგულისხმება პეისონელის ვერსიაში, ის კი საკმაოდ კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთი XVIII ს. II ნახევარში გულმოდგინედ ინახავდა თავის კარზე სპარსეთთან გაქცულ დიდკაცებს და ტახტის ათასი ჯურის პრეტენდენტებს.

აქ არ შეიძლება არ აღენიშნოთ საინტერესო ფაქტი: თომა ბარათაშვილს ყაჯარი მუჰამედ-ქასენ-ხანი (აღა-შამაღლ-ხანის მამა) თავისი ბანაკიდან არ უშვებდა, ყოველგვარი საბაბითა და საშუალებებით ცლილობდა გაეჩრებინა იგი თავისთან. ხომ არ უნდოდა ამ ყაჯარ გამგებელს თომას მუშევრობით თავის მხარეზე გადაებრებინა ერეკლე და თეიმურაზი, ანდა მოეხდინა ზეგავლენა რუსეთის კარზე? ერთი სიტყვით, ბევრი რამ რჩება გამოსაკვლევი ამ მისიის ისტორიიდან. ერთი უდავოა: თომას მიერ ფირმანების მოტაცება და მუჰამედ-ქასენ-ხანის ბანაკიდან მშვიდობიანი გამოღწევა მიუთითებს მის უდიდეს პირად მამაცობასა და გამჭირაობაზე. ისიც ცხადია, რომ თომა ბარათაშვილს მისიის შესრულება გაუადვილა ბევრი წარჩინებული ქართველის ყოფნად მუჰამედ-ქასენ-ხანის ბანაკში. საბუთები მოგვიტობრბენ, რომ იქ მყოფი ქართველი დიდკაცები, რომლებმაც მოინდომეს ოჯახების სრული გამუსულმანება, წააწყდნენ ცოლების მდგარ და სანაქებო წინააღმდეგობას. ეს ღირსახსოვარი მოქალაქენი გამოზობოდნენ სპარსეთიდან, რათა თავიანთი შვილები დაეხსნათ გამუსულმანების საფრთხისაგან.

დავებრუნდეთ ლივის ამბებს, „ლივას, განაგრძობს პეისონელი, უსათუოდ უნდა გამართლება მასზე დამყარებული იმედები, რომ ლივამი შემავალ ხანებს თეიმურაზის გულმოდგინებასა და ნებისათვის მხარი დეჰირათ, ხოცვა-ჟლეტამ, რომელიც ქ. ოღუზაში ერეკლემ შტერს მოუწყო, ჰეშმარიტი აღწინების რიცხვი თხზი-ხუთი ათასამდე შეამცირა. რაც სადმე მაწინწალა იყო და თავის დროზე ახატ-ხანს შეუერთდა, ახლა ყველანი ჩამოშორდნენ მას. დეჰერტორბოდა განსაკუთრებით გაჭირდა მის შემდეგ, რაც ავღანებს ბონადარი ცხოვრების სიყვარული დაეტყვოთ. ამ ავღანების სრულად ამოწყვეტაზე ადვილი რა იყო, მაგრამ ხანებმა, ნაცულად იმისა, რომ შეთანხმებული პროექტის ასრულებისათვის ხელ შეეწყოთ, ახლა თავი შორს დაიკრეს, უღალატო თეიმურაზს და იქამდეც კი მივიდნენ, რომ წინ ვაღაღობენ მის წამოწყებებს.“

პროქართული ლივისადმი ხანთა ღალატმა გაუადვილა საქმე სპარსეთის ტახტის ავღან პრეტენდენტს, როგორც შარლ პიკო ამტკიცებს, 1752 წელს ახატ-ხანი შეება ისპაანში დამკვიდრებული რეგენტის-ალი შერდან-ხანის მოადგილეს ქერიმ-ხანს და დაამარცხა ეს უკანასკნელი. გამარჯვებული ძლეულ მხარეს გა-

¹ ABPP. დსახ. ფონდი, 1760 წ. დავთ. №2, ფურც. 122.
² რუსული ოფიციალური ამონაწერი მწვერავ შერგილოვის შესახებ.

მოეცა, ქერბმა შირაზში შეასწრო და შემდეგ მოიგერია მოალევე აღნაზები, რომლებმაც საველე ბრძოლა იცოდნენ, მაგრამ მეციხოვნეთა დამარცხების ხელოვნება არ ესმოდათ. ამის შემდეგ აზატ-ხანმა აზერბაიჯანს დაიშორა.

ქართული წყაროებით ვიცით, რომ 1752 წ. იანვარში თეიმურაზი და ერეკლე განჯისკენ წაიღვნენ. „შაჰ-შირვანი ხანს აჯი-ჩალაბს ერთმორწმუნე ხანები ვადეპირებინა. მეფეებმა შეიტყვეს ეს და მოალაღებები დააპატიმრეს, მაგრამ თვით ლაღატის ფაქტმა ქართველთა ქარში დისციპლინა და ბრძოლის უნარი დააქვეითა, რის გამოც ქართველები დამარცხდნენ. აჯი-ჩალაბმა განჯა აიღო, თავისი ერთგული ხანები გაათავისუფლა და ყაზახ-ბორჩალოს თათრებთანაც კავშირი დაამყარა“

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ შემდეგს: 1. თავრიზი 1752-1753 წლებში წარმოადგენდა ავღანი ავგესორების ცენტრალურ ბაზას და პეისონელის ეერსია — იგი ერეკლესათვის დაეთმო აზატ-ხანს — სიმათლეს არ შეესაბამება. 2. ოსმალეთი 1752 წელს შეუდგა სპარსეთში შენიღბული ინტერვენციის განხორციელების თადარიგს; 3. 1750-1753 წლებში სპარსეთის ტახტისათვის გამართულ ბრძოლებში ორმა დიდმა სახელმწიფომ სცადა ასპარეზად გამოეთქვა ორი მეტოქე შმა—შამაჰანის ძენი-ელიპარდ მირზა და ჰუსეინ მირზა; პირველის უკან დაღწენ რუსეთი და ქართლ-კახეთის სამეფოები, ხოლო მეორეს მხარი აუბეს სტამბოლის ვაზირატმა და ბილდაღის ფაშამ, რომლებმაც სცადეს ამ საქმეში ჩაებათ ანაღნი აზატ-ხანი; 4. უკანასკნელს, როგორც ჩანს, არ აქმყოფილებდა ეთმად-დროელთის თანამდებობა მომავალი უსენი-შაჰის კარზე. ამის გამო და, შესაძლოა, სხვა მიზეზებითაც (რომლებიც ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია) აზატ-ხანი ჩამოსცილდა პრეტენდენტ ჰუსეინ-მირზას ფრონტს.

საინტერესოა ელიპარდ-მირზას გაშვება საქართველოდან ოსმალეთში. როგორც ჩანს რუსეთში ათანავ თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის (1752-1754 წწ.) წარუმატებლობამ ქართველ მეფეებს რუსეთზე გული აფრთოა, და მათ უაზროდ მიიჩნიეს თავისთან ელიპარდ მირზას შემდგომი დატოვება. მეორე მხრივ, ოსმალეთისთვის პრეტენდენტის გადაცემით, ქართველი მეფეები, ალბათ, უარუღობდნენ ზეანთქართან პირს გამოეკეთებინათ და მისი გული მოენადირებინათ, ამაღლ შელაი ტახტისათვის ბრძოლებს მთელი თავისი ენერჯია აზატმაც. ადგილობრივი ძალების სერიოზულ მხარდაჭერას მოკლებულმა, მან წააგო გადაწყვეტი ბრძოლები ზენდ-ქერბმხანთან, რომელმაც სძლია მასაც. შაჰნადარან-ასტრბადის გამგებელსაც და XVIII ს. 60-იანი წლების ირანის საკვს საბოლოოდ დაეუფლა.

საქიროა ხაზი გავსვას იმას, რომ, როგორც მასალები მოწმობს, ქართველ მეფეთა ბრძოლის და წაყვეან როლს აზატ-ხანის „ლიველიანის საქმეში“ ჰქონია მტრად პრეტენსიული მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ქრისტიანი და მუსულმანი მოსახლეობის ბედ-იბღლის თვალსაზრისით. აზატ-ხანის ქარები კალიასავით მოეფინენ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწა-წყალს და გუგონარი ბარბაროსობის დემონსტრირება მოახდინეს. ამ ეთარებაში ერეკლესა და თეიმურაზის ომი შორს სცილდებოდა ფეოდალური შინააშლილობის ფარეატერს და საერთო კავკასიური განმანათავისუფლებელი მისიის შარაეანდელი იმოსება.

გვიხილავს ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ფართო დიაპაზონი. 1. ირანში ერეკლე II და შამაშის თეიმურაზი დიდი აეტორიტეტი სარგებლობენ. ირანის ტახტის პრეტენდენტები, ისევე, როგორც რუსეთში ემიგრირებული გილანელი დიდეკეები, ირანის უზენაეს ძალუფლებს გუოფის თაბაზე ქართველ მეფეებთან მიწერ-მოწერას ათალებენ. ერეკლე და თეიმურაზი შამაშის მადებულთა შინაური ბრძოლების კურსში იმყოფებთან, მათ სასახლეში თავს აჭარებენ ზოგიერთი პრეტენდენტი, რათა შემდეგ ქართლ-კახეთის დახმარებით ირანის საკვს დაეპატრონოს. თაეიანთ აეტორიტეტს ირანში ქართველი მეფეები განამტიკებენ აეღანი აზატ-ხანის წინააღდეგ, ქართველ-სომხეთა წარმატებითი ოპერაციების ორგანიზებით. მათეე შექმნეს მებრძოლი ლიგა კავკასიელი მფლობელებისა, რათა ირანში წესრიგი დაეყვარებინათ. ზოგიერთი მუსულმანი მფლობელის ლატმა ლიგა დაშალა. 2. რუსეთს ქართლ-კახეთი სთავაზობს ქართლ-ერუსთა გაერთიანებული მხედრობით ირანის დამორჩილებას. ქართველი მეფეების პოლიტიკის წარმატება რუსეთის მხარდაჭერით იყო შემპრობებული და იწვევდა ოსმალეთის კონტრზომების მუქარას. პეტერბურგში ქართველი ელჩების მისიის მარცხმა (1752-1754 წწ.) ერეკლე და თეიმურაზი აიძულა დროებით შეესუსტებინათ ირანის ამ ბებში უშუალო ჩარევა და ოსმალეთისათვის გადაეცათ თბილისს შეიზნული პრეტენდენტები. 3. მართალია, რუსეთი ერთდებოდა კავკასიაში თავისი ქარის გაგზავნას, მაგრამ იგი საერთოდ დაინტერესებულია ირანში პრეტენდენტთა ბრძოლების ბელით. ამას მოწმობს გილანელი წარჩინებულის — ნადირ-შაჰის საელჩოს უოფილი წევრის პათემ-ხანის საშობლოსკენ გაშვება თბილისზე გველით და ყაყარი პრეტენდენტის მოქამედ-პასენ-ხანის ბანაში მხეერავად თომა ბარათაშვილის შეგზავნა, რასაც მოჰყვა დიდმნიშვნელოვანი საიღებლო ფორმანების მოტიკება. მუქამედ-პასენ-ხანმაც მტრობით უპასუხა: არსებობს მისი მუხანათური წერილი, რომლითაც ამ სპარს მმართველს სურდა რუსეთის კონსულის მიტყუება და შეპყრობა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიები

წარმომადგენელი

გალაკტიონ ტაბიძის ეპიკური მემკვიდრეობის შესახებ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში თითქმის ერთნაირი აზრი არსებობს: —გალაკტიონ ტაბიძე წმინდა ლირიკოსია და მისი მსოფლზედ ეპიკის სამანში ვერ ჩაეტია, ეპიკოსის ღირჭი, იმდღევებელი კილო ვერ შეეთვისა გალაკტიონ ტაბიძის ღირიულ განწყობას და პოეტურ ტემპერამენტს. სხვა სიტყვებით გამოთქმული ამ აზრისა გახლავთ თითქმის ყველა კრიტიკოსი გალაკტიონ ტაბიძის პოემებს თუნდაც გაკვირით რომ შეჰხებია. შეჰხებია კი ძალიან ცოტა. გალაკტიონ ტაბიძე ოცნე მეტო პოემის ავტორია. მისი სამი პოემა— „სატანა“, „საბედისწერო ფიქრი“ და „თასი“ ახლახანს პირველად გამოქვეყნდა პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულში, ორი პოემა კი— „აღვის ხეები“ და „ძველი კოშკი“ დაკარგულია (1912 წელს გალაკტიონი მიხეილ ბოკორიშვილს სწერდა: „მე, მამალითად, ორი პოემა დავწერე „ძველი კოშკი“ (ორი შენი „მწუხრიშვილის“ ტოლი პოემა) და „აღვის ხეები“ (მისტიციზმითაა ავსებული)“). გარდა ამისა, გ. ტაბიძე ავტორია ლექსთა ბრწყინვალე ციკლებსა— „ეპოქა“, „პატიფიში“ „რევიოლუციონერი საქართველო...“ ეს ციკლები პოეტმა თავის დროზე პოემებად მონათლა. კრიტიკაც კარგა ხნის განმავლობაში პოემებად იხსენიებდა მათ, სანამ თვით ავტორმა შემდეგ გამოცემებში ცალკეულ ლექსებად არ დაშალა თავისი ეს „პოემები“. გალაკტიონ ტაბიძე მთელი სიცოცხლის განმავლობაში წერდა პოემებს. დაიწყო ტრადიციული, სიუჟეტური პოემებით („მწყვები“, „სატანა“...) მერე პოემის განარულ სისტემაში დაუცხრომელმა ძიებამ „ქონ რი-დამდე“ მიიყვანა და თავის შემდგომ ეპიკურ ქმნილებებში სიუჟეტური პოემებს არაერთხელ დაუბრუნდა. მართალია, „ლურჯა

ცხენების“ ავტორის პოემები თავიანთი მხატვრული ღირებულებით ვერ გაეტოლდება მის ღირიულ შედეგებს, მაგრამ გალაკტიონის კლასიკური მემკვიდრეობის ცოდნა წარმოუდგენელია მისი მრავალრიცხოვანი პოემების შესწავლისა და გაშუქების გარეშე. გალაკტიონმა პოემის საფუძველზე განმტკიცებულ ფართულ კანონიკაში მრავალი ექსპერიმენტი განახორციელა. თუმცა ყველა ექსპერიმენტი წარმატებით როდი დამთავრდა, მაგრამ პოეტს უკანასკნელ პოემამდე არ შეუწყვეტია ფიქრი ფორმითა და შინაარსით ახალი ეპოქის აღქმეატური პოემის შექმნაზე. გალაკტიონ ტაბიძის არქივში დევს თითქმის ყველა მისი პოემის რამდენიმე ვარიანტი. პოეტი თავის ეპიკურ ნაწარმოებებში თხრობის სხვადასხვა სტილს, განსხვავებულ მეტრს მიმართავდა. მან პოემის შექმნა ხან ქართული კლასიკური პოემების ტრადიციული მეტრებით სცადა და ხან თეთრი ლექსით; სიუჟეტისათვის ხან რომანტიული ფაბულა გამოიყენა და ხან რეალისტის პალიტრა მოიმარჯვა; თავის პოემებში ერთგან თუ მოჭმედი პირები შემოიყვანა, მეორეგან მხოლოდ ღირიული მონალოგიტ დამკაყოფილდა. გალაკტიონის პოემების ქრონოლოგიურად დალაგება და ლიტერატურათმცოდნის მიერ მისი ერთხელ კიდევ ყურადღებით წაითხება, ნათლად წარმოგვიდგენს პოეტის დიდ ინტერესს ეპოსისადმი და პოემის განარული სახისადმი გალაკტიონის დამოკიდებულებასაც შესანიშნავად გვიჩვენებს. ეს პოემები თავის გაგავლებებში იმ ევოლუციისათვის, რაც გალაკტიონის პოეტიკამ პოემა „მწყვების“ „ოთხ დღემდე...“ განიცადა. გალაკტიონს თავიდანვე ნათლად როდი ჰქონდა წარმოდგენილი თანამედროვე პოემის სახე. იგი მალე დაწინაურდა, რომ „მწყვები“ და „სატანა“ ვერ შეესაბამე-

ბოდა ახალი ქანის მოთხოვნილებებს. „ჯონ რიდი“ მან თითქმის ახლებური, გასაქტიონისებური პოემის მხატვრული ვასალები აწვია. პოეტი ყელავ ეძიებს პოემის ქანრულ სრულყოფას, ჭმნის ლექსების ციკლებს, რომელთაც პოემებს უწოდებს, მაგრამ ერთიანი ფაბულის და მტიკე კომპოზიციის უქონლობის გამო „ეპოემა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციონური საქართველო“ ცალკე პოემებად ვერ იარსებებდნენ და გალაკტიონმა ამ ციკლებიდან ის, სიუჟეტურად ერთიანი, ადგილები გამოკყო, შეტანაულხდა მაინც რომ შეესაბამებოდნენ თანამედროვე პოემის გალაკტიონისეულ გაგებას. შემდეგში უკვე „ჯონ რიდის“ ავტორი უფრო ხშირად ვ. წ. ლირიკულ პოემებს წერს. ამრიგად, გალაკტიონ ტაბიქს წილად ხედა პირველს ქართულ საბჭოთა პოეზიაში აღდგინა ლირიკული პოემის ტრადიციები იმ პერიოდის ჩვენს პოეზიაში რომ ასე მივიჩნევთ იყო. გალაკტიონმა განსხვავებით ვ. წ. „მეელი“, კლასიკური ეპოსისაგან თავისუფალი, ახლებური პოემის შექმნასცადა და იგი ჩვენს ლიტერატურაში ამ მხრივაც ნოვატორია. სინტერესოა გალაკტიონის პოემების თემატიკაც. პოეტმა იცის, რომ პოემის, როგორც დიდი ეპიკური ტილოს, ხასიათი ვერ იტანს ჭარბ სუბიექტურობას და ხაზგასმულ ინტიმურობას, რამდენადაც წმინდა ლირიკის სუეროს განეუთვნება გალაკტიონის ლექსების უმეტესობა, იმდენად ზოგადკაცობრიული და ხშირად პირდაპირ პუბლიცისტური გალაკტიონის პოემები. იგი თავისი პოემებით, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თანმიმდევრულ ქრონიკებად გვაწვდის და მსოფლიო საკითხებზეც აღძრავს (ომისა და მშვიდობის, კლასობრივი ბრძოლის, ადამიანის დანიშნულების, ქალთა ემანსიპაციის და სხვ.)

„მწყემსი“ გალაკტიონ ტაბიქემ 1910 წელს დაწერა და 1911 წელს გამოაქვეყნა ვახუთ „თეშმა“ (№43, 46, 47). 17 წლის პოეტის ამ პირველ ეპიკურ ქმნილებას დღეს გალაკტიონის შემოქმედებისათვის მხოლოდ ეპიზოდური დირებულეა აქვს, მაგრამ იგი მაინც სინტერესოა, როგორც პირველი ნაბიჯი „მერის“ ავტორის მიერ პოემის შექმნის გზაზე გადადგმული. „მწყემსი“ ოსიებ გრამაშვილისადმი მიძღვნილი, შესავალში ავტორი შეგობარ პოეტს მიმართავს: „ეს სეედით საცხე პოემა, პოეზიის წმინდა ცრემლია და შეიწირეთ“.

პოემის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: კოლხიდაში მთხზულ მამამ თავისი ერთადერთი ასული დააქორწინა. ესესაა ლხინი დასასრულს უახლოვდება, რომ უეცრად პატარალ—ელენეს გული შეუწებდა. ლხინი უხახისოდ დამთავრდა. ელენეს გულის წასელის მიზეზი ის გახლავთ, რომ მას სხვა უყვარს, მამამ კი თოქმის ძალით დააქორწინა ვილად მდიდარ კაცზე. ვინ არის იგი, ვისაც მშვენიერი ელენეს გული დაუპყრია? იგი ერთი უსახელო მწყემსი გახლავთ. ერთხელ, რო-

დესაც ტყეში სეირნობით დადილ ელენეს „მთის ყვავილედში ტბილად ემინა“, ამ დროს მას შეუმჩნეველად მიუახლოვდა ახალგაზრდა, ლამაზი მწყემსი და ბავჯე—დაეკონს საყმაწვილის ეს პირველი ცეცხლოვანი კოცნა სამუდამოდ დაამახსოვრდა ელენეს.

ვინც მიყვარს, იგი ჩემთან არ არის— ფიქრობს ელენე, — რაა განგება ... განზორებისა ნისლი დაგვიხარის, მაგრამ მე მაინც ის შეუვარება. ჩემო ნუგეშო, როდესაც ქმარი გადასცილდება მშობლიურ კარებს, ჩემსკენ ისწრაფე, გული ქვა არის მას, ვინც არ უყვარს, ვერ შეიყვარებს.

ასეთია ელენეს ფიქრები მაშინ, როდესაც მისი ახლობლები „გამბედნიერებას“ ულოცავენ და ახლადშერთული მეუღლე გვერდს უმშვენებს. გავიდა ხანი. ელენეს ბები შეეძინა, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ ტოვებს უცნობ მწყემსზე ფიქრი, მწყემსზე, ასე უყვალოდ რომ გულმინარდა. და იი, ერთ მშვენიერ დღეს მწყემსიც გამოწნდა. ელენემ, რა თქმა უნდა, „სასიყვარულოდ გაშალა ფრთები“ და როცა ხვეწნა-აღერისში შემოათენდათ, ხოლო მწყემსი ყლავ თავის ვზას დააღვა, ელენემ სინდისის ქენჯნა იგაძნო.

მაგრამ ელენე ... ელენე ამ დროს საშინელ ცოდვით მოდილ სულსა ჰგავს. ის აღარ სედილობს სევედა დააცხროს ის აღარ ელის მომზიბად ამბავს.

მწყემსი ყლავ უგზოუცვლოდ დაიკარგა, ხოლო ელენეს შწარე სინამდვილე (ოჯახის ლალიტით გამოწვეული რ. მ.) და დიდი კაცმანი დაუტოვა. ელენემ იგრძნო თავისი დანაშაული და შეურაცხყოფილი დედა თავისი შვილის კოცნასაც ვერ ჰმედავს. დაბრუნებულმა ქმარმა ყველაფერი შეიტყო და მოლაღობე ცოლი ხალხის სამსჯავროს მიუგელო. სოფელმა ელენეს სასტიკი განაჩენი გამოუტანა: იგი ქვებით ჩაქოლეს. არ გატრა ქალაქი მაშის მუდარამ, არც უღანაშაულო პირმშოს ტირილმა. იმ ადგილას, სადაც ელენე იდგა, ერთ წუთში ქვების უზარმაზარი ყორღი აღიმართა. ამით მთავრდება პოემის ერთი მონაკვეთი. ეენ იყო ის მწყემსი, რომლის მიზეზით ელენე ასე უმოწვალოდ დისახა? მალე ასარებზე გამოჩნდება მწყემსიც და თავის აღსარებას იწყებს. ამ აღსარებიდან შეითხველი შეიტყობს, რომ პოემაში ორჯერ იღვრება გამოჩენილი მწყემსი, სინამდვილეში, ერთი ყარბი მგოსანია, რომელსაც საკუთარი თავისადმი რწმენა დაუკარგავს და უგზოუცვლოდ დაეხეტება. მწყემსს, სა-

1 გალაკტიონ ტაბიქე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII, ვვ. 11
2 იქვე.



ნამ ელენეს შეხედებოდა ჭვენიერება შემოვ-
ვლია. იგი სინანულით იკონებს თავის სიყმაწვი-
ლეს, როცა თავისი ნიჟის დიდი იმედი ჰქონდა:

ხელოვნების წინ წმინდა ცრემლს ეღვრები.
რადღე უცნაურს ეგრძნობდი სიამეს
მარწამდა დიდებულს რასმეს შეექმნიდი
მგეროდა უკვდავს შეექმნიდი რამეს.
მაგრამ დაიხრწნა ნეტარი ქსელი
ჩემთა ოცნებათ მე რომ შიგ ვხვევდი,
თურმე უბრალო იყო სანთელი,
ტიტანიურ აღს მე რომ ვირქმევდი!

ასეთ გუნებაზე მღვარ მგოსანს, ტყეში მოხე-
ტიალეს, შეხვედრია ერთხელ ელენე, რომელს-
საც იგი მწყემსად მიიჩნევია და პირველი კოც-
ნით დაუმტკიცებია ერთდგ მისი ახალი სიყვარ-
რული მშვენიერი უარბობადმი. ცხოვრების ია-
ღქანმა, ამის შემდეგ, გულგატეხილი მგოსანი
კვლავ უცხო მხარეს გადაჰყარავს. იგი
უცხოეთშიც გახდა სჭვისი უბედურების
მჩუხი. ავტორის დაწვრილებით გადმოგვცემს
პოეზის მეორე სასიყვარულო ხაზს: ერთხელ მო-
გზაურმა მგოსანმა გემზე უყრალბა მიაქცია
ახალგაზრდა, ლამაზ დალისას, რომელიც დაბე-
ჯებულად ამტკიცებდა: „ოცი წლის ქალი, სამოცი
წლის კაცს ვერ შეიყვარებს“. დალისას და
მგოსანს შორის სიყვარულის აღი ავიწყდა და
მაშინ, როდესაც ახლადგაყნობილი გატაცებით
ჰკოცნდნენ ერთერთს, საღ იყო საღ არა, და-
ლისას ქმარი გამოჩნდა. დალისას ქმარმა ვერ აი-
ტანა საყვარელი მებუღლის დალატი და ამბოჯ-
რებულ ზღვაში თავი დაიხრწო. გემბანიდან
დალისაც გადაჰყავს, მაგრამ ეს უკანასკნელი გა-
დაიარჩნეს. უბედულო საყვარულით გულდაკოლი-
ლი მგოსანი რამდენიმე წლის შემდეგ დალისას
საროსკიბოში ხვდება. მემგვი ქალი გატაცებით
უამბობს თავის კოლეგას, თუ რა სისულელე ჩა-
იდინა ერთხელ მან ეილაც უცნობი მგზავრის
გულისათვის სიკოცხის საფრთხეში ჩაგდებათ.
ამის გამოვინ მგოსანს საბოლოოდ გაუტყდა გუ-
ლი სიყვარულზე. იგი დაბრუნდა თავის სამშობ-
ლოში, რათა სევედა დაიურვოს. მაგრამ ამჟამად
მეორედ ხვდება ელენეს, რომელიც თავის პირ-
ველ სიყვარულს დანატრებული უყოყმანოდ გა-
უყოფს სარეცელს. მერე რაც მოხდა, მკითხველ-
მა უცყ იცის. ნაწარმოებში მთავრდება იმით,
რომ თავმობეზრებელი მგოსანი, რომელსაც
სევედა სულს უხვთავს, თავს იკლავს ხანჯლით.
ხანჯლით, რომელსაც აწერია: „ან სიკვდილი, ან
სამართალი.“

დიდი მხვედრა არ უნდა იმ ფაქტს, რომ
„მწყემსი“ გალაკტიონის რომანტიკული პოემე-
ბის გავლენით შეუქმნია. ამ პოემას თავისი ზეა-
წყველ ტონით, რომანტიკული ხელოვნებით და
არაკონკრეტული დროით თუ სამოქმედო გარე-

მთით, ეტყობა „ბახჩისარაის შალარეანის“ თუ
„დემონის“ სტილური ათინათქმუნებლად. ცა-
ლკეული ბრწყინვალედ დაწერილი ნაქმნიანა და
აქაიქ გაბნეული ორიგინალური პასაჟებისა, გა-
ლაკტიონის ეს პოემა მხატვრული სრულყო-
ფილებით ვერ დაიკვებნის. სრულიად ზედმეტია
პოემის ის ნაწილი, სადაც ავტორი რომანტიკუ-
ლი მწყემსის ენაობას ზელოცარული პოეტის
პიროვნებით ცვლის. მწყემსის ასეთმა გარეაღ-
რებამ პოემაში ელენეს ნახევარდაზღაპრული
მოტივი მხატვრულად დაუჭრებელი გახდა.
ახალგაზრდა ავტორმა პოემის შუა ნაწილიდან
გადაუხვია რომანტიკულ ხაზს და მისი რეალიზ-
ტური მანერით შეცვალა პოეტურის სიმალემ-
დე ვერ აიყვანა. ეპიური სახისათვის დამა-
ხასიათებელი ფერწერულობით ვერ ბრწყი-
ნავს ელენეს სახე. მისი სასიყვარუ-
ლო ინტრიგები პოემაში კონკრეტულ მხატვ-
რულ მოტივირებას მოკლებულია. მიუხედავად
იმისა, რომ პოეტმა სიუჟეტის ზეგულეტი ცალ-
კეული გამაფრებელი ეპიზოდებით დატვირთა
(ელენეს ჩაქოლავენ, დალისას ქმარი თავს ილ-
რობს, მწყემსი-მგოსანი ხანჯლით იპობს გულს.
და ა. შ.), პოემის მაინც დაქრავს ერთგვარი
გულმობრუნელობის ელფერი. რომანტიკული სამ-
ყაროს უკვილთა წალკობიდან გადმოსული
ელენეს ცხოვრებისა და დალისას მოტივის ერთ
სიბრტყეზე განლაგებით პოეტმა ზელოვნურად
გააბუნდოვანა პოემა და კომპოზიციურადაც
ველარ შეუჭრა. პოეტური საღებავები აკლია პო-
ემის მთავარი მოქმედი პირის მწყემსის სახესაც.
მიუხედავად თავისი მსოფლიო სევედისა და რო-
გორც მოაზროვნის „ორიგინალურობისა“, იგი
სასაცილომდე პასიურ პიროვნებად გამოიყურე-
ბა. ელენესა და მწყემსის ურთიერთობა კლასი-
კურ პოემებში დახატულ სიყვარულს ვერ წა-
გავს, მას უფრო ზორციელი სწრაფის და შემ-
თხვევითობის ელფერი დაქრავს. მწერლის სე-
რვილს ელენე ამალღებული გრძნობისათვის თა-
ვდადებულ ქალად დაგვიხატოს, ერთბაშად აქა-
რწყლებს ათასი წლის უნახავი სატრფოს მი-
მართ ელენეს ნათქვამი:

გამოსწი ჩქარა... შორს არი ქმარი,
სასიყვარულოდ გამალე ფრთებით...
რა გენაღვლება ერთი მითხარი?
განთიადამდე შენი ვიქნები!

როგორც ვხედავთ, ელენეს სიყვარულს
პლატონიურობა და აღმოსავლური მომხიბველ-
ლობა აკლია. იქნებ მწყემსის დალისასადმი სი-
ყვარულია ერთგული და მტკიცე? როცა დალისა
მისი გულისთვის გემიდან ოკეანეში გადაეშვა,
როგორ მოიქცა მწყემსი?

1 ივ. 30, გვ. 23
11. - მწამობი? № 4

1 გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტო-
მად, ტომი VIII, გვ. 13

ვეძებ იგი და არსად სჩანდა,
ვერსად ვიპოვე, ვერარსად ვნახე,
სახე ზღვასავეით ვადამიმწვანდა —
„ჯანდაბისაყენი“ — წამოვიძახე!

პირველ შემთხვევაში სიყვარულისაგან ცეცხლოვებული ელენე სატრაფოს ეუბნებოდა „რა გემაღლებდა ერთი მიზნარით“, ხოლო მეორე შემთხვევაში მწვემსი-მგოსანი გემიდან მისი სიყვარულისათვის ვადამბტარ ქალს მიაყოლებს — „ჯანდაბისაყენ“ ვხა ვკონიაო“. ვერ დახატა ამ პოემაში ავტორმა დიდი და ძლიერი სიყვარული და ეს ვახლავთ მიზეზი იმისა, რომ მეთხველო ელენეს ჩაქოლვასა და დალისას წყალში ვადამბტომას მძაფრად არ ვანიცდის. ახალგაზრდა ვალაქტიონს ამ პოემაში მხატვრული სიმართლის ვარდა ლექსიც დაღატობს. მავალითად: პოემაში იმეითად შეხვდებით შემდეგში დიდი ვალაქტიონისათვის სრულიად შეუფერებელ ასეთ ნედლ სტროფებს:

— ვამშორდა... წადი... რა ვსურს ჩემგან შენ?

უმწე სირცხვილით, უცნაურ შიშით ხელი ჰყრა უმაწვილს და კარხმისკენ ის ვაეჭანა სწრაფი ნაბიჯით.¹

ან ასეთ არამოტურ დახასიათებებს:
დაეშვებობრდი ვიდაც ერთ სულელს,
ოლიმპიურად რომ სთვლემდა მუდამ,
მეტად თაემდაბალს, მავრამ ვათულელს,
აიშფოთებდა სულ უბრალო რამ.² და ა. შ.

„მწვემსი“ დაწერილია ათმარცვლიანი შაირით, ავტორი არსად ერევა პოემის მდინარე-ბაში. ავტორისიეული რემარკები და ლირიული ვილისელები ამ პოემაში თითქმის არ არის. პოეტო ბოლომდე მიუღვამულ, ობიექტურ მოხარობულად რჩება. შეიძლება დავასკვნათ, რომ „მწვემსი“ ვალაქტიონის შესანიშნავ ეპიკურ თხზულებათა რიგში ვერ ბრწყინავს. ვალაქტიონის დებიუტი პოემის ურთულეს თანრში უიღებლო აღმოჩნდა.

ამევე პერიოდში — 1915 წლამდე იწერებოდა „სატანა“ მიუხედავად იმისა, რომ „სატანა“ თავისი იდეური მიმართულებით აშკარა ანტიპო-დია იმისა, რასაც ვალაქტიონი მთელი თავისი შემოქმედებით ქადაგებდა (პოემაში ვატარებულა ის აზრი, რომ ქვეყნად აღამიანის ყოფი ამოვინა, ხოლო ქალი ბოლომდე ვაუტანელი, დაუნდობელი და მოლატე), უნდა ითქვას, რომ მხატვრული ღირებულებით იგი „მწვემს-ზე“ ბევრად მაღლა დგას.

შეყვარებულ სელიმს სატანა ვამოეცხადა

1. ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII., გვ. 33.

2. იქვე გვ. 15.

3. იქვე. გვ. 29

და საზარელი ხარხარით ამეცო, რომ მის სატრაფოს სხვა უყვარს და რომ ქალი საერთოდ თვალმმაქცია და ზენდაცემეფრეკუნდომე რა თქმა უნდა არ დაუყვარებულა ვალაქტიონის უყვარს და მის ერთგულებაშიც ღრმად და დარწმუნებული, მავრამ სატანა არ ეშვება:

„ცხოვრების ბავშვო, ჩანს რომ არ იცი იმევე ცხოვრების კარგი და ავი. აღამიანის ფუქია ფიცი — სატრაფო თასია და საწამლაეი.“¹

სატანამ სელიმს ვრძნეულთა წამალი დაღვე-ენა, იმ დღიდან სელიმს ყველაფერი ესმის. მას შეუძლია აღამიანის გულისანდები და ფიჭრი მისავე სახეზე ამოიკითხოს. და აი, ვრძნეულა სელიმი, რომელმაც სატანას სული მიჰვიდა, ლელესავე მიეშურება. სატრაფო სიხარული ვადავებოა, დაგვიანება უსაყვედურა და ის იყო ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ, რომ სელიმმა სატრაფოს თვალეში ამოიკითხა:

„როცა შენ წახვალ კარებს ვაცილები, უგვერ კონიით მოტუებულები, მსწრაფლ ვაილება ისევე კარები, რომ სხვა ვიეშვებით დაეიტებო გული.“²

ლელე ფიჭრობს იმის შესახებ, რომ მას სელიმი უკვე მობეზრდა და ვნებათა დასაქცრო-მად ახლა სელიმის მეგობარი, — მგოსანი ლარა ვეულებდა, რაკი სიყვარული ქალის გულში სელიმს ასეთი ვეზბენელი ზრახვანი ამოიკითხა, ბუნებრივია, იგი ვერ დარჩებოდა ლელეს ოჯახში დარბაზობაზე. სასოწარკვეთილ სელიმს ახლა ერთადერთი მიზანი ამომარავებს — იპოვის ლარა და ვაიგოს რას ფიჭრობს იგი. სელიმისათვის დაუყვარებელია ლარას დაღატო-ლარა ხომ მისი მეგობარია. სელიმი აღმფო-თებულაა. მეგობარს ლარა ვარევენულად თბო-ლად შეხვდა, მავრამ მისი თვალეში შემდეგს მეტყველებდნენ:

...რას მებუტები,
ან რა ვაიგოს მძინარე ჩვილმა,
როცა მის სატრაფოს ჩავეხუტები.
ნუ: ნუ გგონივარ, უგნური არსო,
შენი მოსაზრე და მეგობარი...“³

სელიმმა, სატანას დახმარებით, ერთბაშად დაქარგა სატრაფოც და მეგობარიც. მისთვის უახლესი აღამიანების სულში მან სიბინძურის და ვაუტანლობის წუშე აღმოაჩინა და ვაბორო-ტებული სელიმი შურისძიებად იქცა. მან მო-

¹ ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII., გვ. 42.

² ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII., გვ. 46.

³ ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII., გვ. 48.

კლა ღარა თავისსავე შერცხვენის სარცელში. მონაზუნად აღვეცილ ლელეს ერთ ღელს სატანამ ამცნო, რომ შორს, ბნელ ტყეში უმატრონოდ მკვდარი სელიმი ავლია. სატანა ბრალს სდებს მონაზონს ორი უღანაშაულო ადამიანის სიყველად. ლელე საშინელი აგონიით ეთხოვება წუთისათვის. პოემის ავტორი გულდაწყვეტილ მიმართავს ქვეყნიდან უღროოდ წასულ ქალს.

— მშვიდობით ლელე! თუ კი შეტს ქვეყნად

ვერასს ჰპოვებდი, ვერას იგრძნობდი, ამისხენ ბარემ უკანასკნელად რისთვის სიუცხობდი, რად არსებობდი?

პოემა ასეთი ეპილოგიით მთავრდება: მხატვარს სურდა ლელესათვის ძველი შეექმნა, მას ჩაფიქრებული ჰქონდა გამოქანდაკებინა ლოცვად დამდგარი სერაფიმი წვრილ ხელში მაკრამ.

არ იქმნა, ცათა სერაფიმი მზე მხატვარის ხელში ვერ გამოხატა. ამქლის ნაცვლად ჩამოქმნა შური წვარის მაგიერ — მხასრავი დანა... ძღვერის ადვილს, რალაც უძღური და სერაფიმის ნაცვლად სატანა.²

და ახლაცო, სწერს პოეტო, მშვენიერი ლელეს საფლავზე დგას სატანა — როგორც სიმბოლო ვერაობის და დღატისა.

„სატანას“ მხატვრული ჩანაფიქრი, შორეულ, მაგრამ მალღმხატვრულ გამოძახილს ჰპოვებს შემდეგ ვალაკტიონის „შესაფლავეში.“ ჩა შორს დგას ეს სატრფიალო მიღელი და ქალის კეთილშობილ გრძნობებში დღეკვება იმისაგან, რასაც ვალაკტიონის უბრწყინვალესი სატრფიალო ღირიკა ჰქვია. პოემა იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი პესიმიტიური სიყვითლევით შეპყრობილი ახალგაზრდა პოეტის სულიერ პერიპეტეზებსაც გვიჩვენებს და იმ ფილოსოფიურ შეტამორფოზასაც გვისურათობტებს, რამაც „სატანას“ ავტორს ფსევდოლოტერატურული საყმაწვილო სენის დამღვეის შემდეგ ათქმევინა: „უსიყვარულოდ მზე არ სუფავს ცის კამარაზე“.

მეოთხველმა უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება ერთ ვაჭრემობას. „სატანის“ ავტორი რომანტიკოსია, მას ჯერ კიდევ ვერ დაუძლეოვია რომანტიკული პოემების გავლენა. თავის იდრინდელ პოემებში იგი თითქოს შეგნებულად უქცევს გვერდს კონკრეტულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფონს და მოქმედება სელიმების, სატანების და ფერებების რებუსურ მხარეში გადააქვს. ამასთანავე ამ პოემას აშკარად

ეტუობა, რომ მისი ავტორი მართული კლასიკური პოემების ტრადიციების გამტყვევებელი და გულთამხილავად მისი გახდომა „გველის მშამელის“ მოტივის უქვევლი ლიტერატურული რემინისცენციაა. პოეტი ამ პოემით გზილოვის სტილითაც დაესხება ვეპა-ფშველეს; მოქმედების დასასრულს, ვნებათა დაცბრომის შემდეგ სულეთიდან პერსონაჟთა ახრდილების გამოძახება ხომ ვეპასეული კლასიკური ხერხია, ახლა „სატანას“ ეპილოგი გაიხსენოთ.

ამბობენ თითქოს სატანას გრძნელს მოაქვს ლელესთან სელიმის სული, გამორებული გატყორცილ სხეულს და სადღაც ველად მიტოვებული. მოაქვს და ღამით, როცა მიღამოს ენატრონება სიწუმე მყდრული, სწასულაოზე მოისმის ამ ღროს სულთა სისინი, სულთა ჩერჩული:

— გუყვარდი? — დიახ, გუყვარდარ? — არა — რისთვის? — არ ეცილი — არ იცი განა? ვისაუბროთ, ვსურს? — აღარ მსურს კამარა... რათ არ ვსურს? — მე მფლობს შავი სატანა!

განთიადისას, რა აინთება მნათი, სხივებით შემოსულრული, სასაფლაოზე თანდთის წყდება. სულთა სისინი, სულთა ჩერჩული.¹

მე ვფიქრობ, ვეფას ეპილოგებთან ამ ნაწვევტის მსგავსება უკომენტაროდაც ნათელია. სატანისა და ბოროტი სულის ურთიერთობა პოემის მოქმედ პირებთან რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ხერხია (მოიგონეთ ბაირონის, გოეთეს, შილერის პოემები) ზოგჯერ ამ ეპიზოდთა კითხვისას ნიკოლოზ ბარათაშვილის „სული ბოროტოც“ გაგახსენდებთ, შავ.

„მოი სატანავ, დაუნდობლო, ვინ, ვინ მოვიხმო სულისა მწველად?“ და ა. შ.

ვალაკტიონის არქივში დაცულ „სატანას“ ავტორგაფს ეტუობა, რომ ავტორი განსაყუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ პოემისადმი. ვალაკტიონი შემდეგ წლებშიც დაბრუნებია ხელნაწერს. გულდასმით გაუსწორებია იგი, შეუდგენია გვეგამე პოემის გადაყეთებისათვის. როგორც ეტუობა, ვალაკტიონი არ ჩქარობდა ამ პოემის გამოქვეყნებას, რადგანაც იგი თავისი ფილოსოფიური პრიბლემტიკით და მხატვრუ-

¹ ვალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII, გვ. 58
² იქვე გვ. 59

¹ ვალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტ. VIII, „საბჭოთა საქართველო“ 1920 წ. გვ. 59.
² იქვე, გვ. 55/

ლი ღირებულებითაც „ეპოქის“ ავტორს ყარგა ხნის წინათ განვიღო ეტაპად მიიჩნედა.

მისტიციზმის, გულგატეხილობის, ადამიანის არსებობის აზრსა და მიზანში დაეკვივნის მოტივებითა დაღდასმული გალაკტიონის შესაძენ პოემა „საბედისწერო ფიქრი“ (1912-15 წ. წ.) „არტიტული ყუაილების“ ავტორის სენტიმენტალური განცდები და უიმედობის პირველ-ნელ-საზოგადოებრივი განწყობილებანი ნათლად იგრძნობა ადამიანის არსის კვლევით გამსჭვალულ ამ პოემაში. „საბედისწერო ფიქრის“ მთავარი მოქმედ პირს — ფიქრებით დაქანულ ახალგაზრდას მოსვენებას არ აღუვს აქვიტებული კითხვები:

„რაა სიციცხლე, რაა საფლავი,
სად ჩანს ცხოვრება... სად გათავდება?
ადამიანი რისთვის არსებობს
ან არის ზეცა სადმე თუ არა?“¹

ადამიანის დანიშნულების გარკვევის ეს ფსტური კითხვები ახალგაზრდა მეოცნებეს სულს უხუთავს. რისთვის გაჩნდა იგი ამ ქვეყნად? რას უქადის მომავალი? რა უნდა აქეთოს, რომ ქვეყნად მისი გაჩენა გააძარტლოს? ახალგაზრდად ეადიკობა თითქმის ყველაფერი: რაც ეცობრაობის აზრს შეუქმნია და ვერ იქნა ამ საბედისწერო კითხვებზე პასუხს ვერ მიაგნო. ამიტომაც მის სულს შეღანქოლია დაუფლებია და მარტობას განიცდის:

„როგორც ვარსკვლავი ცისა კამკაში
ობლად შთენილი თრთის და ეახცახებს,
ისე ცხოვრების შრისხანე ზღვაში
ობლად იკაფავს შრისხანე ტალღებს.“²

მას ეუბნებიან რომ ადამიანის დანიშნულებაა მოღვაწეობა, სამშობლოსათვის თავდადება, სულის სიმტკიცის და მზნებობის შენარჩუნება, მაგრამ ადამიანის ამოებში ღრმად დარწმუნებულს ვაგონებაც კი არ სურს უოველივე ამისა:

„მოღვაწეო! სასაცილოა,
რისთვის ეიშრომო, რაა მიზანი?
ბნელი საფლავი ყველას ბოლია.
უძლური არის ადამიანი.“³

რა აზრი აქვს ბრძოლას, როცა ყველაფრის შოლო შიინც სასაფლაოა, თვით სამშობლოც კი, რომლისთვის მოღვაწეობასაც მიქადაგებენ, ერთ ღრბს აღიგებვა პირისაგან მიწისა, სამარის ქია დახადგურებს ყველგან და ყველაფერ-

ში—ასეთია ახალგაზრდა მეოცნების ფიქრთა რეზიუმე „საბედისწერო ფიქრის“ მთავარი მოქმედ პირი შენატრის იმათ, ვისაც ეს სიციცხლობა რიო ფიქრები არ აწუხებს, ვინც მსაფლარი სეედისაგან თავისუფალია, რწმენით აღსავსე და თვითდაქარებული, უშფოთველად ცხოვრობს ამ ქვეყნად. შენატრის თავის სიგამაწილეს, რადგან.

„შაშინ მას სწამდა, უსაზღვროდ სწამდა,
ეკვი მის გულში არ არსებობდა;
ეკვი სიციცხლეს არ უწამლადა,
მხოლოდ სიხარულს და შეებას გრძნობდა.“

მაგრამ ყველაფერი გვიან არის, კეშმარიტებათა შესაყნობად დაფიქრებულ კაცს ვერც თავის და ვერც სხვათა ცხოვრებაში სიიმედო ვერაფერი აღმოუჩენია. მთავარეულით დაბორიადობს იგი სასაფლაოზე და თავის დაბნეულ სულს ზეცას ავედრებს. საუკუნო სასუფეველი მიიჩნია მას ადამიანის ბედის რეალურ გამოვლენად და შედარებით ყველაზე მყარ მოვლენად, ხოლო წუთისოფელში „კაცთა ქაბირი“ ბედის დაყენად და წუთისოფლის სტუმრობის უაზრო შიოლანდებად, რადგან მისი აზრით, თუნდაც ყველაზე ძლიერი საგნის ბელოდელი დღეც კი ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული და დადგენილია. სასაფლაოზე ქაბუქს სიციცილის აზრდელი გამოეცხადა და უქანასკნელი იმედის ვარსკვლავიც ჩაქტო:

„ჰოი, ქაბუკო — ამბობს ჩვენება, —
სკობს სულ არ გრძნობდე სიციცხლეს
ბედკრულს.“

არ გელისრება ბედნიერება
ვერ ეღირსები ხსნას და სიხარულს?⁴

აზრდელის პირით ნათქვამი მწარე სიმართლით შეძრწუნებულმა საბარლო ყმაწილმა ერთი საზარლად გადაიზარზარა და სასაფლაოთა სიციცილის ქიშერებს დაედგენა. კაცის გონებამ ვერ იტანა ფილოსოფოსთათვის საუკუნეების განმავლობაში თვისამტრევი კითხვა — „რა-ნი ერთ და რანი ვიქნებით.“ ავადმყოფურმა დაეკვიებამ ადამიანის დანიშნულებაზე იგი საბედისწერო ფიქრებამდე მიიყვანა და ქკუაზე შეშალა. პოემა ეპილოგით მთავრდება; ამბობენო, წერს პოეტს: განთიადის ეამს სასაფლაოდან შეშლილის ხარხარი მოისმისო, ბევრს შეუნშნავს იგი, საჭეარეული მვეიდრი სასაფლაოსა, ხან ტირის, ხან იცინის, ხან ქანდაყვასავით გარიინდდება საფლავზე და როცა ქვეყანას სინათლის სხივები მო-

¹ იქვე, გვ. 62.

² გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 62

³ იქვე, გვ. 63.

⁴ გალაკტიონ ტაბიძე, ტომი VIII, გვ. 65

⁵ გალაკტიონ ტაბიძე, ტომი VIII, გვ. 67

ეგენება, შეშლილი საღდაც ქრება, რათა აღი-
ონზე ცვლავ მოველინისო სასაფლაოს.

საფლავები, სიკვდილის აჩრდილთან საუბარი,
პუვიდან შეშლა, შეშლილის მეფისტოფელე-
რი ხარხარი საფლავების თაზე — პოემის ეს
სიმბოლური პასაჟები მკითხველის ინტე-
რესს იწვევს და შიშითა და მოკრძალებით
განმსჭვალავს პოემაში აღმჩრდილი საკითხებისა-
დმი. პოემას თავიდან ბოლომდე პოეტური
ისტრაქციენტობა და მალაღმბატურული ლიტერა-
ტურული ქსოვილი ვასდევს, მაგრამ „საბედის-
წერო ფიქრის“ არც ფილოსოფიაა ორიგინა-
ლური და არც პრობლემის გადამწყვეტა სახარ-
ბიელო. ახალგაზრდა გალაკტიონს არც ამ პოემა-
ში ეყო ფსიქოლოგიური და მხატვრულ-ფი-
ლოსოფიური საფანელო. ნაწარმოებში აღმ-
ჩრდილ ამ ტრადიციულ პრობლემას ავტორმა
ორიგინალური პასუხი ვერ ვასცა და კონკრე-
ტული მხატვრულ-შემეცნებითი გარემო ვერ
მიუხადა. ამიტომაც ახალგაზრდა ყარბიზის
ფიქრები თავიდან ბოლომდე დეკლარაციულად
ვლერს და ნაწარმოების დრამატუზმს ის ვარ-
მოვბაც აღუნებს, რომ ავტორმა ყარბიზის სა-
ბედისწერო ფიქრებს არ დაუბოიისპირა ად-
მიანის მშალდი დანიშნულების და ქვეყნად
მისი ყოფნის გამართლების არცერთი მოვლე-
ნა რეალური საწყაროდან. პოემის ლიტერატუ-
რული ლეიტმოტივი წინასწარაკვიტებულად
ვლერს და ავტორის პოზიციაც თითქოსდა თა-
ვიდანვე უქოქმანია. თუ მხედველობაში მივი-
ლებთ იმდროინდელი გალაკტიონის სულიერ
განწყობილებას და იმპრესიონისტური მოტი-
ვების ესოდენ მოძალეობს ჩვენი საუბრის გა-
რიერების ახალგაზრდა ქარხველ პოეტთა შე-
მოქმედებაში, „საბედისწერო ფიქრში“ აღმჩრ-
დილი პრობლემის გალაკტიონისეული გადაწყვეტა
ბუნებრივად მოგვეჩვენება, ხოლო ეპიკური
ეანრის ასე არასრულფასოვნად ფლობა გა-
ლაკტიონის სიუჟეტური პოემების მხატვრულ
ხარისხზე, ერთხელ კიდევ სამწუხაროდ
დაგვაფიქრებს. მითუმეტეს, როცა ეს
პოემა იწერებოდა, გალაკტიონი უკვე ვახლ-
დით თავისი დიდებული ლირიკული ლექსების
დიდი უმრავლესობის ავტორი, გადაჭრით არც
იმის მტკიცება შეიძლება, რომ „საბედისწერო
ფიქრის“ მისტკურნი ფილოსოფია მოდური
ევროპული ლიტერატურის გავლენით მოვიდა
გალაკტიონის ფსიქიკაში, საგულისხმოა, ის
ფაქტი, რომ ამ პოემისათვის გალაკტიონს
წარუშმდგარებია შემდეგი ეპიგრაფი:

„მანც რა არის ჩვენი ყოფნა წუთისოფელი
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი“
ნ. ბარათაშვილი!

მაგრამ შემდეგ ეს ეპიგრაფი თვითონვე გა-
დაღწეულია. ადამიანის დანიშნულებაზე, წუთი-
სათვის აღუესებულ საწყაულზე მსტროპასა
და სულერი ობლობაზე ჰაბუქინს დაფიქრება-
ნი ხშირად ვადგვიყვანს ნიკოლოზ ბარათაშ-
ვილის რომანტიულ სამყაროში. როგორც ჩანს,
ამ პერიოდში გალაკტიონი დიდად იყო გაცა-
ცებული ნ. ბარათაშვილის პოეზიით. „მეგრანის“
ავტორის ეპიგრაფით პოემის დაწყებაც შემ-
თხვევითი არ არის. იქნებ პოეტი აპირებდა
კიდევ ნ. ბარათაშვილისათვის მიძღვნა ეს პო-
ემა, ან თვით სულით დაობლებული ახალგაზრ-
და ნ. ბარათაშვილი გამოეყვანა „საბედისწერო
ფიქრის“ მთავარ მოქმედ პირად. მაგრამ, რო-
გორც ჩანს, პოემის წერის პროცესში გალაკ-
ტიონმა ეს ვადაფიქრა, რადგანაც ნაწარმოე-
ბის სიუჟეტმა სულ სხვა განვითარება შეიძინა
და მოქმედების სხვა პლანით წარმართვა მოით-
ხოვა. ამ ექვს ის გარემოვბაც გვიძლიერებს, რომ
„საბედისწერო ფიქრში“ სხვა ადგილას გადაშ-
ლილია ასეთი, სულისკვეთებით აშკარად ნ. ბა-
რათაშვილისეული სტრიქონები:

„ღეწ ნურავინ წუ შეიყვაროს,
ღეწ, დამწროდეს ზედით ჩაგრული,
ის შებრალუხას არვისგან იხოვს
და არც სიყვარულს ის არ ეძებდა.
უსამართლობა ეხლაც სისხლსა სწოვს,
ფაქრი გრძნეული მუდამ თან ღვედა,
იპას შესწირა თავის სიციცხლის
უშანყო გრძნობა, უშანყო გელო,
მან წარიტაცა, საით, — ვინ იცის...
ნორჩი ყვაელი, ნაზი, რჩეული!“

ერთი სიტყვით, ეტყობა, გალაკტიონი თვი-
თონვე მიხვდა, რომ „საბედისწერო ფიქრის“
მთავარი მოქმედი პირი თავისი სევდითა და
წუწუნით, თავისი გაუთავებელი მეღანჭოლი-
ითა და პასიურობით შორს იდგა ნ. ბარათაშ-
ვილის თავგანწირული შემართებით და ამბო-
ხებული სულით გაღვინილი პოეზიისაკან.
ამიტომ ქართული ბაირონის, როგორც მოქმე-
დი პირის ცვალი თავისი პოემის ხელნაწერშივე
უჩინარაჰყო.

გალაკტიონ ტაბიძის სიუჟეტური პოემების
ციკლის ერთ-ერთი უკანასკელი ნაწარმოებია
„თასი“. მუხუხდავად იმისა, რომ ამ პოემის
მთავარი მოქმედი პირია დედოფალი რუსუ-
დანი, ნაწარმოებში მოხსენებულნი არიან თა-
მარ მეფე, ქალაქდინი და სხვა ისტორიული
პირები, — „თასი“ მაინც არ ჩათვლება ისტო-
რიულ პოემად, საფიქრებელია, რომ ეს ის-
ტორიული სახელები ავტორმა ნაწარმოებში
აღწერილი ამზისათვის სიძველის იერის მისა-

1 საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტე-
რატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი,
გალაკტიონ ტაბიძის არქივი 8642-8663

1 საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტე-
რატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი,
გალაკტიონ ტაბიძის არქივი, 8642-8663

ცემად მოიშველია, ხოლო პოემის სიუჟეტურ ქარგას, მასში წამოჭრილ პრობლემას და აღწერილ მხატვრულ-ისტორიულ რეალებს თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ იმ ეპოქასთან, რომელსაც პოემა მიგვანიშნებს. ნაწარმოებში რეალისტური (ლხინი მტკვრის პირას, უცხო ჰაბუკი და რუსულდანი...) და ფანტასტიკური (თახის სასწულემოქმედება) ერთმანეთშია არეული. ამიტომაც „თახის“ ისტორიული სინამდვილის ასახვის პრეტენზია არ გააჩნია, ხოლო ნაწარმოების მოქმედ პირებად დედოფალ რუსულდანი და თამარ მეფის გამოყვანა მითუმეტეს ვერ აგვიხსნია. მართალია, ჩვენი ისტორიოგრაფია რუსულდან დედოფლის ბევრ ნამოქმედარს არც თუ მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ ვალაქტიონის პოემაში გამოყვანილი რუსულდანი თავისი სექსუალური სიმარტოვით, წარმოუდგენელი გულბზყვილობით და ავხორციობით სულისშემძვრელად ამორალურ პიროვნებად მოიჩინა. რუსულდან დედოფლის ამგვარ დაბასათებას, რა თქმა უნდა, ვერც ერთ ისტორიულ წყაროში ვერ შევხვდებით, მაგრამ, ემპირიკობთ, ვალაქტიონს არც უცდია ისტორიული პოემა დაეწერა.

ქართულთა ლაშქარი მტკვრის პირას ლხინს მისცემია. „კახურით შთვრალი“ დედოფალი რუსულდანი მოქიფებებს გამოუყვ და ტალაში მოსიგრიობს. უცრად დედოფლის ყურადღება ვიღაც ლამაზმა ჰაბუკმა მიიპყრო. რუსულდანი ენებამ აიტაცა, იგი მსწრაფლ მიეახლა უცნობს და უოველგვარი კდემის გარეშე თავის ავხორციულ სურვილზე ესაუბრება. მაგრამ ჰაბუკმა შორს დაიჭირა დედოფლის კონაზებენა:

წადედენა: — ვაი ჩვენს ბედს და სივალაზეს აქ დედოფალი განთსაზღვრელ სურვილს ვძლევა დაიწყებია ქვეყნის ჳირი და ცრემლთა ფრქვევა!¹

დედოფალ რუსულდანს გაგონებაც კი არ სურს საჭვეუნო საჭმეების შესახებ. იგი უმტყიცებს ჰაბუკს, რომ ქვეყნიერება მხოლოდ სატრფოს თვალეში, მის ენებაშლილ აღერსშია, სხვა ყველაფერი ზედმეტია. „რად მინდა ტახტი ან ვიჯიგვინი, ან კაცთა კრება? მე შენს თვალეში მსურს ვიხილო ქვეყნიერება“², ამბობს იგი.

საბედნიეროდ, რუსულდან დედოფლისაგან განსხვავებით უცნობი ჰაბუკი მტყიცე ნებისყოფის აღმორჩნდა. იგი ქვეყნის უბედურების მთავარ მიზეზად დედოფლის გარყენილობას მიანიწეს.

¹ ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი, 12 ტომად, ტომი VIII, გვ. 70
² იქვე.

„ნუთუ? — ჰაბუკმა დაიბასა — აღარც ის გახსოვს, როს მონგოლები აღწერდნენ ჩვენსა სამშობლოს? და გაუკახანის მკენეაჩე გელს ვერ აშვიდებდა ვერც კაცთა ცრემლი, ვერცა სისხლი, ვერც ჩვენი სევდა, შენ მაშინ ისე, როგორც ახლა გარყენილებაში ჰკლავდი ყოფნის დაუცხრომელ ტინს“.¹

„კახურით შთვრალი“ დედოფალი თავისას არ ეზლის. „შენს ლამაზ ტუჩებს, ჰე, ჰაბუკო, შენს თვალთა კამაშს, ძალემს ამ ქვეყნად ყველაფერი გადამიფიყოს“² და როცა ჰაბუკის თვალეში თანაგრძნობის ნაცვლად ზიზღმა გაიღვია, რუსულდანმა ჰკითხა:

„— შენ არ მოგწონვარ, ჩემო კარგო? — მე? არა! არა! — სიქვა ახალგაზრდამ და ფიტრებში თავი დაბარა“.³

როგორ ფიტრობთ, რუსულდან დედოფალი შეაძრწუნა ან ჩააფიქრა ამ ამბავმა? ყმაწვილის დაინერულება უარყოფამ იგი საჭვეუნო საქმეებისკენ მოახდინა? არავითარ შემთხვევაში. იგი მთვარეულივით ბარბაყებს და კვლავ თავის ავხორციულ ენებებზე მსჯელობს: იყო დროეო, ჩემის ეშხით დნებოდნენო ქვეყნის რჩეულნი. ბევრ ულამაზეს ჰაბუკს ჩემი ნაშვის შემდეგ ძილი არ ეკარებოდლა.

„ახლა აღარ მაქვს ძველი ეშხი და სიღამაზე და ჩისთვის, ვისთვის ვარ საჭირო, ან ვცოცხლობ რადა?“⁴

დედოფალი რუსულდანი პირველსავე დმარტხებამ თავის „ხორციელ სიყვარულში“ სიციხლის უარყოფამდე მიიყვანა. იგი მიუბრუნდა ლხინსმცემელ ქართველთა ლაშქარს და განუცხადა:

„მამულიშვილნო, თამარ მეფის ხელთა მაქვს თასი, ვინ უწყს, რამდენი შეების წვეთი, წვეთი ძვირფასი, უგემებია მისგან ძლიერს ჩემს ღედას — თამარს... და დაღვა ეამი ჩემთვის მწარე და სავალალო, უნდა დავსცალო მე ის თასი, უნდა დავსცალო!“⁵

¹ იქვე გვ. 71
² იქვე გვ. 72.
³ იქვე, გვ. 72.
⁴ ვალაქტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII, გვ. 72.
⁵ იქვე, გვ. 73.

მართლაც, დედოფალმა დასცალა რა ის გრძნეული თასი, იგი თავისივე ლაშქრის წინაშე შევლარი დაეცა.

ასეთი ვახლავთ პოემის დახულა. მე ვფიქრობ, ამ პოემის მხატვრულ დონეზე საუბრის ვაგრძელდება ზედმეტია. რაოდენ გამარტივებულია გალაკტიონის ამ პოემაში აღამიანთა ურთიერთობები, რა უინტერესო, სირთულეს და წინააღმდეგობას მოკლებულია რუსულად დედოფლის სახე, რა დაუჩქრებელი და რომ იტყვიან, უფროთ მოთრეულია „გრძნეული თასის“ ამბავი. რა საყოფად გამოიყურება რუსულანის შემხვედრი ქაბუცი; მის სახეს მხატვრული ხორცმესხმა აკლია და ამიტომ ამ ქაბუცის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიც დაუჩქრებლად, პაროდულად ეღერს. ვფიქრობ, არც თაშარ მეფის წმინდა აჩრდილის შუწულება იყო საჭირო „თასის“ უღიმღამო სიუვეტური ინტრიგისათვის. რაც შეეხება ამ პოემის ლექსიკურ ქსოვილს, მოყვანილი ციტატებიდანაც ნათლად დანახავად მკითხველი, რომ ვერც „თასის“ ლექსწყობა ბრწყინავს გალაკტიონისეული ლექსის ბრწყინვალეობით. ყველა ყველა და გალაკტიონისათვის სრულიად შეუფერებელია ასეთი სტროფები:

„შენ არ მოგწონვარ, ჩემო კარგო?
— მე არა! არა!
სიქვა ახალგაზრდამ და ფიქრებში
თავი დახარა“¹

და ა. შ.

„თასი“ გალაკტიონმა 1915 წელს დაწერა. ამის შემდეგ მას 1921 წლამდე პოემა აღარ დაუწერია.

1915 წელს მთავრდება გალაკტიონის ეპიკური შემოქმედების ერთი პერიოდი. ამ პერიოდის გალაკტიონის პოემების კრიტიკული თვალთ დანახვა სანუგეშოს ვერაფერს მოგვეცემს. ჩვენი უზალო ლირიკოსი წერს სიუვეტიან პოემებს კლასიკური გამართლმომანტიკული პოემების გავლენით. პოემების მხატვრულ-სტილური არსენალით დიდად არის დავალებული პუსკინის, ლერმონტოვის, ნიკოლოზ პართაშვილის და ვაჟა ფშაველას პოემებისაგან: ახალგაზრდა მგოსანი ვერ ერევა ეპიკური ტილოს მრავალმხრივობას და ობიექტურ ხასიათს. გალაკტიონ ტაბიძის ამ პერიოდის პოემები ვერც

საინტერესო სიუვეტით გვაწონებს თავს და ვერც ორიგინალური ხასიათებით, „ლურჯა ცხენების“ ავტორს ხშირად უჭევს ტყეობს: განონების ცოდნა და ნაწარმდევტკუქობითყვეარი შეკვრის ალოცქალატობს. ერთი სიტყვით, გალაკტიონის შემოქმედებაში მის პირველ ეპიკურ ქმნილებებს პოემის განრულ სახეში დაუცხრომელი ძიების კვალი ატყვია და ისინი ლიტერატურისათვის უიღბლო ექსპერიმენტებად რჩება.

ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ იქნება არც კი ღირდა დაწერილებითი საუბარი გალაკტიონ ტაბიძის აღრეულ პოემებზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი თავიანთი ლიტერატურული ღირსებებით მხარს ვერ დაუშვენებენ „მესაფლავის“ ავტორის ლირიკულ შედეგებს, მაგრამ ჩვენი სურვილი ამჯერად შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: ვერ ერთი, გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა ლტერატურის კლასიკოსთა პირველ რიგებში დგას და მისი ძვირფასი მეჭვიდრობის ყველა ფურცელს უნდა შევხოს მკვლევარის ხელი, რათა ობიექტურად, ყალბი პიუტრბოლიზების გარეშე, მიუწინოთ იმ ფურცლებს თავიანთი ადგილი მწერლის შემოქმედებაში, ამასთანავე დიდი პოეტი, ბუნებრივია, თავისი „ჩავარდნებითაც“ საინტერესოა, რადგანაც ამ ხასიათის ნაწარმოებები ზოგჯერ პასუხს გვაძლევენ მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ზეერ ამოუცნობ კითხვაზე: ესეც არ იყოს, გალაკტიონ ტაბიძის დაუცხრომელი ძიებანი პოემის კანონიკაში თვით ამ განარის განვითარების საკითხისთვისაც ძვირფას მასალებს შეიცავს. ეპიკურ განრში მომუშავე თანამედროვე ქართულ პოეტთათვისაც საგულისხმოა ის გარემოება, რომ გალაკტიონი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მის მიერ აღორძინებულ ლირიკულ პოემამდე ერთბაშად როდო მისულა. ვერ მას უწერია ტრადიციული, სიუვეტიანი ეპიკური პოემები გმირულ-რომანტიული და მითიური სიუვეტებითაც, მერე მითუტოვებია ამგვარი პოემების წერა და უცდლარეალისტური პოემის შექმნა ნაყლვად-შევეთ სიუვეტით. ამ უკანასკნელი სახის პოემებში ეპიკური აღწერების ხარჯზე უხვად შემოუშვია ლირიკული ნაყად („მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იღვრა“) და ბოლოს შეიგრძებულა უსიუვეტო ლირიკულ პოემაზე, რაც პოეტური ეპოსის ერთადერთ სასურველ და სწორ ფორმად მიუჩნევია. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდთან სიცოცხლის ბოლო წლებამდე გალაკტიონი ძირითადად ლირიკულ პოემებს წერდა.

¹ გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VIII, გვ. 72.

ნათია აპირაჯიანი

ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“

ოციანი წლების მეორე ნახევარამდე საბჭოთა და საზღვარგარეთის კინოსამყაროში რთული შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობდა. კინო როგორც ატრაქციონი მოშველდა, ამყარა გახდა, რომ მას ხელოვნების შესაძლებლობები გააჩნია. დ. უ. გრიფიტის, ე. შტრომპაილის, თ. ინსის და განსაკუთრებით კი ს. უიზენსტეინის, ეს. პუდლოვინის, ჩ. ჩაპლინის, ნაწარმოებები უმტიყებდნენ მაყურებელს, რომ კინო საბაზრო სანახაობა კი არა ხელოვნებაა, რომელიც საკვებით დამოუკიდებელ ვენასა და მშატერულ საშუალებებს ფლობს.

საქართველოში ეს როლი, უწინარეს ყოვლისა, „ელისო“ შეასრულა. იგი იყო კატეგორიული უარყოფა ვ. ბარსისა და ა. ბეკნაზაროვის ეთნოგრაფიულ-თეატრალისტური ფილმებისა, ი. პერესტიანის ეკრანიზაციების ილუსტრაციული მეთოდისა. „ელისო“ უარყოფა იყო თვით შენგელაიას კაბუტური კანონრეზობით აღსავეს ლიტერატურული კრდოსი. მაგრამ, ცხადია, „ელისო“ არ შექმნილა მხოლოდ ამ უარყოფის ნიადაგზე. მასში მიღებული და გათვალისწინებულია ის პოზიტიური ძიებანი და მიღწევები, რომლებიც წინამორბედ ქართულ კინემატოგრაფს გააჩნდა.

მართალია, ქართულ კინოს საფუძველი რევოლუციამდე ჩაეყარა, მაგრამ რეგულარული წარმოების ხასიათი მას 1921 წლიდან მიეცა. ამავე წელს რეჟისორმა ი. პერესტიანმა შ. დადიანის სცენარის მიხედვით დადგა ფილმი „არსენ ჯორჯიაშვილი“. ეს იყო ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის აშახველი პირვე-

ლი საბჭოთა კინონაწარმოები. სულ ორ წელიწადში საკავშირო ეკრანები ტრიუმფალური მსვლელობით ჩამოიარა რევოლუციური შინაარსის სათავგადასავლო ფილმმა „წითელი ეშმაკუნები“. ამ ფილმის გამო საბჭოთა პრესამ საქართველოს კინემატოგრაფს „მეზობარსებრე“ უწოდა. ვინაიდან რევოლუციური თემატიკის საბჭოთა კავშირში პირველად მართლაც ქართულმა კინემატოგრაფმა მოქილდა ზელი. დღევანდელი თვალსაზრისით „არსენ ჯორჯიაშვილი“ და „წითელი ეშმაკუნები“ მოკლებული არიან რევოლუციური იდეის განზოგადოებასა და თემის შესაფერ ფორმას. ისინი რევოლუციურ ტექსტზე აწყობილ გაცეითილი რომანების მოტივებზე ეფუძნებიან. მაგრამ ოციანი წლების დასაწყისში ამგვარი უშედეგობა სრულიად კინოზოზიური იყო, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კინოხელოვნება რევოლუციის მშატერული განზოგადოებისათვის ვადას მოითხოვდა.

V სასცენარო ტექსტის დახვეწისა და იდეის გათანამდებროვეობის საქმეში ქართულ კინემატოგრაფს თავისებურ დახმარებას უწევდა ქართული ნოვატორული თეატრის გამოცდილება. ლოვე დე ვეგას მონარქისტული პიესა „ფუნტე ოვეზუნა“ კოტე მარჯანიშვილმა რევოლუციურ სექტაქლად აქცია. ამავე შემოქმედებით ხაზს აგრძელებდა იგი კინოში. მან ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლიაშვილის ცრემლნარევე ჰუმორს გროტესკის სახე მისცა და დეგრადირებულ უსაქმო თავად-აზნაურთა ფენა საზოგადოების ხორცმეტად დასახა.

„ელისო“ — სცენარის ავტორები: ნ. შენგელაია და ს. ტრეტიაკოვი. რეჟისორი — ნ. შენგელაია. ოპერატორი — ვ. კერესელიძე. 1928 წ.

ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“ მაღალი აქტიორული ოსტატობისა და რეჟისორის მიერ ვაღმოცემული გარემოს მეშვეობით თავისი ნაციონალური კოლორიტიც გამოირჩეოდა, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო

იმდროინდელი ქართული კინემატოგრაფიისათვის. საქართველოში ჩამოსული არაქართველი რეჟისორები მოგზაურის თვლით დანახულ ქართულ ყოფას გამოსახავდნენ.

ალ. წუწუნავამ და კ. მარჯანიშვილმა ქართული კინოს თვითმყოფი სახე შექმნეს. მათ კინონაწარმოებებში გათვალისწინებული იყო ქართული ხალხური სულიერი კულტურის მრავალსაუკუნოვანი მიღწევები. მათი შემოქმედებით ეკრანზე ობიექტურ-მეშანურ გემოვნების შესაფერისად შეღამაზებული და „გაპარილებული“ საქართველოს ნაცულად ნამდვილი საქართველო გამოჩნდა. გამოჩნდა ქართველი ციცი თავისი ჭალამით, თავისი სპორტულ-ცხროსობით თამაშობებით, თავისი ქორწილით თუ ტრილით, თავისი ხასიათით, და ყოველივე ეს როდი ახდენდა ვიტრინის შუშებს მიღმა გამოფენილი გაქვავებული ექსპონატის შთაბეჭდილებას.

ქართულ კინემატოგრაფიაში ჩინებული მსახობები მოვიდნენ. იმდროინდელი ეკრანები ნათლებოდა ნატო ეჩინდის განუმეორებელი ლირიული სიღამაზით, კოტე შიქაბერძინის სანდომიანი გმირებით. სახკინმრტევის წარმოებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება და მცხუნვარე მზე, კინემატოგრაფისათვის ერთობ მოსახერხებელი ვალასაღები ობიექტი, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლებოდა აპარატის სახელურის ტრიალი. მაგრამ კინო თავის ნოვატორებს მოითხოვდა.

კინოს სპეციფიკის დადგენა, ე. ი. კინონოვატორობა, შეუძლებელი იყო ხელოვნების სხვა დარგების ტრადიციების გათვალისწინების გარეშე მომხდარიყო, მაგრამ კინემატოგრაფი და მოუფლებელ ხელოვნებად ვერ იქცეოდა, თუკი იგი ლიტერატურის, თეატრისა და ხელოვნების სხვა დარგების ტრადიციებს შექანავდრად ვადმოიტანდა.

ქართული კინოხელოვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კინონოვატორების, ს. ეიზენშტეინის და ვს. პუდოვკინის ნაწარმოებებმა. მათ მიერ შექმნილი პოეტურ-მონტაჟური კინოხელოვნების ნიმუშები პროგრამულ ნაწარმოებებად იქნა მიჩნეული, პრობლემატიკისა და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებებით მნიშვნელობის მხრივ. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი ექრისი, არა მარტო საბჭოთა კინემატოგრაფიის, არამედ მსოფლიოს კინოხელოვნების განვითარებაში.

თვითმყოფი ეროვნული კინოხელოვნების შექმნისათვის საქირო იყო მსოფლიო კინემატოგრაფიაში შემუშავებული პოეტურ-მონტაჟური მხატვრული მეთოდის შემოქმედებით გათვალისწინება და ნაციონალურ ნადავზე გადმონერება. სწორედ ეს შესწლო ნიკოლოზ შენგელიამ ფილმში „ელისო“.

„ფურტურისტი“ შემდგომ კი „მემარცხენე“ პოეტი 20 წლის ნ. შენგელია 1923 წელს შევიდა რუსთაველის სახ. თეატრულ-ცენტრულ სამსახიობო სტუდიაში, რომელსაც ცენტრ-ქართული კინოხელოვნების ხელმძღვანელობდა. 1924 წელს იგი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის ასისტენტ-ფილმზე „ქარიშხლის წინ“, ამავე ხანებში ს. კლინიშვილთან ერთად დაწერა სცენარი ფილმისათვის „სამანიშვილის დედინაცული“. კინოში ნ. შენგელია კ. მარჯანიშვილმა მოიყვანა, კ. მარჯანიშვილი იყო მისი შემოქმედებითი მოძღვარი.

ამბობენ, რომ კ. მარჯანიშვილს ნ. შენგელია რუსთაველის პროსპექტზე ხეზე ასული უნახავს, როცა იგი ლექსებს კითხულობდა. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეეფერება ეს ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს კინობლია, რომ ნ. შენგელია, თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი თავგამოდებული პროპაგანდისტი, თავის ტრიბუნად ხშირად ჭადარს იყენებდა. მამინდელი რუსთაველის პროსპექტი ვერ კიდევ განიხივრებული არ იყო ტექნიკური ცივილიზაციით და აღმშენების ხმას მანქანების ხმაური არ ახშობდა. ლექსის მოწოდების ეს უჩვეულო ფორმა ორგვარ რეაქციას იწვევდა: ახალგაზრდობის აღტაცებას და უფროსების სკეპსისს.

შესაძლოა პენსივნობითა და ტროსტებით შეიარაღებულ სექტაციკოსებს მიმართავდა ნ. შენგელია ამ სტრიქონებით:

„დააცხიკეთ: წმინდაო დაციო!

კბილებ-გამოხრულ პოეზებით დახუთულებო, ძირგაცვეთილი მესტეზივით დაიარებით ჰკუთს თაროზე განლაგებულ მემუარებით.

მიიღეთ ჩემგან საჩუქარი ლია ბარათი

— საუქუნო ხსენება

საიქიოს გალავანში ჰუნება —

მოქალაქენო!

გამოიცივლა პარადი! და სხე...

სოციალისტური ხელოვნების შექმნის საბაზით „ფურტურისტებმა“ ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ძველს და ახალ პოეტულ შემოქმედებას. მათი ლიტერატურული მანიფესტის ერთ-ერთი პუნქტი პოეზიიდან სიუჟეტის და აზრის განდევნას და ლექსების მხოლოდ ფონეტიკურ რიტმიკასა და მალასტიკაზე აგებას ითვალისწინებდა.

ქართული ფურტურისტული პოეზიის ბედი ცნობილია: იგი მალე გადაშენდა და ყოფილი ფურტურისტები შემდეგ „მემარცხენებად“ წოდებულნი ჰეშმარტი პოეზიის გზას დაადგინენ. ნიკოლოზ შენგელიას პოეტურ წარსულს უქმად არ ჩაუვლია. როგორც პოეტი, იგი განსაკუთრებული ყურადღებით რიტმს ეყრდნობდა, და მისი ლექსები ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ, ხოლო როდესაც ნ.

შენგელაიამ თავისი რიტმის გრძნობა კინემატოგრაფიაში გამოიყენა, ბრწყინვალე შედეგი მიიღო. ცხადია, ეს შედეგი იმითი იყო გაპირობებული, რომ მან კინემატოგრაფიულ რიტმს შესაფერი იდეური შინაარსი მისცა, რაც მისი ადრინდელი პოეტური კრეატივის უარყოფას წარმოადგენდა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ რიტმის ჩინებულ გრძნობას იგი რამდენიმე მარტივ პოეზიაში ხერხივს უმალავდა. ამიტომაც არ შეიძლება ხელახლებით უარყოფითის ფაქტი, რომ ნ. შენგელაიას ფერტერისტულ პოეზიასა და მის რეალისტურ კინემატოგრაფიულ შემოქმედებას შორის კავშირი არ არის.

ნ. შენგელაიას, როგორც კინორეჟისორის ხელოვნება რთული იდეური და ესთეტიკური ევოლუციის შედეგია, რამაც უოფლი ფერტერისტი საბჭოთა რეალისტ კინემატოგრაფისტთა წამყვან რიგებში მოიყვანა. იგი დღეს ს. ეიზენშტეინთან, ეს. პუდოკინთან, ა. დოვენკოსთან ერთად სრულიად სამართლიანად ითვლება პოეტურ-მონტაჟური კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ეს საპატიო ადგილი მას, უპირველეს ყოვლისა „ელისო“ მოუპოვა.

ფილმის „ელისოს“ პოეტური მონტაჟერ ხასიათს განაპირობებს რთული კომპოზიციური ტემპო-რიტმიკა შესრულებული თხრობითი და დანაწევრებული მონტაჟის, ეპიზოდების ემოციონალურ-კონტრასტული აქცენტირების და მეტაფორულ-სიმბოლიური გამომსახველობითი სმელოდებებით. ყოველივე ეს შეადგენს იმ მხატვრულ ფორმას, რომელიც ფილმის იდეას გამოსახავს.

რასი მდგომარეობდა ფილმის „ელისოს“ იდეა და რაგვარი ევოლუცია განიცადა აღ. ყაზბეგის მოთხრობამ ეკრანიზაციის შედეგად? მოთხრობის თემა ნაციონალური ჩაგრვა და ამ პირობებში ქალ-ვაჟის, უბედური სიყვარული, იდეა გამოხატება პროტესტში კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. პოლიტიკისა, რომელიც გასაქანს არ აძლევს და აფერხებს აღმოიანის ბედნიერებას.

მოთხრობაში პირად სიყვარულს თანამემამულეებისადმი მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობა უპირისპირდება. ყაზბეგისეული სიმპაფრიოთა გადმოცემული პირადი ბედნიერებისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობათა კიდილი.

ანზორა ჩერბიკ. ერთ დროს სახელგანთქმული მეომარი, სამშობლოსა და თავისი ხალხისათვის თავდაწირული მხედარი, სათაყვანებელი, ეერპი, რომლის შესახებ „მთელს ჩვენში ლექსს ლექსზედ გამოსთქვამდნენ“, ახლა სტოვეს ვადსახლებულ თანამემამულეთ. მან კარგად იცის მეგობრობის ფასი, მან იცის, რომ „მეზობლებთან ჭირიც ღზინია“, მაგრამ მინც უხდება მათი მიტოვება, რადგან „თავისი ქალისა და ვეჯის ასეთი თავდაწირული სიყვა-

რული შეიტყო“, სტოვეს მათ, როდესაც დარწმუნდა, „რომ იმათი გაყრა სიციხის ეთანაბრებოდა“.

აღ. ყაზბეგის მოთხრობაში, მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობას ამჯერად სიყვარული სძლევს.

ფილმში, ისევე როგორც მოთხრობაში, ნაციონალური ჩაგვრის ლეიტმოტივი შენარჩუნებულია, ხოლო მოქალაქეობრივი სოლიდარობის იდეა განსაკუთრებული ძალითაა აქცენტირებული, რის შედეგად ლირიულმა მოტივმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ელისო თავის ბედურულ ხალხთან რჩება და ამის გამო ვეჯისთან გაყრას გადასწყვეტს. ფილმში იგი მხოლოდ თავდაწირულად შეყვარებული ასული არ არის. იგი აგრეთვე ხალხის კირ-ვარამის გამზიარებელი, მეზობლი ქალია.

აქცენტების ასეთი გადაინაცვლება ფილმში დროის შესატყვისი იყო. დროისა, როცა ხალხის საზოგადოებრივი ინტერესების დაცივის იდეამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. აგრეთვე არ უნდა დავავიწყდეს ის ფაქტობაც, რომ აღ. ყაზბეგის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ხალხის მიმართ პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი სოლიდარობის თემატიკას საერთოდ ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს. სწორედ მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობა აღამართინებს ხევისბერ გონას ხანჯალს თავისი ერთადერთი შვილის მოსაკლავად. ასე რომ ფილმში „ელისო“ გათვალისწინებულია, როგორც დროის მავისცემა, ისევე აღ. ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები.

ჩვენს აზრით, ფილმში აღნიშნული ცვლილება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ნ. შენგელაიას „ელისო“ არ მიეინიოთ აღ. ყაზბეგის მოთხრობის ეკრანიზაციად. (ამ საკითხის გამო ქართულ კინოცოდნებაში ერთგვარი მერყეობა შეიძინევა) ფილმში დატულია მოთხრობის ძირითადი თემა და აგრეთვე სიუჟეტური ქარგა. ცვლილება იდეური აქცენტების თავისებურ გადაინაცვლებაში გამოიხატება.

ამვე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შენგელაიას ფილმი „ელისო“ არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს პასიურ ილუსტრაციას, არამედ შემოქმედებითი ეკრანიზაციის საუკეთესო ნიმუშია და სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება გააჩნია. რეჟისორმა ყაზბეგისეული თემა და იდეა საკუთარ ორგანულ თემად და იდეად აქცია და მოთხრობის სიუჟეტური ქარგა რომ გამოიყენა, ამასთან კინოს სიეფიციენტ მხატვრულ ხერხებს მიაგნო. მან მოთხრობის პროზულ აღწერით მონაცვეთებს კინემატოგრაფიული მხატვრული ექვივალენტი მოუძებნა.

ნ. შენგელაიას „ელისოს“ დრამატურგიული კომპოზიცია ანტიკური ტრადიციის პრინციპებზეა აგებული. ფილმს პროლოგად უძღვის

თერგის ოქჯის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტების ჩვენება, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს განმტკიცების მიზნით“ ჩვენები თავის მიწიდან უნდა აყარონ და თურქეთში გადასახლდნენ. დოკუმენტური მასალის გამოყენება ფილმში ქრონიკისა და მხატვრული ხაზგარმობის სინთეზის იდეით იყო განპირობებული, რაც ერთობ პროგრესულ მოვლენად ითვლებოდა ოციანი წლების კინემატოგრაფიაში (არსებობდა თვალსაზრისი, რომელიც სრულიად უარყოფდა მხატვრული ნაწარმოებების შექმნის აუცილებლობას და აღიარებდა მხოლოდ ქრონიკას, ცხოვრების დოკუმენტურ ასახვას — ჰ. ვერტოვი, ს. ტრეტიაკოვი) ნ. შენგელაიამ ამ აზრს მთლიანად არ აღიარებდა და მან ეკრანიზაციისთვის ქართული ელასიკური ლიტერატურის ნიმუში აირჩია. იგი მომხრე იყო ქრონიკის მასალის მხატვრული დამუშავების მეთოდისა და „ელისოს“ პროლოგი სარტკოვ დოკუმენტის ჩვენებით გვაუწყა.

ფილმის შესავალი თხრობითი მონტაჟის ხერხითაა გადმოცემული. შენგელაიის რიტმის საშუალებით გამოხატულია ჩვენთა ყოფა და სიუჟეტის ლირიული თემა.

„ჯამათის“ სცენაში, ფეხმორბომელი უბეცესები დინჯად ბჭობენ ხევსურებისთვის (რომელთა წარმომადგენლად ვაჟია წარგზავნილი) საძოვრების გაჭირავების შესახებ. ძველ დროიდან შემორჩენილი ამ თავისებურ პარლამენტს, ამჟამად მხოლოდ ფორმალური ფუნქცია აქვს შენარჩუნებული. საძოვრების გაჭირავება, რომელიც ძველთაგანვე მის კომპეტენციაში შედიოდა, ახლა გენერლის ხელთაა. „ჯამათმა“ უფლება დაარბა დამოუკიდებელი მოქმედებისა. შავკამ ეს ეპიზოდი ჩაგრული ხალხის ერთსულეუვნებას ასახავს, რაც ფილმის, შინაარსობრივი ვანიტარების თავისებური შემამაღებელი ეტაპია.

ჩვენთა ერთსულეუვნებისა და სოლიდარობის გამოხატულებაა აგრეთვე შემგებლობის ეპიზოდი: თანასოფლელები ბოგანო ქვრივს სახლს უშენებენ და ამ საქველმოქმედო შრომას საერთო სახალხო ზეიმის ტონი ახლავს. მთელ ეკრანზე მოთავსებული დოღის ახლო ზედი ეპიზოდის ოპტიმისტური, საზეიმო განწყობილების მათეულებელია.

მომხრე ფიზიკური შრომა და სახალხო ზეიმის სახეები იმდენად შერწყმულია, რომ ერთ მთლიანობაში აღიქმება. ქალები ფეხებით ზეღენ ბათქაშს და მათი მოძრაობის რიტმი ცეკვისებურია. დანაწევრებული კადრების აჩქარებული რიტმით და კონტრასტული დეტალების საშუალებით ეკრანზე გამოასახლდა დოღი და ნიჩაბი, ჩასაბერ საკრავზე მოსრიალე თითები და კედლის მღვსავი ხელი, დოღზე დამრტყმელი ხელები და ნიჩაბიანი ხელები,

ტუმის დამკერული და აფურის მიმწოდებელი ხელები და სხვა...

ნ. შენგელაიის რიტმის ცენტრალური პლასტიკაში არ გამოიხატება, მისი რიტმი ზმოვანიც არის; რეჟისორმა მდუმარე ეკრანზე რიტმული კონტრასტების საშუალებით უფაქრებს განწყობილებათა ნიუანსობა შესაძლო. მან მშენებლობის ეპიზოდის, სიყეთის ზეიმის, პლასტიკურ რიტმული საშუალებებით გამოასახლდა სიხარული ბოროტების მსხვერპლთა, ვადასახლებული მეზობელი აულისადმი თანაგრძობის მინორული ტონალობით შესკვათა. ეკრანზე დინჯად მიემართებიან ვადასახლებულთა ჩარდახიანი ფრები, ბილიკე მიმავალი საშობლოდან დეკალი ჩვენები მთას ზოლებად შემოხვევიან და ხალხით დასატყული მთა თავის მკვიდრთ თითქოს უკანასკნელად იკრავს მკვრდებ.

ამ ეპიზოდით მოაგრება ექსპოზიცია, რომელშიც ფილმის თემა, იდეური შინაარსი და აგრეთვე მხატვრული დამუშავების სტილისტიკა წინასწარ დასახული და მინიშნებულია. კვანძის შეკერის კომპოზიციურ პუნქტად „კოლაინიკისა“ და მისი რაზმელების პროვოკაციული აქტის ამსახველი ეპიზოდი უნდა მივიჩნიოთ.

„ჩვენის მმართველებმა ისურვეს ერთბაშად გადმოდრება, ისურვეს გაუმადარი თაღების გაღმობა და მოიწადინეს ჩვენელთ მიწების ხელში ჩაყრა“. სწერს ალ. ყაზბეგი მოთხრობაში „ელისო“, ცხადია, რომ ეს პროზაული მონაველი კინოსანახობითი ეპიზოდების მოფიქრებას მოითხოვდა, რომლებიც ჩვენთა ვადასახლების მიზეზს კინემატოგრაფიულად თეაღბილულს გახდიდნენ.

ეს ამოცანა შემდგენიარადაა ვადამწვეტილი: ვინაიდან აულ ვერლის ვადასახლებისათვის საბაბი არ არსებობდა. „ფრიაღნიკმა“ და „ეკარტერიკმა“ პროვოკაციის მიმართეს, მოსყიდულ ოსებს აულის ნახირი გაარქენეს იმ იმედით, რომ ჩვენები იარაღის საშუალებით საკუთრების უკან დაბრუნებას მოისურვებდნენ. იარაღის აღმოჩენა კი უკვე საკმარისი საფუძველი იქნებოდა ვადასახლებისათვის. ვაჟიას მამაციობისა (რომელმაც ოსებს ნახირი ჩამოართვა და იარაღი დააყრეინა) და ასთამურის შორსმჭვრეტელობის მეშვეობით, (რომელმაც ოსების იარაღი უმად ხელისუფალთ ჩააბარა), ეს პროვოკაციული აქტი მარცხით დამთავრდა. პროვოკატორები სხვა ხრიკს იგონებენ: ისინი, მოლაღატე ჩვენის, საიდუღას, დახმარებით წერა-კითხვის უკოდინარ ხალხს მოატყუებენ და თითების ანაბეკლებით ავა-

¹ ალ. ყაზბეგი — მოთხრობები და რომანები. ტ. I „მერანი“ თბ. 1968 წ. გვ. 424.

ნიშნებენ თანხმობას თურქეთში გადასახლების თაობაზე.

ავტორების მიერ მოფიქრებული ეპიზოდები ლიტერატურული დედნის კინემატოგრაფიულ გათვალისწინებას ემსახურებიან. ფილმის მოქმედების შემდგომი განვითარება ძირითადად ალ. ყაზბეგის მოთხრობის სიუჟეტურ ქარგას ეყრდნობა.

საინტერესოა ვაჟიას გენერალთან მისელის ეპიზოდი, რომელიც რეჟისორის მიერ რიტმული კონტრასტებითა და შიდაკადრული დინამიკის საშუალებითაა ვადაწყვეტილი. გენერალის კანცელარიის მოხელეები მოსწავლეების მსგავსად შერბებს მოსხდომიან. ერთნაირი ბლაგვი გამოუმეტყველებითა და ხელის ერთნაირი მოძრაობით სწერენ, ერთნაირად ირწუვიან აქეთ-იქით. ინდივიდუალობას მოკლებული, კანონის ბრმა შემსრულებელთა საკრებულოს წევრებით ეკრანზე ჩინოვნიკური არსის მხატვრული სახე იხერხება. კანცელარიის მოხელეები მომიჯნავედ ზანტად პასუხობენ, ძეგს ზანტად ლოლიან. ოთახში მფრინავი ბუზი მათზე უფრო ცოცხალი და მოქმედი ჩანს. ეს მდარე რიტმი ერთბაშად იცვლება: მოვლემარე ჩინოვნიკებს გენერალის კაბინეტში მყოფი ვაჟიას ხმლის შმაგი ტრიალი გამოაფხიზლებთ. ვაჟიას, რომელიც აულ ვერდის გადასახლების შესახებ დაწერილი ბრძანების ვაჭქმებას მოითხოვს. ეს რიტმული კონტრასტი სიკვდილის წინააღმდეგ აღმდგარი სიკაცხლის შთაბეჭდილებას ქმნის.

ნ. შენგელაიამ ჩინოვნიკური არსის გამომხატველი ზანტი მექანიკური მოძრაობა გენერალის ოფიცერთან ვაჟიას უბრძოლვების შმაგ რიტმს რომ დაუპირისპირა, ამით არა მარტო ტემპორიტმული საშუალებებით შექმნა ვანწყობილება, არამედ იმ სიმბოლიკითაც, როცა ერთი ვაჟაკი ებრძვის მრავალს, როცა რიტმობრივი თანაფარდობა ძალთა თანაფარდობის გამოშხატველი არ არის და ერის უმცირესობა მის სულიერ პოტენციალურ სიმცირეს არ ნიშნავს.

სამშობლოს სიყვარულის იდეა ნ. შენგელაიამ მხატვრული მეტაფორის საშუალებით გადმოსცა. მეჩეთთან შეყრებილი ხალხი უარის ნიშნად ხელებს აქნევს, როცა მას სამშობლოს დაცვების აიძულებენ, წინააღმდეგობის ამაჯარი ფორმად მხოლოდ შესაძლებელი უიარაღო, შავრამ მამაკი და მამულისმოყვარე ჩეჩნებისათვის. თავითფხებამდე შეიარაღებული „კაზაკები“ ცხენებით დაიბრებიან მათ გასათვლად. უფერად, როგორც ერთი ადამიანი მთელი ხალხი მიწას გაეყვრის, თითქოს მიწამ უხმოდ, მიწამ მიიზიდა თავისი შეილები, თითქოს მიწაში დამარხულ მამა-პაპათა ხმას უგდებენ ყურს თვალბრძოლი წეჩნებმა.

მიწაზე დასრული ჩეჩნების სტატიურა კად-

რი უდიდესი ფსიქოლოგიური დინამიზმითაა აღსავსე და ადამიანთა შინაგანი კალემის-აძრვის გამოშხატველია. ჩეჩნეთა მხატვრული რეჟისორმა პლასტიური სახეების ბრწყინვალე გააზრებით, სტატიური და დინამიური პიტივის შერწყმით, ცხენების ფლოქვების პირისპირ მიწას მთხვეული ჩეჩნეთა მხატვრული მეტაფორით გამოსახა.

დაცარიელებულ აულს ქუფრი ღრუბელი დარდად ჩამოსწოლია, „ტრაჟიკის ღრუბელი“, რომელიც ს. ეიხენშტეინის „ჯავშნოსანი პოეტოპიკის“ შემდეგ მწუხარების სიმბოლიკად იქცა. და აი ელისოს მიერ აულში დანთებულ ხანძარი ჩავრულ ჩეჩნეთა თავგანწირული პროტესტია მათი სტიქიური ძალის და სულიერი პოტენციის მიჩვენებელი. გადასახლებულთა საერთო ხარხარს და ცეცხლის ვიზივი ერთ მთლიან მხატვრულ სახედ იკითხება.

ნ. შენგელაიამ ცეცხლმოდებული აულისა და შურისმგებელთა ხარხარის „ხმოვანი“ ეპიზოდი ლამენტოვი ჩეჩნების გაშლილი ბანაის მღვმარებისა და მძიმე ჩაფიქრების ეპიზოლით შესცვალა. „ბუნებით მზნე, ისე მხიარული ჩეჩნები, დღეს გაჩუმებულაყვენ, დაყუჩებულაყვენ, ისე როგორც ქაბიშხლის წინედ პავარი, რომელიც ეშხადება ამ სიმშვილიდაც ერთბაშად გრგვინავად გადაქცევას“—სწერს ალ. ყაზბეგი და აი რა გამოშხატველობითა ბერხებით გამოშხატა ეს „გრგვინა“ ნ. შენგელაიამ „ათვის ენაზე“.

ურემში მოშაკდავი ქალი წებს. ბავში დასტორის სულთმობრძავს. ქალი თხოვს ელისოს, ობლად დარჩენილი ბავში ნათესაებებს ნალჩიში ჩააბაროს. ქალი კვდება, ელისო დასტორის მონტაჟის რიტმი ძლიერდება. მოკლე პლანები ერთმანეთს ცვლიან. ეკრანზე მიცვალებულის ხელია, შემდეგ მტრალი ელისო, ქალზე თმებს იწყეფენ მოთქმით, ხალხი მიცვალებულისაკენ მიბრბის.

დრამატიული დაძაბულობის გამოსახატეად ნ. შენგელაიამ პარალელურ მონტაჟს იყენებს. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან აულში მოგიზგიზე ხანძრის და მიცვალებული ქალის ახლო ხედები. კადრების მოცეცხლა თანდათან კვლებლობს და ერთ გამოსახულებადა გადაიქცევა ტირილს საერთო ისტერიამში გადადის. ასთამური ხალხის დამოშინებას ცდილობს, შავრამ ამოდ.

ეკრანზე ისევ ხანძრის კადრებია. ცეცხლი, რომელიც ჩეჩნეთა პროტესტისა და ბრძოლის უნარიანობის გამომშატველია, სიკოცხლის განტოკეცების რწმენით აღანთებს ასთამურს. იგი მუსიკოსებს უბრძანებს დაუკრან და ცეკვას დაიწყებს. ელისოსაც აიძულებს იცეკვოს.

1 ალ. ყაზბეგი — მოთხრობები და რომანები ტ. I „მერანი“ თბ. 1968. გვ. 423.

ელისო და ასთაფური ამ საერთო ისტერიის ფონზე ცეკავენ. მწუხარებისაგან გაოგნებულ ხალხს წელნულა მოცეკვავეებისაგან გამოემართება. მორბაალნი ლოყების ხოცევი გამოეჩინებოდნენ. უნებური ნელი მოჭრაობით მათი ხელები ლოყებიდან ტაშის დასაკერვლად ჩამოეშვებინან. თანდათან მონტაჟის რიტმი მართლობს. კვლავ მყირდება კადრების მოცულობა და თავიწყვეტილი რიტმი იპყრობს მასიურად მოცეკვავე ჩეჩენთ. მოკლე კადრების მსხვილი პლანები ერთმანეთს ცვლიან. კუნთ-მაგარი მოსრალე ფეხები, მიკვალბული, ტაშის დამკრეფელი ძლიერი ხელები, მიკვალბული, მუსიკოსები, მოცეკვავენი...

კონტრასტული დაპირისპირების დიამაზონმა უკიდურესობამდე მიაღწია — სიკვდილი და სიცოცხლე აღიგაგა პირისაგან მიწისა და დაბადება, მოსპობა და სიცოცხლის განახლება. ამ უკიდურესობათა კვიღელში სიცოცხლე იმარჯვებს, სიცოცხლე არ ნებდება სიკვდილს. სწორედ პლასტიკაში, მარადიულ მოძრაობაში, მოქმედებასა და შემოქმედებაში დაინახა ნიკოლოზ ზენგელაიამ ადამიანის ცხოვრების არსი. უდიდესი დარღვის დაოკება, მისი დაფაბნება მოძრაობით, რიტმით, თავისებური პოეტური მეტაფორაა, მოახლოებულ სიკვდილის უძრობაზე სიცოცხლის გამარჯვებისა.

თავდავიწყებამდე აცეკვებულ ჩეჩენთა განწყობილება უცერად რისხვად იტყება. ხალხი მათგან მიმავალ ვეფის შეამჩნევს. „მისი ბრალია, რომ გავგასახლეს“ — დააყვირებს ქალი და გააფთრებული ხალხი მუშტების ქნევით ვეფისაგან მიიწეებს. „მოკალით“ — ყვირიან თავგზაბნულნი ჩეჩენები და მის ჩასაქოლად მირბინან, მავრამ ელისო აფეთარება ვეფის, მანდალს დაუფედებს ჩეჩენთ და შეახსენებს ნამდვილ ვითარებას.

ამობოქრებულ ხალხის ტემპერამენტულ სენას ისევ ლარიული ეპაზოდი სცვლის. ელისო და ვეფია ერთმანეთს ეთხოვებიან. ელისო უარს ამბობს სიყვარულზე და თანამემამულეთა ხეღრის ინაწილებს. ობლად დარჩენილი ბავშვი ვეფის ნალბიკში მიჰყავს.

გადასახლებულთა ქარაუანი უცხოეთისაგან ნელა მიემართება. ეკრანზე ჩანს ხალხით დასალტული მთა, თითქოს ბედკრული ჩეჩენები გარს უღლიან და ვერ ელევინან შშობლიურ მხარეს.

ნ. ზენგელაიას მიერ შექმნილი პოეტურ-მონტაჟური კინემატოგრაფიის საწყისი და საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, დრამატურგიაში უნდა ვეძიოთ. ფილმში „ელისო“ მან სწორად გაითვალისწინა დროის პულსი, დროის სულიერი მოთხოვნილება და პირველ პლანზე მოქალაქეობრივი სოლიდარობის იდეა წამოსწია, რაც ერთგვარი პასუხი იყო კოლონიზატორული აქტის წინააღმდეგ, თავისებური

პროტესტი იყო მონობისა და ნაგვიის მიმართ. ფილმის მხატვრულმა ლოკიამ თვისთავად წამოსწია ბორბებისა და სიყვეთის დაპირისპირება.

ადამიანთა კოლექტივი ზოგჯერ ნაყლებად განიცდის გარეშე ძალების შემობრუნვას, ექსპანსიას, აგრესიას, დაწოლას და იგი ამ აზრით, ასე ვთქვათ, მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა. ასეთ შემთხვევაში გასაქანი ეძლევა კოლექტივის შინაგან ურთიერთობებსა და წინააღმდეგობებს, გასაქანი ეძლევა კოლექტივის წევრთა პირად, პიროვნულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პიროვნებათა შორის მრავალმხრივ, რთულსა და ფსიქოლოგიურად ნიუანსირებულ ურთიერთობებს, რასაც თან ახლავს ხოლმე პიროვნებათა ინტერესების, მიზნების, პრეტენზიების შეჯახება, ბრძოლა, კონფლიქტები. ამ სიკეთე — ბორბების დაპირისპირება პიროვნულ-ფსიქიკურ ძალათა დაპირისპირებისა და ბრძოლის სახით იჩენს თავს.

მხატვარი ზოგჯერ სწორედ ადამიანთა კოლექტივის ამგვარ ცხოვრებას იჩინებს თავის თვმად და ამის შესატყვისად მისი ინტერესიც ადამიანთა პიროვნული, ფსიქოლოგიურად ნიუანსირებული ურთიერთობისაგანაა მიმართული.

მავრამ ადამიანთა კოლექტივი ხშირად გარეშე ძალების დიდი შემობრუნვისა და დაწოლის ქვეშ დგება, რის შედეგადაც იგი, ეს კოლექტივი, ერთ მთლიან პიროვნებად შეიცვრის, ერთი განწყობილებითა და ერთი მიზნით იმსკვება, მის შიგნით კლებულობს შინაგანი წინააღმდეგობებათა ინტენსივობა. კოლექტივის წევრებს, ასე ვთქვათ, „კოლექტიური ფსიქოლოგია“ ეუფლებათ. ამ სიკეთე — ბორბების კონტრასტი ხალხის კოლექტიურ იმპულსსა და გარეშე ძალას შორის წინააღმდეგობის სახით გამოიხატება და როცა მხატვარს ამგვარ მდგომარეობაში მყოფი კოლექტივის ცხოვრება აურჩევია თვმად, მისი ინტერესიც პირველ რიგში „კოლექტიური ფსიქოლოგისა“ და შესატყვისის მოქმედებისაგანაა მიპყრობილი.

ნ. ზენგელაიამ „ელისოში“ თუმცა კი რამდენიმე პიროვნებათა შორის ინტიმური ურთიერთობაც უჩვენა (ელისო და ვეფია), მავრამ მაინც მისი მთავარი ამოცანა იყო ცარიზმის აგრესიული ძალების დაწოლის ქვეშ მოქცეული, ერთ პიროვნებად შეკრული — ჩეჩენი ხალხის „კოლექტიური ფსიქოლოგისა“ და შესატყვისის მოქმედების ჩვენება. და უნდა ითქვას, რომ ნ. ზენგელაიამ ეს ამოცანა შესანიშნავი მხატვრულ-კინემატოგრაფიული ოსტატობით გადაწყვიტა.

ზენგელაიას ფილმში „ელისო“ ხალხი ერთად ბჭობს, ერთად აშენებს, ერთად ზეიმობს, ერთად მოსუქვამს და სიკვდილზე ერთად იმარჯვებს. მას გმირებიც უყავს და ამ გმირების

მოქმედება ხალხის საერთო ნების გამოხატე-
ლია... ელისოს მიერ დანთებული ხანძარი ხალ-
ხის შურისგების სურვილია. ვაჟიას თავგამოდე-
და ელისოს თანამემამულეთა კეთილდღეობისა-
თვის, თუ ასთამურის ქიშკივმა ხალხის მიმართ
საერთო სახალხო ინტერესების გამოხატეულია.

ნ. შენგელიამ ფილმის გმირების შესრულე-
ბელთა შერჩევისას უმთავრესად ტიპაჟის მე-
თოდი აირჩია, რაც ოციანი წლების კინემა-
ტოგრაფიისათვის ერთობ გავრცელებული იყო.
ეს გასაგებია, ეინალიან მუნჯ ფილმში გმირის
ვარგენტულ ინდივიდუალობას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს სახის მხატვრული გამოკვეთისათ-
ვის. მაგრამ როგორც პრაქტიკამ ასევე, მხო-
ლოდ ტიპაჟი, თუ მას აქტიორული მონაცემე-
ბივ არ ახლავს თან, ვერ უზრუნველყოფს გმი-
რის სრულყოფილ მხატვრულ ფსიქოლოგიურ
სახეს. საჭიროა ტიპაჟისა და აქტიორული
ელემენტების შერწყმა და სწორედ ასეთი
შერწყმა იგრძნობა ა. იმედაშვილის მიერ ვან-
სახიერებელ ასთამურის როლში.

ტრადიციული თეატრის ბრწყინვალე წარმო-
მადგენელი, ოტელოს, მეფე ლირისა და ანანიას
როლებს საუკეთესო შესრულებელს, უბად-
ლო მეტყველების მქონე მსახიობს, უხმო ფილ-
მში მთავარი როლის შესრულება დაეკისრა.
აღ. იმედაშვილმა შესანიშნავად გაუგო კინემა-
ტოგრაფის სპეციფიკას. მოქმედების ლაგოე-
რი პლასტიკით, თეატრების მდიდარი აზროანი
გამომეტყველებით, ინდივიდუალობის გამო-
სახველ ძუნწი ექსტიკულაციით, აღ. იმედა-
შვილმა ასთამურის კოლორიტული სახე შექმნა.
მის მიერ განსახიერებული ასთამური ბრძენი,
შორისმჭკრეტელი მეურვეა თავისი ხალხისა.
აღ. იმედაშვილის აქტიორული მონაცემები
რომ არ ყოფილიყო, ასთამურის სახე სიკეთის
„მთარულ სიმბოლოდ“ დარჩებოდა, რადგან
სასცენო მონახაზით იგი ერთ განზოგბილებაშია
გადაწყვეტილი.

ლიტერატურული სცენარის მიხედვით ელი-
სო შერატებოთ რთული სახეა. მასში ლირიული
და დრამატული ინტონაციებია შერწყმული
ელისო ნახად მოყვარულა, მეოცნებე ქალია
და ამავე დროს მრისხანე შურისმგებელი. კ-
ანდრონიკაშვილის მიერ შექმნილ ელისოს
სახეში დრამატული აქცენტები სჭარბობენ.

ფილმის მხატვრულ სტილისტიკას სრულიად
არ შეეფერება „ურიადნიკისა“ და „კვარტე-
რიერის“ ტიპაჟი. დაქიანებული მეჩხერი კბი-
ლებით, პირში ჩამძვრალი უღეაშებით, ნაყვა-
ვილარი სახეებით, ისინი უფრო „ღუბოკის“
ავსულებს მოგვაგონებენ, ვიდრე რეალისტური
მხატვრული ნაწარმოების ცოცხალ გმირებს.
შესაძლოა ეს იყო მიზეზი საბჭოთა კინომოც-
ნეობაში არსებული აზრისა, რომელიც ნ. შენ-
გელიამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინ-
ტორიოგრაფიის ვაეღენას შიაწერდა, მიაწერ-
და აგრეთვე იმ ვარემოვბას, თითქმის ფილმში

რუსი აღამიანის განწყობილება მთის ხალხის
მიმართ ცარიზმის კოლონიზატორულ იდეო-
ლოგიასთან იყოს გაიკვებულნი.

ასეთი შენიშვნა არაფრისი არაა. გამართლ-
ებული და ეს ცხადი გახდება, როცა გაიღებ-
ნებთ, რომ ფილმში ერთ-ერთი კახაი გადასახ-
ლებულთა აშკარა თანამგრძნობი ჩანს. იგი
გადასახლებული ბოგანო ქალის ბავშვს მთელი
გზა თავისი ზელით ატარებს, რათა ქალს ტვირ-
თი შეუმსუბუქოს და გზაში ვარდაცელილს
ისევე დასტირის, როგორც ჩენენბი. ნ. შენგე-
ლიამ არ დაუყვია ბიორტებად და კეთილე-
ზად რუსები და ჩენენბი. მან ჩენენბა შორისაც
გამოიყვინა ვერაჟი აღამიანი (საიდელა), რომ-
ლის დანაშაული კახაიებზე უფრო მძიმეა,
რადგან იგი, ვარდა იმისა, რომ ცარიზმის კო-
ლონიზატორ პოლიტიკის განხორციელების
ერთერთი აქტიური შემსრულებელია, ამავე
დროს თავისი ხალხის მოდილიტა.

საბჭოთა კინომოცენეობაში სჭირად გამო-
თქმულა აგრეთვე ის მცდარი მონახაზება,
თითქმის ელისოსა და ვაჟიას სიყვარულის უბე-
დური დასასრული მამამდიანურ და ქრისტიან-
ულ სარწმუნოებათა წინააღმდეგობის შედეგი
იყოს. აღ. ყაზბეგის მოთხრობაში კეთილ-
ლობით: „უწინდელს დროში რომ მომხდარიყო
ამგვარი შემთხვევა და მამამდიანს „მთიელი“
ქრისტიანი შეპყვარებოდა, მამინდლის იქაუ-
რის ჩვეულებით, სარწმუნოება დამაბრკოლე-
ბელ მიზეზად ვერ შეიქნებოდა მათი შეერთ-
ებისათვის. მაგრამ ახლა, როდესაც ქართულე-
ბი, ე. ი. ქრისტიანები „გაიურებს“ ანუ რუსებს
წინ მიუძღოდნენ და გზებს ურჩევდნენ, როდე-
საც ისინი გაიურებთან ერთად უზრმაოდნენ და-
მყოველებულს მეზობლებს, ახლა სულ სხვა
იყო“. (გვ. 427).

იგივე აზრია გადატანილი ფილმშიც. მასში
ერთი დეტალი არ მოიძებნება, რომელიც სარ-
წმუნოებრივ კონფლიქტს გამოხატავს, არამედ
იგი მთლიანად ნაციონალური ჩაჯვრის თემი-
სადშია მიძღვნილი და სიყვარულის ამბავიც
ამ ფონზეა მოცემული. ელისო რომ თავის
ხალხთან სარწმუნოებრივი აღათის გამო დარ-
ჩენილიყო, კინონაწარმოებში ასახული მოქ-
ლაქებობრივი სოლიდარობის იდეა ერთობ დაქ-
ვეითღებოდა და სავარაზობლად შესუსტებო-
და, ფილმის აქტუალური ელერადობა.

ფილმში „ელისო“ ნ. შენგელიამ თავის გათ-
ვალისწინებულთა ქართული ხალხური სულიე-
რი კულტურა. ვარდა იმისა, რომ ნ. შენგე-
ლიამ ევრანზაციისათვის ქართული კლასი-
კური ლიტერატურის ნიმუში აირჩია, მან ფილ-
მის თეათმყოფო სახე მისი მხატვრული ფორ-
მითაც გადაწყვიტა, კერძოდ, პლასტიკით და
რიტმით. შესაძლოა მშენებლობის ეპიზოდში
ასახული ფერბული ხალხური შრომითი ცეცხ-
ზუსტი ასლი არ იყოს და იგი რევისორის მი-
ერ იმპროვიზებული სიკეთისა და ქველმოქმე-

დების პლასტიკური გამოხატვა, მაგრამ მისი წინამძღვარი ქართულ ხალხურ საცეკვაო ხელოვნებაში უნდა ეძიოთ.

გენერალთან ვაჟიას ფარეკობისა და ფილმის ფინალური ცეკვის ეპიზოდების მონტაჟი ნ. შენგელაიამ დოლურის რიტმის მიხედვით ააგო (სამონტაჟო მავიდაზე იგი ხელით უკრავდა დოლურს და შემონტაჟე ვ. დოლენკო ფირის სიგრძეს ამ რიტმზე აგებდა).

შესაძლოა ელისოს საბის შექმნაში რეჟისორს ქვეცნობიერად თინა ვაშლიცხელისა და მია წყნეთელის პირველსახეები დაეხმარნენ და დაეხმარა საერთოდ საქართველოს ისტორია, რომელშიც მებრძოლი და მოაზროვნე ქართველი ქალის სახეს ესოდენ საპატიო ადგილი უკავია.

ნ. შენგელაიამ სიცოცხლის საწყისის გამარჯვება მის დამთრგუნველ ძალებზე ცეკვის პოეტური მეტაფორით რომ გამოხატა, ალბად ფიქრობდა, რომ ქართული ხალხური ცეკვა თავისთავად პლასტიკაში გამოსახული მეტაფორაა, რომლის ქვეტექსტში საქართველოს ისტორიისა და მისი სულიერი კულტურის ამოკითხვა შეიძლება.

შართალია ფილმი „ელისო“ ჩერენთა ცხოვრებას ასახავს, მაგრამ იგნორირებული ქართულის ტრადიციული ისტორიულ-მედიის სიმბოლოებია. სიმბოლურია მარად მებრძოლი და სიცოცხლისუნარიანი ქართველი ხალხის ყოფისათვის, ხალხისა, რომელიც სუვერენუა მანძილზე დამპყრობლებს ებრძოდა, მაგრამ მაინც შესძლო თავისი სულიერი პოტენციალის შენარჩუნება. ნაციონალური ჩაგვრის პრობლემა ქართველის სისხლბორცველი ტყვიელი იყო.

მოსკოვში გამართულ კინოშემაჯობა საქავეშირო თათბირზე ნ. შენგელაიამ თქვა: თუ ქართულმა კინემატოგრაფმა ნაციონალურ გამათავისუფლებელ თემას მოჰკიდა ხელი, ეს იმით, რომ მას საშუალება მიეცა შერი იძროს მონობისათვის და თავისი თავი უჩვენოს“.

ნ. შენგელაიას ფილმმა „ელისო“ „თავისი თავი უჩვენა“ ამ სიტყვის ფართო გაგებით და დაამტკიცა, რომ საქართველოს ახალი მუზის განვითარებისათვის დიდი შემოქმედებითი პოტენცია გააჩნია.



სოფრომ მგალობლიშვილის უცნობი უსავედრონიშები და ფერილები

გამოჩენილი ქართველი ხალხოსანი მწერლის სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილის მხატვრული ნაწარმოებები (როგორც ცალკეული ისე რჩეულის სახით) საბჭოთა ხელისუფლების წლებში რამდენჯერმე იქნა გამოცემული. აღსანიშნავია აგრეთვე მკვლევარ ლევან ასათიანის ფასდაუდებელი ღვაწლი სოფრომ მგალობლიშვილის შემეკიდრეობისადმი. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით 1938 წელს გამოცემულ წიგნში — სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებანი“ შევიდა მხოლოდ მწერლის შემთავრებული ხასიათის გამოქვეყნებული ნაწარმოებები, რაც ასე უხვად არის გახვეული ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. ყოველივე ეს წარმოადგენს, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთს მწერლის იმ მრავალფეროვანი და ურიცხვი შემოქმედების სფეროდან, რომელიც დღემდე საფუძვლიან და გულმოდგინე შესწავლას მოითხოვს. ვფიქრობთ დიდი ხანია დადგა დრო ამ ხარვეზის შევსებისა და ს. მგალობლიშვილის სამწერლო შემეკიდრეობის სრული გამოცემისა. (გარდა მხატვრული, ბელეტრისტული შემოქმედებითი საქმიანობისა, ს. მგალობლიშვილი მეტად ნაყოფიერ, მრავალფეროვან საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. იმ დროის ქართული ექრნალ-გაზეთები საესეა ს. მგალობლიშვილის სტატიებითა და წერილებით, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია ფსევდონიმებით, ან ზელმოწერის გარეშე, რაც ერთგვარ სირთულეს ქმნის მკვლევართათვის მათი ამოცნობისა და შესწავლის საქმეში. დღეისათვის ცნობილი და ახსნილია ს. მგალობლიშვილის ფსევდონიმები: **ს. ზაქარიაძე, კობი, წაკობა, ც. გუმცაძე, ია ერაძე, კვიცი, წაკობა, ერთი მაყურებელითაგანი, კ. წ., ხ. მ. გორელი** და სხვ. ასე-

ვე დადგენილია მისი ზოგიერთი ზელმოწერელი, უცნობი სტატიებიც, მაგრამ გამოსაკლები და დასადგენი კიდევ ბევრია. ამ ნაკლოვანებების ნაწილობრივ შევსების მიზანს ისახავს წინამდებარე სტატიაში ჩვენს მიერ მიკვლეული და შემოთავაზებული უცნობი მასალები. (გ. ლონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმის ხელნაწერებში ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ს. მგალობლიშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფიის სელნაწერი, შედგენილი თვით მწერლის მიერ. ს. მგალობლიშვილის პირადი არქივი, № 15676, გვ. 36).

ს. მგალობლიშვილის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში გულმოდგინედ არის დასახელებული და შიითიებული პერიოდიკა, თარიღი, ნომერი და ნაწარმოების სახელწოდება. როგორც ჩანს, ამ დოკუმენტს და ს. მგალობლიშვილის პირად არქივს, რომელიც მუზეუმისათვის ჩაუბარებია მწერლის ქალიშვილს ქეთევან მგალობლიშვილს 1938 წელს, მკვლევართა ზელი დღემდე საფუძვლიანად არ შეზღუდა. სხვათა შორის, ლევან ასათიანიც აღხადებს ს. მგალობლიშვილის „მოგონებანის“ წინასიტყვაობაში, რომ „სამწერლოდ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო... საშუალება არ მოგვეცა გვესარგებლნა მწერალთა მუზეუმის არქივითაც, სადაც ს. მგალობლიშვილის შემეკიდრეობის მიერ თავის დროზე გადაცემული იქნა მისი ხელნაწერები და სხვა დოკუმენტები“.

ზემოაღნიშნულ ბიბლიოგრაფიაში დასახელებული ნაწარმოებებისა და სათანადო, პერიოდული პრესის შეყვრებით გამოვლინდა ს. მგალობლიშვილის ოცდაათზე მეტი უცნობი სტატია, რომელთაგან რამდენიმე შეიძი,

სხვა და სხვა ფსევდონიმიოთ არის გამოქვეყნებული.

ს. შვლოზლიშვილის ავტორობიოთ გამოვლენილ წერილებს, ეფაქრობოთ, დიდი მნიშვნელობა ექნება, იოგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისე მე-20 საუკუნის ათიანი წლების ქართული ხალხის სოციალურ-პოლიტიკური თუ შატრიალურ-კულტურული ცხოვრების სფეროში მიმდინარე ვითარებების ვასაცნობად.

უდავოა, რომ ეს მასალები ბევრს მატებენ ს. შვლოზლიშვილის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის საგანძურს. ამ მიმართებით ძიების უდა ივენ დამთავრებულად მაიცი არ შიგვანინა, შიო უფრო, რომ ს. შვლოზლიშვილი ბიბლიოგრაფიად არ ასახელებს, ჩვენთვის ქერ-ქერობიოთ ვაერკვევილი მიზნების გამო თავის წერილებს, სტატიებს და სხვა ხასიათის შრომებს, როგორცაა შიგვლოთად: სეენა „პოსტრდენიციოთ“ („ივერია“, 1888 წ. № 257, გვ. 2-3), „ბროსილა ქართული ენის წინააღმდეგ საშეგრავიო სკოლებში“ (გაზ. თეში“, 1912 წ., № 83, 85, 86, 87). „ანტონ ფერცელაქე“ მოკლე ვანილივა შიხი ცხოვრებისა („თეში“, 1913 წ., № 149, გვ. 2), „პ. ყიფიანის არტისტული მოღვაწეობის 45 წლის გამო“. მოგონება („თეში“, 1914 წ., № 160, გვ. 1-2) და სხვ.

ქვემოთ ვთავაზობოთ ს. შვლოზლიშვილის დღემდე უცნობ, ახლად შიკვლულ ფსევდონიმებს და წერილების ანოტაციას, რომლებიც წარმოდგენილი ევაქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვიოთ და სათანადო კომენტარებით. ვანმარტებელი თუ რამდენი წერილი და რომელი პერიოდულ ჟურნალშია ამა თუ იმ ფსევდონიმიოთ გამოქვეყნებული. სტატიების ანოტაცია ძირითადად შედგენილია ჩვენს შიერ (გარდა „თლახსე კვირიაას“ ფსევდონიმიოთ 1900-1901 წლების ვაზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრებში მოთავსებული წერილების ანოტაციებისა, რომლებიც ქერ-ქერობიოთ გამოქვეყნებულია და ხელნაწერის სახიოთ ვაღმოგვეცა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა ცნობილმა ბიბლიოგრაფმა პატრიკეუმულმა თაშარ შაქვარიაანმა, რისთვისაც და ასევე ამ საკიოთზე შუშაობის პროცესში საქმიანი კონსულტაციებისა და დამარებისათვის უღრმეს შადლობას მოვახსენებოთ).

ყოველი კომენტარის და ანოტაციის ბოლოში მიიოთებული ევაქვს ქართული ჟურნალების და ვაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის (შემაკლებიოთ: „ქება“ და „ქება“). ტომები, გვერდებისა და ანოტაციების პაგინაციის ჩვენებით, რათა შიკვლულ თუ შვლოვარის საშუალება ქიონდეს

წარმოდგენილი წერილების ბიბლიოგრაფიული შემოწმებისა, თუნდაც იმის დასადგენად, რომ იხინი დღემდე შართლაც უცნობ მასალას წარმოდგენენ თუ არა.

ფსახლონიზაია

ქრისტ. ეანელი — ამ ფსევდონიმიოთ ს. შვლოზლიშვილს გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი წერილი (გაზ. „დროება“, 1875 წ., № 95, გვ. 2). ეს არის „დროების“ კორესპონდენცია (გორის შაზრის სოფ. შეტეხში შეხოვრები ქვრივი ქალისა და მასი საყვარლის ახალგაზრდა ვაჟის სახალხო დასვა სოფელში ჩაოტარებით და ლაფის დასხიოთ აქვამ“, თბილისი, 1952 წ., ტ. 2, № 1732 (აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ არის თოთქმის მსგავსი ფსევდონიმებიც, ასე შიგვლოთად: ეანელი ქ.კე, რომლიოთაც ვაზეთ—დროებაში“ (1872 წ., № 29, გვ.2) დაბეჭდილია „კორესპონდენცია“, ხოლო „დროებაში“ (1872 წ., № 31, გვ. 1-2, № 32, გვ. 1-2)—მოთხრობა „ეკვიანობა“; ეანელი, ბ. („დროება“, 1872 წ., № 20, გვ. 2-3).

ჩვენი აზრიოთ, ეს ორი უკანასკნელი ფსევდონიმი ერთი და იგივე პიროვნებას წარმოდგენს, რაც ნათლად ვლინდება წერის ხასიათის და გამოგზავნის პუნქტის დასახელების იდენტურობიოთ. ვარდა ამისა, ს. შვლოზლიშვილი ჩვენს შიერ შიკვლულ დოკუმენტში აღნიშნული ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ წერილებს თავისად არ თვლის. ამ შხრავ გამოსაკლისია **ქრისტ. ეანელი**ოთ ხელმოწერილი წერილი, რომელსაც თავისად ასახელებს. ამას იმისათვის ვანვმარტავოთ, რომ ფსევდონიმების შიახლოებულმა მსგავსებამ არ დავავნისოთ და ისინი ს. შვლოზლიშვილს არ შიგაყუთვნოთ. ვარდა ამისა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ს. შვლოზლიშვილის კორესპონდენციები ძირითადად ქართლის, კერძოდ გორის შაზრის ყოფა-ცხოვრებას შეეხება, რომ აღარაფერი ეთქვათ მათი ლიტერატურული ენის და სტილის მსგავსებაზე.

ტ-ც ამ ფსევდონიმიოთაც ს. შვლოზლიშვილს ერთი კორესპონდენცია აქვს გამოქვეყნებულა (გაზ. „ივერია“, 1878 წ., № 6 გვ. 3-4). კორესპონდენციაში აღწერილია გორის ამბები: დიდი თოვლიანობა, ქუჩების ანტისანტიარული მდგომარეობა, საყვარლების საქმიანობა, ორ პიროქანა მანდილოსნის შესახებ და სხვ. (ქება, თბილისი, 1941 წ., ნაკვეთი II, გვ. 116, № 1521).

ვინი უნდა ვიყვი — ამ ფსევდონიმიოთაც მხოლოდ ერთ კორესპონდენციას ვთავაზობს შწერალ („ივერია“, 1888 წ., № 141). იგი შეეხება გორში ვაეცელებულ საზოგადოებრივ სენს—პიროქანობას, ექიმების გულგრილ დამოკიდ-

¹ ქვემოთ, ყველგან ამ სახიოთ, შემაკლებულად გვექნება ნახმარი.

ბუღეზას პაციენტებისადმი, პედագოგების უსულგულობას და სხვ. (ქვაბ, თბილისი, 1963 წ., ტომი 3, ნაკვ. 1, გვ. 220, № 2742).

პროვინციული — ამ ფსევდონიმით გაზ. „ივერიაში“ (1891 წ., № 175, გვ. 3-4) მოთავსებულია კორესპონდენცია სათაურით „ხმა პროვინციულად“, რომელშიც აღწერილია გორის მახრის გლეხთა ვაჭირება, გორში გუბერნატორ შერაშვიდის მოგზაურობის, საზოგადო მნიშვნელობის საქმის დაწყების — მოსავლი და ნაწილის საერთო ბელეღში შეტანისა და აქედან აღებული ფულის სხვადასხვა საზოგადო საქმეებისათვის მოხმარების შესახებ. ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში **პროვინციული** აღნიშნულია, როგორც ნიკო ლომოური (ტომი 3, ნაკვ. 1, თბილისი, 1963 წ., გვ. 175, № 2201.), დადგენილია, რომ პროვინციულის ფსევდონიმით ხშირად აქვეყნებდა თავის სტატიებს ნიკო ლომოურიც, მაგრამ აღნიშნული კორესპონდენციის ავტორი **პროვინციული** — ს. მგალობლიშვილია, რადგან იგი თავის ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ კორესპონდენციას თავისად თვლის. ცფიჭოტა, ეს სარწმუნო წყაროს უნდა წარმოადგენდეს.

ში-ს — ამ ფსევდონიმით ს. მგალობლიშვილი გაზ. „ივერიაში“ (1891 წ., № 219, გვ. 2-3, № 220, გვ. 1-3) ათავსებს ფელეტონებს სათაურით „არჩინის გზით“ (მგზავრის შენიშვნენი), სადაც იგი აგვიწერს აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ მგზავრობის შთაბეჭდილებებს; ეხება ავ. წერეთელს, იმერეთის ბუნებას და ზალს, ფოთს და ბათუმს და სხვ. (ქვაბ, თბილისი, 1963 წ., ტომი 3, ნაკვ. 1, გვ. 164, № 1207).

დიარბელი — დიარბელის ფსევდონიმით ს. მგალობლიშვილს უამრავი წერილები აქვს გამოქვეყნებული გაზეთ „თეში“ ასე მაგალითად: „ვაბრიელ ეპისკოპოსის წერილების გამო“ (1911 წ., № 30-35, 36, 37, 39), „ახალი კლების დაარსების ისტორია“ (№ 38-ში), „ქართველთა შორის“ (1912 წ., № 93-103).

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მომდევნო ტომში, რომელიც მომავალში გამოვა და შეეხება გაზ. „თემის“ ანტიკრიზისს, წერილები „დიარბელის“ ფსევდონიმით უნდა მიეკუთვნოს ს. მგალობლიშვილს.

თლაფსუ კვირიაა — ს. მგალობლიშვილის ამ უნარით ფსევდონიმის მიკვლევის გამო დიდი ინტერესი გამოიხატა მკვლევარმა — ბიბლიოგრაფმა თ. მჭავარიანმა, რომელსაც მზად აქვს გამოსაცემად „ცნობის ფურცლის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. მან გვიამბო მკვლევარ-

თა სხვადასხვა საგარეულო აზრი თლაფსუ კვირიაას ავტორობის თაობაზე, საბოლოოდ დაეცდინეთ, რომ იგი ეკუთვნის ს. მგალობლიშვილს, რომელსაც ამ ფსევდონიმით გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული აქვს ათი ფელეტონი „ისარის“ სახელწოდებით. მოგვეყავს ათივეს გამოქვეყნებული ანოტაცია, რომელიც, როგორც დასაწყისში აღენიშნეთ, გადმოგვცა თ. მჭავარიანმა. ფელეტონები დანომოვლილია თვით ს. მგალობლიშვილის მიერ; ჩვენც ვიცავთ ამ თანმიმდევრობას.

ისარი № 1

ფელეტონების შესახებ, თბილისის ბულვარზე მოსიყარნენე. კინტოები. არაკი: „სპილო, ცხვარი და მკელი“. დეპეშა ჰეილიდან და ლონდონიდან („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 17.12, № 1330, გვ. 1-3).

ისარი № 2

„წერილი მეგობართან“, სოფელთა უკიდურესი მდგომარეობის შესახებ. „პატარა სცენა“ — ეხება ბატონსა და მზარეულს. „ქართული თეატრი“ — „კარდინალ რიშელიეს“ ცუდ დიდგმას და ქართული ენის დამახინჯების სპექტაკლში. „ადილი მოღვენა“ — თ. კვიციანის ცუდ მთარგმნელობით საქმიანობას („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 24.12, № 1337, გვ. 1-3).

ისარი № 3

წერილი მეგობართან, ქართული მწერლობის წინსვლა, თავდახანურობის გამოცემა ქალაქის არჩევნების ახალი წესი — ზელს აწერს „შენი მეგობარი ეხტანე“. ქართული თეატრის ნაღი („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 31.12, № 1342, გვ. 1-3).

ისარი № 4

ნანახი და ვაკონილი. თბილისის საზოგადოების წევობრივი დაცემა, ფოთის ქალაქისთვის მიერ ქალაქის მიტოვება („ცნობის ფურცელი“, 1901 წ., 28.1, № 1367, გვ. 1-3).

ისარი № 5

მეგობართან საუბარი. ქუთაისის არჩევნები და დასა ბრძოლა, წერილი იმერეთიდან. დასა ბრძოლა ქუთაისში და ბათუმში („ცნობის ფურცელი“, 1901 წ., 18.2, № 1385, გვ. 1-3).

ისარი № 6

ფერნალ „მოგზაურის“ იუმორისტული დახა-

1 ს. გავიშოქ ალხან გამოცემულ თავის წიგნში „არტემ ახნაზაროვი“ („მეგობარი“, თბილისი, 1971 წ., გვ. 77) სამართლიანად უარყოფს მკვლევარ გ. მიჭაძის მიერ თლაფსუ კვირიაას არამართებულად არტემ ახნაზაროვიად გამოცხადებას (ფერნალი „მაცნე“, 1969 წ., № 4, გვ. 200, გ. მიჭაძე, ფსევდონიმების კვლევა). მაგრამ „თლაფსუ კვირიაას“ ვინაობას კვლავ უცნობად ტოვებს.

¹ ნ. ლომოურის წერილი დ. კარიკაშვილისადმი მიწერილი 1904 წლის 19 აპრილს. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფონდი № 19727.

სიათხე, ქალღმის ბანქოს თამაში. ძველი და ახალი ქართული ქალი. მდგომარეობა გორში («ცნობის ფურცელი», 1901 წ., 4.3, № 1399, გვ. 1-3).

იხარი № 7

ვეფრინეების მანდილოსნები. «კვალის» პუბლიცისტები ინტელიგენტების წინააღმდეგ. გამოცემის ახსნა. «კვალის» თანამშრომელი «რიგოლტო» (ივ. ევდოშვილი) («ცნობის ფურცელი» 1901 წ., 11.3 № 1406, გვ. 1-3).

იხარი № 8

საარჩევნო ბრძოლა ქუთაისსა და თბილისში. ქართული მანდილოსნების საყვედური («ცნობის ფურცელი», 1901 წ., 18.3 № 1413, გვ. 1-3).

იხარი № 9

ტირისის, ქელეხის და გვირგვინების ჩვეულების უარყოფა. სამაგიეროთ შეწირულება საზოგადო საქმეებისათვის. ქალაქ ახალციხის ნაწილი — რაბათი; ქუთაისის თავად-აზნაურთა წინააღმდეგ ს. წერეთლის და ქალაქის თავად დ. ლორთქიფანიძის არჩევა. ვ. ჩიკვაძის შესახებ («ცნობის ფურცელი», 1901 წ., 6.5, № 1457, გვ. 1-3).

იხარი № 10

ქართულ მოღვაწეთათვის იუბილეს ვალბდის საკითხი. ვ. სუნდუციანის «პუბოს» 30 წლის იუბილე. თბილისისა და ქუთაისის თვითმმართველობები. პასუხად კორესპონდენტებს. თელავისა და დერისის ეკლესიების მდგომარეობა («ცნობის ფურცელი», 1901 წ., 13.5, № 1463, გვ. 1-2).

წერილები

1. **ქართლიდამ, ლენინობითვის** 11-ს — კორესპონდენცია ქართლში უახლესი გამარჯვების შესახებ, «დროება», 1875 წ., № 120, გვ. 1-3 (ქვაბ, თბილისი, 1952 წ., ტომი 2, გვ. 467, № 6944).

2. **მოწერილი ამავე** გორის მარხის ს. ძვილეთში მამულის გამო საზარელი მკვლელობა. ჩხუბი აზნაურ ტატიშვილეს შორის მამულის თაობაზე. მკვლელობა გამართლება გორში, «ივერია», 1886 წ., № 71, გვ. 3. (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 331, № 4435).

3. **გორი, 26 ენენისთვის** კორეიანთა გორში, საზოგადო საქმის ჩაშლა. ახალქალაქში წარმოდგენების გამართვა. საუთნარი სენის შორეობა ქართლში დი. ციციშვილის თანხმობით. ისინი, სოფიო და ლუარსაბ ციციშვილების ლეწილი ამ საქმეში, «ივერია», 1886 წ., № 212, გვ. 3. (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 219, № 2718).

4. **მოწერილი ამავე** გორში ლ. აღნიავილის გენდის მიერ გამართულ კონცერტს. თბილისის დრამატული დასის მიერ «თამარ ცხიერის» დადგმა აკაცი წერეთლის თანდასწრებით. ელ. შესხიშვილის ბრწყინვალე თამაში. ცირას როლში თამაროვის ქალის წარმატება,

მისი ქება. ნაღობი აკაცი წერეთლის პატრესაცემად, «ივერია», 1887 წ., № 87, გვ. 2-3 (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 11, გვ. 75, № 6722).

5. **მოწერილი ამავე** კორესპონდენცია. სოფლის, მეურნეობის მარცხიანი კულტურების წარმოება, მიწათმოქმედება, მუხალეობა. «ივერია», 1887 წ., № 136, გვ. 2-3 (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 2, გვ. 224, № 8978).

6. **კორესპონდენცია** გორში სკოლების არსებობის აუცილებლობის შესახებ. არაკი ზელოსნობაზე, სომხების მღვდლის ქადაგება სახელოსნო სკოლების გახსნის სპორიუმის შესახებ. მღვდელ ს. ნასყიდაშვილის კეთილი ქადაგება ამ საკითხზე ოქონის ეკლესიაში, ტუსაღების გასათვითნობიერებლად დახმარების აღმოჩენა და სხვ., «ივერია», 1888 წ., № 78, გვ. 2. (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 218, № 2703).

7. **კორესპონდენცია** აღუკატების საქმიანობა, გორის სასულიერო სასწავლებლის ხაზის დაწევა ხანძრით. «უჩინ-მახინის ქედის», «ლუა და შვილის» და «ბიძიასთან გამოხუშრების» დადგმა. გორის სამასწავლებლო ოქტის საღვთმღვდლოების კრებაზე სკოლის საკითხის დაყენება, «ივერია», 1888 წ., № 246, გვ. 2-3 (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 219, № 2717).

8. **ციციანთ კონცერტი** წერლის გორიდან, გიორგი ციციშვილისა და მისი ნათესავების მიერ სკოლის სასარგებლოდ გამართული ძველი ქართული სიმღერების კონცერტი, «ივერია», 1889 წ., № 43, გვ. 2-3 (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 2, გვ. 17, № 6052).

9. **ქართლი** საქონლის ჰორის გაერთიანება. კრობობა, ავანაგობა, საქონლის შობარების გახსნება, ხალხის უსაქმურობა, მღვდელ ვ. გელაშვილის გაღაბვა ავანაგებისაგან და სხვ., «ივერია», 1891 წ., № 26, გვ. 2-3 (ქვაბ, ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 229, № 2881).

10. **გორი, მარტის 26** სენისმოუყარეთა პი-

1 ამ სტატიის ს. მგალობლიშვილის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში ვხვდებით ადამტურებს. კერძოდ: «ციციანთ კონცერტი» ვაზ. «ივერიაში» დაიბეჭდა 1889 წლის 26 თებერვალს. იმავე წლის 17 მარტს კი ი. მანსვეტაშვილი გორში ს. მგალობლიშვილის მისაგვ სახელზე გაკრებულ წერილში წერს: «შენმა წერილმა ციციანების სიმღერის შესახებ ერთი ამავე ასტემა აქა და ჩვენც გვიდა მოვიწიეთ კონცერტისათვის... იქნება შენც დავეუხმარო, რომ ციციშვილები უფროდ ჩამოვიდნენ, მართალი სხვერისათვის გვაქვს დავალებული, მაგრამ, შენც რომ გაიხერო, მეტი არ იქნება» (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, დონდი № 15759). როგორც ცნობილია, ი. მანსვეტაშვილი ვაზ. «ივერიაში» რედაქციაში მუშაობდა და მან კარგად იცოდა თუ ვინ უნდა ყოფილიყო აღნიშნული სტატიის ავტორი.

ერ გამართულ წარმოდგენაზე მაყურებელთა გულგრილობის გამოძღვალა. ქ. გორის უსუფთაობა, ქოლერის ეპიდემიის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ღონისძიებები, სანიტარული კომისიის შექმნა ადგილობრივი კლემის წესებზე, „ივერია“, 1890 წ., № 68, გვ. 2-3 (ქვაბ. ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 218, № 2714).

11. ქართლი გვალვები, მდინარეების სარწყავად გამოყენება. თავადზნაურთა და გლეხობის ძალიანობა სარწყავ წყალზე. საქონლის ქიარი და სხვ. „ივერია“, 1890 წ., № 136, გვ. 2. (ქვაბ. ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 229, № 2879).

12. ნახული და ვაგონილი პროცინციელების წერილი ქართლიდან, ტ. ვიოშვილის, ზებულერის და ხასიშვილის ავაზაკობა. ტ. შვალბლიშვილის მოხერხებულობა ავაზაკების შეპყრობაში. ივანე შედღუღის შევიწროვება, „ივერია“, 1891 წ., № 139, გვ. 2-3 (ქვაბ. ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 224, № 2800).

13. გორი ოსების მიერ ყაჩაღობისა და ძარცვის გახშირება, შიშთანობა ყაჩაღების გამო. ს. ფლავისმანში გიუნაშვილის ქალის მიერ ვაჯურად გადაცემა და ყაჩაღად მოვლენა სოფლებისათვის და სხვ. „ივერია“, 1891 წ., № 139, გვ. 3 (ქვაბ. ტომი 3, ნაკვეთი 1, გვ. 218, № 2705).

ს. შვალბლიშვილის არქივში შემოახამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეხსნა კიდევ ერთი, დღემდე უცნობი ფსევდონიმი — დ. ელპიტინელი.

ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ყველა ტომებში დ. ელპიტინელი და დავით ქარცივაძე სხვადასხვა პიროვნებებზე არიან წარმოდგენილი.

დ. ელპიტინელი რომ დათიყ ქარცივაძე — ეს დასტურდება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში ს. შვალბლიშვილის არქივში დაუღ დ. ქარცივაძის თერთმეტ სტრუქონიანი სატირული ხასიათის ლექსით „ნანიან“ (დაწერილია დ. ქარცივაძის ხელით ცალხაზიანი რვეულის ორმაგ ფურცელზე 1904 წლის 22 იანვარს, რომელიც გაუფაქვია ს. შვალბლიშვილისათვის გაზ.

„ივერიის“ იუმორისტულ განყოფილება „შერდულში“ დასაბუქდა. რეფორმის ენობილია ს. შვალბლიშვილი „შერდულში“ რედაქტორობდა.

ლექსის ბოლოს ზღმომწერილია დ. ელპიტინელი, ზოლო ცოტა ჰვემთ ავტორისაგან გაყვებული აქვს ასეთი მინაწერი: „ზ-ნო რედაქტორი, გიგზავნით ამ ლექსს და იმედია მოათავსებთ თქვენ პატრეცემულ „ივერიის“ მახლობელ ნომერში. დაეშთები მარად თქვენი კეთილისმსურველი დათიყ ერ. ქარცივაძე. ს. სარიცაიში (ყარისის ოლქი), 1904 წ., 22 იანვარი.

ფსევდონიმებს ავტორები სხვადასხვა მიზეზის გამო იყენენ ამოფარებული ცენზურის თვალისასხვევად, სტატიების მამხილებელი ხასიათის გამო და სხვა. თუმცა იყენენ ზოგიერთი მოღვაწეები, რომლებსაც ფსევდონიმებით წერა რალაც სიამოვნების გრძნობას აგვრიდა. შვალბლიშვილი, ნ. ლომოური, დ. კარცივაშვილისადმი 1904 წლის 19 აპრილს ვაგზავნილ წერილში წერს: „როიოდ შემთხვევის მეტი არ მახსოვს, რომ ჩემი სახელი მომწეროს რომელიმე ჩემი ნაწერიისათვის... რალაც გამსაყვარებულ სიამოვნებას ვგრძნობდი, როდესაც ჩემი სახელი არ ეწერა, შვარამ შეითხველი მოხვდებოდა და ამბობდა: ეს ნიკო ლომოური“ (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმში, ფონდი № 19727).

რაც შეეხება ს. შვალბლიშვილს, იგი ახე გამოგვეცემს: „ვინაიდან მდევნიდნენ, ვწერდი სხვადასხვა ფსევდონიმით... მომეტებული ნაწილი ფელეტონებისა ზღმომწერილი იბუქდებოდა (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმში, ფონდი № 15676, გვ. 134).

ამ მიზეზების გამო ჩვენი სასიქადულო მწერლის ზემოდასახლებული წერილების ავტობობის საკითხი ათეული წლების განმავლობაში, დღემდე ვადაქრლი არ იყო. დღეიდან კი ისინი ს. შვალბლიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობის საგანძურში თავის ალავს დაიკავენ ბენ უთუოდ.



მხირე მანმარტვა

„მნათობის“ 1970 წლის № 2-ში დაიბეჭდა ჩვენი წერილი „ბახტრიონის ერთი გმირის ვინაობა“. მკითხველს ვადაცანით ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, ზვესურთა ჯარის მეთაური ხომარეული, რეალურად არსებული, სოფ. მისახის მცხოვრები, სახალხო გმირი, ნადირა საღირას ძე ხომურაულია. წერილის მიზანი, როგორც ვხედავთ, კონკრეტული იყო და, ვფიქრობდით, რომ იგი სასარგებლო ცნობებს მიაწვდიდა ლიტერატურის ისტორიითა და ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებულ მკითხველს.

ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება სადავოდ აქციეს შეცნიერებათა კანდიდატებმა ა. შაგელიშვილმა და ლ. ჭრელაშვილმა და საპასუხო წერილიც გამოაქვეყნეს („მნათობი“, 1971 № 6).

წერილში აღძრული მრავალი საკითხიდან (ხომურაულის ოჯახური მდგომარეობა, სადაურობა, უიზილბაშების შიერ შეპყრობა და სხვ.) ისინი ერთ საკითხს აუღელდებია. სათანადო მასალებზე დაყრდნობით ჩვენ ეწერდით, რომ საღირა ნადირა ხომურაულის შამის სახელია და ამიტომ ხალხურ ლექსებში მოხსენებული საღირიშვილი იგივე ხომურაულია. ლ. ჭრელაშვილი და ა. შაგელიშვილი კი გვეუბნებიან: საღირიშვილი წოვა-თუშურთა გვარია და ეს ლექსებიც იმ გმირს, მეტა საღირიშვილს, ვულისხმობენ და არა სახალხო გმირს ნადირა საღირის ძე ხომურაულს.

ა. შაგელიშვილი და ლ. ჭრელაშვილი ერთი პატარა ლექსის ვარიანტების გაგების საკითხში არ გვეთანხმებიან და მათი წერილიც ძირითადად ამაზეა აგებული. სადავო ლექსის ძირითად ტექსტად, რომლიდანაც შემდეგ სხვა ვარიანტი წარმოიშვა, მიგვაჩნია ეს ტექსტი:

„მეტნი ხართ, საღირიშვილნო,
გიჰვრეტენთ ტალავარზედა,
წინ-წინ თქვენ ვადახფრინდებით
ბახტრიონ ვალავანზედა,
ხმლითა სცემთ ხანის კარავსა,
ზედ მიხოლთ ფალავანზედა“.

წერილის ავტორებს არ მოსწონთ ეს ტექსტი და ამის ნაცვლად თავდაპირველ ვარიანტად ამას თვლიან:

მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს ვალავანზედა.
შვიდი არ მოყვლა ხმალ-და-ხმალ
გამცვალეთ თათრის ქალზედა“.

ა. შანიძემ ხალხური პოეზიის მეცნიერულ გამოცემაში პირველი ლექსი ძირითად ტექსტებში გამოაქვეყნა, ხოლო მეორეს კი ამ ტექსტიდან წარმოშობილ ვარიანტებში მიუჩინა ადგილი. ჩვენ ა. შანიძეს დავეყრდნენით, და სწორადაც მოვიქვეყნეთ, ვინაიდან პირველი ლექსი უფრო სრული, კონკრეტული ფაქტის ამსახველი და ტრადიციულია. მეორე ლექსი კი ნაკლებად სანდოა იმიტომ, რომ მასში მოთხრობილი ამბავი — ვალავანზე გადასვლა და შვიდი მტრის მოყვლის ქაღილი, სრულიად სხვა ლექსის ნაწილია და ცნობილ გმირს, გაფრინდაულს, მიეწერება (ზოგი ვარიანტით კი გოგოლარს), რაც ადრევე შეუნიშნავეთ ვაჟა-ფშაველას და ა. შანიძეს¹. მათვე ეხება ეს

1 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 10.
 2 იქვე, გვ. 326.
 3 ვაჟა-ფშაველას თხზ., 1961, ტ. 5, გვ. 317.
 4 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 326.

სტრუქტურები. ნ. ურბნელის ვარიანტის მიხედვითაჲს პირველი უკეთესია იმიტომაც, რომ მასში ლექსის ავტორი მეორე პირს, გვირს, ასხაპს ზოტმას მეორე ლექსი კი მღაბრა, ვინიდან პერსონაჲი საკეთარ თავს იქებს და, ცოტა არ იყოს, იკვებნის კიდევ. პირველი (სხვისი ქება) დამახასიათებელი ნიშანია მთის საგმირო პოეზიასათვის, მეორე კი (საკეთარი თავის ქება) სირსებელია და ამიტომ ნაკლებად ვუხედება ვაჟა-ფშაველა კი უმის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად იმას მიიჩნევს, რომ „სხვისი იუზნის სახელი, თავის გარყმას ჰმალავდეს“¹

მთელი ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებულ ეს საგმრო კოდექსი აი როგორ ესმით წეჩილის ავტორებს: „მეტი ვარ საღირსშვილის მკრებელური შინაარსით გავება თუშური (და არა მარტო თუშური) პოეზიასათვის უჩვეულოდ ჩანს, პოეზიის მიხედვით ასეთი მკრებელობა არც გმირებისათვის არის დამახასიათებელი და არც მოქმედები მიიწერენ მათ ასეთ რაჲს. მთქმელმა კი შეიძლება თქვას გმირზე „გღმერთებო, მაგრამ თვით გმირები მომშეგებს ასე არ მიმართავენ.“ (71).

ამ თავსატეხი ტექსტიდან ისე გამოდის, რომ მუხამოლის მიერ გმირი მეგობრის შექება, რაც საგმრო პოეზიის ყოველად ტიპობრივი ნიშანია, მკრებელობა ყოფილა, ხოლო საკეთარი თავის ქება და ქაღილი კი — გმირობა. ასეთი შეხედულება მდიდარი ქართული საგმრო პოეზიის სპეციფიკის გავალბების ცდამ იმ მიზნითაჲს რომ მისმა ავტორებმა მეტი საღირსშვილის რეალურად არსებობა რამენაირად დაგვიმტკიცონ.

ამ თავითვე უნდა აღენიშნოთ, რომ ავტორები წერილში საზოგადოდ თუშებზე ლაპარაკობენ, მაგრამ თუშების ერთი ნაწილი ზომ (ჩაღმა თუშები) ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეორენი (წოვა-თუშები) — არა ქართულ ე. ი. ბაქურ ენაზე მეტყველებენ. ჩვენ რომ მხოლოდ ტიპობრივ სახელის დადგენასთან გვეკონდეს საქმე, მაშინ ენობრივ სხვადასხვაობას მნიშვნელობას არ მივიცემოდ, ვინაიდან ესეც თუშია და ისიც, ორივე ქართული ტომისანი არიან. მაგრამ ჩვენ ზომ ხალხურ პოეზიასთან გვაქვს საქმე, რომელიც უაჲველად რომელიღაც ენაზე უნდა არსებობდეს. ამიტომაც მკითხველი ნათლად უნდა გავარკვიოთ იმაში, რომ ლაპარაკი ბაქურ ენაზე მოლაპარაკე წოვა-თუშებზე, მათ სახალხო გმირისა და ხალხურ პოეზიაზე. წოვა-თუშები არიან სადაჲო ვარიანტის ჩამწერები და პუბლიკატორ-კომენტატორებიც.

წოვა-თუშებმა თავისი გმირობითა და მამულშიველური შემართებით მრავალი სასახელი ვიზობიდი შემატარს. საქართველოს ისტორიას.

ხალხურმა მეღვქსეებმაჲც სათანადოდ დააფასეს მათი ღვაწლი, სხვათა შორის, აი. რაფორი სტრიქონები უძღვნა ხევსურმა მეღვქსე გმირ კურაის შვილს:

„ძვირად სუფა კაცი ბაღალი
წოვათ კურაის შვილსაჲ,
ბევრჯერ ჩაჲჯა ლუგები
ფხა ჩაჲწითა ხმლისაჲ“.

კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, სადაც ხევსური მეღვქსეები წოვების გმირობას აქებენ, მაგრამ საღირსშვილებზე შექმნილი ლექსი, რომლის ვარიანტებიც უფრო ზომით დავიმოწმეთ, ჩვენი აზრით, არ არის წოვა-თუშური და იგი არც მეტი საღირსშვილის გება, იგი ხალხურ პოეზიაში ფართოდ წარმოდგენილ სახალხო გმირისა და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჲის ნაღრა საღირის ძე (საღირის შვილის) ხომურაულის გმირობის ერთ ეპიზოდს ასახავს.

გავვეთ მასალებს და ისინი თვითონ იტყვიან, ვინ იჩენს მათ მიმართ ტენდენციურსა და ნილიისტურ დამოკიდებულებას, ჩვენ თუ წერილის ავტორები.

ლექსი ხევსურულად მიიჩნია და ხევსურული ხალხური პოეზიის მეცნიერულად გამოცემულ კრებულში შეიტანა აკად. შანიძემ². ხევსურულად თვლის მას თ. რაზიკაშვილი³, პ. უმიკაშვილი და სხვა.

ლექსი ხევსურულად ჩავთვალეთ იმიტომ, რომ მის ვარიანტებში ნახშირია ისეთი სიტყვები და ფორმები, რომლებიც მხოლოდ ხევსურულისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, სართომ სიტყვა „ტლაჲვარი“, რომელიც უკლებლივ ყველა ვარიანტში (მათ შორის წორ ვარიანტშიც) ვხვდებმა, ხევსურულია და იგი ტანსაცმელს ნიშნავს. არ შეგვიქვალ გვეფიქრა, რომ ამ სიტყვას ქართულის არამცოდნე წოვა მეღვქსე იხმარდა, ვინაიდან იგი თვით მწერლებისა და პუბლიკისტების წოვა-თუშების ი. ბუქურაულისა და ცისკაროვისთვისაც კი გაუგებარი ყოფილა და „ტიანლობა“ ვანუშარტავთ⁴.

ლექსი წოვა-თუშური არ შეიძლება იყოს ენაიდან: წოვებმა არა თუ ხევსურული კილო, საერთოდ ქართული ენა ნაკლებად იცოდნენ. წერილის ავტორებმა, რომ „თუშური მასალისადმი ნილიისტური დამოკიდებულება“⁵ კვლავ არ დავეწმინდ, დავიმოწმებთ თვით წოვა-ავტორისავე, დავით აღმაშენელი (ქადაგიძე) თუშური ლექსების წინასიტყვაობაში წერდა: „წოვათ თუშებს ქართული ენისა ძალიან მცირე და განუფოთარე“.

1 ა. შანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 9.
2 ივე, გვ. 326.
3 აკაის კრებულო. 1899, № 11, გვ. 24, «Кавказ», № 13, 1849.

1 „იერია“, 1888, № 228.
2 ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, გვ. 282.

ბელი ლექიკონი აქვთ, რის გამო ვერ შეთხზავნენ რიგან სიმღერას" („ველი", 1897, № 13, გვ. 266 (ხაზგასმა დ. აღბანელია).
 დ. აღბანელი სწორად ავტორების მიერ სადავოლტეული ლექსად გულისხმობდა, როდესაც წერდა: „თუშერი სიმღერებო, რომ ვაშბობთ, ნურავის ეგონოს, რომ ყოველი ეს სიმღერა თუშებს ეყუთენის, ისინი თუშური პოეზიის ქმნილებდა იყოს!" (ხაზგასმა აქად დ. აღბანელია).

გარკვეული მოსაზრებებით ამჯერადაც თავს ეცაყებთ და არ მოგვაქვს სხვა ცნობად შეცვლევართა მოსაზრებანი წოური პოეზიისა და სიმღერების შესახებ. დე, ლ. პრელაშვილი და ა. შავხელიაშვილი თვითონ გაეცნონ ამ მასალებს.²

როგორც შედეგადები, აგრეთვე თვით წოვა სპეციალისტები, კატეგორიულად აღნიშნავენ, რომ წოურ ენაზე ხალხურ ლექს-სიმღერები არ არსებობდა, ხოლო ქართულ ენაზე რაც გაჩნდათ, ისიც სხვა ეთნიკებიდან, უმეტესად ფშაბ-ხევსურეთიდან იყო შეტანილი ქართულის მყოფად ცალკეული პირებისაგან.

ახლა კი ენახათ წარმოშობისა და პირველადობის მხრივ რას წარმოადგენენ ავტორების დასაყრდენი ვარიანტები. ისინი ვის მიერ, ხად არ როდის არიან შექმნილი, როგორი არის მათი გავრცელების აზრ?

წერილის ავტორებს შიანიათ, რომ ეს ლექსი პირველად წოვა-თუშებმა შექმნეს თავიანთ გმირ მებო საღირსმეოლზე, შემდეგ კი ხევსურმა მოქმედებმა „გადააყუთეს" (?) რა ტექსტი, მთლიანად მრავლობით რიცხვში ჩასვეს?" (?) დაუჯერებელია!

შემდეგ ისინი ამტყიცებენ, რომ „მეტი ვარ საღირსმეოლი" ვარიანტების უმეტეს ნაწილში გეხედება და თანაც ყველაზე ძველ ვარიანტებშიაო, წერენ, რომ ასეთი „სამი ვარიანტი-დან ერთი ი. ბუქურაულის მიერ ჩაწერილია თუშეთში, ხოლო ორი კი ქართლისა და კახეთში მასზე უწინარეს, 1887 წელს, სხვა პირებს ჩაუწერიათო". ეს თითქოს „უწინარეს, ქართლსა და კახეთში" ჩაწერილი ვარიანტები „სხვა პირებს" კი არა, არამედ ჩვენს თანამედროვე ჩაწერის წოვა-თუშის იოსებ ქარელიშვილს ეყუთენისმ და ჩაწერილია არა 1887 წელს, არამედ სიტყვა-სიტყვით გაღმწერილია ს. შავალათიას 1933 წელს, გამოცემული წიგნიდან³, ხოლო თვით ს. შავალათიას ტექსტი კი იმდენ-

ნად იდენტურია ივ. ბუქურაულს მიერ 1899 წელს აკაციის კრებულში გამოქვეყნებული ტექსტისა, რომ ფაქტობრივად საქმე გვაქვს ერთი ვარიანტის ორ გამრავლებასთან. მაგრამ, ყველა ამ უბნოაკაციის შესწავლა-შეღარებას ბოლოს ი. ცისკაროვის ტექსტთან მივყავართ.

ახლა ენახათ, რას წარმოადგენს ივ. ბუქურაულის ის თავდაპირველი ტექსტი, რომელიც შემდგომ გამოცემათა საფუძველი გამხდარა?

ამ ლექსის პირველი ფშაური ვარიანტი ჩამწერის დაუსახებლად 1884 წელს დაიბეჭდა „დროუბაში" (№ 34), მაგრამ იქ ლაპარაკია ზეზვა გაფრინდაულზე და არა მებო საღირსმეოლზე. 15 წლის შემდეგ გამოქვეყნდა ივ. ბუქურაულის ტექსტი, რომელიც ბახტრიონის ომის თემაზე შექმნილი სხვადასხვა ლექსის ტაბების ხელოვნურ კონტამინაციას წარმოადგენს, და რომელშიც ზეზვას მაგიერ გამოჩნდა მებო საღირსმეოლი, შემდეგ გამოცემაში კი ივ. ბუქურაულმა ტექსტში კიდევ შეიტანა ცვლილებები და მათ შორის პირველ გამოცემაში არსებული მრავლობითის ფორმები მხოლოდობითად გადააწერა. ზემოთ მოვითანეთ ციტატა, სიდაც ავტორები ყოველგვარი საბუთის გარეშე ხევსურ მულექსებებს სწამებენ ტექსტის „გადაყუთვასა" და „მთლიანად მრავლობით რიცხვში ჩასმას". აქ კი ფაქტ გვეუბნება, რომ „მთლიანად მხოლობითში ჩასმა" ივ. ბუქურაულს ეყუთენის.

ასე რომ, არ არსებობს „ქართლ-კახური თუ სხვა ვარიანტები. ეს ყველაფერი ი. ცისკაროვის ზელიდანა გამოსული და სხვადასხვანაირადა გადაყუთებული სხვადასხვა გამოცემაში, ამას გარდა, ა. შავხელიაშვილი და ქრულაშვილი ერთმანეთისაგან არ არჩევენ ვარიანტსა და გამოცემას, არ ამოწმებენ პირველ წყაროებს. ავტორებს აღძრული საკითხი პოლემიკამდე რომ გულდასმით შეესწავლათ და ტექსტების დენებში შეედარებინათ, დაწმუნდებოდნენ რომ საქმე გვაქვს ერთი და იგივე ვარიანტის სხვადასხვა გამოცემასთან და არა ვარიანტებთან. უკლებლივ ყველა ტექსტი (და არა ვარიანტი), რომელშიც „მეტი ვარ საღირსმეოლი" იკითხება, წოვა-თუშების მიერაა წარმოადგენილი მთქმელისა და ადგილის მიუთითებლად, ზოგი მთავანი აღწერე, ზოგი კი ჩვენს დროში, რად დასქირდათ წერილის ავტორებს ამ ტექსტების „დაძველება", ჩაწერის ადგილად ქართლისა და კახეთის გამოცხადება, ჩაწერის წოვა-თუშის, ა. ქარელიშვილის არ გამხებლა?

ვარიანტის უფლებით ის ტექსტი სარგებლობს, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში

¹ „ველი", 1897, № 13, გვ. 267.

² A. Хаханов. Тушети, 1888. გვ. 6. შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1956. გვ. 134. ს. შავალათია. თუშეთი. 1933. გვ. 17.

³ ფოლკლორის არქივი, № 3172.

⁴ ს. შავალათია, „თუშეთი", 1933, გვ. 26.

¹ აკაციის კრებული", 1899, № 11, გვ. 24.

² ექ. თაყაიშვილი, I, გვ. 61; ხაზ. სიტყვ. № 30.

გადადის, თაობიდან თაობას გადაეცემა და ამიტომაც მას არსებითი ცვლილებები მოსდის. ამიტომაც ჰქვია მას ხალხური. თუ ამ ლექსმა აღნიშნული პროცესები ვაიანა წოვა-თქმითა შორის და განსხვავებული სახით მოგვევლინა, მაშინ მას უდავოდ უნდა ეწოდოს წოვა-თქმური ვარიანტი. მაგრამ ვერაფრით ვერ გავვითვითა რანაირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას ერთ ენაზე შექმნილი ლექსი სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა შორის. ანდა როგორ შექმნის ხალხი სრულიად სხვა ენაზე ხალხურ ნაწარმოებს, როდესაც ასეთი რამ მას საკეთარ ენაზე არ ეუბოვებია?

მოხდა ის, რასაც დ. აღბანელი ხაზგასმით აღნიშნავს, შიის კუთხეებში ფრიად ვაჭრულბული ზევსურული ლექსი სალირიშვილების გმირობაზე ცნობილი ვახტა ჭართლის მეოღნე წოვა ინტელიგენციისათვისაც. რაჟილა ლექსში ბატრიონის ბროქოსა და სალირიშვილებზე იყო ლაპარაკი. ი. ცისკაროვი მას ნებსით თუ უნებლათ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა და ისე გამოაქვეყნა რუსულ ორგანოში. ცისკაროვის ეს შეცდომა ირწმუნეს მისმა შემკვირებელმა და ამრიგად, ი. ბუჭურაულიდან შეხვლიშვილამდე შექმნის მთითი მეტი სალირიშვილები. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დღემდე ფაქსირებული არ არის არც წერილობითი წყარო და არც პოეტური ტექსტი, რომელიც ბატრიონის ომის დროს მეტი სალირიშვილის არსებობას ადასტურებდეს. ცისკაროვის წერილის შემდეგ მთელი ასოცი წელი გავიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ლექსი თუ სიმღერა, არცერთი ხალხური ჟანრის ნაწარმოები არ არის მოპოვებული, სადაც ავად თუ კარგად მეტი სალირიშვილის ხსენება ეყოფილიყოს. მაშინ, როცა სხვა გმირებზე, მათ შორის ნაღირა ხომურაულზე, როგორც იტყვიან, ზღვა მასალებია დაგროვებული, იქნებ წოვერ ენაზე შექმნილმა, ჩვენთვის უცნობმა ხალხურმა შემოქმედებამ შემოგვიჩინა მეტი სალირიშვილის სახელი? თუ ეს ასეა, მაშინ რაღას უცდიან ა. შეხვლიშვილი და ლ. კრეკლაშვილი ამ წერილის ნაცვლად დაეძებოდნენ პოზიტურნი ნარკვევი, სადაც დედგენილი იქნებოდა მეტი სალირიშვილის ვინაობა და მეთხველთან ერთად ჩვენც გაეიხარებდით.

ხოშურაული ზევსური გმირია ვაჟა-ფშაველას „ბატრიონის“ მიხედვით: „გუდანელთ ჯამოს-ქლოლათ ხომარეული ხარია“¹ ხევსურად ასახელებენ მას საქართველოს ისტორიის შემდგენლები.² ხევსურად მიიჩნევენ საქართველოს მთისა და ბარის ხალხური ლექსები და სიმღე-

რები (მათ შორის თქმური ლექსებიც). ზევსურათ აღიარეს თ. რაზიკაშვილმა, პ. უშიკაშვილმა, ა. შანიძემ, ქს. სიხარულაშვილმა. სხვა ხომურაულის ზევსურობაზე სხვენიშვილმა მწერილი გამოაქვეყნა ფშაველმა დისერტანტში ი. ქართველიშვილმა.³ ყველა ამის შემდეგ ჩვენ ომონენტებს მიანიც ხომურაულის ზევსურობა „გადაწყვეტილად“ არ მიიჩნით.

ნეტამც ასე იყოს, რომ მეტი სალირიშვილი სახით ერთი სახალხო გმირი კიდევ შეემატოს ქართველ გმირთა პლეადას. მაგრამ ამას ხომ მასალა უნდა. მასალების უქონლობას ა. შეხვლიშვილი იმით აესებს, რომ არაერთგზის თავის-სავე რეველზე მიგვიითთვინა, მაგრამ რა უწერია ამ ჟღისნურ რეველში, ამის შესახებ ეი არაფერს გვეუბნება. ანდა იმომწებს მიტინგზე „სიტყვაში გამოსულ გულხსა“ და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამ გულხსამდე აუარებული თქმულება-გადმოცემა ცნობილ მკვლევართა შიერ გამოქვეყნებულ ბატრიონის გმირბთან დაკავშირებით (ა. ხაზანაშვილი, ნ. ურბნელი, ი. ბუჭურაული და სხვ.), მაგრამ არცერთგან ხსენება არ არის მეტი სალირიშვილისა. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, რატომ არ ახსენებს მას თავის „ბატრიონში“ ვაჟა-ფშაველა?

ამ შევეჭოლთ ავრეთვე ვაგვეზიარებინა მკვლავი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქმის ზევსური გეომრის გვარი ხომურაული სოფელ ხომარასთან იყოს დაკავშირებული. ეს შიამიტური ვარაუდი აშკარად ეწინააღმდეგება მეცნიერულად დადგენილ ლინგვისტურ-ონომასტრიურ კანონებს. გვარი ხომურაული რომ მართლაც სოფელ ხომარადან იყოს წარმოქმნილი, ე. ი. მისი შატარბლის ხომარადან წამოსულობას ნიშნავდეს, ხომურაული ეი არა ხომარელი უნდა გვქონდეს, იმ ფორმით, როგორითაც მას ხალხი, ან თვითონ ვაჟა-ფშაველა არაერთგზის ხმარობს იმავე „ბატრიონში“. ადამიანთა სადაურობა — ელით იწარმოება და ამიტომ გვაქვს: თბილისი — თბილისელი, ახმეტა — ახმეტელი, ჩარგალი — ჩარგალელი და სხვ. ასე ნაწარმოები გვართობ თავის მაწარმოებელს უცვლელად ინარჩუნებს შემდეგაც: მათურა — მათურელი, ჩხობი — ჩხობელი, ლიქოკი — ლიქოკელი, ზანდუკი — ზანდუკელი) და ა. შ.

ხოშურაულების გვარი იმ თავიდან ამ თავამდე ხომურაულად იწერება და იხსენიება უკლებლად ყველა ზეზბრისტიყვერ სიმღერასა და თქმულებაში. საქმე ის არის, რომ ხომია ანუ

¹ ა. შანიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 324.

² დუშეთის რაიონული გაზეთი „კომუნისმის გზა“, 1962, № 118.

³ ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი, არაგვიანი, 1971, გვ. 223.

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზ. 2, გვ. 77.

² საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, 8-10 კლასებისათვის, 1958, გვ. 184.

ხოშურა (შეადარეთ: ხოშია — ხოშურა, ბაჟყია — ბაჟყურა, აჟია — აჟურა, ბადია — ბადურა, ბიძია — ბიძურა, ვანძა — ვანძურა, თია — თიურა და სხვ.) საკუთარი სახელია და იგი ფშავ-ხევსურეთსა და ქიზიყში ახლაც გვხვდება. საინტერესოა ამ სახელის ვენეზისა.

ქართულ ონომასტიკონში უხვად გვაქვს ძვირფასი ქვებიდან (სამკაულებიდან) წარმოშობილი საკუთარი სახელები. ასეთებია: ფირუზი, ლალი, ვანძა (ხევს.), მარგალიტა და სხვ. ხალხური ვადმოცემით მარგალიტი სიდიდის მიხედვით სამი სახის უყოფილა: წვრილი, ხოშური და დიდროვანი.

ხოშური მარგალიტი — სამუალო სიდიდის მარგალიტის აღსანიშნავად ხშირად გვხვდება ძველ წერტილობით ძეგლებშიც, ხოლო საბას ლექსიკონის მიხედვით ხოშორი „წვრილისა და სხვილის სამუალია“. ხოშორი (ქნინ. ხოშურა) სამკაული ყოფილა ხევსურული კილოს მიხედვითაც. აქედან ნაწარმოები სიტყვები დღესაც გვხვდება ცოცხალ მეტყველებასა და ზეპირსიტყვიერებაში. მოქარული ტანსაცმლიდან სამკაულების (მძიმე-ძვალის ღილა) მოხსნას, რასაც განსაკუთრებით მგლოვიარობის დროს აქვს ადგილი, ვახოშეაჟქეია:

„გახოშელი (სამკაულმოცილებული დ. გ.) დაღის ქალ-ხალი დგას ერემლის აღახანია“.

გლოვის ნიშნად სამკაულის დაყრა ფრინველზედაცაა გადატანილი. გვირის გლოვის აღსანიშნავად.

ცაზედ მდინარი ფრინველი
თბე-ბოლოთ იხოშებისა*.

ეფქრობთ, ქართულ ონომასტიკონში შემორჩენილი სახელის ვარიანტები: ხოშეჟა (ხოშეჟალი), ხოშია, ხოშურა გენეტიკურად ისევეა ძვირფას ქვებთან, საზოგადოდ სამკაულებთან დაკავშირებული როგორც სახელები: ფირუზი, ლალი, ვანძა, მარგალიტა და სხვ.

ამრიგად გვაქვს ძველი (თანაც კარგი!) ქართული წარმოშობის სახელი ხოშურა, ხოლო აქედან კი სრულიად კანონზომიერად ნაწარმოები გვარი ხოშურაული, ისევე როგორც ფიცხელა — ფიცხელაური, ვიგა — ვიგაური, ზვიადა — ზვიადაური, ან და თუ საკუთარი სახელის ფუძეში „რ“ ბგერა ურევია დისამილიციით გვაქვს: ჟინჯარა — ჟინჯარაული, ზურაბა — ზურაბაული, გოდერძა — გოდერძაული

ასევე საკუთარი სახელიდან (ხუსტად ხოშურაულის მსგავსი ფორმით) ნაწარმოებულ წერტიკურაული, ბაბურაული და სხვ. უცხოელთაგან ამ უცხოელ ფაქტებს ემატება აგრეთვე მეცნიერული ვარაუდი იმის შესახებ, რომ სოფელ ხოშარას ძველად ფხოშარა (ფხოველთა შარა) უნდა რქმოდეს. (შუაფხოშისან მეზობელი კუთხეები და თემები დღესაც დაკავშირებულია იმ გზით, რომელიც ხოშარაზე გადის). ვარდა ამისა, ამ სოფელს კოშარა ჰქვია და არა ხოშარა. ასე რომ, მეცნიერული არგუმენტების მიხედვით ხოშურაული სახელიდან (ხოშურადან) ნაწარმოები გვარია და მისი ამა თუ იმ სოფლისათვის მიეწოდება დაუშვებელია.

გვირის პირველად ხალხი აღიარებს, იგივე ხალხი შემოსავს მას უკუდავების შარავანდულით. როგორ მოხდა, რომ იმავე ბრძოლის მონაწილე გვირზე — ზეზვა გაფრინდაულზე აფარებული ლეჟნა და სიმღერა შექმნა და შემოინახა თუშეთის ვარდა ქართლმა და კახეთმა, ფშავმა და ხევსურეთმა. ეს უმდიდრესი პატრიოტული პოეზია მრავალ ვარიანტად მოედო ხალხს და ამჟამადაც კვლავ ცოცხლობს და ზეპირ ბრუნავს. იგივე ითქმის სხვა თუშ გმირებზე, გორგი თილისძეზე, ლეოს ლეხუშე და სხვ. თუ ასეთი გვირის მართლაც არსებობდა მეტის სახით, რატომ სხვა გმირთა მსგავსად მასზე არ შექმნა ხალხმა სახატობი პოეზია? ასე რომ, ჩვენ კი არა, მისივე თანამედროვეს გამოუჩენია მეტისადმი „ნილილისტური და მოკიდებულება“. ჩვენ კი ხალხსა და ხალხურ შემოქმედებას უფრო ვუწევთ ანგარიშს, ვიდრე ა შეგულებივილსა და ლ. კრელაშვილს. თაყვანს ვცემთ იმ ხალხურ მეღვქმს, რომელმაც ქართველი ერის ძნელბედობის დროს ხალხში ღიზუნგად გადაადგო ეს სტროფი:

„თუშო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი ვეაზიაროთ,
ერთმანეთს ნუ ვუღალატებთ
დამპყრობი დავაზიანოთ“.

მეღვქმეები მეზობელ კუთხეთა გმირებს ისევე აქებდნენ როგორც თავისას. უვარგის საკუთარი კუთხისასაც ძრახავდნენ და სხვისასაც. ჩაღმა თუშმა მეღვქმეებმა ბრწყინვალე სიმღერები უძღვნეს ფარსისისა და ჰელოს ბრძოლების მონაწილე ფშაველ-ხევსურებს. ერთი ზეესურა მეღვქმე კი ამ რას ამბობს თუშ ზეზვაზე:

„ქირსაც მოგზარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსა,
სად ომნი დაეტანების,
მარკვენ-მარცხენა კრისათ“.

იი გვირები და საგმირო პოეზია!

1 ფ. არქ. კ. 27, გვ. 117.
2 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 59.

წიგნი, რომელიც იმსახურებს ყურადღებას

სარეცენზიო წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველ ნაწილში („რა არის ერი“) განხილულია საკითხის თეორიული მხარე. მეორე ნაწილი კი კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა. იგი ეხება ქართველი ერის ჩამოყალიბებისა და XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდისათვის საკითხებს. თუმცა ამ მეორე ნაწილშიც ვხვდავთ გამოთქმული თეორიული მოსაზრებანი მეტად საინტერესოა და ვარკვეულ ყურადღებას იმსახურებენ.

ა. სურგულაძის ნარკვევი ეხმარება ერის ცნებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელია შესახებ ამ ეოტა ხნის წინ გაცხოველებული დისკუსია მიმდინარეობდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ავტორი საეცებით სწორად მიუთითებს, რომ ერის ცნების საკითხზე გამართული დისკუსიის მსვლელობაში არც ერთ მეცნიერს არ წამოუყენებია ეფროს სრულყოფილი განსაზღვრა ერისა, ვიდრე ი. სტალინის მიერ მოცემული განსაზღვრაა.

ჩვენ ვიტყვილით, რომ დისკუსიის მონაწილეებიდან ბევრი შეეცადა მოეცა ერის ცნების ახალი განსაზღვრა, მაგრამ ამოდ. მათ მხოლოდ აღიარებული განსაზღვრის პერფორმირება, ხშირად მისი არსებითი გადასინჯვის ცდა გამოუვიდათ. მათ მიერ მოცემული განსაზღვრანი მეტად უზერხულია, ისინი ვალტვირთული და დამბინებული ტერმინებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ა. როგაჩევისა და მ. სვერდლინის, ს.ტ. კალტახჩიანის, მ.ს. ჟენესოვის, მ.ო. მნაკაიანიანის, ტ.ი. ბერმისტროვას, მ.მ. სუვიკოვის, ს.ი. ნოვიკოვის, ა.გ. სახაროვის, ბ.ს. რახვინის, დ.ს. ფედოროვის, მ.ი. კუკუშკინის, და სხვების მიერ მოცემული განსაზღვრებანი.

„ეფროსილ «Вопросы истории»-ს სარედაქციო კოლეგია აქამებს რა დისკუსიის შედეგებს ერის თეორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, სრულიად სამართლიანად წერს:

ა. სურგულაძე, „ერის ცნებისა და რეკოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“, ოსტო. 1970.

ა. მარქსმა, ფ. ენგელსმა და ვ.ი. ლენინმა თავიანთ შრომებსა და გამოთქმებში გავიუმქტეს ერის არსი, ავიხსნეს მისი წარმოშობის მიზეზები და პირობები, დავიხსნათეს მისი ჯირითადი ნიშნები. დისკუსიის მსვლელობაში საეცებით სწორად მიუთითებდნენ, რომ ი.ბ. სტალინის ფორმულირებული ერის ცნობილი განმარტება წარმოადგენს ყოველივე იმის განზოგადობას, რაც ნათქვამი აქვთ კ. მარქსს, ფ. ენგელსს და ვ.ი. ლენინს ერის არსისა და მთავარი ნიშნების საკითხზე. ამ განმარტებაში ნათქვამია: „ერი არის აღამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა წარმოშობილი ერის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა ნაციონალური კულტურის სპეციფიკური თავისებურებათა ერთობა“. ცნობილია, რომ ი.ბ. სტალინის ნაშრომი, რომელშიც ეს განმარტებაა მოცემული, ვ.ი. ლენინმა დაღებითად შეაფასა, ერის მოყვანილი განმარტება, როგორც მართებულად აღინიშნა დისკუსიის მსვლელობის დროს, არის მეცნიერული, მარქსისტული განმარტება, იგი წარმოადგენს ერის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ნაწილს.“¹

დისკუსიის მონაწილეთა ერთი ნაწილის ცდას „შეეცხოთ“, „დაეზუსტებიათ“ ერის სტალინისეული განმარტება, ახალი ნიშანი დაემატებიათ მისთვის, ან რომელიმე ნიშანი ამოეღოთ მისგან, არავითარი შედეგი არ მოყოლია.

ყველაზე მწვავე დავის საგანი გახდა ერის მეოთხე ნიშანი—ფსიქიკური წყობა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უფიქრობს ამ საკითხს და საეცებით სწორად არკვევს მას. ის მამდრად აკრიტიკებს ს.ტ. კალტახჩიანს და სხვებს, რომლებმაც თავიანთი იერიშები ამ ნიშნის წინააღმდეგ მიიტანეს.

ს.ტ. კალტახჩიანს ნაციონალური ხასიათი და კულტურა არ მიანიჩა ერის დამახასიათებელ

¹ «Вопросы истории», 1970, № 8, стр. 90

ნიშნად. ამ შემცდარი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მას სურს ამოფაროს ავტორიტეტებს. მისი აზრით თითქოს ვ.ი. ლენინს ნაციონალური ხასიათი და კულტურა არ შეუტანია ერის ძირითად ნიშნებში. სტ. კალტახიანმა კულტურის ერთობის ნაცვლად „ეთნიკური კუთვნილების შეგნება“ შემოიტანა. ა. სურგულაძე კარვად ასაბუთებს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდნენ ე. შარქსი, ფ. ენგელსი, ვ.ი. ლენინი ნაციონალურ ხასიათს, კულტურას, და დასკვნის, რომ „ეროვნული კულტურის სპეციფიკური ხასიათი ერის კომპონენტია როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში და მისი უგვლუმბელყოფა შეუძლებელია ერის ცნების განსაზღვრის დროს“ (გვ. 25)

გვაახლოებს თუ არა ჭეშმარიტებას ერის ნიშნებიდან ეროვნული კულტურის ამოღება და მის ნაცვლად „ეთნიკური კუთვნილების შეგნების“ შეტანა, როგორც ამას კალტახიანი გვათავაზობს. ამ საკითხზე ა. სურგულაძე პასუხობს:

„რა თქმა უნდა, არა, ეთნიკური კუთვნილებრივ შეგნება ადამიანებს გვაროვნული წყობილების დამოღებულ მსხლეტებს, იგი ... ერის როგორც მაღალი სოციალური კატეგორიის და მამდაბლებელი ტერმინია და სრულიადაც ვერ ასახავს იმ მრავალ კომპლექსთა ურთიერთგავშორსა და მთლიანობას, რაც ეროვნულ კულტურაშია გამოხატული“ (იქვე)

სწორია შრომის ავტორის თვალსაზრისი რთავროვისა და სერდლინისი შესახებაც, რომლებიც ეროვნული კულტურის ნაცვლად ერის ნიშნად აცხადებენ „ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურის და განმთავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებებს“.

„ერთი — წერს ავტორი, შემოთავაზებული დებულება ზელოვნურადაა დამაბრუნებელი და გართულებული, შეირაც — მასში შემოტანილია ახალი კომპონენტები (ფსიქოლოგია, ყოფის ტრადიციები, განმთავისუფლებელი მოძრაობა), რომლებიც ცალ-ცალკე ერის ნიშნებად ვერ ჩითვლება, ერთად აღებული კი თანამად თავსდებიან ეროვნული კულტურის ცნებაში.“ (იქვე).

განსაკუთრებით ვრცლად იხილავს ავტორი ქართული ერის ჩამოყალიბების საკითხს. ავტორიტეტებს რა მათ ეინც აღიარა ერების მესამე ტიპიც — „ფეოდალური ერის“ სახით, ა. სურგულაძე საესებით სწორად ასაბუთებს, რომ შარქსს, ენგელსს, ლენინს არ მიჰნდდათ ერი ფეოდალური ფორმაციისათვის დამახასიათებელ ისტორიულ კატეგორიად, რომ ერის, როგორც ხალხების გარკვეული სოციალური ერ-

თობის წარმოშობისათვის საჭიროა ისტორიულ-ეთნიკური განვითარების უფრო მაღალი საფეხური. (უპირველეს ყოვლისა კომპლექსური ეპოქა).

ამასთან ერთად ავტორი ასაბუთებს იმასაც, რომ ქართული გამოჩენილი ისტორიკოსების ნაშრომებშიც ვერ ეხდებოდათ „ფეოდალური ერის“ არსებობას.

ავტორმა ფაქტობრივი მასალის გამოყენებით დაასაბუთა ქართული ხალხის ერთად ჩამოყალიბების რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე X-XII საუკუნეებში და რატომაც შეუძლებელი ამ ეპოქისათვის ერის ჩამოყალიბება დასრულებულად მივიჩნიოთ. მართალია, აღნიშნავს ის, XI-XII საუკუნეების ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო, ამ დროის საქართველო განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე იდგა, მაღალ განვითარების სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ ქართული ერის შექმნისათვის გერპირობები არ არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს რა დონეზედაც იგი იწყებებოდა მაშინ ჩვენში, შექმლო თვისებრივად ახალი, მაღალი სოციალურ-ეთნიკური ერთობა წარმოეშვა, მაგრამ ეს გერ არ მომხდარა. ფეოდალური საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, რომ იმ მასშტაბებით გავრცელებულიყო, როგორადაც იგი XI-XII საუკუნეებში მიდიოდა, მაშინ დაჭარბებოდა ფეოდალიზმის ნგრევისა და მისივე წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უფრო ადრე შეიქმნებოდა ქართული ერი. მაგრამ, როგორც ეხუდათ-საქმე ასე არ წარიმართა.

ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის კანონი, რასაკვერველია საქართველოშიც მოქმედებდა. საქართველო, როგორც აღჩინდელ ასე გვიანდელ შუა საუკუნეებში დაჭუქმაცხებულ იყო პატარ-პატარა სამეფო სამთავროებად, რომელთა შორის იყო გამწვიებულ ბრძოლა უპირატესობისა და ბატონობისათვის. შინაური ბრძოლა მეფეებსა და დიდგვირიან აზნაურებს შორის დამახასიათებელი იყო გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებისათვისაც. მართალია, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს უკვე მომწიფებულ იყო განვითარებული ფეოდალური ეროვნებისათვის დამახასიათებელი ქართული ეროვნული თვითშეგნება, არსებობდა ტერიტორიული ერთობა, ეკონომიური ერთობის გარკვეული დონე, მაგრამ ფეოდალური დაჭუქმაცხებულობის პირობებში შეუძლებელი იყო ცალკეული კუთხეებისა და რაიონების (სამთავროების) ერთ ეკონომიურ მთელად შეკავშირება, ეკონომიური ცხოვრების ერთობ-

¹ დასკვნის წამომწვებნი, რომლებიც გამოვიდნენ სტატიით „ერის ცნების შესახებ“ (იხ. «Вопросы истории», 1966, № 1).

ბის მიღწევა და ამ საფუძველზე ერის საბოლოო ჩამოყალიბება.

მიოტუეტის თამარ მეფის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ა. სურგულაძე სწორად მიუთითებს, რომ ქართველთა ტერიტორიული ერთობა დაშლის გზას დაადგა, ეკონომიურ კავშირებს, რომლებსაც XI-XII საუკუნეებში ზრდის და განმტკიცების ტენდენცია გააჩნდა, მოიშალა. ერთიანი საქართველო XIII საუკუნიდან უკვე აღარ იყო.

„აბრეგად, — წერს ა. სურგულაძე, — ქართველი ერის ნიშანი-პირობები, რომელთაც XII საუკუნეში მყარი საფუძვლები ჯერ კიდევ არ გააჩნდათ, XIII საუკუნიდან კიდევ უფრო დასუსტდა, დაიავდა, რითაც ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ხანგრძლივი დროით შეფერხდა“ (გვ. 55) თუმცა, როგორც ავტორი იქვე აღნიშნავს, „ქართველი ხალხი არასოდეს არ შენარჩუნებდა უცხოელ დამპყრობთა ბატონობას, იგი ყოველთვის ცდილობდა მტრულ რკალის გარღვევას“ და პოლიტიკურ ერთიანობას ესწრაფოდა. შემდეგ განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, აღნიშნავს ავტორი, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის დამამთავრებელი პროცესი ვაცხოველდა, მაგრამ მას წინ გადაედგა ახალი მოვლენები, როგორცაა 1785 წელს ომარხანის შემოსევა, 1795 წელს საქართველოს აოხრება აღა-მამხალ-ხანის მიერ ერყველ მეორეს გარდაცვალების შემდეგ სამცხედრო-სასიციოცხო ბრძოლის გაჩაღება ტახტისათვის მის მემკვიდრეებს შორის და სხვ.

XIX საუკუნე საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის აქტით იწყება, იგი შეუერთდა რუსეთს. ამან კი თავის მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. მართალია, ცარიზმში გააქცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, იგი დევნიდა ქართულ ენას, აბუხალ იკვებდა ქართულ კულტურას, ტრადიციებს, შიისწრაფოდა ქვეყნის რუსიფიკაციისკენ, ყოველმხრივ აფერხებდა საქართველოს ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ რუსეთთან საქართველოს შეერთებამ დიდად დასტიპარა ბატონყმობის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პროცესი.

„ცარიზმი, — წერს ავტორი, — ქართველი ერის კონსოლიდაციის შემაფერხებელ როლს ასრულებდა. მისი სუბიექტური მიზანდასახულება ეროვნული კონსოლიდაციის საპირისპიროდ ბორციელდებოდა, მაგრამ სხვა იყო ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახულება და ის ობიექტური შედეგები, რომელიც რუსი და ქართველი ხალხის თანაცხოვრებას ახლდა“ (გვ. 60) ობიექტური შედეგები კი ისეთი იყო,

როგორც ამას ავტორი დაასკვნის, რომ „ქართველებს ერთად ჩამოყალიბება დაჩქარებული ტემპით ხდებოდა.“

XIX საუკუნის პირველ ნახევარს მშვენივრებიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თურქების მიერ ნიჭიერებული მიწა-წყლის დიდი ნაწილის უკან დაბრუნება. რუსეთთან შეერთებით და მისი დახმარებით დააღწია საქართველომ თავი იპირინილი სახელმწიფოების — თურქეთის და ირანის აგრესიას.

აღნიშნული საუკუნის 30-იან — 40-იანი წლებიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ცარიზმმა შემოიმტკიცა კავკასია, მოხდა არსებითი ცვლილებები. სწრაფ სამეურნეო-ეკონომიურ აღმავლობას, ვაჭრობისა და ალბომიკე მოზრს გაჩაღებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაცხოველებას შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველო კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, იგი ჩიება მსოფლიო საქონლის ბრუნებაში, მტკიცედ დაუკავშირდა დასავლეთს და ამავე დროს რუსეთის ბაზარს. ამის შედეგად სწრაფად ირღვეოდა ფეოდალური წყობილება და ასევე სწრაფად მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესები.

„ახალი საუკუნის 50-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი საქართველოში საგლეხო რეფორმის გაცატების პერიოდში, საბოლოოდ მომწიფდა პირობები ქართველი ერის შექმნისათვის, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ ერს უკვე გააჩნდა ყველა ძირითადი ნიშანი. ბატონყმობის გაუქმებამ, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სწრაფმა აღმავლობამ, რკინიგზების მშენებლობამ, ქალაქების ზრდამ, შრომის განაწილების დაწყებებამ საქართველოს იტქებს შორის და სხვა, წარმოშვა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ერთიანი რაც ერის რამყუანი, ძირითადი ნიშანს შედგენს. უამარობობად, ისე როგორც სხვა, ქართველი ერის ვერ შეიქმნებოდა. სამოკიანელების (ი. კავკასიაზე, ა. წყაროები და სხვ.) ბრძოლა ახალი ქართული ლიტერატურული ენის შექმნისათვის გამაჩქრებთ დაგვირგვინდა, ამ დროისათვის უკვე გაქონდა ენის მყარი ერთობა, ტერიტორიის ერთობაც მიღწეული იყო. ჩამოთვალა ნიშნებს მივამტა ქართველი ერის ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება და ერის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს.“

თი ის ნიშნები, რომლებმაც განაპირობეს ქართველი ერის ჩამოყალიბება. „ეს ნიშანი-პირობები, — დაასკვნის ავტორი, — როგორც ენაზე, უსაძირკვლო და სუსტნი იყვნენ ფეოდალურ ეპოქაში, თვით მიღალგანვითარებულ XII საუკუნეშიც კი, ამ ნიშანი-პირობებს მყარი საფუძველი კაპიტალიზმის ეპოქამ შეუქმნა და

ბუნებრივია, ეს ეპოქა უნდა ჩაითვალოს ქართული ერის ჩამოყალიბების დასასრულად". (გვ. 66)

ავტორი აგრეთვე სწორად განსაზღვრავს ეთნიკური ტერმინების (გვარი, ტომი, ეროვნება, ერი) რაობას და მათ შორის განსხვავებას. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსული სიტყვა „ნაციია“ და ქართული — „ერი“ ერთი და იგივე ცნებას გამოხატავს, ამიტომ მისი სამართლიანი თქმით სიტყვა „ნაციის“ შეტანა ქართულ ლექსიკონში ზედმეტია (გვ. 67-68).

სარეცენზიო ნაშრომში მთელი თავი ეძღვნება XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და მისი პერიოდიზაციის საკითხებს. ჩვენი აზრით ავტორი საკმაოდ სამართლიანად ანსხვავებს საბალხო განმათავისუფლებელ ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან. პირველი გულისხმობს ბრძოლას მხოლოდ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მის დანიშნულებას არ შეადგენს „სახოვადობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაარდაქმნა“ (გვ. 72) და მას, როგორც ასეთს, ადვილად ჰქონდა წინა-კაპიტალისტურ ხანაშიც. მეორე (ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა) კი კაპიტალიზმის ფორმირების დროს ჩნდება, იგი მიმართული იყო როგორც ეროვნული ჩაგვრის, ასევე ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ. ამიტომ „ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ ეტაპზე ბურჟუაზიული მოძრაობაა“ (გვ. 74).

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში ა. სურგულაძე სამართლიანად უკავშირებს რუსეთის იმპერიაში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინის ცნობილ პერიოდიზაციას. აქედან გამომდინარე ავტორი ქართული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყოფს სამ პერიოდად:

1. თავადაზნაურული, რომელიც XIX საუკუნის 30-50-იან წლებში თავსდება, 2. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინციული, რომელიც 60-90 იან წლებში მიმდინარეობს და 3. პროლეტარული, რომელიც კაპიტალიზმის ლბობისა და სოციალისტური რევოლუციის მომწიფება-გამარჯვების ეპოქას (XIX ს. 90-იანი წლებიდან 1921 წლამდე) მოიცავს. (გვ. 85-86).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძირითადად შეიძლება დაეუთანხმოთ ასეთვეარ პერიოდიზაციას, მხოლოდ აი რა შეინიშნით. ა. სურგულაძე ეხება რა 1832 წლის შეთქმულებას წერს: „შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობა, მისი ლიბერალურ-პროგრესული ფრთა ცარიზმის კოლონიური უღლისაგან თავისუფალ საქართველოს ბურჟუაზიულ საწყისებზე შექმნილ, კონსტიტუციურ მონარქიად წარმოიღვნდა. შეთქმულთა რადი-

კალური ნაწილი რესპუბლიკის იდეას აცენებდა“ (გვ. 88). ეს დებულება მოციფიფიკაციაა.

ნაშრომს ვაჩნია ნაყოფანუბებიც. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი ავტორის მიერ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერის ერთ-ერთ (მეხუთე) ნიშნად გამოცხადება. „მით უმეტეს, — წერს ავტორი, — ჩვენს ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ეტაპზე ეს ნიშანი (ეროვნულ-სახელმწიფოებრიობა — ავტორები) ერის სხვა არსებით ნიშნებთან ერთად შეკეთრად იჩენს თავს და განსაკუთრებულ ადვილს იკავებს“ (გვ. 6).

ამ დებულების მტკიცებით ხომ არ სერს ავტორს იმის თქმა, რომ ეს ნიშანი მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე იჩენს თავს მკვეთრად და ანათ იგი ნიშნის როლს არ ასრულებდა? არა, ავტორს სრულიად არ უნდა ამის თქმა. იგი თავის ნაშრომში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ნიშანი წინადაც არსებობდა, ხოლო დღევანდელ ეტაპზე კი „მკვეთრად იჩენს თავს და განსაკუთრებულ ადვილს იკავებს“.

იგივე ეროვნულ სახელმწიფოებრიობას აღიარებს ერის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად, ეს აცოცხლებს მეშუაეის, კოვალჩუისა და სხვების თვალსაზრისს, რომელთაც ი. ბ. სტალინი ძალზე მკაცრად უპასუხა 1929 წელს სტატიით „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი.“ მეშუაეისა და კოვალჩუის მიაჩნდა, რომ ერის ოთხ ნიშანს უნდა დამატებოდა მეხუთე ნიშანი, სახელდობრ: ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ამ სქემის მიხედვით, როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, ერებად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა მხოლოდ ისეთი ერები, რომლებსაც საკუთარი (სხეებისაგან განცალკევებული) სახელმწიფო აქვთ, ხოლო ზაგრული ერები კი, რომლებსაც არ აქვთ ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ უნდა გვეცნო ერებად. ამ სქემის მიხედვით უნდა გვემტკიცებინა, წერს ი. სტალინი, რომ:

ა) „ირლანდიელები ერი გახდნენ მხოლოდ ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, მანამდე კი ისინი ერს არ წარმოადგენდნენ.“

ბ) ნორვეელები ერი არ იყვნენ მანამდე, სანამ ნორვეგია შვეიციას არ გამოეყო, და ერი გახდნენ მხოლოდ ასეთი გამოყოფის შემდეგ.

გ) უკრაინელები ერი არ იყვნენ, როცა უკრაინა მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ისინი ერი გახდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთს გამოეყვნენ ცენტრალური რადისა და გერმან სკოროპადსკის დროს. მაგრამ ისინი ცალკე აღარ არიან ერი მას შემდეგ, რაც თავიანთი უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთი-

ანეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.¹⁴

თუ რატომ არ ჩაითვლებოდა მეშვიკის, კოვალჩუკისა და სხვათა სემმა მეცნიერულ სემმად. პრაქტიკულ-პოლიტიკურად იგი ამართლებდა იმპერიალისტურ ჩაგვრას და შესაძლებლობას ამღვედა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ემტყიცებოდა, რომ საბჭოთა ერები აღარ წარმოადგენენ ერებს მას შემდეგ, რაც მათი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ი. ბ. სტალინის ეს დებულებები არავითარ გავგებობას არ იწვევენ. აქ საკითხები ისე ნათლად და დასმული და გადაჭრილი, რომ მას ვერც მიუმატებ და ვერც ვერაფერს გამოაკლებ. მიუხედავად ამისა აღმოჩნდნენ მკვლევარები, რომლებმაც შიინდიმის ამ დებულებების დარღვევა შედეგობაში გვეყვას ერის ცნების საკითხზე ჩატარებული დისკუსიის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი — როგანევი და სვერდლინი — დისკუსიის წამომწყებნი, ს. კალტახჩიანი და მ. შინაყანიანი. მათ მხარს უჭერს სარკეტეზიო შრომის ავტორიც ა. სურგულაძე.

საქმე ისაა, რომ ა. სურგულაძეს მთავს ჩვენს მიერ დასაბუღებული ადგილები ი. სტალინიდან და ამბობს: „მართლაც, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მრავალი ხალხის ერთად ჩამოყალიბება მოხდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გარეშე“ (გვ. 10) ეს მტყულება კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა ნიშნად ვერ გამოდგება, რადგან იგი ყველა ერისათვის არ ყოფილა სავალდებულო.

ა. სურგულაძე სწორად აღიარებს, რომ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში განაპირა კოლონიური ხალხები (მათ შორის ქართველი ხალხი) ერებად ჩამოყალიბდნენ „ვიღრე ეროვნულ სახელმწიფოს მოპოვებდნენ“ (გვ. 11). ვ. ი. მათ მოასწრეს ეროვნული კონსოლიდაცია ეროვნული სახელმწიფოებრიობის გარეშე. ავტორი იქვე მიუთითებს არანორმალურ ვითარებაზე, რომელშიც ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარეობდა. ვთქვათ სხე სწორია, მაგრამ ფაქტი რომ ფაქტად რჩება, ამ ხალხების ერებად კონსოლიდაცია რომ გამარჯვებით დავერგვინა მიუხედავად ამ არანორმალური ვითარებისა, რომელთაც ვერ შეაჯავა ხალხების ერებად კონსოლიდაციის სრულიად კანონზომიერი პროცესი.

ავტორის მტყულება, რომ კოლონიური ჩაგვრის პირობებში ჩამოყალიბებულ ქართველ ერის ცხოვრება ნორმალური არ იყო, ქართველ ერის სასიცოცხლო ძალების მოქმედება შეუფერხებლად არ მიმდინარეობდა, ქართველ ხალხს თავისი შემოქმედებითი ენერჯის გამოვლინების შესაძლებლობანი არ გააჩნდა (გვ. 14)

სწორია, მაგრამ ისიც რომ სწორია, რომ ქართული ერი სახელმწიფოებრიობის გარეშე სწორედ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში ჩამოყალიბდა ერთად?

ა. სურგულაძე დიდ ენერჯიას ანდომებს იმის მტყულებს, რომ ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბების დროს სახელმწიფოებრიობის ნაკეცად სახეზე იყო ამ სახელმწიფოებრიობის მოპოვებისათვის ბრძოლის ძლიერი ტენდენცია“ (გვ. 14) ამ კუთხით იხილავს საკითხს ს. კალტახჩიანიც. რასაკვირველია არის ერები, წერს ის, რომელთაც არ აქვთ თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ამ ერებს ან ჰქონდათ წინად, ანდა ისინი მიისწრაფიან იქითკენ, რათა მათ ჰქონდეთ თავიანთი სახელმწიფოებრიობა.¹⁵

ა. სურგულაძეც ასე მსჯელობს. ის წერს: „ცარიზმის ბატონობის მთელ მანძილზე საქართველოში მიმდინარეობდა დაცემომედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის კოლონიური უღლის დაშლამდე და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, განჩად ეროვნული სახელმწიფოებრიობის ტენდენცია“ (გვ. 14), რამაც დააქარა ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. ასე, რომ ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბების დროს, მართალია, ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ იყო, მაგრამ იყო ამ „სახელმწიფოებრიობის მოპოვებისათვის ბრძოლის ძლიერი ტენდენცია“ ჩვენ კი ვითოთ რომ ეს ერთი და იგივე რაღაცაა. ქართველ ხალხს წინად ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ერთად ჩამოყალიბების პერიოდში მას დაქარაგულთ ჰქონდა ის და მხოლოდ მიისწრაფოდა მისი აღდგენისათვის. ძლიერი ტენდენციის არსებობა გარკვეული მნიშვნელობის ფაქტორია, მაგრამ იგი განმსაზღვრელი არაა, რაგორც ეს ა. სურგულაძეს აქვს წარმოდგენილი.

ასევე არა სწორად მიგვაჩინა ა. სურგულაძის მტყულება, რომ ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბების დროს, მართალია, არ იყო ეროვნული სახელმწიფო, „მაგრამ სასაყველოდ ამ ვითარებაში განსაკუთრებით დიდ როლს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ასრულებდა“ (გვ. 16-17)

მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია, მაგრამ იგი განმსაზღვრელი რაღაცა ერის ცხოვრებაში, იგი განხილული უნდა იქნას როგორც საერთო - განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი. ეროვნულ-განმათავი-

¹ С. Т. Калтахчян, «Ленинизм о сущности нации и пути образования — интернациональной общности людей, 1969 г., М., стр. 323.

სუფლებელი ბრძოლის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ მოძრაობასთან და გამარობებულია ამ უკანასკნელით. ეს ერთი, მეორე ის რომ, ჩვენ ვიცით თუ რა დიდი მასშტაბები ჰქონდა ქართული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და ამასთან რა კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა მას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხომ ისევ და ისევ ძალაში რჩებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და სხვ. ცარიზმი შეუპოვრად განაგრძობდა ხალხების ჩაგვრას და განაპირა მხარეების ხალხთა (მათ შორის — ქართველი ხალხის) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სწორედ ამ ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული. ის ჩვენი აზრით, უშუალო კავშირშია არა ერის ნიშნებთან, არამედ რევოლუციასთან. მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შედეგად შეიქმნა შესაძლებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დამთავრება, ჩაგვრისაგან თავის დაღწევა.

ასე, რომ ა. სურგულაძის მტკიცება ვერ აღწევს მიზანს. მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ თვალსაზრისში იმის შესახებ, რომ ეროვნული სახელმწიფოებრივობა ერის ერთ-ერთი ნიშანია, ვერ ჰპოვა მხარდაჭერა დისკუსიის დროს. დისკუსიის მონაწილეები ტ. ბურმისტროვა, ა. გარიანევა, პ. სემიონოვი, ი. ცამბრიანი და სხვები ანვითარებდნენ იმ აზრს, რომ როგორც სოციალისტური, ასევე ბურჟუაზიული ერებისათვის ეროვნული სახელმწიფოებრივობა აუცილებელი არაა, შეიძლება მათ არ ჰქონდეთ თავიანთი სახელმწიფოებრივობა, მაგრამ ისინი მაინც ერებად რჩებიან.

ა. გორიანევა იმ აზრს იცავს, რომ სახელმწიფო არ შეიძლება ერის ნიშნად ჩავთვალოთ იმიტომ, რომ ისტორია იცნობს ისეთ ფაქტებს, როცა ერები იქმნებოდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე (ჩეხოსლოვაკელები, ნორვეგიელები, უკრაინელები, ესტონელები და სხვა.) მას მოყვას, აგრეთვე იმის ფაქტიც, როცა ერი (მაგ. პოლონელები) კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და იგი მაინც ერებად რჩება.¹

ი. ცამბრიანიც ამ აზრს იცავს. ის წერს: «ისტორიული მასალა თავდაყირა აყენებს კონცეფციას, რომლის მიხედვით, ეროვნული სახელმწიფოებრივობა თითქოს წარმოადგენს ერის აუცილებელ ნიშანს».²

ტ. ბურმისტროვა მიუთითებს, რომ სსრ კავშირში 53 ნაციონალური სახელმწიფო და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია. ამ-

ასთან თვითელი მოთვანი წარმოადგენს მრავალეროვან სახელმწიფო ერთეულს. და თუ იმ პრინციპს ვაყვებით, რომ არ არის საყვედურსტური ერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარეშე, მაშინ, ეს „სახელმწიფოები“ გაცილებით მეტი იქნება! ჩვენ აქ დავუმატებდით, რომ ღალატის ავტონომიურ რესპუბლიკებში ცხოვრობს რამდენიმე ერი — ავარები, დარგალები, ლეზგიელები და კუმუკები, მაგრამ არც ერთმათგანს არ აქვთ ეროვნული სახელმწიფო.

უშვებს რა ერების არსებობას მათი სახელმწიფოებრივობის გარეშე პ. სემიონოვი აღნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრივობა არ წარმოადგენს სოციალისტური ერის ერთ-ერთ ნიშანს. „საბჭოთა ერები, — წერს ის, — პრესპექტივაში იარსებებენ და განვითარდებიან ნაციონალური სახელმწიფოებრივობის ჩარჩოების გარეშე».³

ა. სურგულაძე ისე როგორც ა. როგანევი და მ. სვერდლინი, აგრეთვე ს. კალტაჩიანი და მ. მნაცაქიანი, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს აქვთ გარკვეული მოთითებები იმის შესახებ, რომ თითქოს ეროვნული სახელმწიფოებრივობა წარმოადგენდეს ერის ერთ-ერთ ნიშანს. მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ასეთ რამეს არ ამტკიცებენ. ვ. ი. ლენინის იმ დებულებიდან, რომ „ტიპიურ, ნორმალურ მოუღუნას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“⁴ ანდა „ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უმკველა ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“⁵ და სხვ. სრულიად არ გამომდინარეობს ეს დასკვნა. ამ და სხვა ციტატებიდან, რომლებიც ა. სურგულაძე და მასთან ერთად დისკუსიის ზოგიერთ მონაწილეს მოყავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებიდან ხალხოდ და გამომდინარეობს, რომ დანაგრული მხლები და ერები იბრძვიან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

ერისა და ეროვნული სახელმწიფოებრივობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევისას უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივობა გარკვეულ გველენას ახდენს ერის ფორმირების ისტორიულ პროცესზე, მაგრამ იგი არაა მისი ნიშანი. დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ მარქსი, ენგელსი, ლენინი მიუთითებდნენ სახელმწიფოებრივობის ფაქტორის დიდ როლზე ერის შექმნაში, მაგრამ არ სთვლიდნენ ერ-

¹ «Вопросы истории», 1966, № 12, стр. 108.

² «Вопросы истории», 1966, № 7, стр. 81.

³ ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 20, გვ. 483

⁴ ვ. ი. ლენინი, იქვე, გვ. 488.

¹ «Вопросы истории», 1967, № 8, стр. 103.

² «Вопросы истории», 1967, № 6, стр. 114.

ოუნელ სახელმწიფოებრივობას ერის ფორმირების აუცილებელ პირობად, მით უმეტეს ერის ნიშნად.

დისკუსიის შემავამებელ სტატიაში «К итогам дискуссии по некоторым проблемам теории нации» ნათქვამია: შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნაციონალური სახელმწიფოებრივობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის კონსოლიდაციასა და მის განვითარებაში, მაგრამ იგი არ წარმოადგენს არც ერის ფორმირებას, არც მის არსებობის აუცილებელ პირობას.¹

რამდენიმე სიტყვა ა. სურგულაძის პოზიციის შესახებ «ერის ისტორიული ტიპების» ცნების გამო. ავტორი ვეირანებს, რომ უკეთესია საერთოდ გამოვეთხოვოთ «ერის ისტორიული ტიპების» ცნებას და მოითხოვს ერის ძირითადი ტიპების («ბურჟუაზიული ერი» და სოციალისტური ერი) შეცვლას. იგი გვთავაზობს: «ბურჟუაზიული ერის ნაცვლად ერი კაპიტალიზმის (ბურჟუაზიის) ეპოქაში, სოციალისტური ერის ნაცვლად ერი სოციალიზმის ეპოქაში.»

ჩვენი აზრით, უმჯობესია დარჩეს ისევ ძველი გამოთქმა, რადგან ა. სურგულაძის მიერ შემოთავაზებული «ფრაზები» ცნებებზე არ გამოდგება, ისინი მეტად უხერხული გამოთქმებია. ჩვენ კი გვესაჭიროება გვქონდეს გარკვეული ცნებანი, როცა ბურჟუაზიულ ერზე მივუთითებთ, იქ არ იგულისხმება რომელ ეპოქაზეა ლაპარაკი? რა საჭიროა აქ სიტყვა «ეპოქის» ჩართვა? ჩვენი აზრით ეს ზედმეტია.

ცნებებს «ბურჟუაზიული ერი» და «სოციალისტური ერი» არსებობის სრული უფლება აქვთ. ჩვენს მიერ აღნიშნულ სტატიაში, რომელშიც შევამბუღე დისკუსიის შედეგები, ამის შესახებ ნათქვამია:

«ამრიგად, დისკუსიის მსვლელობაში ხელახლა დადასტურდა და რამდენიმე კონკრეტული

რებულ იქნა მარქსისტულ-ლენინური ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ერის ტიპები არ არსებობს (განსაზღვრული კრიტერიუმით). საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, კლასობრივი სტრუქტურით და კლასის ბუნებით, რომელიც წამყვან როლს თამაშობს ერების ცხოვრებაში».

კიდევ ერთ რამეზე, ა. სურგულაძე იძლევა ერის მისებურ განსაზღვრას. «ერი ადამიანთა მყარი ისტორიულ-ეთნიკური ერთობაა, რომელიც ზრდას კაპიტალისტურ ან სოციალისტურ ეპოქაში ასრულებს, ეროვნულ სახელმწიფოდ ვალიზდება და ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ერთობით ხასიათდება.» (გვ. 26) როგორც ვხედავთ ეს განსაზღვრა არსებითად სტალინისეული განსაზღვრის პერიფრაზირებაა, მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოებრივობის დამატებით, რასაც ი. ზ. სტალინი კატეგორიულად უარყოფდა. რაც შეეხება იმას, ერი როდის ასრულებს ზრდას, ეს ერის ცნებისათვის არც ისე მნიშვნელოვანი მომენტია.

ჩვენ იმის თქმა გვიწევს, რომ ა. სურგულაძის ისე როგორც სხვების განსაზღვრა ზედმეტად გამოიუწრება.

მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, რომელიც დაშვებულია სარეცენზიო ნაშრომში, მისი გამოცემა უსათუოდ დადებითი მოვლენაა. მასში სწორად, მარქსისტულ-ლენინური თეოსაზრისითაა გაშუქებული რიგი საკითხები, რაც დიდად შეუწყობს ხელს მეცნიერული აზრის განვითარებას. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მკითხველებს, ბიძგს მისცემს მკვლევარებს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის უფრო საფუძვლიანი გაშუქებისათვის.

ზ. ანანაძე,
ბ. ასოზაძე

¹ «Вопросы истории», 1970, № 8, стр. 96.

¹ იქვე.

679
3360 80 333.


ИНДЕКС
061976128
2025011010335

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ